780/
2004/3

69/

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუნგუ

1–2

2004

სპეცი

(124)

იანვარი
აპრილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა, პოეზია

გაბრიელ გარსია მარკესი. პატრიარქის შემოდგომა. რომანი. დასაწყისი. ესპანურიდან თარგმნა **ეიზა ახვლედიანმა** 3

ტადეუშ რუჟევიჩი. ლექსები. პოლონურიდან თარგმნა **ჯემალ ჭელიძემ** 63

ჟიხაილ ლერმონტოვი. გამოქცეული (მთის ლეგენდა). თარგმნა **სტეფანე მხარგრძელმა** 68

ფ. სკოტ ფიცჯერალდი. იქ, სადაც ღურგალი ცხოვრობს. ინგლისურიდან თარგმნა **მაია ბოლაშვილმა** 71

ბორის ზახოდერი. აღუფხული გეოგრაფია. თარგმნა **ვაჟა ყუბუსიძემ** 76

იოსიფ ბროდსკი. ლექსები. რუსულიდან თარგმნა **ბათუ დანელიამ** 78

მარგერიტ დიურა. MODERATO CANTABILE. რომანი. ფრანგულიდან თარგმნა **ნათია ამაღლობელმა** 81

რუსული პოეზია. თარგმნა **ლელა მეტრეველმა** 120

ტატიანა სუხოტინა. ძალიმვილის მოგონებები. დასასრული. თარგმნა **ნანა დარჩია-ბოლქვაძემ** 124

წერილები

გონდო არველაძე. საქართველოს შეცდომის უფლება აღარ აქვს 250

ნიკოლოზ გერდიანელი. საუფლო სულისა და საუფლო კეისრის 269

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი

2004, № 1-2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

ნანა დარჩია-გოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი
ნანა ახოგაძე
მანანა ამისულაშვილი
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა გართაია
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ქეგულაძე
დალი ფანჯიკიძე
ეთერ ყურაშვილი
გივი შაჰნაზარი

ვაჟა ჩორდელი
პ/მგ' მდივანი

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელ.: 99-73-41.

გადაეცა წარმოებას 1.03.2004 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.03.2004 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, სააღრიცხვო თაბახი 15,5. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფორმა. ტირაჟი 300. შეკვ. 92.

შ. პ. ს „გამომცემლობა სამშობლოს" სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბრიელ გარსია მარკესი

პატრიარქის შემოდგომა

რომანი

ესპანურიდან

თარგმნა ეიზა ახვლედიანმა

23403

●

ერთი კვირის თავზე სვავები პრეზიდენტის სასახლის აივნებს შეესივნენ, ფანჯრებზე აკრული ცხაურები ნაქუცებად აქციეს, ჩახუთულ ოთახებში შეჩერებული დრო-ჟამი ფრთების ფართქუნით შეარხიეს და უკვე ორშაბათ დილას, გამთენიისას, ქალაქი საუკუნოვანი ლეთარგიული ძილიდან გამოიყვანა დიდი მიცვალებულისა და ჩამპალი დიდებულების მხრიდან სუსტად მქროლავმა ბრიზმა. ჩვენც მხოლოდ მერეღა გავბედეთ იქ შესვლა. კედლებდაფხავებული ციხესიმაგრის ბრძოლით ალება არ დაგვჭირვებია, როგორც გვირჩევდნენ მეტისმეტად გულადნი, არც დიდი ჭიშკარი შეგვინგრევია ძელებით, როგორც გვთავაზობდნენ ახლობლები, ხელის მიკარებაზევე გაიღო ის ჯავშნიანი შიდა კარიც, ოდესღაც, ამ ციხესიმაგრის ზეობის წლებში, უილიამ დეიმპერის[1] ყუმბარებსაც რომ უძლებდა. ასე გვეგონა, სხვა სივრცეში, სხვა ეპოქაში შევაბიჯეთ. სანაგვედ ქცეულ უზარმაზარ სახელისუფლო ბუნაგში სიჩუმეც კი ძველი იყო და დაბინდულ შუქზე საგნებიც მოჩვენებებს ჰგავდნენ. პირველ პატიოში,[2] სადაც მოძალებულ ნარშავას ქვაფენილი თითქმის ამოეყარა, დაფეთებულ ჯარისკაცებს ყველაფერი თავდაყირა მიეტოვებინათ, თოფ-იარაღიც უპატრონოდ მიეყარათ კარადებში. გრძელ ფიცრულ მაგიდაზე ჩამორიგებულ მათლაფებზე ლპებოდა პანიკის გამო შეწყვეტილი საკვირაო სადილის ნარჩენები. ჩვენ ვნახეთ ჩაწყვდიადებული, პირქუში შენობა, სადაც ოდესღაც სამოქალაქო სამსახურები იყო განთავსებული, ახლა იქაურობა თეთრ შხამიან სოკოებს, უღიმღამო ცხოვრებასავით გაწელილ, დაუმთავრებელ საქმეთა საქაღალდეებსა და ამ საქაღალდეებიდან თავამოყოფილ უფერულ მყრალ ყვავილებს დაეფარა. შუა პატიოში ემბაზი იდგა, რომელშიც,

1 ინგლისელი ზღვაოსანი (მე-18 ს. დასასრ. — მე-19 ს. დასაწყ.).
2 შიდა ეზო.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ამბობდნენ, სასახლის ბინადართა სულ ცოტა ხუთი თაობა მონათლულა თურმე. ეზოს განაპირას მდგარი ერთ დროს ვინც-მეფეთა საჯინიბო ახლა ეტლების სადგომად ქცეულიყო. ფარაონებისა და ჩრჩილების ღრუბლის მიღმა ძლივს გავარჩიეთ დიდი ხმაურის დროინდელი ორადგილიანი კარეტა, ჟამიანობის დროინდელი ფურგონი, სხვადასხვა ფენისა და წარმომავლობის მიცვალებულთათვის განკუთვნილი პროგრესის დროინდელი კატაფალკები და მშვიდობის პირველი საუკუნის სომნამბულური ლიმუზინი. ეს ყველაფერი დროშის ფერებად გადაელებათ და თუმცა მტვერსა და აბლაბუდას დაეფარა, მაინც მშვენივრად იყო შემონახული. რკინის მესერის გაყოლებაზე ვარდები ჰყვაოდნენ, თითქოს მთვარის მტვერი დაფრქვევიათო, ვერცხლისფერი გადასდიოდათ. ვარდების ჩრდილში, ამ სასახლის ზეობის წლებში, კეთროვნებს ეძინათ. მოუვლელ, უზომოდ გაბარდულ ბუჩქებს ლამის მთელი სივრცე ამოევსოთ, ჰაერი გაეჯერებინა მათ სურნელს, მაგრამ ბალის სიღრმიდან, ბაზილიკის მხრიდან წამოსულ სკორეს, საქონლისა და ჯარისკაცების შარდის მძაფრ სუნს მაინც ვერ უმკლავდებოდა. ადრე, ვიდრე ამ ბაზილიკაში ბოსელსა და ფერმას გამართავდნენ, ჯარისკაცები მის კედლებს კარგა ხანს იყენებდნენ მოსასაქმებლად. სულისშემხუთველ ვარდების ბუჩქნარს რომ გავცდით, დავინახეთ ნაირნაირი ქოთნის ყვავილით მოფენილი თაღოვანი ვერანდა. იმდენი საკერავი მანქანა და ხარახურაც ვნახეთ მიყრილ-მოყრილი, რომ, ჩვენი ვარაუდით, აქ ალბათ სულ ცოტა ათასამდე ქალი მაინც ცხოვრობდა ამდენივე უდღეურ ნაშიერთან ერთად. ჩვენ ვნახეთ იავარქმნილი სამზარეულო, ვნახეთ ვარცლებში ჩამპალი საცვლები, ვნახეთ ქალებისა და ჯარისკაცების საერთო ფეხსალაგთან გაწელილი ბინძური წუმპე, ეზოს განაპირა კუთხეში ვნახეთ ბაბილონური ტირიფები, რომლებიც მცირე აზიიდან ჩამოეტანათ უზარმაზარი კასრებით თავის მიწიანად, ნაჟურიანად და წვიმიანად. ტირიფებს რომ გავცდით, მივადექით დიდ და ნალვლიან სასახლეს, რომლის ჟალუზებმორღვეულ ფანჯრებში სვავები დათარეშობდნენ. გვეგონა, კარის შემტვრევა მოგვიწევდა, მაგრამ თითქოს ჩვენს ხმას დაემორჩილაო, თავისით გაიღო. შესვლისთანავე ქვის კიბეს ავუყევით ზემო სართულისკენ. კიბეზე, როგორც საოპერო თეატრში, ფარდაგი ეფინა, აწ უკვე ძროხების ფლოქვებით გათელილი. თითქმის ყველგან შევიხედეთ, ჰოლიდან დაწყებული მინგრეულ-მონგრეული საძინებლებით, კაბინეტებით თუ სასტუმრო დარბაზებით დამთავრებული. სადაც შევდიოდით, ყველგან ძროხები გვხვდებოდნენ, მშვიდად დაბორიალობდნენ ოთახებში და ღეჭავდნენ ხავერდის ფარდებსა და ატლასის გადასაფარებლებს, ფლოქვებით თელავდნენ ფუნასა და ნამსხვრევებში არეულ წმინდანთა ხატებსა და მხედართმთავართა პორტრეტებს. ჩვენ ვნახეთ ძროხების შეჭმული სასადილო ოთახი, ვნახეთ მათი ზმუილით შეურაცხყოფილი დიდი საკონცერტო დარბაზი, ვნახეთ მათი ფლოქვებით ნაფოტებად ქცეული დომინოს სათამაშო პატარა მაგიდები, ბილიარდის მაგიდების ხასხასა მწვანე საფარი კი ისე გულდაგულ ამოეღეჭათ, მინდორში ეგონათ ალბათ თავი. ვნახეთ კუთხეში მიგდებული ქარის მანქანა. მისი მბრუნავი ფრთებიდან ოთხივ კუთხით უბერავდა ნიავი, რაც აგრერიგად აკლდათ გამქრალი ზღვის გამო ნოს-

ტალგიამოძალებულ, უზღვოდ დარჩენილ სასახლის ბინადართ. ვნახეთ
წინა კვირის მერე ჯერაც ისევ ნაჭერგადაფარებული ლამის ყველგან
მიკიდულ-მოკიდული ჩიტებით სავსე გალიები. უამრავი ფანჯრიდან
მოჩანდა ქალაქი, გაწოლილი მძინარე მხეცი, რომელმაც ჯერაც არ უწ-
ყოდა, რა ისტორიული ორშაბათი დილა თენდებოდა [illegible] ხელმა უკ-
იდეგანო ვაკეზე, სადაც ოდესღაც ზღვა ფშვინავდა, ახლა ლამის ჰო-
რიზონტამდე გადაჭიმულიყო ქვიშიანი უდაბნო თავისი კრატერებით,
მთვარის ფერფლივით მიმობნეული ხეშეში ბორცვებით. აკრძალული
ზონიდან, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ერთ-ორ კაცს თუ ჰქონდა შესვ-
ლის უფლება, ჩვენამდე მოაღწია დამძღარი სვავების მძიმე ქშენამ,
ჩვენც მათივე ფრთების ფართქუნით მოდენილი სიმყრალის სუნს მივ-
ყევით და მივადექით საუდიენციო დარბაზს, სადაც კვლავ გადავაწყ-
დით ძროხებს, ამჯერად მკვდრებს. მატლებდასეული მათი ძვალტყავა
უკანა კიდურები მრავლად ირეკლებოდა სარკეებში. დარბაზს კიდევ
ერთი ოთახი ემიჯნებოდა, შევაღეთ კარი და აღმოვჩნდით კაბინეტში.
სწორედ აქ ვნახეთ იგი. ფეხზე კრაგები ეცვა, ტანზე უნიშნო სამხედ-
რო უნიფორმა, მარცხენა ფეხზე ოქროს დეზი ჰქონდა მიმაგრებული.
იატაკზე პირქვე იწვა ამქვეყნად ყველა მოკვდავზე, ზღვისა და ხმელე-
თის უძველეს ცხოველებზე უხნესი კაცი. მოკეცილი მარჯვენა ხელი
ბალიშივით დაედო თავქვეშ. ასე სჩვეოდა ძილი მთელი თავისი ხანგრ-
ძლივი ცხოვრების ხანგრძლივ ღამეებში. მიცვალებული ამოსაცნობად
გადმოვაბრუნეთ, მაგრამ სვავებს ისე დაეკორტნათ მისი სახე, რას ამ-
ოვიცნობდით, თანაც ჩვენ ხომ არასოდეს გვინახავს იგი და თუმცა მისი
პროფილი ამოტვიფრული იყო მონეტების ორივე მხარეს, გამოსახული
იყო საფოსტო მარკებზე, წამლებზე, ბანდაჟებზე და ავგაროზებზე, თუ-
მცა მისი ლითოგრაფიული პორტრეტი დროშითა და დრაკონით მკერ-
დზე ყველგან და ყოველთვის გვხვდებოდა თვალში, ვიცოდით, რომ
ეს იყო ძველი ასლების ასლები და რომ ჯერ კიდევ კომეტის წელიწად-
საც კი არავის სჯეროდა ამ სურათების ნამდვილობა, ჯერ კიდევ მა-
შინ ჩვენს მშობლებს თავიანთი მშობლებისაგან გაეგონათ მისი ამბავი,
იმათ კიდევ თავიანთი მშობლებისაგან და ახლა ჩვენც ლამის დაბადე-
ბიდანვე გვიჩიჩინებდნენ, ის ცოცხალია და ხელისუფალთა სასახლეში
ცხოვრობსო. ვიღაცას დაუნახავს თურმე, ფიესტის ღამეს როგორ აინ-
თო სასახლეში მრგვალი ლამპიონები. ეგ რა არისო, ირწმუნებოდა მე-
ორე, ნამდვილად დავინახე პრეზიდენტისკარეტაში წამიერად გაელვე-
ბული ნაღვლიანი თვალები, გაცრეცილი ტუჩები და საეკლესიო სამოსე-
ლივით მოსირმულ ფარდიდან გამოყოფილი იდუმალი ხელი, რომელ-
საც დამშვიდობების ნიშნად უქნევდა თითქმის უკაცრიელ ქუჩასო. იმა-
საც ამბობდნენ, ამას წინათ ერთი უსინათლო მაწანწალა შეუპყრიათ
ქუჩაში, ხუთ სენტავოდ კითხულობდა თურმე მივიწყებული პოეტის
რუბენ დარიოს[1] ლექსებს, მაგრამ მალევე გაუშვიათ გახარებული და
ბედნიერი, პირადად პრეზიდენტს გაუმართა პოეზიის საღამო და ოქროს
მონეტითაც დაასაჩუქრეს. მაწანწალას, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი არ
უნახავს, ჯერ ერთი, ბრმა იყო და რას ნახავდა, მეორეც, ყვითელი ციებ-

---

1 ნიკარაგუელი პოეტი (1867-1916)

ცხელების მერე ის საერთოდ არცერთ მოკვდავს არ უნახავს, და მაინც
თავში გვქონდა ჩაჭედილი, რომ ის აქ იყო, რომ დედამიწა ბრუნავს,
სიცოცხლე გრძელდება, ცხოვრება თავისი გზით მიდის, ფოსტა მოდის
და მუნიციპალური სასულე ორკესტრიც, სადაც გარდაცვლილ მუსიკო-
სებს სხვა ბებერი მუსიკოსები ცვლიდნენ, შაბათობით სულელურ ვა-
ლსებს უკრავს მტვრიანი პალმების ხეივანში დე არმას მოედნის ფარნე-
ბის ნალვლიან შუქზე. მაშინაც კი, როცა სასახლიდან აღარც ადამიანთა
ხმები გამოდიოდა და აღარც ჩიტების გალობა, განსაკუთრებით ამ ბო-
ლო ხანებში, როცა თითქოს სამუდამოდ დაიხშო ჯავშნიანი კარი, ჩვენ
მაინც ასე ვიცოდით, რომ იქ ვიღაც იყო. ზღვისკენ გაჭრილი ფანჯრე-
ბიდან, როგორც გემის ილუმინატორებიდან, შუქი გამოკრთოდა ხოლ-
მე. ისიც თქვეს, ვიღაცას თავზე ხელი აუღია, სასახლესთან ახლოს მი-
სულა და კედლებს მიღმა უცნაური კაკაკუკი და რომელიღაც დიდი
ცხოველის ქშენა გაუგონიათ. იანვრის ერთ საღამოს კი სასახლის აივა-
ნზე მართლაც დავინახეთ ძროხა, რომელიც მონუსხულივით შესცქერო-
და მზის ჩასვლას. ეს რასა ჰგავს, ეს რა თავისაგდებაა, ეს რა მძღ...
ქვეყანაა, ძროხას რა უნდა სამშობლოს აივანზე, ვის მოსწრებია ძრო-
ხა კიბეზე ადი-ჩადიოდეს, თანაც სასახლის ქვის კიბეზე და თანაც ფარ-
დაგდაგებულზე. ისე დავიბენით, ველარ გავარკვიეთ, მართლა დავინა-
ხეთ ეს დაწყევლილი ძროხა პრეზიდენტის სასახლის აივანზე თუ საღა-
მოხანს დე არმას მოედანზე შეკრებისას მოგვეჩვენა. ამ აივანზე ხომ
უკვე რამდენი წელიწადია არავის არავინ და არაფერი დაუნახავს ამ
საბედისწერო პარასკევ დილამდე, ანუ სვავების პირველ გამოჩენამდე.
ღარიბთა საავადმყოფოს სახურავის ბინადარმა ლეშიჭამია ფრთოსნებმა
შორიდანვე იკრეს მკვდრის სუნი და ერთმანეთის მიყოლებით გამოე-
შურნენ ლამის ჰორიზონტის ხაზიდან, სადაც ამჯერად ქვიშის ზღვა გა-
წოლილიყო. გუნდ-გუნდად, ყოფილი ზღვის ტალღებივით მოადგაფუ-
ნებდნენ ფრთებს სასახლისაკენ, თითქმის მთელი დღე დასტრიალებდნენ
თავზე, მერე კი ერთმა წითელკისერამ, გვირგვინივით რომ ადგა მოტი-
ტვლებულ თავზე შერჩენილი ერთადერთი ფრთა, ეტყობა, წინამძღო-
ლმა, რაღაც ანიშნა თავისიანებს და სწორედ ამ უსიტყვო ბრძანებას
მოჰყვა მინების მსხვრევა, დიდი მიცვალებულის სიმყრალე და უპატ-
რონო სახლივით მიტოვებულ სასახლის ფანჯრებში სვავების თარეში.
ჩვენც მერეღა გავბედეთ შევსულიყავით ამ უკაცრიელ ტაძარში. შეევ-
დით და ვიხილეთ წარსული დიდებულების ნანგრევებიც და სვავების
მიერ დაკორტნილი მისი გვამიც. ნასათუთევ ხელის არათითზე პრეზი-
დენტის ბეჭედი ეკეთა, მთელი სხეული დაფარული ჰქონდა ნამცეცა ლი-
ქენებითა და ზღვის ჭიაღუებით, განსაკუთრებით მრავლად მოსდებო-
დნენ ილლიებში და საზარდულთან. ერთადერთი ადგილი, რომელიც და-
უკორტნავი გადარჩენოდა, ბრეზენტის ბანდაჟში საგულდაგულოდ ჩა-
მალული, ხარის თირკმლებივით უზარმაზარი და ჩამოსიებული თიაქა-
რიანი სათესლეები იყო. და თუმცა ეს ყველაფერი საკუთარი თვალით
ვიხილეთ, დაჯერებით მაინც ვერ დავიჯერეთ მისი სიკვდილი. აკი ერ-
თხელაც უპოვიათ იგი მკვდარი ამავე კაბინეტში, ასევე ჩაცმული და
ასევე მარტოსული. როგორც თქვეს, ძილში გაპარულიყო, ბუნებრივი
სიკვდილით აღსრულებულიყო, სწორედ იმ სიკვდილით, ძალზე დიდი

ხნის წინათ ერთმა ნათელმხილველმა ქალმა რომ ამოუკითხა წყლით სავსე თასში. იმ ხანებში, როცა მისი შემოდგომა ის იყო დგებოდა და როცა იგი პირველად ნახეს მკვდარი, ხალხს ჯერ კიდევ შესწევდა იმდენი ძალა, პრეზიდენტს, თავის საძინებელში საგულდაგულოდ გამოკეტილსაც კი, სიკვდილის შიში გამუდმებით ჰქონოდა და მაინც [illegible] მართავდა ქვეყანას, თითქოს დარწმუნებული იყო თავის [illegible] მალე სასახლეცა და მისი ეზო-გარემოც ლამის ბაზრად აქცია. კაცი გვერდს ვერ აუვლიდა ფეხშიშველა დენშჩიკებს, რომლებიც ტვირთის სიმძიმისაგან წელში გაწყვეტილ სახედრებს, ბოსტნეულითა და ქათმებით სავსე კალათებს დერეფანშივე ხსნიდნენ ზურგიდან. დიდი სიფრთხილე ჰმართებდა კაცს, ზედ არ გადაევლო კიბის საფეხურებზე მთვლემარე დედაკაცებისათვის, მშიერი ბავშვებით ხელში მოთმინებით რომ ელოდებოდნენ ოფიციალურ მოწყალებას, ან არ ამოწუწულიყო ლარნაკებიდან გადმოშვებულ წყალში, რომელსაც მისი საყვარლები ჰაიჰარად ასხამდნენ ზემოდან, როცა წინა დღის ყვავილებს ახლით ცვლიდნენ. ქალები იატაკს რეცხავდნენ, აივნებზე გამოფენილ ხალიჩებს ბერტყავდნენ და საბერტყის რიტმს აყოლილნი უიმედო სიყვარულზე მღეროდნენ. ამ ხმებს ერთვოდა ხამამაღალი გინება, რომლითაც მარადიული ჩინოვნიკები ერთმანეთს ამკობდნენ. საწერი მაგიდების უჯრებში კვერცხის დასადებად მოყუჩებულ კრუხებსაც გინებით უქშევდნენ. ფეხსალაგებში ჯარისკაცები და მეძავი ქალები ხორხოცებდნენ. სხდომათა დარბაზში ფრინველთა გნიასს ერთვოდა უპატრონო ძაღლების ღრენა-ყეფა, კაცი ვერ გაიგებდა ამ ფართოდ კარმოღებულ სასახლეში ვინ ვინ იყო ან სად იყო, ამ წარმოუდგენელ ზიმზიმსა და ჯგლეთაში ვერავინ დაადგენდა ვინ იყო ან სად იყო მთლად უფროსი ანუ აქაურობის პატრონი. მთლად უფროსი კი არათუ მონაწილეობდა ამ არეულობაში, არამედ თავად გახლდათ მისი წამომწყებიც და წარმმართველიც. აინთებოდა თუ არა მისი საძინებლის ფანჯრებში შუქი, ეს კი მამლის ყივილს გვარიანად უსწრებდა, პრეზიდენტის გვარდიის მესაყვირე ახალი დღის დადგომას ამცნობდა მახლობელ კონდეს ყაზარმას, რომელიც თავის მხრივ სიგნალს გადასცემდა სან ხერონიმოს ბაზას, ის კიდევ პორტის ციხესიმაგრეს, რომელიც ექვსჯერ იმეორებდა სიგნალს და ასე და ამგვარად იღვიძებდა ჯერ ქალაქი, შემდეგ მთელი ქვეყანა. ის კი ამ დროს იჯდა თავის პორტატულ უნიტაზზე და გულისგამაწვრილებლად აზუზუნებულ ყურებზე ხელებაფარებული ფიქრიანად გასცქეროდა ტოპაზისფრად მოლივლივე ზღვაში მოცურავე გემების სინათლეებს. იმ სანუკვარ, კეთილმოსაგონარ წლებში ზღვა ჯერ კიდევ ჩანდა მისი ფანჯრებიდან. მას შემდეგ, რაც მან საპრეზიდენტო სახლში დაიდო ბინა, თითქმის ყოველდღე დადიოდა ფერმაში და ძროხების წველას ადევნებდა თვალს, მერე საკუთარი ხელით ანაწილებდა რძეს და სამი სამთავრობო ფორნით გზავნიდა ქალაქის ყაზარმებში. ფერმიდან დაბრუნებულს წინასწარ გათვლილი საქმე აღარაფერი ჰქონდა, ახალი დღის ქარს იყო მინდობილი, საითაც დაუბერავდა, იქით გაქანდებოდა. მანამდე კი სამზარეულოში შეივლიდა, შავ ყავასა და მანიოკის ღვეზელს მიირთმევდა, თან გულდასმით უსმენდა მსახურთა ლაქლაქს. ამ სახლში ყველაზე მეტად მსახურებთან პოულობდა საერთო ენას, ყველაზე მეტად

მათგან შესხმულ ქება-დიდებას აფასებდა, ყველაზე იოლადაც მათ გულისნადებს ხვდებოდა. ცხრა საათიდან თერთმეტ საათამდე სამკურნალო ბალახებით გაზავებულ თბილ წყალში ნებიგრობდა. ფრანიტის აბაზანა საკუთრივ მისთვის დაედგათ პატიოში, ნუშის ხეების ჩრდილში. აბაზანა სიმხნევესა და გაბედულებას ჰმატებდა, [illegible] საღამოს ყოველნაირი დაბრკოლების გადალახვაში ეხმარებოდა. [illegible] წლებში, როცა საზღვაო დესანტი კალიასავით მოედო აქაურობას, იგი სადესანტო ჯარების სარდალთან ერთად იკეტებოდა კაბინეტში და წყვეტდა სამშობლოს ბედს. რაკი იმ ხანებში წერა-კითხვა არ იცოდა, ათასნაირ კანონსა და დადგენილებას ცერა თითის ანაბეჭდით ამტკიცებდა, მაგრამ როცა იგი მარტო დატოვეს თავისი სამშობლოსა და ძალაუფლების ამარა, გადაწყვიტა, ტვინი აღარ ეჭყლიტა დაწერილი კანონებით და ქვეყანა ალალბედზე ემართა. მეკლდეურის სიფრთხილითა და თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სიმკვირცხლით მიიწევდა სახელისუფლო მწვერვალისაკენ, ყველგან და ყოველთვის საჭირო კაცი ხდებოდა. მუდამ ჯგროდ დასდევდნენ კეთროვნები, უსინათლოები, ხეიბრები. ამ საცოდავებს სჯეროდათ, რომ მხოლოდ მისი ხელიდან ნაწყალობევ მარილს შეეძლო მათი განკურნება. მუდამ გარს ეხვივნენ დიპლომიანი პოლიტიკოსებიც, თავხედი, გაიძვერა ადამიანები. რალას არ მიაწერდნენ მის სახელს, მიწისძვრების, მზისა თუ მთვარის დაბნელების, ნაკიანი წელიწადის და, საერთოდ, ღმერთის მიერ დაშვებული შეცდომების კორეხიდორი! შენა ხარო, ეპირფერებოდნენ. ისიც იფერებდა, სპილოსავით დააბოტებდა მთელს სახლში და გზადაგზა, სიარულსიარულში წყვეტდა სახელმწიფო თუ შინაურ საქმეებს. მისი გადაწყვეტილებები მისი ბრძანებებივით მარტივი იყო. ეს კარი აქედან მოხსენით და იქით გადაიტანეთ. ბრძანება მაშინვე სრულდებოდა. ახლა ისევ აქეთ გადმოიტანეთ, ესეც უსიტყვოდ და მყისვე სრულდებოდა. კოშკის საათი თორმეტზე კი ნუ ჩამოჰკრავს თორმეტჯერ, ორზე ჩამოჰკრას, ასე უფრო ხანგრძლივი მოგვეჩვენება სიცოცხლე. ვინ გაბედავდა ურჩობას. როცა ირგვლივ ყოველივე სიესტის სამარისებურ მდუმარებაში იძირებოდა, იგი ამ დროს თავისი ქალების სამყოფელს აფარებდა თავს, მისთვის სულერთი იყო რომელს დაითრევდა, წამსვე ეძგერებოდა, არც თითონ იხდიდა ტანზე, არც ქალს ხდიდა, კარსაც არ კეტავდა, მაშინვე იწყებდა თავის საქმეს. მთელ სახლში ისმოდა მისი ქშენა, ძაღლივით წკმუტუნი, ოქროს დეზების გახშირებული წკარუნი და ყვირილი გამწარებული ქალისა, რომელიც ამ სასიყვარულო წუთებშიც კი მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე დამალვოდა თავისი უდღეური შვილების ბინძურ მზერას. ახლავე მოშორდით აქაურობას, ეზოში გადით და ითამაშეთ, რა თქვენი საქმეა ამის ცქერაო. სამაგიეროდ ამ დროს სამშობლოს ცაზე თითქოს ანგელოზმა გადაიფრინაო, ირგვლივ ყოველივე ყუჩდებოდა და ლამის სუნთქვას იკრავდა. მთელ ქვეყანას ტუჩთან მიჰქონდა ხელი, ჩუმად, გენერალი სასიყვარულო განცხრომაშიაო. მაგრამ ყველა როდი იჯერებდა, რომ გენერალს შეეძლო საქვეყნო საქმეებს

---

1 Correjidor უპირველესად ნიშნავს გამომსწორებელს, შემსწორებელს; სხვა შემთხვევაში: **გამგებელს, მოსამართლეს, ქალაქის თავს.**

მომწყდარიყო და თუნდაც წამიერად მაინც მოეთქვა სული. ის ხომ ერთდროულად ყველგან იყო, საღამოს შვიდ საათზე რომ დომინოს თამაშობდა, ზუსტად ამ დროს ანთებული ნაკელით მოსკიტებს დევნიდა სხდომათა დარბაზიდან. დანამდვილებით ვერავინ ვერაფერს იტყოდა, მანამ, სანამ სასახლის ყველა ფანჯარაში არ ჩაქრებოდა შუქი, არ გახსნილდებოდა მისი საძინებელი ოთახის სამი ბოქლომი, სამი გასაღები და სამი ურდული, სანამ არ გაიგონებდნენ მისი დაღლილი, მოშვებული სხეულის ზღართანს ქვის იატაკზე და ბებერი ბავშვის აჩქარებულ სუნთქვას, რომელიც ზღვის მიმოქცევას აყოლილი ხან ზომიერი იყო, ხანაც წყვეტილი და ღრმა, და მაშინ ღამეული ქარის არფები ყურებში ჩამდგარ ჭრიჭინების კრუალს უხშობდნენ. ქაფმოდებული ტალღები ზედ ევლებოდა ვიცე-მეფეთა და ბუკანეროთა[1] ძველი ქალაქის ქუჩებს, სასახლეში ფანჯრებიდან აღწევდა და, როგორც აგვისტოს ერთ საშინელ საღამოს, ახლაც სარკეებზე ლოკოკინებს ტოვებდა, სხდომათა დარბაზს ზვიგენებს უთმობდა, თვითონ კი სულ მაღლა და მაღლა, ისტორიამდელი ოკეანის თითქმის უმაღლეს ნიშნულამდე მიიწევდა და სივრცესა და დროს ფარავდა. ამ დროს კი მხოლოდ ის ერთი ტივტივებდა პირქვე თავის სიზმრისეულ მთვარიან ზღვაში, მხოლოდ ის ერთი, ერთადერთი დამხრჩვალი კაცი, რომელსაც ჯარისკაცის უხეში ტილოს უნიფორმა და ოქროსდეზებიანი კრაგები ეცვა და მარჯვენა ხელი ბალიშივით ედო ლოყის ქვეშ. იმ შორეულ წლებშიც კი, როცა თირკმლები სტანჯავდა და როცა პირველი სიკვდილიც ამ სატანჯველს მოჰყვა, მაშინაც კი საოცარი უნარი გააჩნდა, ერთდროულად ყოფილიყო ყველგან, კიბეზე რომ ადიოდა, იმავდროულად ჩადიოდა კიდეც, ზღვას რომ მოჯადოებული გასცქეროდა, იმავ წუთებში რომელიმე ქალთან იცხრობდა ვნებას. ეს სულაც არ გახლდათ მისი რაიმე განსაკუთრებული თვისება, როგორც ირწმუნებოდნენ მლიქვნელები, არც საერთო ჰალუცინაცია იყო, როგორც ამბობდნენ მისი მტრები, უბრალოდ, მას ჰყავდა ორეული, თავისი ალი და კვალი, ძაღლივით ერთგული პატრისიო არაგონესი. იგი არავის უძებნია საგანგებოდ, შემთხვევით წააწყდნენ. ჩემო გენერალო, ზუსტად თქვენნაირი კარეტით დადის ინდიელთა სოფლებში, პრეზიდენტად ასაღებს თავს. მართლა ძალიან გგავთ, ჩემო გენერალო, ვინც კარეტაში შეჭვრეტა მოასწრო, ყველა ირწმუნება, ჩვენი გენერალივით ნაღვლიანი გამოხედვა და გაცრეცილი ტუჩები აქვსო, აბრეშუმის ხელთათმანიც აცვია და გზადაგზა სამკურნალო მარილსაც ურიგებს სნეულებსო. კარეტას ორი ვითომ ოფიცერი დაჰყვება ცხენით, მარილში ფულს ახდევინებენ ხალხს. ხედავთ, რა სინდისგარეცხილები და უტიფრები არიან, ჩემო გენერალო. მაგრამ გენერალმა ცრუპენტელა კაცის დასჯა როდი მოითხოვა, პირიქით, აქ მომგვარეთ, სასახლეშიო, ბრძანა, ეცადეთ არავინ დაგინახოთ, იმ კაცსაც ტომარა ჩამოაცვით თავზე, ხომ შეიძლება მე ვეგონო ვინმესო. მართლაც მოჰგვარეს და მართლაც ისე დიდი იყო მსგავსება, რომ პრეზიდენტმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. დალახვროს ეშმაკმა, ნუთუ ეს მე ვარ, მაგრამ არც მთლად ასე იყო საქმე, იმ

---

1 მეკობრეები, რომლებიც ესპანელთა ადგილ-მამულებს ძარცვავდნენ ამერიკაში.

კაცს ხმა არ უგავდა პრეზიდენტისას, იმ ხანებში ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეთვისებული მისი მბრძანებლური კილო. თუ ეს კაცი მე ვარ, თქვა მან, აბა სცადოს და ჩემს ხმაზე გასცეს ბრძანებები. ამაოდ გაირჯება, ჯერ არავინ დაბადებულა ამის გამკეთებელი. და თუ მან ამ გაძვერა კაცის დახვრეტა არ ბრძანა, განა იმიტომ, რომ განიზრახა [illegible] ორეულად ექცია იგი, რაც ცოტა მოგვიანებით აღასრულა [illegible] ბრძანა იმიტომ, რომ შეეშინდა, ამ კაცის ხელისგულზე გავლებულმა ბედ-იღბლის ხაზმა ჩემს ბედ-იღბალზეც არ იმოქმედოს ცუდადო. მაგრამ როცა პატრისიო არაგონესმა ექვსჯერ მოიგერია თავდასხმა, მაშინ კი საბოლოოდ დარწმუნდა თავისი შიშის უსაფუძვლობაში. მართლა ძალიან ჰგავდა პატრისიო არაგონესი პრეზიდენტს, განსაკუთრებით სიარულით. მას ხომ იქამდე ურტყეს ხის ჩაქუჩი ფეხისგულებში, ვიდრე პრეზიდენტივით ბრტყელტერფა არ გახადეს, ვიდრე მასავით ფლატუნა სიარულს არ მიაჩვიეს, ყურებმაც კი მასავით დაუწყო ზუზუნი, თიაქარიც მასავით ახსენებდა თავს, განსაკუთრებით ზამთრობით, გათენებულზე. ოქროს დეზების შეკვრასაც დიდ დროს ანდომებდა, თასმები და ბალთებიც ვითომ ერთმანეთში ებლანდებოდა, ამას განგებ სჩადიოდა, აუდიენციაზე გული არ მიუჩქაროდა, ბუზღუნებდა, ღმერთმა დასწყევლოს ამის მომგონი და უვიცი ფლამანდიელი მჭედლებიცო. როცა მინის მბერავად მუშაობდა მამამისთან, ერთი ლაზღანდარა კაცი იყო, ახლა პირქუში და მუნჯი გამხდარიყო, სამაგიეროდ მოსაუბრეს თვალს თვალში უყრიდა, იქ ამოვიკითხავ შენს გულისნადებსო, შეკითხვაზე შეკითხვითვე პასუხობდა, თქვენ როგორ ფიქრობთო, ეს თალლითი კაცი, სულ ცოტა ხნის წინ ვითომ სასწაულმოქმედ მარილს რომ ურიგებდა ხალხს და თანაც არცთუ უანგაროდ, ახლა საქმიანი და წუწურაქი გამხდარიყო. ქალებსაც უბოდიშოდ ექცეოდა, წუთს არ კარგავდა, ხან ერთს დაახტებოდა ზედ, ხან მეორეს. ტანგაუხდელს ეძინა იატაკზე, პირქვე, უბალიშოდ. მან უარი თქვა საკუთარ პატივმოყვარეობაზე, სურვილებზე, უარი თქვა საკუთარ თავზე, უარი თქვა იმ ხელობაზე, დაბადებიდანვე რომ ეწერა შუბლზე, მინის მბერავობაზე. ეს ყველაფერი გაცვალა რისკზე, იმ რისკზე, რომელიც მუდამ თან სდევს უმაღლეს ხელისუფალთა ცხოვრებას. პატრისიო არაგონესი რისკავდა, როცა პირველი ქვის დადების ცერემონიალზე მიდიოდა იქ, სადაც მეორე ქვა არც არასოდეს დაიდებოდა. რისკავდა, როცა სადღაც რალაცის საზეიმო გახსნაზე მიდიოდა ლენტის გასაჭრელად, თანაც პირდაპირ მტრის ხახაში, მოწინააღმდეგე მხარის შუაგულში, ესწრებოდა სილამაზის კონკურსებს, რათა ეფემერულ და მიუწვდომელ სილამაზის დედოფლისათვის გამარჯვებულის გვირგვინი დაედგა თავზე. სხვაფრივ მათთან მიკარებაც კი სასტიკად ეკრძალებოდა. ბოლოს და ბოლოს იგი შეეგუა თავის დაწყევლილ ბედს, შეეგუა სხვისი ცხოვრებით ცხოვრებას. ეს ნაბიჯი სიხარბის გამო არ გადაუდგამს, არც რალაც რწმენისთვის უარუყვია საკუთარი თავი, უბრალოდ, სხვა გზა არ ჰქონდა, მარადიული მატყუარას თანამდებობა, თვეში ორმოცდაათი პესო და შანსი იმისა, რომ არ იყო მეფე, მაგრამ მეფესავით უნდა ეცხოვრა, მას ხომ ეს ყველაფერი, რომ იტყვიან, აჩუქეს სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ, მასაც მეტი რა უნდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კიდევ უნდოდა რალაცა.

ერთხელ ღამით პატრონი შემთხვევით გადააწყდა სანაპიროზე ჟასმინის სურნელოვან ბუჩქთან მიმჯდარ დანაღვლიანებულ თავის ორეულს და გულითადად ჰკითხა, რა მოგივიდა, პატრისიო, სადილობისას ვინმემ ხომ არ სცადა შენი მოწამვლა, ან ვინმემ ხომ არ გაგთვალათ. უარესი მჭირს, ჩემო გენერალო, უთხრა პატრისიო არაგონესმა, [illegible] ვალის დედოფალს გვირგვინი დავადგი თავზე და პირველი [illegible] ცეკვე, ახლა კი ვერაფრით მიპოვია ის კარი, საიდანაც შევძლებდი ამ მოგონების გაძევებას. აღარ ვიცი, რა გზას ვეწიო, ასეთი ლამაზი ქალი დედამიწის ზურგზე არ დადის. ნეტავი ერთი განახათო. პრეზიდენტმა შვებით ამოისუნთქა, ქალი ნდომებია, მე კი რა არ ვიფიქრეო, და შესთავაზა, მოვიტაცოთ ეგ შენი მზეთუნახავიო. თვითონაც ბევრჯერ მოქცევია ასე ვითომ უკარება ქალებს, რომლებიც მერე და მერე, წლების მანძილზე დიდად კმაყოფილნი ცხოვრობდნენ მასთან ერთად. ძალით ჩაგიგორებ საწოლში, ოთხი ჯარისკაცი ხელ-ფეხს გაუკავებს, შენ კი ამასობაში მიდი და დიდი ჩამჩით მიირთვი რამდენიც გენებოს, მაგისთანები გვინახავს, ჯერ ვითომ არ უნდათ, თავს იფასებენ, ინაზებიან. მერე კი გეხვეწებიან, დამპალი ვაშლივით არ მოგვისროლოო. მაგრამ პატრისიომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არა, ჩემო გენერალო, მე მეტი მინდა, მე მინდა იმ ქალს ვუყვარდე, მინდა სასურველი მამაკაცი ვიყო მისთვის, უმშვენიერესი ქალია, ჩემო გენერალო, თავადვე დარწმუნდებით, როცა პირადად გაიცნობთ. პრეზიდენტმა გაიფიქრა, ეს თუ ცოტა არ დავამშვიდე, ცუდადაა მისი საქმეო, და ამ სატანჯველიდან თავის დაღწევის ერთგვარი ფორმულა შესთავაზა. ღამითო, უთხრა პატრისიოს, ჩემი ქალების სამყოფელში შეიპარე და რამდენიც გინდა ისიამოვნე, ოღონდ ერთი პირობით, ჩემსავით მოიქეცი, რჩევა და ტანზე გახდა არ დამიწყო იქ, მოახტი პირველსავე ქალს და იმოქმედე სწრაფად. პატრისიო არაგონესმაც კეთილსინდისიერად შეტოპა სხვისი სიყვარულის ჭაობში, რატომღაც ეგონა, საკუთარ ვნებას უშველიდა, ჩაიხშობდა, მაგრამ მართლაც ისე შეტოპა, რომ ზოგჯერ ავიწყდებოდა კიდეც სესხის პირობები, მოძრაობდა ნელა, თითქოს გემოს ატანსო, ალერსთან მწყრალად მყოფ ქალებსაც კი უღვიძებდა სურვილს, აიძულებდა სიამოვნებისაგან ეკვნესათ და თანაც გაოცებულებს ეკისკისათ სიბნელეში, ეს რა ონავარი და დაუდეგარი ყოფილხართ გენერალო, თანაც ამ ასაკში, საკვირველია პირდაპირ. სწორედ მას შემდეგ ვერც პრეზიდენტი, ვერც პატრისიო და ვერც ქალები ვერ იტყოდნენ ზუსტად, ვინ ვისი შვილი იყო ან ვინ ვისი მამა, ყველა სიკეთესთან ერთად პრეზიდენტსაც და პატრისიოსაც უდღეური შვილები ებადებოდათ. პატრისიო არაგონესმა მოიპოვა ყველაზე შინაური, საჭირო და პატივსაცემი, ყველაზე საყვარელი და იქნებ ყველაზე საშიში კაცის სახელი სასახლეში. სამაგიეროდ პრეზიდენტმა მოითქვა სული, უამრავი თავისუფალი დრო ებოძა პატრისიოს წყალობით. როგორც ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, თავისი სამსახურებრივი კარიერის დასაწყისში, პრეზიდენტი ახლაც დიდ დროს ახარჯავდა შეიარაღებულ ძალებს. ჩვენ გვეგონა, პრეზიდენტს არმია მიაჩნდა თავის საიმედო დასაყრდენად და იმიტომაც ფიქრობდა მასზე ამდენს, მაგრამ აღმოჩნდა კი პირიქით.

საქმე ის არის, რომ პრეზიდენტი სწორედ იქიდან ელოდებოდა საფრთხეს და იმიტომაც ადევნებდა თვალს სამხედროების ყოველ ნაბიჯს. ყაზარმებში დადიოდა, ოფიცრებს ცალ-ცალკე აქეზებდა, ამბობ ეს თქვა, იმან ის თქვაო. ყველა ერთმანეთს გადაკიდა, ოღონდ ერთად არ ყოფილიყვნენ და ზოგს სად ამწესებდა სამუშაოდ და ზოგს სად. ყველანაირად ცდილობდა შეთქმულების საყრდენი შეესუსტებინა. ყაზარმებს ისეთი ვაზნებით ამარაგებდა, ათიდან რვა რომ ფუჭი და უვარგისი იყო, დენთშიც ნახევარზე მეტი სილა ერია, სამაგიეროდ სასახლის სარდაფები იყო იარაღით გამოტენილი, გასაღებები მხოლოდ მას ჰქონდა, თანაც თითო-თითო. სარდაფების გაღებისას ყოველი შემთხვევისთვის, უფრო მეტად დაცვის მიზნით, საკუთარი აჩრდილივით დაჰყვებოდა განუყრელი მეგობარი, საკადრო არტილერისტი გენერალი როდრიგო დე აგილარი, რომელიც ერთდროულად თავდაცვის მინისტრიც იყო, პრეზიდენტის გვარდიის მეთაურიც და ეროვნული უშიშროების სამსახურის უფროსიც, მცირერიცხოვან მოკვდავთაგან მხოლოდ მას ჰქონდა მოგების უფლება პრეზიდენტთან დომინოს თამაშისას. აქ არც არაფერი იყო გასაკვირი, როდრიგო დე აგილარმა ხომ მარჯვენა ხელი მაშინ დაკარგა, როცა განაღმვისას დინამიტი აუფეთქდა იმ ადგილას, სადაც სულ რაღაც ორიოდ წამში პრეზიდენტის კარეტას უნდა ჩაევლო. ასე რომ, როდრიგო დე აგილარისა და პატრისიო არაგონესის წყალობით პრეზიდენტი ისე არხეინად გრძნობდა თავს, რომ საერთოდ გაუქრა თავდაცვის ინსტინქტი და ხალხშიც ხშირ-ხშირად იწყო გასვლა. ქალაქში მხოლოდ ერთი ადიუტანტის თანხლებით და ჩვეულებრივი, უღერბო, ფარდებგადაწეული კარეტით დადიოდა. უკვე მერამდენედ ავლებდა თვალს მოოქროსფრო ქვით ნაგებ დიდებულ ტაძარს, რომელიც მისივე დეკრეტით მსოფლიოს ულამაზეს ტაძრად იქნა გამოცხადებული, თვალს ავლებდა ძილის დროინდელ პორტალებით მორთულ აგურის ძველისძველ შენობებს, ზღვისკენ პირშექცეულ მზესუმზირებს, ათვალიერებდა ვიცე-მეფეთა კვარტალის ქუჩებს, სადაც სანთლების ნამწვის სუნი იდგა. აივნებზე ხედავდა მიხაკებისა და იაეუჟუნების ქოთნებშუა ჩამჯდარ, მაქმანის ქსოვაში გართულ ფერგამკრთალ ქალიშვილებს, რომლებსაც უბიწოება ეხატათ სახეზე. ბისკაიელ ქალთა მონასტრიდან ყოველდღე ზუსტად სამ საათზე მოესმოდა კლავიკორდზე შესრულებული ის სავარჯიშოები, უხსოვარ დროში კომეტის პირველი ჩავლის აღსანიშნავ ზეიმზე რომ უკრავდნენ. ერთხელაც სავაჭრო კვარტალის ბაბილონურ ხალხმრავლობაში გაერია. შმაგი მუსიკით დაყრუებული შესცქეროდა დროშებივით გამოფენილ ლატარიის ბილეთებს, გუარაპოთი[1] დატვირთულ ორთვალებს, იგუანას[2] კვერცხების მთას, გამოხუნებულ თურქულ ძველმანებს, ურჩობისათვის მშობლების მიერ მკაცრად დასჯილ მორიელად ქცეულ ქალს. უკაცო ქალების უბადრუკ ქუჩაზეც ჩაიარა. მოსალამოვებულზე ეს ქალები ლამის შიშვლები გამოდიოდნენ ერთი-ორი ნაჭერი თევზის საყიდლად და მემწვანილეებთან სალაყბოდ. ამასობაში კი მათი

1 შაქრის ლერწმისგან დაყენებული ღვინო.
2 გიგანტური ხვლიკი.

საცვლები შრებოდა რიკულებიან ხის აივნებზე. ქუჩის ბოლოში რომ გავიდა, დამპალი ნიჟარების სუნი ეცა, ვარხვების გუნდი თეთრად ანათებდა შორიდან, ცოტა იქით, ზედ ზღვის უბეში უწესრიგოდ მიმოფანტულიყვნენ ზანგების ჭრელაჭრელა ქოხმახები და უცებ [illegible] იც, პორტი, ო, პორტი, დამპალი ფიცრებისგან შეკოწიწებული [illegible] გომი, იქვე ქვეითთა ძველი ჯავშნოსანი, უფრო გრძელი და უფრო პირქუში, ვიდრე სიმართლე. უცებ კარეტამ, ცოტას გაწყდა, ბორბლებში არ მოიყოლია მტვირთავი ზანგი ქალი. იგი განზე გახტა, რათა გზა მიეცა ის-ის იყო რატომღაც შემობრუნებული კარეტისათვის და სწორედ ამ დროს ქალმა ბერიკაცს მოჰკრა თვალი კარეტაში და მოეჩვენა, თავად სიკვდილი ვიხილეო. ბერიკაცი მსოფლიო სევდით სავსე თვალებით შესცქეროდა ნავსადგომს. ის არის ,შესძახა აღტაცებულმა ქალმა, გაუმარჯოს მაჩოს. გაუმარჯოს, გაუმარჯოს, ტავერნებიდან, სამიკიტნოებიდან დაბარებულებივით გამოცვივდნენ კაცები, ქალები, პატარა ბიჭები. ზოგმა იმარჯვა და ცხენებს აღვირში წვდა. კარეტას გარს შემოეხვივნენ, ყველანი ცდილობდნენ ხელი ჩამოერთმიათ ქვეყნის პირველი კაცისათვის. მთელი ეს აგზნებული, აღტაცებული ბრბო რაღაც ისე ბუნებრივად, ისე სწრაფად შეგროვდა, რომ მან ძლივს მოასწრო ადიუტანტისათვის ხელი აეკრა რევოლვერზე. რისა გეშინიათ, ლეიტენანტო. რას ერჩით ამ ხალხს, მე მათ ვუყვარვარ. ბერიკაცი მეტისმეტად ააღელვა სიყვარულის ასეთმა გამოვლინებამ. მომდევნო დღეებშიც სიხარულის ყიჟინით ხვდებოდნენ მის გამოჩენას. გენერალმა როდრიგო დე აგილარმა ძლივს დაითანხმა, ქალაქში ღია კარეტით აღარ გასულიყო. რა მოხდა ასეთი, გენერალო, ჩვენი ქვეყნის პატრიოტებმა ერთხელ მაინც მიხილონ თავით ფეხამდეო. ვერც კი მიხვდა, მხოლოდ პორტში რომ შეხვდა ხალხი ნამდვილი პატრიოტული აღტყინებით, დანარჩენი შეხვედრები კი მისივე უშიშროების სამსახურის მიერ იყო მოწყობილი მისსავე საამებლად, თანაც უსაფრთხოდ, ყოველგვარი რისკის გარეშე. თავისი შემოდგომის წინა დღეებში ისე აუჩუყა გული მის მიმართ გამოჩენილმა საყოველთაო სიყვარულმა, რომ წლობით კარჩაკეტილი ცხოვრების შემდეგ უცბად განიზრახა, დედაქალაქიდან გასულიყო და ქვეყნის შორეული კუთხეები მოენახულებინა. სასწრაფოდ გასცა ბრძანება, ჩიხიდან გამოეყვანათ ეროვნულ დროშის ფერებად გადაღებილი ძველისძველი მატარებელი. მალე ეს მატარებელი კატასავით მიიზლაზნებოდა ნაღველით დამძიმებული, უზარმაზარი სამეფოს კარნიზებზე, ორქიდეებისა და ამაზონური ბალზამინების ბუჩქებში, აფრთხობდა მაიმუნებს, სამოთხის ჩიტებს და რელსებზე მთვლემარე ლეოპარდებს. ასე გადასერა მან მთელი ქვეყანა და მიადგა მიკარგულ, დათოვლილ სოფლებს, თავის მშობლიურ მხარეს. სადგურებზე სამგლოვიარო მუსიკით ხვდებოდნენ, ზარებიც სამგლოვიაროდ რეკდნენ, მრავლად გამოფენილ ტრანსპარანტებზე მას მოიხსენიებდნენ როგორც წმ. სამების მარჯვნივ მჯდომ უსახელო მოციქულს. მატარებელთან ძალით მორეკილი ინდიელები ცდილობდნენ წამით მაინც შეევლოთ თვალი სამთავრობო ვაგონის იმქვეყნიურ ბინდს მიღმა ჩაყუჟული ხელისუფალისთვის, მაგრამ ვინც ვაგონთან ახლოს მისვლა და მტვრიან ფანჯარაში შეხედვა მოახერხა, მხოლოდ გაკვირვებულ, გადმოკარკლულ თვალებს,

მოცახცახე ტუჩებს და მისალმების ნიშნად გამოშვერილ გაურკვეველ ხელისგულს შეასწრო თვალი. ერთ-ერთი პირადი მცველი ამაოდ ცდილობდა ფანჯრიდან მის გამორიდებას. ფრთხილად, გენერალო, თქვენ სჭირდებით სამშობლოს. ნუ ღელავთ, პოლკოვნიკო. ამ ხალხს მე ვუყვარვარ. შემდეგ იგი მატარებლიდან ხის ბორბლიან სამდინარო გემზე გადავიდა და განაგრძო გზა. ბორბლის ფრთები, თითქოს პიანინოს კლავიშებია და ვალსს უკრავსო, ფართო, ნარნარ წრეებს ტოვებდა წყლის ზედაპირზე. გემი ტაატით მიიწევდა გარდენიების მოტკბო სურნელსა და ეკვატორულ შენაკადებში ჩამპალ სალამანდრებს შორის, გვერდს უვლიდა ისტორიამდელ ხვლიკების ჩონჩხებსა და ღვთისგან მივიწყებულ კუნძულებს, სადაც სირინოზები სტუმრობდნენ მხოლოდ. ჩამავალ მზის შუქზე შორეთი ცეცხლის ალში გახვეულ დიდ, გამქრალ ქალაქებივით გიზგიზებდა. ამასობაში კი ნაპირს მომსკდარი მთელი სოფელი გაოცებული შესცქეროდა ეროვნულ დროშისფერებად გადაღებილ გემს, პრეზიდენტის კაიუტის ილუმინატორიდან მისალმების ნიშნად გამოშვერილი ხელი კი არავის დაუნახავს. სამაგიეროდ ის ხედავდა თავისი კაიუტიდან, დროშების ნაცვლად მალანგის ტოტებს რომ იქნევდა ხალხი ჰაერში. ზოგი მდინარეშიც კი შევიდა, ვინ თხას მოათრევდა, ვინ სპილოს ფეხივით ვებერთელა ნიამის ბოლქვებს, ვინ პრეზიდენტის საკადრის ქათმებით სავსე კალათას. იგი ყოველივე ამის შემხედვარე გულაჩუყებული ბუტბუტებდა ეკლესიასავით შუქმიმქრალ თავის კაიუტაში. კაპიტანო, შეხედეთ, როგორ მოგვდევენ, შეხედეთ, როგორ ვუყვარვარ ყველას. დეკემბერში, კარიბის ქვეყნებში გაზაფხულის დადგომისას, იგი თავისი კარეტით მიემართებოდა ციცაბო კლდის თავზე წამომართულ შენობისაკენ, სადაც მთელი საღამო დომინოს ეთამაშებოდა კონტინენტის სხვა ქვეყნების ყოფილ დიქტატორებს, სხვა სამშობლოების აწ დამხობილ მამებს, რომლებსაც უთვალავი წლის წინათ უბოძა თავშესაფარი. ისინიც მისი სტუმართმოყვარეობის ჩრდილქვეშ შეყუჟულნი ნელ-ნელა ნებდებოდნენ სიბერეს. ტერასებზე ჩარიგებულ სავარძლებში ჩაფლული ცოცხალი ლეშები თავს ინუგეშებდნენ, ერთ მშვენიერ დღეს ქიმერული ხომალდი უსათუოდ მოგვაკითხავს და კვლავ ხელისუფლებაში დაგვაბრუნებსო. ეს სახლი პრეზიდენტმა ზღვისპირა კლდის თავზე მაშინ ააგო, როცა სტუმრები მომრავლდნენ, თუმცა რა ერთი და რა ასი, მისთვის ყველა ერთი იყო. ერთ დღეს მაინც დილაუთენია ბევრი მოადგა სასახლეს. საპარადო მუნდირები სიჩქარეში პირდაპირ საშინაო პიჟამოებზე ჩაეცვათ, თან წამოეღოთ ხაზინიდან მოპარული ფული და ორდენებით, გაზეთებიდან ამონაჭრებითა და სურათებით გაძეძგილი ჩანთები. მასპინძელს პირველსავე აუდიენციაზე უჩვენებდნენ სურათებს, როგორც რწმუნების სიგელს. აი, ნახეთ, გენერალო, აქ ჯერ ისევ ლეიტენანტის ჩინი მაქვს. ეს სურათი პრეზიდენტად არჩევის დღეს გადამიღეს, ეს კი ჩემი პრეზიდენტობის მეთექვსმეტე წლისთავზეა გადაღებულიო. აი, ეს ნახეთ, გენერალო. მაგრამ გენერალმა მოსულებს პოლიტიკური თავშესაფარი ისე უბოძა, სულაც არ დაინტერესებულა არც მათი წარმომავლობით და არც მათი რწმუნების სიგელებით. ერთადერთი საბუთი, რომელსაც შეუძლია დამხობილი პრეზიდენტის პიროვნება დამიდასტუროს, გარდაცვალების ცნობა გახლავ-

თო, ამბობდა ის და გაბეზრებული ისმენდა მათ უაზრო ლაქლაქს, დროებით გესტუმრეთ, ჩემო გენერალო, სულ ცოტა ხნით, ვიდრე ჩემი ხალხი კვლავ მიხმობსო. მაგრამ მასპინძელმა მშვენივრად იცოდა, / ეს იყო პოლიტიკური თავშესაფრის მისაღებად საჭირო გაცვეთილი ფორმულა, რახარუხა სიტყვები და მეტი არაფერი. ყველა ერთხმად რატრატებს, პირველად მოსულიც და ბოლოს მოსულიც, დამნობილიც და დამამხობელიც, ამ უტვინოებს ლობიოს ჭამა ეგონათ პოლიტიკოსობა, ის კი არ იცოდნენ, თუ დაეცი, მორჩა, გათავებულია შენი საქმე, ახლა კი თავს იტყუებენ სულელური ილუზიებით. ახალმოსულებს პირველი ორი-სამი თვე თავის სასახლეში აბინავებდა და მანამ ეთამაშებოდა დომინოს, სანამ ბოლო სენტავოს არ წაგლეჯდა. ჯიბე რომ გამომიფხიკა, ჩემო ბატონო, მერე ზღვისკენ გაჭრილ ფანჯარასთან ხელკავით მიმიყვანა და გამიბა გულითადი საუბარი, ისაო, ეს ცხოვრება ხანმოკლეაო. ერთი ბოლო აქვსო, მაგრამ რაკი კაცის გული გაუმაძღარია, ხომ ხედავთ აგერ იმ დიდ სახლს ზედ კლდის თავზე, ტრანსატლანტიკურ გემს რომ ჰგავს მთის წვერზე შერჩენილს, იქაო თქვენ გელოდებათ ნათელი კაიუტა, გემრიელი კერძები და უამრავი თავისუფალი დრო, რათა თქვენსავით ბედკრულ ადამიანებთან ერთად დაისვენოთ მშვენიერ ტერასაზე, რომელიც პირდაპირ ზღვას გადაცქერისო. დეკემბერში, საღამოობით მასაც უყვარდა ტერასაზე გასვლა, მაგრამ ამ იმპოტენტებთან მაინცდამაინც დომინოს სათამაშოდ კი არა, უბრალოდ, სურდა ამ დამყაყებული, ბეხლეწი ადამიანების დანახვაზე განეცადა იდუმალი სიხარული და უპირატესობა იმის გამო, რომ თვითონ ერთ-ერთი ამათგანი არ იყო. ამიტომაც გადაწყვიტა, კვლავ ბოლომდე გამოეწურა ცხოვრება, ტკბილი ოცნებები სინამდვილედ ექცია და ცოდვილი სურვილები დაეკმაყოფილებინა, ამიტომაც ეძებდა დამყოლ მულატ ქალებს, დილაუთენია რომ იწყებდნენ ოთახების დაგვა-დალაგებას, ეძებდა და ადვილადაც პოულობდა თმის საცხისა და საერთო საძინებელი ოთახის საძაგელი სუნის წყალობით. ჩაუსაფრდებოდა რომელიმე მათგანს, სადმე კარს უკან მიიმწყვდევდა და ისე დაჩინჩლავდა, როგორც მამალი დედალს, თან სიბნელეში ესმოდა ქალის კრიახი, ეს რა ყოჩაღი ყოფილხართ, ჩემო გენერალო, ამ ხნისა და ასეთი ყოჩაღი, საკვირველია პირდაპირ. მაგრამ არც ეს წამიერი სიყვარული ამშვიდებდა, პირიქით, სევდით ევსებოდა გული და მის გასაქარვებლად სადღაც მოფარებულში მიყუჟული მღეროდა, იანვრის შუქმფინარე მთვარევ, შენს სარკმელთან, როგორც ეშაფოტზე, ვდგავარ სევდიანი. ისე სჯეროდა, ხალხს ვუყვარვარო, რომ გაზაფხულობით თავის ჰამაკს დედამისის ბენდისიონ ალვარადოს სახლის ეზოში ჰკიდებდა და ტამარინდების[1] ჩრდილში ატარებდა სიესტებს პირადი დაცვის გარეშე. ესიზმროდა საძინებელი ოთახის კედლებისფერ წყალში უთავბოლოდ მორიალე თევზები. სამშობლო ყველაზე კარგი გამოგონებაა, დედა, ოხრავდა იგი, თუმცა ნაკლებად ელოდებოდა მის პასუხს. დედა იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეეძლო პირში მიეხალა მისთვის, იღლიაში საძაგელი სუნი აგდისო. სიესტის მე-

---

1 ინდური ფინიკი.

რე იგი სასახლეში ბრუნდებოდა დამშვიდებული და მთელი ქვეყნის მიმართ კეთილად განწყობილი. ბრუნდებოდა კარიბული გაზაფხულისა და ბალბების სურნელით მთვრალი. ასეთ წუთებში იგი მზად იყო შერიგებოდა პაპის ნუნცს და ასეც აკეთებდა. ნუნციც საღამოობით არაოფიციალურად სტუმრობდა მას, ფინჯან შოკოლადსა და ნამცხვარს მირთმევდა, თან ცდილობდა სულიერი საუბრით კვლავ ქრისტეს სარწმუნოებისკენ მოექცია მასპინძელი, ის კი სიცილით კვდებოდა, თუ ასეთი ყოვლისშემძლეა ეგ თქვენი ღმერთი, თხოვეთ ჩემ მაგიერ, მომაშოროს ის ჭრიჭინა, ყურში რომ მყავს შემძვრალიო. მერე ცხრა ღილზე შეკრულ ხვანჯარსაც იხსნიდა, გადმოულაგებდა თავის უზარმაზარ თიაქარს და ეუბნებოდა, უთხარით თქვენს ღმერთს, ეს ქმნილება დამიჩუტოსო. მაგრამ პაპის ნუნცი თავისაზე იდგა, ამქვეყნად ყოველივე ღვთის ნებააო. ის კი კვლავ იცინოდა, ტყუილად ირჯებით, მამაო, ნეტავ რაღად უნდა მომაქციოთ, ისედაც იმას ვაკეთებ, რაც თქვენა გსურთ, და ასე სიცილ-სიცილსა და საუბარში ათენდებოდათ თავზე და მასპინძელიც კარამდე აცილებდა თავის სტუმარს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მის უშფოთველობას მოულოდნელად მოელო ბოლო და ეს მოხდა პარამოს[1] ერთ სოფელში, მამლების ბრძოლისას. ერთმა ღონიერმა, გაშმაგებულმა მამალმა ასევე გაშმაგებული და აზარტში შესული მაყურებლების თვალწინ თავის მეტოქეს თავი წააცალა და ვიდრე მთვრალი მუსიკოსები ტუშს აგრიალებდნენ გამარჯვებულის საპატივცემულოდ, იქამდე კორტნა, ვიდრე მთლად არ შემოეჭამა. პრეზიდენტს გულმა რეჩხი უყო, ნამდვილად მიმანიშნეს, შენც ასეთი დღე გელისო. ეს ისე აშკარად იგრძნო, რომ თავის მხლებელს ჩუმად უბრძანა, ბუკს რომ უბერავს, ის კაცი დაეპატიმრეთო. მუსიკოსს იარაღიც აღმოაჩნდა და იქამდე აწამეს, ვიდრე არ აღიარა, როცა ხალხი გასასვლელისკენ გაემართებოდა, დრო უნდა მეხელთა და პრეზიდენტი მომეკლაო. მაშინვე მივხვდი, თქვა პრეზიდენტმა, მივხვდი, ჩემთვის რომ უნდა ესროლა, ყველას თვალებში შევცქეროდი, ყველა თვალებში შემომცქეროდა, ეგ კი თვალებს ვერ მისწორებდა, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის, რა ეგონა მაგ საცოდავ რქიან რქაზე დამკვრელს, ვერ შევამჩნევდი თუ რა. მაგრამ პრეზიდენტი ძალიან კარგად ხვდებოდა, ამით რომ არ დამთავრდებოდა მისი შფოთი და შიში, სასახლეშიც კი ვერ გრძნობდა თავს მშვიდად და უშიშრად. ყველაფერი წესრიგშია, ჩემო გენერალო, არავითარი საფუძველი არ არსებობს შიშისაო, გულდაჯერებით არწმუნებდა უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი, მაგრამ პრეზიდენტს იმ ზომამდე აწვალებდა მამლების ბრძოლის დროს გაჩენილი წინათგრძნობა, რომ ცოტას გაწყდა, ადგილი არ გაუცვალა პატრისიო არაგონესს. თავის კერძს აჭმევდა, თაფლს თავისი კოვზით სთავაზობდა, თუ მოწამლულია, ბოლოს და ბოლოს ორივენი მოვკვდებით და ეგ იქნებაო, თავს იმშვიდებდა აფორიაქებული. ორივენი მდევარდადევნებულებივით დაბორიალობდნენ მივიწყებულ, ცარიელ ოთახებში, ცდილობდნენ მხოლოდ ხალიჩებზე ევლოთ, ვერავინ გაიგონოს ჩვენი ნაბიჯების, სპილოს ნაბიჯების ხმაო. ერთად დაცურავდნენ დარბაზებში ფანჯრებიდან შემოღვრილ მწვანე

---

1 ცივი, მაღალმთიანი მხარე სამხრ. ამერიკაში.

შუქში, რომელიც ყოველ ნახევარ წუთში ინთებოდა სადღაც შორს, უსასრულობაში. შუქთან ერთად ფანჯრებიდან აღწევდა დამწვარი ნავთლის კვამლი და მიძინებულ ზღვაში ღამეული გემების ნაღვლიანი ბუბუნი. უმაქნის, უძლურ საყვარლებივით სექტემბრის მომთენთავ დღეებს მერცხლების დათვლაში ატარებდნენ. მთელ ქვეყნიერებას მოწყენილ პრეზიდენტს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მისი ყოველგვარი ცდა, ერთდროულად ყოფილიყო ყველგან, აქაც და იქაც, ხალხში ეჭვს ბადებდა, არსებობს კი იგი საერთოდ, იქნებ სულაც ლეთარგიულ ძილშია ჩაძირულიო. და თუმცა პირადი დაცვა გაუძლიერეს, თუმცა სასახლეში აგრე იოლად ვერც ვერავინ შევიდოდა და ვერც ვერავინ გამოვიდოდა, ამბობდნენ, თითქოს ვილაცამ მაინც მოახერხა სასახლეში შეღწევა. მკვდარი ჩიტებით სავსე გალიები უნახავს, ძროხებიც უნახავს თურმე, პირდაპირ წმინდა ემბაზიდან სვამდნენ წყალს, უნახავს ვარდის ბუჩქებში მიძინებული კეთროვნები და ხეიბრები. რაკი ხალხში ხმა დაირხა, ჩვენი ხელისუფალი ზუსტად ისე მომკვდარა, როგორც დიდი ხნის წინათ ერთმა ნათელმხილველმა ამოუკითხა წყლიან თასში, ძილში გაიპარებიო, ქვეყანამ ისე განაბა სული, თითქოს შუადღის მერე კვლავ დილის მობრუნების მომსწრენი უნდა გამხდარიყვნენ, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, მაღალჩინოსნები არ ჩქარობენ მისი სიკვდილის გამოცხადებას, რადგან ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაერივნენო. ის კი თუმცა არად აგდებდა ამ ხმებს, მაინც გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაში სულ მალე რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო, უჯდა დომინოს დაუმთავრებელ პარტიას და საცოდავ გენერალ როდრიგო დე აგილარს ტვინს უბურღავდა შეკითხვებით, როგორ არის საქმეები, მეგობაროო, აგილარი კი პასუხობდა, ყველაფერი ჩვენს კონტროლს ექვემდებარება, ჩემო გენერალო, სამშობლოში სიმშვიდეაო, მაგრამ პრეზიდენტს წინათგრძნობა არ ასვენებდა, ავის მომასწავებელ ნიშნებს ხედავდა ნაკელით დანთებულ ნაღვლიან ცეცხლის ენებშიც კი. ძველ, ჩალუსკუმებულ ჭაში იხედებოდა, იქნებ მის ფსკერზე ამოვიკითხო ჩემი ბედ-იღბალიო, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს ხედავდა და გარბოდა დედასთან, ბენდისიონ ალვარადოსთან, რათა იქ, ეზოში ტამარინდების ჩრდილში სული მოეთქვა სიცხისაგან შეწუხებულს. დედამისი, ბებრუხანა, მაგრამ სულით ძლიერი ქალი, შვილის გვერდით იჯდა თავის ძველ სარწეველა სავარძელში და სიმინდს მუჭა-მუჭა უყრიდა აქოთქოთებულ ქათმებსა და ფარშავანგებს. თეთრ ჩალის სავარძელში ჩაფლული პრეზიდენტი მარაოთი ინიავებდა დასიცხულ სახეს და სევდიანი, მშიერი თვალებით შესცქეროდა ჯიშიან მულატ ქალებს, რომლებიც მოწიწებით სთავაზობდნენ შეფერადებულ ხილის წვენებს, მიირთვით, გაგრილდით, ჩემო გენერალო. ის კი შესცქეროდა მათ, ოხრავდა და ფიქრებში დედას შესჩიოდა, დედაჩემო ბენდისიონ ალვარადო რომ იცოდე რა უძლური ვარ ქვეყანას ველარ ვუვლი დავიღალე მინდა მოვშორდე აქაურობას ამ წვალებას მაგრამ სად წავიდე არ ვიცი. დედა ვერ ხვდებოდა შვილის ოხვრისა და ხვაშიადის ნამდვილ მიზეზს, ეგონა, ამ ქალების გამო ოხრავდა მისი შვილი, ის კი შეღამებულზე გულდამძიმებული ბრუნდებოდა სასახლეში, სამარქაფო კარით შედიოდა დერეფანში, იქიდან კი

2403
საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ფეხაკრეფით მიიპარებოდა თავის ოთახისკენ, თან ყარაულების ფეხის ხმას აყურადებდა. პატრონს მოჰკრავდნენ თუ არა თვალს, ყარაულები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ყველაფერი წესრიგშია, ჩემო გენერალო, სრული სიმშვიდეაო. მაგრამ მან იცოდა, [illegible] ყოველთვის, ახლაც ატყუებდნენ, იცოდა, არაფერი იყო [illegible] კრიზისულ დროში, სახელი და დიდება აღარაფრად ულირდა, განსაკუთრებით იმ ავბედითი მამლების ბრძოლის შემდეგ აღარ სურდა ხელისუფლობა. ღამით იატაკზე პირქვე დაგდებულს, უძილობისგან ილაჯგაწყვეტილს დოლების შორეული ბრაგაბრუგი და სტვირის ხმა ესმოდა. სადღაც ღარიბულ ქორწილზე მხიარულებას მისცემოდა ხალხი, მისი სიკვდილის დღესაც ალბათ ასე იმხიარულებენ. ესმოდა ღამის ორ საათზე კაპიტნის უნებართვოდ ზღვაში გასული რომელიღაც საეჭვო გემის ძილისპირულივით გუგუნი, ესმოდა, რა შარიშურით იშლებოდნენ ვარდის კოკრები განთიადის შესაგებებლად. ეს ყოველივე ესმოდა და ოფლად იღვრებოდა, სული ეხუთებოდა, რადგან პირველყოფილი ინსტინქტი წამითაც არ ასვენებდა, იმ საღამოს მოახლოებას უწინასწარმეტყველებდა, ერთხელ დედასთან სტუმრობის შემდეგ სასახლეში რომ ბრუნდებოდა და გზად ხალხის ბრბოს გადააწყდა. ფანჯრები ზოგან პირთამდე გაეღოთ, ზოგან ჩქარ-ჩქარა კეტავდნენ. ამ უჩვეულო გამოცოცხლებით შემკრთალი მერცხლები ერთმანეთს აწყდებოდნენ დეკემბრის გამქვირვალე ლურჯ ცაში. სასწრაფოდ გადასწია კარეტის ფარდა, რათა უკეთ დაენახა, რა ხდებოდა ქუჩებში. აი, რა მტანჯავდა, დედა, აი, რა არ მასვენებდა. რაღაცნაირი ველური შვება იგრძნო ფერადი ბუშტების დანახვაზე. წითელი, მწვანე, ყვითელი ბუშტები ბროლივით ბზინავდნენ დღის ოთხი საათის შუქიან ცაზე. ბუშტები დაფეთებულ მერცხლების გუნდს შეერივნენ და ყველა ერთბაშად დასკდა უხმაუროდ. დასკდა და ჰაერშიც ბზრიალ-ბზრიალით წამოვიდა ათასობით ფურცელი და ქალაქს დაეფინა ქარიშხლიან ამინდში ჩამოცვენილი ფოთლებივით. მეეტლემ დრო იხელთა და როგორც იქნა ბრბოს თავი დააღწია. არადა, არც არავის მიუქცევია ყურადღება ამ კარეტისთვის. ვერავინ იცნო პრეზიდენტის კარეტა. საამისოდ არავის ეცალა. უნდა გენახათ, ჩემო გენერალო, რა ზედახორა იდგა, ხალხი პირდაპირ ჰაერშივე იჭერდა საჰაერო ბუშტებიდან გამოცვენილ პროკლამაციებს. აივნებზე ხმამაღლა კითხულობდნენ, ქუჩებში კი გაჰყვიროდნენ, ძირს ტირანია, სიკვდილი ტირანს. გაუმარჯოს ყოველთა ერთობას საუკუნოვანი დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, კმარა სისხლი, კმარა ნგრევაო. სასახლეში დაბრუნებულს ცუდი ამბავი დაახვედრეს, გენერალი პატრისიო არაგონესი მოწამლული ისრით დაჭრეს და კვდებაო. ორიოდე წლის წინ ერთ ნაღვლიან საღამოს მან პატრისიო არაგონესს შესთავაზა, მოდი, ჩვენი სიცოცხლე კარასა და სელიოზე[1] გავათამაშოთ, თუ მონეტა კარაზე დაჯდება, შენ მოკვდები, თუ სელიოზე, მე. მაგრამ პატრისიო არაგონესმა შეახსენა, თქვენი პროფილი, ჩემო გენერალო, მონეტის ორივე მხარეს არის გამოსახული და რა აზრი აქვს კარა-სელიოსო. მაშინ დომინო ვითამაშოთ ნი-

1 იგივეა რაც «Орёл и решка».

ძლავზე, ოცი პარტიიდან ვინც მეტს მოიგებს, ცოცხალიც ის დარჩესო. თანახმა ვარ, ჩემო გენერალო, ოღონდ ერთი პირობით, უფლება მომეცით, მოგიგოთ. ეს უფლება პატრისიომ მიიღო და თამაშიც დაიწყო. გათამაშდა ერთი, ორი, ოცი პარტია და ოცივე პატრისიო არაგონესმა მოიგო სასტიკ, ხელჩართულ ბრძოლაში. თუ აქამდე პატრიარქს პარტიაზე აგებდა, ახლა, რაკიღა მოგების უფლება დართეს, ოცივე მოიგო. პატრისიო არაგონესმა სახეზე მომსკდარი ოფლი სახელოთი მოიწმინდა და ხვნეშით თქვა, ვწუხვარ, ჩემო გენერალო, რომ მოგიგეთ, მაგრამ რა ვქნა, სიკვდილი არ მინდა. მაშინ მან თავი მოუყარა დომინოს ქვებს, გულმოდგინედ ჩაალაგა ხის პატარა ყუთში და თითქოს გაკვეთილს ხსნისო, სკოლის მასწავლებელივით წამღერებით თქვა, არც მე მინდა, ჩემო პატრისიო, სიკვდილი, მით უმეტეს, დომინოს მაგიდაზე. სიკვდილმა იცის, როდის და სად მომაკითხოს. ჯერ კიდევ ჩემი ეპოქის დასაწყისში ერთმა ნათელმხილველმა აკი მიწინასწარმეტყველა, ძილში გაიპარებიო, და საერთოდაც, დედაჩემმა ბენდისიონ ალვარადომ იმიტომ კი არ გამაჩინა ამ ქვეყანაზე, რომ მთელი ცხოვრება იმაზე ვიჭყლიტო ტვინი, იმ ნათელმხილველმა ქალმა ნეტავ რა ამომიკითხა წყლით სავსე თასში-თქო, არამედ იმიტომ რომ ვმბრძანებლობდე. შენ კი კარგად დაიმახსოვრე, მე მე ვარ და არა შენ და ღმერთს მადლობა უთხარი, რომ ხუმრობით დაგენიძლავე. რა იცოდა მაშინ, რომ ეს სულაც არ იყო ხუმრობა, რომ სულ მალე მათ შორის ერთ-ერთს მართლა მოუწევდა სიკვდილი და აი, ეს დღეც დადგა, პატრისიო არაგონესი კვდებოდა. ოთახში შესვლისას პრეზიდენტი რომაელივით ხელაწევით მიესალმა თავის ორეულს, ღმერთი იყოს შენი შემწე, მაჩო,[1] დიდი პატივია სამშობლოსათვის სიკვდილი. ვიდრე მომაკვდავი აგონიაში იყო, არ მოშორებია მის საწოლს, საკუთარი ხელით ასმევდა საძაგელ წამლებს, პატრისიო არაგონესიც იფერებდა ამ პატივს, იოტისოდენა მადლიერებასაც არ ამჟღავნებდა. ერთხელაც, ის იყო გადაყლაპა კოვზით მიწოდებული წამალი, რომ მოხსნა გუდას პირი და რაც ჰქონდა სათქმელი, უკლებლივ გადმოალაგა. დიდი ხნით როდი გტოვებთ, ჩემო გენერალო, ამ ბინძურ ქვეყანაში, გული მეუბნება, მალე შევხვდებით ერთმანეთს იმქვეყნიურ ქვესკნელში, მე შხამით დაგრეხილ-დაკვანძული, თქვენ საკუთარი თავით ხელში. უკვე გხედავთ კიდეც, რა უხერხულად გიჭირავთ საკუთარი თავი, არ იცით სად წაიღოთ, სად მიიწებოთ. მაპატიეთ გულახდილობა, ჩემო გენერალო, მე ახლა სიკვდილის პირას ვარ და რასაც ვამბობ, სიმართლეს ვამბობ, არასოდეს მყვარებიხართ, ჩემო გენერალო. რატომღაც თქვენ ჩაიბეჭდეთ თავში, რომ მიყვარდით, არადა, ყოველთვის მძულდით. მძულდით იმ დღიდან, რა დღიდანაც დამაკარგვინეთ თავისუფლება. იმ დღიდან ყოველთვის ვნატრობდი თქვენს სიკვდილს, სულერთი იყო, როგორ მოკვდებოდით, უცბად თუ ტანჯვით, ოღონდ მომკვდარიყავით, ოღონდ თქვენი სიცოცხლე ჩემი დამახინჯებული სიცოცხლის სამსხვერპლოზე მიგეტანათ. რალას არ მიკეთებდნენ, თქვენ რომ სრულად დაგმსგავსებოდით, ხის ჩაქუჩს იქამდე მიბაგუნე-

1 მაჩო — ძლიერი, კაცური კაცი, ნამდვილი მამაკაცი.

ბღნენ ფეხის გულებზე, ვიდრე თქვენსავით ბრტყელტერფაც არ გამხადეს, ვიდრე თქვენსავით მთვარეულივით სიარულს არ მიმაჩვიეს, საკვერცხეები სადგისით გამიხვრიტეს, თქვენსავით თიაქარი რომ ჩამომსიებოდა. მაიძულეს სკიპიდარი დამელია, რათა მარტო წერა-კითხვა კი არა, თუ რამ ვიცოდი, ყველაფერი დამვიწყნოდა და თქვენსავით ბნელი და უვიცი გავმხდარიყავი. საცოდავმა დედაჩემმა კი რა არ ილონა, ჩემთვის განათლება რომ მოეცა. პირადად თქვენ მაიძულებდით შემესრულებინა თქვენი ოფიციალური მოვალეობები არა იმიტომ, რომ არ გეცალათ და სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქვეყნო საქმეები გქონდათ გასაკეთებელი, როგორც გჩვეოდათ ხოლმე თქმა, არამედ იმიტომ, რომ გეშინოდათ ქუჩაში გასვლა. ისე, კაცმა რომ თქვას, ყველაზე გულოვან ვაჟკაცსაც შეეშინდებოდა, მისთვის რომ სილამაზის კონკურსზე წასვლა და რომელიმე გამარჯვებული ბოზისთვის თავზე დედოფლის გვირგვინის დადგმა დაევალებინათ. მე კი მივდიოდი, თუმცა ყოველ კუთხე-კუნჭულში სიკვდილი იყო ჩასაფრებული. სმენად ქცეული პრეზიდენტი მოწოლილ რისხვას ძლივს იკავებდა, პატრისიო არაგონესის თავხედობასა და უტიფრობაზე მეტად მისი უმადურობა აცოფებდა. და ამას შენ მეუბნები, შენ, ვისაც აქ მეფესავით გაცხოვრებდი, ვისაც ყველაფერი მოგეცი, საკუთარი ქალებიც კი დაგითმე. მოეშვით ამ ქალებზე ლაპარაკს, ჩემო გენერალო, სჯობს საერთოდ არ გქონდეს კაცობა, ვიდრე ამ საცოდავ ქალებს ეძგერო და დასადალავი პირუტყვივით წამოაქციო. პირუტყვი ხტის და ზმუის მაინცა, ესენი კი ვითომც არაფერიო, მოგიშვერენ გაძვალტყავებულ უკანალს, თან კარტოფილს ფცქვნიან ან მეზობელ ქალს გასძახიან, ცეცხლზე ბრინჯის ფაფა მიდგას და ვიდრე ამ საქმეს მოვათავებდე, მიმიხედე, არ მიმეწვასო. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამას სიყვარული დაარქვათ. თქვენ რა იცით, რა არის სიყვარული. მაშინ კი მართლა გაცეცხლდა პრეზიდენტი. გაჩუმდი, თორემ არ ვიცი რას გიზამ. ვერაფერსაც ვერ მიზამთ, ჩემო გენერალო. მომკლავთ, მე ხომ უკვე მომკლეს. სჯობს დაფიქრდეთ და სიმართლეს თვალებში შეხედოთ, გაიგოთ ის, რასაც ყველა ფიქრობს, თქმით კი მხოლოდ იმას გეუბნებიან, რისი მოსმენაც თქვენა გსურთ, პირში გელაქუცებიან, ზურგში კი ტყვიას გიმიზნებენ. მადლობა მე უნდა მითხრათ სიმართლის თქმისთვის, ჩემო გენერალო, ერთადერთი კაცი ვარ, ვისაც თქვენ ებრალებით. არც არის გასაკვირი, მე ხომ თქვენი ორეული ვარ, თქვენი ალი და კვალი, ამიტომ მოვალეც ვარ წვრილად მოგახსენოთ ყველაფერი, რასაც მთელი ქვეყანა ლაპარაკობს. ეგ არ არისო კანონიერი პრეზიდენტი, ეგა ინგლისელებმა დასვეს პრეზიდენტის სავარძელშიო, მერე გრინგოებიც წაეხმარნენ თავიანთი ჯავშნოსნებიდან შიგადაშიგ გამოტყორცნილ კვერცხებითო. მე ხომ ვხედავდი, შიშით თავგზაარეულ ხოჭოსავით როგორ წრიალებდით, როგორ ეხეთქებოდით აქეთ-იქით. ერთხელაც გრინგოებმა შემოგითვალეს, მივდივართ, გტოვებთ ამ შენს ბინძურ ბორდელში, ვნახავთ, უჩვენოდ რისი გამკეთებელი ხარო. და თუ მაშინ არ გადმობრძანდით მაგ სავარძლიდან და არც ახლა აპირებთ გადმობრძანებას, იმიტომ კი არა, რომ არ გინდათ, ძალიანაც კარგად გინდათ, მაგრამ გეშინიათ, იცით, ქუჩაში რომ გამოჩნდეთ ჩვეულებრივი

მოკვდავივით, ადამიანები ძაღლებივით დაგესევიან და დაგგლეჯენ სანტა მარია დელ ალტარში გამართულ ხოცვა-ჟლეტისთვის, პატიმრები, ცოცხლები რომ ჩაუყარეთ ნიანგებს წყლით სავსე ორმოში, იმისათვის, ადამიანებს ცოცხლად რომ გააძვრეთ ტყავი და მერე ამ უბედურთა ოჯახებს გაუგზავნეთ, აქაოდა, ვინც ჭკუით არ იქნება, ყველას ასე მოუვალ, იმისათვის. პატრისიო არაგონესმა დაგუბებულ ბოლმას გზა მისცა, მოგონებათა უძირო ჭიდან ქაჩა და ქაჩა საზარელი ამბების კრიალოსანი და ისე მარცვლავდა, თითქოს სათითაოდ აღუვლენდა ლოცვას კაციჭამია რეჟიმის მსხვერპლთ. უცებ გაჩუმდა, ძლიერმა ტკივილმა შეურყია გულ-მუცელი, გულისცემა თითქოს შეუჩერდაო, მაგრამ მალე დაუბრუნდა ცნობიერება. ჩემო გენერალო, ნუ გაუშვებთ ამ შანსს ხელიდან, მოკვდით ჩემთან ერთად, თქვენთვის ახლა ყველაზე დიდი ხსნა სიკვდილია, მე ხომ ვიცი, მე ხომ თქვენა ვარ, თუმცა ღმერთია მოწამე, არც არასოდეს მინატრია, პატარა სურვილიც არ მქონია დიდების მოხვეჭისა, გმირად გახდომისა, მოხდა კი პირიქით, მე ხომ ვიცი, რა ცხოვრებაც გაქვთ, ჩემი ცხოვრება კიდევ რაღაცას ჰგავს, მთლად არ წავმხდარვარ, რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, სულის სიღრმეში მე მაინც იმ უბრალო მინის მბერავად დავრჩი, თავის მამასთან ერთად ბოთლებს რომ აკეთებდა. ნუ გეშინიათ, ჩემო გენერალო, სიკვდილი არც ისე ძნელი ყოფილა, როგორც ამბობენ. პატრისიო არაგონესმა ეს სიტყვები ისე დამაჯერებლად, ისე გულახდილად წარმოთქვა, პრეზიდენტი არც გაბრაზებულა, არც შედავებია, კვლავ მასთან დარჩა, სიკვდილის კლანჭებში მბორგავს ხელს აშველებდა, საწოლიდან არ გადმოვარდესო. უცებ ტკივილისა და სირცხვილისაგან აბღავლებულმა პატრისიო არაგონესმა ორივე ხელი წაივლო მუცელზე, ღმერთო ჩემო, ჩემო გენერალო, ჩავ... ვი. პრეზიდენტმა გაიფიქრა, ალბათ გადაკრულად მიმანიშნებს, სიკვდილის წინაშე შიშს ვაღიარებო, მაგრამ პატრისიო არაგონესი თითქოს მიუხვდაო, შებღავლა, გადაკრულად კი არა, მართლა ჩავ...ვიო. მაშინ კი შეუძახა პრეზიდენტმა, გემუდარები, მაგას ნუ იზამ, ცოტაც მოითმინე, სამშობლოს გენერლები ასე არ კვდებიანო, მაგრამ უკვე გვიან იყო. პატრიოტული გრძნობებისგან და კუჭისგანაც დაცლილი არაგონესი საკუთარ ცრემლსა და განავალში ამოქვარქნილი უსულოდ დაასკდა იატაკს. პრეზიდენტმა იქვე, სხდომათა დარბაზის გვერდით ოთახში, საკუთარი ხელით განბანა მიცვალებული, ლამის მთელი საპონი შეალია, რათა ჩამოერეცხა მისთვის სამარცხვინო სიკვდილის სუნი. ტანსაცმელი გაიძრო და მიცვალებულს ჩააცვა, ბანდაჟი, ჩექმა და მარცხენა ქუსლზე ოქროს დეზის მიმაგრებაც არ დავიწყნია. თავად დედიშობილა დარჩენილს მწუხარება აღბეჭდვოდა სახეზე. ამიერიდან სრული მარტოობა ელოდა, მასავით მარტოსული აღარავინ ეგულებოდა მთელს ქვეყანაზე. ეს კია, დაბნევით არ დაბნეულა, საგულდაგულოდ მიასუფთავა იქაურობა, თან ცდილობდა გაეხსენებინა შორეულ წარსულში მისთვის ნაწინასწარმეტყველევი სიკვდილის ყოველი წვრილმანი, რათა იმის მიხედვით დაეწვინა მიცვალებული. სიკვდილი დაძინებულს გეწვევაო, უნიშნო უნიფორმა გეცმევაო, პირქვე დაწოლილს ხელი ბალიშივით გექნებაო სახის ქვეშ დადებულიო, ერთი სიტყვით, დამლაგებელი ქალი რომ შემოვა და მიცვალებულს დახედავს, იტყვის, ჩვენი პრეზიდენტი ძილში გაპა-

რულა, როგორც მკითხავმა უთხრაო. რაკი მან ადრეც, წლების წინათაც გაითამაშა სიკვდილი, რეჟიმის მემკვიდრეებს ამჯერადაც არ გაუხმაურებიათ მაშინვე ეს სამწუხარო ამბავი, რაღაცას ელოდებოდნენ, რაღაცას საიდუმლოდ იძიებდნენ, ერთი-ორჯერ ისიც კი თქვეს, არ მომკვდარაო და ამის დასტურად დედამისს, ბენდისიონ ალვარადოს პირდაპირ სავაჭრო ცენტრში უხმეს, აქაოდა, ხომ ხედავთ, ხალხნო, დედამისს შავები არ აცვია, მაშასადამე, პრეზიდენტი ცოცხალიაო. ტიკინასავით ჭრელაჭრულებში გამომაწყვეს, სენიორ, ძალით მაყიდვინეს თუთიყუშის ფრთებით გაწყობილი ქუდი და ძალითვე დამაკოსეს თავზე, ყველამ დაინახოს, რა ბედნიერი ხართო. მე მათ ვეუბნები, რა დროს მაღაზიებში სირბილია, ის მიცვალებული მართლა ჩემი შვილია და მატირეთ-მეთქი, მაგრამ რას ამბობთო, აბა, გაიღიმეთო და მიღებდნენ და მიღებდნენ სურათებს, თანაც სამხედროები მარწმუნებდნენ, სამშობლოს ასე სჭირდებაო. ამ დროს კი თავად ის დედიშობილა იჯდა თავის სამალავში და უკვირდა, ჩემი სიკვდილის მერე რატომ არაფერი შეიცვალა ქვეყანაზეო. ვითომ არც მოვმკვდარვარ. მზე ისევ ამოდის და ისევ ჩადის ძველებურადო. კვირა რატომ არის ისევ კვირა იქნებ შენ მითხრა დედა რატომ ცხელა ისევე როგორც ჩემს სიცოცხლეში ცხელოდაო. ასეთ საგონებელში იყო ჩავარდნილი, რომ უცებ პორტის ციხესიმაგრიდან ქვემეხის გასროლამ შეარხია ჰაერი, მას მოჰყვა ეკლესიის ზარების სამგლოვიარო გუგუნი და მალე სასახლესაც მიაწყდა ბრბო, რომელიც ამ იშვიათ, საგანგებო ამბავს ერთიანად გამოეფხიზლებინა საუკუნოვანი მარაზმული ძილიდან. მან ოდნავ გამოაღო თავისი სამალავის კარი და დაინახა სხდომათა დარბაზში დასვენებული ანთებულ სანთლებში ჩაფლული საკუთარი გვამი. საცოდავი ისე მოერთოთ და მოეკაზმათ, ნებისმიერი ქრისტიანი პაპი რომ ინატრებდა. სადღა იყო მამაცი სამხედრო ჩინოსანი. შესცქეროდა მიცვალებულის პუდრშეფრქვეულ სახეს, შეღებილ ტუჩებს, მედლებითა და ორდენებით დაჯავშნულ მკერდზე დასვენებულ ნებიერი ქალიშვილის სიფრიფანა ხელებს, ქვეყნიერების უპირველესი გენერლისათვის საგანგებოდ შეკერილ მუნდირს, მის სამხრეებზე აბჭყვიალებულ ათობით მზეს, იქვე დასვენებულ ხმალს, ბანქოს მეფის ხმალივით უმაქნისსა და უბადრუკს და ლამის გული გასკდომოდა სირცხვილისა და სიბრაზისგან. სწორედ ეს ხმალი ამცრობდა და სიდიადეს უკარგავდა მისი უსაზღვრო ძალაუფლების ყველა სიმბოლოს და აფერმკრთალებდა სამგლოვიარო ცერემონიალს, მისთვის მიგებულ მხედრულ პატივს. არადა, ეს ხმალი სწორედაც რომ შეეფერებოდა კუბომი მწოლარე ჩვეულებრივი ზომა-წონის, ქალივით ნაზ მიცვალებულს. ღმერთმა დასწყევლოს, ნუთუ ეს მე ვარ, ამბობდა გაცოფებული და უწყვეტ ნაკადად მომწყდარ და მის კუბოსთან აჩოჩქოლებულ ხალხს თვალს არ აშორებდა. სულ რაღაც ერთი წამით დაივიწყა, რომ ეს ყველაფერი ბნელი ზრახვებით ნაკარნახევი ფარსი იყო და შეურაცხყოფილად, დამცირებულად იგრძნო თავი სიკვდილის დაუნდობლობის გამო, სიკვდილის მიერ ხელისუფალის არად ჩაგდების გამო. მან დაინახა ცხოვრება უმისოდ და გული სიბრალულით აევსო, ამ უმწეო ხალხმა ჩემი სახით კარგი პატრონი დაკარგაო. დაინახა ისინიც, ვინც,

ეტყობოდათ, მხოლოდ იმის დასაზუსტებლად მოსულიყვნენ, მართლა ის იყო მკვდარი თუ სხვა. მან დაინახა ფედერალური ომების მონაწილე ბერიკაცი, რომელიც კუბოსთან შედგა და მხედრულად გაიჯგიმა, დაინახა შავსამკლავურიანი კაცი, რომელმაც ბეჭედზე აკოცა მიცვალებულს, ერთმა მოსწავლე გოგონამ კი კუბოზე მოწიწებით [illegible] ყვავილი. ეს ადამიანები მან განსაკუთრებულად ჩაიბეჭდა გონებაში. განსაკუთრებულად დაიმახსოვრა თევზით მოვაჭრე ქალიც, რომელმაც თევზით სავსე კალათი იატაკზე დადგა და გათხაპნილ მიცვალებულს აქვითინებული ისე ჩაეფსკვნა, ძლივს ააგლიჯეს. ღმერთო, რაღა გვეშველება ახლა, ის მოკვდა, ისაა მკვდარი. ისაა მკვდარიო, ამის გაგონებაზე ხალხი აფუსფუსდა, აჩურჩულდა, მართლა ის მომკვდარა, ამჯერად არ მოვუტეუებივართო, მალე ჩურჩული ხმამაღალ გადაძახილში გადაიზარდა და დე არმას მოედანზე ატორტმანებული ხალხის ყურთასმენას მისწვდა. ახლა იქაც აღრიალდა ბრბო, მართლა ის მომკვდარაო, და უცებ შეწყდა ზარების სამგლოვიარო გუგუნი და მის ნაცვლად, ხარება დღისა და წმ. ოთხშაბათის მსგავსად, დაუფარავი სიხარულით აწკრიალდნენ ყველა ტაძრისა თუ ეკლესიის ზარები. ატკაცუნდნენ საალდგომო პეტარდები, ცა შუშხუნებით მოიფინა და თავისუფლების მაუწყებელი დოლებიც აბრაგუნდნენ. მან დაინახა, როგორ შეცვივდნენ სასახლეში დაცვის უმოქმედობით წაქეზებული მეამბოხეები, ხელკეტებით როგორ გაყარეს კუბოსთან შეჭუჩებული ხალხი, იატაკზე როგორ მოისროლეს თევზით მოვაჭრე ქალი. დაინახა, როგორ მიცვივდნენ მიცვალებულს, რვა კაცმა როგორ გამოსტაცა იგი უკვდავებისა და ყვავილთა მარადიულ საუფლოს, ფეხებში წაავლეს ხელი და ასე ჩაათრიეს კიბეზე. დანარჩენებმა დრო იხელთეს და დაერივნენ იქაურობას, ანგრევდნენ ყველაფერს, რისი დანგრევაც შეიძლებოდა სიმდიდრითა და უბედურებით სავსე ამ სამოთხეში. ანგრევდნენ ქვის ფილებით მოპირკეთებულ დორიულ კაპიტელებს, ანაკუწებდნენ ხავერდის ფარდებს, გობელენებს, რომლებზეც გამოსახული იყვნენ უიმედობის გონდოლებში მთვლემარე, მიბნედილი ქალები, ეპისკოპოსთა და შორეული წარსულის სამხედრო ჩინოსანთა უზარმაზარ პორტრეტებს, ფშვნიდნენ ალებასტრის პალმის ტოტებით მოგვირგვინებულ ბაბილონურ სვეტებს, ფანჯრებიდან გადაყარეს გალიები ჩიტებიანად, ვიცე-ხელმწიფის ტახტი, როიალი, ერთი სიტყვით, ისეთი სიშმაგით დაერივნენ იქაურობას, თითქოს სურდათ სამარადჟამოდ გაესწორებინათ მიწასთან იარაღიანი ხალხის ეს საძულველი ბუნაგი და გაესწორებინათ ისე, რომ მომავალ თაობებს ვერასოდეს გაეგოთ, რა დაწყევლილი ფესვებიდანაც იყვნენ წარმოშობილნი. იგი სასწრაფოდ მივარდა ფანჯარას, ახლა იქიდან სურდა დაენახა, რა ხდებოდა ჟალუზებს მიღმა ქუჩაში. ო დედაჩემო ერთ წამში მე უფრო მეტი უმადურება და სივერაგე დავინახე ვიდრე მთელი ცხოვრება ვხედავდი ლამის გაჩენის დღიდან რის გამოც ბევრჯერ სდენიათ ცრემლი ჩემს თვალებს. მან დაინახა, რა გახარებული ტოვებდნენ სასახლეს მისი დაქვრივებული ქალები, როგორ მიდენიდნენ მისი ფერმის ძროხებს, მიათრევდნენ სახაზინო ავეჯს. ო, დედაჩემო, შენი სკებიდან ამოღებული თაფლით სავსე ქილებიც არ დავიწყნიათ. მან დაინახა, რა მხიარულად

ურახუნებდნენ მისი უდღეური შვილები ქვაბების თავსახურებს, აწკ-
რიალებდნენ ბროლის ჭურჭელს და ეკლესიების სატრაპეზო სუფრის
დანა-ჩანგალს, თან ხმამაღლა გაჰყვიროდნენ, მამაჩემი მოკვდა, გაუ-
მარჯოს თავისუფლებასო. მან დაინახა, როგორ წვავდნენ მის სურათ-
ებსა და ლითოგრაფიებს დე არმას მოედანზე გაჩაღებულ კოცონზე. მან
დაინახა, როგორ მიათრევდნენ მის სხეულს, გზადაგზა ნაკვალევივით
როგორ რჩებოდა ეპოლეტები, ჰუსარული დოლომანის ღილები, ოქრო-
მკედით მოსირმული მუნდირის ნაკუწები, ბანქოს ხმლის ფოჩები და
ქვეყნიერების მეუფის აწ უკვე მტვერში ამოგანგლული, დაბინდული
ათივე მზე. შეხედე ერთი, დედა, რას მიშვებიან, ბუტბუტებდა იგი და
ისე იგრისებოდა, თითქოს საკუთრივ მის სხეულს ეპყრობოდნენ ასე
უდიერად, თითქოს პირადად მას აფურთხებდნენ სახეში და აივნებიდანაც
პირადად მას ასხამდნენ თავზე ავადმყოფთა ღამის ქოთნების სიბინძუ-
რეს. უცებ შიშმა აიტანა, ხომ შეიძლება ამკუწონ და ჩემი სიკვდილის
საკარნავალო პიროტექნიკის გრიალში ძაღლებსა და ორბებს მიმაგდონ
საჯიჯგნადო. როცა ირგვლივ ყოველივე მიწყნარდა, როცა ამ კატაკ-
ლიზმმა გადაიარა, თავის სამალავში გამოკეტილს კარგა ხანს ესმოდა
შორიდან მოღწეული მუსიკის ხმები, თუმცა კი ამინდი უქარო იდგა. სა-
მალავში ადგილს ველარ პოულობდა, აქეთ-იქით ეხლებოდა, მოსკიტებს
ხელისგულით სრესდა, მაგრამ იმ აბეზარ კუტკალიას კი მის ყურებში
რომ დაედო ბინა და არ ასვენებდა, ვერაფერს უხერხებდა. კვლავ ფან-
ჯარაში გაიხედა, ჰორიზონტს ცეცხლი ეკიდა. შუქურას მწვანე შუქი
ყოველ ნახევარ წუთში ატანდა ჟალუზებში და იქაურობას ვეფხვის ტყა-
ვივით ხატავდა. მის ყურთასმენას მისწვდა ბუნებრივი, ჩვეული სუნ-
თქვა ყოველდღიურობისა და რაკიღა მისი სიკვდილი აღარ წარმოადგენ-
და გამორჩეულ, განსაკუთრებულ შემთხვევას, ცხოვრებაც ნელ-ნელა
უბრუნდებოდა თავის კალაპოტს. მისი სიკვდილი ჩვეულებრივ სიკვდი-
ლად იქცა, გაფერმკრთალდა და წარსულის ათასობით უჩინო მოკვდავ-
თა სიკვდილს დაემსგავსა, რეალობის მარადიული ქარბორბალა მას
ყოვლისმიტევებისა და დავიწყების მიწისკენ, არავის მიწისკენ მიაქანე-
ბდა. მაშინ კი შეუძახა სიკვდილს, ჯანდაბას შენი თავი, ფეხები არ
მომჭამო ერთბაშად, და სამალავიდანაც გამოვიდა, ჩემმა საათმა ჩამო-
რეკა, დროა გამოვჩნდეო. ფეხების ფლატუნით გაიარა აოხრებული,
ბინდბუნდში ჩაძირული, მომაკვდავ ყვავილთა და ჩამოღვენთილი სანთ-
ლების სუნით გაჟღენთილი დარბაზები. მოჩვენებას ჰგავდა წარსულის
ნანგრევებში მობორიალეს. მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზის
კარი შეაღო. დარბაზი ერთიანად გაებურა კვამლს. იმ მხრიდან, სადაც
კაკლის ხის მაგიდა იდგა, ჩახრინწული ხმები ისმოდა. კვამლის ბადეში
ძლივს გაარჩია სახეები, მაგიდას სწორედ ისინი უსხდნენ, ვისაც ელოდა.
აქ იყვნენ ლიბერალები, რომლებმაც გაიგდეს ფედერალური ომი, იყ-
ვნენ კონსერვატორები, რომლებმაც იყიდეს ეს ომი. მაგიდას უსხდნენ
არქიეპისკოპოსი, ელჩი შნოტნერი, რამდენიმე გენერალი და სამიც მი-
ნისტრი. ძალიანაც კარგი, ყველანი ერთდროულად გაებნენ მახეში. შე-
ვკავშირდეთო, მოუწოდებდნენ ერთმანეთს, გავერთიანდეთ საუკუნო-
ვანი დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიო, თან დროსაც არ კარგავ-
დნენ დაეტაცებინათ და გაენაწილებინათ მისი ქონება და ისე იყვნენ

გართული ამ საქმით, რომ ვერავინ შეამჩნია მკვდრეთით აღმდგარი პრეზიდენტი. მაშინ მან მხოლოდ ერთხელ დაჰკრა ხელი მაგიდას და შესძახა, ასე ხომ. ამის თქმა და სულ რაღაც ერთ წამში დარბაზში მხოლოდ სიგარეტის ნამწვავებით სავსე საფერფლეები, ყავის ფინჯნები და იატაკზე უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი სკამები დარჩა და — კიდევ, მისი მეგობარი გენერალი როდრიგო დე აგილარი. საველე ფორმიანმა ტანჩია გენერალმა აუღელვებლად გაფანტა კვამლი ერთადერთი ხელით, რათა ენიშნებინა თავისი პატრონისათვის, იატაკზე დაწექით, ახლა ატყდება თუ ატყდება ბათქაბუთქი. ძლივს მოასწრეს იატაკზე დაწოლა, რომ სასახლის წინ შრაპნელების სასიკვდილო როკვაც დაიწყო. დაიწყო სისხლიანი ზეიმი გვარდიელებისა, რომლებიც განსაკუთრებული მონდომებით ასრულებდნენ პატრონის დავალებას, ტყვიამფრქვევის ჯერით მოცელეს ისინი, ვინც მთავარი კარიდან ცდილობდა გაქცევას, ჩიტებივით ჰაერშივე დახოცეს ისინი, ვინც ფანჯრებიდან ხტებოდა, ხოლო ვინც მოახერხა და ახლომახლო სახლებს შეაფარა თავი, ფოსფოროვანი ყუმბარებით აიძულეს, გარეთ გამოღოღებულიყვნენ. დაჭრილებს თავი მოუყარეს და რაკი პრეზიდენტმა ბრძანა, დასჯასა და სიკვდილს გადარჩენილებს სამშობლოს მოღალატის სამარცხვინო სახელიც ეყოფათ მთელი ცხოვრება სატანჯველადო, გვარდიელებმა ცოცხლები გაუშვეს. გენერალ როდრიგო დე აგილარის შორიახლოს იატაკზე პირქვე გაწოლილ პრეზიდენტს ყოველ აფეთქებაზე შუშის ნამსხვრევები და ჭერიდან ჩამოცვენილი ბათქაში ეყრებოდა ზურგზე. ესეც ასე, მეგობარო, მლოცველივით ბუტბუტებდა იატაკს გაკრული ხელისუფალი, ესეც ასე ამიერიდან მხოლოდ მე ვიუფროსებ ვერცერთი ძაღლი ველარ შემომბედავს შემოყეფებას ხვალ დილით შევამოწმებ რა გადაურჩა ამ ბათქაბუთქს სკამები თუ დაიმტვრა არა უშავს უბრალოს ვიყიდით იაფფასიანს ჭილოფსაც ვიყიდით და კედელზე ხვრელებს ავაფარებთ თეფშებს და კოვზებს ყაზარმებიდან წამოვიღებთ ჯარისკაცებს და ოფიცრებს გავყრი არ მჭირდებიან მაგათ მარტო რძე დაალევინე მეტი არაფერი უნდათ პატივისცემა ვერ შეიშვნეს ჩასაფრებულები არიან როდის გამოგდონ კვანტი მარტო გვარდიას დავიტოვებ იქ პატიოსანი გულადი ბიჭები არიან მინისტრთა საბჭოსაც დავშლი ვის რა ჯანდაბად უნდა ამდენი მინისტრი ერთი კარგი ჯანმრთელობის მინისტრიც კმარა. და ერთიც ისეთი კაცი გვინდა ლამაზად წერა რომ ეხერხება ვინ იცის რისი ჩაწერა მოგვიწევს ყაზარმებსა და სამინისტროებს საცხოვრებელ ბინებად გამოვიყენებთ ფულს ავიღებთ სასახლის აღდგენას მოვახმართ ახლა ფული უფრო გვჭირდება ვიდრე ხალხი ორი მოახლე გვეყოფა ერთი საჭმელზე და დალაგებაზე იზრუნებს მეორე გარეცხავს და დააუთოებს პირადად მე ძროხებსა და ქათმებს მოვუვლი მორჩა ველარც ბოზები ირბენენ ჯარისკაცების ფეხსალაგებში კეთროვნებსაც მეტისმეტად გაუტკბათ ვარდის ბუჩქებში ძილი არც ყოვლის მცოდნე მეცნიერები მჭირდება და არც ყოვლის დამნახავი პოლიტიკოსები ბოლოს და ბოლოს ეს არის პრეზიდენტის სასახლე და არა ბინძური ბორდელი როგორც გრინგოებს უთქვამთ თურმე თუ დავუჯერებთ პატრისიო არაგონესს საქმეს ერთიც გავართმევ თავს არავინ მჭირდება თუნდაც კო-

მეტის მეორედ გამოჩენამდე და მეათემდეც რადგან სიკვდილს აღარ ვაპირებ თუ ძალიან უნდათ თვითონ მოკვდნენ. თიდქოს ძლდაგად დავარდაო, ხმამაღლა და სხაპასხუპით ლაპარაკობდა. ომის დროიდან შემორჩა ჩვევად ხმამაღლა ფიქრი, საკუთარ შიშს აფრთხობდა. ამ წუთშიც ისე ხმამაღლა ფიქრობდა, არც ესმოდა აფეთქებათა ხმები, თუმცა სასახლე კი ზანზარებდა. მეორე დღის გეგმას აწყობდა, მომავალი ასწლეულის ერთ საღამოს რა უნდა გაეკეთებინა, იმასაც გეგმავდა. ქუჩაში საკონტროლო გასროლა რომ გაისმა, გენერალი როდრიგო დე აგილარი ფანჯარასთან მიხოხდა, წამოიწია და ვიღაცას უბრძანა, ნაგვის ფორნებით გაიტანეთ გვამები, დარბაზიდან გასვლისას კი მობრუნდა, ღამე მშვიდობისა, გენერალო. ღამე მშვიდობისა, მეგობარო, უპასუხა მანაც, დიდი მადლობა, და პირქვე დაწოლილი დარჩა მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზის შავი მარმარილოს იატაკზე. მოხრილი მარჯვენა ხელი თავქვეშ ბალიშივით დაიდო, სახე შიგ ჩარგო და სულ რაღაც ერთ წამში ჩაეძინა ახლა უფრო მეტად მარტოსულს, ვიდრე ოდესმე. ნანინასავით ჩაესმოდა თავისი საწყალობელი შემოდგომის გაყვითლებული ფოთლების შრიალი. შემოდგომა კი სწორედ იმ ხოცვა-ჟლეტის ღამემ მოუტანა ოხშივარადენილ სისხლის გუბეებში მეწამულისფრად აალებულ მთვარეებთან ერთად. მეორე დღის გეგმა ჩაეფუშა, გასაკეთებელი აღარაფერი იყო, ჯარმა თვითონ შეწყვიტა არსებობა, ჯარისკაცები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, ერთი მუჭა ოფიცრობა კი, დედაქალაქისა და ქვეყნის სხვა ექვს ყაზარმაში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე რომ იბრძოდა, პრეზიდენტის გვარდიელებმა მოხალისე მოქალაქეების დახმარებით ერთიანად ამოწყვიტეს. ცოცხლად დარჩენილმა მინისტრებმა საზღვარგარეთ გაქცევით უშველეს თავს. მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დარჩა, მისი პირადი ექიმი და კიდევ ერთი კაცი, რომელიც ცნობილი იყო თავისი ლამაზი კალიგრაფიით. პრეზიდენტს არცერთი სახელმწიფოსთვის არ მიუმართავს ინვესტიციების თხოვნით, რადგან არაფერი ჰქონდათ შესაძენი და საყიდელი. მოულოდნელად გამოჩენილმა კეთილისმყოფელებმა სახელმწიფო ხაზინას აუარება ოქროს საქორწილო ბეჭედი და სამკაული ჩააბარეს. იაფფასიანი ტყავის სკამების ყიდვამ აღარ მოუწიათ, არც ჭილოფები უყიდიათ თავისმომჭრელი დაკრძალვის დღეს გამონგრეულ კედლებზე ასაფარებლად, კარგა ხნით ადრე, ვიდრე ქვეყანა საბოლოოდ და სრულიად დამშვიდდებოდა, ვიდრე ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგებოდა, სასახლე აღდგენილი იქნა. იგი უფრო დიდებული და თვალისმომჭრელი სანახავი გახდა, გალიებში კვლავ აჟივჟივდნენ ჩიტები, გუაკამაიურ თუთიყუშებს თვლა არ ჰქონდა, სამეფო თუთიყუშები გაუთავებლად მღეროდნენ, „ესპანეთისთვის და არა პორტუგალიისთვის“. ორი მოკრძალებული მოახლე ქალის წყალობით ირგვლივ ყველაფერი ისე ბზინავდა როგორც საბრძოლო გემზე. ფანჯრებში ილვრებოდა სახოტბო მუსიკა, პეტარდების ტკაცუნი და ზარების საზეიმო გუგუნი, სულ ახლახან ზუსტად ასევე აღინიშნა მისი სიკვდილი, ახლა კი სიკვდილის გაგრძელებას, მის უკვდავებას უკმევდნენ გუნდრუკს. ზიმზიმებდა სახალხო გამოსვლებისთვის მუდამ მზად მყოფი დე არმას მოედანი, ისმოდა პრეზიდენტისა და ხალხის ერთიანობის სადიდებელი შეძახილები, მოათრევდნენ უზარმაზარ ტრანსპარან-

ტებს, ღმერთო, დაიფარე შენი რჩეული, რომელიც მესამე დღეს აღსდგა მკვდრეთით. ერთი სიტყვით, ცხოვრება უსასრულო ზეიმად იქცა, უწინდელივით აღარ ჭირდებოდა ხელოვნურად გაღვივება, ყველაფერი თავისთავად ხდებოდა, ლაგდებოდა, ქვეყანა წინ მიიწევდა, საქმეები მხოლოდ პრეზიდენტს ეპყრა ხელთ, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა, არავინ ეურჩებოდა არც სიტყვით, არც საქმით, თითქოს მტრებმაც კი მიატოვეს დიდების მწვერვალზე მარტოდ მყოფი. რას გაიხარებდა მისი ერთგული ორეული გენერალი როდრიგო დე აგილარი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, თავისი სამსახურით ალბათ კმაყოფილი იქნებოდა, ჰოდა, პრეზიდენტიც იყო კმაყოფილი, ამიტომაც ბრძანა, მოედანზე გამოეყვანათ ის გვარდიელები, რომლებმაც უწესრიგობისა და ნგრევის აღსაკვეცად განსაკუთრებული მონდომება და სიმკაცრე გამოიჩინეს. ყველას რომ ოფიცრობა ჩამოურიგა, მიხვდა, ჯარის აღდგენა მაინც მოუწევდა, უხელქვეითო, უჯარისკაცო ოფიცრები რისი მაქნისიაო, თუმცა გამოცდილებით ისიც იცოდა, რომ აღდგენილი ჯარი ადრე თუ გვიან კბენას დაუწყებდა თავის მარჩენალსა და პატრონს. და მაინც რიგით გვარდიელებს ოფიცრებად აწინაურებდა, მკერდზე თითს ადებდა და დაუფიქრებლად არიგებდა ჩინს, შენ გენერალი იქნები, შენ მაიორი, შენ პოლკოვნიკი, მოიცა, მგონი, ამერია, ჰო, შენ გენერალი, დანარჩენები კი ლეიტენანტები იქნებითო, ესეც შენი არმია, ჩემო ძმაო. მან ის ხალხიც არ დაივიწყა, ვისაც ნამდვილად დაწყვიტა გული მისმა სიკვდილმა, მადლიერების გრძნობით აღვსილმა ბრძანა ის მოხუცი მოეყვანათ, მის კუბოსთან დამწუხრებული რომ იდგა და ის კაციც ბეჭედზე რომ აკოცა მიცვალებულს, სასწრაფოდ მიჰგვარეს და მანაც მშვიდობის მედლით დააჯილდოვა ორივე. არც ის თევზით მოვაჭრე ქალი დავიწყნია, მის ცხედარს ცხარე ცრემლით რომ დასტიროდა. ამ ქალს თოთხმეტი შვილი ჰყოლია თურმე და პრეზიდენტმაც ყველაზე საოცნებო რამ, დიდი სახლი აჩუქა. ის მოსწავლე გოგონაც მიუყვანეს, კუბოზე რომ ყვავილი დაუდო. მანაც სასწრაფოდ მიათხოვა ერთ მეზღვაურს და ამით გოგონას ს. ნუკვარ ოცნებასაც შეასხა ფრთები. მაგრამ თვითონ ვერ დაიმშვიდა აფორიაქებული სული, საჩუქრების ჩამორიგებამ ვერ უშველა, მანამდე ვერ მოისვენა, სანამ სან ხერონიმოს ყაზარმის ეზოში არ დაინახა ლელფეხშებორკილი ის მეამბოხეები, სასახლეზე რომ მიიტანეს იერიში, შიშიც და სიძულვილიც მეხსიერებას სიფხიზლეს ჰმატებენ და მანაც შეუბრალებელი სიზუსტით ამოიცნო ყოველი მათგანი, ამოიცნო და ჯგუფებად დაყო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. შენ იერიშს მეთაურობდი, აქეთ დადექი, თქვენ იატაკზე მოისროლეთ თევზით მოვაჭრე ქალი, აქეთ დადექით, თქვენ შეურაცხყავით მიცვალებული, კიბეზე ჩაათრიეთ, ტალახში ამოსვარეთ, აქეთ დადექით, დანარჩენები იქით დადექით. მისთვის დასჯა სულაც არ იყო მთავარი, მისთვის მთავარი იყო თავად დარწმუნებულიყო, რომ ხალხმა კი არ შეუტია სასახლეს, ხალხმა კი არ შეურაცხყო მიცვალებული, ხალხის გულისწყრომის სტიქიური გამოვლინება კი არ იყო მთელი ეს არეულობა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებულთა ველური შემოტევა. ამიტომაც გადაწყვიტა თვითონ დაეკითხა ტყვეები. დაკითხვისას ყოველნაირად ცდილობდა ამ საცოდავებს ელიარებინათ თავიანთი დაქირავებულობა და

ამით გაემართლებინათ მისთვის სასურველი ილუზიები. მაგრამ რომ
დარწმუნდა, ამაოდ გაისარჯა, ბრძანა, ფეხებზე ხელებშებმული დამნა-
შაველები თუთიყუშებივით დაეკიდათ თავდაყირა რამდენიმე საათი. რა-
კი ამანაც არ გაჭრა, ბრძანა, ერთ-ერთი ჩაეგდოთ ორმოში, სხვებს კი
ეცქირათ, ნიანგები როგორ გლეჯდნენ მათ ამხანაგს. როცა არც ამან
გაჭრა, ბრძანა, სათითაოდ გამოეყვანათ და ყველას თვალწინ გაეძროთ
მათთვის ტყავი. ნაზი, მოყვითალო ტყავი მშობიარის საშოდან გად-
მომსკდარ პლაცენტასავით თახთახებდა, ცხელ წებოვან სისხლში ამო-
თხვრილი სხეული კი ყაზარმის ეზოს ქვის ფილებზე ხტოდა და იგრი-
ხებოდა. მაშინ კი გატყდნენ კერპები, დაგვიქირავეს, ოთხას-ოთხას პე-
სოს შეგვპირდნენ მიცვალებულის წაბილწვაში, სასტიკ უარზე ვიდე-
ქით, რაცა გვწამს, იმას ფულის გამო ვერ ვუღალატებთ-თქო, პრეზი-
დენტის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მით უმეტეს მიცვალებულის-
თქო, მაგრამ ერთ-ერთ საიდუმლო შეხვედრაზე ვიღაც ორი გენერალი
მოვიდა და მუქარით გვაიძულეს დავთანხმებულიყავით. გეფიცებით,
ჩემო გენერალო, მხოლოდ ამიტომ დავეთანხმეთ. მან შვებით ამოისუნ-
თქა, ბრძანა, ამ საწყალ, მოტყუებულ ბიჭებს კარგად აჭამეთ, გამოა-
ძინეთ, დილით კი ნიანგებს ჩაუგდეთ ორმოშიო. სასახლისაკენ მიმავალი
გრძნობდა, როგორ უთავისუფლდებოდა სული მღრღნელი ეჭვისაგან და
კმაყოფილი ბუტბუტებდა, ხომ დარწმუნდა ყველა, რომ ხალხი აქ არა-
ფერშუაშია, ხალხს მე ვუყვარვარ. შიშის კოცონი, ოდესღაც პატრისიო
არაგონესმა რომ დაუნთო გულში, ახლა ნელ-ნელა ინავლებოდა.
ფეხებით ზედ შემდგარმა უკანასკნელი ალიც ჩააქრო და დაიფიცა, ამ
ქვეყანაში ამიერიდან აღარავინ მოკვდებოდა წამებით. მართლაც, მაში-
ნვე დაჩოცეს ნიანგები, დაანგრიეს საგანგებო საკნები, სადაც, მართა-
ლია, ხალხს არ კლავდნენ, მაგრამ ცემით კი ძვალსა და რბილს უერ-
თიანებდნენ. გამოცხადდა საყოველთაო ამნისტიაც. თითქოს ჯადოსნური
კვერთხი შეეხოო, გონება უცებ გაუნათდა, ამ ქვეყანაში მთელი უბედუ-
რების თავიცა და ბოლოც ის არის, რომ ხალხს ბევრი დრო აქვს ფიქრის-
თვისო. ბევრი იმტვრია თავი, რა მოვიგონო ისეთი, რომ ხალხმა ფიქ-
რისთვის ველარ მოიცალოსო, და პოეტების შეჯიბრი განაახლა მარტის
თვეში, ყოველწლიური სილამაზის კონკურსებიც აღადგინა და კარიბის
ქვეყნებში ყველაზე დიდი სტადიონიც ააგო, ჩვენს გუნდს კი დევიზად
დაუსახა, სიკვდილი ან გამარჯვება. მისი ბრძანებით ყველა პროვინცი-
აში გაიხსნა ხვეტის შემსწავლელი უფასო სკოლები. პრეზიდენტის ზრუ-
ნვის პასუხად ამ სკოლების მოსწავლე გოგონები ფანატიკური თავგა-
მოდებით მარტო სახლებს კი არა, ქუჩებსა და გზა-შარებსაც მოედვნენ.
საბოლოოდ იმდენი ნაგავი დაგროვდა, სად წაეღოთ, არ იცოდნენ, ერთი
პროვინციიდან მეორეში გადაჰქონდათ, ან პირიქით, თან ყოველ წაღება-
წამოღებას სამშობლოს დროშების ფრიალი და უზარმაზარი ლოზუნგები
ახლდა, ღმერთო, შენ დაიფარე უფაქიზესი კაცი, რომელიც ერის სისუ-
ფთავეზე ზრუნავს. ის კი ამ დროს ბაღში დააბოტებდა თავისი უზარ-
მაზარი ფეხებით და ფიქრებში ათასნაირ საქმეს იგონებდა ხალხის სა-
მუშაო ფერხულში ჩასაბმელად. უკან დასდევდნენ ბრმები, კეთროვნე-
ბი, ხეიბრები და სასწაულმოქმედ მარილს თხოვდნენ განსაკურნავად.

ისიც ხან მარილს არიგებდა, ხანაც ეზოში მდგარ ემბაზში ნათლავდა ოდესღაც თავის მიერვე მონათლულთა შვილებს და ყველას თავის სახელს არქმევდა. მლიქვნელები ენას არ აჩერებდნენ, ერთადერთი ხარო, ერთადერთიო. რაღაცით ის მართლა იყო ერთადერთი, ორეული აღარ ჰყავდა და თვითონ უწევდა საკუთარი თავის ორეულობა ამ [illegible] ბულ სასახლეში. აქაოდა, პრეზიდენტის დედა ბენდისიონ [illegible] ერთ დროს ჩიტების მოშენებას მისდევდაო, დღე არ გავიდოდა, ფრინველებით გამოვსებული გალიები არ მოეზიდათ. ზოგს მეტისმეტი მლიქვნელობისგან მოჰქონდა, ზოგსაც სამასხარაოდ. ბოლოს ისე გაივსო იქაურობა, ახალი გალიის ჩამოსაკიდი ადგილი აღარსად იყო. ჩიტების გარდა სახელმწიფოს სხვა საზრუნავიც ბლომად ჰქონდა, ასეთ შემთხვევებში სასახლეში ერთდროულად წყვეტდნენ ყველა საქმეს და პატიოსა თუ კაბინეტებშიც იმდენი ხალხი ირეოდა, კაცი ვერ გაიგებდა, ვინ მთხოვნელი იყო, ვინ მოხელე. სიხალვათისთვის შიდა კედლები მოანგრიეს, ზღვისკენაც უამრავი ფანჯარა გაჭრეს თვალის გასახარადაც და იმადაც, რომ სათხოვნელად მოსულ ხალხს დარბაზიდან დარბაზში შესვლა-გამოსვლისას შემოდგომის ქარიან ზღვაში მიკარგული იალქნებდაბერილ ნავში ჰგონებოდა თავი. სასახლის ფანჯრებში ათადან და ბაბადან თარეშობდა მარტის ქარი, მაგრამ ამჯერად რატომღაც ყველანი ერთხმად ირწმუნებოდნენ, ჩემო გენერალო, ეს მშვიდობის ქარიაო. ყურებში ჩაბუდებულ შემაწუხებელ ხმაურზეც ეუბნებოდნენ, მშვიდობის ქარიაო. პირადმა ექიმმაც ასე უთხრა, ჩემო გენერალო, ეს მშვიდობა ხმაურობს თქვენს ყურებშიო. იმ დღიდან, რა დღესაც ის პირველად ნახეს ჯერ მკვდარი და მერე მკვდრეთით აღმდგარი, ყველანი ერთხმად აღიარებდნენ, მიწაზეც და ცაზეც საყოველთაო სიმშვიდემ დაისადგურაო. მანაც დაიჯერა თავისი უკვდავება და დეკემბერში კვლავ ეწვია კლდეზე შემდგარ სახლს, რათა დამტკბარიყო ყოფილ დიქტატორთა უბედურების ცქერით, ერთბედქვეშ მყოფთა იძულებითი ძმური კავშირით ამ თავშესაფარში. მის დანახვაზე დიქტატორებს ლაპარაკის საღერღელი ეშლებოდათ, უკვე მერამდენედ ისმენდა ერთი და იგივეს. ვთქვათ, ეს დომინოს ქვა მე ვარ, ეს კი ყეყეჩი კონსერვატორია, ვერაფრით მოვურიგდით ერთმანეთს, ესეც არ იყოს, მე არაფერი ვიცოდი პაპებისა და მასონების საიდუმლო ალიანსის თაობაზე. ნეტავი ამდენს არ ლაქლაქებდეს ეს გადაღეძუებული ბერიკაცი, ვერა ხვდება, წვნიანი რომ უცივდება. ახლა მეორე გადაღეძუებული იწყებდა ახსნას, ვთქვათ, ეს საშაქრე პრეზიდენტის სასახლეა, ქარი რომ არა, მტრის ქვემეხიდან გამოსროლილი ყუმბარა ოთხასი მეტრით დაშორებულ სასახლემდე ვერ მოაღწევდა, და თუ ახლა ამ გასაცოდავებულ ყოფაში ვარ, ეს სულ რაღაც ოთხმოცი-ოთხმოცდაორი სანტიმეტრის ბრალია, ბედი არ გინდა. იმედგადაწურულიც ბევრი იყო მათ შორის, სხვის კარზე მათხოვრული ყოფით დაბეჩავებულები გაფაციცებული ელოდებოდნენ თავიანთი ქვეყნის გემის გამოჩენას, რომელსაც კვამლის ფერსა და გასაცოდავებულ გუგუნზე ცნობდნენ. მეორე დილით კი გამთოშავ წვიმასა თუ ქარში პორტისკენ მიცუხცუხებდნენ, რათა სანაგვე ყუთებიდან ამოექექათ მეზღვაურების გადაყრილი ნაგავგახვეული გაზეთები. მერე ბრუნდებოდნენ თავშესაფარში, სხდებოდნენ და კითხულობდნენ თავიდან ბოლომდე,

მარცხნიდან მარჯვნივ და მარჯვნიდან მარცხნივაც. კითხულობდნენ, ვინ მოკვდა, ვინ დაქორწინდა, ვინ ვინ დაპატიჟა ან სულაც ვინ ვინ არ დაპატიჟა თავის დაბადების დღეზე და ამ ამბების მეშვეობით ცდილობდნენ ამოეცნოთ, რა ვითარება იყო მათ ქვეყნებში. სასწაულის მოლოდინში ნამდვილად იყვნენ, ცალ-ცალკე ყველას სჯერდებოდა, რომ მის ცხოვრებას სრულიად შეცვლიდა ერთი შავად მოქრუშული ტრუბელი, რომელიც აპოკალიფსურ გრიგალს დაატეხდა თავს მის სამშობლოს, დაანგრევდა კაშხალებს, კალაპოტიდან გადმოიყვანდა მდინარეებს, დატბორავდა მინდვრებს, ყანებს, ქალაქებს, დაიწყებოდა შიმშილობა, ქვეყანაში გაჩნდებოდა შავი ჭირი და აი, სწორედ ამ დროს ხალხი საშველად უხმობდა იმ ადამიანს, ვინც ქვეყნიდან გააძევა, იმ ადამიანს, ვისაც ძალუძს ქვეყანას ააცილოს სრული განადგურება და ანარქია. აი, ნახავთ ასე თუ არ მოხდება. მაგრამ ამ დიადი წუთების მოლოდინში ცხოვრება თავისას ითხოვდა და ბებრებიც ყოფით წვრილმანებს ვერსად ემალებოდნენ. განზე გაიხმობდნენ ხოლმე რომელიმე შედარებით ახალგაზრდა ლტოლვილს და სთხოვდნენ, თუ არ შეწუხდებით, ძაფი გამიყარეთ ნემსში, შარვალი გამეხა, უნდა დავკემსო, ხომ არ გადავაგდებ, ეს შარვალი ხსოვნასავით ძვირფასია ჩემთვის, სულიერად მავსებს. უცხო თვალთაგან მოფარებულები საცვლებსაც ირეცხავდნენ და ახლად მოსულთა ჰაიჰარად გადაყრილ ნახმარ, პირდაბლაგვებულ საპარსებსაც ჩუმ-ჩუმად აგროვებდნენ, ჭამითაც თავ-თავიანთ ოთახებში გამოკეტილები ჭამდნენ, რათა არავის შეემჩნია მათი უკბილო უძლურება, არავის ენახა ბებრული სიძაბუნის, შეუკავებლობის ნიშანი, სამარცხვინოდ ჩასვრილი შარვალი. ერთ ხუთშაბათ დღეს ერთ-ერთმა იმათგანმა, რომელიც, ცოტა არ იყოს, საკმაოზე მეტხანს შემორჩა სააქაოს, სული განუტევა. მიცვალებულს ერთადერთი შემორჩენილი პერანგი ჩავაცვით, მკერდზე ჩინ-მედლები დავაბნიეთ, თავისი ქვეყნის დროშაში გავხვიეთ, თავისი ქვეყნის ჰიმნიც ვუმღერეთ და გადავულოცეთ სამარადისო დავიწყების საუფლოს, კლდის ფერხთით გაწოლილ ზღვის ფსკერს, საითკენაც გამეტებით მიაქანებდა ერთადერთი ბალასტი, მისივე ნატანჯი, ეროზიამოდებული გული. ამ საცოდავს არაფერი დარჩენია დედამიწაზე ერთი ცარიელი ადგილის გარდა, უიმედობის ტერასაზე გამოდგმულ სკამის გარდა. ჩვენც ამ სკამზე ვსხდებით, ჩემო გენერალო, ვთამაშობთ და სანაძლეოზე ჩამოვდივართ მის არარსებულ ნივთებს. ვინ იფიქრებდა, ჩემო გენერალო, ასეთი დიდებული ცხოვრების მერე ასეთ უბადრუკ სიკვდილს თუ არგუნებდა ბედი. ერთ სხვა შორეულზე შორეულ დეკემბრის თვეში, სწორედ ამ თავშესაფრის გახსნის დღეს, პრეზიდენტმა ტერასიდან დაინახა მძივებივით ასხმული ანტილის კუნძულები, იფიქრა, ნამდვილად მეჩვენებაო, მაგრამ ვილაცამ თითით ზღვის ვიტრინაზეც ანიშნა. მან დაინახა კეთილსურნელოვანი ვულკანი კუნძულ მარტინიკაზე. ხედავთ ხომ, ჩემო გენერალო. მან დაინახა ჭლექიანების სანატორიუმი, დაინახა გოლიათი ზანგი, რომელსაც მაქმანებით გაწყობილი კვართი ეცვა, ტაძრის თაღქვეშ იდგა და გუბერნატორთა ცოლებს გარდენიებს სთავაზობდა საყიდლად. მან დაინახა პარამარიბოს ჯოჯოხეთურად აფუთფუთებული ბაზარი. ხედავთ ხომ, ჩემო გენერალო. დაი-

ნახა ზღვაში ჩამავალ ფეხსალაგების მილებს გამოყოლილი და სანაპირო კაფე-ბარების მაგიდებზე მობორიალე კიბორჩხალები. დაინახა ბრტყელ-ანტით კბილებდაპლომბილი გავასქელი ზანგი დედაბრები, რომლებიც წვნიანივით ბლანტ წვიმას არად აგდებდნენ, არხეინად ისხდნენ და ინ-დიელთა ნიღბებს თუ ათასნაირ სამკურნალო ბალახს ყიდდნენ. [illegible] ტანაგუარენას პლაჟზე მთვლემარე ხორცსავსე მატრონები [illegible] ოქროსფრად დაფერილი ძროხები. დაინახა გუაირელი უსინათლო ნა-თელმხილველი, რომელიც ორ რეალად უკრავდა ერთსიმშემორჩენილ ვიოლინოზე, რათა სამუდამოდ განედევნა სიკვდილი-ინდაური. მან და-ინახა პაპანაქება სიცხე ტრინიდადზე, დაინახა უკუღმა წინ მიმავალი მანქანები და მწვანე სამოსიანი ინდუსებიც პირდაპირ ქუჩაში, ზედ თა-ვიანთი ფარდულების წინ ჩაცუცქულები რომ იცლიდნენ კუჭს. დაინახა ჰაიტის საშინელება, გაქუცული ლურჯი ძაღლები, დაინახა გამთენიისას ჯორშებმულ ფორნებში როგორ ჩაყარეს ქუჩებში მიფანტულ-მოფან-ტული გვამები, დაინახა კურასაოს ბენზინსაცავი, რომლის კედელზე მი-ეხატათ ტიტა ნიშნად იმისა, რომ ჰოლანდია კვლავ აქ არის, დაინახა სა-ხურავწანვეტებული, ქარის წისქვილებივით სახლები. ასეთი დაფერ-დებული სახურავები ჭკვიანური მოგონებაა დიდთოვლობის დროს, და-ინახა საოკეანო გემი, რომელიც თავისუფლად დაცურავდა ქალაქის ცე-ნტრიდან ხან ერთ, ხანაც მეორე სასტუმრომდე, დაინახა კარტახენა დე ინდიას ქვით შემორაგული ფარეხები, ჯაჭვით შემოკავებული ზღვის უბე, განათებული აივნები, გამომწყვდეული, მოწყენილობისგან მთქნა-რებად ქცეული სააღლუმო, ვიცე-მეფეთა დროინდელ საკვებზე მეოც-ნებე ცხენები. მძღ... ის სუნია, ჩემო გენერალო. მართლაც რა უსაზღ-ვროა ქვეყანა, მაგრამ ამავდროულად ვერაგიც. თუ ამჟამინდელ დეკე-მბრის თვეში პრეზიდენტმა ინება და კლდეზე წამომდგარ თავშესაფარს ესტუმრა, იმიტომ კი არ შეიწუხა თავი, რომ იქ თავშეფარებულებისთ-ვის ორიოდ თბილი სიტყვა ეთქვა, ისინი ხომ ისე ეზიზღებოდა როგორც საკუთარი ორეული უბედურებათა სარკეში, არამედ იმიტომ, რომ არ გამორჩენოდა ის ზღაპრული წამი, როცა დეკემბრის საოცრად შუქიან და გამჭვირვალე ჰაერში კვლავაც შეეძლება იხილოს მძივებივით ასხ-მული ანტილის კუნძულები ბარბადოსიდან ვერაკრუსამდე. ჰოდა, რა დროს დომინოა, და ტერასაზე გავიდა, რათა კიდევ ერთხელ დამტკბა-რიყო ზღვის უბეში მთვლემარე ნიანგებივით გაწოლილი, მთვარის შუ-ქით განათებული კუნძულების ცქერით. მას გაახსენდა ის ისტორიული ოქტომბრის პარასკევი დღე, როდესაც დილაუთენია გამოვიდა თავის საძინებლიდან და თვალებს არ დაუჯერა, სასახლის თითქმის ყველა ბი-ნადარს წითელი ჩაჩი ეხურა თავზე. წითელი ჩაჩები ეხურათ მის საყ-ვარლებსაც, რომლებიც ოთახებს გვიდნენ და გალიებში წყალს უცვლი-დნენ ჩიტებს, წითელი ჩაჩები ეხურათ მწველავებსაც და ყარაულებსაც, კიბეზე ჩამომსხდარ ხეიბრებსაც და ვარდის ბუჩქებში მობორიალე კეთ-როვნებსაც. ვერაფრით გაეგო, რა მოხდა ამ ერთ ღამეში, მის ძილში. რატომ ეხურა წითელი ჩაჩი ყველას, სასახლეშიც და მთელ ქალაქშიც, ან ეს რა საჩხარუნოები ეჭირათ ხელში. როგორც იქნა, გამოჩნდა ამბის მომტანი კაცი. უცხოელები გვესტუმრნენ რამდენიმე გემით, ჩემო გე-ნერალო. ისე, მთლად უცხოელებიც არ უნდა იყვნენ. ესპანურად ლაპა-

რაკობენ, მაგრამ ჩვენს ესპანურს[1] რაღაც არ ჰგავს. El mar-ის ნაცვლად la mar-ს ამბობენ,[2] სიტყვებს თავისებურად გამოთქვამენ, ამახინჯებენ. ნავებით რომ მივუახლოვდით, მაშინვე ანძებზე აცვივდნენ და ისეთი გადაძახება-გადმოძახება ატეხეს, ყურთასმენა აღარ იყო. ერთმანეთს ჩვენზე ანიშნებდნენ, ნახეთ, რა ტანადები არიან, რა ლამაზები, რა გრუზა თმა აქვთ, ცხენის ფაფარს მიუგავთო. მერე ეტყობა, ეფიქრენ, თაკარა მზის შიშით სალებავი აქვთ ტანზე წასმულიო და თუთიყუშებივით აქოთქოთდნენ, კანარიელებივით არც თეთრები არიან, არაც შავები, ღმერთმა უწყის, ვინ არიანო. დაგვცინოდნენ. ვერაფრით გაგვეგო, რატომ დაგვცინოდნენ, ჩემო გენერალო, ჩვენთვის ხომ ბუნებრივია ეს ფერი, ჩვენ ხომ ასეთები გვშობეს ჩვენმა დედებმა. დასაცინი თვითონ იყვნენ, პაპანაქება სიცხეში ბანქოს ვალეტებივით ჩამოეხვავებინათ ტანზე სამოსი. თმა ქალებივით ჰქონდათ დავარცხნილი. ისე, ქალები არ ერიათ, არ დაგვინახავს. გვიყვიროდნენ, რატომ ვერ იგებთ ჩვენს ქრისტიანულ ლაპარაკსო. არადა, სწორედ ისინი ვერ იგებდნენ ჩვენს ლაპარაკს. მერე თვითონაც გამოემართნენ ჩვენსკენ ნავებით. გაუკვირდათ, თევზის ძვლისწვეტიანი ბარჯები რომ დაგვინახეს ხელში. თუ რამ გაგვაჩნდა, სახელდახელოდ გაგვიცვალეს წითელ ჩაჩებში, შუშის მძივებსა და თუნუქის საჩხარუნოებში. ჩვენც მადლობის ნიშნად მაშინვე ჩამოვიკონწიალეთ ყელზე მძივები. საჩხარუნოები ერთი მარავედიც[3] არ ღირდა, თეფშები, პატარა სარკეები და ზღვისიქითა მხარის ათასნაირი ხარახურა მოაყოლეს თან. ჩემო გენერალო, როცა დავრწმუნდით, ბოროტი განზრახვით არ იყვნენ მოსული და არც სულელები ჩანდნენ, ნელნელა, მათდა შეუმჩნევლად მივაყენეთ ნაპირს და სწორედ აქ მოხდა, რაც მოხდა. ისეთი აურზაური და ჯგლეთა შეიქნა, ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა. ყველას, ვისაც არ ეზარებოდა, პაჭაპუჭებში გადასაცვლელად მოჰყავდა თუთიყუშები, მოჰქონდათ თუთუნი, შოკოლადი, იგუანას კვერცხი. ის კი არადა, ერთი ჩვენიანი ძლივს გადაურჩა ძველებურ ხავერდის ჟილეტში გადაცვლას, უცხოელები ამბობდნენ, ევროპაში უნდა წავიყვანოთ საჩვენებლადო. წარმოგიდგენიათ, ჩემო გენერალო, რა ხდება. გენერალი დაბნეული იდგა. რაღაც უჩვეულო და უცნაური რომ ხდება, ეს ცხადია, მაგრამ ძალუძს კი მას ამოხსნას იგი. თავგზაარეული დაბრუნდა სასახლეში და თავის საძინებელს მიაშურა იმ იმედით, რომ ხვალ დილას ნათელს მოჰფენდა იმ აბდაუბდას, რაც ახლა მოისმინა. ზღვისკენ გაჭრილი ფანჯარა გამოაღო, ნაპირთან კვლავ ტორტმანებდა დიდი ხნის წინათ საზღვაო დესანტის მიერ მიტოვებული ჯავშნოსანი გემი, ოდნავ მოშორებით კი, თავისდა გასაოცრად, დაინახა მოქრუშულ ზღვაში ღუზაზე მდგარი სამი კარაველა.

---

1 ლაპარაკია ანტილურ კილოკავზე, რომელიც ოდნავ განსხვავდება სუფთა ესპ. ენისაგან.

2 El mar — ზღვა. არტიკლების აღრევაზეა ლაპარაკი.

3 ძველებური მონეტა.

●

როდესაც იგი კვლავ მკვდარი და სახედაკორტნილი ვიპოვეთ და თანაც ვიპოვეთ იმავე კაბინეტში, იმავე პოზაში და იმავე ტანსაცმელში, როგორც არაერთხელ უნახავთ თურმე, იმ ხანებში ჩვენ არც ისეთი ხნიერები ვიყავით, მის წინა სიკვდილს მოვსწრებოდით ან რაიმე გვხსომებოდა ამის თაობაზე, მაგრამ ცოდნით ნამდვილად ვიცოდით, რომ არცერთი მისი სიკვდილი არ გამართლებულა. რაღას არ ამბობდნენ მასზე, რაღას არ უგონებდნენ, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ნაბოდვარი გამომდგარა. ამბობდნენ, აუდიენციებზე უცებ რაღაც მოუვლიდა, სავარძლიდან ვარდებოდა და პირზე დუჟმორეული იკრუნჩხებოდა იატაკზეო. ამბობდნენ, ღმერთმა ბილწსიტყვაობისთვის დასაჯა. ლაპარაკის უნარი წაართვა, მარტო პირს აღებდა, ლაპარაკით კი მის მაგივრად თეჯირს ამოფარებული მუცელმოგვი ლაპარაკობდაო. ამბობდნენ, მეტისმეტი სიგარეტისგან მთელი სხეული თევზივით დაქერცლილი ჰქონდაო. ცივ ამინდში თიაქარი ისე უსივდებოდა, სიარული უჭირდა, სულ დედის გინებ-გინებით დააბოტებდაო, მერე როგორღაც მოუფიქრებიათ და ორთოპედიული ურიკა გაუკეთებიათ, დაასვენებდა თურმე ზედ თავის ჩამოსიებულ უზარმაზარ საოხრეს და ნაბიჯ-ნაბიჯ დადიოდაო. იმასაც ამბობდნენ, ვილაცას დაუნახავს, სასახლის უკანა ეზოში შუაღამისას სამხედრო ფურგონში როგორ შეუდგამთ ხავერდგადაფარებული ოქროს ვენზელებიანი კუბო და ისიც დაუნახავთ, წვიმების ბაღში რა გულსაკლავად ქვითინებდა ლეტისია ნასარენო. მაგრამ რაც უფრო დამაჯერებელი ხდებოდა მისი სიკვდილის შესახებ გავრცელებული ხმები, მით უფრო დიდი იყო იმედგაცრუება, როცა ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდებოდა, რომ ის თურმე ცოცხალია, საღსალამათია, უწინდებურზე მტკიცედ მართავს ქვეყანას და, რაც მთავარია, შესწევს ძალა, თავის ნებაზე შეუცვალოს დინება ჩვენს ცხოვრებას. არადა, რა ძნელი გამოსაცნობი ის იყო. სხვას ვის ექნებოდა თითზე წამოცმული პრეზიდენტის ბეჭედი, ან ასეთი დიდი, ბრტყელი ტერფები და, რაც მთავარია, საყოველთაოდ ცნობილი ჩამოსიებული თიაქარი, რომელიც სასწაულებრივად გადარჩენოდა სვავების ნისკარტს. მაგრამ ამ დროს ყოველთვის გამოჩნდებოდა ვილაც და მოჰყვებოდა იმის მტკიცებას, მახსოვს, ერთხელაც იპოვეს ერთი მკვდარი კაცი ზუსტად ასეთივე ნიშნებითო. ამიტომ გადავწყვიტეთ, საგულდაგულოდ გადაგვეჩხრიკა მთელი სასახლე და ერთხელ და სამუდამოდ დაგვედგინა, ზუსტად ის იყო თუ არა მკვდარი. მაგრამ ამაოდ, ვერც დავადასტურეთ და ვერც გავფანტეთ ეჭვი. დედამისის, ბენდისიონ ალვარადოს შესახებ ჩვენ მხოლოდ გადმოცემით ვიცოდით, რომ საგანგებო დეკრეტის ძალით წმინდანად იყო შერაცხული. ამ ქალის საძინებელში ვიპოვეთ უამრავი დამსხვრეული გალია, ჩიტების ჩონჩხები, ფუნით მოთხვრილი ჩალის სავარძელი, აკვარელის საღებავები და აუარება ფუნჯი, რომელთა მეშვეობითაც ბენდისიონ ალვარადო პარამოელ ვაჭრუკანა დედაკაცებთან ერთად ჩიტებს ჭრელაჭრულად აფერადებდა და მერე ბაზარში მოლაღურებად ასაღებდა. აქვე ვნახეთ უზარმაზარ კასრში ჩარგული ბარამბოს ბუჩქი, რომელიც მოუვლელობისგან, წესით და რიგით, აქამდე უნდა გამხმარიყო, მაგრამ პირიქით, სასწაულებრივად მოსდებოდა კედლებს, კედლებზე დაკიდული პორტრეტები უკანა მხრიდან ზედ თვალე-

ბის ადგილას გამოეხვრიტა და იქიდან თავდაღწეული ახლა ეზოსკენ მიიწევდა სხვა მცენარეებთან შესართველად. აქაც ვერ წავაწყდით ვერავითარ კვალს იმ კაცისას, ვისი სიკვდილიც გვეეჭვებოდა. ლეტისია ნასარენოს საძინებელიც გადავაქოთეთ. ლეტისია მეტნაკლებად ავადმყოფობდა არა იმიტომ, რომ არცთუ შორეულ წარსულში დედუფლობდა ერამედ იმიტომ, რომ არცერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება არ ტარდებოდა მისი ხმაურიანი მონაწილეობის გარეშე. საძინებელში ჩვენ ვნახეთ დიდებული სარეცელი სიყვარულისა, მაქმანიანი ბალდახინის ქვეშ გამართული უზარმაზარი საწოლი, რომელზეც ახლა კრუხები ქოთქოთებდნენ. ზანდუკებში ვნახეთ ჩრჩილების შეჭმული და მტვრად ქცეული ცისფერი მელიის კუდის საყელოები, ხაბარდა კაბების მავთულის კარკასები, დაცრეცილი პელერინები, ბრიუსელური მაქმანის ლიფები, მამაკაცის საშინაო ფლოსტებიც და ოქროს თასმით გაწყობილი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელიც. ვნახეთ ფეტრის იებით მორთული გრძელი კაბა, რომლითაც ლეტისია წვეულებებზე იწონებდა თავს. ვნახეთ პირველი ქალბატონის შავი ტაფტის ლენტებით გაწყობილი სამგლოვიარო სამოსი, რომელსაც რამდენჯერმე დაქვრივებისას იცვამდა ხოლმე ქმრის ბრწყინვალე დაკრძალვების დროს. ერთ-ერთ ზანდუკში ვნახეთ მორჩილის უხეში ტილოს კაბა, სწორედ ის კაბა, რომელიც ლეტისიას ეცვა მოტაცების დღეს. იგი ბროლის ჭურჭლეულის ყუთში ჩაკუჭეს და ასე ჩამოიყვანეს ამ მხარეში. ლეტისიამ მოუხერხებელი მგზავრობით განცდილი უსიამოვნება მალე თავისდა სასიკეთოდ აინაზღაურა, საკმაოდ მოხერხებულად მოკალათდა პრეზიდენტის ცოლის სავარძელში. ვერც მის საძინებელში აღმოვაჩინეთ კვალი კი არა, პატარა ნიშანიც კი იმისა, რომ ლეტისიას ვერაგული მოტაცება სიყვარულით იყო ნაკარნახევი, ვერაფერი აღმოვაჩინეთ ისეთი, რაც დაგვარწმუნებდა ლეტისიასადმი მის სიყვარულში. ის კი არადა, თითქოს არც არასდროს შემოედგას ფეხი ამ საძინებელში. იმ საძინებელში კი, სადაც პრეზიდენტმა თავისი ცხოვრების ბოლო წლები გაატარა, იდგა ფაქიზად გაწყობილი ჯარისკაცური საწოლი და პორტატული მოსასაქმებელი. ასეთ მოსასაქმებლებს მეძველმანეები იმ სახლებში პოულობდნენ, სადაც ოდესღაც საზღვაო ქვეითები ცხოვრობდნენ. რკინის ყუთში აღმოვაჩინეთ ოთხმოცდათორმეტი ორდენი და ერთიც უნიშნო სამხედრო მუნდირი, ზუსტად ისეთი, როგორიც სახედაკორტნილ მკვდარს ეცვა. ამ მუნდირს ექვს ადგილას აჩნდა მსხვილკალიბრიანი ტყვიების კიდეებშეტრუსული კვალი. ერთი ტყვია ზურგში მოხვედროდა და გულში გამოსვლოდა, ამის მნახველებმა ლამის დავიჯერეთ მასზე შეთხზული ლეგენდები, ტყვია არ ეკარებოდაო, მუხანათურად ზურგში ნასროლი ტყვია ვერაფერს ვნებდა, პირისპირ ნასროლსაც ისე ისხლეტდა, ტყვია მსროლელს უბრუნდებოდაო. იმასაც ამბობდნენ, მისი მოკვლა მხოლოდ ერთგულ კაცს შეეძლო, ვისაც მისთვის სიკეთე სურდა, იმას შეეძლოო. სამხედრო მუნდირები მიცვალებულისთვის, მართალია, პატარა ზომისა მოგვეჩვენა, მაგრამ ეჭვი არ არის, ორივე მისი იყო. არადა, პატარაობიდანვე გვესმოდა, რომ ის თურმე ას წლამდე იზრდებოდა სიმაღლეში, ას ორმოცდაათი წლისას მესამედ ამოჭრა კბილებმა, სვავების დაკორტნილი მიცვალებული კი საშუალო სიმაღლისა იყო და ჯანმრთელი, სარძევე კბი-

ლებივით წვრილი და ბლაგვი კბილები ჰქონდა. კანზე მოყვითალო ბეგრული პიგმენტები მოჰფენოდა, ღაბაბი ნაკეცებად ეფინა, ეტყობა, სიცოცხლეში სიმსუქნე სტანჯავდა. ჩვეულებრივი სიმაღლის კაცი იყო, ზებუნებრივი არაფერი გააჩნდა გარდა დიდი თიაქარიანი კვერცხებისა, უზარმაზარი, ბრტყელი, თითქმის ოთხკუთხა ტერფებისა და [illegible] მაგარი, არწივის კლანჭებივით დაგრეხილი ფრჩხილებისა. ჰო, კიდევ დიდი ჰქონდა ამოცარიელებული გუგები, საიდანაც ოდესღაც, აწ უკვე ამოკორტნილი, ნაღვლიანი თვალები იმზირებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, მუნდირების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი არ უნდა ყოფილიყო ისეთი გოლიათური აღნაგობის პატრიარქი, როგორსაც ისტორიკოსები ხატავდნენ, სასახლიდან იმიტომ არ გამოდიოდა, კარებში ვერ ეტეოდაო. ბავშვებს და მერცხლებს აღმერთებდა, ცხოველების ენა ესმოდა, სტიქიურ მოვლენებს წინასწარ ჭვრეტდა, სხვის აზრებს თვალებში კითხულობდა, სასწაულმოქმედი მარილით კეთროვნებს წყლულებს უქრობდა და ხეიბრებს ფეხს ადგმევინებდაო. რაც შეეხება მის წარმომავლობას, არანაირი საბუთი ამის შესახებ აღარ არსებობდა, დროთა განმავლობაში მიკარგ-მოკარგულა თურმე. ხალხის ვარაუდით იგი მთიელი უნდა ყოფილიყო, რასაც ასაბუთებდნენ მთიელთათვის დამახასიათებელი ლტოლვით ძალაუფლებისაკენ. მის მთიელობას ისიც ადასტურებდა, რომ ქვეყანას მეტისმეტად მკაცრად მართავდა. მუდამ მოქუფრულს ბოროტი სიხარულით მხოლოდ მაშინ გაუნათდა სახე, როცა ჩვენი ზღვა უცხოელებს მიჰყიდა, ჩვენ კი სიცოცხლე მოგვისაჯა, თუ ამას სიცოცხლე ჰქვია, მთვარის უსიცოცხლო, მჩხვლეტავი მტვერივით ქვიშით დაფარულ ამ უკიდეგანო, უდაბურ ველზე, სადაც ყოველი დაისი გაურკვეველ ტკივილს გვიბუდებდა სულში. რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას, ითქვა, რომ უთვალავ საყვარელთან, უფრო ზუსტად, თანამცხოვრებ ქალთან, რაკი სიყვარულისა მას არა გაეგებოდა რა, შეძენია ასევე უთვალავი შვილი, ალბათ ხუთი ათასზე მეტი. ეს ბავშვები, უკლებლივ ყველანი, უდღეურები დაბადებულან, მისი სახელი არცერთისთვის დაურქმევიათ, მისი გვარი არცერთისთვის მიუციათ, მხოლოდ ერთი ბავშვი ცნეს ამის ღირსად, ეს ბავშვი მას ლეტისია ნასარენომ გაუჩინა. ახალშობილს ამქვეყნად მოვლენისთანავე დივიზიის გენერლობა უბოძეს, რაც შეეხება დანარჩენ შვილებს, ე. წ. მათი მამის აზრით, შვილისთვის დედაც კმარაო. ეს მოსაზრება პირადად მასაც ეხებოდა, რადგან სხვა ცნობილი ღესპოტებივით ისიც არ იცნობდა საკუთარ მამას და ერთადერთ მშობლად თავის დედიკოს, ბენდისიონ ალვარადოს მიიჩნევდა. ამ ქალს სახელმძღვანელოებში ლამის ქალწულ მარიამთან აიგივებდნენ, მძინარეს უბიწოდ ჩაესახა ბავშვი, რომელიც განგების ძალით მესიად მოევლინა ქვეყანასო. ძალაუფლების მწვერვალზე ასულმა შვილმა საგანგებო დეკრეტი გამოსცა, რომლის ძალითაც ბენდისიონ ალვარადო სამშობლოს მატრიარქად გამოცხადდა, და გამოცხადდა სრულიად მარტივი მიზეზის გამო, იგი ერთადერთია და ბოლოს და ბოლოს ჩემი დედაა. ბენდისიონ ალვარადო უცნაური, მეტისმეტად უბრალო, შეიძლება ითქვას, მდაბიო ქალი იყო. არავინ იცოდა მისი წარმომავლობა. სასახლის ფანატიკოსებს იგი თვალში არ მოსდიოდათ, განსაკუთრებით რეჟიმის დასაწყისში ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ ქვეყნის პირველი პირის დედას ავი თვალისგან

დასაცავად ქაფურის ფოთლების ავგაროზი უკონწიალებდა ყელზე, არც ის მოსწონდათ, ხიზილალის თითოეულ მარცვალს რომ წვალებით არჭობდა ჩანგალს და ისე მიირთმევდა. ლაკის ფეხსაცმელი ეცვა, დაბორკილივით კი დადიოდა, მუსიკოსებისთვის განკუთვნილ ვერანდაზე სკეები დადგა, სახელმწიფო დაწესებულებებში ქათმები გაუშვა, უსახურ ჩიტებს საღებავებით აფერადებდა, სასახლის აივანზე, რომელსაც ტრიბუნის დანიშნულება ჰქონდა, სარეცხს ჰფენდა. ერთ დიპლომატიურ მიღებაზე წუწუნი დაუწყია, სენიორ, დავიღალე ღმერთის თხოვნა-მუდარით, თავი დაანებონ ჩემს შვილს, რა ჯანდაბად უნდა პრეზიდენტობა, გინდა პრეზიდენტის სასახლეში გიცხოვრია და გინდა ოცდათხი საათი შუქმინათებული მჯდარხარ. ეს სიტყვები მართლაც რომ უბრალოებითა და ბუნებრივობით იყო აღსავსე. ეროვნული ზეიმის დღეს ასევე უბრალოდ, უბოდიშოდ გაარღვია საპატიო ყარაულის რიგი და ბოთლებით სავსე კალათით ხელში გაემართა პრეზიდენტის ლიმუზინისკენ. ქუხდა ტაში და საზეიმო მუსიკა, ირგვლივ ყვავილების ზღვა ლივლივებდა, პრეზიდენტის ლიმუზინი ის იყო საზეიმო მსვლელობას თავში უნდა ჩადგომოდა, რომ ბენდისიონ ალვარადომ ბოთლებიანი კალათა მანქანის ფანჯარაში შეჰყო და შვილს დაუყვირა, გზად მაინც იქით მიდიხარ, მალაზიაში შეიარე და ეს ცარიელი ბოთლები ჩააბარეო. საბრალო დედა. სრულიად არა გაეგება რა ამ წუთების სიდიადისა და ისტორიული მნიშვნელობისა, არაფერი გაეგება პოლიტიკისა, რაც გამოამჟღავნა კიდეც ადმირალ ჰიგინსის მეთაურობით ამერიკული საზღვაო დესანტის გადმოსხმის აღსანიშნავ ბანკეტზეც. დედამ შვილი აქ პირველად იხილა საზეიმო მუნდირში გამოწკეპილი, ოქროს ჩინ-მედლებითა და აბრეშუმის ხელთათმანით დამშვენებული, რომელიც სიკვდილამდე არც მოუშორებია ხელიდან. დედამ სიამაყე ვერ დაფარა, და მთელი დიპლომატიური კორპუსის გასაგონად შესძახა, სენიორებო, რომ მცოდნოდა ჩემი შვილი რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდებოდა, სკოლაში მაინც ვატარებდი და წერა-კითხვას ვასწავლიდიო. საქვეყნოდ მოჭრა თავი შვილს. ამის მერე იყო სწორედ რომ გარეუბანში თერთმეტოთახიან დიდებულ სახლში გადაიყვანეს საცხოვრებლად, მისმა შვილმა ეს შენობა იმ ღირსსახსოვარ ღამეს მოიგო ზარში, როცა ფედერაციის მომხრე ბელადებმა გაიმარჯვეს და თავიანთი მოწინააღმდეგეების, გაქცეული კონსერვატორების სახლები დაინაწილეს. მაგრამ ბენდისიონ ალვარადოს თვალში არ მოუვიდა იმპერიის დროინდელი კედლებმოხატული დარბაზები, პაპის ცოლი ხომ არ ვარ, აქ ვიცხოვროო, და ერთ მიკარგულ გრილ ოთახში გადაბარგდა თავის ერთგულ ექვს ფეხშიშველა მოახლესთან ერთად. არც საკერავი მანქანა დავიწყნია და არც ჩიტები. საკუჭნაოსავით გრილსა და სანახევროდ ბნელ ოთახში მოსკიტებიც ნაკლებად აწუხებდნენ. საღამოობით ერთადერთ ფანჯარასთან ჯდებოდა, ტამარინდის სურნელს ისუნთქავდა და ვიდრე დარბაზებში ქათმები დაწკაპუნობდნენ და სასახლის მცველი ჯარისკაცებიც მოახლე გოგოებს სიბნელეში უსაფრთდებოდნენ, იგი ან კერავდა, ან ნაცრისფერ, უსახურ ჩიტებს ჭრელაჭრულად აფერადებდა. შვილის მძიმე ხვედრის გამო ხშირად წუწუნებდა, დამეტანჯა ბიჭი, საზღვაო ქვეითებს ჰყავთ გამომწყვდეული სასახ-

ლეში, არც დედა ჰყავს გვერდით, არც მზრუნველი ცოლი, შუაღამეს რომ რამე წამოტკივდეს ან უძილობამ შეაწუხოს, ვინ მოუვლის, ვინ ალეფერება. ღირს კი რესპუბლიკის პრეზიდენტობა და თვეში მათხოვრული სამასი პესო იმად, რომ ჯანმრთელობა შესწიროს ამ უმადურ, დაწყევლილ სამსახურსო. საბრალო ბიჭი. დედამ ძალიან კარგად იცოდა, რასაც ამბობდა, როცა მთელი ქალაქი სიესტის ჭაობში იყო ჩაძირული, შვილი სწორედ მაშინ აკითხავდა თითქმის ყოველდღე. მოჰქონდა მისი საყვარელი დაშაქრული ხილი და გულს იოხებდა საკუთარ გასაჭირზე ლაპარაკით, საზღვაო ქვეითებისთვის არაფერს წარმოვადგენ, ერთი გამოგონილი პრეზიდენტი ვარო. ხომ არ გგონია, ეს ხილი ვინმემ მომართვა, მოპარულია, ლანგარზე დალაგებულ ხილზე ვითომ ხელსახოცი მივარდება შემთხვევით, ასაღებად ვიხრები და ხელსახოცს ხილსაც ზედ მივაყოლებ ხოლმეო. ეს წყეული, წუწურაქი ოკუპანტები სადილის ნარჩენებსაც კი ინიშნავენ თავიანთ დავთრებში. ამას წინათ ჯავშნოსანის მეთაურმა ვიღაცები მოათრია სასახლეში, მგონი, მიწის ასტრონომები თუ რაღაც ამდაგვარი. სალმის ღირსადაც არ გამხადეს, მოსვლისთანავე შეუდგნენ ოთახების გადაზომვა-გადმოზომვას, ზედ ჩემს თავზე ჭიმავდნენ საზომს, რაღაცას ანგარიშობდნენ, ინგლისურად მიყვიროდნენ, თარჯიმანი მითარგმნიდა, იქით გაიწი, ფეხებში ნუ გვებლანდებიო, მეც ვიწეოდი, აქეთ გამოდი, შუქზე გვეფარებიო, მეც გამოვდიოდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა, აქეთ-იქით ვეხეთქებოდი, საკუთარ სახლში არ მაყენებდნენ, ყველაფერს ზომავდნენ, აივნების განათებასაც კი. ეს კიდევ არაფერი, დედა, ამ თავხედებმა ორად ორი შემორჩენილი ქალიც გამიგდეს სასახლიდან, ადმირალს უთქვამს, რა პრეზიდენტის შესაფერისი ეგენი არიანო. დედის გული ხვდებოდა, რისთვისაც მოდიოდა მისი შვილი, უქალობა სჭირდა და იმისთვის. დედას რომ დაემშვიდობებოდა, მეჩქარება, უნდა წავიდეო, სასახლეში წასვლის მაგიერ ცარიელ ოთახებს მალულად დაივლიდა და სადაც მოახლეს წააწყდებოდა, წამში ეძგერებოდა. ბენდისიონ ალვარადოც მაშინვე ჩიტებს ააფორიაქებდა გალიებში, იჟივჟივეთ, ფრთები აფართქუნეთო, აქაოდა, არავინ გაიგონოს ჩაბნელებულ ოთახიდან გამომავალი ჩემი შვილის, უმწეო მამაკაცის სამარცხვინო ხვნეშაო. მიყურადებულ ბენდისიონ ალვარადოს ესმოდა, როგორ ცდილობდა მისი შვილი ქალის დაყოლიებას, ის კი როგორ ემუქრებოდა, თავი დამანებეთ, თორემ დედათქვენს ვეტყვიო. შვილის სიბრალულით გულდათუთქული დედა ისევ თავის უბედურ ჩიტებს უქშევდა, აჟივჟივდით, აფართქუნდითო. ის კი ამ დროს არც ქალს ხდიდა ტანთ, არც თვითონ იხდიდა, ფაციფუცით აკეთებდა თავის საქმეს, ძალლივით წკმუტუნებდა და უპასუხოდ დარჩენილ ვნებას ლოყაზე ჩამოგორებულ მარტოობის ცრემლით იგრილებდა. ამასობაში კი მოახლე გოგოსთან მისი ფხაკურით დაფეთებული ქათმები აკაკანებულები ედებოდნენ ოთახებს, თავს აფარებდნენ გრილ კუთხე-კუნჭულებს. საწყალი ჩემი ბიჭი, რა სიყვარულობანა აუტყდა ამ გაგანია სიცხეში, თანაც დღის სამ საათზე, ისეთი პაპანაქებაა, ჰაერი გამდნარ შუშას ჰგავს. მართლაც რომ საწყალი და სხვის ხელებში შემყურე იყო მანამ, სანამ ქვეყანაში ჭირი არ გაჩნდა და უცხოურმა დესანტმაც არ დატოვა აქაურობა სახელშეკრულებო ვადაზე ბევრად უფრო ადრე. შეშინებულმა

გრინგოებმა ფიცარ-ფიცარ დაშალეს და დიდ ყუთებში ჩაალაგეს თავიანთი კოტეჯები, მიწას ააგლიჯეს ხელოვნური ლურჯი მოლი და ფარდაგივით დაახვიეს, დაცალეს მუშამბის ცისტერნები, რომლებშიც სამშობლოდან გამოგზავნილ გამოხდილ წყალს იმარაგებდნენ, აბა, ჩვენი ბინძური მდინარეების წყალს ხომ არ დალევდნენ. ბოლოს შეფეთქილი ლაზარეთებიც დაანგრიეს და ყაზარმებიც აფეთქეს, რა საჭიროა, ყველამ იცოდეს, როგორ და რა გეგმით არის აშენებული. მხოლოდ ძველისძველი ჯავშნოსანი გადაურჩა აფეთქებას, ივნისის ღამეებში გემბანზე მოჩვენებასავით მობორიალე ადმირალი შიშის ზარს სცემდა ყველას. ხოლო ვიდრე საზღვაო ქვეითები თავიანთ საჰაერო მატარებელს დატვირთავდნენ პორტატული ომების დროს საჭირო თავიანთი ასაწყობ-დასაშლელი სამოთხითა და ავლადიდებით, მანამდე პრეზიდენტი დააჯილდოვეს მედლით კეთილი მეზობლობისთვის, მერე კი ლამის მთელი ქვეყნის გასაგონად უთხრეს, გტოვებთ ამ შენს ბინძურ ბორდელში და უჩვენოდ რასაც გააკეთებ, იმასაც ვნახავთო. წავიდნენ, დედა, წავიდნენ, ჯანდაბამდის გზაც ჰქონიათ. თავის ცხოვრებაში პირველად აუყვა სახელისუფლო კიბეს როგორც ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი და არა როგორც ოკუპანტების უღელში შებმული ხარი, სხვის ნაკარნახევ ბრძანებებს კი არა, საკუთარ ბრძანებებს იძლეოდა ცოცხლად და ხალისიანად, პირადად სცემდა პასუხებს შეკითხვებზე, პირადად ილებდა მთხოვნელებს. თუ შეიძლება, მამლების ბრძოლა აღვადგინოთო, სთხოვდნენ, კი ბატონო, თანახმა ვარო, პასუხობდა. შეიძლება, ფრანები ისევ გავუშვათო, რა თქმა უნდა, შეიძლებაო. ოკუპანტების მიერ აკრძალული ყველა ხალხური გასართობი აღადგინა და ნელ-ნელა, როცა დარწმუნდა, ხელისუფალი და ხელისშემშლელი აღარავინ მყავსო, ისე შევიდა ყველაფრის შეცვლისა თუ აღდგენის ეშხში, რომ ეროვნულ დროშაზეც კი მოუნაცვლა ადგილები ფერად ზოლებს, ზემოთა ზოლი ქვემოთ ჩამოატანინა, ქვემოთა ზემოთ. სახელმწიფო ღერბზეც მისი ბრძანებით ფრიგიული თავსაბურავი ძლეული დრაკონის გამოსახულებით შეცვალეს. დედა, როგორც იქნა, ჯაჭვზე დაბმული ძაღლები აღარა ვართ, აშვებულები ვართ, ზოგი ჭირი მართლაც მარგებელი ყოფილა და გაუმარჯოს შავ ჭირს. ბენდისიონ ალვარადოს რა დაავიწყებდა ოკუპაციის ავად მოსაგონარ დღეებს, სამარცხვინო მონობას, რა დაავიწყებდა თუნდაც ოკუპაციამდელ უბადრუკ ყოფას. განსაკუთრებული გულისტკივილით იგონებდა იმ ხანებს, როცა ყოველმხრივ დაუცველები აღმოჩნდნენ და მათ სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. ეს სულ ახლახან იყო, როცა მისმა შვილმა პატრისიო არაგონესის წყალობით საკუთარი სიკვდილის ფარსი გაითამაშა, როცა გამხეცებული ბრბო სასახლეში შეიჭრა და ყველაფერი დალეწა, როცა მისი შვილი მკვდრეთით აღსდგა და ამბოხება სისხლში ჩაახრჩო, ყოველივე ამის შემდგომ კი კეთილდღეობის ჭაობში ჩაეფლო. სწორედ იმ ხანებში იყო, ლაპარაკის საღერღელაშლილი ბენდისიონ ალვარადო თუკი ვინმეს მოიგდებდა ხელში, უსათუოდ მოჰყვებოდა ხოლმე წუწუნს, ნეტავ რა ჯანდაბად მინდა პრეზიდენტის დედობა, ამ საკერავი მანქანის გარდა არაფერი მაბადია, ჩემი შვილიც არაფრის მქონია. სენიორ, თქვენ მას ხშირად ხედავთ კარეტაში,

ხედავთ, რა დიდის ამბით მიაცილებენ მეჩირაღდნეები, ის კი არ იცით, რომ სინამდვილეში მას დასამარხი ადგილიც კი ვერ უყიდია სასაფლაოზე, რათა სამშობლოს კეთილდღეობისთვის დამაშვრალი კაცი მშვიდად ჩაწვეს მიწაში. მაგრამ დროთა განმავლობაში ბენდისონ ალვარადომ უკლო შვილის უბედურ ხვედრზე წუწუნს, რადგან შვილი აღარ მირბოდა მასთან დარდების გასაზიარებლად, აღარ ელაპარაკებოდა სასახლის ჭორსა თუ მართალზე. დესანტის წასვლის მერე საბრალო ბიჭი ძალიან შეიცვალა, ხანდახან თავისზე ხნოვანი ეჩვენებოდა შვილი, ერთი-ორჯერ შეამჩნია კიდეც, ბებრულად, არეულად რომ ლაპარაკობდა. სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს, აზრი გაწყვეტილი მძივივით ეფანტებოდა, რეალობას ეთიშებოდა, ერთი-ორჯერ დორბლიც გადმოუვიდა პირიდან, ასეთ წუთებში ბენდისიონ ალვარადოს ეჩვენებოდა, რომ ამ ბერიკაცის დედა კი არა, ქალიშვილი იყო. განსაკუთრებით ერთ დღეს იგრძნო ეს განსხვავება. შვილი ესტუმრა ქალალდის პარკებითა და მუყაოს ყუთებით ხელდამძიმებული. ვიდრე დედა მაკრატელს ეძებდა, შვილმა კბილებით დახსნა ყველა ზონარი, მუყაოს ყუთების გახსნისას ხომ ლამის ფრჩხილები დაიმტვრია. მერე პარკებიც და ყუთებიც მაგიდაზე გადმოაპირქვავა. უკვირდა, ნეტავ დედაჩემი რატომ არ იზიარებს ამ საზეიმო განწყობილებასო. ნახე, დედა, რა მოგიტანე, ნახე, ეს ცოცხალი სირინოზია აქვარიუმში. ეს დასაქოქი ანგელოზია, ადამიანის ზომისაა, აი, ამ გასაღებით დაქოქავ და ისიც ზანზალაკების წკრიალით იფრენს ოთახში. ეს ოკეანის ნიჟარაა, ხედავ, რამოდენაა, ყურთან მიიდე, ოკეანის ხმაურის ნაცვლად ჩვენი ეროვნული ჰიმნი ისმის. ხომ მოგწონს, დედა, ხომ კარგია, მდიდარი რომ ხარ. მაგრამ დედა არ იზიარებდა შვილის სიხარულს, იჯდა და მდუმარედ კვნეტდა ჩიტების გასაფერადებელ ფუნჯებს. შვილის სიბრალულით გულმოკლულს წარსული ედგა თვალწინ. მასზე უკეთ არავინ იცოდა, რის ფასად შეინარჩუნა მისმა შვილმა ის სავარძელი, რომელზეც ახლა იჯდა. ახლანდელი დრო სხვა არის, სენიორ, ახლა ძალაუფლება ხილვადი მატერიაა, შეიგრძნობ კიდეც, ერთი სიტყვით, შუშის ბურთულასავით გიდევს ხელის გულზე, როგორც ჩემს შვილს უყვარს ხოლმე თქმა. წინათ კი ძალაუფლება თევზივით სხლტებოდა ხელიდან და ულვთოდ და უკანონოდ დაცურავდა სასახლეში, რომელიც მაშინ ნამდვილ საგიჟეთს წარმოადგენდა. ამ საგიჟეთში მის შვილს ჯგროდ დასდევდნენ ის ხარბი, გაუმაძღარი ადამიანები, ფედერალური ომის დროს რომ დაესმარნენ უძლიერესი დიქტატორის გენერლისა და პოეტის ლაუტარო მუნიოსის დამხობაში, მაგრამ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მოითხოვეს ქვეყნიდან გაძევებული ძველი ფეოდალების ადგილ-მამულები და პირუტყვი. მთელი ქვეყანა ავტონომიურ პროვინციებად დაჰყვეს და დაინაწილეს, პრეზიდენტს კი გამოუცხადეს, ჩემო გენერალო, სწორედ ეს არის ფედერაცია, სწორედ ამიტომაც გავიღეთ სისხლი საკუთარი ვენებიდანო, და გახდნენ კიდეც ამ პროვინციების ერთპიროვნული მეფეები, ჰქონდათ საკუთარი კანონები, საკუთარი ხელმოწერით დამოწმებული საკუთარი ფულის ნიშნები, საკუთარი დღესასწაულები ანუ თავიანთ დაბადების დღეს ეროვნულ დღესასწაულად აცხადებდნენ, თავს იწონებდნენ ოქროსა და ვერცხლის სირმებით ამოქარგული მუნდირებით, ბრილიანტის თვლებით მოოჭ-

ვილი ხანჯლებითა და ხმლებით, ფარშავანგის ბუმბულით გაწყობილ სამკუთხა ქუდებით, ეს მორთულობა ვიცე-მეფეთა ეპოქის დროინდელ ძველ ლითოგრაფიებიდან გადმოეღოთ. ნამდვილი ტლუ ხალხი იყო, სენიორ, გაუთლელი, სასახლეში მთავარი შესასვლელიდან შემოჯლიგინდებოდნენ ხოლმე მოურიდებლად, დაუპატიჟებლად, [illegible] თუ ყველასია, ჩემო გენერალო, ეს სასახლეც ყველასია, [illegible] ხომ არ მივდიოდით სიკვდილთან პირისპირ შესახვედრად. სასახლეში სტუმრობისას თან ახლდათ თავიანთი ქალები, ლამის მთელი ჰარამხანა, მოჰყავდათ აურაცხელი საკლავი საკუთარი სტომაქის ამოსაყორად. აბა, როგორ, მშვიდობა რომ დავამყარეთ, ჭამაც ხომ გვინდაო, და საწყალ ხალხს ძარცვავდნენ, საქონელს ართმევდნენ, ქალების გარდა პირადი მცველებიც ახლდათ. ეს იყო დაქირავებულ ბარბაროსთა ხროვა, ნამდვილი მხეცები, ჩექმის მაგივრობას ფეხსახვევი უწევდათ, ქრისტიანული ლაპარაკისა არაფერი გაეგებოდათ. სამაგიეროდ ბრწყინვალედ ფლობდნენ ყველანაირ თაღლითობას ზარისა და ბანქოს თამაშისას, ოსტატურად ხმარობდნენ ყველანაირ საბრძოლო იარაღს. ამ ტლუ, დაუპატიჟებელი სტუმრების გაუთავებელმა შემოსევებმა პრეზიდენტის სასახლე ბოშათა ბანაკს დაამსგავსა, სენიორ. ისე ყარდა იქაურობა, გეგონებოდა, მდინარეებმა ყველანაირი სიბინძურე გამორიყეს ნაპირზეო. გენერალური შტაბის ოფიცრებმა თავთავიანთ სახლებში გაზიდეს ავეჯი, არადა, ეს ავეჯი ხომ რესპუბლიკის საკუთრება გახლდათ, სენიორ. დომინოს თამაშისას სამთავრობო პრივილეგიებს ჩამოდიოდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ ბენდისიონ ალვარადოს ბუზღუნს. ქალი წელებზე ფეხს იდგამდა, ეგებ როგორმე ცოტა მაინც მოვაწესრიგო ეს ამყრალებული,ნაგვით ამოვსებული თავლაო. იგი ერთადერთი იყო, ვინც ამჩნევდა, ფედერალისტების ლიბერალური მოძრაობა სნებასავით როგორ ედებოდა ყველას, როგორ ლპებოდა ირგვლივ ყველაფერი. ამაოდ ცდილობდა ცოცხით გაეყარა სასახლიდან ეს თავხედები და უსაქმურები. ბანქოს თამაშისას უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებს ჩამოდიოდნენ, პედერასტები პიანინოს უკან ჩალიჩობდნენ, ვიღაც-ვიღაცები პირდაპირ ალებასტრის ამფორებში იცარიელებდნენ კუჭს. რას სჩადით. სენიორ, უნიტაზი ან ღამის ქოთანი ხომ არ გგონიათ, ეს ზღვის ფსკერიდან ამოღებული უძველესი ამფორააო. მაგრამ ვინ უგდებდა ყურს, პასუხად ხორხოცებდნენ, აბა, რა ეგონათ მდიდრებს, ხომ გავყარეთ აქედან, ახლა რასაც გვინდა, იმას ვიზამთ, და კვლავ ბილწავდნენ უძვირფასეს ამფორებს. ისეთი გაუთლელები იყვნენ, არც კაცის რიდი ჰქონდათ და არც ღმერთის. გენერალ ადრიანო გუსმანის მოთოკვაც კი ვერავინ შეძლო. პრეზიდენტად ჩემი არჩევის ათი წლისთავის აღსანიშნავ წვეულებაზე ისე გამოთვრა, არავინ რომ არ ელოდა. არადა, მოწესრიგებული კი გამოცხადდა, თეთრი ტილოს მუნდირი ეცვა, წინა დღით ოფიცრის პატიოსანი სიტყვა მომცა, უიარაღოდ მოვალო და მართლაც უიარაღოდ მოვიდა. სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული უცხოური ლეგიონიდან გადმობირებული ფრანგი პირადი მცველები ახლდნენ, საჩუქრებით ხელდამშვენებულები. გენერალს ელჩებისა და მინისტრების ცოლებისთვის ეყიდა და როგორც ნამდვილ კაბალიეროს შეჰფერის და როგორც ვერსალის სასახლეში იყო მიღებული, ჯერ ქმრებისგან აიღო ნებართვა და

შემდეგ პირადად დაურიგა ქალბატონებს. ამის შემდეგ დარბაზის კუთხეში მიუჯდა მაგიდას და იქიდან შესცქეროდა მოცეკვაველებს. მეწონების ნიშნად აქნევდა თავს, კარგად ცეკვავენ ეს ევროპელი ფრანტიბიო. იჯდა თავისთვის მარტო, თითქოს ყველასგან მივიწყებული და გარიყული, მაგრამ დავინახე, ერთი მცველი შამპანურს უსხ[illegible] ისიც ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და ბოლოს ისე გაიტიკნა, ისე [illegible] გაოფლიანდა, დედა, რომ მუნდირი შეიხსნა და სლოკინ-ბოყინითაც გააყრუა იქაურობა, სოლო როცა მოცეკვაველებმა ცოტახნით შეისვენეს, ბანცალ-ბანცალით წამოდგა, მთლად გამოლენჩებულმა და გათიშულმა ხვანჯარი შეიხსნა, თავისი შლანგი ამოიღო და მთვრალი კაცის ამჟავებული შარდი მიუშვა ელჩებისა და მინისტრთა ცოლებისაკენ, მათი კალთებაწეული კაბებისაკენ, ოქრო-ვერცხლით მოსირმულ კორსეტებისაკენ, სირაქლემას ფრთების მარაოებისაკენ. წარმოუდგენელი ამბავი დატრიალდა, დედა, გუსმანი კი ვითომც არაფერიო, თავის საქმეს განაგრძობდა და თან მღეროდა, ვარ უიმედოდ შეყვარებული, შენს ბალ-ედემში ვარდებსა ვრწყავ, ო, მშვენიერო ვარდებო. ვერავინ გაბედა მასთან ახლოს მისვლა, რათა კინწისკვრით გაეგდოთ სასახლიდან, მეც ვერ გავბედე, დედა, თუმცა ძალაუფლება მე მეტი მაქვს, ვიდრე რომელიმე მათგანს ცალკე, მაგრამ ბევრად ნაკლები, ვიდრე ორ შეთქმულს. ეს ასე იყო, მაგრამ მიხვედრით ვერავინ ხვდებოდა, რომ პრეზიდენტის, ამ ქვასავით მაგარი კაცის თვალს არაფერი გამოეპარებოდა, ყველაფერს ხედავდა, იცოდა, ვინ როდის რას ფიქრობდა, სამაგიეროდ არავინ იცოდა, თვითონ ის რას ფიქრობდა, რას მოიმოქმედებდა, არავინ იცოდა, მისი გარეგნული სიმშვიდის უკან ცივი ანგარება, რაღაცის მოლოდინი და უდიდესი მოთმინება რომ იმალებოდა, რათა შემდეგ ერთბაშად ამომსკდარიყო და წაელეკა ყველაფერი. ამიტომაც ედგა თვალებში უსაზღვრო სევდა, ამიტომაც ჰქონდა მოკუმული უსისხლო ტუჩები. ხმლის ვადაზე ჩაჭიდებული ქალური ხელი ოდნავადაც არ შეტოკებია იმ საშინელ შუადღეს, როცა მოახსენეს, ჩემო გენერალო, არმიის მეთაური ნარსისო ლოპესი არყით ისე გამოთვრა, რომ ფეხსალაგში ერთ დრაგუნთა ოფიცერს კაი გამოცდილი კახპასავით აეკიდა და არ მოეშვა, მოდი ჩემთან, ჩემო სიყვარულო, დაემუქრა კიდეც, ეს ბრძანებაც არისო. მერე, როცა გამოფხიზლდა, ოთხზე იდგა ამყრალებულ ფეხსალაგში თავჩარგული. შეურაცხყოფილმა და ტკივილისგან ატირებულმა ეს თავისი კოხტაპრუწა დრაგუნი ჰაერში ასწია და სხდომათა დარბაზში შუბით პეპელასავით მიაკრა გაზაფხულის ფერებად აჭრელებულ გობელენზე. სამი დღე ეკიდა ის უბედური, ვერავინ გაბედა გვამის ჩამოხსნა. პრეზიდენტის გულს სულაც არ მიკარებია ეს ამბავი, თავისი სადარდებელი გასჩენოდა, ყოფილი თანამებრძოლები მე ნუ მომიწყობენ შეთქმულებას და თვითონ თუ უნდათ, ერთმანეთი დაუჭამიათ, გული მეუბნება სულ მალე ასეც მოხდებაო. მართლაც, ერთ დღეს ახალი ამბავი მოახსენეს, ჩემო გენერალო, გენერალი ხესუსიტო სანჩესი თავისივე მცველებმა მოკლეს, ცოფიანმა კატამ უკბინა თურმე და თვითონაც გაცოფებულა. საწყალი კაცი. ერთხელაც, ის იყო დომინოს პარტიას ამთავრებდა, რომ ამბავი მოუტანეს, გენერალი ლოტარიო სერენო ცხენით შესულა მდინარეში გალმა ნაპირზე გასასვლელად. შუა

მდინარეში ცხენი უცაბედად მომკვდარა, გენერალმა კი გონს მოსვლა ვერც მოასწრო, ისე წავიდა ფსკერისკენო. საწყალი კაცი. ჩემო გენერალო, კიდევ მოხდა ერთი ამბავი. გენერალმა ნარსისო ლოპესმა ვერ გადაიტანა თავისი პედერასტობა, დინამიტი შეიკვეხა უკან და თავი აიფეთქა, ნაფლეთებად იქცა თურმე. საწყალი კაცი. ერთი სიტყვით, მისი ყოფილი თანამებრძოლები იმ ქვეყანაში მიიბარგებულნ, ეს კი სინანულით ამბობდა, საწყალი კაციო. ნამდვილად ურწმუნო და ცოდვილი უნდა ყოფილიყავი, ამ გენერლების უეცარი სიკვდილი პრეზიდენტისთვის დაგებრალებინა. მთავრობამ სათითაოდ ყველაზე გამოაცხადა ოფიციალურად, სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას დაიღუპაო. სამივე დიდი პატივით დაკრძალეს ეროვნულ გმირთა პანთეონში, რადგან უგმირო ქვეყანა იგივეა, რაც უკარო სახლიო, ხშირად უთქვამს მას. როცა ექვსი გენერალიღა შემორჩა ქვეყანას, ექვსივე სასახლეში მიიპატიჟა თავის დაბადების დღეზე. იმ ექვსიდან ყველაზე საშიში და ვერაგი ხასინტო ალგარაბია იყო, სენიორ, დენთშერეულ ხის სპირტს სვამდა, საკუთარ დედას შვილი გაუჩინა იმ წყეულმა. მარტო ჩვენ ვიქნებით, სხვა არავინ დამიპატიჟნია, ძველი დრო გავიხსენოთ, როგორც ძმებს შეეფერით, უიარაღოდ მოდითო, გააფრთხილა პრეზიდენტმა თანამებრძოლები. მართლაც, ექვსივე მოვიდა, სენიორ, საბანკეტო დარბაზში მოიყარეს თავი, უიარაღონი იყვნენ, შეთანხმებისამებრ, მაგრამ პირადი მცველები მაინც იახლეს და ყოველი შემთხვევისთვის ოთახებში, მთელ შენობაში დაანაწილეს. ძვირფასი საჩუქრებით ხელდამშვენებული გენერლები არც ლამაზ-ლამაზ სიტყვებს იშურებდნენ მასპინძლისთვის, ერთადერთი ხართ ჩვენ შორის, ვინც გაისარჯეთ და თავი მოგვიყარეთო. მართლაც, მის მოპატიჟებაზე ლეგენდარული გენერალი სატურნო სანტოსიც კი გამოძვრა თავის ბუნაგიდან. ეს ნაღდი პარამოელი ინდიელი, კახპის შვილი და დაუნდობელი კაცი მუდამ ფეხშიშველი დადიოდა. ნამდვილ მამაკაცებს სუნთქვა არ შეგვიძლია, თუ მიწა არ შევიგრძენითო ამბობდა ის. ახლაც ფეხშიშველი მოვიდა, უცნაური ცხოველებით მოხატული პონჩო ჩამოეცვა მხრებზე, როგორც სჩვეოდა, უმცველებოდ იყო და განუყრელი მაჩეტე[1] წამოეღო თან. ჩაბარებით არავის ჩააბარა, ეს საბრძოლო იარაღი კი არა, შრომის იარაღიაო. გაწვრთნილი არწივი მაჩუქა, დედა, პატიოსან, ნაღდ კაცურ ბრძოლაში გამოგადგებაო. არფაც მოიტანა. მის ღვთიურ ხმას რამდენჯერ ჩაუყუჩებია დამანგრეველი გრიგალი და გადაურჩენია მოსავალი. სატურნო სანტოსმა ისეთი გზნებით წამოიწყო სიმღერა, ისეთი გატაცებითა და შთაგონებით უკრავდა, რომ ომის დროინდელი საშინელი ღამეები გაგვახსენა, ომის დაწყების დღე და ომის სუნი გაგვახსენა, დედა, და ეს გახსენება ქეციანი ძაღლის ფხანას ჰგავდა. სატურნო სანტოსი თავისი სიმღერით სულში ჩაგვიძვრა, აგვაფორიაქა და ჩვენც ავყევით, ყველანი ერთხმად ვმღეროდით საბრძოლო ოქროს ნავზე, რომელიც სადღაც შორს მიგვაცურებდა — თვალცრემლიანი დავბრუნდი ხიდიდან. სტუმრებმა მოილხინეს,

---

1 ერთგვარი დანა, უმეტესწილად იხმარება სოფლის მეურნეობაში. მაგ.: შაქრის ლერწმის ჭრისას.

დედა, მღეროდნენ, ჭამდნენ და სვამდნენ, მაგიდიდან სწრაფად გაქრა ქლიავით ამოვსებული მოხარშული ინდაური, ნახევარი შემწვარი ბურვაკი, ყველას თავისი ბოთლი ედგა წინ და ყველა თავისი ბოთლიდან სვამდა საკუთარ სასმელს, ყველა, გარდა გენერალ სატურნო სანტოსისა და პრეზიდენტისა. საერთოდაც, ერთი წვეთი ლიქიორი რა ერის, ისიც კი არ გაუსინჯავთ ცხოვრებაში, არც პაპიროსი მოუწევიათ, ჭამითაც იმდენს ჭამდნენ, მშივრები არ ყოფილიყვნენ. საბრძოლო სიმღერების შემდეგ გენერლებმა პრეზიდენტს მეფე დავითის დილის ფსალმუნები უმღერეს, თვალაცრემლებულებმა უმღერეს ის ძველი მისალოცი სიმღერაც, რომელსაც აქაურები მღეროდნენ იმ ხანამდე, ვიდრე კონსულმა ჰანემანმა პრეზიდენტს არ მიართვა უიშვიათესი საჩუქარი, ახლად მოგონილი ფონოგრაფი უზარმაზარი ცილინდრივით მილითა და ერთხელ და სამუდამოდ ჩაწერილი Happy birthday[1]-ით. სანახევროდ ძილმორეული და სანახევროდ მკვდარი სტუმრები მაინც განაგრძობდნენ სიმღერას და სმას, ეპირფერებოდნენ თავიანთ მეგობარ ნაღვლიან ბერიკაცს, რომელიც, საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა თუ არა, წამოდგა და ლამპით ხელში ყაზარმული წესით შემოიარა ოთახები, და ვიდრე თავის საძინებელს მიაშურებდა, კვლავ სასტუმრო დარბაზში დაბრუნდა. უგონოდ მთვრალი გენერლები იატაკზე ეყარნენ ერთმანეთს ჩახვეულები. ყველას ეძინა გარდა სატურნო სანტოსისა. ხუთი გენერლის ძილს ხუთი მცველი დარაჯობდა. მეექვსე გენერალს სატურნო სანტოსს მცველი არ ჰყავდა და არც არავინ დარაჯობდა მის ძილს. მცველები თვალს არ აცილებდნენ ერთმანეთს, მართალია, გენერლებს ძმურად ჩახვეულებს ეძინათ, მაგრამ ისინი ძილშიც არ ენდობოდნენ ერთმანეთს და ზუსტად ისე ეშინოდათ ერთმანეთისა, როგორც ყოველ მათგანს პრეზიდენტისა, ხოლო თავად პრეზიდენტს ყველასი ცალ-ცალკემით უმეტეს, ორი ერთმანეთს ჩახუტებულისა უფრო შეეშინდებოდა, რადგან ორი კაცი უკვე შეთქმულებას ნიშნავდა მისთვის. მასპინძელი თავის სტუმრებს უკანასკნელად ხედავდა, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი მძინარეთ და თავისი საძინებლისკენ გასწია, ლამპა კაუჭზე დაკიდა, კარი სამ ბოქლომზე, სამ გასაღებზე, სამ ურდულზე დაკეტა, იატაკზე პირქვე დაეგდო და ის იყო მარჯვენა ხელი ბალიშივით დაიდო და სახეშიგ ჩარგო, რომ სასახლე შეაზანზარა მცველების ერთდროულმა გასროლამ, ერთი, ესეც ასე, არავითარი ხმაური, არავითარი კვნესა, კიდევ ერთი, ესეც ასე, მორჩა, დამთავრდა ღონისძიება, ირგვლივ დასადგურებული მდუმარება დენთის კვამლში ჩაიძირა. დილით რომ გაიღვიძა, საბოლოოდ დარწმუნდა, აღარავინ და აღარაფერი ემუქრებოდა მის ძალაუფლებასა და ერთადერთობას. მცველები სისხლის გუბეში დატოპავდნენ, წმენდნენ და ასუფთავებდნენ წუხანდელი მეგობრული ნადიმის დარბაზს. ბენდისიონ ალვარადო შეძრწუნებული შესცქეროდა კედელს, საიდანაც სისხლი მოჟონავდა. ნაცარიც მოაყარეს, კირითაც შეფეთქეს, მაგრამ ამაოდ, კედლიდან ოფლივით ჟონავდა სისხლი. სისხლი სდიოდათ ხალიჩებსაც, თუმცა წამდაუწუმ წურავდნენ ზეწრებივით, სდიოდათ კედლებს დერეფნებში, ოთახებში. წმენდნენ, აშრობდნენ, ის

---

1 დაბადების დღის მისალოცი ტრადიციული სიმღერა.

კი გაუთავებლად დიოდა და დიოდა. ამაო იყო ყოველგვარი ცდა, წაეშალათ ომს გადარჩენილ უკანასკნელ გმირთა დახოცვის კვალი. მოსახლეობას ოფიციალურად აუწყეს, ჩვენი სახელოვანი გენერლები ტვინნალრძობმა პირადმა მცველებმა მოკლესო. მიცვალებულები ეროვნულ დროშებში გაახვიეს და დიდი პატივით დაკრძალეს გმირთა პანთეონში. თავად ეპისკოპოსმა გადაუხადა მათ პანაშვიდი. [illegible] შეეხება პირად მცველებს, სასახლიდან არცერთი არ გასულა ცოცხალი, არცერთი, ჩემო გენერალო, გენერალ სატურნო სანტოსის გარდა, ტყვიაგაუმტარმა ნაკურთხმა ავგაროზმა გადაარჩინა. მოგეხსენებათ, ინდიელები გრძნეული ხალხია, სენიორ, სანტოსმაც ბევრი საიდუმლო შეითვისა თავის ტომისგან, რადაც მოისურვებდა, იმად შეეძლო ქცეულიყო, კუდ, ჭექა-ქუხილად, გუბედ. რაკი იაგუარებზე საგანგებოდ დაგეშილმა ძაღლებმაც კი ვერ მიაგნეს სანტოსის კვალს, პრეზიდენტს სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა ერწმუნა ეს ყველაფერი. მკითხავი ირწმუნებოდა, ცოცხალიაო. ჩემო გენერალო, ხომ ხედავთ ამ ჯვრის პაპას, სწორედ ეგ არის თქვენი სანტოსიო. რადაც არ უნდა დაჯდეს, უნდა იპოვონ. სანტოსი ერთადერთი თვითმხილველია ყოველივე იმისა, რაც მოხდა და როგორც მოხდა იმ ღამეს. ეძებდნენ დღისით თუ ღამით, ეძებდნენ წლების მანძილზე, ეძებდნენ მანამ, სანამ ერთხელ პრეზიდენტმა თავისი ვაგონის ფანჯრიდან არ დაინახა ტვირთაკიდებული ქალები, კაცები, ბავშვები. ომის დროს არაერთხელ შესწრებია ასეთ სურათს, მთელი სოფელი აიყრებოდა და პირუტყვთან ერთად ფედერალისტების ჯარს მიჰყვებოდა უკან. მაგრამ ამჯერად ხალხი ჯარს კი არა, ერთ სახეგაცრეცილ, დაღლილ, ჩამოძონძილ კაცს მიჰყვებოდა უკან. მოდიოდნენ კოკისპირულ წვიმაში, სნეულებს ჰამაკებით მიაკონწიალებდნენ. ჩემო გენერალო, ეს კაცი თავის თავს მესიას უწოდებს, ამიტომაც მიჰყვება ხალხი. პრეზიდენტმა შუბლში შემოიკრა ხელი, დალახვროს ეშმაკმა, ეს ხომ სატურნო სანტოსია. მართლაც ის იყო, მართლაც მესიად ასაღებდა თავს და ქადაგებით გაჰქონდა თავი. ხანდახან თავის ჯადოსნურ არფაზეც უკრავდა და ხალხიც ხან რას უწყალობებდა და ხან რას. ჰო, ეს სანტოსი იყო, მათხოვარი, პირქუში, ჩამოძონძილ პონჩოსა და გაქუცულ ფეტრის შლაპაში, მაგრამ მიუხედავად ასეთი გარეგნობისა ის მაინც საშიში იყო და ასე ადვილად ვერ მოკიდებდა ხელს. იმ ღამეს, როცა პრეზიდენტის სამი ყველაზე ყოჩაღი და გაბედული მცველი მის დაჭერას ლამობდა, მაჩეტეს ერთი მოქნევით წააცალა თავები სამივეს. ამის გახსენებაზე მან ბრძანა, მატარებელი გაეჩერებინათ ამ სასაფლაოსავით პირქუში პარამოს შუაგულში, მესიის გარშემო შეკრებილი ხალხის მახლობლად. როგორც კი ეროვნული დროშის ფერებად შეღებილ ვაგონიდან პრეზიდენტის მცველები გადმოცვივდნენ ჩახმახშემართული თოფებით ხელში, ხალხი შეშინებული მიმოიფანტა აქეთ-იქით. მხოლოდ სატურნო სანტოსს არ მოუცვლია ფეხი, გახევებული იდგა თავის მისტიკურ არფასთან, ხელში მაჩეტე ჩაებღუჯა და თვალები პრეზიდენტის ვაგონისათვის მიეციებინა. ვაგონის კიბეზე უიარაღო და უნიშნო მუნდირიანი ბერიკაცი იდგა. თითქოს საუკუნე არ გვენახოს ერთმანეთი, ჩემო გენერალო. სანტოსი თვალებს არ უჯერებდა, როგორ დაბერებულა, დაჩაჩანა-

კებულა, დაღლილი, შორეული და მარტოსული ჩანს. ეტყობა, ღვიძლი აწუხებს, სახეზე ყვითელი ფერი ადევს, თვალები ეცრემლება. და მაინც ეს დაუძლურებული ბერიკაცი ირგვლივ ძალაუფლების ემანაციას აფრქვევდა, იმ ერთპიროვნული ძალაუფლებისას, კარგა ხნის წინ ძალაუფლების სხვა მსურველთა დახოცვის შემდეგ რომ ჩაიგდო ხელში. გენერალი სატურნო სანტოსი სიკვდილისათვის მოემზადა. სულ ბოლოს წამში გადაწყვიტა, თავისით დანებებოდა. სულერთია, ძალაუფლებისათვის გაგიჟებული ეს ბერიკაცი არ მოასვენებს, ქვესკნელშიც იპოვის, მაგრამ სანტოსის გასაოცრად პრეზიდენტმა თევზივით ხელი გაუწოდა, ღმერთმა დაგლოცოს, მაჩო, სამშობლოს ღირსეულო შვილო. პრეზიდენტმა იცოდა, თუ გინდა მოწინააღმდეგე გატეხო, მეგობრად და კეთილისმყოფლად უნდა მოაჩვენო თავი. ეს არის მტრის დამარცხების ერთადერთი იარაღი. მართლაც, სატურნო სანტოსი პრეზიდენტის ფერხთით დაემხო და მის ნატერფალს ემთხვია მიწაზე. ჩემო გენერალო, ნება მომეცით, ერთგულად გემსახუროთ მანამ, სანამ აი, ამ მაჩეტეს შეუძლია იმღეროს ჩემს ხელებში. პრეზიდენტმა იგი შეიწყალა და თავის გუარდა-ესპალდად[1] დანიშნა, ოღონდ იცოდე, ზურგს უკან არასოდეს დამიდგე. დომინოს თამაშისას მეწყვილეობაც უნდა გამიწიო. მართლაც, დომინოს თამაშისას ოთხი ხელით არაერთხელ გაუფცქვნიათ პირწმინდად არაერთი ჩამოგდებული დიქტატორი. პრეზიდენტი ახალ მცველს ყველგან დატარებდა თავისი კარეტით, დაჰყავდა დიპლომატიურ შეხვედრებზე, წვეულებებზე. ისიც, როგორც სჩვეოდა, ფეხშიშველი დაჰყვებოდა, ნადირივით ყარდა, ძაღლებიც კი გაურბოდნენ, ელჩების ცოლებს ხომ საერთოდ, გული მისდიოდათ მის სუნზე. რაკი დროც არეული იყო და ქვეყანაც, პრეზიდენტს კოშმარული სიზმრები ტანჯავდა, სიზმარში ხალხის პირისპირ მარტო დარჩენისა სიკვდილივით ეშინოდა და სატურნო სანტოსს უბრძანა, ჩემი ოთახის კართან დაიძინეო. ისიც საძინებელი ოთახის კართან იატაკზე მიეგდებოდა და ეძინა, პრეზიდენტს კი გული საგულეს ჰქონდა, რაკი ვილაცის ცოცხალ სულს იქვე, სულ ახლოს ეძინა და სიზმარში მარტო აღარ იქნებოდა. წლების მანძილზე გვერდიდან არ მოუშორებია მცველი. მართალია, ბოლომდე არ ენდობოდა, ახლოს არ უშვებდა, მაგრამ გვერდით კი ნამდვილად ჰყავდა მანამდე, ვიდრე სატურნო სანტოსი შარდის სიმჟავემ არ შეაწუხა და არ წაერთვა მაჩეტეს ამღერების უნარი. ჩემო გენერალო, მომკალით, სხვას ნუ მოაკვლევინებთ ჩემს თავს, მხოლოდ თქვენ გაქვთ ამის უფლება. მაგრამ პრეზიდენტმა კარგი პენსია დაუნიშნა, ერთგულებისათვის მედალიც დაჰკიდა და მშობლიურ მხარეში, საქონელპარიების ერთ მიყრუებულ მთის სოფელში გაუშვა სასიკვდილოდ. ცრემლიც კი გაუკრთა თვალებში, როცა გენერალმა სანტოსმა გამომშვიდობებისას ქვითინი ვერ შეიკავა და ნაღვლიანად შეჰკადრა პრეზიდენტს, ხომ ხედავთ, ჩემო გენერალო, ზოგჯერ მაჩოებიც დედლები ვხდებითო. ბენდისიონ ალვარადომ ძალიან კარგად იცოდა, რის ფასად შერჩა მის შვილს პრეზიდენტის სავარძელი, ძალიან კარგად იცოდა შვილის ბავშვური გატაცების მიზეზიც, მისი ხელგაშლილობა, ფანტვა ფულისა, რომელიც ძალაუფლებამ მოუტანა.

---

1 სიტყვასიტყვით: ზურგის მცველი. ის, ვინც ზურგს უკან დგას.

უბრალოდ, წარსულის ანაზღაურება სურდა, სიბერეში ყიდულობდა იმ-ას, რაც ბავშვობაში აკლდა. დედამისი კი ამ დროს თავის გულს ასკდე-ბოდა, ჩემი შვილის გულუბრყვილობით ბევრი სარგებლობს და გრინ-გოების უაზრო, უმაქნის ნივთებს ძალით და თანაც ძვირად ჩრიან ხელ-შიო. ბენდისიონ ალვარადომ იცოდა, გროშიც რომ არ ეღირდა ეს ნივთე-ბი, ყოველ შემთხვევაში, მის ჩიტებზე მეტი არა. თუმცა ჩიტების დახა-ტვა არც ისე იოლი საქმე იყო, ნიჭსა და ეშმაკობას მოითხოვდა, ერთ ჩიტში ოთხ პესოზე მეტს მაინც არავინ იძლეოდა. შენი სათამაშოების სა-წინააღმდეგო არაფერი მაქვს, ეუბნებოდა იგი შვილს, მაგრამ იქნებ მო-მავალზეც გეფიქრა, სულაც არ მინდა სამოწყალოდ ხელგაწვდილი გი-ხილო რომელიმე ეკლესიის კართან, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ხომ შე-იძლება, ერთ მშვენიერ დღეს მაგ რბილი სავარძლიდან გადმოგაგდონ, მაშინ რას იზამ. სიმღერა რომ გეხერხებოდეს, ან არქიეპისკოპოსი იყო, ან სულაც მეზღვაური, მაშინ კიდევ არა უშავს, როგორმე გაიტანდი თავს, მაგრამ შენ ხომ, ჰა, დიდი-დიდი გენერალი ხარ და მარტო ბრძან-ებების გაცემა გეხერხება, შენს ადგილზე სამთავრობო ხარჯებიდან ცო-ტაოდენ ფულს მოვიტოვებდი და მიწაში ჩავფლავდი საიმედოდ. სხვა პრეზიდენტებივით შენც რომ ამოგკრავენ პანღურს, გამოგადგებოდა. არ ამოუკრავთ პანღური ვინმესთვის თუ რა. რამდენს შეაქცია ზურგი სამშობლომ, რამდენი დაივიწყა, დროდადრო მშობლიური გემის გუგუნ-საც კი ღვთის წყალობად იღებენ და იმასაც ჯერდებიან ის საცოდავები. ხომ არ დაგავიწყდა სახლი კლდეზე, ხომ არ დაგავიწყდა, ვინ ცხოვრობს იქ, ჰოდა, თუ არ დაგავიწყდა, მაშინ ისიც გახსოვდეს, რომ როცა იმ ხალხს უყურებ, სარკეში იყურები, იცოდე. მაგრამ შვილი დედის ლაპა-რაკს აინუნშიც არ აგდებდა, მაგიური სიტყვებით ამშვიდებდა, ნურა-ფრისა გეშინია, დედა, ხალხს მე ვუყვარვარ. ბენდისიონ ალვარადომ ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და მთელი ეს ხანი სიღარიბეზე წუ-წუნებდა, მოახლეებს ლანძღავდა, ბაზარში უყაირათოდ ხარჯავთ ფულ-სო, ზოგჯერ სადილზეც ამბობდა უარს, ოღონდ ფული არ დახარჯუ-ლიყო ზედმეტად. არადა, სიმართლის თქმასაც ვერავინ უბედავდა, თქვენ ხომ ერთ-ერთი უმდიდრესი ქალი ხართ დედამიწის ზურგზეო. სახელ-მწიფოს ხარჯზე არმად ნაშოვნ სიმდიდრეს მისი შვილი დედის სახელზე აფორმებდა. ქალმა არც იცოდა, უკიდეგანო მიწების, აურაცხელი პი-რუტყვის, ტრამვაის ხაზების, ფოსტა-ტელეგრაფისა და ეროვნული წყლების მფლობელი რომ იყო. იგი ისე მოკვდა, არ იცოდა, ჩვენს ტე-რიტორიულ წყლებში შემოსული ყოველი გემი სავალდებულო ბაჟს რომ იხდიდა მის სახელზე. არ იცოდა, რომ მისი შვილი არც ისე ბავშვუ-რად მიამიტი იყო, როგორიც ეჩვენებოდა, სათამაშოები ვითომ დედის-თვის მიჰქონდა საჩუქრად, სინამდვილეში თვითონ ერთობოდა. არ იც-ოდა, ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ საქონლის დაკვლისთვის დაწესებული გადასახადის მთელი თანხა მისი შვილის ჯიბეში რომ მიდიოდა. არ იცო-და, მისი შვილი თანაპარტიელებისგან კარგა დიდ გასამრჯელოს და ძვირფას საჩუქრებს რომ იღებდა. ეს კიდევ არაფერია, ლატარიის გა-თამაშების წესებს თვითონ ადგენდა და უმართლებდა კიდეც. ეს იმ ამ-

ბების მერე ხდებოდა, სენიორ, საკუთარი სიკვდილი რომ გაითამაშა, დიდი ხმაურის წლებში. ისე, სიტყვამ მოიტანა, სენიორ, და დღემდე არავის შეუწუხებია თავი, ხალხისათვის აეხსნა, რა მოხდა მაშინ, რატომ მოიხსენიებენ იმ წლებს ხმაურის წლებად. ბევრს ჰგონია ერთ-ერთი წმ. მარტვილის სსენების ღამეს მთელი ქვეყანა რომ მიწისქვეშა [illegible] თურმა გუგუნმა შეაზანზარა, იმიტომ იხსენიებენ ასე. სინამდვილეში კი საქმე ასე იყო, იმ ხანებში წარმოუდგენელი ხმაურით იწყებოდა ყოველნაირი მშენებლობა, საძირკველს ჩაუყრიდნენ ვითომ რომელიმე შენობას და მაშინვე ატეხავდნენ ხმაურს, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მშენებლობას ვიწყებთო. აშენებით არაფერი აშენებულა, სენიორ, ხმაური კი ზომაზე მეტი იყო ყოველთვის. იმ ხანებში პრეზიდენტს ჩვევად ჰქონდა, სახელმწიფო საბჭო მაინცდამაინც სიესტის საათებში და სასახლეში კი არა, მაინცდამაინც დედამისის ქალაქგარეთა სახლში მოეწვია. იწვა არხეინად ტამარინდების ჩრდილში გაკიდულ ჰამაკში, სახეს სომბრეროთი ინიავებდა და თვალდახუჭული უსმენდა ჰამაკის გარშემო შემოჯარულ, პომადით ულვაშგადაგლესილ, ცელულოიდის საყელოიან სუკნოს სერთუკებში გამომწყვდეულ, ოფლად გაღვრილ ენაფხანია მინისტრებს. ახლა, ამ წუთას, ძილს არაფერი ერჩივნა, მაგრამ იძულებული იყო ეფხიზლა, ჩემთვის რაიმე სასარგებლო არ გამომეპაროსო. ეზოში მამლები ფრთების ფართქუნით დასდევდნენ აკრიახებულ დედლებს, ჭრიჭინებსაც დაუღლელად გაჰქონდათ ჭრიჭინი და ამ ფართქუნში, კრიახსა და ჭრიჭინში იკარგებოდა ენად გაკრეფილ მინისტრთა ხმები. სადღაც იქვე გრამოფონიც იკლავდა თავს, სუსანა, მოდი ჩემთან, სუსანა. ჰამაკში ნებივრად გაშხლართული ყურს უგდებდა ჰაერში გაბნეულ ხმებს და თვლემდა. მინისტრები ლაქლაქს წყვეტდნენ, ჩუმად, გენერალს ჩაეძინა, მაგრამ იგი სადღაც ყელიდან წამოსულ ხვრინვას უცებ გუდავდა და თვალგაუხელელად ხაოდა, განაგრძეთ, ყეყეჩებო, მე გისმენთ, და ისინიც განაგრძობდნენ. ამასობაში დასიცხული პრეზიდენტი როგორღაც უსხლტებოდა სიესტის აბლაბუდასა და მომთენთავ თვლემას და რაკი საბოლოო სიტყვა მას უნდა ეთქვა, ისიც ამბობდა, ბევრი სისულელე იყბედეთ, მხოლოდ ერთმა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა თქვა რალაც საქმიანი, ახლა დაიშალეთ, მორჩა ბაზარი. ამის მერე თავის პირად თანაშემწეებს იბარებდა და ერთ ხელში თეფშით და მეორეში კოვზით ბოლთას სცემდა თუ კიბეზე ადი-ჩადიოდა, დროს არ კარგავდა და სახელმწიფო საქმეებს წყვეტდა, ხოლო თუ არ წყვეტდა, ასეთ შემთხვევაში ბუზღუნს იწყებდა, რაც გინდათ, ის გააკეთეთ, მაინც მე ვარ აქ უფროსი. მისთვის უკვე სულერთი იყო, უყვარდათ იგი თუ არ უყვარდათ, ფეხებზე მკიდიაო, ამბობდა, საზოგადოებრივ თავყრილობებზე დაიწყო სიარული. თუ აქამდე საერთოდ არ ჩნდებოდა ხალხში, ან სანახევროდ ჩნდებოდა, ახლა მთელი ტანით, თავით-ფეხამდე ენახვებოდა ყველას. ხან რისა და ხან რის საზეიმო გახსნაზე პირადად ჭრიდა ლენტს. უნდა ითქვას, ასე არ გაურისკავს შედარებით მშვიდობიან დღეებშიც კი. ყურებზე ხახვი არ დამაჭრანო, ამბობდა. გაუთავებლად ეთამაშებოდა დომინოს თავის ძვირფას თანამემამულეებს გენერალ როდრიგო დე აგილარს და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს. მხოლოდ ეს ორი პიროვნება იყო მასთან დაახლოებული, მხოლოდ ამ ორს შეეძლო

გაებედა და ეთხოვა მისთვის რომელიმე პატიმრისა თუ სიკვდილმისჯილის შეწყალება. მხოლოდ ამ ორმა გაბედა ეთხოვა, აუდიენციაზე მიეღო უბრალო ხალხის წრიდან გამოსული ქალიშვილი, სილამაზის დედოფალი. ეს იყო საოცარი ყვავილი, აღმოცენებული სილარიბის წუმპეში, ანუ მოჩხუბარი ძაღლების უბანში. აქაური ძაღლები ერთმანეთს დილიდან დილამდე ეჩხუბებოდნენ და უღრენდნენ ერთმანეთს. ოფიციალურად შეერქვა ამ კვარტალს ეს სახელი. ეროვნული გვარდიის პატრულს ამ უბანში ცხვირის შეყოფაც კი ეშინოდა. ძაღლების ხროვა მაშინვე ეცემოდა და ტანსაცმელს აფლეთდა. მანქანებს ხომ წამში შლიდნენ ნაწილებად. რამდენჯერ მომხდარა, გზააბნეული სახედრები ერთი ქუჩიდან რომ შესულან, მეორედან ცარიელი ძვლების ტომარასავით გამოსულან. ამ დაწყევლილ უბანში, ჩემო გენერალო, მდიდართა შვილებს ხოცავდნენ და შემწვარს ჭამდნენ, მათი ხორცისგან ძეხვეულსაც ამზადებდნენ და ბაზარში ყიდდნენ. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ სწორედ ამ უბანში დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობს საბედისწერო მანუელა სანჩესი, ამ ნაგავსაყრელზე ამოსული კალენდულა. მისი სილამაზე ჩვენი სამშობლოს საოცრებაა, ჩემო გენერალო. ბოლოს და ბოლოს მასაც სძლია ცნობისწადილმა და, თუ ასეთი ლამაზია, როგორც თქვენ ამბობთ, მივიღებ კიდეც და შესაძლოა, პირველი ვალსიც ვეცეკვო, მერე გაზეთებშიც დაწერენ ამის თაობაზე, უბრალო ხალხს უყვარს ასეთი რამეები, ბრძანა მან. მაგრამ მანუელა სანჩესთან შეხვედრის შემდეგ, სალამოხანს, დომინოს თამაშისას პრეზიდენტმა გენერალ როდრიგო დე აგილარს უსაყვედურა, თქვენი ნაქები ლარიბთა დედოფალი არ ღირდა იმად, ვალსი მეცეკვა მასთან, ამ უბნის სხვა მანუელა სანჩესებისგან არაფრით გამოირჩევა, ჩაუცვამსს არშიებიანი მუსლინის კაბა, თავზე ყალბთვლებიანი მოოქროვილი გვირგვინი დაუდგამს და მართლა დედოფალი ჰგონია თავი. თავისი დედიკოსი ისე ეშინია და დედიკოც ისე დაჰფოფინებს, თითქოს სუფთა ოქროსი ჰყავდეს შვილი, მაგრამ ჯანდაბას მაგათი თავი, წყლისა და შუქის გაყვანა მთხოვა მოჩხუბარი ძაღლების კვარტალში და მეც შევპირდი, გავაკეთებ-მეთქი, თან გავაფრთხილე, სათხოვნელად ჩემთან ამის მეტად აღარ მოხვიდეთ-მეთქი. ტვინი წაიღეს, არ მიყვარს ლარიბებთან ლაპარაკი. დომინოს თამაში მიატოვა და ოთახიდან გასვლისას კარი მოიჯახუნა. როცა საათმა რვაჯერ ჩამორეკა, თავის ძროხებს მიაკითხა ფერმაში, ბალახი დაუყარა, მსახურს უბრძანა სასახლეში წაეღო ნაკელი, თვითონ კი სავახშმოდ გაეშურა. თეფშზე უკვე გაემზადებინათ მოთუშული ხორცი ლობიოს, ბრინჯის და ჭადრის ფოთლების სალათასთან ერთად, ისიც, როგორც სჩვეოდა, თეფშით ხელში და ჭამა-ჭამით შეუდგა თავის საქმეს, შემოიარა სასახლე, გადაითვალა ყარაულები, დაათვალიერა საგუშაგოები ჭიშკრიდან საძინებლებამდე, თოთხმეტი საგუშაგო უნდა ყოფილიყო, თოთხმეტი იყო. პირადი დაცვაც შეამოწმა, პირველ პატიოში დომინოს თამაშობდნენ, კეთროვნებსაც ვარდის ბუჩქებში ეძინათ უკვე, ხეიბრებიც თვლემდნენ კიბეებზე, და როცა საათმა ცხრაჯერ ჩამორეკა, თეფში გაღებული ფანჯრის რაფაზე დატოვა, თვითონ კი სიბნელეს მისცა თავი, თავის ქალებს მიაკითხა ბარაკში. ერთ საწოლზე სამ ქალს ეძინა თავ-თავიანთ უდღეურ შვილებთან ერთად.

კაცი ძლივს აბობღდა სუნდაკრულ ხორცის მასაზე, განზე გასწია ორი-თავი, ექვსი ფეხი და სამი მკლავი. იმ სამიდან ერთ-ერთს ისე დაკცხრა, არც უკითხავს, რომელი ხარო. ქალს არც გაუღვიძია, და საერთოდაც, არც არავის გაუღვიძია ამ საწოლზე, მხოლოდ მოშორებით მდგარ საწოლიდან მოისმა ქალის ნამძინარევი ხმა, გენერალო, ასე [illegible] ბავშვებს შემიშინებთ. სასახლეში დაბრუნებისას ოცდასამჯერ ფანჯრის საკეტები შეამოწმა, მოსკიტების დასახოცად დერეფანში ყოველ ხუთ მეტრში გამხმარ ნაკელს მოუკიდა ცეცხლი. მხრჩოლავი კვამლის ჩასუნთქვაზე ვილაცის ბავშვობა ახსენდებოდა ყოველთვის, ვერ გაერკვია, ვისი. თავისი რომ ყოფილიყო, მარტო კვამლის ჩასუნთქვისას რატომ გაახსენდებოდა და სულ რაღაც წამში, ამოსუნთქვისას რატომ დაავიწყდებოდა. ისევ სასახლეში დაბრუნდა, ყველა ოთახში ჩააქრო შუქი, მძინარე ჩიტები დაითვალა, ორმოცდარვა იყო. გალიებს ნაჭერი გადააფარა, ახლა ლამპით ხელში დაიარა მთელი სასახლე, თოთხმეტჯერ დაინახა თავისი ორეული თოთხმეტ სარკეში, დაინახა გათოთხმეტებული ერთი გენერალი ანთებული ლამპით ხელში. საათმა ათჯერ დარეკა, სასახლეში ყველაფერი წესრიგში იყო. იმ ოთახშიც შეიხედა, სადაც გვარდიელებს ეძინათ, და შუქი ჩააქრო. ღამე მშვიდობისა, სენიორებო. მერე პირველ სართულზე ყველა კაბინეტში, ყველა დარბაზში, ყველა ფეხსალაგში, ფარდებს უკან და მაგიდის ქვეშაც შეიხედა. არავინ იყო. ჯიბიდან გასაღებების ასხმულა ამოიღო. ზეპირად იცოდა, რომელი გასაღები რომელი ოთახისა იყო, სიბნელეშიც კი სცნობდა ხელის შეხებით. ყველა კაბინეტი ჩაკეტა. მეორე სართულზეც დაათვალიერა ყველა კუთხე-კუნჭული. იქაც საგულდაგულოდ ჩაკეტა ყველა ოთახი. ბოლოს, თავის საძინებელს რომ მიაღწია, თაფლიანი ქილა გამოიღო სამალავიდან და ძილის წინ ორი კოვზი თაფლით ჩაიკოკლოზინა ყელი. თაფლმა დედა გაახსენა, ბენდისიონ ალვარადო. წარმოიდგინა, როგორ ეძინა დედამისს იქ, ყვავილებისა და ბალახის სურნელით პირთამდე სავსე განმარტოებულ სახლში, ცხადად დაინახა დედის უღონოდ გადმოკიდებული, თითქოს მიცვალებულის უსიცოცხლო ხელი, ის სასწაულმოქმედი ხელი, რომელიც უსახურ, უფერულ ჩიტებს მოლაღურებად აქცევდა. ღამე მშვიდობისა, დედა, დაიჩურჩულა მან და გაიგონა, იქ, განმარტოებულ სახლში როგორ უპასუხა მძინარე დედამ, ღამე მშვიდობისა, შვილო. საძინებლის კართან სწრაფად დაკიდა ანთებული ლამპა, ღამით არასოდეს აქრობდა, არც სხვას აძლევდა ჩაქრობის უფლებას, ხომ შეიძლება ღამით გაქცევამ მოუწიოს, სიბნელეში ხომ არ იბოდიალებს. თერთმეტ საათზე ერთხელ კიდევ ჩამოიარა ოთახები, ამჯერად სიბნელეში, ვინმეს არ ეგონოს მძინავს და არ შემოიპაროს სასახლეშიო. უხმაუროდ, ფრთხილად მიაბიჯებდა, მოძრავი შუქურას მწვანე შუქზე დროდადრო ელავდა მისი ოქროს დეზები, რომლებიც ვარსკვლავისებურ მტვრის მანათობელ კვალს ტოვებდნენ ჰაერში. შუქურას შუქზე დაინახა, ზეზეურად მძინარე კეთროვანი როგორ მიიკვლევდა გზას სიბნელეში, ხელი არ წაუშველებია, თავისი სიფხიზლის შუქით გაუნათა გზა ვარდის ბუჩქისკენ. მან ერთხელ კიდევ გადათვალა ყარაულები და თავისი საძინებლისკენ გაეშურა ფანჯრებიანი გრძელი დერეფნით. ყოველ ფანჯარაში აპრილის კარიბის ზღვა ჩანდა, ოცდასამჯერ გამოჩნდა ზღვა

და თუმცა იგი არცერთ ფანჯარასთან არ შეჩერებულა, მაინც ხედავდა, ზღვა იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო აპრილში, ოქროდაფენილი ჭაობივით. ტაძრის საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა, ბოლო ჩამოკვრისას ყოვლისწამლეკავი შიში დაეუფლა, სადღაც შიგნიდან, სულაც თიაქარიდან მოიზლაზნებოდა ეს შიში, ყურებს სტვენა-წყალი უსმობდა. გაყუჩულიყო მთელი ქვეყანა, სამშობლო მხოლოდ ის იყო ახლა. კარი სასწრაფოდ ჩაკეტა სამ ბოქლომზე, სამ გასაღებზე, სამ ურდულზე. თავის პორტატულ უნიტაზს ეცა და ორი, ოთხი, შვიდი მტანჯველი წვეთი მოშარდა, მერე იატაკზე დაეგდო პირქვე და წამსვე უსიზმრო ძილს მისცა თავი. სამს აკლდა თხუთმეტი წუთი მთლად ოფლში გაწუწულს რომ გამოელვიძა. საშინელი შეგრძნება ჰქონდა, მძინარეს ვიღაც უყურებდა. კი მაგრამ, როგორ შემოაღწია ჩაკეტილ-ჩარაზულ ოთახში. რომელი სარ, იკითხა მან. არავინ გამოეპასუხა. თვალები დახუჭა, იქნებ დამეძინოსო, მაგრამ კვლავ იგრძნო, ვიღაც უყურებდა, თვალი გაახილა და დაინახა, ფუი ეშმაკს, მანუელა სანჩესი. როგორ, საიდან. სრულიად უბრალოდ, კედლიდან შემოსულა, არც გასაღები დასჭირვებია და არც ბოქლომი. მშვიდად დადიოდა ოთახში ჩემი მშფოთვარე ღამის მანუელა სანჩესი. მუსლინის კაბა ეცვა, ხელში ნაკვერჩხალივით მოგიზგიზე ვარდი ეჭირა. მის სუნთქვას ძირტკბილას სუნი დაჰკრავდა. მითხარი, რომ ეს სიზმარია, მითხარი, რომ ეს შენ არა ხარ, რომ ეს ძირტკბილას დამარეტიანებელი მარაზმი შენი სუნთქვა არ არის. მაგრამ ის იყო, მანუელა სანჩესი იყო, ვარდიც მისი იყო, სუნთქვაც მისი იყო და ამ ყველაფერს ისე აევსო და დაემორჩილებინა საძინებელი ოთახი, როგორც სალი კლდე იმორჩილებს და ათვინიერებს აბორგებული ზღვის უძველეს ძალას. ჩემი ბედისწერის მანუელა სანჩეს, რატომ არ მაწერიხარ ხელის გულზე, ყავის ნალექში რატომ ვერ ამოგიკითხა მკითხავმა, ან ჩემი სიკვდილის წყლიან თასში ერთხელ მაინც რატომ ვერ დაგინახა ნათელმხილველმა. ჰოდა, წადი ახლა აქედან, თავი დამანებე, მასუნთქე ჩემი ჰაერი, მაცალე ძილი, ნუ წაართმევ სიბნელეს ჩემს ოთახს, სადაც ჯერ არცერთ ქალს არ შემოუდგამს ფეხი და ვერც შემოადგამს, ჩააქრე-მეთქი შენი ვარდი, ეველრებოდა კაცი და თან კედელზე ხელის ფათურით თვითონ ეძებდა ჩამრთველს, მაგრამ ყველგან ხვდებოდა თავისი სიეიჟის მანუელა სანჩესს. ეშმაკმა წაგიღოს, რატომ უნდა გპოულობდე, თუკი არ დამიკარგიხარ. რა გინდა ჩემგან, სახლი გინდა, შენი იყოს, ეს ქვეყანაც შენი იყოს თავის დრაკონიანად, ოღონდ შუქი ამანთებინე, ჩემი ღამის მორიელო, ჩემი თიაქარის მანუელა სანჩეს, შე ნაბუშარო, ყვიროდა ძილგამტყდარი კაცი. დარწმუნებული იყო, შუქს თუ აანთებდა, ეშველებოდა, მანუელა სანჩესის ჯადოსაგან თავს დაიხსნიდა. მომაშორეთ ეს ქალი, ღუზა დაჰკიდეთ კისერზე და წყალში გადაუძახეთ, რათა აღარავინ დაიტანჯოს მისი ვარდის გიზგიზით. ამ სიტყვებს ახლა უკვე დერეფანში გაჰყვიროდა მთელ ხმაზე, ფეხი უცურდებოდა სიბნელის ნაკელზე, თან შიშნარევ გაოცებას ვერ ფარავდა, რა ხდება, დილის რვა საათია და ამ დამპალ სახლში კი ჯერაც ყველას სძინავს. რქიანებო, გაიღვიძეთ-მეთქი, რა ძილქუში დაგემართათ. ამ ძახილზე წამში აინთო შუქი ოთახებში. აღრიალდა გათენების მაუწყებელი სასახლის საგუშა-

გოს საყვირი, რომელსაც ჯერ პორტის ციხესიმაგრე გამოეხმაურა, მე-
რე კი რიგრიგობით სან ხერონიმოს ბაზა და ქვეყნის თითქმის ყველა
ყაზარმა. დაიწყო საყოველთაო გამოღვიძება. ძილგამოყოლილი ჯარის-
კაცები დაფეთებული მივარდნენ პირამიდებად აყუდებულ თოფებს და
საცოდავი ჩხაკუნი აუტეხეს. ვარდებმა დილის პირველ ცვარებამ ორი
საათით დაასწრეს და გადაიფურჩქნენ. ცაზე ჯერ კიდევ კაშკაშებდნენ
ვარსკვლავები, სასახლის ძილგამტყდარი ქალები კი უკვე ხალიჩებს ბე-
რტყავდნენ აივნებზე, გალიებში საკენკი დაუყარეს ჯერაც მძინარე ჩი-
ტებს, ლარნაკებში ცოცხლად შემონახული წინა დღის ყვავილები ახლით
შეცვალეს, კალატოზებმა სასწრაფოდ გამართეს ფანჯრებიანი კედელი,
თითოეულ ფანჯარაზე ოქროსფერი ქაღალდის მზე მიაწებეს, აქაოდა,
გათენდაო. ამან კი საბოლოოდ აურია თავგზა მზესუმზირებს. ცაზე ჯერ
ისევ ღამე იყო, სასახლეშიც ჯერ ისევ ოცდახუთი რიცხვის კვირა დღე
იყო, ორშაბათის დილა ჯერ არ დაჰფენოდა აპრილის ზღვას, სამრეცხა-
ოების მეპატრონე ჩინელები კი უკვე ხმამაღალი ძახილით აღვიძებდნენ
თავიანთ მსახურებს და ჯიკავ-ჯიკავით აგდებდნენ კლიენტებთან ჭუჭ-
ყიანი თეთრეულის წამოსაღებად. უსინათლო ნათელმხილველები სამ-
კითხაოდ ემზადებოდნენ. ცბიერი ჩინოვნიკები თავიანთი მაგიდის უჯ-
რებში ნაპოვნ გუშინდელ დადებულ კვერცხებს ორშაბათ დილით და-
დებულად ასაღებდნენ. და ვიდრე გაკვირვებული, დაფეთებული ადამი-
ანები სასწრაფოდ მოწვეულ სახელმწიფო საბჭოზე იყრიდნენ თავს
სხდომათა დარბაზში და ვიდრე სასახლის ძაღლები ჩვეულებისამებრ
ულრენდნენ ერთმანეთს მაგიდის ქვეშ, ის დარბაზისკენ მიემართებოდა
ნაადრევად დამდგარ დღის შუქით თვალაჭრელებული, უკან მისდევდ-
ნენ ფარისევლები, განთიადის შემომქმედი, დრო-ჟამის განმგებელი და
ქვეყნიერების შუქურა შენ ხარო, ეპირფერებოდნენ. გენერალური შტა-
ბის ერთმა ოფიცერმა ველარ მოითმინა და ვესტიბულში მხედრულად
მისალმების შემდეგ კრძალვით შეჰკადრა, ჩემო გენერალო, ახლა დი-
ლის რვა საათი კი არა, მხოლოდ და მხოლოდ დილის ოთხის ხუთი წუ-
თიაო. განრისხებულმა ხელისუფალმა ოფიცერს სილა შემოჰკრა სახეში
და ლამის მთელი ქვეყნის გასაგონად ულრიალა, რვა საათია, რეგვენო,
რვა საათია-მეთქი, ღმერთმა ასე ბრძანა. ნაშუალამევს დედამისს მი-
აკითხა საგარეუბნო სახლში. რაო, ჰკითხა დედამ, სახე რად ჩამოგტი-
რის, ბზიკმა ხომ არ გიკბინა, გულზე რად მიგიჭერია ხელი. შვილმა არა-
ფერი უპასუხა, ჩალის სავარძელში ჩაეშვა და გულზე ხელის მონაცვ-
ლება ვერ მოასწრო, რომ დედამ ზედ ცხვირწინ დაუტრიალა ჩიტე-
ბის მოსახატავი ფუნჯი. შენ რა, მართლა „ქრისტეს გულზე" გამო-
სახული მაცხოვარი ხომ არ გგონია თავი მაგ ნაღვლიანი თვალებითა
და გულზე მიდებული ხელით. შვილმა ხელი ჩამოუშვა, დედა კი არა,
მძღ...ია. სავარძლიდან წამოდგა და ოთახიდან გასვლისას კარი მაგრად
გაიჯახუნა. სასახლეში დაბრუნებისთანავე, როგორც სჩვეოდა, სართუ-
ლებს მოედო, ხელები ჯიბეში ეწყო, იქით არ გამექცნენ, სადაც არა-
ფერი ესაქმებათო. მინებზე აკრულ ვერცხლისფერი ქაღალდის ვარსკ-
ვლავებსა და ფანჯრებზე გარედან დაკიდულ თითბრის მთვარეებს დღის
სამი საათის ნაცვლად ამჯერად საღამოს რვა საათის ილუზია უნდა
შეექმნათ. პრეზიდენტმა ფანჯრიდან დაინახა ეზოში მოყურყუტე ერ-

თიანად გალუმპული ყარაულები, ნაღვლიანი ზღვა და წვიმად მოსული მანუელა სანჩესი, რომელიც მის ქალაქში ცხოვრობდა და მისი არ იყო, თვალი შეავლო უსიამოვნოდ ცარიელ დარბაზს, მაგიდებზე უკულმა შემოდგმულ სკამებს და გააჟრჟოლა, მარტოობის სულისშემხუთველი სიმძიმე დაეუფლა, რადგან იცოდა, წინ კიდევ არაერთი ეფემერული უმანუელასანჩესო ჩაწყვდიადებული ღამე ელოდებოდა. ეშმაკმა დალახვროს, ამოიოხრა მან, გული ისე მტკივა, თითქოს მართლა წაერთმიოთ ის, რაც სინამდვილეში არცა მქონია. შერცხვა საკუთარი თავისა. ტახზე მოიფათურა ხელი, გულისკენ უნდა წაელო, მაგრამ გადაიფიქრა, შარვალში ჩაიყო და წვიმის შხაპუნში მიწყნარებული საკვერცხეები ჩაბღუჯა. ძველებურად უზარმაზარი, ძველებურად მძიმე იყო მისი თიაქარი, ტკივილიც ძველებური ჩაყუჩულიყო მასში, მაგრამ ახლა რატომღაც შემაწუხებელი მოეჩვენა, თითქოს საკუთარი გული მოემწყვდიოს ხელში, თითქოს ხელის გულზე ედო ჯერაც ცოცხალი, მფეთქავი. მხოლოდ ახლაღა მიხვდა, თურმე რა მართალს ეუბნებოდნენ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანები, გული, ჩემო გენერალო, მესამე საკვერცხეაო. ჯანდაბაში წასულა ყველა, ფანჯარას მოშორდა, მისაღებ ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, მერე სხდომათა დარბაზისაკენ გაემართა. ფლატუნით, მძიმედ მიმავალს სახეზე ეხატა მარადიული პრეზიდენტობისათვის განწირული კაცის იერი, იმ კაცის იერი, სახელი და დიდება თევზის ფხასავით რომ გაჩხეროდა სულში. დარბაზში შესვლისთანავე დაჯდა და სმენად იქცა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც არაფერი ესმოდა, არც არაფერი გაეგებოდა. განსაკუთრებით ფისკალურ ეკონომიკაზე მოხსენება ჰგვრიდა ძილს. უეცრად რაღაც მოხდა ჰაერში, ფინანსთა მინისტრმა სიტყვა გაწყვიტა. ყველანი პრეზიდენტს შეაჩერდნენ, ნეტავ ისეთი რა მოხდა მის თვალშეუვალ ჯავშანს მიღმა, ეტყობა, შემოტეულმა ტკივილმა დააწყვიტა ნაკერები. თავად მან ცხადად დაინახა საკუთარი თავი, გადაფითრებული და გასაცოდავებული მარტო იჯდა კაკლის ხის მაგიდის ბოლოში და ლამის მართლა გამსკდარიყო გულზე, ეს როგორ მომივიდა, როგორ აღმოვჩნდი მარადიული პრეზიდენტისათვის ასეთ შეუფერებელ მდგომარეობაში, რა ჯანდაბამ მატაცებინა გულზე ხელიო. მისი სიცოცხლე ინავლებოდა ჯანდაცვის მინისტრის იუველირივით მოწკურულ თვალებში ჩაყინულ ნაკვერჩხლებზე. ექიმი ჯიბის საათის ოქროს ძეწკვს ათამაშებდა ხელში და თავის ძმასა და მეგობარს შიგნეულში უფათურებდა თვალებს. ეტყობა, გულმა დაარტყა, თქვა ვიღაცამ ხმადაბლა. მაშინ მან სირინოზისებრი ხელი მოიშორა გულიდან და რისხვისგან გაქვავებული დაასვენა კაკლის ხის მაგიდაზე. სახეზე ფერმოსულმა საკუთარი ავტორიტეტის დამადასტურებელი სიტყვები ტყვიასავით დაუშინა იქ მყოფთ, ძალიან ვინდათ, გულმა დამარტყას, მაგრამ ტყუილად ელოდებით, რატომ გაჩუმდით, გაგრიეგო, განაგრძეთ. მათაც განაგრძეს, მაგრამ თვითონვე არ ესმოდათ თავიანთი ლაპარაკი, ყველა ერთ ფიქრს შეეპყრო, რაკი პრეზიდენტი ძალიანაა განრისხებული, მაშასადამე, რაღაც დაემართა, მაგრამ რა, ვერაფრით აეხსნათ. აწრიალდნენ, ერთმანეთში აჩურჩულდნენ, შეხედეთ, ისეა გაბრაზებული, გული ხელით უჭირავს, ლამის ყვე-

ლა ნაკერი დაუსკდეს. მერე აგორდა ჭორი და მთელ სასახლეს მოედო, პრეზიდენტს თურმე ჯანდაცვის მინისტრი დაუბარებია თავისთან, ისიც რომ მისულა, პრეზიდენტს კაკლის ხის მაგიდაზე დაუდევს მისი მერცხვენის მთავარი დამნაშავე მარჯვენა ხელი და მინისტრისთვის უბრძანებია, მომჭერიო, თან თურმე ბოლმა ახრჩობდა, თვალცრემლიანსა და დამცირებულს რომ ხედავდნენ მისი ხელქვეითები. [illegible] თურმე მინისტრი, რას ამბობთ, ჩემო გენერალო, რომც დამხვრიტოთ, მაგას არ ვიზამ, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ თქვენს მკლავს მეტი ფასი და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მეო. ერთი სიტყვით, ჭორს ჭორი ემატებოდა, ადიდებულ მდინარესავით კალაპოტიდან გადმოდიოდა და ქუჩებსა და გზაჯვარედინებს ედებოდა. ის კი ამ დროს უთენია მიდიოდა ფერმაში, ყაზარმებს საკუთარი ხელით უნაწილებდა რძეს და შესცქეროდა ცას, რომელსაც მანუელა სანჩესის სამშაბათის ფერფლისფერი ალიონი ნელ-ნელა ეფინებოდა. მისი ბრძანებით ვარდის ბუჩქებიდან აყარეს კეთროვნები, მათმა სიმყრალემ მანუელა სანჩესის ვარდის სურნელი არ წაბილწოსო. სადმე მოფარებულში თავს რომ დაიგულებდა, მღეროდა, პირველ ვალსს შენთან ვიცეკვებ, დედოფალო, რათა არასოდეს დამივიწყო, მღეროდა, და თუ დამივიწყებ, დაიმახსოვრე, სიკვდილი გელის. დარდის გასაქარვებლად თავის ქალებს აკითხავდა და მათი უბადრუკი ოთახების ჭაობში იძირებოდა. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება ერთი უგრძნობელი, მუდამ მოჩქარე საყვარელი იყო, ახლა კი ნამდვილ მამაკაცად ქცეულიყო. უწინდებურად აღარ ჩქარობდა, თითონაც ტკბებოდა და სხვასაც ატკბობდა, ქალები სიამით ოხრავდნენ და სიბნელეში ტკარცალებდნენ გაკვირვებულები, მეტისმეტი მოგდით, გენერალო, ძალიან იხარჯებით, თანაც ამ ხნისა. მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ თავს იტყუებდა, რომ ულმობლად ახლოვდებოდა ის დღე, როცა იგი საკუთარი ფეხით მიადგებოდა მანუელა სანჩესს და შესთხოვდა, ღვთის გულისათვის შემიყვარეო, მანამდე კი ქალიშვილის სასახლე უნდა ეპოვა საშინელებათა სამეფოს ნაგავსაყრელზე, მოჩხუბარი ძაღლების უბანში. და მართლაც, ზაფხულის ერთ პაპანაქება დღეს გაეშურა იგი მოჩხუბარი ძაღლების უბნისკენ. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილს პირადი დაცვა არ ახლდა. მგზავრობაც ჩვეულებრივი, ძველი მანქანით გადაწყვიტა. მანქანა ტკაცატკუცითა და მყრალი გამონაბოლქვით ავსებდა სიესტის ლეთარგიაში ჩაძირულ ქალაქს. აზიურ სავაჭრო რიგს რის ვაივაგლახით რომ გასცდა, დაინახა თავისი დამლუპველი მანუელა სანჩესის ზღვა და მარტოსული ვარხვი ჰორიზონტზე. დაინახა ძველისძველი ტრამვაები, რომლებითაც მანუელა სანჩესი მგზავრობდა ხოლმე და ბრძანა, ფანჯრებდაბურული ახალი, ყვითელი ფერის ტრამვაები გაეშვათ ამ ხაზზე, თანაც ყოველ ტრამვაიში ხავერდგადაკრული სავარძელი დაედგათ საგანგებოდ მანუელა სანჩესისთვის. დაინახა ცარიელი პლაჟები, სადაც მანუელა სანჩესი კვირაობით დადიოდა და ბრძანა, პლაჟზე დაედგათ გასახდელები და აღემართათ ამინდის დროშა, რათა მისი ფერის მიხედვით მისახვედრი ყოფილიყო ყველასთვის, შეიძლებოდა თუ არა იმ დღეს ბანაობა. ბრძანა, საკუთრივ მანუელა სანჩესისთვის ბადურით შემოეღობათ პატარა ადგილი პლაჟზე. სანაპიროს გასწვრივ მან დაინახა მისი წყალობით გამდიდრებული

თოთხმეტი ოჯახის სააგარაკო სახლები მარმარილოს ტერასებითა და იდუმალი მდელოებით. განსაკუთრებით განცალკევებით მდგარი ლამაზ-აივნებიანი და ეზოში მბრუნავშადრევნებიანი ერთი უშველებელი სახ-ლი მოუვიდა თვალში და ინატრა, მინდა აქ ცხოვრობდე და მე მელო-დებოდე. ის იყო მანქანის უკანა საგარძელზე თვალგახელილს ჩაეძინა, რომ ზღვიდან მონაბერი ბრიზის სუნთქვა გაქრა და უეცრივ მანქანაში შემოიჭრა მოჩხუბარი ძაღლების უბნის ჯოჯოხეთუ-რი ღრიანცელი. ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა, რაც მან იქ იხილა. შე-ძრწუნებულმა შესძახა, ო, დედაჩემო ბენდისიონ ალვარადო, ერთი და-განახა, სად ვარ. მიშველეთ. მაგრამ ამ საგიჟეთში მას ვერავინ სცნობ-და, ყურადღებას არავინ აქცევდა მის ნაღვლიან თვალებს, სიფრიფანა ტუჩებს, გულზე დასვენებულ ხელს, ყურიდან ყურში უშვებდნენ ტი-ლოს ხალათსა და უბრალო ქუდში გამოწყობილ გადაღძუებული ბე-რიკაცის დუდღუნს, ძაღლადაც არავინ აგდებდა ამ გამოფიტულ პაპის პაპას, რომელსაც თავი გამოეყო მანქანიდან და ყველას ეკითხებოდა, სენიორა, ხომ ვერ მეტყვით სად ცხოვრობს ჩემი შერცხვენის მანუელა სანჩესი, ღარიბთა დედოფალი, რომელსაც ვარდი უნთია ხელში. გამვ-ლელ-გამომვლელს ყველას ეკითხებოდა და თან დაბნეული ფიქრობდა, ნეტავ როგორ ცხოვრობ აქ ამ სატანისებრ ეშვებ და თვალებჩასისხლია-ნებულ ძაღლების გვერდით მუდამ რომ ულრენენ ერთმანეთს ნეტავ რა გაძლებინებს ამ კოშმარში სადაც სასიკვდილოდ დაკბენილი ძაღლები საზარლად ყმუიან და ბინძურ გუბეებში ჩამჯდარნი ილოკავენ ჭრილო-ბებს სად როგორ მოვიხელთო შენი ტკბილი სუნთქვა სუნთქვა ძირ-ტკბილასი დუქნებიდან კინწისკვრით გამორეკილ მთვრალების ღრია-ლში ჩემი ცხოვრების დამდაღავო შე ნაბუშარო როგორ გიპოვო მა-რანგუანგოსა და ბურუნდანგას გორდოლობოსა და მანტა დე ბან-დერას[1] ამ დაუსრულებელ ქარიშხალში ხალხით გაჭედილ დუქნებში იმ გულისამრევ ძეხვის სუნში ხურდა ფულსაც რომ ამავებს ეშმაკმა წაგიღოს როგორ გიპოვო ზანგი ადამისა და ხუანსიტო ტრუკუპეის[2] ნაბოდვარ სამოთხეში როგორ ვიპოვო შენი სახლი ამდენ უსახურ კე-დლებდამსკდარ ქოხმახში რომლებსაც ეპისკოპოსის სამოსივით მუქ-ლილისფერი ფრიზები თუთიყუშივით მწვანე ფერის შუშები და ცის-ფერჩარჩოიანი ფანჯრები აქვს როგორ ვიპოვო შენს ხელში ანთებუ-ლი ვარდი ნეტავ რა დროა ახლა შენს საათზე აი ამ წუთში და ამ ჯოჯოხეთში სადაც მდაბიოთა ბრბო არად აგდებს ჩემს ბრძანებებს ახლა ხომ დღის სამი საათია და არა გუშინდელი საღამოს რვა საათი თუმცა რა გასაკვირია ამ ჯოჯოხეთში კაცს დღე და ღამე რომ აერიოს როგორ გიპოვო ამდენ ქალში ცარიელ ოთახებში გაკიდულ ჰამაკებში რომ ჩაზვინულან და კაბის კალთით ინიავებენ დასიცხულ ლაჯებს. ასეთი ფიქრებით გაწამებული წამდაუწუმ ჰყოფდა თავს მანქანის სარ-კმლიდან და ყველას ეკითხებოდა, ხომ არ იცით სად ცხოვრობს ჩემი სასოწარკვეთის მანუელა სანჩესი, ბრილიანტის თვლებით გაწყობილი ქაფის კაბა აცვია და თავზე ჩემი ნაჩუქარი ოქროს დიადემა ადგას, პი-

---

1 კოლუმბიური ეროვნული ცეკვები.

2 ფოლკლორული პერსონაჟი, მოცეკვავე და მასხარა.

რადად მივართვი კორონაციის ერთი წლისთავზეო. სენიორ, მე ვიცი, თქვენ ვისაც ეძებთ, ხმაურში ძლივს გამოარჩია ვილაცის ხმა, იმ გავასქელ ძუკნას ეძებთ, დიდი ვინმე რომ ჰგონია თავი, აგერ იქ ცხოვრობს, იმ სახლში. აქ ყველა სახლი ერთმანეთსა ჰგავს, ყველა ერთნაირია. ზღურბლთან ძაღლის ქაქში, ეტყობა, ვილაცას ბოლო ახლახანს ჩაუდგამს ფეხი სახლში შესვლისას. რა უბადრუკი ქოხია, ხუთუ ეს იმ ქალიშვილის სახლია, პრეზიდენტთან აუდიენციის დროს ვიცემეფის სავარძელში რომ იჯდა, და მაინც, ეს მისი სახლი იყო. დედაჩემო, ჩემო სულისდგმავ ბენდისიონ ალვარადო, მომეცი ძალა, ფეხი შევდგა ამ სახლში. მაგრამ შესვლამდე ათჯერ მაინც შემოიარა მთელი უბანი, მერე ცოტა მოითქვა სული, ძალაც მოიკრიბა და კარზე სამჯერ დააკაკუნა. სამივე კაკუნი სამჯერ წაკითხულ ლოცვას ჰგავდა. წინკარის გავარვარებულ ჩრდილში იდგა და ელოდა. ვერაფრით გაეგო, საიდან მოდიოდა ეს მყრალი სუნი, ან ხვატისგან ასდიოდა ჰაერს ან თავად მის ღელვას. როგორც იქნა, გამოვიდა მანუელა სანჩესის დედა და სტუმარი შეიპატიჟა მიძინებული სახლის ერთ მოზრდილ ოთახში, სადაც გვარიანად გრილოდა და გაფუჭებული თევზის სუნიც იდგა. სახლი შიგნით უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე გარედან ჩანდა. სანამ დედა თავის ქალიშვილს გააღვიძებდა, სიესტის საათს დაურღვევდა, კაცი იჯდა ტყავგადაკრულ სკამზე და თავისი უიმედობის ოთახს ათვალიერებდა. კედელი წვიმას ჩამოერეცხა, ტყავგადაქუცული დივანი ჩავარდნილიყო, კუთხეში სიმებდაწყვეტილი, კლავიშებჩავარდნილი პიანინო იდგა. დასწყევლოს ღმერთმა, ამდენი იმიტომ ვეწამე, რომ ეს უბადრუკობა მეხილა. მანუელა სანჩესის დედა ხელსაქმის კალათით ხელში დაბრუნდა ოთახში. ტაბურეტზე ჩამოჯდა და მაქმანის ქსოვას მოჰყვა, მისი ქალიშვილი კი ამასობაში სარკის წინ ეწყობოდა, რადგან მაინც სტუმარი ეთქმოდა ამ დაუპატიჟებელ ბეხრეკ კაცს, რომელიც დაბნეული იჯდა და ბუტბუტებდა, სადა ხარ ჩემი უბედურების მანუელა სანჩეს მოვედი შენთან მაგრამ ვერ გხედავ ამ მათხოვრულ სახლში ვერ ვგრძნობ შენს სურნელოვან სუნთქვას მხოლოდ დამპალი ნასუფრალის სუნი მცემს ცხვირში სად არის შენი ვარდი სად არის შენი სიყვარული დამიხსენი ამ ძაღლური ყოფისაგან. ასე ბუტბუტებდა და ოხრავდა, რომ უცებ შიდა კარის ზღურბლზე გამოჩნდა მანუელა სანჩესი სწორედ ისეთი, როგორიც წარმოედგინა ბერიკაცს თავის სიზმრებში და ამავდროულად არც მთლად ისეთი. ერთი სიტყვით, ერთი სიზმრის ხატება არეკლილი მეორე სიზმრის სარკეში და თუმცა ქალიშვილს უბრალო ჩითის კაბა და ძველი ფეხსაცმელი ეცვა, და თმაც ნაჩქარევად დაემაგრებინა სავარცხლით, მაინც გამორჩეულად ლამაზი და ღირსეული ჩანდა, ვარდიც უბდღვიალებდა ხელში. მოხუცს ლამის თვალები დაუბნელდა, მუხლებაკანკალებული ძლივს წამოიმართა ქედის მოსადრეკად, ქალი ამაყად თავაწეული მიესალმა, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, თქვენო ბრწყინვალებავ, მერე დივანზე ჩამოჯდა მოშორებით, რათა ვერ მიწვდენოდა ავხორცობის მყრალი სუნი, სტუმარს რომ ასდიოდა. ბერიკაცს ჯიქურ შევაჩერდი თვალებში, სენიორ, ნამდვილ ლამურას ჰგავდა, მე დავინახე უსიცოცხლო ტუჩები, დავინახე გაყინული, უმოძრაო თვალე-

ბი, ასე მეგონა, წყლიდან შემომჩერებოდნენ, სენიორ, მე დავინახე მი-
წისფერი, ქოსა, ჩვარივით სახის კანი, მაგრამ ხელები კი ნამდვილად
გლუვი, უნაოჭო ჰქონდა, პრეზიდენტის ბეჭდიანი მარჯვენა ხელი გამო-
საჩენად, თვალში საცემად დაედო მუხლზე. თეთრი ტილოს ხალათი სა-
რზე ჩამოცმულივით ეკიდა ტანზე, უზარმაზარი საკუთარი [illegible] ცმელი
ეცვა, სენიორ. მე ვკითხულობდი მის აზრებს, ვგრძნობდი [illegible] ამქვეყნად
ყველაზე უხნესი, უსაშინელესი და შეუბრალებელი ბერიკაცის იდუ-
მალ ძალას, ის კი ამ დროს ქუდით ინიავებდა სახეს და მდუმარედ შე-
მომცქეროდა ცხოვრების გაღმა ნაპირიდან. ღმერთო ჩემო, ნამდვილი
მუმიაა, გავიფიქრე შეწუხებულმა და ცივად ვკითხე, რით შემიძლია გე-
მსახუროთ, თქვენო ბრწყინვალებავ-მეთქი. მან დიდის ამბით მიპასუხა,
მოვედი, რათა კვლავაც სტუმრობის ნება გთხოვოთ. მაგრამ ამ სტუმ-
რობებს ბერიკაცისთვის არ მოუტანია სიმშვიდე, თვიდან თვემდე თითქ-
მის ყოველდღე აკითხავდა ქალიშვილს სახლში და თანაც ყოველთვის
სიესტის მკვდარ საათებში, როგორც თავის დედასთან დადიოდა ხოლმე
სტუმრად. ეს დრო მან საგანგებოდ შეარჩია ეროვნული უშიშროების
თანამშრომლებისთვის თვალის ასახვევად. დაე, ეგონოთ, ვითომ დედა-
ჩემთან მივდივარ ქალაქგარეთო. მაგრამ მხოლოდ მან არ იცოდა ის,
რაც მთელმა ქვეყანამ იცოდა. გენერალ როდრიგო დე აგილარის კა-
რაბინერები კუდში დასდევდნენ, მის ყოველ ნაბიჯს სახურავზე გაწო-
ლილები უთვალთვალებდნენ, ქუჩებში საგანგებოდ ქმნიდნენ ჯოჯოხე-
თურ არეულობას, მერე კი მუჯლუგუნებითა და კონდახის ცემით წმენ-
დნენ ქუჩებს ხალხისაგან. იმ ქუჩაზე, სადაც პრეზიდენტს უნდა გაევ-
ლო, ორიდან ხუთ საათამდე ყოველგვარი მოძრაობა წყდებოდა. კარა-
ბინერებს ნაბრძანები ჰქონდათ გაუფრთხილებლად ესროლათ ყველასა-
თვის, ვინც კი ამ საათებში გაბედავდა და ცხვირის გამოყოფას შეეცდე-
ბოდა თუნდაც აივანზე. არადა, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც დიდად
არ აწვალებდათ ცნობისმოყვარეობა, მაგრამ როგორღაც ახერხებდნენ
თვალი მიედევნებინათ უსახურ მანქანად გადაკეთებულ-გადაღებილ
პრეზიდენტის ლიმუზინისთვის. ბევრმა ისიც მოახერხა დაენახა წამიე-
რად გაელვებული უბრალო თეთრი ტილოს ხალათში გამოკრული აცე-
ტებული ბერიკაცი, არაერთი თეთრად გათენებული ღამის კვალდამჩნე-
ული, ფერგამკრთალი სახე მარტოსული კაცისა, რომელსაც ბევრჯერ
ულვრია ცხარე ცრემლი, მაგრამ ახლა უკვე აღარ აინტერესებდა რას
იტყოდა ხალხი გულზე ხელმიდებული თავის პრეზიდენტის დანახვაზე.
ცხადად ეტყობოდა, რა სულიერი ბრძოლა უწევდა საკუთარ თავთან, რა
უძლური იყო საკუთარი სურვილების წინაშე. იგი ჰგავდა მსხვერპლად
შესაწირავ ცხვარს, რომელსაც რიტუალის აღსასრულებლად უკაცრიელ
ქუჩებში მიათრევდნენ, ირგვლივ კი ისეთი პაპანაქება დგას, ჰაერი გა-
მდნარ შუშას ჰგავს და ყველა და ყველაფერი სიესტის მკვდარ საათშია
ჩაძირული. მერე და მერე იმდენს ლაპარაკობდა თავის უჩვეულო, უც-
ნაურ ავადმყოფურ უძლურებაზე, რომ ეჭვი აღარავის ეპარებოდა, სი-
ესტის საათებს იგი დედასთან კი არა, მანუელა სანჩესის გრილსა და
მყუდრო სამყოფელში რომ ატარებდა. მანუელას დედა კუთხეში იჯდა
და თავის მაქმანს ქსოვდა, სტუმრისა და ქალიშვილის საუბარში არ
ერეოდა. კაცმა რომ თქვას, ეს მოხუცი არაფერს აშავებს, უცნაური სა-

ჩუქრები მოაქვს მხოლოდ, რაც ასე უკლავდა გულს ბენდისიონ ალვარადოს. ქალიშვილს მაგნიტის საიდუმლოება გააცნო, ერთხელ მთის ბროლის პრესპაპიეც მოუტანა, თუ სინათლეზე გახედავდი, გვგონებოდა, თოვლიანი ქარბუქი ტრიალებსო შიგნით. უსასრულოდ მოჰქონდა ასტრონომიისა და საფთიაქო ხელსაწყოები, პიროგრავიურები, მანომეტრები, მეტრონომები, ჰიროსკოპები, ყიდულობდა და ყიდულობდა მიუხედავად დედამისის ბენდისიონ ალვარადოს წინააღმდეგობისა და საკუთარი რკინისებური სიძუნწისა, ყიდულობდა მხოლოდ და მხოლოდ მანუელა სანჩესთან სათამაშოდ და გასართობად. ყურზე მიადებდა პატრიოტულ სათამაშოს — ზღვის ნიჟარას და ზღვის ხმაურის ნაცვლად რეჟიმის სადიდებელ სამხედრო ჰიმნებს ასმენინებდა. ოთახის თერმომეტრთან ანთებული ასანთი მიჰქონდა, აქაოდა, ნახე, როგორ ადის-ჩადის ჩემი იდუმალი ფიქრებით გატანჯული ვერცხლისწყალიო. თხოვნით არაფერს თხოვდა ქალიშვილს, ოდნავადაც არ ამჟღავნებდა თავის ზრახვებს, ცდილობდა დუმილით მოენუსხა იგი, თავისი უაზრო საჩუქრებით ეთქვა ის, რასაც ვერ გამოთქვამდა, ცდილობდა ყველაზე ინტიმური სურვილები გამოეხატა თავისი უსაზღვრო ძალაუფლების ხილული, ხელშესახები სიმბოლოებით. ერთხელაც, მანუელა სანჩესის დაბადების დღეს, სთხოვა, ფანჯარა გააღეო. მეც გავაღე ფანჯარა, სენიორ, და კინაღამ გული გამიჩერდა, სადღა იყო ჩემი უბადრუკი მოჩხუბარი ძაღლების კვარტალი. მის ნაცვლად დავინახე თეთრად შეღებილი ხის სახლები, აყვავილებული ტერასები, ლურჯი მდელოები, მბრუნავი შადრევნები, ფარშევანგები. ქროდა დეზინსექციური ცივი ქარი. ეს იყო ოკუპანტი ოფიცრების ყოფილი რეზიდენციების სამარცხვინო ასლი, რომელიც წამომართეს ღამით, თანაც უხმაუროდ, ძაღლების დახოცვის მერე. ხალხი საკუთარი სახლებიდან გამოყარეს, უფლება არ გაქვთ დედოფლის მეზობლები იყოთო, და სხვა ნაგავსაყრელზე გაასახლეს, აქ კი ღამღამობით მუშაობდნენ, აშენებდნენ და ასე გაჩნდა ახალი კვარტალი, მანუელა სანჩესის კვარტალი. ეს ყველაფერი იმიტომ გაკეთდა, მანუელა სანჩეს, რომ საკუთარი ფანჯრიდან იხილო საკუთარი დაბადების დღე, შეხედე, დედოფალო, დიდხანს სიცოცხლესა და ბედნიერებას გისურვებ. ძალიან უნდოდა ბერიკაცს თავისი ყოვლისშემძლეობით გაეკვირვებინა ქალიშვილი, თავისი ძალაუფლებით მოეხიბლა, მისი ერთობ თავაზიანი, მაგრამ შეუვალი სიმტკიცე შეერყია. თქვენო ბრწყინვალებავ, ასე ძალიან ნუ მეხუტებით, აქ ხომ დედაჩემია, ჩემი პატიოსნების გასაღები მის ხელშია. კაცს სურვილი წვავდა, სიბრაზე ახრჩობდა, ბებრულად, სვენებ-სვენებით წრუპავდა მასპინძლის მიერ შეთავაზებულ გუანაბანას წვენს, საფეთქლები დასკდომაზე ჰქონდა, მაგრამ ბებრული უძლურება რომ დაეფარა, ტკივილს ითმენდა. არ მინდა სიბრალულის გამო ვუყვარდე, მინდა სიყვარულის გამო ვუყვარდე, და თუმცა ქალიშვილი იქვე იყო, მის გვერდით, ის მაინც მარტოობისთვის გაეწირა ღმერთს. ერთი სურვილიღა აწვალებდა, ვიდრე კაცისოდენა დასაქოქი ანგელოზი მისი სიკვდილის მაუწყებელი ზანზალაკების წკარუნით ჯერ კიდევ არ შემოფრენილა ოთახში და არ უთქვამს, შეხვედრის დრო ამოიწურაო, და ეს კი მართლაც სიკვდილის ტოლფასია მისთვის, როგორმე უნდა მოასწროს და თავისი ოცნების მანუელა სანჩესის სუნთქვით გაჯერებული ჰაერი მაინც ჩაისუნთქოს. მის გვერდით ყოფნის წუთები

რომ გაეხანგრძლივებინა, კოლოფებში სათამაშოების ჩალაგებას მიჰყო ხელი, ამ ნესტიან, ზღვის მარილით გაჟღენთილ ჰაერზე მატლებმა მტვრად არ აქციონო. ერთი წუთი კიდევ მაცალე, დედოფალო, სათამაშოები ჩავალაგო, მაგრამ წუთიც მიიწურა, უნდა წავიდეს, უნდა დატოვოს აქაურობა ხვალამდე, ხვალამდე კი მთელი ცხოვრებაა, ეს ახლა სულ ერთი წამი სჭირდება, წამზე ნაკლები, რათა ერთხელ კიდევ შეავლოს თვალი ამ უკარება, მიუწვდომელ ქალიშვილს, რომელიც ხახვალაკებიანი ანგელოზის შემოფრენისთანავე უკვე დამჭკნარი ვარდით ხელში ყოველთვის მოუთმენლად ელოდებოდა ხოლმე მოხუცი თაყვანისმცემლის წასვლას. ბოლოს და ბოლოს ისიც მიდიოდა, ჩრდილივით მიიპარებოდა მიმწუხრის ბინდბუნდში. სირცხვილის შიშს შეეპყრო, ვაითუ სასაცილოდ ამიგდონო. მან არ იცოდა, რომ კარგა ხანი იყო ყველანი დასცინოდნენ, რომ ყოველ კუთხე-კუნჭულში მის სიყვარულზე ლაპარაკობდნენ, სიმღერაც კი შეთხზეს, მარტო მას არ ჰქონდა მოსმენილი ეს სიმღერა, სამაგიეროდ მთელმა ქვეყანამ იცოდა, თუთიყუშებიც კი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ ეზოებში. ქალებო, გზა მიეცით ატირებულ გენერალს, გულს ხელით იჭერს, მწვანე ფერი ადევს სახეზე, სიყვარულისგან არის ავად, სძინავს და ისე მართავს ქვეყანას, ღია ჭრილობებს ვერ მოუარა. ეს სიმღერა შინაურ თუთიყუშებს გარეულებმა ასწავლეს, მერე კაჭკაჭებმა და ჯაფარებმა აიტაცეს და სწორედ მათი წყალობით გასცდა დედაქალაქს და მთელ ქვეყანას მოედო. ეროვნული უშიშროების სამსახურის ჩინოსნების დანახვაზე ხალხი აქეთ-იქით იფანტებოდა, მაგრამ სიმღერას მაინც არ ეშვებოდა. მალე ახალი კუპლეტიც მიუმატეს. აგერ მოდის გენერალი, სიყვარული აბოდებს, პირიდან ქაქს აკანონებს, უკნიდან კი კანონებს. იგონებდნენ და უმატებდნენ, იგონებდნენ და უმატებდნენ. თუთიყუშებიც კი იგონებდნენ და თავგზას ურევდნენ უშიშროების საცოდავ თანამშრომლებს, რომლებიც სიმღერის განადგურებას ცდილობდნენ ძირშივე. საომრად მომართული სამხედრო პატრული ჭიშკრებს ამტვრევდა, პატიოებში იჭრებოდა და მიჯრით ესროდა ქვეყნის ძლიერების დამანგრეველ თუთიყუშებს, ან გალიებიდან გამოჰყავდათ და ცოცხლად უგდებდნენ ძაღლებს შესაჭმელად. საალყო მდგომარეობაც კი გამოცხადდა ქვეყნისთვის დამღუპველი სიმღერის ამოსაძირკვავად. არავის არ უნდა დაენახა ის, რაც ყველამ ისედაც იცოდა, არ უნდა დაენახათ, პრეზიდენტი ქურდულად როგორ მიიპარებოდა ჩაბნელებულ დერეფანში სამარქაფო გასასვლელისკენ. ხვალამდე, ოთხ საათამდე, დედოფალო, ხვალამდე. ხვალ კი იმავე დროს, იმავე საათებში აკითხავდა უაზრო სათამაშოებით დახუნძლული. ბოლოს და ბოლოს იმდენი სათამაშო დაგროვდა, რომ მანუელა სანჩესი იძულებული გახდა მიეერთებინა მახლობელი სახლი, მოენგრია შიდა კედლები და გაეკეთებინა ერთი უზარმაზარი უსახური საწყობი. მთებად ეწყო ყველა დროის ყველანაირი საათი, ნაირ-ნაირი გრამოფონები დაწყებული უძველესი პრიმიტიული ცილინდრულიდან, დამთავრებული უახლეს, ნიკელის მემბრანიანამდე, უამრავი ხელის საკერავი მანქანა, პედალები, ძრავები, გალვანომეტრები, მუსიკალური ზარდახშები, ჰომეოპატიური აფთიაქი, ოპტიკური აპარატები, გამხმარი პეპლების კოლექცია, აზიური მცენარეების ჰერბარიუმი, ფიზიოთერაპიული და სხეულის გამაჯანსაღებელი ლაბორატორიები, ასტრონომიისა და ფიზიკის ხელსაწყ-

ოები, ასევე უთვალავი თოჯინა, რომელთაც შიდა მექანიზმის წყალობით შეეძლოთ ადამიანებისთვის მიებაძათ. ამ უზარმაზარი საწყობის უმეტეს ნაწილში კაციშვილს არ დაუდგამს ფეხი, ამ ხარახურისთვისაც არავის დაუკარებია ხელი, დახვეტითაც არავის დაუხვეტავს იქაურობა, ვის რაში სჭირდებოდა, მით უმეტეს მანუელა სანჩესს, ვისთვისაც ვარგა ხანია ყველაფერი სულერთი გახდა. უბედურების მეტი ჩემთვის არაფერი მოუტანია იმ შავად გათენებულ შაბათ დღეს, როცა კარნავალზე გამარჯვებულის გვირგვინი დამადგეს თავზე, იმ საღამოს მერე ყველამ მიმატოვა. მართლაც, მისი ყოფილი თაყვანისმცემლები ერთმანეთის მიყოლებით დაიხოცნენ, ზოგს გულმა უმტყუნა, ზოგს რაღაც უცნაური სნება შეეყარა, უკვალოდ გაქრნენ მეგობარი გოგონებიც, მანუელა სანჩესი სახლიდან აღარ გადიოდა, მისთვის უცხო იყო ეს გადაკეთებულ-გადმოკეთებული კვარტალი. ბედისწერის ხაფანგსა და უსაზღვრო ძალაუფლების მქონე საზიზღარი ბეხლენწის ვნების ტყვეობაში გაბლანდულ ქალიშვილს გამბედაობა არ ჰყოფნიდა არა ეთქვა, ვერც კის ამბობდა, ძალა არ ჰყოფნიდა, ის გადაღძუებული ბერიკაცი კი არა და არ შორდებოდა თავისი დამამცირებელი სიყვარულით, რაღაც ღვთიური ნეტარებით შესცქეროდა და ერთიანად გაოფლილი თეთრ სომბრეროს იფრიალებდა. საკუთარი სხეულიდან გამოცალკავებულს ჰგავდა ასეთ წუთებში და ქალიშვილსაც ზოგჯერ ეჭვი იპყრობდა, იქნებ სინამდვილე კი არა, მოჩვენებაა. ხედავდა, ბერიკაცი როგორ დაფრატუნობდა ოთახიდან ოთახში. საღამო ხანს კი, როცა ჭრიჭინობელების სპილენძისებრი კრუალი ჩამოწოლილ ბინდს უფრო ამძიმებდა, ხედავდა, ჩალის სავარძელში ჩაფლული როგორ სვამდა ხილის წვენს და როგორ იძირებოდა ძილის ბურანში. ქალიშვილი თვალს არ აცილებდა, წამდაუწუმ ხტებოდა სკამიდან, ჭიქა ხელიდან არ გაუვარდესო. ფრთხილად, თქვენო აღმატებულებავ. ისიც მაშინვე ახელდა თვალს და შეცბუნებული ლულლულებდა, სულაც არ მეძინა, დედოფალო, თვალები მქონდა დახუჭული, არ მეძინა. მან არ იცოდა, ქალიშვილი ფხიზლად რომ არ ყოფილიყო, ჭიქა ბევრჯერ გაუვარდებოდა ხელიდან, ვერც იმას ამჩნევდა, რა ოსტატურად გაურბოდა მასთან სიახლოვეს მანუელა სანჩესი. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ერთხელაც განსაკუთრებულად აღელვებული არ ესტუმრა სანჩესებს. ამაღამ, დედოფალო, გამორჩეული საჩუქარი უნდა მოგართვა, ციური საჩუქარი, ამაღამ თერთმეტ საათსა და ნულ ექვს წუთზე ეს საჩუქარი მხოლოდ შენთვის გამოჩნდება ცაზე, მხოლოდ შენთვის. ეს იყო კომეტა, რომელიც გვიახლოვდებოდა. ჩვენთვის კომეტის ჩავლა ოცნებების მსხვრევასა და დიდ იმედგაცრუებას ნიშნავდა. ეს დღე ჩვენი უიღბლობის დღე იყო საერთოდ, რადგან უხსოვარი დროიდან ხალხში გავრცელებული აზრით, გენერლის სიცოცხლე ჩვეულებრივი მიწიერი დროის მდინარებას არ ექვემდებარებოდა, იგი ციური სხეულის მოძრაობაზე იყო დამყარებული და იცოცხლებდა მანამ, სანამ არ დაინახავდა ჩავლილ კომეტას. ასე ეწერა მას დაბადებიდანვე, მაგრამ კომეტის მეორე გამოჩენას მოესწრებაო, ეს არ თქმულა და ვერც მოესწრება, რაც არ უნდა ამტკიცონ მლიქვნელებმა. ასე რომ, ამ კომეტის გავლას ველოდებით როგორც ჩვენი აღორძინების წამს, როგორც უმშვენივრეს ციურ მოვლენას, რომელიც ას წელიწადში ერთხელ ხდება ნოემბრის ღამეს და რომლისთვისაც ვემზადებით მთელი არსებით. გან-

ზრახული გვაქვს მოვაწყოთ სადღესასწაულო ფოიერვერკი, საგანგებოდ ამ დღისთვის შევქმნათ ხალისიანი მუსიკა, ზუსტად თერთმეტ საათზე ზუსტად თერთმეტჯერ საზეიმოდ ავაგუგუნოთ ზარები, არა იმიტომ, რომ ვაქოთ და ვადიდოთ იგი, არამედ ყველას ვაუწყოთ მისი დასასრულის დასაწყისი. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას თვითონ იგი მანუელა სანჩესის სახლის სახურავზე ელოდებოდა. დედა-შვილს შორის ჩამჯდარი ხმამაღლა ოხრავდა, რათა შიშით დაზაფრული მისი გულის ცემა ქალების ყურს არ მისწვდენოდა. ავი წინათგრძნობით შეპყრობილი შესცქეროდა მოლოდინით გაყუჩებულ ცას, გვერდით კი, იქვე, სულ ახლოს მანუელა სანჩესი ეჯდა და პირველად გრძნობდა მის ღამეულ ლაღ სუნთქვას, მისი სხეულის ამაფორიაქებელ სურნელს. და აი, ჰორიზონტის ხაზიდან დოლების ბრაგუნიც მოესმა, მოახლოებული უბედურების თავიდან აცილებას ამ გზით ცდილობდა ხალხი. მოესმა საშინელების მაუწყებელ იდუმალ არსების წინაშე მუხლდაჩოქილი ადამიანების მიწისქვეშა ვულკანივით დრტვინვა და ყრუ გუგუნი. ამ არსებისთვის პრეზიდენტი არარაობა იყო, მტვერი იყო, ხოლო მისი ვითომდა უსაზღვრო ძალაუფლება, არაფერი, რადგან თავად იყო ჭეშმარიტად მარადიული. პრეზიდენტმა ახლაღა იგრძნო პირველად წელთა სიმრავლე და სიმძიმე, იგრძნო, რომ თურმე ისიც მოკვდავი ყოფილა, და სწორედ ამ დროს დაინახა კომეტაც. აი, ისიც, დედოფალო. სადღაც ცის სიღრმიდან, უძირო კოსმოსური სივრციდან მოისწრაფოდა სამყაროზე ძველი, ლამის ნახევარი ცისოდენა, მწუხარე ცეცხლოვანი მედუზა, რომლის ტრაექტორიის ყოველი მტკაველი მილიონობით კილომეტრით აახლოვებდა მას მშობლიურ სათავეებთან, და მართლაც, არშიებად დაჭრილ ვერცხლის ქაღალდს თითქოს ქარმა დაუბერაო, ყველამ გაიგონა კომეტის შრიალი. ყველამ დაინახა მისი ნაღვლიანი სახე, ცრემლიანი თვალები, კოსმოსური ქარიშხლებისგან დაფლეთილ-დაწეწილი გველის კუდებივით თმა, მოქროდა შრიალით და უკან ტოვებდა ვარსკვლავთა მოციმციმე მტვერს, მეტეორიტებს, დანაცრულ მთვარეთა ბელტებს. უხსოვარ დროში, როცა დროის ათვლა არც იყო დაწყებული, ციდან ჩამოცვენილი ბელტები ოკეანურ კრატერებს ქმნიდნენ. შეხედე, დედოფალო, კარგად შეხედე, ჩურჩულით თქვა მან, ის ხომ ასი წლის მერე გამოჩნდება კვლავ. შიშით ატანილმა მანუელა სანჩესმა პირჯვარი გადაიწერა. ის არასოდეს ყოფილა ასეთი მშვენიერი, კომეტის ფოსფორისებურ შუქს გაენათებინა მისი სახე, ვარსკვლავთა მტვერდაფრქვეული ვარსკვლავივით ბრწყინავდა. ო, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, სწორედ მაშინ მოხდა მოსახდენი. როცა მანუელა სანჩესმა საკუთარი თვალით იხილა მარადისობის უფსკრული, შიშით ზარდაცემულმა, არ წავიქცე, იქნებ რამეს ჩავეჭიდოო, ჰაერში გაიქნია ხელები და ერთად ერთი დასაყრდენი, რომელსაც იგი შემთხვევით წააწყდა და თავისდა უნებურად ჩააფრინდა, აღმოჩნდა პრეზიდენტისბეჭდიანი, ძალაუფლების ნელ ცეცხლზე გამომწვარი, უსიამოდ ნაპატივები, მტაცებლის ხელი. ჩვენში ცოტა თუ შეაკრთო ამ ბიბლიურმა საოცრებამ, ცეცხლოვანმა მედუზამ, სამაგიეროდ ციური სხეულები დააფრთხო, ქვეყანას ვარსკვლავები დააწვიმა და ვარსკვლავთა მანათობელი მტვერი დააფრქვია. ჩვენ უფრო ის გვადარდებდა, რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას. ყველაზე ურწმუნოებიც კი დარწმუნებული ვიყავით, რაღაც უნდა მომხდარი-

ყო, უსათუოდ რაღაც შეიცვლებოდა, გამორჩეული სიკვდილის მოწმენი გავხდებოდით, ქრისტიანობას საძირკველი შეერყეოდა და დაიწყებოდა მესამე აღთქმის ერა. დიდი ცვლილებებისა და სასწაულების ამათ მოლოდინში თითქმის დილამდე დავყავით ქუჩებში, დილით კი ჩვენ-ჩვენი სახლებისკენ წავლასლასდით დაღლილები და ამაო ლოდინითა და უძილობით გატანჯულები. ქუჩები მოფენილი იყო ვარსკვლავთმტვრითა და ნამსხვრევებით. მეეზოვე ქალები უკვე სვეტდნენ კომეტის ჩავლის მერე დატოვებულ ამ ციურ ნაგავს. ჩვენ არ შევმცდარვართ, რაღაცა მაინც მოხდა, ჩვენ გავხდით უდიდესი ისტორიული სიცრუის მსხვერპლნი, რამეთუ ოფიციალურად იქნა გამოცხადებული, კომეტის კეთილად გავლა რეჟიმის გამარჯვებაა ბოროტ ძალაზეო. ეს ციური მოვლენა იმ მიზნისათვისაც გამოიყენეს, რათა წერტილი დაესვათ პრეზიდენტის უცნაურ სნეულებებზე ლაპარაკისთვის. როგორ შეიძლება ავად იყოს ის კაცი, ვისაც ხელეწიფება მართოს ციური სხეულებიც კი. გამოქვეყნებულ იქნა ხალხისადმი მისი სადღესასწაულო მიმართვაც, გადავწყვიტე არ გადავდგე და ვემსახურო ჩემს სამშობლოს კომეტის მეორე გამოჩენამდეო. იქუხა მუსიკამ, ზეცა ააჭრელა ფერადმა შუშხუნებმა, არადა, სწორედ ამ მუსიკითა და შუშხუნებით გვსურდა აღგვენიშნა მისი სიკვდილი, მისი რეჟიმის დასასრული. თავად ბერიკაცი არც მუსიკას უსმენდა, არც დე არმას მოედანზე თავშეყრილ ხალხს და არც ტრანსპარანტებს კითხულობდა. სამარადისო დიდება ხალხის მსსნელს. დაე, იცოცხლოს ას წელიწადს და შთამომავლობას უამბოს ჩვენზე. ბერიკაცისთვის ეს ყველაფერი სულერთი იყო. სახელმწიფო საქმეებს გულს ვეღარ უდებდა, ჩინოვნიკებს გადააბარა ყველაფერი, ვეღარც აზროვნებდა, ვერაფრით დაევიწყებინა მის ხელს ჩაჭიდებული მანუელა სანჩესის ხელის სიმხურვალე. ოღონდ კიდევ ერთხელ განეცადა ეს ბედნიერი წამი და დედამიწა თუნდაც თავდაყირა დამდგარიყო, ყველა და ყველაფერი ნაცარტუტად ქცეულიყო. ამ მწველი სურვილით შეპყრობილმა ასტრონომებს სთხოვა, იქნებ პიროტექნიკური კომეტა, მფრინავი ვარსკვლავი, ცეცხლოვანი ციური დრაკონი გამოიგონოთ, სულერთია რა, ოღონდ ისეთი შთამბეჭდავი უნდა იყოს, მშვენიერ ყმაწვილ ქალს თავბრუ რომ დაესხას სამყაროს მარადიულობის წინაშეო. მაგრამ ერთადერთი, რის გაკეთებასაც მეცნიერები შეპპირდნენ, მზის სრული დაბნელება იყო. ჩემო გენერალო, ეს მოხდება მომავალი კვირის ოთხშაბათს, დღის ოთხ საათზე. სხვა რა გზა ჰქონდა, დაეთანხმა. დაბნელება მართლაც შთამბეჭდავი გამოვიდა, დღისით-მზისით უცბად დაღამდა, აკიაფდნენ ვარსკვლავები, ყვავილებმა პირი შეიკრეს, ქათმები შეიბუდნენ, ცხოველები აწრიალდნენ, ის კი იჯდა მანუელა სანჩესის გვერდით და ისრუტავდა მის საღამოსეულ ჰაეროვან სუნთქვას, რომელიც ნელინელ ღამისეულ იდუმალებას იძენდა, ისრუტავდა სურნელს ვარდისას, რომელიც ერთბაშად ჩამოწოლილი სიბნელით მოტყუებული ნელინელ ჭკნებოდა ქალიშვილის ხელში. ეს დაბნელება შენია, დედოფალო, მხოლოდ შენი, მაგრამ მანუელა სანჩესს არაფერი უპასუხნია, არც მის ხელს შეხებია, სუნთქვაც კი შეიკრა, ისეთი არარეალური გახდა, ბერიკაცმა ვეღარ მოითმინა და ხელი გაიშვირა, რათა სიბნელეში შეხებოდა ქალიშვილის ხელს, მაგრამ ამაოდ. იმ ადგილას, სადაც მანუელა სანჩესი ეგულებოდა და სადაც ჯერ კიდევ შერჩენილი-

ყო მისი სურნელი, სიცარიელე დახვდა. ქალიშვილი გამქრალიყო. კაცი ხელების ფათურით მოჰყვა მის ძებნას. ამ უზარმაზარ სახლში ხან რას აწყდებოდა და ხან რას, სიბნელეში მთვარეულივით დაბორიალობდა და გაცეცხლებული ყვიროდა, სად ხარ ჩემი უბედურების მანუელა სანჩეს. გეძებ და ვერ მიპოვნიხარ შენთვის საჩუქრად მორთმეულ დაბნელების ღამეს. სად არის შენი უმადური ხელი ან შენი ვარდი, ბერიკაცი უცნობ წყალქვეშეთში გზააბნეული მყვინთავივით დაცურავდა სიბნელეში. ხან პრეისტორიულ ლანგუსტებს — გალვანომეტრებს აწყდებოდა, ხან განსაცვიფრებელ მარჯანს — მუსიკალურ საათებს, ხან ზღაპრულ კიბორჩხალებს — საილუზიონო საგნებს, მაგრამ მანუელა სანჩესს კი ვერსად პოულობდა, ველარც მის ძირტკბილასავით სურნელოვან სუნთქვას გრძნობდა, ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდნენ ეფემერული ღამის ჩრდილები და მის გონებაში ნელ-ნელა აღწევდა შეუბრალებელი სინამდვილის სხივი. განთიადისას, რომელიც საღამოს ექვს საათზე შემობრძანდა ამ სახლში, ღმერთზე უხნესი მოეჩვენა თავი და ისეთი უჩვეულო კაეშანი შემოაწვა გულზე, ისე მარტოსულად იგრძნო თავი ამ უზარმაზარ გამოცარიელებულ სახლში, რომ მასავით უბედური ძე ხორციელი არ ეგულებოდა დედამიწის ზურგზე. მზის დაბნელების იდუმალებაში ჩემო სამუდამოდ დაკარგულო დედოფალო, ამიერიდან უშენოდ მარტოობა მელის. ამ ამბის შემდეგ მან კიდევ დიდხანს, მრავალი წელი იპრეზიდენტა, მაგრამ ვერა და ვერ იპოვა თავისი სიკვდილის მანუელა სანჩესი იმ სახლის ლაბირინთებში, საწყობად რომ იყო ქცეული. ჩემო გენერალო, მზის დაბნელებისას იგი თითქოს აორთქლდაო, ეუბნებოდნენ. ვიღაცას პუერტო-რიკოში უნახავს დიდ კარნავალზე, სახელი გადაურქმევია, ელენას ეძახდნენ, ვიღაცებს დანით აუკუწავთ, მაგრამ სხვა აღმოჩნდა. მონტეროს[1] საპატივცემულოდ გამართულ ზეიმზე რუმბას რომ ცეკვავდა, მაშინაც უნახავს ვიღაცას, მაგრამ ისიც ტყუილი გამოდგა. არაკატაკას ბაზრობაზეც უნახავთ პანამური დაირების თანხლებით გზნებით ცეკვავდაო. მაგრამ ისიც სხვა აღმოჩნდა. ჩემო გენერალო, ნამდვილად ეშმამ აცდუნა და წაიყვანა თავისთან. და თუ ბერიკაცი მაშინ არ მოკვდა, იმიტომ კი არა, რომ არ ეყო საამისოდ გამბედაობა, ან სიმტკიცე, არამედ იმიტომ რომ იცოდა, სიყვარულის გამო სიკვდილი არ ეწერა ბედად. ეს მან კარგად იცოდა იმ უხსოვარი დროიდან, ჯერ კიდევ თავისი ძალაუფლების, იმპერიის დასაწყისში ნათელმხილველს რომ მიაკითხა წყალზე სამკითხაოდ. მისი აზრით, ჯადოსნურ, შელოცვილ წყალს მეტი შეეძლო, ვიდრე მის ხელის გულს, ბანქოს ან ყავის ნალექს, მხოლოდ პირველყოფილი წყლების სარკეში შეიძლება ამოიკითხოს კაცმა თავისი ბედ-ილბლის იდუმალებანი და მართლაც, იმ სარკეში მან დაინახა საკუთარი თავი ბუნებრივი სიკვდილით აღსრულებული, პირქვე იწვა, როგორც სჩვეოდა დაბადებიდანვე, მოკეცილი მარჯვენა ხელი ბალიშივით დაედო სახის ქვეშ, უბრალო საველე ფორმა ეცვა, უჩინმეედლებო, ფეხებზე კრაგები შემოეკრა, მარცხენა ფეხზე ოქროს დეზები უბრწყინავდა. გაურკვეველი ასაკისა იყო, სადღაც ალბათ 107-სა და 232 წლებს შორის.

---

1 კუბელი პოეტის ნიკოლას გილიენის ლექსის გმირი, რუმბას უბადლო შემსრულებელი.

(გაგრძელება იქნება)

ტადეუშ რუჟევიჩი

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლონურიდან

თარგმნა ჯემალ ჭელიძემ

●

ვინ შემიბოჭა ხელები...
გზაზე ვსვამ ნიშნებს...
იგი ჩიტს ნიშნავს,
ეს ზეცას,
იგი ჩიტს ნიშნავს
ზეცის გარეშე,
ფრთების გარეშე,
თვალთა გარეშე,
ეს კი არაა ხელები
საფრენად გამზადებული.

ფრთები და ხელები

შორს თუ გავფრინდი,
ნუ დამაბრუნებთ,
იქნება ეს გზა სინათლისაკენ.

ყოველი მხრიდან
მე ვხედავ ხელებს,
გარს მეხვევიან, იფანტებიან.

იწყება დევნა,
ხვევნა, თამაში
სინათლისა და ხელების.

და თეთრ ღრუბლებზე
დაბორიალობს
ჩრდილი ფრთების და
ჩრდილი ხელების,
თუმცა ჩვენს შორის
ანგელოზები როდი არიან.

თუ ვინმე ნახავს

თუ ჩემს დედიკოს ვინმე ნახავს,
თეთრ ჰოსპიტალში ლურჯი
ხალათით.
ხან მარმარილოს სვეტს რომ
წააგავს,
ხან ხის ყლორტივით
თრთის და ცახცახებს
თეთრი ღრძილებით.
და ქვადქცეული ცივი ღიმილი
შემორჩენია მის ფერმკრთალ სახეს.

რომელსაც სწამდა წელი მრავალი,
ახლა კი ტირის და ამბობს: არა,
არ ვიცი, არა!

ერთ უზარმაზარ მღვრიე ცრემლს
ჰგავს
სახე ტანჯული,
ბაგეები კი საცოდავად ჩალურჯებია
და დამჭკნარ ხელებს გულზე
იწყობს შეშინებული,
როგორც ქალწული.

თუ ჩემს დედიკოს ვინმე ნახავს
საცრისოდენა ფართე თვალებით,
ცხოველის მსგავსად, რომელსაც
კვალში
მონადირე ადევნებია,
ო, როგორ მინდა
ვასაზრდოო დედამიწიერი, თბილი
ნუგეშით
და გულში მივცე თავშესაფარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ვწერდი...
წუთი თუ საათი,
მთელი საღამო თუ ღამე.
სევდა მახრჩობდა, გულს ღრღნიდა,
ცრემლი მივსებდა თვალებს.
ვიჯექ საკუთარ თავთან,
ძალიან დიდხანს ვწერდი,
ბოლოს შევნიშნე, გვერდებს
კალმის გარეშე ვწერდი.

შეიძლება

ვიცი ძველადაც
წერდნენ პოეტები.
მრავალი წლის შემდეგაც
შეიძლება წერა ლექსების,
და ათას რამის შეიძლება
კეთება მერეც.

ვერ ვგედავ

გამოფიტული
სიცილისაგან, სიტყვებისაგან
და უმნიშვნელო საქმეებით,
მცირე გრძნობებით,
ქანცგაწყვეტილი
სანახევრო სიყვარულისგან
და სანახევრო სიძულვილისგან,
ვჩურჩულებ,
სადაც უნდა ვიყვირო.

თქვენ იცით ეს ხმა —
გამშრალი ხორხში,
ვით ლერწამი
იმსხვრევა იგი.

ძველი ლექსები მცვივა თანდათან,
ახლებზე ფიქრი ვერ გამიბედავს —
იმ განახლებულ პოეზიაზე,
რომელსაც მხოლოდ
ბედნიერების წუთებში იგრძნობ.

ვინ არის პოეტი

პოეტი არის ვინაც სწერს ლექსებს
და ისიც, ვინაც თავს დაიბორკავს.
პოეტი არის ვინც ამსხვრევს
ბორკილს
და ისიც, ვინაც თავს დაიბორკავს.
პოეტი არის, თუ სწამს და სჯერა,
და ისიც, ვისაც არ ძალუძს
რწმენა.
პოეტი არის ის, ვინც ცილს სწამებს
და ისიც, ვინაც წარიკვეთს ხელსა.
პოეტი არის ვინაც სჭამს ხელით,
და ისიც, ვინაც წარიკვეთს ხელსა
პოეტი არის ის, ვინც უკან იხევს
და ისიც, ვისაც იგი არ ძალუძს.

გადაშლილი

ხელები ჰქონდა გადაშლილი ისე
ფართედ, რომ
მარცხენა მისი ჰორიზონტზე
მიშველი ხის წვეროს წვდებოდა,
ხოლო მარჯვენა, პატარა თათი,
მუშტად შეკრული
დედის ხელებში იმალებოდა.
თავს ჰქონდა ფორმა
შავი გრძელი ფუტლიარისა,
თითქოს იქიდან ვიოლინო
ამოუღიათ.

კბილნი წყობისად — თვალს და
ყურს შუა.
და იწვა იგი ცივი იანვრის
დღის სიწმინდეში.

ხოლო მისი ძმა,
რომელიც შვა ამავე დედამ,
ქარიშხლიანი დღეების წინ
გასცდა ევროპას...
და ახლა იგი ოკეანის მეორე მხარეს
ქაჩავს ყალიონს.

სიჩუმეში, რაც დაგვიჯდა სიცოცხლის ფასად

I

შავ ქალაქს ათოვს...
მიძინებული თეთრი ჩიტივით
სახურავებზე დევს სქელი თოვლი,
სახლში კი თბილი სუფევს სიჩუმე,
ხანდახან ჩემი ცოლი იცინის,
მისი სიცილი ავსებს სიჩუმეს.
ოქროსფერი თმის ბრწყინავს
გვირგვინი,
ხელს იდებს მკერდზე,
მისი სიცილი
პირთამდე ავსებს ამ სიჩუმეს,
რაც დაგვიჯდა სიცოცხლის ფასად.

II

სიცილმა დატოვა
ღარიბთა სახლები,
გამეფდა სიჩუმე,
სიკვდილი გამეფდა
და შიში ჩამდგარა
ღარიბთა თვალებში,
იქ, საბერძნეთშიც და იქ,
ესპანეთშიც,
რადგანაც ხალხი, რომელიც დუმს
და მიუპყრია ყური მიწისთვის,
თვალგახელილი განისვენებს
მშვიდად მიწაში,
არ იცინიან,
დუმან ისინი.

მაგრამ მოვა დრო,
მცენარეები, რომელთა ფესვებს
ჯერ კიდევ ღვიძავთ,
მიაშურებენ მზეს.

ამ სიჩუმეში,
რაც დაგვიჯდა სიცოცხლის ფასად,
ლაღი სიმღერა ისმის ტუსაღის:
„ბალახი მშვიდად
ცელის ქვეშ წვება,
მისი გადაწვაც შეიძლება,
მაგრამ ვის ძალუძს
უბრძანოს მიწას:
— მიწაო! ნუ შობ ქვეყნად
სიცოცხლეს,
ნუ ამოიზრდი შენს მკერდზე
ბალახს!“

III

ამ სიჩუმეში,
რაც დაგვიჯდა სიცოცხლის ფასად,
მშრომელთა უბანში
არის წითელი სასაფლაო
დახავსებული.
ყოველ საფლავზე არის ვარსკვლავი.
ამ სიჩუმეში,
რაც დაგვიჯდა სიცოცხლის ფასად,

მოჯირითე ცელქი ბავშვების,
ისმის კისკისი.
შემოურბენენ სასაფლაოს
და შორს გარბიან...
ისმის ყოველი ნაზი სიტყვა,
სუნთქვა, ჩურჩული,
ამ სიჩუმეში,
რაც დაგვიჯდა სიცოცხლის ფასად.

IV

შავ ქალაქს ათოვს...
მიძინებული თეთრი ჩიტივით
სახურავებზე დევს სქელი თოვლი,
სახლში კი თბილი სუფევს სიჩუმე.
ხანდახან ჩემი ცოლი/ფიქრობს,
მისი სიცილი ავსებს სიჩუმეს.
ოქროსფერი თმის ბინდყინავს
[illegible]
ხელს იდებს [illegible]
ჩემი ცოლი,
ისმის მისი ხმა:
„ჩემს მკერდში ფეთქავს
ორი გული, ორი სიცოცხლე“.
მესმის მისი ხმა,
ბედნიერი მისი სიცილი,
ამ სიჩუმეში.

პოეტის თმის ღერი

პოეტსაც აქვს თავის ფასი,
უსმინეთ მის ხმას და მის
სიმღერას, —
თუნდაც მისი ხმა
იყოს წვრილი,
ვით ჯულიეტას ერთი თმის ღერი.

და თუ გაწყდება ის წვრილი ღერი,
მაშინ პირქუში დედამიწა,
ბურთისმაგვარი,
ჩაექანება უფსკრულისაკენ.
ანდა ვინ იცის —
გაიბლანდოს სადღაც ღრუბლებში.

გესმით? ხანდახან ასეც ხდება,
რაღაც ჰკიდია ერთ წვრილ თმის
ღერზე
და პოეტის ხმა დღეს თმის ღერია.
გესმით?
იქ, სადღაც, ვიღაცას ესმის.

ცხოვრების ფერხულში

სიცოცხლის შემდეგ,
სიკვდილის შემდეგ,
ისევ შევიგრძენ მადლი ცხოვრების,
და მის მორევში ცურვა შევძელი.
სიცოცხლის შემდეგ, სიკვდილის
შემდეგ
ვქმნიდი ბუნებას, ვქმნიდი
ცხოველებს.

ადამიანი უნდა გიყვარდეს, —
ვიმეორებდი მე დღე და ღამე,
— უნდა გიყვარდეთ ადამიანი,
ვეუბნებოდი ადამიანებს.

სიცოცხლეს ვქმნიდი სიკვდილის
შემდეგ.
ეს მაგიდაა, — ასე ვამბობდი, —
ეს მაგიდაა.
მაგიდაზე დევს დანა და პური,
ადამიანებს როცა სჭირდებათ,
დანით პურს სჭრიან
და შემდეგ პურით იკვებებიან.

— ეს ფანჯარაა, — ასე
ვამბობდი, —
ეს ფანჯარაა,
ფანჯრის გადაღმა მომცრო ბაღია,

ბალში კი ვაშლის ხეები დგანან,
ყოველ წელიწადს ხენი ჰყვავიან,
შემდეგ ყვავილთა ნიავქარია,
შემდეგ ნაყოფი ხეზე მწიფდება,
შემდეგ ვაშლები დაიკრიფება
და ვაშლებს რომ კრეფს —
მამაჩემია.

სახლის წინ ვზივარ.

ეს დედაბერი, თხას რომ მიათრევს,
თოკს ჩაბღუჯვია ორივე ხელით,
ის საჭიროა,
ის ძვირფასია,
ვიდრე სამყაროს სხვა საოცრება.
ვინც გაიკვირვებს,
ვინც გაოცდება,
ადამიანის მკვლელია იგი,
კაცობრიობის მტერია იგი.

აი, ეს არის ადამიანი,
ეს არის ხე და ეს არის პური.

ადამიანებს კვება სჭირდებათ,
რათა იცოცხლონ ამ ქვეყანაზე.
ძვირფასი არის ადამიანი,
დიდია მისი სიცოცხლის ფასი,
ყოველივეზე ას წილად ძვირი,
რაც კი უკვდავყვეს მისმა ხელებმა.
ადამიანი დიდი განძია, —
ვიმეორებდი მე დაჟინებით.

ვამბობდი: — აი, ეს არის წყალი.
ვეფერებოდი ზედაპირს წყლისას.
„წყალო, — ვამბობდი, —
კეთილო წყალო,
მოუსვენარო წყალო,
მისმინე!“
ლაპარაკობდა ადამიანი
წყალთან, მთვარესთან, მიწასთან,
ცასთან,
და ყვავილებთან.

ცაც დუმდა,
მიწაც,
ჩიტიც
და წყალიც.
და თუ რაიმე
ხმა შემოესმა
მიწისგან,
ცისგან,
წყლისგან,
იგი ხმა იყო ადამიანის —
მისივე მსგავსის იყო პასუხი.

მიხაილ ლერმონტოვი

გამოქცეული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა

(მთის ლეგენდა)

გარბის გარუნი ირემზე მარდად
და კურდღელივით ეფარვის
ბუჩქებს,
ბრძოლის ველიდან გაიქცა, სადაც
ჩერქეზთა სისხლი ღვარივით
მოჩქეფს.
ორი ღვიძლი ძმა, მამასთან ერთად,
მკერდით იცავდა მშობლიურ მიწას,
ახლა სამივე დუშმანის ფერხთან
სისხლიან მტვერში ჩაფლული იწვა.
გარუნს არ ახსოვს მხედრული ვალი,
თუმც შურისგების უხმეს ზარებმა,
მოისრიალა თოფი და ხმალი
და უსირცხვილოდ მიიპარება.

დაღამდა, ჩქამი არსაით ისმის,
მთებს გადაეკრა ჩარსავი ნისლის,
აღმოსავლეთით დაჰკრა სიცივემ,
ტაშირზე ქარი ატირდა მწარედ
და ცის თაღზე კი კვლავ მოციმციმე
და ვერცხლოვანი აღმოხდა მთვარე.

მიდის გარუნი გადაკაწრული
და დაქანცული კლდეებს ჩაუვლის,
და მთვარის შუქზე მათში ჩაწნული
ამოციაგდა მისი აული.
არავინ ხედავს... ირგვლივ ბუნებაც
ხვდება უჩქამოდ, დადუმებული,
ცხარე ბრძოლიდან ასე უვნებლად
მხოლოდ ის არის დაბრუნებული.

ნაცნობ სახლისკენ გასწია უხმოდ,
ანთია შუქი და ღვიძავს პატრონს,
კარი შეაღო, სიმხნევეს უხმო,
შიგ ავადმყოფი დაუხვდა მარტო.
სელიმი ჰყავდა ძმად მიჩნეული.
სელიმი ვერ ცნობს შემოსულ
სტუმარს,
ლოგინს მიკრული იწვა სნეული.
და უპატრონოდ კვდებოდა ჩუმად.
„დიდება ყოვლად მოწყალე ალაჰს,
რომ გადაურჩი იმ დარდუბალას!“
საომარ ამბებს ჰკითხავს სელიმი,
მიმკვდარებული, გულდასენილი,
თავი ასწია მილეულ ძალით,
გარუნს მიმქრალი მიაპყრო თვალი,
პასუხს იმედით მოელოდება,
მეომრის სისხლი კვლავ
უჩქროლდება.
„ორ დღეს ვიბრძოდით, მამასთან
ერთად
დაეცნენ ძმები თავგანაწირი.
მე გავიქეცი და შევრჩი კენტად
უდაბურ ადგილს, როგორც ნადირი.
ძლივს მივარღვევდი ბარდებს,
ხვიარებს,
უცნობ ბილიკებს ვსდევდი ეკლიანს,
მგლის ნაფეხურზე ბევრი ვიარე,
რომ დახაფრული გზა გამეკვლია.
უჭირთ ჩერქეზებს... ყველგან
მტერია...

შენ შემიფარე, რაკი დაგენდე
და თუ სიცოცხლე კვლავ მიწერია,
არ დაგივიწყებ თვით სამარემდე!"
და მომაკვდავი რისხვით ივსება:
„წადი, არ გნახონ ჩემმა თვალებმა,
მშიშარავ, ჩემგან არ გელირსება
არც შესაფარი, არც შებრალება!"
სწვავს სირცხვილი და ტანჯვა
მალული,
გრძნობს, კარი ყველგან მიეხურება,
ფარხმალდაყრილი,
თავლაფდასხმული

ახლა სხვა გზისკენ მიეშურება.
სხვა სახლს მიადგა იმედმოცემით,
შედგა და გული მღელვარედ უცემს
და ნაფერფლარი ძველი ოცნების
მწველი ოცნებით გაცოცხლდა უცებ.
ამოტივტივდა ის დრო ნეტარი,
ნაზი ასულის სახე გრძნეული
და სიყვარულის ტკბილი ნექტარით
გათბა სხეული ქანცმილეული.
ოცნების ფრთებქვეშ შეფარებული
თავს ინუგეშებს შეყვარებული,
რომ ელირსება ალერსი ისევ,
შიგ შესვლას ლამობს და აი
ისმენს, —
ქალი ძველისძველ სიმღერას მღერის
და გარუნს უმალ ეცვლება ფერი:

მიცურავს მთვარე,
წყნარი და მშვიდი,
აგერ, ჭაბუკი
საომრად მიდის.
თოფს იღებს ჯიგიტი
და სატრფო აცილებს:
იბრძოლე გმირულად
და ნუ გაგვაწბილებ.
უფლის სიყვარულმა
შენში იყვავილოს,
მოძმეთა ღალატი
გულში არ გაივლო.
თორემ შერცხვენილი
სახელით ჩაკვდები,
სისხლს არვინ ჩამოგბანს
და სამგლედ გახდები.
მიცურავს მთვარე,
წყნარი და მშვიდი,
აგერ, ჭაბუკი
საომრად მიდის.

ცრემლით აევსო გარუნს თვალები,
არ ჩანს საშველი, თავდასახსნელი,
საკუთარ სახლში თავშეფარების
ბეუტავს იმედი უკანასკნელი.

გადაიარა კიდევ ხევები,
გამოჩნდა მისი სახლი ნათელი
და ძალმოკრეფით და გამხნევებით
დააკაკუნა ფრთხილად სარკმელი.
იქ ალბათ დედა ლოცულობს
მისთვის,
ცრემლმორეული მისთვის ღონდება,
მას ელოდება და დღეებს ითვლის
და არა მარტო მას ელოდება.

„ეს მე ვარ, დედავ, გახსენ კარები,
უმცროსი შვილი მოველ ყარიბი,
გამოვერიდე კოშმარეთს ტიალს
და ავიცილე რუსების ტყვია."
„მამა და ძმები?"—„თავი გადასდეს,
მამულს დაუდგნენ მცველად და
ფარად,
ანგელოზებმა სული წარსტაცეს."
„და მტერზე შური იძიე?" — „არა!
გამოვექეცი სისხლის ღვრას,
სროლას,
უიარაღოდ მთებში დავეშვი,
აბა, რას მარგებს, დედილო,
ბრძოლა,
თუ აგევსება გული კაეშნით?"
„ხმა ჩაიწყვიტე, შე გიაურო,
წადი, გამშორდი და გამეცალე,

არა ხარ ღირსი, რომ მზეს უყურო,
არ გეყოლება არსად შემბრალე!
მონა ხარ, მონად დარჩები მარად,
შენ ჩემი შვილი არა ხარ, არა!"
შეწყდა უეცრად განკითხვის სიტყვა,
დუმდა სოფელი, მოცული ძილით,
სახლის სარკმელთან ისმოდა
დიდხანს
ხვეწნა და კვნესა გულდედალ
შვილის.
და ეს სირცხვილი ბედკრული
მხდალის
ჩამოირეცხა ბოლოს მახვილით.
მკვდარს დედამ დილით შეავლო
თვალი
და გამობრუნდა ზიზღით ალვსილი.
არ გაუთხარა არვინ სამარე,
პირს არიდებდა, თვალს ვინც
მოჰკრავდა,
ღრმა ჭრილობიდან გადმომდინარე
სისხლს ღრენა-ღრენით ძაღლი
ბიბლიოთეკა
ლოკავდა.
და თვით ბავშვებმაც დაუმარხავი
ცივი სხეული წყევლეს წყეული,
ხალხში თქმულებად დარჩა ამბავი
ბრძოლის ველიდან გამოქცეულის.
და მისი სული, მთებში გაჭრილი,
ღმერთს ემალება და როს ბნელდება,
ეშმაკეული მისი აჩრდილი
უმიზანკვალოდ დაეხეტება.
დილით სარკმელთან ისმის კაკუნი,
მაგრამ ყურს მოჰკრავს ყურანის
მცნებას
და სამარცხვინო ბოძზე გაკრული
გარბის და ისევ ნისლებში ქრება.

ფ. სკოტ ფიცჯერალდი

იქ, სადაც დურგალი ცხოვრობს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა მაია გოლაშვილმა

ავტომობილი მეთექვსმეტე ქუჩისა და რომელიღაც ჭუჭყიანი შესახვევის კუთხესთან შეჩერდა. ქალი გადმოვიდა. კაცი და პატარა გოგონა მანქანაში დარჩნენ.

„ვაპირებ ვუთხრა, რომ ოც დოლარზე მეტი არ ღირს", თქვა ქალმა.

„როგორც გინდა. ესკიზები თუ წამოიღე?"

„რა თქმა უნდა". ქალი მანქანის უკანა სალონში მოთავსებულ ჩანთას დასწვდა. „კიდევ კარგი, არ დამავიწყდა".

„Dites qùiline faut pas avoir les forts placards",[1] თქვა კაცმა.

„Nile bon bois".[2]

„ძალიანაც კარგი".

„ნეტა ფრანგულად არ ლაპარაკობდეთ!" თქვა გოგონამ.

„Et il faul avoir un bon 'height. L'un des Murphys était comme ça".[3]

კაცმა ხელი ერთნახევარი იარდის სიმაღლეზე ასწია. აბრაგაკრული სადარბაზოს კარი, რომელზეც „სადურგლო სახელოსნო" ეწერა, ქალმა ოდნავ შეაღო და მომცრო კიბეს აუყვა.

კაცმა და გოგონამ გარემო უხალისოდ მოათვალიერეს. არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ. ირგვლივ მხოლოდ წითელი აგურის სახლები ჩამომდგარიყვნენ. სიჩუმეს დაესადგურებინა. მოშორებით რამდენიმე ზანგი საქმიანად დაფათურობდა და მანქანებიც იშვიათად მიმოდიოდნენ. ნოემბრის მშვენიერი დღე იდგა.

„იცი", უთხრა უცბად კაცმა გოგონას, „ძალიან, ძალიან მიყვარხარ".

„მეც მიყვარხარ", უპასუხა ბავშვმა და ზრდილობიანად გაუღიმა.

„მისმინე", განაგრძო კაცმა. „ქუჩის გადალმა იმ სახლს თუ ხედავ?"

გოგონამ იქით გაიხედა და მზერა მაღაზიის უკან მდებარე პატარა სახლზე შეაჩერა. ფანჯრებზე ჩამოშვებული ფარდების მიუხედავად იგრძნობოდა, რომ შინ ვიღაც სულიერი იყო. ცუდად მისურული დარაბა დროდადრო მოძრაობდა. კაცსა და გოგონას ეს ადგილი არასოდეს ენახათ.

„ამ ფანჯრების მიღმა მშვენიერი პრინცესა ცხოვრობს", თქვა კაცმა.

„მისი დანახვა იოლი არ არის, რადგან დღედაღამ უზარმაზარი გოლიათი დარაჯობს და თვალს წუთით არ აშორებს. შენ ალბათ გოლიათი გემახსოვრება“.

„როგორ არ მახსოვს“.

„ოქროსთმიანი პრინცესა ისეთი ლამაზია, რომ [illegible] მიჭირს“. და ორივემ სახლს გაფაციცებით დაუწყეს თვალთვალი. ფანჯარაში წამით ყვითელი კაბის კალთა გაკრთა.

„აი, თვითონ პრინცესაც“. თქვა კაცმა. „გოლიათმა ყველას მკაცრად უბრძანა, თვალი არ მოაცილონ და არსად გაუშვან. მეფე და დედოფალიც ქვესკნელში გამოამწყვდია და, ვიდრე პრინცი სამივეს არ იპოვის და არ გაათავისუფლებს, ოქროსთმიანი ფერია ასეთ შავ დღეში იქნება“. კაცი შეყოყმანდა.

„რაო, მამა? რა უნდა იპოვოსო?“

„სამი... ნახე! ნახე! ისევ გამოჩნდა“.

„სამი რაღაა, მამი?“

„სამი, სამი ჯადოსნური ქვა, რომლითაც პრინცი მათ გათავისუფლებას შეძლებს“.

კაცს მთქნარება აუტყდა.

„მერე, მერე რა მოხდება?“

„შემდეგ პრინცი სახლის ფანჯრებს ჩამოუვლის, თითოეულზე სამჯერ დააკაკუნებს და პრინცესასაც ეშველება“.

ზემოთ, სახელოსნოს ფანჯარაში ქალის სახე გამოჩნდა.

„თავზე საყრელი საქმე აქვს და დაცდა მომიწევს“, გადმოსძახა მან. „ხედავ, რა მშვენიერი ამინდი გამოვიდა?“

„გააგრძელე რა, მამი“, — შეეხვეწა გოგონა. „ასე მკაცრად რატომ ყარაულობს პრინცესას გოლიათი?“

„იმიტომ, რომ ნათლობაში არ მიიწვიეს და განრისხებულია. მაგრამ არაფერია. შენ ნუ შეგეშინდება. პრინცმა პრეზიდენტ კულიჯის ზარდახშაში ერთი ჯადოსნური ქვა უკვე იპოვა და ახლა მეორის საშოვნელად ისლანდიისაკენ გაემგზავრა. როგორც კი ქვებს მოაგროვებს, პრინცესას ოთახი ცისფრად განათდება და მის ნახვას არაფერი ემჯობინება“.

„ვაიმე!“ წამოიყვირა გოგონამ. „ნახე, ნახე, უკვე განათდა. ანუ პრინცმა სამივე ქვის პოვნა შეძლო. რა კარგია!“

კაცი თამაშში თავდავიწყებით ჩაეფლო. უცბად გარემო ფრთხილად მოათვალიერა და ხმაც უფრო დამაჯერებელი გაუხდა.

„რას ხედავ, თუ იცი?“ წამოიძახა მან. „გოლიათი პატარა ბიჭის ტანსაცმელში გადაცმულა, რომ ვერავინ იცნოს და ჩვენსკენ მოემართება. შენ ხომ კარგად გახსოვს მომბი „ჯადოსნური ქვეყნიდან? ჰოდა, ისიც ცდილობს მას მიბაძოს“.

„ჰოო, მახსოვს“.

ორივეს ყურადღება იმ ცეროდენა ბიჭუნამ მიიპყრო, ფართო ნაბიჯებით სახლისაკენ რომ გაეშურა და ჭიშკარზე რამდენიმეჯერ დააკაკუნა; არავინ გაეპასუხა. თუმცა არც მოელოდა, რომ შინ ვინმე დახ-

ვდებოდა და გულიც დიდად არ დასწყვეტია. ჯიბიდან ცარცის ნატეხი ამოაძვრინა და კარზე უცნაური სურათების ხატვა დაიწყო.

„ჯადოსნურ ნიშნებსა სვამს“, დაიჩურჩულა კაცმა. „ეს პრინცესას პატიმრობას მეტად გაურთულებს, რადგან ზღურბლსაც ვერარ გადმოაბიჯებს. ის კი არ იცის, რომ პრინცმა მეფესა და დედოფალს [illegible] აგნო და ახლა მის დასახსნელად მოიჩქარის“.

ბიჭუნა წამით შეჩერდა; შემდეგ ფანჯარასთან მივიდა და გაუგებრად რაღაც დაიძახა. მოგვიანებით ქალმა ფანჯარა ფართოდ გამოაღო და შეეხმიანა, მაგრამ სიტყვები ქარმა წაიღო.

„გოლიათს ეუბნება, რომ პრინცესა ისევ გამოკეტილია“, აუხსნა კაცმა.

„შეხედე რა, მამი! ახლა უკვე ჯადოსნური ნიშნების დასმა ფანჯრის ძირში და ტროტუარზე დაიწყო. ნეტავ რატომ?“

„სურს, რომ პრინცესას რაც შეიძლება გაურთულოს გარეთ გამოსვლა. ამიტომაც ცეკვავს. მშვენიერია, არა! ეს ხომ ჯადოსნური ცეკვაა“.

გოლიათი ფართო ნაბიჯებით უკან გამობრუნდა. ორმა კაცმა ქუჩა გადაჭრა და თვალს მიეფარა.

„ესენი ვილა არიან, მამი?“

„მეფის ჯარისკაცები. ალბათ უკვე მთელი ჯარია სახლის დასაცავად მარკეტის ქუჩაზე შეკრებილი. იცი, „გარშემორტყმა“ რა არის?“

„ვიცი. ის კაცებიც მეფის ჯარში მსახურობენ?“

„რა თქმა უნდა, და იმაშიც დარწმუნებული ვარ, აი, ის უკანა რიგში მდგარი მოხუცი კაცი, თავად ხელმწიფეა. წელში მოხრილა და გოლიათის კაცებს ემალება. არ უნდა ვინმემ იცნოს“.

„ის ქალბატონი ვილაა?“

„გრძნეული ჯადოქარი. გოლიათის განუყრელი მეგობარი“.

დარაბა ჯახუნით მიიხურა. მერე თავისით ნელა გაიღო.

„ეს უკვე სიკეთისა და ბოროტების ჭიდილია“, კაცი შეეცადა აეხსნა. „ყველაფერს უჩინარი ფერიები მართავენ. ბოროტებას სურს სახლში ჩამოაბნელოს და ადამიანის შვილმა შიგ ვერ შეიჭვრიტოს. ამიტომაც ცდილობს ფანჯრები დაგმანოს. სიკეთე ხომ სინათლეა. ბოროტებას არ ეპუება და დარაბებს ფართოდ აღებს“.

„მაინც სიკეთე გაიმარჯვებს, არა?“

„რა თქმა უნდა“. კაცმა გოგონას შეხედა: „ჩემი კეთილი ფერია შენა ხარ“.

„ჰო, მე ვარ, მამიკო. შეხედე! კიდევ ერთი უცხო კაცი მოვიდა“.

„მეფის არმიის გულადი ჯარისკაცი“.

იქვე, ახლოს, საიუველირო მაღაზიის მოხელემ ჩაიარა, რომელსაც სიმამაცისა არაფერი ემჩნეოდა.

„სტვენის ხმა თუ გესმის? ერთმანეთს ნიშანს აძლევენ. აი, უკვე დოლსაც დაკრეს“.

„მამი, მამი, დედოფალი! აგე, დედოფალი! იქით გაიხედე. ის ქალბატონი განა დედოფალი არ არის?“

„არა ჩემო პატარა. ის მის ტელევიზიაა“. კაცმა დაამთქნარა. გუნებაში წინა დღით მომხდარი სასიამოვნო ამბები ამოუტივტივდა. ფიქრებმა წაიღო და ერთხანს გაჩუმებული იჯდა. შემდეგ გოგონას შეხედა და მისი ბედნიერებისგან გაცისკროვნებული სახე დაინახა. ექვსი წლის უსაყვარლესი ბავშვი იყო. კაცი დაიხარა და აკოცა.

„აი, ის ყინულისტორტიანი კაციც მეფის ერთ-ერთი ჯარისკაცია“, თქვა კაცმა. „ახლა ამ ტორტს გოლიათს თავზე ჩამოამხობს, რათა ტვინი გაუყინოს და ცუდი ველარაფერი ჩაიდინოს“.

გოგონამ ქუჩის ბოლოს მიმავალ კაცს გააყოლა თვალი. ხალხი კანტიკუნტად მიმოდიოდა. ყვითელი ფერის ხანგურ ტანსაცმელში გამოწყობილი ხანგიც გამოჩნდა. ურიკას მოაგორებდა, რომელზეც „დელის ხალიჩები და ფარდები“ ეწერა.

ფანჯრის დარაბა ისევ გაიღო და მიიხურა.

„შეხედე, მამა! სიკეთე ისევ იმარჯვებს!“

კაცი სოლიდურ ასაკში იყო. ამიტომაც მიხვდა, რომ ეს დღე დიდხანს ემახსოვრებოდა: შემოდგომის მზით განათებული პატარა, წყნარი ქუჩა და ქალიშვილის თვალწინ შეთხზულ-გათამაშებული ზღაპარი, რომელიც მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო. თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ მარტო თვითონ ამ ყველაფერს გემოს ვერ ჩაატანდა და არომატის გაგებაც გაუჭირდებოდა. გოგონას ხელი ლოყაზე მოუთათუნა და ზღაპარში კიდევ ერთი ბიჭუნა და კოჭლი კაციც ჩართო. ფიქრობდა, ბავშვს უკეთესად გავართობ და ვასიამოვნებო.

„ძალიან მიყვარხარ“, უთხრა კაცმა.

„ ამას მერამდენედ მეუბნები, მამიკო“, უგულისყუროდ უპასუხა გოგონამ და ისევ სახლს მიაშტერდა. კაცმა ერთი წამით თვალები დახუჭა. შეეცადა ყველაფერი ბავშვის თვალით დაენახა, მაგრამ გაუჭირდა, რაღაც ძველი და გაცვეთილი თვალწინ ფარდასავით ჩამოფარებოდა და ალბათ ველარასოდეს მოიშორებდა. მხოლოდ რამდენიმე ხანგი, პატარა ბიჭები და ნათელი დღეები, — სულ ეს იყო მისი წარსული. მეტი ვერაფერი გაიხსენა.

სახელოსნოდან ქალი გამოვიდა.

„საქმე როგორ არის?“ ჰკითხა კაცმა.

„კარგად. Il dit qu'il a fait les masions de poup'ee pour les Duponds. Il va le faire“.[4]

„Combien?“[5]

„Vingt-cinq.[6] მაპატიე. დიდხანს გალოდინე“.

„შეხედე, მამიკო! ჯარისკაცები ისევ მოდიან!“

მანქანა დაიძრა. რამდენიმე მილის გავლის შემდეგ კაცი ქალისკენ შეტრიალდა და უთხრა: „იცი, ჩვენ სასწაულების მოწმენი გავხდით, როცა შენ გელოდებოდით“. და ყველაფერი მოკლედ უამბო. „ძალიან ვწუხვარ, რომ პრინცესა საბოლოოდ ვერ გაათავისუფლეს“.

„როგორ არა“, წამოიყვირა პატარამ. „ეს მეზობელ ქუჩაზე მოხდა. მკვდარი გოლიათი კარებთან ეგდო. ხელმწიფე, დედოფალი და პრინციც მოკლეს. სულ მალე დედოფლად პრინცესა დაჯდება“.

კაცს მეფეც და დედოფალიც უზომოდ შეყვარებოდა და ძალიან შეწუხდა, მისი გმირები ხელის ერთი მოსმით რომ გაანადგურეს.

„გმირები აუცილებელია. ყველას უნდა ჰყავდეს", მოუთმენლად წამოიძახა კაცმა.

„არაფერია. პრინცესა გათხოვდება და ქმარი გახდება მეფეთა ყველაზე აუცილებელი და მნიშვნელოვანი".

მანქანა გზას უგულისყუროდ მიუყვებოდა. თითოეულს ავტომანქანა საფიქრალი გასჩენოდა. ქალი თოჯინების პატარა სახლზე ოცნებობდა, დუხჭირი ბავშვობის გამო ვერასოდეს რომ ვერ ელირსა. კაცი უკვე საკუთარ მილიონ დოლარზე ფიქრობდა. გოგონას კი ჭუჭყიან ქუჩაზე მომხდარი უჩვეულო ამბები ახსენდებოდა; მის თვალწინ დატრიალებული საოცარი ამბები. თუმცა ეს ყველაფერიც უკვე წარსულის კუთვნილება გამხდარიყო.

შენიშვნები:

1. Dites qu'iline faut pas avoir les forts placards — უთხარი, რომ ბევრი კარადები საჭირო არ არის.

2. Ni le bon bois—არც ძვირფასი ხის მასალა გვჭირდება.

3. Et il faul avoir un bon 'height. L'un des Murphys e'tait comme Ca". — და რაც შეიძლება მაღალი გააკეთოს. მერფეებთან რომ ვნახეთ, ისეთი.

4. Il dit qu'il a fait les masions de poupee' pour les Duponds. Il va le Il va le faire — ამბობენ, რომ დიუპონებს თოჯინების პატარა სახლები გაუკეთა. ჩვენც გაგვიკეთებს (დიუპონები — ამერიკელი მილიარდელების ოჯახი).

5. Combien—რამდენი?

6. Vingt-cinq—ოცდახუთი.

ბორის ზახოდერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალუფხული გეოგრაფია

თარგმნა ვაჟა ყუბუსიძემ

ო, ღმერთო ჩემო!
ვერ შეაჩერა,
დღე შეუჩვენა
მუხრუჭს გაჩენის
აღელვებულმა მძღოლმა;
ავტობუსის ქვეშ
მოჰყვა გლობუსი,
შთანთქა გლობუსიც
და ავტობუსიც
გამონაბოლქვის ბოლმა.

ბევრი ენახა
რამ უცნაური,
მაგრამ ამგვარი
აურზაური
ჯერ არ ენახა მიწას:
აატორტმანა
ქარმა პლანეტა,
ყველა კუნძული
წყალმა წახვეტა,
მთელი სამყარო ირწა.

სახე ეცვალა
ზვავს და მდინარეს,
პარალელებს და
მერიდიანებს,
კომპასს აებნა თავგზა:
ჩრდილო პოლუსი
მოჰყვა გრიგალში,
აღმოჩნდა სამხრეთ
ამერიკაში
და ყინვის ქოში გასძვრა;

სამხრეთისა კი
ნაკლებად მდგრადი,
ნებით შლორთა და
სიმხურვალეთა,
ორად გაიყო,
უსაზღვრო ვადით,
დასავლეთად და
აღმოსავლეთად.

მთელი აფრიკა
დადგა მალაყზე,
მთლად ამერიკის
მიწაც ყალყზეა,
გამძვინვარებულ
ზვირთებს გადაჰყვა —
ავსტრალიაში
შეძვრა აზია.

შხამიან შიშინს
დაჰყვება შიში,
ყინულოვანი
ღუოს ოკეანე,
ცხელი საჰარა
წყალმა დაფარა,
ორთქლი ღრუბლებად
დაბორიალებს.

უზარმაზარი
ევერესტისგან,
უმაღლესთაგან
უმაღლესისგან,
ზუზუნი დარჩა ქართა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ყველასათვის
ცნობილი ერი, —
ტბა უწყინარი
და მშვენიერი,
გამოქვაბულმა შთანთქა.

შიშის ჭაღარამ
ისე შეღება —
ალარ იციან
მეცნიერებმაც
ზღვა შავია თუ თეთრი.
დგას ორინოკო,
დარდით თავს იკლავს,
მდინარე იყო,
გადიქცა პიკად
და ალარაფერს ერთვის.
ფანტელებივით
ფრენენ ჰაერში
ჩიტუნიები მიმომფრენები,
ჩრდილო პოლუსი
დახვდათ სამხრეთში,
უკან გარბიან შეუჩერებლივ.

მთლად ეკვატორის
გვერდით დაცურავს
ყინულის გემით
ყინვის კაცუნა,
ლომებს ევროპის
გზატკეცილებზე,
ანტილოპები
მიაცილებენ.
პოლუსს დაეძებს
თეთრი დათუნა
და ტყეში ხიდან
ხეზე დახტუნავს.
ლომმა პირველად
ნახა თაგვი და
ნაძვს შეეფარა,
შიშით გაფითრდა.

ანტარქტიკაში
ჩეჰემოთები
ყვირიან: ვიდრე
ყინვის ლოდებად
გვაქცევს იანვრის ღამე —
უნდა მკურნალთან
კაცი ვაფრინოთ,
რომ ამ ალუფხულ
გეოგრაფიას
ვუსაშველოთო რამე.

იოსიფ ბროდსკი

ლ ე ქ ს ე ბ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსულიდან

თარგმნა ბათუ დანელიამ

თაფლოგის თვის ნახატი

არ დაივიწყო არასდროს, როგორ
აწყდება ქვებს და თქრიალებს წყალი
ნავსადგურში, და მაშველ რგოლივით
მოქნილი როა ჰაერი მკრთალი.

ცას იახტები უცქერენ უნდოდ.
თოლიების ხმას სულ ახლოს ვისმენ.
ღრუბლები, როგორც იხვების
გუნდი,
ზევით და ზევით მიდიან ისევ.

დაე ათრთოლდეს და აფართქალდეს
უძლურ თევზივით შენს ობოლ
გულში
ჩვენი ცხოვრების ერთი მართალი
ნატეხი — ჟამი ტკბილი და ლურჯი.

დაე ისმოდეს ხამანწკის მტვრევა!
ბუჩქს აებურძგნოს ზურგი ტახივით!
და მიღწეულმა ბაგემდე ვნებამ
უხმოდ, უსიტყვოდ და უძახილოდ

გაგაგებინოს, თუ როგორ ჩნდება
შორს, ნაპირამდე მისული ქაფით —
ზვირთთა ქოჩრები! — ესაა ვნება,
ბაგეს რომ კოცნის, ვით ზვირთი
ნაპირს.

ტემზა ჩელსიში

I.

ნოემბერია და უზმოზე წამომდგარ მნათობს
ვეჭვრეტ აფთიაქის ვიტრინაში, გარინდულს სოდის
ქილებზე. ქარს კი ყველაფერი აბრკოლებს. რატომ?
აბრკოლებს მილი, ხე, და ხალხი, რომელიც მოდის.
გალავანს სვრიან თოლიები ისეც და ასეც.
ტემზას ტრანსპორტი უბორბლებო თითქოსდა ზომავს,—
მიდის უაზროდ დაკლაკნილ და ნაცრისფერ გზაზე.
მარჯვენა ნაპირს ადრინდელი გულისთქმით თომას
მორი გაჰყურებს, გაჰყურებს და გონებას იკრებს.
გაქვავებული მზერა უფრო მყარია, ვიდრე
პრინცი ალბერტის რკინის ხიდი; და რომ თქვას კაცმა,
ჩელსიდან წასვლის უფრო სწორ გზას შეხვდები არსად...

II.

შორით მოუვლის უსასრულო ქუჩა და ნანავს
ელტვის ტემზისას და მთავრდება ლითონის ისრით...
ნაბიჯებს აპნევს დაჭმუჭნილი შარვლიდან ტანი.
ხეები თითქოს თართის რიგში ჩამდგარან, ისიც —
ტალღების წვრილი თართის რიგში. და სულ ესაა,
რაც შეუძლია ტემზას თევზის ამბავში, წვიმა
ადგილობრივი აგრიპას მილს ბინდავს და ასი
წლით ვისაც ძალუძს წინ გახედვა, ის ნახავს მბრწყინავ
მერმისში ბარჟებს, ტემზის პირას როგორ გამწკრივდნენ.
წყალსადინარი ფლეიტების ანსამბლს. ტიეტის
გალერეასთან მდგარ ავტობუსს. პორტიკს ნაცრისფერს,
აბრა „ბარი" რომ არ უფუჭებს ძველ სიდიადეს.

III.

ბრწყინავს ლონდონი, გამორჩევით წვიმაში, როცა
არ ძალუძს წვიმის დაბრკოლება კეპს, თუნუქს,
გვირგვინს.
მხოლოდ ქოლგების მწარმოებელს აქვს შანსი, დროზე
ჩაიგდოს ხელში პირველობა, როცა წვიმს ირგვლივ.
არ შეუძლია როცა ჩრდილსაც დაწევა ზურგის
და ფულიც ბლომად იხარჯება ქალაქში, სადაც
აგური რაგინდ მუქი იყოს, — რძე კარის ზღურბლზე
მუდამ ითეთრებს, როგორც შუქი შორეულ ცათა...
და შეიძლება გადააწყდე გაზეთში ამბავს
კაცზე ბორბლებქვეშ ჩავარდნილზე, და როცა ნახავ
აბზაცს, რომელშიც ნათესავთა წუხილზე წერენ,
იტყვი, ჩემზე არ ყოფილაო, და ხარობ მერე...

IV.

სიტყვები ესე, ჩემთვის არვის უკარნახია,
არცა სიყვარულს, არცა მუზას, არამედ ბგერის
სიჩქარეგამქრალ უფერულ ხმას. კედლისკენ მზერით
ვიწექ და ისე ვპასუხობდი კითხვებს, თვალღია:
„როგორ ცხოვრობდი?" „ვით „ого"-ში „г",
ზუსტად ისე".
„რა გრძნობა გქონდა?" — „მაშინებდა სიძვირის ცელი".
„ყველაზე უფრო რა გიყვარდა ამ ფერად ცისქვეშ?" —
„მდინარეები და ქუჩები — ცხოვრების გრძელი
საგნები". „წარსულს თუ იხსენებ?" — „ზამთარი
მახსოვს,
ქარმა დამცადა მოციგავე". „თუ უფრთხი სიკვდილს?"—
„არა. ბნელია ჩვეულებრივ, ოღონდაც სკამსაც
ვერ არჩევ, მზერას თუ შეაჩვევ, — მე ამას მივხვდი".

V.

ჰაერი ცხოვრობს იმ ცხოვრებით, ვერ ვწვდებით რასაც —
თავის ცისფერ და ქარაფშუტა ცხოვრებით ცხოვრობს.
იწყება იგი თავზემოთ და არა აქვს ბოლო...
ფანჯრიდან ხედავ შპილებს, ცას რომ ჰმატებენ ლაზათს.
ხედავ სახურავს, საკვამურებს, თავშიშველ ჭადრებს,
რაც ნესტიანი სამყაროსი საწყისი არი,
ხოლო ნაცნობი ქვაფენილი, მზითა და მთვარით
რომ გვზრდიდა, მისი ნაადრევი, თუ დროზე ადრე
აღსასრულია... კრთის ცისკარი, ჩაივლის ფოსტა
და ერთადერთი, რაც გვწამს და ღირს რისთვისაც მოცდა,
ის არის, რომ თუ აქვს მარჯვენა ნაპირი ტემზას,
მაშინ მარცხენაც კი აქვს და ეს კარგია ეგზომ.

VI.

ბრწყინავს ლონდონი. იქ საათი მუშაობს ყველგან.
მხოლოდ გული თუ ჩამორჩება უდიდეს ბიგ ბენს...
და ბუქსირები ბანს აძლევენ ჩელსიდან ტემზას,
რაც გზას ზღვისკენ ჭარბსისხლიან ძარღვივით იგნებს.
ბრწყინავს ლონდონი, ცას არ სწვდება სიმაღლით თუმცა,
ვრცლად გადაშლილა ტემზის გასწვრივ, გამოღმა, გაღმა.
როცა იქ გძინავს, ტელეფონის ნომრები უცებ,
ძველიც, ახალიც შეერწყმიან ერთურთს და ახალ
ასტრონომიულ ციფრებს ქმნიან და ცივი ზამთრის
მთვარის დისკოს რომ ატრიალებ, გაიგებ დაღლილ
წრიპინს, რაც ნიშნავს „დაკავებულს“ და ტანჯვად
გვერთვის
ხმა ბევრად უფრო გარდუვალი, ვიდრე ხმა ღმერთის.

მარგერიტ დიურა

რ ო მ ა ნ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან

თარგმნა ნათია ამაღლობელიმა

მარგერიტ დიურა და მისი რომანი

მარგერიტ დიურა დაიბადა 1914 წელს ინდოჩინეთში 1927 წლიდან ცხოვრობს პარიზში. იგი 50-იანი წლების ფრანგულ ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე ორიგინალურ შემოქმედად მიიჩნევა. მის ნაწარმოებებში მთავარია არა მოქმედება ან პეიზაჟის აღწერა, არამედ ხშირად დაუსრულებელი, წყვეტილი ხასიათის ბუნდოვანი დიალოგები. თუმცა ამ ერთი შეხედვით ბანალური საუბრების მიღმა სიყვარულისა და სიკვდილის უკვდავი თემები ვითარდება. პირველი მათგანი წინამდებარე რომანს ფონს უქმნის, მეორეს კი არც მიზეზი სჭირდება, არც საფუძველი, საკმარისია მხოლოდ სულ ცოტა ღვინო, ფანტაზია, ჩამავალი მზის შუქში დაჭერილი ვილაცის ფარული მზერა და, რაც მთავარია, აუჩქარებელი, მელოდიური მუსიკა — Moderato cantabile.

MODERATO CANTABILE

— შეგიძლია წაიკითხო, რა წერია პარტიტურაზე? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— Moderato cantabile, — უპასუხა ბიჭმა.

ქალმა პასუხი კლავიშზე ფანქრის დარტყმით დაადასტურა. უძრავად იჯდა და პარტიტურას შეჰყურებდა.

— ჰოდა, რას ნიშნავს Moderato cantabile?

— არ ვიცი.

მოშორებით მჯდარმა ქალბატონმა ამოიოხრა.

— დარწმუნებული ხარ, რომ არ იცი, რას ნიშნავს Moderato cantabile?

ბავშვმა არ უპასუხა. მასწავლებელმა უიმედოდ ამოიკვნესა და ისევ დაარტყა ფანქარი კლავიშს. ბავშვს წარბიც არ შეუხრია. მასწავლებელი მოშორებით მჯდარ ქალს მიუბრუნდა.

— ეს რა შვილი გეზრდებათ, ქალბატონო დებარესდ!

ანა დებარესდმა ისევ ამოიოხრა:

— ნუ მკითხავთ, ისეთი ჯიუტია... — უპასუხა მან.

თავდახრილი ბავშვი კვლავ უძრავად იჯდა და მოახლოებულ მზის ჩასვლაზე ფიქრობდა.

— მეასედ გეკითხები, რას ნიშნავს-მეთქი Moderato cantabile? — ბავშვმა არც ახლა უპასუხა. მოსწავლის ჯიუტმა დუმილმა მასწავლებელი ძალზე გააღიზიანა.

— ისევ თავიდან იწყება, — ჩაილაპარაკა ანა დებარესდმა.

— საქმე ის არის, — განაგრძო მასწავლებელმა, — საქმე ის არის, რომ არ გინდა მიპასუხო.

ანა დებარესდმა შვილს სევდიანი მზერა მიაპყრო.

— ახლავე მიპასუხე-მეთქი! — შეჰყვირა მასწავლებელმა. ბავშვს გაოცებაც კი არ გამოუხატავს, ისევ ჩუმად იჯდა და ხელები კლავიშებზე ეწყო. ქალმა მესამედ დაჰკრა კლავიშს, მაგრამ ამჯერად ისეთი სიძლიერით, რომ ფანქარი ზედ ბავშვის ფუმფულა, ნაზ ხელებთან გადატყდა.

— ჯიუტი ბავშვია, — გაბედა ხმის ამოღება ანა დებარესდმა.

ბიჭმა წამით მისკენ შეატრიალა თავი და, რომ დარწმუნდა, ისევ იქ იყო, ხელებმომუჭული ისევ პარტიტურის წინ გაშეშდა.

— ჯიუტია თუ არა, არ ვიცი, ქალბატონო დებარესდ, მაგრამ უნდა დამემორჩილოს.

გაზაფხული იდგა. ღია ფანჯარაში შემოსულ ზღვის ხმას ქალაქის ხმაური ერთვოდა.

— უკანასკნელად გეკითხები, დარწმუნებული ხარ, რომ არ იცი?

ფანჯარაში კატერი გამოჩნდა. პარტიტურისკენ შებრუნებული ბიჭი ოდნავ შეირხა, რაც მხოლოდ დედამ შეამჩნია. ბავშვის გული კატერთან ერთად მიჰქროდა ღია სივრცეში. ძრავის მოგუდული გუგუნი ლამის მთელ ქალაქს მოდებოდა. სასეირნო კატერს იშვიათად შემოუხვევია ამ მხარეში. ჩამავალი მზე წითლად ღებავდა ცის თაღს. ზღვის პირას ბავშვები კატერს გასცქეროდნენ.

— მიპასუხე, იცი თუ არა?

კატერი ისევ გამოჩნდა.

ქალი გააკვირვა მოწაფის სიჯიუტემ. სიბრაზე უიმედობამ შეცვალა; მიხვდა, რომ მისი სიტყვები არაფერს ნიშნავდა ბავშვისთვის.

—ო, რა ძნელი პროფესიაა, რა ძნელი!—დაიჩივლა მასწავლებელმა.

ანა დებარესდმა თავი დაუქნია.

როგორც იქნა, კატერი თვალს მიეფარა. ბავშვის სიჩუმეს ახლა ზღვის ხმაური შეერია.

— რას ნიშნავს Moderato?

ბიჭმა მომუჭული ხელი გაშალა, გადაიხარა და ნელა მოიფხანა წვიები. ამ უნებლიე მოძრაობამ მასწავლებელი ბავშვის გულწრფელობაში დაარწმუნა.

— არ ვიცი, — აღიარა ბიჭმა.

ჩამავალი მზის სხივებმა ერთბაშად საოცარი ფერებით შეღება არემარე და ბიჭის ქერა თმას სულ სხვა ფერი მისცა.

— ეს ძნელი არაა, — თქვა ცოტა დამშვიდებულმა ქალმა და ლხვირი მოიხოცა.

— ოი, რა შვილი მყავს, — წარმოთქვა მხიარულად ანა დებარესდმა, — ნეტა ვის დაემსგავსა ასეთი ჯიუტი...

მასწავლებელს არ ესიამოვნა დედის ამაყი კილო.

— მეასედ გიხსნი, — მიმართა მან ბიჭს, — Moderato cantabile ნიშნავს — დინჯად და ჟღერადად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დინჯად და ჟღერადად, — უგულისყუროდ გაიმეორა ბიჭმა.

მასწავლებელი შებრუნდა:

— ოჰ, ღმერთო ჩემო!

— ჰო, საშინელებაა, — დაუდასტურა ღიმილით ანა დებარესდმა, — ჩოჩორიკით ჯიუტი მყავს.

— აბა დაიწყე! — უბრძანა ბიჭს მასწავლებელმა.

ბავშვი არ განძრეულა.

— მე გითხარი, დაიწყე-მეთქი!

ბიჭი არც ახლა შერხეულა. ამ ჯიუტ სიჩუმეს ზღვის ხმაური შეერია. ჩამავალმა მზემ მეწამულისფრად ააფერადა ზღვა.

— არ მინდა მუსიკის სწავლა, — თქვა უცებ ბიჭმა.

ზღვის ხმაური ქუჩის მხრიდან ქალის კივილმა დაფარა.

— რა მოხდა? — შეჰყვირა ბიჭმა.

— ჰო, რაღაც მოხდა, — დაემოწმა მასწავლებელიც.

ზღვის ხმაურმა ისევ იმძლავრა. ცამ თანდათან იწყო გაფერმკრთალება.

— არა, არაფერია, — დააწყნარა ბიჭი დედამ და პიანინოსაკენ გაემართა.

— როგორი ნერვიულია, — შენიშნა მასწავლებელმა და დედაშვილი საყვედურით სავსე თვალებით შეათვალიერა.

ანა დებარესდმა ბიჭს მხრებზე მოავლო ხელი, მაგრად მოუჭირა და თითქმის დაუყვირა:

— უნდა ისწავლო დაკვრა, უნდა ისწავლო!

ბავშვი შიშისგან აკანკალდა.

— არ მიყვარს პიანინო, — ჩაილუღლუღა მან.

ისევ გაისმა კივილი. ახლა უკვე ნაწყვეტ-ნაწყვეტი. ნამდვილად რაღაც მოხდა. გაკვეთილს კი დამთავრება არ ეწერა.

— უნდა ისწავლო, — განაგრძო ანა დებარესდმა, — უნდა ისწავლო.

მასწავლებელმა მხრები აიჩეჩა; არ მოსწონდა დედის ასეთი ლმობიერება. ცას უკვე მწუხრი დაეუფლა და ვარდისფერი თითქმის მთლიანად გააჭრო. მხოლოდ დასავლეთი რჩებოდა ჯერ კიდევ წითელი და ისიც თანდათან უფერულდებოდა.

— რისთვის? — იკითხა ბავშვმა.

— მუსიკაა, საყვარელო...

ბავშვი ვერაფერს მიხვდა, მაგრამ დედას მაინც დეთანხმა.

— კარგი, მაგრამ ვინ ყვიროდა?

— მე გელოდები, — განაცხადა მადმუაზელმა.

ბავშვმა დაკვრა დაიწყო. მუსიკამ სანაპიროზე შეყრილი ბრბოს ყაყანი გადაფარა.

— აი, ხედავთ, ხედავთ?! — წამოიძახა გახარებულმა ანა დებარესდმა.

— ადრე უნდა დაეჯერებინა, — უპასუხა მასწავლებელმა.

ბავშვმა სონატინა დაასრულა; ოთახი მაშინვე აივსო ქვემოდან მომავალი ძლიერი ხმაურით.

— ნეტა იქ რა მოხდა? — ისევ იკითხა ბავშვმა.

— მიდი, მიდი, დაუკარი, — უბრძანა ქალმა, — არ დაგავიწყდეს Moderato cantabile, თითქოს ძილისპირულს გიმღერიან.

— ძილისპირული მისთვის არასოდეს მიმღერია, — ჩაერია ანა დებარესდი, — აი, ამ სალამოს კი ნამდვილად მთხოვს, მიმღერეო, ალბათ უარსაც ვერ ვეტყვი.

მასწავლებელმა ყურადღება არ მიაქცია დედის სიტყვებს. ბიჭმა ისევ დაიწყო დიაბელის სონატინის შესრულება.

— სი ბემოლია გასაღებში, — შეახსენა ხმამაღლა მადმუაზელმა, — ყოველთვის გავიწყდება.

სანაპიროზე ხმაური ძლიერდებოდა. ყველანი ერთსა და იმავეზე ლაპარაკობდნენ, თუმცა შეუძლებელი იყო რაიმეს მიმხვდარიყავი. ამჯერად თავად მასწავლებელმა შეაჩერა ბავშვი.

— გაჩერდი.

ბავშვმა დაკვრა შეწყვიტა. მადმუაზელი ანა დებარესდისკენ შებრუნდა:

— ნამდვილად რაღაც უბედურება მოხდა.

სამივე მიუახლოვდა ფანჯარას. სანაპიროზე, სახლიდან ოციოდ მეტრზე, კაფესთან ხალხი შეყრილიყო, მეზობელი ქუჩებიდანაც გამორბოდნენ, კაფესთან გროვდებოდნენ და ცდილობდნენ შიგნით რაღაც დაენახათ.

— ოჰ, ეს კვარტალი... — მადმუაზელი ბავშვისკენ შებრუნდა და ხელი მოჰკიდა, — განაგრძე იქიდან, სადაც გაჩერდი.

— რა მოხდა?

— შენს სონატინას მიხედე.

ბავშვმა დაკვრა განაახლა. ძველებურ რიტმში განაგრძო, დასასრულს კი, როგორც მითითებული იყო, Moderato cantabile შეასრულა.

— ასეთ დამჯერეს რომ ვხედავ, ცოტა არ იყოს, გული მეკუმშება, — თქვა ანა დებარესდმა. — რატომ, თვითონაც არ ვიცი; ახლა ისეთი ტანჯული სახე აქვს...

ბიჭი ისევ მორჩილად უკრავდა.

— ცუდ მაგალითს აძლევთ, ქალბატონო დებარესდ, — უსაყვედურა ახლა უკვე გუნებაგამოკეთებულმა მადმუაზელმა.

ბიჭი შეჩერდა.

— რატომ ჩერდები?

— მეგონა, თქვენ მითხარით, — და ისევ განაგრძო დაკვრა.

ბრბოს ხმაური იზრდებოდა, თანაც ისეთი სიძლიერით, რომ აქ, ზემო სართულზეც კი გადაფარა მუსიკის ხმა.

— სი ბემოლი არ დაგავიწყდეს, — შეახსენა ქალმა, — ეს რომ არა, შესანიშნავი იქნებოდა.

სონატინამ თანდათან იმძლავრა, ჰაერი გამსჭვალა და უკანასკნელ აკორდებს მიაღწია. საათი გავიდა. მადმუაზელმა გაკვეთილი დამთავრებულად გამოაცხადა.

— ამ ბავშვის გადამკიდე ბევრი სიძნელე გექნებათ, ქალბატონო დებარესდ, — ამას მე გეუბნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უკვე მაქვს კიდეც, არაქათს მაცლის.

ანა დებარესდმა თავი დახარა და ბავშვურად გაიღიმა. ქვემოდან ამომავალი ხმები გასარჩევი გახდა. ხალხი მომხდარ ამბავზე ლაპარაკობდა.

— ხვალ უკვე კარგად გვეცოდინება, — განაცხადა მასწავლებელმა.

ბავშვმა ფანჯარასთან მიირბინა.

— მანქანები მოდიან, — თქვა მან.

კაფეს შესასვლელთან კიდევ უფრო მეტი ხალხი ჩანდა. მალე ბრბო ორად გაიყო და შუაში შავი ფურგონი გაჩერდა. იქიდან ოთხი კაცი გადმოვიდა და კაფეში შევიდა.

— პოლიციაა! — დაიძახა ვილაცამ.

ანა დებარესდმა იკითხა, რა მოხდაო. ვილაც ქალი მოკლესო, უპასუხეს.

ბიჭი დედამ მადმუაზელ ჟიროს ჭიშკართან დატოვა, თავად კი ბრბოს შეერია და მაღაზიის ვიტრინამდე გააღწია. ხალხი გაშეშებული შეჰყურებდა ბნელ კაფეში იატაკზე უძრავად განრთხმულ ქალს. მოკლულისთვის ვილაც კაცს ჩაევლო ხელი და ჩაჩოქილი ჩუმად ჩასძახოდა:

— საყვარელო... საყვარელო!

კაცი ბრბოსკენ შემოტრიალდა. თავზარდაცემული და გაოგნებული მზერა ჰქონდა. პოლიცია შემოვიდა. კაფეს პატრონი ქალი მათ დახლთან ელოდა.

— სამჯერ ვეცადე დაგკავშირებოდით...

— საბრალო ქალი... — შეიცოდა მოკლული ვილაცამ.

— რატომ მოკლეს? — შეეკითხა ანა დებარესდი.

— რა ვიცი.

კაცი გააფთრებული ეხვეოდა მკვდარ სხეულს. გამომძიებელმა წამოაყენა. კაცი დაემორჩილა, ეტყობოდა, ველარ აზროვნებდა, გამომძიებელს უაზრო თვალები მიაპყრო. პოლიციელმა ჯიბიდან უბის წიგნაკი და ფანქარი ამოიღო და გამოკითხვა დაიწყო.

— ოღონდ ახლა არა, ახლა არაფერი შემიძლია, — შეევედრა კაცი.

ინსპექტორი მოეშვა და ჩვენების ჩამოსართმევად კაფეს მეპატრონე ქალისკენ გაემართა.

კაცმა ისევ მკვდართან ჩაიჩოქა, თავზე ხელი გადაუსვა და გაუღიმა. ერთმა ფოტოაპარატიანმა ახალგაზრდამ კართან მიირბინა და სურათი გადაიღო. კამკაშა შუქზე ქალის ჯერ კიდევ ახალგაზრდა სახე და პირიდან ვიწრო ზოლად გადმოსული სისხლი გამოჩნდა. სისხლის ლაქები კაცსაც ეტყობოდა სახეზე.

— საშინელებაა, — ჩაილაპარაკა ვილაცამ და იქაურობას გაშორდა.

კაცი გვერდით მიუწვა ქალს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს დაიღალაო, ისევ წამოიწია.

— დაიჭირეთ, არ გაიქცეს! — დაიყვირა კაფეს პატრონმა.

მაგრამ კაცს გაქცევა არც უფიქრია, კვლავ ჩაიქოჩა, მკვდარს მხრეგზე ხელი შემოხვია, გულზე მიიკრა და ქალის პირიდან [illegible] სისხლში სახეჩარგული გაყუჩდა.

ბიბლიოთეკა

გამომძიებლებმა დაასრულეს მეპატრონე ქალისაგან ჩვენების ჩამორთმევა და ნელი, დაღლილი ნაბიჯით გაემართნენ კაცისაკენ.

მადმუაზელ ჟიროს ჭიშკართან მორჩილად მჯდარ ბიჭს ამ ამბისადმი ინტერესი თითქმის განელებოდა და დიაბელის სონატინას ღიღინებდა.

— ისეთი არაფერი იყო, — უთხრა დაბრუნებულმა ანა დებარესდმა, — შინ წავიდეთ.

ბავშვი გაჰყვა. პოლიციას დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოუვიდა დამხმარე ძალა, თუმცა ამის საჭიროება აღარც იყო. დედა-შვილმა კაფესთან ჩავლისას დაინახეს, როგორ გამოიყვანეს გამომძიებლებმა მკვლელი. ხალხი უსმოდ უთმობდა გზას.

— ამ კაცს არ უსვრია, — შენიშნა ბიჭმა, — ეს არ ყოფილა.

— ეს არ ყოფილა! შენ კი ნუ უყურებ.

— რატომ?

— რა ვიცი.

კაცი მორჩილად მივიდა ფურგონამდე. უეცრად ერთი გაიბრძოლა, პოლიციელებს გაუსხლტა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა უკან, კაფესკენ გამოიქცა. მოულოდნელად შეჩერდა, თითქოს თვალთ დაუბნელდა და ვერაფერს ხედავსო. მერე ისევ შემოტრიალდა და პოლიციელებს ფურგონისკენ წაჰყვა. შეიძლება ტიროდა კიდეც, მაგრამ ბინდში მხოლოდ მისი გასისხლიანებული, აკანკალებული სახე ჩანდა, ცრემლებს კი ვერავინ ხედავდა.

— ყოველ შემთხვევაში, — თქვა ანა დებარესდმა, როცა სანაპიროს მიაღწიეს, — ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე: Moderato ნიშნავს დინჯად, cantabile კი — ჟღერადად. სულ ადვილია.

II

მეორე დღეს ქალაქის ბოლოში ქარხნებს უკვე მუშაობა დაწყებული ჰქონდათ, როცა ანა დებარესდმა ბიჭი სასეირნოდ წაიყვანა.

ბულვარს მიუყვებოდნენ. ხალხი უკვე გამოსულიყო. ზოგი ბანაობდა კიდეც.

დედა-შვილს ჩვეულებად ჰქონდა ყოველდღე თითქმის მთელი სანაპირო ფეხით შემოევლოთ, მაგრამ იმ დილას ქალმა ბავშვი მაინცდამაინც მადმუაზელ ჟიროს სახლისკენ წაიყვანა. როცა პირველ ჯებირებს გასცდნენ, ბიჭმა მასწავლებლის სახლი იცნო და შიშმა შეიპყრო.

— მაინცდამაინც აქ რატომ მომიყვანე?

— რატომაც არა? — მიუგო ანა დებარესდმა, — დღეს აქ მხოლოდ სასეირნოდ მოვედით. სულ ერთი არ არის, სად ვისეირნებთ?

ბავშვი მორჩილად გაჰყვა დედას.

ქალი დახლისკენ გაემართა. კაფეში მხოლოდ კაცი იჯდა და გაზეთს კითხულობდა.

— ერთი ჭიქა ღვინო, — მოითხოვა ანა დებარესდმა. ხმა უკანკალებდა. კაფეს მეპატრონე ქალს გაუკვირდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ბავშვისთვის რა მოგართვათ?

— არაფერი.

— აქ არ იყო, რომ ყვიროდნენ? მახსოვს აქ იყო, — თქვა ბიჭმა, კაფედან გავიდა, კიბე ჩაირბინა და ქუჩაში გაუჩინარდა.

— კარგი ამინდია! — მეპატრონემ შეამჩნია, ქალი რომ კანკალებდა და თვალი მოარიდა.

— მომწყურდა, — თავი იმართლა ანა დებარესდმა.

— ძალიან ჩამოცხა და ამიტომაც.

— კიდევ ერთი ჭიქა, თუ შეიძლება.

ანა დებარესდის აკანკალებული ხელების დანახვაზე კაფეს პატრონი მიხვდა, რომ სასაუბროდ ასე ერთბაშად ვერ გამოიწვევდა ქალს, ჯერ ალბათ მღელვარებას ჩაიცხრობდა და მერე ალაპარაკდებოდა. მაგრამ ყველაფერი უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე მას ეგონა. ანა დებარესდმა მეორე ჭიქა ერთი გადაკვრით გამოსცალა.

— ვსეირნობდი, — თქვა მან.

— ჰო, სასეირნო ამინდია, — დაეთანხმა პატრონი.

კაცმა კითხვა შეწყვიტა.

— გუშინ, ზუსტად ამ დროს მადმუაზელ ჟიროსთან ვიყავი, — თქვა ქალმა. ხელების კანკალი შეუჩერდა, სახეზეც თავაზიანობა აღებეჭდა.

— გიცანით, — აღიარა მეპატრონემ.

— ეს მკვლელობა იყო, — განაცხადა იქვე მჯდომმა კაცმა.

ანა დებარესდმა იცრუა:

— მეც ასე ვეჭვობდი.

— ასეც იყო.

— ნამდვილად, — დაადასტურა მეპატრონემაც, — იმ დილით უამრავი ხალხი მოაწყდა აქაურობას.

ბიჭი ასკინკილით დახტოდა ქვაფენილზე.

— მადმუაზელ ჟირო ჩემს ბიჭს ამეცადინებს.

ღვინომ აშკარად გაათამამა ქალი, აღარც ხმა უკანკალებდა, თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა და თვალებშიც ღიმი გაუკრთა.

— თქვენ გგავთ, — უთხრა მეპატრონემ.

— დიახ, ამბობენ, — ღიმილი უფრო აშკარად დაეტყო ქალს.

— თვალებით გგავთ.

— ალბათ... იცით... ვიფიქრე, დროს ვიხელთებ და შევივლი-მეთქი... ასე რომ...

— მკვლელობა იყო, დიახ.

ანა დებარესდმა ისევ იცრუა:

— არ ვიცოდი.

საბუქსირო გემი ადგილიდან დაიძრა და ძრავის თანაბარი გუგუხით დატოვა აუზი. ბავშვი თვალს არ აშორებდა ამ სურათს, მერე დედასთან მივიდა.

— სად მიდის?

ქალმა არ იცოდა. ბავშვი ისევ გავიდა. ანა დებარესდმა ცარიელი ჭიქა აიღო, დახლზე დადგა და თვალებდახრილი დაუსვა, სადის მოიცლიდა მეპატრონე. უცებ კაცი წამოდგა:

— ნება მიბოძეთ...

ქალი დაიბნა, მაგრამ კაცის ეს საქციელი არ გაკვირვებია.

— ასეთ რამეებს ჩვეული არა ვარ, ბატონო.

კაცმა ღვინო შეუკვეთა და ქალთან მივიდა.

— ისეთი კივილი იყო, ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, რა მოხდა, მეც მინდა გავიგო... — ქალმა უკვე მესამე ჭიქა გამოსცალა.

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ იმ კაცმა გულში ესროლა, — თქვა კაცმა.

კაფეში ორი მუშტარი შემოვიდა, იცნეს დახლთან მდგარი ქალი და გაკვირებით შეხედეს.

— ცხადია, არავინ იცის, რატომ.

აშკარად იგრძნობოდა, ქალი არ იყო შეჩვეული ღვინოს.

— სიამოვნებით გეტყოდით, მაგრამ დარწმუნებით არაფერი ვიცი.

— ნუთუ არავინ იცის?

— იმ კაცმა იცოდა, მაგრამ გაგიჟდა, დაჭერილი ჰყავთ.

ბიჭი კაფეში შევიდა და დედას მიეკრა. ქალმა დაბნეულად გადაუსვა თავზე ხელი; კაცი ინტერესით შესცქეროდათ.

— ერთმანეთი უყვარდათ, — თქვა მან.

ქალი შეკრთა.

— გაიგე, რატომ ყვიროდნენ? — ჰკითხა დედას ბიჭმა.

დედამ არ უპასუხა, მხოლოდ თავი გააქნია და კაფედან გასულ შვილს თვალი გააყოლა.

— ის კაცი არსენალში მუშაობდა, ქალი არ ვიცი, სად.

ანა დებარესდი კაცისკენ შებრუნდა:

— ეგებ სიძნელეები ჰქონდათ, აი, სულიერ სიძნელეებს რომ ეძახიან?

მუშტრები წასულიყვნენ, მეპატრონემ მათ საუბარს მოჰკრა ყური, მათკენ გამოეშურა და ლაპარაკში ჩაერთო:

— გათხოვილი იყო. სამი ბავშვი ჰყავდა და სვამდა. საეჭვოა, სულიერი სიძნელეები ჰქონოდა.

— და მაინც ხომ შეიძლებოდა? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ ანა დებარესდმა.

კაცმა არაფერი უპასუხა. ქალი ცოტათი დაიბნა, ხელების კანკალი ისევ დაეწყო.

— აბა რა ვიცი...

— დამიჯერეთ, — განაგრძო მეპატრონემ, — არ იფიქროთ, სხვების საქმეებში ჩარევა მიყვარდეს.

სამი მუშტარი შემოვიდა. მეპატრონე მათკენ გაეშურა.

— მართალი ხართ, შეიძლებოდა, მეც ასე ვფიქრობ, — მიუგო კაცმა ღიმილით. — შესაძლოა ჰქონდათ სულიერი სირთულეები, როგორც თქვენ ამბობთ. მაგრამ, ვინ იცის, ეგებ ამის გამო სულაც არ მოუკლავს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ იცის.

ქალმა ანგარიშმიუცემლად წაიღო ხელი ჭიქისკენ. კაცმა მეპატრონეს ანიშნა, კიდევ შეუვსეო. ანა დებარესდს უარი არ უთქვამს, პირიქით, ეტყობოდა, სასმელს ელოდა კიდეც.

— ის კაცი ისე იქცეოდა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, ქალი ცოცხალია თუ მკვდარი. ასეთი ნაბიჯი მხოლოდ უიმედობამ შეიძლება გადაადგმევინოს ადამიანს... თქვენ ასე არ ფიქრობთ?

კაცი წამით შეყოვნდა, სახეში შეხედა და მერე თქვა:

— არ ვიცი. — და ჭიქა ისევ გაუწოდა. ქალმა გამოართვა და დალია. კაცმა საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

— ხშირად სეირნობთ ქალაქში?

ქალმა ისევ მოსვა ღვინო, სახეზე ხელახლა გამოეხატა ღიმილი, მაგრამ მალე ისევ მოიღუშა. სიმთვრალე უკვე დაეტყო.

— დიახ, ყოველდღე ვასეირნებ ბავშვს.

მეპატრონე მოშორებით სამ კლიენტს ელაპარაკებოდა. შაბათი იყო და ხალხს თავისუფალი დღე ჰქონდა.

— უცნაური ქალაქია. მართალია, პატარაა, მაგრამ ყოველდღე რაღაც ხდება, ეს ხომ თქვენც იცით.

— ვიცი, მაგრამ ზოგჯერ მაინც ისეთი რაღაცაც ხდება, რაც ძალიან გაკვირვებს, — შეიშმუშნა ქალი. — ისე კი ან სკვერში ვსეირნობ, ან ზღვის პირას. — ქალს ღვინო უფრო მეტად მოერია და ამიტომაც გაბედა კაცისთვის სახეში შეეხედა.

— დიდი ხანია, რაც ამ უბანში ასეირნებთ ბავშვს? — კაცი თვალებში უყურებდა, — დიდი ხანია, რაც ბავშვს სკვერში და ზღვის პირას ასეირნებთ?

ქალმა ამოიკვნესა. ღიმილი გაუქრა და სახეზე ტკივილი აღებეჭდა.

— არ უნდა დამელია ამდენი, — თქვა მან.

სირენას ხმამ შაბათი დღის ცვლის დამთავრება ამცნო. მალე რადიო ახრიალდა.

— უკვე ექვსი საათია, — თქვა მეპატრონემ.

რადიოს ჩაუწია და დახლზე ჭიქები დაალაგა. ანა დებარესდი თვალს არ აშორებდა ზღვის ნაპირს, თითქოს არ იცოდა, რა გაეკეთებინა. გარედან ჯერ კიდევ შორს მყოფი ხალხის ხმაური მოისმა.

— იმას გეკითხებოდით, — წამოიწყო ისევ კაცმა, — დიდი ხანია, რაც ბავშვს ზღვის პირას და სკვერში ასეირნებთ?

— ამაზე მეც ვიფიქრე გუშინ, მუსიკის გაკვეთილიდან ბავშვი რომ წამოვიყვანე, — მიუგო ანა დებარესდმა. — დღეს კი ცდუნებას ვერ გავუძელი და ისევ მოვედი.

მუშტართა პირველი წყება შემოვიდა. ბიჭი მათ შორის გაძვრა, ცნობისმოყვარე თვალებით შეათვალიერა და დედასთან მივიდა. ქალმა ანგარიშმიუცემლად ჩაიკრა შვილი.

— თქვენ ქალბატონი დებარესდი ბრძანდებით, იმპორტ-ექსპორტი სა და ლითონსასხმელი ქარხნის დირექტორის მეუღლე; ზღვისპირა ბულვარზე ცხოვრობთ, — თქვა კაცმა.

სანაპიროს მეორე მხრიდან ისევ მოისმა სირენის ხმა, ამჯერად უფრო ხმამაღლა. საბუქსირო გემი დაბრუნდა. ბიჭმა დედისგან ეზოშად გაინთავისუფლა თავი და გარეთ გაიქცა.

— პიანინოზე დაკვრას სწავლობს, — თქვა ქალმა, — მუსიკა ესმის, მაგრამ ჯიუტია, უნდა ვალიარო.

კაფეში შემოსული ხალხისთვის გზა რომ დაეთმო, კაცი უფრო მიუახლოვდა ქალს. კლიენტების პირველი წყება წავიდა და ახლა მეორე შემოვიდა. ღია კარში ხალხის უკან მოჩანდა ჩამავალი მზე, ცეცხლისფერი ცა და ბავშვი, ქუჩაში თავისივე გამოგონილი თამაშებით რომ ერთობოდა.

— იმდენი რამ მინდა ვასწავლო ამ ბავშვს, რომ აღარ ვიცი, საიდან დავიწყო. ძალიან ცუდად გამომდის ყველაფერი. უნდა წავიდე, უკვე გვიანია.

— ხშირად მინახიხართ, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ერთ დღესაც ბავშვით მოხვიდოდით აქ.

მეპატრონემ სულ ბოლოს შემოსული კლიენტებისთვის რადიოს ხმა აუწია. ხმაურზე ანა დებარესდი დახლისკენ შებრუნდა, წამით სახე შეჭმუხნა, მაგრამ ყური მაღე შეაჩვია.

— მინდა რომ ძალიან ბედნიერი იყოს. მაგრამ ზოგჯერ ვერა და ვერ ვუგებ. ეგებ ჯობდეს, დროდადრო დავშორდე კიდეც.

— მშვენიერი სახლი გაქვთ ბულვარზე, დიდი, შემოღობილ ბაღით.

ქალი გონს მოეგო და შეცბუნებულმა შეხედა.

— მაგრამ ეს მუსიკის გაკვეთილები ძალიან მსიამოვნებს, — აღიარა მან.

ბინდისგან შეშინებული ბიჭი ისევ დედასთან მივიდა და ხალხის თვალიერებას მოჰყვა. კაცმა ანა დებარესდს ქუჩაზე ანიშნა და გაუღიმა.

— შეხედეთ, — თქვა მან, — დღე გრძელდება და გრძელდება.

ქალმა გაიხედა, მერე ნელა გაისწორა პალტო.

— თქვენ ამ ქალაქში მუშაობთ, ბატონო?

— დიახ, ამ ქალაქში. თუ კიდევ დაბრუნდებით, ვეცდები რამე შევიტყო და გაგაგებინოთ.

ქალმა თვალები დახარა, წინა დღის სურათი გაახსენდა და გაფითრდა.

— პირზე სისხლი ჰქონდა, კაცი კი ეხვეოდა და ეხვეოდა... მართლა გგონიათ, რომ ისე იყო, როგორც თქვით?

— მე არაფერი მითქვამს.

ჩამავალი მზე კაცის სახეს და დახლზე მსუბუქად მიყრდნობილ ტანს მთლიანად ანათებდა.

— ასეთი სურათის დანახვაზე ძალაუნებურად იფიქრებ...

— მე არაფერი მითქვამს, — გაიმეორა კაცმა, — მაგრამ ვფიქრობ, თავად ქალისავე თხოვნით ესროლა.

ანა დებარესდს ჩუმი ოხვრა აღმოხდა.

— უცნაურია, წასვლა არ მინდა.

კაცმა უპასუხოდ დატოვა. ერთბაშად გამოსცალა ჭიქა და თვალი აარიდა ქალს.

— ზედმეტი მომივიდა დალევა, ხედავთ, — განაგრძო ანა დებარესდმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ასეა.

კაფე თითქმის დაცარიელდა. მუშტრები იშვიათადღა შემოდიოდნენ. პატრონი ჭიქებს რეცხავდა და თან გვიანობამდე შემორჩენილ წყვილს ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს. კართან მდგარი ბავშვი სიჩუმეში ჩაფლულ სანაპიროს გაჰყურებდა. კარისკენ ზურგშექცეული ქალი კაცის პირისპირ დიდხანს უსიტყვოდ იდგა. კაცი თითქოს ვერც ამჩნევდა მის აქ ყოფნას.

— არ შემეძლო არ მოვსულიყავი, — თქვა ანა დებარესდმა ბოლოს.

— მეც.

— ამ ქალს ხშირად ხედავენ ქალაქში ბავშვთან ერთად, — დაიწყო მეპატრონემ, — ზაფხულობით თითქმის ყოველდღე.

— მუსიკის გაკვეთილები როდისა აქვს?

— პარასკეობით, კვირაში ერთხელ. გუშინ ალბათ განრიგი დაერღვა.

კაცი მონეტას ათამაშებდა ჯიბეში და წინ სანაპიროს მიშტერებოდა. პატრონს ალარაფერი უთქვამს.

დედა-შვილი ჯებირს გასცდა. თვალწინ ბულვარი გადაეშალათ.

— ასწიე თავი, — თქვა ანა დებარესდმა, — შემომხედე.

ბავშვი დაემორჩილა. შეჩვეული იყო დედის უცნაურობებს.

— იცი, ზოგჯერ მეჩვენება, რომ შენ მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ხარ.

ბიჭმა თავი ასწია და დაამთქნარა. პირი ჩამავალი მზის შუქით აევსო. შვილი დაბადებიდანვე აკვირვებდა დედას და ეს გრძნობა ბიჭთან ერთად იზრდებოდა, იმ საღამოს კი უმაღლეს წერტილს მიაღწია.

III

ზურგჩანთამოკიდებულმა ბიჭმა გისოსებიანი ჭიშკარი შეაღო, ერთი წუთით ზღურბლზე შეჩერდა, მერე კი ფეხის წვერებზე ნელა განაგრძო გზა. ყურადღებით აკვირდებოდა, ფეხებთან აუფრინდებოდა თუ არა ჩიტი. ჩიტი მართლაც აფრინდა. ბავშვმა თვალი გააყოლა, სანამ ხეზე შემოჯდებოდა, და ისევ განაგრძო გზა. წიფლის ხესთან ერთი ფანჯრის ქვეშ შეჩერდა. თავი ასწია. ამ დროს ფანჯრიდან ყოველთვის ვიღაც ულიმოდა. ახლაც გაულიმეს.

— წამოდი, — დაუძახა დედამ, — გავისეირნოთ.

— ზღვის პირას?

— ზღვის პირას, სხვაგანაც, წამოდი.

ისევ ჯებირებისკენ გაუყვნენ ბულვარს. ბავშვი მიხვდა, სადაც მიდიოდნენ, და არ გაჰკვირებია.

— შორსაა, — დაიჩივლა მხოლოდ. მაგრამ მალე შეეგუა და სიმღერაც კი წამოიწყო.

ჯერ ისევ ადრე იყო. ქარხნების კვამლი ჰორიზონტს შავი და ჟანგისფერი ღრუბლით ფარავდა.

მკვდარი საათი იყო. კაფეში არავინ ჩანდა. მხოლოდ უკვე ნაცნობი კაცი იჯდა ბარის ბოლოში. მეპატრონე წამოდგა და ანა დებარესდისკენ გაეშურა. კაცი არ განძრეულა.

— რას ინებებთ?

— ერთ ჭიქა ღვინოს.

ქალმა მიწოდებისთანავე დალია. ახლა უფრო მეტად კანკალებდა, ვიდრე სამი დღის წინ.

— ალბათ გიკვირთ, ისევ რომ მხედავთ?

— მე ასეთი სამუშაო მაქვს... — მიუგო მეპატრონემ.

ანა დებარესდმა მალულად შეათვალიერა მოშორებით მჯდარი კაცი. ისიც გაფითრებული ჩანდა. ქალი დაჯდა, მერე ისევ ადგა, შებრუნდა და გაუბედავად ჩართო რადიო. ბავშვმა დედა დატოვა და ქუჩაში გავიდა.

— როგორც უკვე გითხარით, შვილი მუსიკაზე დამყავს მადმუაზელ ჟიროსთან, ალბათ იცნობთ.

— ვიცნობ. თქვენც წელიწადზე მეტია აქ მოსეირნეს გხედავთ, კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ხომ მართალია?

— პარასკევობით, დიახ. კიდევ ერთი ჭიქა, თუ შეიძლება.

ბიჭს ვიღაც თავისი ტოლი ეპოვა და ორივენი თვალს არ აშორებდნენ, როგორ ტვირთავდნენ უზარმაზარი გემიდან ქვიშას. ანა დებარესდმა ნახევარი ჭიქა დალია. ხელების კანკალი შეუნელდა.

— ყოველთვის მარტოა, — თქვა სანაპიროზე მდგარი შვილის შემყურემ.

მეპატრონე ქალმა არაფერი უპასუხა. წითელი საქსოვი აიღო. საბუქსირო გემი დატვირთული შემოვიდა ნავსადგურში. ბავშვმა რაღაც დაიძახა. კაცი ანა დებარესდს მიუახლოვდა.

— დავსხდეთ, — შესთავაზა ქალს.

ქალი უსიტყვოდ გაჰყვა. პატრონი ქსოვდა და დაჟინებით გაჰყურებდა გემს.

კაცმა ერთ მაგიდაზე მიუთითა და ქალს წინ დაუჯდა.

— გმადლობთ, — ჩაილაპარაკა ანა დებარესდმა.

კაფეში ადრეული ზაფხულის სიგრილე იდგა.

— აი, დავბრუნდი.

ქუჩაში ვიღაც ბავშვმა დაუსტვინა. ქალი შეკრთა.

— კიდევ ერთი ჭიქა დალიეთ, — სთხოვა კაცმა და ღვინო შეუკვეთა.

პატრონმა უსიტყვოდ აასრულა. ეტყობოდა, უკვე დაღალა ამ უჩვეულო წყვილმა. ანა დებარესდი სკამის საზურგეს მიეყრდნო და მოსვენებას მიეცა.

— სამი დღე გავიდა, — თქვა კაცმა.

ქალი გასწორდა და ღვინო მოსვა.

— კარგია, — ჩაილაპარაკა ჩუმად.

ხელები აღარ უკანკალებდა. კაცი პირდაპირ სახეში შეჰყურებდა. ქალი მისკენ გადაიხარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მინდოდა მეკითხა, დღეს არ მუშაობთ?

— არა, ახლა დრო მჭირდება.

ქალს შეფარულად გაეღიმა.

— დრო არაფრის კეთებისთვის?

— დიახ, არაფრის კეთებისთვის.

პატრონი სალაროს უკან, თავის ადგილას იჯდა. ანა დებარესდი ჩუმად ლაპარაკობდა.

— ქალისთვის ძნელია კაფეში შესვლის საბაბის პოვნა, მაგრამ მე მაინც ვახერხებ. მაგალითად, წყურვილი, ჭიქა ღვინის დალევა.

— იმ ამბის შესახებ ვცადე რამე გამეგო, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

ანა დებარესდი შეეცადა კიდევ ერთხელ გაეხსენებინა იმ დღეს მომხდარი.

— დიდხანს კიოდა, მერე ერთი ხმამაღლა დაიკივლა და დადუმდა.

— კვდებოდა, — თქვა კაცმა, — კივილი ალბათ მაშინ შეწყვიტა, როცა კაცი ველარ დაინახა.

მუშტარი შემოვიდა... ისინი არ შეუმჩნევია, ისე დაეყრდნო დახლს.

— ერთხელ, მგონი, დიახ, ერთხელ მეც ვიკივლე ასე, აი, მაშინ, ბავშვს რომ ვაჩენდი.

— ერთმანეთი შემთხვევით რომელიღაც კაფეში გაუცვნიათ. იქ ორივენი ხშირად დადიოდნენ თურმე. შეიძლება ამ კაფეშიც კი. მერე საუბარი გააბეს. ათას რამეზე ლაპარაკობდნენ. მეტი აღარ ვიცი. ამ ბავშვმა გაგაწვალათ?

— რომ იცოდეთ, როგორ ვკიოდი.

ამის გახსენებაზე ქალს გაეღიმა, სკამზე გადაწვა და შიში გაუქრა. კაცი მაგიდაზე გადაიხარა და მშვიდად სთხოვა:

— მომიყევით რამე.

ქალმა გონება დაძაბა და სალაპარაკო თემას მიაგნო.

— ქალაქის შემოსასვლელში ვცხოვრობ, სანაპიროს ბულვარზე, ბოლო სახლში, დიუნების წინ.

— ბაღის მარცხენა კუთხეში მაგნოლია ჰყვავის.

— დიახ, წელიწადის ამ დროს ისეთი ლამაზია, მთელი დღე შეიძლება უყურო. მაგრამ მეორე დღეს თავის ტკივილი აგიტანს, ამიტომ ფანჯრებს ვკეტავ.

— ათი წლის წინ ამ სახლის პატრონს მისთხოვდით.

— დიახ. ჩემი ოთახი პირველ სართულზეა, მარცხნივ, პირდაპირ ზღვას გაჰყურებს. წინა შეხვედრისას მითხარით, ქალმა თავად სთხოვა ეს ჩაედინაო?

კაცმა ცოტა შეაყოვნა პასუხი და ქალის მხრები შეათვალიერა.

— წელიწადის ამ დროს ფანჯარას თუ დაკეტავთ, დაგცხებათ და ველარ დაიძინებთ.

ანა დებარესდმა იმაზე მეტად სერიოზული სახე მიიღო, ვიდრე ამ სიტყვებს შეეფერებოდა.

— რომ იცოდეთ, მაგნოლიას რა მძაფრი სუნი [illegible]

— ვიცი, — კაცმა თვალი მოაშორა ქალის გაფითრებულ მხრებს.

— პირველ სართულზე ალბათ გრძელი დერეფანია — საერთო სახლის ყველა მცხოვრებლისთვის. ეს ერთდროულად ერთად ცხოვრების და განმარტოების საშუალებასაც იძლევა.

— დიახ, არის ასეთი დერეფანი, — მიუგო ანა დებარესდმა, — როგორ გგონიათ, რამ მიიყვანა ის ქალი აქამდე, როგორ მოუვიდა აზრად საყვარლის ხელით სიკვდილი?

მათი მზერა ერთმანეთს შეეფეთა. ოდნავი დაბნეულობა გაუკრთა თვალებში.

— წარმომიდგენია, ერთ დღესაც, ერთ მშვენიერ დილას როგორ მიხვდა, ზუსტად რა უნდოდა. ეს სურვილი ისეთი ძლიერი იყო, ისეთი ძლიერი, რომ კაცს გაუმხილა. ამის ახსნა, ვფიქრობ, შეუძლებელია.

გარეთ ბავშვები მშვიდად თამაშობდნენ. სანაპიროს მეორე გემი მოადგა. ძრავის გუგუნი მიწყნარდა. კაფეს მეპატრონემ დახლზე ჭურჭელი აარაჩხუნა და მოსაუბრე წყვილი ბურანიდან გამოიყვანა.

— როგორც ამბობთ, თქვენს ოთახში იმ დერეფნიდან შედიხართ, ხომ?

— დიახ, იმ დერეფნიდან.

ბიჭი სირბილით შემოვიდა და დედას მხარზე დაადო თავი. ქალს ყურადღება არ მიუქცევია.

— იცი, რა კარგად ვერთობი, — უთხრა ბიჭმა და ისევ გაიქცა.

— როგორ მინდა უკვე დიდი იყოს, — თქვა ანა დებარესდმა.

კაცმა ღვინო დაუსხა, ქალმა მაშინვე მოსვა.

— იცით, — დაიწყო კაცმა, — ვფიქრობ, ერთ დღეს თავად ქალის თხოვნის გარეშეც გააკეთებდა ამას, უთქმელადაც მიუხვდებოდა სურვილს.

ქალმა შეკითხვები დააყარა:

— მითხარით, როგორ დაიწყო ყველაფერი, როგორ დაიწყეს საუბარი? როგორც თქვით, რომელიღაც კაფეში მოხდაო...

სანაპიროზე ბავშვები დარბოდნენ.

— ცოტა დრო გვაქვს, — თქვა კაცმა, — თხუთმეტ წუთში ქარხნები დაიკეტება. დიახ, ვფიქრობ, კაფეში გაიცნეს ერთმანეთი, თუმცა შეიძლება სხვაგანაც. ლაპარაკობდნენ ალბათ პოლიტიკაზე, ომზე ან კიდევ სხვა რამეზე, სულ ერთია რაზე, ყველაფერზე ან არაფერზე. ეგებ ერთი ჭიქა კიდევ დაგველია, სანამ ბულვარზე დაბრუნდებით.

პატრონმა ჩუმად და სწრაფად მოიტანა ღვინო. მათ ყურადღება არც მიუქცევიათ.

— დერეფნის ბოლოში, — წყნარად განაგრძო ანა დებარესდმა, — დიდი, შემინული ვიტრინაა, პირდაპირ ბულვარზე გადის. ქარი მთელი ძალით ეხეთქება. შარშან ქარიშხალმა მინები ჩაამტვრია. ღამე იყო, —

ქალი სკამზე გადაწვა და გაიცინა, — და ეს ყოველივე მაინცდამაინც ამ ქალაქში მოხდა... ო, როგორ უნდა შეეგუო ამ აზრს.

— მართლაც პატარა ქალაქია. სამ ქარხანას ძლივს იტევს.

კაფე ჩამავალი მზის შუქით განათდა, სხივებს შუა კი შავი ჩრდილი გამოიკვეთა.

— ისინი ლაპარაკობდნენ, — თქვა ანა დებარესდმა, — ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ დიდხანს, სანამ ამას გადაწყვეტდნენ.

— ვფიქრობ, ერთად დიდი დრო გაატარეს, ვიდრე ამ ნაბიჯს გადადგამდნენ. თქვენ როგორ გგონიათ?

— არ ვიცი, — აღიარა ქალმა.

კაცმა გამამხნევებლად გაულიმა.

— არა უშავს.

ქალი ისევ ალაპარაკდა, დინჯად, ნელა, თითქმის გაჭირვებით.

— ასე მგონია, რომ ბულვარის სახლი ცოტა დაუდევრადაა აშენებული, თუმცა მცხოვრებლებისთვის სრულიად საკმარისი და კომფორტულია, ხვდებით, რასაც ვამბობ?

— ყოველ წელს, მაისის ბოლოს ქარხნის პერსონალისთვის მიღებას მართავთ.

სირენას ძლიერი ხმა გაისმა. მეპატრონე წამოდგა, საქსოვი გვერდით გადადო. ჭიქები ცივ წყალში ხმაურით ამოავლო.

— ეს გაზაფხული განსაკუთრებით ლამაზი იყო, — აღნიშნა ანა დებარესდმა, — ყველა ამ ამბავზე ლაპარაკობს. და მაინც თქვენ გჯერათ, რომ იმ ქალმა თავად შესთავაზა ასე მოქცეულიყო? ნუთუ ამ ნაბიჯზე ასე ადვილად ლაპარაკობდნენ ერთმანეთში?

— თქვენზე მეტი არც მე ვიცი. შეიძლება მხოლოდ ერთხელ ილაპარაკეს ამაზე, შეიძლება ყოველდღე, ვინ გაიგებს? ფაქტი ისაა, რომ სამი დღის წინ ერთად მოვიდნენ აქ და მოხდა ის, რაც ყველამ ნახა.

კაცმა ხელი ქალის ხელთან დადო. ანა დებარესდმა პირველად შეამჩნია გვერდიგვერდ დაწყობილი მათი ხელები.

— აი, ისევ ბევრი მომივიდა დალევა, — დაიჩივლა ქალმა.

— თქვენ რომ შეუბნებოდით, ის დერეფანი ზოგჯერ გვიანობამდეა განათებული.

— არ მეძინება ხოლმე.

— რატომ ანთებთ მთელ დერეფანს და არა მარტო თქვენს ოთახს?

— მიჩვეული ვარ, არ ვიცი, რატომ.

— ღამით იქ არაფერი ხდება?

— როგორ არა, გვერდით ოთახში ბავშვს სძინავს.

ქალი ხელებით დაეყრდნო მაგიდას, მხრები შემცივნულივით მოხარა და მოსაცმელი შეისწორა.

— ალბათ დროა დავბრუნდეთ, შეხედეთ, უკვე გვიანია.

კაცმა ხელით ანიშნა დარჩენილიყო. ქალიც დარჩა.

— დილაობით, გათენებისას შემინული ვიტრინებიდან იყურებით.

— ზაფხულობით არსენალის მუშები ექვს საათზე ჩამოივლიან. ზამთრობით, სიცივის და ქარის გამო უმეტესობა სატვირთო მანქანებით მიდის და ქუჩებიც სწრაფად ცარიელდება.

— ღამღამობით არავინ ჩამოივლის ხოლმე?

— ხანდახან ველოსიპედით თუ გამოჩნდება ვინმე. ის კაცი ქალის მოკვლის გამო გაგიქდა, თუ სხვა რამეც არის, უფრო ღრმა, რაც ხალხმა არ იცის?

— უეჭველია, რაღაც სხვაც იქნება, რაც ჩვენთვის უცნობია.

ქალი მძიმედ წამოიმართა და კიდევ ერთხელ შეისწორა მოსაცმელი. კაცი არ მიხმარებია, ისევ იჯდა და არაფერს ამბობდა. კლიენტები შემოვიდნენ, გაუკვირდათ მათი დანახვა და გაკვირვებით გადახედეს მეპატრონეს. მანაც მხრები აიჩეჩა, მეც ვერაფერი გამიგიაო.

— შეიძლება აღარც კი დაბრუნდეთ.

კაცი წამოდგა. ანა დებარესდმა შეამჩნია, რომ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ჩამავალი მზით აციმციმებული ცისფერი თვალები ბავშვურად უბრწყინავდა.

— ეგ არც მიფიქრია.

კაცმა ისევ შეაჩერა.

— თქვენ ხშირად უყურებთ არსენალში მიმავალ მუშებს, განსაკუთრებით ზაფხულში. ღამით, როცა არ გეძინებათ, მათზე ფიქრობთ.

— დილაობით, როცა ადრე მეღვიძება, მათ ვუყურებ, — აღიარა ანა დებარესდმა, — ზოგჯერ რომელიმე მათგანი ღამითაც მახსენდება.

ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. სანაპიროზე ხალხი გამოსულიყო, ლითონსასხმელი ქარხნის მუშები უნდა ყოფილიყვნენ, არსენალზე უფრო შორს რომ მდებარეობდა. კარგი ამინდი იდგა. იმაზე უფრო კარგი, ვიდრე ამ სამი დღის წინ. ალისფერ ცაზე თოლიები დაფრინავდნენ.

— კარგად ვითამაშე, — განაცხადა ბიჭმა.

დედამ სთხოვა ყველაფერი ეამბნა, და ბიჭიც მანამ უყვებოდა, სანამ პირველ ჯებირს არ გასცდნენ. აქედან დიუნებამდე გრძელი ბულვარი მიუყვებოდა.

— რა მოგივიდა?

მწუხრის დადგომასთან ერთად ქალაქს ნელმა სიომ დაუბერა. ქალს შესცივდა.

— არ ვიცი. შემცივდა.

პავშვმა დედის ხელი აიღო, გაუშალა, თავისი ხელი ჩაუდო და მოუჭირა.

— აჰ, ჩემო საყვარელო, — თითქმის შეჰყვირა ანა დებარესდმა.

— ახლა სულ იმ კაფეში დადიხარ.

— მხოლოდ ორჯერ ვიყავი.

— კიდევ წახვალ?

— მგონი კი.

გზაზე ხალხი შემოხვდათ, დასაკეცი სკამები მიჰქონდათ. ქარი სახეში სცემდათ.

— რას მიყიდი?

— წითელ გემს, ძრავიანს, გინდა?

ბიჭმა გონებაში აწონ-დაწონა მომავალი საჩუქარი და სიამოვნებისგან სახე გაუნათდა.

— ჰო, დიდ წითელძრავიან გემს. როგორ მოგწონს?

დედამ მხრებზე მოკიდა ხელი და შეაჩერა, ვიდრე წინ გაიქცეოდა.
— იზრდები, რომ იცოდე, როგორ იზრდები. რა კარგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ანა დებარესდმა მეორე დღესაც ნავსადგურისკენ წაიყვანა შვილი. ამინდი შედარებით გრილი იყო. მზე კარგა ხანს ანათებდა. ბევრს უკვირდა, უჩვეულოდ კარგი ამინდები რომ იდგა. ზოგიერთი შიშობდა, ასეთი სიცხის შემდეგ მალე არ გაავდრებულიყო, ზოგი კი იმედოვნებდა, ქარი ღრუბლებს გაფანტავსო.

ანა დებარესდმა საბუქსიროების აუზი გაიარა და ნავსადგურში მივიდა, საიდანაც კარგა დიდი ინდუსტრიული უბანი იწყებოდა. კაცი უკვე კაფეში იჯდა. ქალი, როგორც პირველი შეხვედრებისას, ახლაც დახლთან შეჩერდა და ღვინო შეუკვეთა. ჯერ კიდევ აფორიაქებული იყო. პატრონი ისევ თავის წითელ საქსოვს უჯდა და შეამჩნია, რომ ქალი და კაცი დიდხანს არ გამოლაპარაკებიან ერთმანეთს. ბიჭმა ისევ მოძებნა წინა დღის ნაცნობი.

— კიდევ ერთი ჭიქა, — ითხოვა ანა დებარესდმა.

პატრონმა მიაწოდა და თავი გადააქნია. ქალი უკვე აღარ კანკალებდა. ჩვეული სიფერმკრთალეც დაბრუნებოდა. კაცი წამოდგა, მისკენ გაემართა და დარბაზის ჩაბნელებულ კუთხისკენ გაუძღვა.

— სახლიდან ასე შორს იშვიათად მივდივარ. კი არ მეშინია, უბრალოდ, შეჩვეული არა ვარ, — თქვა ქალმა.

— შეიძლება შიშიც იყოს. ქალაქში არაფერი დაიმალება. ყველა ერთმანეთს იცნობს, — დაამატა კაცმა ღიმილით.

ქუჩიდან ბიჭის შეძახილი მოისმა. ორი საბუქსირო ნავი გვერდიგვერდ მიდიოდა აუზისკენ. ანა დებარესდმა გაიღიმა.

— არ დაიმალება, თქვენთან ერთად რომ ვსვამ, არა? — დაასრულა ქალმა და კეკლუცურად გაიცინა. — დღეს რაღაც ძალიან მინდა სიცილი.

კაცი მიუახლოვდა, ხელზე ხელი დაადო. სიცილი ორივემ შეწყვიტა.

— წუხელ თითქმის სავსე მთვარე იყო. თქვენს ბალს ვუყურებდი რა კარგი მოვლილია, სარკესავით გადასწორებული, გვიან იყო. პირველი სართულის დერეფანში ჯერ კიდევ ენთო სინათლე.

— უკვე გითხარით, ზოგჯერ ცუდად მძინავს-მეთქი.

კაცმა ჭიქა ხელში დაატრიალა. გრძნობდა, როგორ უნდოდა ქალს მისთვის სახეში შეეხედა. ასეც მოხდა.

— კიდევ ცოტა ღვინო მინდა, — მოითხოვა ქალმა თითქმის ვედრებით. — არ ვიცოდი, ასე მალე თუ ეჩვეოდნენ სასმელს. უმისოდ უკვე ველარ გამიძლია.

კაცმა ღვინო შეუკვეთა. ორივემ დალია — ანა დებარესდმა ერთი წუთით შეიცადა და წყნარად, თითქმის მობოდიშებითაც შეეკითხა:

— მითხარით, ის კაცი და ქალი უკანასკნელ ხანებში რატომ აღარ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს?

ბიჭმა შემოიხედა, დარწმუნდა, რომ დედამისი იქ იყო, და ისევ გაბრუნდა.

— არ ვიცი, — თქვა კაცმა. — თავიდან ალბათ ცოტა ხანი გაჩუმდებოდნენ ხოლმე, მერე იმ სიჩუმემ თანდათან იმატა, ბოლოს კი უბრალო სიტყვებმაც ველარ შეძლო უსაშველო დუმილის [illegible]

ანა დებარესდს გუშინდელივით გააჟრჟოლა და მხრებში მოიხარა.

— ერთ ღამესაც ოთახში ადგილს ველარ იპოვნიან, — განაგრძო კაცმა. — გალიაში გამომწყვდეულ მხეცებს დაემსგავსებიან, ვერ მიხვდებიან, რა სჭირთ, რალაცას ეჭვობენ, რალაცის ეშინიათ. ალარაფერი ალარ აკმაყოფილებთ. რალაცა ხდება მათ თავს, რალაც გრძნობა ავსებთ, მაგრამ სახელს ვერ არქმევენ. ეგებ თვეებიც კი დასჭირდეთ, სანამ მიხვდებიან.

კაცი წუთით გაჩუმდა. ჭიქა გამოსცალა. ქალმა შეამჩნია, თვალებში როგორ გაუკრთა ჩამავალი მზის ანარეკლი.

— პირველი სართულის ერთი ფანჯრის წინ, — განაგრძო კაცმა, — ყველაზე მშვენიერი ხე, წიფელი დგას.

— ჩემი ოთახია. დიდი, ფართო ოთახი. — ქალს ტუჩები ღვინით ჰქონდა სველი, თვალებში მასაც გაუკრთა ნაზი სხივი.

— წყნარი ოთახია, ამბობენ, ყველაზე უკეთესი. ზაფხულობით ის წიფელი ზღვას მიფარავს. ვთხოვე მოეჭრათ, თუმცა არ დამიჯერეს.

კაცმა დახლს ზემოთ საათს ახედა.

— თხუთმეტ წუთში მუშაობა დამთავრდება და თქვენც მალე წახვალთ. ცოტა დრო გვაქვს. არა მგონია, მნიშვნელობა ჰქონდეს, ის წიფელი იქ იქნება თუ არა. თქვენს ადგილზე დავტოვებდი. ყოველ ზაფხულს უფრო და უფრო დიდი ჩრდილი იქნებოდა თქვენი ოთახის კედლებზე.

ქალი მთელი ტანით მიეყუდა სკამს და ერთბაშად სახე აარიდა კაცს.

— მაგრამ ზოგჯერ ეს ჩრდილი შავი ლაქასავითაა, — შეეწინააღმდეგა ხმადაბლა.

— ამას არა უშავს. — კაცმა ღიმილით გაუწოდა ჭიქა. — ის ქალი გალოთდა. ხშირად ხედავდნენ გალეშილს. საყვედურობდნენ კიდეც.

ანა დებარესდმა გაოცებისგან სმას თავი ანება.

— ამას ველოდი, მაგრამ მთლად თუ გალოთდებოდა, არა. იქნებ სულაც ღვინოში პოულობდა შვებას?

— თქვენზე მეტი არც მე ვიცი. მითხარით, რაზე ფიქრობთ ახლა?

— ჰო, — განაგრძო ფიქრებში წასულმა ქალმა, — შაბათობით ზოგჯერ ერთი-ორი ლოთი ჩაიელის ბულვარზე ლაღი სიმღერ-სიმღერით ან ლაპარაკ-ლაპარაკით. მიდიან დიუნებამდე, ხანდახან ბოლო ფარნამდე და ისევ სიმღერით ბრუნდებიან. საერთოდ, გვიან მოდიან ხოლმე, როცა ყველას სძინავს. რომ იცოდეთ, როგორი ცარიელია ჩვენი მხარე.

— თქვენ კი წევხართ იმ დიდ, მშვიდ ოთახში და უსმენთ... მათ სიმღერას... ლაპარაკს... ირგვლივ არეულობაა, უჩვეულო არეულობა... თქვენ ყურადღებას არ აქცევთ, წევხართ და უსმენთ.

ანა დებარესდი შეიშმუშნა და, როგორც ყოველთვის, მოითენთა. ხმა თითქმის წაერთვა. ხელების კანკალი ხელახლა დაეწყო.

— ბულვარის გაგრძელებას დიუნებს იქით აპირებენ, — თქვა მან.

— თქვენ ოთახში იწექით, ქუჩაში მიმავლებმა ეს არ იცოდნენ. არავინ იცოდა... ათ წუთში სამუშაო დრო დამთავრდება.

— მე ვიცოდი, — თქვა ანა დებარესდმა, — ამ ბოლოებში ყოველთვის ვიცოდი, ყოველთვის... ვიწექი და ფანჯრიდან ვუთვალთვალებდი...

— გეძინათ თუ გელვიძათ, ჩაცმული იყავით თუ ჩაუცმელი, მათთვის სულ ერთი იყო, ისე მიდიოდნენ ქუჩაში.

ანა დებარესდი დამნაშავესავით შეეცადა თავი ემართლებინა.

— არ გინდათ, გთხოვთ, უჩვეულო აქ არაფერია.

— დიახ.

დაისის მკრთალ შუქზე ქალი თვალს არ აშორებდა კაცის ბაგეს.

— გასულ წელს, ივნისში, პარმალზე იყავით გამოსული და ჩვენი ფოლადსასხმელი ქარხნის პერსონალის დასახვედრად ემზადებოდით. ნახევრად შიშველ მკერდს მაგნოლიის თეთრი ყვავილი გიმშვენებდათ. მე შოვენი მქვია, — უთხრა კაცმა.

ქალმა ჩვეული პოზა მიიღო, კაცის წინ მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო. სიმთვრალე უკვე დაეტყო.

— მე ვიცოდი. ისიც ვიცოდი, ქარხნიდან უმიზეზოდ რომ წახვედით, მაგრამ მალევე დაბრუნდებით, რადგან ქალაქში ძნელია სამუშაოს პოვნა.

— კიდევ მელაპარაკეთ. მალე ალარაფერს შეგეკითხებით.

ანა დებარესდი იმ მოსწავლეს ჰგავდა, გაკვეთილი რომ არ იცოდა და ყოველ სიტყვას ებღაუჭებოდა.

— იმ სახლში რომ მივედი, კვიდოები უკვე იქ იყო. ახლაც ბევრია. ქარიშხლის მოახლოებისას ახმაურდებიან ხოლმე. როცა შეეჩვევი, გგონია, საკუთარ გულისცემას ისმენ. მე უკვე მივეჩვიე. ტყუილია, იმ ქალზე რომ მითხარით, გალეშილს ხედავდნენო.

სირენას თანაბარმა და გამაყრუებელმა ხმამ მთელი ქალაქი მოიცვა. პატრონმა საათი შეამოწმა და წითელი საქსოვი გადადო. შოვენმა მშვიდად დაიწყო:

— იმ სახლში ბევრ ქალს უცხოვრია და მოუსმენია ღამღამობით კვიდოების ხმა. კვიდოები უხსოვარი დროიდან იყო იქ. ქალები რიგრიგობით ყველანი იმ ოთახში დაიხოცნენ, რომლის წინაც ის წიფელი დგას. და თუმცა თქვენ არ გჯერათ, ის ხე ალარ იზრდება.

— ესეც იმ გალეშილი ქალის ამბავივით ტყუილია.

— ესეც ტყუილია. მაგრამ ის სახლი უზარმაზარია, თან ძველია, შეიძლება შეგეშინდეს კიდეც.

ქალი ისევ აიტანა შფოთმა და თვალები დახუჭა. პატრონმა ჭიქები ააწკარუნა და წყალში გაავლო.

— მელაპარაკეთ, სწრაფად, მოიგონეთ რამე.

ქალმა თავს ძალა დაატანა და ჯერ ისევ ცარიელ კაფეში ხმამაღლა, სულმოუთქმელად ალაპარაკდა:

— ისეთ ქალაქში უნდა იცხოვრო, სადაც ხეები არაა. ხეები ქარის დროს ხმაურობენ. აქ კი ქარი ყოველთვისაა წელიწადში ორი დღის გარდა. თქვენს ადგილზე აქედან წავიდოდი, არ დავრჩებოდი, ზღვის ფრინველები ქარიშხლის შემდეგ სანაპიროზე უსულოდ ყრიან, ქარიშხლის შემდეგ ხეები ჩუმდებიან. სამაგიეროდ პლაჟზე გამოყრილ [illegible] ფრინველების ხავილი ისმის, თითქოს ყელს ღადრავენ [illegible] ბავშვებს ძილს უფრთხობს. არა, წავიდოდი აქედან, წავიდოდი.

იგი გაჩუმდა, შიშისგან თვალდახუჭული. კაცმა დაკვირვებით შეხედა.

— ჩვენ ვცდებით, — თქვა მან, — ეგებ მისი მოკვლა პირველივე ბახვისთანავე მოუვიდა აზრად. მითხარით რამე.

ქალი ხმას არ იღებდა. ხელები ისევ უკანკალებდა, მაგრამ არა შიშის ან მკვდარი ქალის ბედთან საკუთარი ცხოვრების შედარების გამო. მაშინ ისევ კაცმა განაგრძო მშვიდი ხმით:

— მართალია, ქარის ჩადგომა ამ ქალაქში ისეთი იშვიათობაა, რომ თითქოს სული გეხუთება. უკვე შევამჩნიე.

ანა დებარესდი არ უსმენდა.

— მკვდარიც კი ბედნიერი ილიმებოდა, — თქვა ფიქრებში წასულმა.

გარეთ ბავშვების ჟივილ-ხივილი საღამოს ბინდს კვეთდა. ქალაქის სამხრეთიდან მოზრდილთა შეძახილები გაისმა და ქარხნის საყვირის ყრუ ზუზუნი გადაფარა.

— ქარი ყოველდღე უბერავს, — განაგრძო ანა დებარესდმა დაღლილი ხმით, — ყოველდღე, და თუ შეამჩნიეთ, ყოველთვის სხვადასხვაგვარად. ზოგჯერ ერთბაშად ამოვარდება, განსაკუთრებით მზის ჩასვლისას, ზოგჯერ პირიქით, ნელა, მაგრამ ეს მხოლოდ ძლიერი სიცხის დროს ან ღამით, გამთენიისას, ოთხი საათისთვის. ამ დროს კვიდოები ხმაურობენ და ამით ვხვდები.

— თქვენ ყველაფერი იცით ამ ბაღის შესახებ. ის განსაკუთრებულია. ზაფხულობით, როცა კვიდოები ყვირილს იწყებენ, ფანჯარას კეტავთ, მათი ხმა რომ არ გაიგონოთ, ძალიან ცხელა და შიშველი ხართ.

— ღვინო მინდა, — ითხოვა ანა დებარესდმა, — ისევ მინდა.

კაცმა ღვინო შეუკვეთა.

— ათი წუთია, რაც დარეკეს, — შეახსენა პატრონმა და დაუსხა.

პირველი კლიენტი შემოვიდა და დახლთან ღვინო დალია.

— ბაღის მარცხენა კუთხეში, — განაგრძო ჩუმი ხმით ანა დებარესდმა, — ამერიკიდან ჩამოტანილი მეწამულის ფერი წიფელია, არ ვიცი, რატომ...

ბარში შემოსულმა კლიენტმა იცნო შოვენი და ცოტათი შეცბუნებულმა თავი დაუკრა. შოვენს არ დაუნახავს.

— მელაპარაკეთ კიდევ, — სთხოვა კაცმა, — შეგიძლიათ რაც გინდათ, ის მითხრათ.

ბიჭი შემოვიდა თმააწეწილი და აქოშინებული. სანაპიროზე ხალხის ნაბიჯების ხმა გაისმა.

— დედა, — თქვა ბავშვმა.

— ორ წუთში იგი წავა, — ჩაილაპარაკა შოვენმა.

ბარში მყოფი კლიენტი შეეცადა ბიჭს თავზე მოფერებოდა, მაგრამ ის გაიქცა.

— ერთ დღესაც, — თქვა ანა დებარესდმა, — ეს ბიჭი გამიჩნდა.

ათიოდე მუშა ერთად შემოიჭრა. ზოგიერთმა იცნო შოვენი, შოვენს არც ისინი დაუნახავს.

— ზოგჯერ, — განაგრძო ანა დებარესდმა, — როცა ბავშვს სძინავს, საღამოობით ბაღში ჩავდივარ და ვსეირნობ. ღობესთან მივდივარ, ბულვარს ვათვალიერებ. საღამოობით ძალიან მშვიდია, განსაკუთრებით ზამთრობით. ზაფხულობით ხანდახან შეყვარებულები თუ გაივლიან ხელიხელგადახვეულნი, სულ ესაა. ეს სახლი იმიტომ ავირჩიე, რომ მშვიდი ადგილია, ქალაქში ყველაზე მშვიდი. უნდა წავიდე.

შოვენი სკამს მიეყრდნო, ცოტა ხნის შემდეგ წამოიწყო:

— ღობესთან მიდიხართ, მერე უკან ბრუნდებით, სახლს გარშემო უვლით, ისევ ღობესთან ბრუნდებით. ბიჭს ზემოთ სძინავს. არასოდეს დაგიყვირიათ მისთვის, არასოდეს.

ქალმა უხმოდ ჩაიცვა ლაბადა. კაცი მიეხმარა. ქალი წამოდგა, ცოტა ხნით გაჩერდა მაგიდასთან და დახლთან მდგარ ხალხს მიაშტერდა. ზოგიერთმა შოვენს მისალმების ნიშნად თავი დაუკრა, მაგრამ ის სანაპიროს გაჰყურებდა.

ანა დებარესდი ბოლოს გონს მოეგო:

— კიდევ მოვალ, — თქვა მან.

— ხვალ.

კაცმა კარამდე მიაცილა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდა. ბიჭმა დედასთან მიირბინა, ხელი მოკიდა და თან გაიყოლა.

ბავშვმა უამბო, რომ ახალი მეგობარი ჰყავდა და არც გაჰკვირვებია, დედამ რომ უპასუხოდ დატოვა. ცარიელ პლაჟზე — ახლა უფრო გვიანი იყო, ვიდრე წინა დღეს — ბიჭი ზღვის ძლიერი ტალღების საყურებლად შეჩერდა. მერე ისევ განაგრძო გზა.

— წამოდი.

ქალმა შვილს უკან მისდია.

— ნელა დადიხარ, — ამოიოხრა ბავშვმა, — და ცივა კიდეც.

— არ შემიძლია უფრო ჩქარა.

ქალმა მაინც აუჩქარა ფეხს. ღამემ და დაღლილობამ შვილი დედას მიაკრა და ასე ერთად განაგრძეს გზა.

V

— დაიმახსოვრე, — უთხრა ანა დებარესდმა, — ეს ნიშნავს დინჯად და ყლერადად.

— დინჯად და ყლერადად, — გაიმეორა ბიჭმა.

რაც უფრო მაღლა ადიოდნენ კიბეზე, შორს, ქალაქის სამხრეთით ამწეები უფრო და უფრო იკვეთებოდა .ყველა ერთნაირად, მაგრამ სხვადასხვა ტემპით მოძრაობდა. ცარიელ ბაგირებს ქარი ერთმანეთში ხლართავ და.

— აღარ მინდა გისაყვედურონ. ვკვდები, როცა ამას ვისმენ.

— არც მე აღარ მინდა, — თქვა ბიჭმა დინჯად და წყნარად.

სახლის ბოლო ფანჯარასთან უზარმაზარმა, ქვიშაში ამოგანგლულმა ექსკავატორმა ჩაიარა, კბილებში მსხვერპლგაჩრილ ველურ ცხოველს ჰგავდა.

— მუსიკა აუცილებელია და უნდა ისწავლო. გასაგებია?

— გასაგებია.

მადმუაზელ ჟიროს ბინა მაღლა, მეხუთე სართულზე მდებარეობდა. ფანჯრიდან ზღვაზე ფართო ხედი იშლებოდა. თოლიების გარდა თითქმის არაფერი ჩანდა.

— აბა, შეიტყვეთ? სასიყვარულო მკვლელობა იყო, ხომ? დაბრძანდით, ქალბატონო დებარესდ, გთხოვთ.

— რაზე ამბობთ? — იკითხა ბიჭმა.

— აბა, სწრაფად, სონატინა დაუკარი.

ბავშვი პიანინოს მიუჯდა. მადმუაზელ ჟირო ფანქრით ხელში მის გვერდით მოკალათდა. ანა დებარესდი მოშორებით, ფანჯარასთან დაჯდა.

— სონატინა, დიაბელის პატარა, ლამაზი სონატინა. აბა, მიდი. ჯერ მითხარი, რა ზომაშია?

ამ ხმის გაგონებაზე ბავშვი მოიბუზა. დაფიქრებული სახე მიიღო და ცოტა ხანს შეიცადა.

— დინჯად და ჟღერადად, — უპასუხა ბოლოს.

მადმუაზელ ჟირომ გულხელი დაიკრიფა და ამოიოხრა:

— არა, ნამდვილად განზრახ აკეთებს, სხვა ახსნა არ არსებობს.

ბიჭი არც განძრეულა. მუხლებზე ხელებდაწყობილი მოთმინებით ელოდა, როდის დასრულდებოდა ეს ტანჯვა, და ხმას არ იღებდა, რადგან იცოდა, ეს გაკვეთილები მაინც გარდუვალი იყო.

— დღემ შესამჩნევად მოიმატა, — ჩაილაპარაკა ანა დებარესდმა.

— რასაკვირველია, — უპასუხა მადმუაზელ ჟირომ.

მზე ახლა უფრო მაღლა იდგა. მოწმენდილ ცაზე ნისლის ნატამალიც არ ჩანდა.

— გელოდები, მიპასუხე.

— ეგებ შეკითხვა ვერ გაიგონა?

— შესანიშნავად გაიგონა. უბრალოდ, ქალბატონო დებარესდ, არ გსურთ დაიჯეროთ, რომ განგებ იქცევა ასე.

ბიჭმა თავი ფანჯრისკენ შეაბრუნა და ზღვის ტალღებზე არეკლილ მზის ნათებას გახედა. მხოლოდ დედას შეეძლო მისი თვალების დანახვა.

— ჩემო პატარა თავის მოჭრავ, ჩემო საუნჯევ, — ჩაილაპარაკა ქალმა.

— ოთხი მეოთხედია, — თქვა ბიჭმა ისე, არც განძრეულა.

ბიჭის თვალები მოწმენდილ ცას ჰგავდა, სიღრმეში რომ ოქროსფრად ლივლივებდა. ისეთივე ოქროსფრად, როგორიც მისი თმა.

— ერთ დღესაც, — თქვა დედამ, — ერთ დღესაც ეცოდინება და დაუფიქრებლად გიპასუხებთ, თუნდაც არ უნდოდეს, მაინც ეცოდინება. — და მხიარულად, ხმადაბლა ჩაიცინა.

— უნდა გიხვენოდეთ, ქალბატონო დებარესდ, — უსაყვედურა მადმუაზელმა.

— ამას სხვებიც ამბობენ.

მადმუაზელ ჟირომ გულზე დაკრეფილი ხელები ჩამოუშვა, კლავიატურაზე ფანქარი დაარტყა, როგორც ამას მთელი ოცდაათმეოთხე მავლობაში აკეთებდა, და იყვირა:

— გამები, ათი წუთის განმავლობაში გამებს დაუკრავ. მარტო ასე თუ ისწავლი, ჯერ დო მაჟორი.

ბიჭი ისევ პიანინოსკენ შებრუნდა, ხელები ერთად ასწია და ხაზგასმული მორჩილებით დააწყო კლავიატურაზე.

დო მაჟორის გამამ ზღვის ხმაური დაფარა.

— კიდევ, კიდევ, ეს ერთადერთი საშუალებაა.

ბიჭმა ისევ დაიწყო. ბგერები თანდათან ამაღლდა, საჭირო დონეს მიაღწია, მერე დო მაჟორში მეორე, მესამე გამა მოჰყვა და ეს ყველაფერი მასწავლებლის სიბრაზეს შეერია.

— გითხარი, ათი წუთი-მეთქი! კიდევ.

ბიჭმა მადმუაზელ ჟიროს მიაპყრო მზერა, ხელები უხალისოდ ეწყო კლავიშებზე.

— რატომ? — იკითხა ბიჭმა.

მადმუაზელ ჟიროს სიბრაზისგან სახე ისე დაემანჭა, რომ ბავშვმა თვალი აარიდა — ხელები კვლავ კლავიატურაზე ეწყო და იდეალური მოწაფის პოზაში გაშეშდა, მაგრამ არ დაუკრავს.

— ეს უკვე ჩემს ძალას აღემატება.

— შვილებს ჩვენთვის სიცოცხლის მოცემაც კი არ უთხოვიათ, — თქვა ანა დებარესდმა და ისევ გაიცინა, — ჩვენ კი სწავლასაც ვაძალებთ. რა უნდა ქნან.

მადმუაზელ ჟირომ მხრები აიჩეჩა, დამშვიდდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— საინტერესოა, ბავშვები საბოლოოდ თუ გაგაბოროტებენ.

— მაგრამ ერთ დღეს გამებიც ეცოდინება, — ანა დებარესდი თითქოს ამშვიდებდა, — ისევე სრულყოფილად ეცოდინება, როგორც ზომა. ეს გარდუვალია. ისე კარგად ეცოდინება, რომ ეს ცოდნა დაღლის კიდეც.

— თქვენ მას ცუდად ზრდით, ქალბატონო! — შეჰყვირა მადმუაზელ ჟირომ.

ერთი ხელით ბავშვს თავი შემოუტრიალა და აიძულა სახეში შეეხედა მისთვის. ბიჭმა თვალები დახარა.

— დაუკრავ იმიტომ, რომ მე ასე გადავწყვიტე. უკიდურესად თავხედია. სამჯერ სოლ მაჟორი, ოღონდ ჯერ ერთხელ ისევ დო მაჟორი.

ბავშვმა ისევ დო მაჟორის გამა დაიწყო. გულგრილად დაუკრა და მერე გაჩერდა.

— არ მიყვარს გამები.

მადმუაზელ ჟირომ ორივე რიგ-რიგობით შეათვალიერა. ისე იყო სასოწარკვეთილი, მათი ლაპარაკისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

— გელოდები.

ბიჭი ისევ პიანინოსკენ შებრუნდა, მაგრამ მასწავლებლისგან შორს.

— ჩემო საყვარელო, — უთხრა დედამ, — კიდევ ერთხელ დაუკარი.

დედის ხმაზე ბიჭს წარბები შეუთამაშდა, მაგრამ [illegible] შეიკავა.

— მაშინ გამები აღარ მინდა.

— სწორედაც გამები, — მოითხოვა მადმუაზელმა.

ბიჭი კიდევ ცოტა ხანს შეყოვნდა, მერე, როცა ქალებს უკვე იმედი გადაეწურათ, ისევ დაუკრა. მაგრამ ამჯერად მადმუაზელ ჟიროსთვის ყურადღება არც მიუქცევია.

— ქალბატონო დებარესდ, არ ვიცი, შევძლებ თუ არა მასთან მეცადინეობის გაგრძელებას.

სოლ მაჟორის გამა ისევ სწორი იყო, წინაზე უფრო ჩქარიც კი, მაგრამ ცარიელი და უშინაარსო.

— ეს იმიტომ, რომ უგულოდ უკრავს, — აღნიშნა დედამ, — ამაში გეთანხმებით.

გამა დამთავრდა. ბავშვი, სრულიად უინტერესო ამ ლაპარაკის მიმართ, სკამიდან წამოიწია და შეეცადა დაენახა, რა ხდებოდა ქვემოთ, სანაპიროზე.

— ავუხსენი, რომ საჭიროა, — თავი იმართლა დედამ ყალბი სინანულით.

მადმუაზელ ჟიროომ მაღალფარდოვნად და მოწყენილად განუცხადა:

— არაფერი გაქვთ ასახსნელი. მისი გადასაწყვეტი არაა, უნდა ისწავლოს თუ არა, ქალბატონო დებარესდ, აღზრდა ეს გახლავთ. — და ფანქარი ისევ დაარტყა პიანინოზე. ბიჭმა უშედეგო მცდელობას თავი მიანება.

— ახლა სონატინა დაუკარი, — თქვა ქალმა დაღლილი ხმით, — ოთხი მეოთხედი.

ბავშვმა გამასავით დაუკრა. მიუხედავად მისი უგულობისა, მუსიკა მაინც აშკარად იგრძნობოდა.

— ხომ ხედავთ! — განაგრძო მადმუაზელ ჟიროომ, — არიან ბავშვები, რომელთაც მკაცრად უნდა მოექცე, სხვაგვარად ვერაფერს მიაღწევ.

— შევეცდები, — უპასუხა დებარესდმა.

იგი სონატინას უსმენდა. შვილის ბავშვური ასაკიდან გამომდინარე ეს მუსიკა დედისადმი იყო მიძღვნილი. ამის მოსმენისას ცოტაც და ანა დებარესდი გონებას დაკარგავდა.

— ჰო, აი კიდევ რა. მას ჰგონია, რომ პიანინო არ უყვარს. მაგრამ მე ვიცი, რასაც ვამბობ, ქალბატონო დებარესდ, ბავშვის ნათქვამს მნიშვნელობა არა აქვს.

— ვეცდები ცოტა უფრო მკაცრად მოვექცე.

სონატინა ისევ გაისმა. ეს სონატინა პატარა ბარბაროსის მიერ უწებურად დედის გულში ნასროლ ისარს ჰგავდა, რამაც ქალი თავის სიყვარულზე დააფიქრა და ჯოჯოხეთის კარი მიუხსნა.

— ისევ დაიწყე და ზუსტად ითვალე. ცოტა ნელა.

მელოდია შენელდა და უფრო გამოიკვეთა. ბავშვი თავადვე მოიხიბლა, მისი თითებიდან უნებლიეთ ამოფრქვეული მუსიკის ხმები ნელა მოედო არემარეს. ქვემოთ, სანაპიროსაც მისწვდა და უკვე ნაცნობი კაცის გული ააფორიაქა.

— ერთი თვეა, რაც დადის, — თქვა კაფეს მეპატრონემ, — ძალიან კარგად უკრავს.

კაცების პირველი ჯგუფი კაფესკენ მოდიოდა.

— დიახ, ზუსტად ერთი თვეა, — განაგრძო მეპატრონემ, — ნამდვილად ვიცი.

დახლის ბოლოში მდგარი შოვენი ერთადერთი კლიენტი იყო. მან საათს დახედა, გაიზმორა და სონატინა წაიღიღინა იგივე რიტმში, როგორშიც ბავშვი ასრულებდა. მეპატრონე სახეში შეაცქერდა, თან დახლს ქვემოდან ჭიქები გამოიღო.

— ჯერ ახალგაზრდა ხართ, — აღნიშნა მან.

მერე გამოიანგარიშა, რამდენი წუთი რჩებოდა პირველი მუშტრების მოსვლამდე, და კაცი გააფრთხილა:

— როცა კარგი ამინდია, მგონი, სხვა მხარეს სეირნობს, ყოველთვის აქ არა.

— მოვა, — თქვა ღიმილით კაცმა.

კაფეში რამდენიმე მუშტარი შემოვიდა.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, — ითვლიდა მადმუაზელ ჟირო, — კარგია.

ბავშვის თითებით აჟღერებულმა სონატინამ გულგრილობის მიუხედავად უმაღლეს წერტილს მიაღწია. რაც უფრო მაღლა და მაღლა იწევდა მელოდია, მით უფრო იკლებდა დღის სინათლე. ჰორიზონტზე ალმოდებული ღრუბლების უზარმაზარი ნახევარკუნძული გამოიკვეთა და მისმა წუთიერმა მშვენიერებამ ბიჭი ფიქრით ახალ სამყაროში გადაიყვანა. ათ წუთში მზის სინათლე დაემშვიდობებოდა ქვეყნიერებას. ბიჭმა მესამედ დაასრულა დაკვრა. ზღვის ხმაურს სანაპიროზე ჩავლილი ხალხის ხმები ერთვოდა.

— მომავალ გაკვეთილზე ზეპირად უნდა იცოდე, გასაგებია?

— დიახ, ზეპირად,

— გპირდებით, — ჩაერია დედა.

— რაღაც უნდა შეიცვალოს, აშკარაა, რომ აბუჩად მიგდებს, დამცინის.

— გპირდებით.

მადმუაზელ ჟირო ფიქრებში წავიდა და პასუხი არ გაუგია.

— იქნებ სხვა მასწავლებელი გამოგენახათ, ქალბატონო დებარესდ, — ვნახავდით, რა გამოვიდოდა.

— არა! — შეჰყვირა ბიჭმა.

— მე მგონი, სხვას ვერ შევეჩვევით, — დასძინა ანა დებარესდმა.

— მე კი მგონია, ბოლოს მაინც ასე მოგიწევთ.

როცა კარი მიიხურა, ბიჭი კიბეზე შეჩერდა:

— ხომ ნახე, რა ბოროტია.

— განგებ აკეთებ ამას?

ბიჭმა ცაში ალმართულ უძრავ ამწეებს გახედა. შორს ქალაქის განათებული გარეუბანი ჩანდა.

— არ ვიცი, — უპასუხა ბიჭმა.

— და მაინც ძალიან მიყვარხარ.

ბავშვი ნელა ჩაუყვა კიბეს.

— ალარ მინდა მუსიკის სწავლა.

— გამები მეც არასოდეს მიყვარდა, — მიუგო ანა დებარესდმა, — მაგრამ შენ კი უნდა ისწავლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

ანა დებარესდი კაფეში არ შესულა, კარებშივე შეჩერდა. შოვენი მისკენ გაეშურა. კაცის მიახლოებისას ქალი ბულვარისაკენ შებრუნდა.

— უკვე მოსულა ხალხი, — დაიჩივლა მან, — მუსიკის გაკვეთილები გვიან დაგვიმთავრდა.

ბიჭმა ხელი გაითავისუფლა და, როგორც ყოველთვის, ქუჩაში გაიქცა. შოვენმა ჩამავალ მზეს ახედა და ქალს მიუახლოვდა. იგი არ განძრეულა.

— მალე ზაფხული მოვა, — თქვა კაცმა, — წამოდით.

— მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ იგრძნობა.

— ზოგჯერ იგრძნობა, თქვენც იცით, ამ საღამოს, მაგალითად.

ბიჭი თოკებს ახტებოდა და დიაბელის სონატინას ღიღინებდა. ანა დებარესდი შოვენს გაჰყვა. კაფე სავსე იყო. კაცები სწრაფად ყლურწავდნენ ღვინოს, თითქოს მოვალეობას იხდიანო, მერე კი შინ მიიჩქაროდნენ. მათ სხვები ენაცვლებოდნენ.

კაფეში შესული ანა დებარესდი შოვენმა ღიმილით გაამხნევა. დახლის ყველაზე მოფარებულ კუთხეში მივიდნენ. ქალმა კაცივით მაშინვე დალია ღვინო. ხელში ჭიქა ისევ უკანკალებდა.

— უკვე მეშვიდე დღეა, — დაიწყო შოვენმა.

— მეშვიდე ღამე, — თითქოს შემთხვევით ჩაილაპარაკა ქალმა, — რა კარგია ღვინო.

დახლს მოშორდნენ. კაცმა დარბაზის სიღრმეში ერთი მაგიდა შეარჩია. ბარში მყოფი ხალხი ქალს შორიდან გაკვირვებული უყურებდა. დარბაზში სიწყნარე იდგა.

— მაშ, გესმოდათ ის გამები?

— ჯერ არავინ იყო კაფეში. ფანჯრები ალბათ ღია ჰქონდათ. ყველაფერი გავიგონე, გამებიც.

ქალმა მადლიერად გაულიმა და კიდევ დალია. ხელების კანკალი შეუნელდა.

— ორი წელია ამოვიჩემე, მუსიკა უნდა ისწავლოს-მეთქი, გესმით?

— მესმის. დიდი პიანინო სალონში დგას, ხელმარცხნივ, ხომ?

— დიახ, — ანა დებარესდმა ხელები მომუჭა და დამშვიდებას შეეცადა, — მაგრამ ჯერ კიდევ ისეთი პატარაა, ისეთი პატარა, რომ ზოგჯერ ვფიქრობ, ხომ არ შევცდი-მეთქი.

შოვენს გაელიმა. დარბაზის სიღრმეში მათ გარდა არავინ იყო. დახლთან მყოფი კლიენტების რიცხვი მცირდებოდა.

— იცით, მშვენივრად იცის გამები.

ამჯერად ანა დებარესდსაც გულიანად გაეცინა.

— მართლა იცის. ის ქალიც კი მეთანხმება... ამას [illegible], ო, ამაზე შეიძლება ბევრი ვიცინო...

ქალმა ისევ გაიცინა. შოვენმა განაგრძო:

— თქვენ იმ დიდ პიანინოზე იყავით დაყრდნობილი. კაბის ქვეშ დამალულ მკერდს მაგნოლიის ყვავილი გიმშვენებდათ.

ანა დებარესდი ყურადღებით უსმენდა.

— დიახ.

— როცა იხრებით, ეს ყვავილი შიშველ მკერდს ეხება. დაუდევრადაა დამაგრებული, ძალზე დიდი ყვავილია, თქვენთვის მეტისმეტად დიდი, შემთხვევით შეარჩიეთ ალბათ. ფურცლები ჯერ ისევ მაგარი აქვს მხოლოდ გასულ ღამეს გაიშალა მთლიანად.

— გარეთ ვიყურებოდი?

— კიდევ დალიეთ ღვინო. ბიჭი ბაღში თამაშობდა, თქვენ გარეთ იყურებოდით, დიახ.

ანა დებარესდმა დალია, შეეცადა გაეხსენებინა, მაგრამ ამაოდ.

— არ მაგონდება, ის ყვავილი რომ მომეწყვიტოს. არც ის მაგონდება, საერთოდ თუ მეკეთა.

— ძლივს გხედავდით, მაგრამ იმის დრო კი მქონდა, რომ ყვავილი შემემჩნია.

ქალი ცდილობდა მაგრად ჩაჭიდებოდა ჭიქას. მოძრაობა და ლაპარაკი შეანელა.

—როგორ მყვარებია თურმე ღვინო, არ ვიცოდი.

— ახლა მელაპარაკეთ.

— ო, თავი დამანებეთ, — შეეხვეწა ანა დებარესდი.

— ცოტა დრო გვაქვს.

ბინდი ჩამოწოლილიყო და დღის სუსტი სინათლე მხოლოდ ჭერს ეცემოდა. დახლი გაჩახჩახებული იყო. დარბაზში ჩრდილი იდგა. ბიჭმა მოირბინა, არც გაკვირვებია, ასე გვიანობამდე რომ შერჩენენ აქაურობას.

— კიდევ ერთი ბიჭი მოგვემატა.

ბიჭი უკან გაბრუნდა და შოვენის ხელებიც ქალისას მიუახლოვდა. ოთხივე ხელი მაგიდაზე ეწყო.

— როგორც გეუბნებოდით, ზოგჯერ ცუდად მძინავს. შვილის ოთახში შევდივარ და დიდხანს დავყურებ.

— ზოგჯერ კი?

— ზოგჯერ კი. ზაფხულობით ბულვარზე მოსეირნენი არიან. განსაკუთრებით შაბათ საღამოს, ალბათ იმიტომ, რომ ხალხმა არ იცის, რა აკეთოს სახლში.

— ალბათ, — დაეთანხმა შოვენი, — განსაკუთრებით კაცებმა. ხშირად უყურებთ ხოლმე ბაღიდან, დერეფანსა თუ ოთახ ან?

ანა დებარესდი გადმოიხარა.

— ეს მაშინ, როცა ჩემს თავს ვერაფერს ვუხერხებ, — აღიარა მან, — მგონი, მართლაც ხშირად ვუყურებ მათ ხან დერეფნიდან, ხან ჩემი ოთახიდან.

შოვენმა რაღაც ჩაილაპარაკა ჩუმად. ანა დებარესდს შზერა თანდათან მიებნიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— განაგრძეთ.

— დღეები უცვლელად მიედინება. მეტს ვერაფერს ვიტყვი.

— ძალიან ცოტა დრო გვრჩება, განაგრძეთ.

— ყოველდღე სადილი, ვახშამი, სალამოები. ერთ დღესაც ეს მუსიკის გაკვეთილები მომაფიქრდა.

ღვინო გამოცალეს. შოვენმა ისევ შეუკვეთა. დახლთან მდგართა რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა. ანა დებარესდი მოწყურებულივით დაეწაფა სასმელს.

— უკვე შვიდი საათია, — გააფრთხილა ისინი პატრონმა.

მათ არც გაუგიათ. დაღამდა. დარბაზის სილრმეში ოთხი კაცი შემოვიდა, ეტყობა, დროის მოსაკლავად. რადიოში ამინდის პროგნოზს აცხადებდნენ.

— მუსიკა ძალიან მიყვარს, ამიტომაც მომივიდა აზრად ეს გაკვეთილები, თანაც ქალაქის მეორე ბოლოში. ახლა კი უკვე აღარ შემიძლია შევწყვიტო. ძნელია. ნახეთ, უკვე შვიდი საათია.

— შინ გვიან მიხვალთ, ჩვეულებრივზე უფრო გვიან, შეიძლება ძალიან გვიანაც, ეს უეჭველია. შეურიგდით ამ აზრს.

— თუ მსედველობაში მივიღებთ იმ გზას, რაც სახლამდე მაქვს. გასავლელი, შემიძლია გითხრათ, რომ სადილზე უკვე დავაგვიანე. თანაც დამავიწყდა, რომ ამ საღამოს სტუმრები გვყავს. შინ აუცილებლად უნდა ვიყო.

— იცით, რომ აუცილებლად დაგაგვიანდებათ და სხვანაირად არც შეიძლება? იცით?

— ვიცი, რომ სხვანაირად არც შეიძლება.

კაცმა შეიცადა. ქალმა მშვიდად გადაიტანა ლაპარაკი სხვა თემაზე.

— იცით, ჩემს შვილს მოვუყევი, იმ ოთახში მცხოვრები ყველა ქალი რიგ-რიგობით რომ მოკვდა. მან კი მთხოვა, მათი საფლავები მეჩვენებინა. აი, გითხარით, რაც შემეძლო მეთქვა.

— თქვენ მაშინვე ინანეთ, იმ ქალებზე რომ უამბეთ, და შეპირდით, რამდენიმე დღეში არდადეგებზე სხვა სანაპიროზე წაგიყვანო.

— დავპირდი, ზღვისპირა რომელიმე თბილ ქალაქში წაგიყვან-მეთქი ორ კვირაში. ძალიან განიცადა იმ ქალების ამბავი.

ანა დებარესდმა ისევ დალია. ამჯერად ძალზე მაგარი მოეჩვენა, თვალები აუწყლიანდა, ილიმებოდა.

— დრო გადის, — თქვა შოვენმა. — უფრო და უფრო იგვიანებთ.

— თუ დაგვიანებაა, ვფიქრობ, ან ძალიან უნდა დაიგვიანო ან დროზე მიხვიდე.

დახლთან ერთადერთი კლიენტილა დარჩა. დანარჩენი ოთხი დარბაზში იჯდა. კიდევ ერთი წყვილი შემოვიდა. პატრონი მათ მოემსახურა

და აქამდე მიტოვებული წითელი საქსოვი აიღო. რადიოს ხმა ჩაუწია. ზღვის ძლიერი ხმაური სანაპიროზე მოსეირნეთა სიმღერებს ფარავდა.

— როცა გაიგო, ქალს რაც უნდოდა მისგან, რატომ არ გააკეთა ეს, მაგალითად, უფრო გვიან ან... უფრო ადრე. რატომ მაინცდამაინც იმ დღეს?

— იცით, ძალიან ცოტა ვიცი ამ საქმის თაობაზე. მაგრამ, მგონი, თავად ვერ გაერკვია, მკვდარი უფრო უნდოდა თუ ცოცხალი. გვიანლა მიხვდა, რომ მკვდარი ერჩივნა. არ ვიცი, მე ასე ვფიქრობ.

ანა დებარესდი მხრებში მოიხარა, თავი დასწია, სახე გაფითრებოდა.

— ქალს იმედი ჰქონდა, რომ კაცი გადაწყვეტდა.

— მგონი, კაცსაც ასევე ჰქონდა ამის იმედი. რა ვიცი.

— მართლა ასევე?

— ასევე. გაჩუმდით.

ოთხი კაცი გავიდა, დარბაზში მხოლოდ ერთი წყვილიღა დარჩა. ქალმა დაამთქნარა. შოვენმა ახალი ბოთლი შეუკვეთა.

— იმდენი რომ არ ესვათ, ალბათ არც არაფერი მოხდებოდა.

— ალბათ, — ჩაიჩურჩულა ანა დებარესდმა. — თუ შეგიძლიათ, მითხარით კიდევ რამე, მინდა ცოტა მეტი ვიცოდე, თუნდაც დარწმუნებული არ იყოთ.

შოვენმა ქალისთვის აქამდე უცხო, ნელი, გულგრილი ხმით დაიწყო:

— განცალკევებულ სახლში ცხოვრობდნენ, მგონი, ზღვის პირას. ცხელოდა. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, ბოლოს კი ურთიერთობა ისე დაეძაბათ, ქალი სახლიდანაც კი გააგდო. იძულებული გახდა გაეგდო.

— სახლიდან გაგდება ძნელი უნდა იყოს.

— ალბათ ძნელია. სიკვდილზე ფიქრიც ძნელია. ამას შეჩვეული უნდა იყო, ისევე როგორც ცხოვრებას, მაგრამ მხოლოდ შეჩვეული.

— ქალი, ქალი თუ მიდიოდა ხოლმე?

— ქალი მიდიოდა, თუმცა დარჩენა სურდა.

ანა დებარესდი კაცს ისე დააკვირდა, თითქოს რომელიღაც ნადირს უთვალთვალებსო.

— გთხოვთ, განაგრძოთ, — შეეხვეწა ქალი.

— მერე ისეთი დრო დადგა, ქალს რომ უყურებდა, ისეთი აღარ ეჩვენებოდა, როგორც წინათ. აღარ იყო არც ლამაზი, არც უშნო, არც ახალგაზრდა, არც ბებერი, არც ვინმესადმი მისი შედარება შეეძლო, საკუთარ თავსაც აღარ ჰგავდა. კაცი შიშმა აიტანა. ეს მოხდა უკანასკნელი არდადეგების დროს, ზამთარში. ახლა ალბათ ბულვარზე დაბრუნდებით. ეს უკვე მერვე დღე იქნება.

ბიჭი შემოვიდა და წამით დედას მიეკრა. ისევ დიაბელის სონატინას ღიღინებდა. ქალმა თმაზე გადაუსვა ხელი, თუმცა ვერაფერს ამჩნევდა. კაცმა დედა-შვილს თვალი აარიდა. ბიჭი გავიდა.

— ის სახლი განმარტოებით იდგა, — განაგრძო ნელა ანა დებარესდმა, — თქვენ თქვით, როცა ეუბნებოდა, წადი, ქალი ყოველთვის ემორჩილებოდა. მერე ხის ძირში იწვა, მინდორში, როგორც...

— დიახ, — მიუგო შოვენმა.

— როცა ეძახდა, ქალი ბრუნდებოდა, მერე ისევ აგდებდა და ქალიც მიდიოდა. ამ მორჩილებით თითქოსდა იმედს იტოვებდა თავისებურად, მაშინაც კი, როცა ბრუნდებოდა, ზღურბლთან ჩერდებოდა და ელოდა, ვიდრე კაცი არ ეტყოდა, შემოდიო.

— ჰო.

ანა დებარესდმა მიბნედილი სახე შოვენისკენ გადახარა, მაგრამ მაინც ვერ მისწვდა. კაცი უკან გადაიხარა.

— სწორედ იმ სახლში მიხვდა ქალი, თუ როგორ ძალიან ჰგავდა...

— დიახ, ძალს, — ისევ შეაწყვეტინა შოვენმა.

ამჯერად ქალი გადაიხარა უკან. კაცმა ჭიქა შეუვსო და გაუწოდა.

— მოგატყუეთ, — თქვა შოვენმა.

ქალმა აჩეჩილი თმა გაისწორა, დაღლილი ჩანდა.

— არა, ალბათ ასეც იყო, — მიუგო მან.

გაზის სინათლეზე გულდაგულ დააკვირდა შოვენის სახეს, მასზე გამოხატულ უჩვეულო დაძაბულობას.

ბიჭი კიდევ ერთხელ გამოჩნდა.

— დაღამდა, — შენიშნა ბიჭმა, კარისკენ პირშებრუნებულმა დაამთქნარა და იქვე გაჩერდა, ისევ ღიღინებდა.

— შეხედეთ, როგორ გვიანია. ჩქარა მითხარით კიდევ რამე.

— მერე დადგა დრო, როცა კაცი მიხვდა, რომ შეეძლო მას შეხებოდა...

ანა დებარესდმა ხელები შიშველ ყელთან მიიტანა.

— მხოლოდ აქ, ხომ?

— ჰო, მანდ.

ხელები ყელს მოშორდა და ქვევით ჩამოეშვა.

— მინდა რომ წახვიდეთ, — ჩაილუღლუღა შოვენმა.

ანა დებარესდი სკამიდან წამოდგა და შუა დარბაზში გაჩერდა. შოვენი კვლავ დამძიმებული იჯდა, ქალს უკვე ველარ სცნობდა. პატრონმა თავი ვერ შეიკავა, წითელი საქსოვი გადადო და ორივე მოურიდებლად შეათვალიერა. ბიჭი კარს მოშორდა და დედას ხელი მოჰკიდა.

— მივდივართ, წამოდი.

ბულვარი უკვე განათებული იყო. ჩვეულებრივზე გვიანი იქნებოდა. ბავშვი ერთხანს კიდევ ღიღინებდა, მერე, ეტყობა, დაიღალა. ქუჩები თითქმის ცარიელი იყო. ხალხი ვახშმობდა. პირველი ჯებირის შემდეგ, როცა თვალწინ მთელი სიგრძით გადაეშალათ ბულვარი, ანა დებარესდი შეჩერდა.

— ძალიან დავიღალე, — თქვა მან.

— მშია, — ჩაიკრუსუნა ბიჭმა, მაგრამ როცა შეამჩნია, დედას თვალები აცრემლებოდა, მეტი აღარ დაუწუწუნია. — რატომ ტირი?

— ისე, უბრალოდ.

— არ მინდა იტირო.

— ჩემო საყვარელო, აღარ ვტირი, მორჩა...

მალე ბიჭს ყველაფერი დაავიწყდა და სირბილს მოჰყვა. შეჩვეული არ იყო ღამე სიარულს და ერთობოდა.

— დამღამობით სახლები შორს ჩანან, — აღნიშნა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

ოჯახის რელიქვიად ქცეული ლანგრით მოხარშული ორაგული შემოაქვთ. შავებში გამოწყობილი თეთრხელთათმანებიანი კაცი პრინცივით დაატარებს მას და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში სათითაოდ სთავაზობს ყველას. ამ დროს ლაპარაკი არ შეიძლება.

პარკის ჩრდილოეთი მხრიდან დიუნებამდე მაგნოლიის მძაფრი სურნელი მოდის. სამხრეთის ქარი ქრის. ბულვარზე ვიღაც კაცი დაეხეტება და ვიღაც ქალმა ეს იცის.

ორაგული ერთი სტუმრიდან მეორეზე ინაცვლებს. ამ რიტუალს დაძაბულობას თითოეულის ფარული შიში სძენს, მოულოდნელად ეს სრულყოფილება არაფერმა დაარღვიოს ან აშკარა უაზრობად არ იქცეს. გარეთ, პარკში ადრეული გაზაფხულის ბნელ ღამეში ქუშად ჰყვავიან მაგნოლიები.

ქარი ტალღა-ტალღად ქრის და კაცთან დროდადრო მაგნოლიის სურნელი მოაქვს.

სამზარეულოში შუბლგაოფლიანებული ქალები მეორე კერძის მზადებაში არიან. შემწვარ იხვს ფორთოხლის ნაჭრებით რთავენ. ცოტა ხანში თევზს ფორმა და სილამაზე ეკარგება, თუმცა ორაგული, ოკეანის წყლების ლაღი ბინადარი, მაინც განაგრძობს სრული განადგურებისაკენ სვლას და ამ უნაკლო ცერემონიალისადმი თანდათან ყოველგვარი შიში იფანტება.

ერთი სტუმართაგანი თავის წინ მჯდომი ქალის ნახევრად შიშველ მკერდს უყურებს. ზედ დამაგრებული ყვავილი ნელ-ნელა ჭკნება. ქალმა საჩქაროდ შეისწორა კაბა, დიდრონი უძირო თვალები საკმაოდ ფხიზგული თავისთვისაც გადაელო.

ალად იყურებოდნენ, რათა ეთიკეტის შესაბამისად ჩამოტარებული ორა-

სამზარეულოში იხვი უკვე გამზადდა. მზარეულებმა სული მოითქვეს და ახლაღა გაბედეს დიასახლისის უცნაური ქცევის აღნიშვნა. იგი ამ საღამოს უფრო გვიან მოვიდა, ვიდრე გუშინ, სტუმრებზე გვიანაც კი.

თხუთმეტი კაცი დიასახლისს დიდ სალონში უცდიდა. ამ გაბრწყინებულ სამყაროში იგი ისე შემოვიდა, ბოდიშიც კი არ მოუხდია, პირდაპირ პიანინოსკენ გაემართა და მას მიეყრდნო. მის მაგივრად სტუმრებს ქმარმა მოუბოდიშა:

— ანას დააგვიანდა, აპატიეთ. — ათი წლის მანძილზე სალაპარაკო მას არავისთვის მიუცია. სახეზე აფარებული ლიმილი მის უნებლიე შეცდომებს მუდამ აქარწყლებდა. — მან ვერ გაიგონა.

ქალი ირგვლივ იყურებოდა, ცდილობდა საუბრის მსვლელობას მიჰყოლოდა, მაგრამ ამაოდ.

— მართალია, — აღიარა მან ბოლოს.

ᲔᲛᲐᲠᲛᲐ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲘᲛᲔᲝᲠᲐ. ქალმა მსუბუქად გადაისვა ხელი აწეწილ ქერა თმაზე, როგორც ეს რამდენიმე წუთის წინ აქედან მოშორებით. ბაგე ფერმკრთალი ჰქონდა. საღამოს პომადის წასმა დავიწყებოდა.

— მაპატიეთ, — ითხოვა მანაც, — ამჯერად დავიწყებულის სონატინის გამო დამაგვიანდა.

— სონატინის? უკვე სონატინას უკრავს?

— უკვე უკრავს.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ქალმა ისევ გაყინული ღიმილი ჩამოიფარა სახეზე.

— Moderato cantabile არ იცოდა?

— არ იცოდა.

ამ საღამოს დამთავრდება მაგნოლიის ყვავილობა. დარჩება ერთადერთი ყვავილი, პორტიდან დაბრუნებისას რომ მოწყვიტა. და ამ მივიწყებული ყვავილობის ფონზე დრო ზომიერად გადის.

— ძვირფასო, როგორ უნდა გამოეცნო?

— არ შეეძლო.

— ალბათ სძინავს, ხომ?

— დიახ, სძინავს.

ნელა იწყება ერთ დროს ორაგულადყოფილის მონელება. ყველაფერი რიტუალის მსგავსად აუჩქარებლად ხდება. სამზარეულოში ადამიანურ სითბოსა და ფორთოხლის გარნირში მოქცეული კერძი თავის რიგს ელოდება. ზღვის თავზე თანდათან ამოდის მთვარე და სანაპიროზე კაცის ჩრდილი იკვეთება. ფარდებს უკან ძნელად გასარჩევი ხდება მისი ფორმები. ქალბატონ დებარესდს სალაპარაკო აღარაფერი აქვს.

— მადმუაზელ ჟირომ, რომელიც, როგორც იცით, ჩემს ბიჭუნასაც ამეცადინებს, გუშინ მომიყვა ეს ამბავი.

— მართლა?

იცინიან. იცინის სადღაც, მაგიდის ერთ კუთხეში მჯდარი ქალიც. საუბარი თანდათან ცხოველდება, ხმა ემატება, ემატება და ამ პროგრესულ მახვილგონიერებაში იკვეთება გარკვეული საზოგადოება. ნავსი გატეხილია. იწყება უმნიშვნელო თემებზე ლაპარაკი, შიგადაშიგ ისმის ფამილარული ტონიც. მშვიდობიანი არაფრისმთქმელი საუბარი წარმატებული საღამოს პირობად იქცევა. ქალები, კაცების ხარჯზე მორთულნი, დარწმუნებულნი არიან საკუთარ ბრწყინვალებაში. ვილაც კაცი კი მთელი საღამო ეჭვობს, რომ მართალი იყო.

მშვენიერი ამინდია. საგულდაგულოდ დაკეტილ პარკში ჩიტები ღრმა და მშვიდ ძილს მისცემიან. ბიჭსაც სძინავს. თანდათან დაპატარავებული ორაგული ისევ ჩამოივლის და ქალები მას ბოლომდე გაანადგურებენ. შიშველი მხრების ელვარება და სიმტკიცე მყარ, საკუთარ უფლებებში დარწმუნებულ საზოგადოებაში უხსნით მათ გზას. მკაცრი აღზრდა, ლაპარაკის დახვეწილი მანერა და თავშეკავება ამ საზოგადოების უპირველესი მოთხოვნაა. ქალბატონები პირს იტკბარუნებენ მწვანე მაიონეზით. კაცები უყურებენ და იციან, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ გააბედნიერონ ეს არსებები.

ქალები მადიანად შეექცევიან სადილს. მხოლოდ ერთი არ ეკარება არაფერს. იგი ქალაქის მეორე ბოლოში, ჯებირებსა და ზეთის საწყობის უკან მდებარე კაფეშია ნამყოფი, ზღვის ბულვარის, ათი წლის განმავლობაში მისთვის ნებადართული ამ ერთადერთი ტერიტორიის საპირისპირო მხარეს, იმ მხარეს, სადაც ერთმა კაცმა თავდავიწყებამდე [illegible] ღვინით.

ბევრ ღვინოს სვამს, საჭმელს არ ეკარება, ისედაც დაღლილს არაქათს გამოაცლის. თეთრი ფარდების მილმა ღამეში მარტოდ მომლოდინე კაცი ხან ზღვას, ხან პარკს გაჰყურებს, მერე კი საკუთარ ხელებზეც იყურება. მასაც არაფრის ჭამა არ შეუძლია, რადგან სხეული სხვა რამესაა მოშიებული. ქალის მხრიდან მონაბერი მაგნოლიის სურნელი ისევ ტანჯავს კაცს. პირველ სართულზე ერთ ფანჯარაში სინათლე ჩაქრა და აღარ ინთება. ალბათ ფანჯრებიც დახურეს მაგნოლიის ყვავილის მძაფრი სუნის გამო.

ანა დებარესდი ისევ სვამს. ტუჩებს ქუჩაში მყოფი კაცის უცნობი ბაგეების დამატყვევებელი გემო არ სცილდება.

კაცი ბულვარს სტოვებს, პარკს შემოუვლის, დიუნებს გახედავს, მერე უკან ბრუნდება, ფერდობს ჩაივლის, ქვიშიან ნაპირზე ჩავა და ზურგზე გაწვება. ხელებს გაშლის, ერთი წამით ზღვის პირისპირ გაუნძრევლად წევს. მხარს იცვლის და კიდევ ერთხელ გახედავს განათებულ ფანჯრებს. მერე წამოდგება, კენჭს აიღებს და ერთ ფანჯარას დაუმიზნებს, მერე ისევ შებრუნდება და ზღვაში ისვრის. ხელახლა გაწვება ქვიშიან ნაპირზე და ხმამაღლა წარმოთქვამს ვილაცის სახელს.

ორი ქალი მაგიდაზე გასატანად ამზადებს მეორე კერძს — მორიგე მსხვერპლი თავის ჯერს ელის.

— ანა, როგორც მოგეხსენებათ, ბიჭთან უძლურია.

ქალი იცინის, ისევ ისწორებს აჩეჩილ ქერა თმას. თვალის უპეები ულურჯდება. ამ სალამოს იტირებს. მთვარემ ქალაქის შუაგულს მიაღწია და ზღვის ნაპირას გაწოლილ სხეულზე დააფრქვია სხივები.

— მართალია, — ამბობს ქალი.

მისი ხელი მკერდზე დამაგრებულ, ჭკნობაშეპარულ მაგნოლიაზე ეშვება.

— ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვგავართ.

— დიახ, — ამბობს ანა დებარესდი.

თითები ჭმუჭნიან მაგნოლიის შიშველ, სლიპინა ფურცელს, მერე გონზე მოსულნი ჩერდებიან და მაგიდაზე დაწყობილნი მოჩვენებითი სიმშვიდით იცდიან. მათი საქმიანობა შეუმჩნეველი არ რჩება. ანა დებარესდი ღიმილით ცდილობს მოიბოდიშოს, მაგრამ მთვრალ სახეზე უფრო უსირცხვილო აღიარება იკვეთება. მზერა უმძიმდება და ქვავდება. გარშემომყოფნი ამას თითქოს ელოდნენ კიდეც.

ანა დებარესდი ისევ ცლის ჭიქას. თვალები ნახევრად დახუჭული აქვს. ღვინო სხვებისგან მალულ, იდუმალ სურვილს უყუჩებს.

დანარჩენი ქალებიც სვამენ. უჩანთ შიშველი უზადო, მაგრამ გათხოვილი ქალის მკლავები. ქვიშიან სანაპიროზე კაცი ნაშუადღევს ნავსადგურის ერთ კაფეში გაგონილ მელოდიას ღიღინებს.

მთვარის ამოსვლასთან ერთად ცივი და გრძელი ღამეც დგება. შეიძლება კაცს სცივა კიდეც.

ფორთოხლით გაწყობილი ისვი შემოაქვთ. ჯერ ქალები იღებენ თავისთვის, საუკეთესო ნაჭრებს არჩევენ. ოქროსფერ [illegible] დანახვაზე ყველას კმაყოფილების შეძახილები ამოხდება. [illegible] ეგრძნობს, როგორ ელევა ძალა. მას სხვა შიმშილი ტანჯავს. შიმშილი, რომლის მოკვლა ღვინოსაც კი უჭირს. ნაშუადღევს, ნავსადგურის კაფეში მოსმენილი მელოდია მასაც აგონდება, მაგრამ არ შეუძლია იმღეროს. პლაჟზე მყოფი კაცის სხეული ისევ მარტოა. პირი კი ვილაცის სახელს წარმოთქვამს.

— არა, გმადლობთ.

კაცის დახუჭულ ქუთუთოებს ქარი ეხება და მაგნოლიის ძლიერ სურნელში ახვევს.

ანა დებარესდმა საჭმელზე უარი თქვა. მსახური ლანგრით ხელში ისევ მის წინ დგას, თითქოს ვერ გაიგო მისი ნათქვამი. ქალი ხელის მოძრაობით ხელახლა უარობს. აღარ აძალებენ. მაგიდასთან სიჩუმე ჩამოწვება.

— იცით, არ შემიძლია ჭამა, მაპატიეთ.

ხელახლა მიაქვს ხელი მკერდზე მიბნეულ შემჭკნარ ყვავილთან. მისი სურნელი ბალის მესრისგან ზღვამდე აღწევს.

— ეგებ ამ ყვავილის ბრალია, ძალზე მძაფრი სუნი აქვს, — ბედავენ შენიშნონ.

— არაფერია. ამ ყვავილებს მიჩვეული ვარ.

ისევ ჩამოატარებენ. ქალი ცდილობს გაიღიმოს, მაგრამ სახეზე მხოლოდ უიმედო ძალდატანება აღებეჭდება. ანა დებარესდი მთვრალია.

შეეკითხეს, ცუდად ხომ არ არის. არა, ცუდად არ არის.

— ეგებ ამ ყვავილის ბრალია, ცუდად რომ გახდით, — გაუმეორეს ისევ.

— არა, მიჩვეული ვარ ამ ყვავილებს, უბრალოდ, არ მშია.

თავი დაანებეს. ისევ თანდათან ნადგურდება, ვილაცა სხეულში ილექება მისი ქონი. ქუჩაში მყოფი კაცის დახუჭული ქუთუთოები ვილაცის თუ რაღაცის მოლოდინში თრთის, სიცივისგან გათოშილ მის სხეულს ვერაფერი ათბობს. ბაგენი ისევ წარმოთქვამენ ქალის სახელს.

ქალბატონის უარმა სამზარეულოშიც შეაღწია. ალბათ შეუძლიაა, ამბობენ. სასადილო ოთახში კი სხვა რამეზე ლაპარაკობენ. მაგნოლიის შიშველი ფურცლები მარტოდ მოხეტიალე კაცის თვალებს ეფერება. ანა დებარესდი ისევ სვამს. სხვებისგან განსხვავებით რაღაცის წინათგრძნობა უხურებს სხეულს. თხელ ტანს მაგნოლიის უზარმაზარ ყვავილი და სავსე მკერდი უმძიმებს და ხელახლა აგრძნობინებს, თუ რარიგ გამხდარია. ღვინო პირში იღვრება, იმ პირში, ვილაცის სახელით რომაა სავსე და წარმოთქმა არ ძალუძს. მალული სურვილი ჰკლავს.

კაცი ქვიშიდან წამოდგა, ბალს მიუახლოვდა. ფანჯრები ისევ განათებულია, მის გისოსებს მთელი ძალით ჩაეჭიდა. აქამდე როგორ არ მოვიდა აქ?

ფორთოხლით გაწყობილი იხვი ისევ ჩამოატარეს. ანა დებარესდი ხელის ისეთივე აქნევით სთხოვს თავი ანებონ. და მართლაც ანებებენ. ქალი ისევ თავის მწარე ფიქრებს უბრუნდება.

კაცმა ხელი უშვა გისოსებს, დაკვირვებით დაჰყურებს ფორმადაკარგულ ხელებს და თანდათან ამოზრდილ ბედისწერის ხაზს.

ზღვიდან მონაბერი გრილი ქარი თავს ევლება ქალაქს. ცვლა უკვე სძინავს. პირველი სართულის დახურული ფანჯრები ისევ ჩაბნელებულია და მაგნოლიის სურნელისაგან იცავს ბიჭის მშვიდ ძილს. უწყინარი ღამის წყვდიადში წითელი გემები დაცურავენ.

ზოგიერთმა ისევ გადაიღო ფორთოხლიანი იხვი. თანდათან გაადვილდა საუბარი და ფანჯრებს მილმა ჩამოწოლილი ღამე თითქმის ყველამ დაივიწყა.

ჭალების თვალისმომჭრელ სინათლეში ანა დებარესდი ისევ ჩუმად ზის და ლიმის.

კაცმა გადაწყვიტა პარკს გაშორდეს და ქალაქის ბოლოსკენ წავიდეს. რაც უფრო შორს მიდის, მით უფრო სუსტდება მაგნოლიის სურნელი და ზღვას უთმობს ადგილს.

ანა დებარესდი ცოტაოდენ ყავის ნაყინს გადაიღებს. ახლა მაინც დაანებებენ თავს.

კაცი უნებლიეთ უკან ბრუნდება. შორით მაგნოლიებს, რკინის მესერს და კიდევ უფრო განათებულ ფანჯრებს მოავლო მზერა. პირზე ისევ ადგას ნაშუადღევს მოსმენილი სიმღერა და ვილაცის სახელს ახლა უფრო ხმამაღლა წარმოთქვამს. მერე კი მიდის.

ქალსაც არ შორდება ის მელოდია. მკერდზე დაბნეული მაგნოლია მთლიანად ჭკნება. მთელმა ზაფხულმა ერთ საათში გაიარა. ადრე თუ გვიან კაცი პარკს გასცდება, გასცდა კიდეც. ანა დებარესდმა ისევ განაგრძო ყვავილის სრესა.

ანამ ვერ გაიგონა, რა ჰკითხეს.

ცდილობს გაიღიმოს, მაგრამ არ გამოსდის. ისევ გადაისვამს ხელს თმაზე. ჩალურჯებული უპეები მეტისმეტად დაებერა. ამ საღამოს ნამდვილად იტირებს. შეკითხვას უმეორებენ, ამჯერად პირადად მის პასუხს ელოდებიან.

— მართალია, — ამბობს იგი, — ზღვისპირა სახლში წავალთ. დიდი სიცხე იქნება. ზღვის პირას, განმარტოებულ სახლში.

— ძვირფასო! — ეუბნება ქმარი.

— დიახ.

როცა სტუმრები სასადილო ოთახიდან დიდ დარბაზში მიმოიფანტებიან, ანა დებარესდი პირველ სართულზე გაუჩინარდება და დიდი დერეფნის ფანჯრებიდან გახედავს ბულვარს. კაცი იქ აღარ ჩანს. ქალი ბიჭის ოთახში შედის, საწოლის ფერხთით იატაკზე წვება — საბოლოოდ სრესს მკერდზე დამაგრებულ მაგნოლიას. ყვავილისგან აღარაფერი რჩება. სასადილო ოთახის გახსენებაზე გული ერევა. ბიჭის მშვიდ სუნთქვაში ღებინების ხმა შეიჭრება.

ღია კარებში ვილაცის ჩრდილი სინათლეს ფარავს. ანა დებარესდი

ახლა უკვე საკმაოდ აწეწილ თმას იწესრიგებს. ამჯერად თავად იხდის ბოდიშს.

არავინ პასუხობს.

VIII

ერეკვნელი ბიბლიოთეკა

კარგი ამინდები ისევ გრძელდება. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამაზე უკვე ლიძილითაც კი ლაპარაკობდნენ, თითქოს ამინდს უბრალოდ დრო აერია. თუმცაღა მალე ყველაფერი ჩვეულ რიტმს მიეცემა.

იმ დღეს, მართალია, ცა თანდათან ღრუბლებმა დაფარა და მზეც ძველებურად ალარ ანათებდა, ზაფხული მაინც იგრძნობოდა. მით უმეტეს, რომ ზღვიდან მონაბერი მსუბუქი სიო ძალიან ჰგავდა ზაფხულის სიოს.

ზოგიერთების მტკიცებით ცხელოდა კიდეც. უმეტესობა ამას უარყოფდა, ზოგიერთები კი ჩუმად იყვნენ.

ანა დებარესდი ნავსადგურში მესამე დღეა დაბრუნდა, ჩვეულებრივზე ოდნავ გვიან. შოვენმა შორს, ჯებირს უკან მოჰკრა თვალი და მის დასახვედრად კაფეში შევიდა. ქალს ბავშვი არ ახლდა.

ანა დებარესდი იმ დროს შევიდა კაფეში, როცა მზე მთელი სიძლიერით აცხუნებდა. პატრონს არც შეუხედავს, ისე განაგრძო დახლს უკან ქსოვა. წითელი საქსოვი თანდათან იზრდებოდა. ანა დებარესდი დარბაზის სიღრმეში ჩვეულ ადგილას მჯდარ შოვენს გვერდით მიუჯდა. კაცი ორი დღის გაუპარსავი იყო. ქალის სახეზე ალარ ალბეჭდილა მის დანახვაზე შეწუხება.

— მარტო სართ? — შენიშნა შოვენმა.

ქალს არ უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ მაინც დაუქნია თავი.

— დიახ.

ანა დებარესდი კარისკენ შებრუნდა და ზღვას გახედა. ლითონჩამოსასხმელი ჭარხნები ქალაქის საპირეთით გრუხუნებდა. ნავსადგურში, როგორც ყოველთვის, ქვიშას და ქვანახშირს ცლიდნენ.

— კარგი ამინდია, — თქვა ქალმა.

შოვენმაც გარეთ გაიხედა, თუმცა ფიქრებით სხვაგან იყო.

— არ მეგონა, ასე მალე თუ მოხდებოდა.

ირგვლივ ჩამოწოლილ სიჩუმეში პატრონი შებრუნდა და ფრთხილად ჩართო რადიო. სადღაც შორს, უცნობ ქალაქში ვილაც ქალი მღეროდა.

ანა დებარესდი შოვენს მიუბრუნდა:

— მომავალ კვირას სხვა წამოიყვანს ჩემს ბიჭს მუსიკის გაკვეთილებზე. ამაზე მე თვითონ დავთანხმდი.

ქალმა ნელა შესვა ღვინო. ჭიქა დაიცალა. შოვენს დააკვირდა მისი შეკვეთა.

— ალბათ ასე სჯობს, — თქვა მან.

ვილაც მოცლილი მუშტარი შემოეხეტა და მარტომ შეუკვეთა ღვინო. პატრონი მოემსახურა, მერე კი დარბაზში მსხდომთ დაუსხა, თუმცა

მათ არ უთხოვიათ. ორივემ სიტყვის უთქმელად დალია. ანა დებარესდმა აჩქარებით დაიწყო:

— ბოლოს რომ დავლიე ეს ღვინო, გული ამერია. სულ რამდენიმე დღეა რაც ვსვამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს.

— გთხოვთ... — შეევედრა ქალი.

— საბოლოოდ გადაწყვიტეთ, ვილაპარაკოთ თუ არა. როგორც ისურვებთ.

ქალმა ჯერ კიდე შეათვალიერა, მერე ის ადგილი, სადაც ისხდნენ, თითქოს შველას ითხოვდა, მაგრამ ამაოდ.

— ხშირად ამრევია გული, მაგრამ სხვა მიზეზით. ყოველთვის სხვა მიზეზით, გესმით? ასე ერთბაშად, ამდენი ღვინის დალევას შეჩვეული არ ვიყავი. ამიტომაც მქონდა გულისრევა. შეჩერება ვერ შევძელი, ვერც ველარასოდეს შევძლებ, თუმცა ვეცადე. ნებისყოფა არ მყოფნის.

შოვენი მაგიდას დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო.

— დავიღალე.

ანა დებარესდმა ჭიქა შეუვსო და გაუწოდა. კაცს უარი არ უთქვამს.

— შეშიძლია გავჩუმდე, — მოიბოდიშა ქალმა.

— არა.

კაცმა მაგიდაზე ქალის ხელთან, საკუთარ ჩრდილში დადო ხელი.

— ბალის ჭიშკარს, როგორც ყოველთვის, ბოქლომი ედო. კარგი ამინდი იყო, ნელი სიო ქროდა. რედეშოსეზე ფანჯრები განათებული იყო.

პატრონმა წითელი საქსოვი გადადო, ჭიქებს წყალი გადაავლო, პირველად ამდენი ხნის მანძილზე არ დაინტერესებულა, რამდენი ხანი რჩებოდა სამუშაო დღის დამთავრებამდე.

— ბევრი დრო აღარ გვრჩება, — განაცხადა შოვენმა. მზემ ჩასვლა იწყო. კაცმა დარბაზის კედელზე ჩამავალ ჩრდილს თვალი გააყოლა.

— ეს ბიჭი... — თქვა ანა დებარესდმა, — დრო აღარ მქონდა თქვენთვის მეთქვა...

— ვიცი, — უპასუხა შოვენმა.

ქალმა მაგიდის ქვემოდან ხელი გამოიღო და შოვენის აკანკალებულ ხელს დააკვირდა. მერე ჩუმად ამოიოხრა. რადიოს ხმაურში ეს მხოლოდ კაცმა გაიგონა.

— ზოგჯერ, — განაგრძო ქალმა, — ისე მგონია, რომ თავად გამოვიგონე.

— ვიცი მაგ ბიჭზე, — უხმოდ მიუგო შოვენმა.

ანა დებარესდმა კვლავ ამოიოხრა, ახლა უფრო ღრმად. ხელი მაგიდაზე დადო. კაცმა თვალი გააყოლა, ასწია თავისი დამძიმებული ხელი და ქალისას დაადო. ცივი ხელები აჩრდილებივით შეეხნენ ერთმანეთს, თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო, და დარჩნენ მთვარეულივით გაშეშებულნი. ანა დებარესდმა ოხვრა შეწყვიტა.

— უკანასკნელად მითხარით რამე მათზე, — სთხოვა ქალმა.

შოვენი შეყოვნდა, თვალები ისევ კედელზე ჰქონდა მიშტერებული, მერე უცბად დაიწყო:

— ადრე, სანამ იმ ქალს შეხვდებოდა, არასოდეს უფიქრია, ოდესმე თუ ასე ძლიერ შეუყვარდებოდა ვინმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუთუ დაეთანხმა ქალის სურვილს?

— აღტაცებულიც კი იყო.

ანა დებარესდმა შოვენს თითქოს სადღაც შორიდან შეხედა. ხმა დაუწვრილდა და თითქმის ბავშვური გაუხდა.

— ასეთი რა უთხრა, რომ ერთ დღესაც ადგა და მართლა შეუსრულა თხოვნა?

შოვენს არც ახლა შეუხედავს ქალისთვის. მისი ხმა დინჯად, თითქმის ყრუდ ჟღერდა.

— საჭირო არაა ამის ცოდნა. ვერც ვერავინ გაიგებს.

— არის ისეთი რამ, რასაც თავი უნდა დაანებო, ხომ?

— ალბათ.

ანა დებარესდს მზერა დაებინდა, თითქმის სულელური გამომეტყველება მიიღო. ტუჩები გაუფითრდა და სატირლად გამზადებულივით აუკანკალდა.

— ქალი არც ცდილა ხელი შეეშალა, — ჩაილაპარაკა მან ჩუმად.

— არა. დავლიოთ კიდევ ცოტა.

ქალმა ნელ-ნელა მოსვა. კაცმაც დალია. მასაც უთრთოდა ჭიქაზე მიდებული ტუჩები.

— ალბათ დროა საჭირო, — თქვა კაცმა.

— ბევრი?

— მგონი ბევრი, თუმცა არ ვიცი, — დაამატა ჩუმად, — მეც თქვენსავით არაფერი ვიცი, არაფერი.

ანა დებარესდს ცრემლი არ წამოსვლია. თითქოს ძილბურანიდან გამოერკვა და გონს მოეგო.

— ქალი მეტს აღარ დაელაპარაკება ალბათ, — თქვა მან.

— როგორ არა, ერთ დღეს, ერთ მშვენიერ დილას, უცბად შეხვდება ვიღაცას, ვისაც იცნობს და ვისაც ვერ შეძლებს გამარჯობა არ უთხრას. ანდა ვიღაც ბავშვის სიმღერას გაიგონებს, კარგი ამინდი იქნება და ქალიც იტყვის, რომ კარგი ამინდია. და ყველაფერი თავიდან დაიწყება.

— არა.

— როგორც გინდათ ისე იფიქრეთ, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

სირენას ხმა ქალაქის ყოველ კუთხეს მისწვდა და ზღვიდან მობერილმა ქარმა გარეუბნებშიც კი გაახმაურა. ჩამავალი მზის სინათლე ისევ უძრავად გაშეშებულიყო კედლებზე. სადღაც შორს მიმავალმა ღრუბლებმა მნათობს გზა დაუთმო და უკანასკნელმა სინათლემაც გააკაშკაშა სანაპირო. სირენას ხმა უცნაურად გახანგრძლივდა ამ საღამოს, მაგრამ ბოლოს მაინც დადუმდა.

— მეშინია, — ჩაიჩურჩულა ანა დებარესდმა.

შოვენი მიუახლოვდა, ხელით შეეხო სხეულზე და ისევ უკან დაიხია.

— არ შემიძლია.

მაშინ ქალმა ის გააკეთა, რისი გაკეთებაც კაცს არ შეეძლო. მისკენ ისე გადაიხარა, რომ ტუჩები ერთმანეთს მისწვდა და ერთიმეორეზე მიკრული დარჩა, ზუსტად ისე, როგორც ერთი წუთის წინ აკანკალებული და ცივი ხელები. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ეს მოხდა-რიყო. და მოხდა კიდეც.

მეზობელი ქუჩებიდან ხალხის მხიარული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმები მოისმა. არსენალმა რვაას კაცს გაუღო კარი. ისინი უკვე ახლოს იყვნენ. პატრონმა დახლზე ანთებული ლამპა შემოდგა, თუმცა ჩამავალი მზე ისევ ანათებდა. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დარბაზში ჩუმად მჯდარ წყვილთან მივიდა და თავისით დაუსხა ღვინო. მერე ცოტა ხანს იქვე დარჩა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სათქმელი რომ ვერაფერი იპოვა, იქაურობას გაშორდა.

— მეშინია, — თქვა ისევ ანა დებარესდმა.

შოვენს არც ახლა გაუცია პასუხი. ანა დებარესდი მოიხარა, შუბლით თითქმის მაგიდას შეეხო და გულში ჩაიკლა შიში.

— მაგრამ იმის უნდა დავჯერდეთ, რაც მოხდა, — თქვა შოვენმა. — ზოგჯერ ასეა საჭირო.

მუშათა ერთი ჯგუფი შემოვიდა. დარბაზში მსხდომნი რომ შეამჩნიეს, თვალი აარიდეს. მათ შესახებ უკვე მთელ ქალაქს გაეგო. ხმადაბალმა ხმებმა აავსო კაფე.

ანა დებარესდი წელში გასწორდა და ისევ სცადა შოვენს მიახლოებოდა.

— ეგებ არც მივსულვართ იქამდე, — წაიჩურჩულა კაცმა, ეგებ ვერც გაიგონა ქალის ნათქვამი. ქალმა პალტო ჩაიცვა და ტანზე შემოიტმასნა.

— შეუძლებელია, — თქვა მან ისევ ოხვრით.

შოვენმა ახლა უკვე გაიგონა.

— ერთი წუთიც და იქამდე მივიდოდით, — ჩაილაპარაკა მან.

ანა დებარესდმა ის ერთი წუთიც დაიცადა, მერე სცადა სკამიდან ამდგარიყო. წამოიმართა. შოვენი სივრცეს გაყურებდა. მუშტრები ცდილობდნენ თვალი აერიდებინათ შუა დერეფანში მდგარი ახალგაზრდა ქალისთვის.

— მინდა რომ მოვკვდე, — თქვა შოვენმა.

— ჰო, მართლაც, — უპასუხა ანა დებარესდმა.

ქალმა სკამი მოატრიალა, რათა აღარ დამჯდარიყო. მერე გადადგა ნაბიჯი და მიბრუნდა. შოვენის ხელმა ჰაერი გაკვეთა და მაგიდაზე დაეცა, მაგრამ ქალს არ დაუნახავს. ის უკვე მიდიოდა.

როცა ანა დებარესდი დახლთან მდგარ მუშტრებს გასცილდა, ჩამავალმა მზემ სახეზე მიანათა. წითელი შუქი დღის დასასრულს მოასწავებდა.

პატრონმა რადიოს ხმა აუწია, თუმცა აქა-იქ დაიჩივლეს, მეტისმეტად ხმამაღლაა.

რუსული პოეზია

თარგმნა ნელა მეტრეველმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკოგ პოლონსკი

•

ბავშვური სახით, შავი თმების გვირგვინით თავზე,
კდემამოსილმა, უნაზესმა, მორცხვმა, გამგონემ,
შენ მომაგონე შორეული სიზმრები სიყრმის,
ჩემი ბავშვური სიყვარულიც შენ მომაგონე.

შავი თვალების მცხუნვარებით შენ მომაგონე
აღმოსავლეთის ღამეების ჩრდილები მუქი,
მთვარიან ღამით აყვავებულ ბაღების ხიბლი,
პირველი ვნების ქარიშხალში გამკრთალი შუქი.

ასე უბრალომ, თალხ სამოსში გამოწყობილმა,
შენ მომაგონე მე მრავალი ძვირფასი ლანდი,
ცრემლიც, საფლავიც, ხეტიალიც მარტოობაში
და ღამეული ოცნებების მთენთავი ბანგი.

რაც კი ცხოვრებამ ჩემთვის უხვად გამოიმეტა
და რაც უკვალოდ დაიფანტა დღეთა წყებაში,
რაც კვდებოდა და რასაც ისე ძლიერ უყვარდა, —
შენ მომაგონე. — დამეხმარე დავიწყებაში.

ბოშა ქალის სიმღერა

წყვდიადს ჰკვეთენ ნაპერწკლები.
როგორ უნდა დაგტოვო?
ღამით არვინ შემოგვხვდება,
ხიდთან გამოვეთხოვოთ.

გავა ღამე, აიყრება
მომთაბარე ბანაკი,
და ხმაურით გაიელვებს
სტეპის გზებზე ჩარდახი.

გამინასკვე მკერდზე ჭრელი
შალი ფოჩებიანი,
გამახსენოს იქნებ ჩვენი
შეხვედრები გვიანი.

ბედისას ვინ რას გაიგებს? —
არც ჩვენ გვესმის რაიმე
და ხვალ, ჩემო შევარდენო,
ამ ნასკვს გახსნის სხვა ვინმე.

მომიგონე, თუ სხვა ქალი,
ჩემებრ შეყვარებული,
ხვალ გიმღერებს სხვა სიმღერას,
შენს მკერდს შეფარებული.

წყვდიადს ჰკვეთენ ნაპერწკლები.
როგორ უნდა დაგტოვო?
ღამით არვინ შემოგვხვდება,
ხიდთან გამოვეთხოვოთ.

●

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეყვარებულმაც, დატანჯულმაც უკვე აკვნიდან
მე ცხოვრებაში არაერთი დავლვარე ცრემლი,
მაგრამ რატომღაც ყველა ცრემლი გაქრა, გაფრინდა
იქით, საითაც ეგულვოდა ყოფის მზე ცხელი.

რომ არაფერი დამავიწყდეს, რაც მაშფოთებდა,
თან გავყვებოდი ამ წუთშივე იმ ცრემლებს მწარეს,
გავფრინდებოდი, რომ ვიცოდე, საით გავფრინდე,
სად არის იგი — მზე ყოფისა, ცის რომელ მხარეს?

●

ღამის ჩრდილები ჩემს კარებთან
დგანან დარაჯად,
მისი თვალების წყვდიადი კი
ჩემს თვალებს უმზერს,
თმებიც ბალიშზე ბეჭდის რგოლად
თითქოს დალაგდა,
ნაზ ჩურჩულს ვისმენ და მალამოდ
მედება გულზე.

ნუ წახვალ, ღამევ, შენთან ყოფნა
სიყვარულს შვენის,
ბნელით შემოსე ჯადოსნური
მისი სამყარო,

დროვ, შეაჩერე შენც საათი
ბებერი ხელით,
ამ საოცარი ღამით ტკბობა
რომ დამაცალო.

მაგრამ თენდება და ჩრდილები
იხევენ უკან,
მიბნედილ თვალთა მზერა თითქოს
უკვე დამორცხვდა.
რს აცახცახდა, სახით მკერდზე
მომეკრა მწუხარს.
ო, რა იქნება, დააყოვნე,
მზეო, ამოსვლა!

გზა

წინ ყრუ ტრამალი, შორი გზა არის,
ქარში დატალღულ მინდვრებსლა
ვხედავ,
მოწყენილია ბურუსში გულიც
და უმიზეზო მიმონებს სევდა.

თვალწინ უცვლელი სურათი
მოჩანს: —
ველს მოსდევს ველი.
სულ მეჩვენება, ზოზინებს ეტლი.
ნეტავ მეეტლე რატომ არ მღერის?

პასუხად მესმის, შავი დღისათვის
გვაქვსო სიმღერა შემონახული.
„და რა გახარებს?“ „ახლოა ქოხი.
ნაცნობ გარემოს გრძნობს უკვე
გული“.

ვხედავ: შევდივართ უკვე სოფელში.
დგას დახურული ყვითელი ჩალით
ნაცნობი ქოხი. ნეტავ რას შვრება,
ნეტავ ცოცხალი თუა **ის ქალი?**

სითბოს და ალერსს საკუთარ
ჭერქვეშ
ჰპოვებს მეეტლე და ვახშამს გვიანს.
მე დავიღალე. სიმშვიდეს ვნატრობ,
მაგრამ არსად ჩანს... ჰა, ცხენებს
ცვლიან.

ცოცხლად, ცხენებო! ბნელია ღამე
და ვემზადები ისევ გზისათვის.
ვშფოთავ, არა მაქვს რადგან
სიმღერა,
შემონახული შავი დღისათვის.

მშვიდობით

მშვიდობით, კარგო! ჰო, მშვიდობით სამარადისოდ!
არ შემიძლია გადმოცემა ამ ჩემი ტანჯვის
კაცთა ენაზე, ჩვეულებრივ, მწირი სიტყვებით
და მონასავით გაჩუმებაც უკვე არ ძალმიძს.

პირმოთნეობას არ ვიყავით რაკი ჩვეული,
არც კი ვიცოდით, თავგანწირვა რას ნიშნავს სრული
და არაფრისა ქვეყანაზე ბრმად არ გვჯეროდა,
რომ მოგვესმინა, რას ამბობდა მტკივანი გული.

განშორების წამს — წმინდა ალით მოგიზგიზენი —
ჩვენ ღირსეულად გადავიტანთ, როგორც გამოცდას,
არ მოვიქცევით, რა თქმა უნდა, ქარაფშუტულად
და სამუდამო ერთგულების ფიცს არ წარმოვთქვამთ.

მერე დაგვრჩება ნაღვლიანი ოცნება ერთი:
ვინ იცის, იქნებ — ჯერ წინაა რაკი ცხოვრება —
ისევ ერთმანეთს გადაგვყაროს სადმე ღობალმა
და გავიხსენოთ ეს მწუხარე გამოთხოვება.

ჩვენ გავიღიმებთ, თავს დავუკრავთ ერთმანეთს. ისევ
ვიტყვით: „მშვიდობით!“, რაც არ უნდა გულმა იტიროს
და დავშორდებით, რომ ვერც ერთმა ამიერიდან
ბედნიერება სიზმარშიაც ველარ ვიხილოთ.

ანა ახმატოვა

●

ხომ ვნატრობდი, ღმერთს ვეცნე
თუნდ სიკვდილის ღირსად,
მაინც მახსოვს აქამდე
ტვერის მწირი მიწა.

პურის სუნი, ნაღველი,
წერო, ჭასთან მდგარი,
სივრცე გახუნებული
და სუსტი ხმა ქარის.

ცაზე ღრუბლის ნაფლეთი,
დაკიდული ცერად,
გარუჯული ქალების
გამკილავი მზერა.

ათანას ფეტი

ბალი

როცა ეხება ხემი სიმებს და
ანთებული აქვთ წყვილებს თვალები,
მშვიდად დავიწყობ ხელებს
მუხლებზე,
სადმე კუთხეში მივიმალები.

და, როგორც ცისკრის ნათება შორი,
გარდასულ დღეთა ძახილი უხმო,
ისე მატყვევებს ხმაური ბალის
და სანთლის შუქზე წარსულ
დროს ვუხმობ.

ვუხმობ, ვეძახი, მაგრამ რად
გინდა, —
უკვე ვერავის ვერ გავაგონებ
და შორიახლო წყვილის ტრიალი
ახალგაზრდობას ჩემსას მაგონებს.

რა მჭირს? რა ხდება? ფიქრით
დაღლილი,
ახლა მსუნთქავი მხოლოდ
წარსულით,
სხვისი გრძნობებით ფრენებს
ეპიზოდურად
ტკბობას
წინასწარ სწავლობს იქნება სული?

●

იმ უკაცური მხარის ტყეებში,
მხიარულ ხმებს რომ არავინ ისმენს,
ღარიბულ ქოხში, შენს თბილ
კერასთან,
მე ზოგჯერ სიზმრებს მოვყავარ
ისევ.

და შენ — ყვავილი ხშირი მუხნარის,
მოსილი უბრალოების რიდით,
ჩემს შესახვედრად კვლავ გამოდიხარ
მაგ შენი ქოხის მორყეულ კიბით.

ხელზე ხელს მიჭერ საღამოს ბინდში,
ლოყებს სირცხვილის ედება ალი
და ფარფატებენ და ცახცახებენ
ცაცხვის ფოთლებში ხმები
მიმქრალი.

ტატიანა სუხოტინა

ქალიშვილის მოგონებები

თარგმნა ნანა ზარჩია-ბოღქვაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. მ. ტრეტიაკოვს

15 ივლისი, 1894 წელი

პაველ მიხეილის ძევ! გუშინ რაც მოგწერეთ იმას კიდევ დავსძინო მინდა: მთავარი განსხვავება გესა და ვასნეცოვს შორის ის არის, რომ გე უჩვენებს ადამიანებს იმას, რაც წინ მოელით, მოუწოდებს მოქმედებისა და სიკეთისაკენ, წინ უსწრებს თავის დროს 100 წლით, მაშინ როცა ვასნეცოვი უკან უხმობს ადამიანებს, იმ წყვდიადისაკენ, რომელსაც ესოდენი ძალითა და მსხვერპლის ფასად ეს-ეს არის ძლივს აღწევენ თავს, მოუწოდებს უმოქმედობისაკენ, ცრურწმენისაკენ, ველურობისაკენ და თავის დროს 100 წლით ჩამორჩება.

მომიტევეთ, გეთაყვა, თუ ჩემი მსჯელობით გულს გატკენთ ანდა შეურაცხყოფთ. ვაღიარებ, რომ მაღელვებს და მანცვიფრებს ის ამბავი, რომ თქვენ ისე მსჯელობთ, როგორც სჩვევიათ ადამიანებს, გულგრილად და ზედაპირულად რომ ეკიდებიან ხელოვნებას. რადგან თუკი რაიმე გამართლება გააჩნია ადამიანთა მთელს იმ უზარმაზარ შრომას, რაიც თავმოყრილია თქვენს გალერეაში ნახატების სახით, ეს გამართლებულია მხოლოდ ისეთი სურათებით, როგორიც არის კრამსკოის „ქრისტე", და გეს ნამუშევრები, და რაც მთავარია მისი „რა არის ჭეშმარიტება?" თქვენ კი სწორედ ამ სურათს, რომელიც მთელს თქვენს გალერეაში ყველაზე უფრო ძლიერად და სასიკეთოდ ათრთოლებს ადამიანთა გულებს, თქვენ სწორედ ამ სურათს მიიჩნევთ თქვენი გალერეის ლაქად, რომელიც ღირსი არ არის იდგეს ერთ შენობაში ლემანის ბანოვანების გვერდით და ა. შ.

ამბობთ, „ჯვარცმა" არამხატვრულიაო. მხატვრულ სურათებს ვერც დათვლი, ბაზარში ყრია რამდენიც გნებავთ, მაგრამ მთელი უბედურება ის გახლავთ, რომ ისინი არავის არაფრად სჭირდება და მხოლოდ ამხელენ მდიდართა ფუფუნებასა და უსაქმურობას, მათი ცოდვების სამხილს წარმოადგენენ. ხოლო შინაარსიანი, გულწრფელი-შინაარსიანი სურათები არ არსებობს, ანდა ძალიან, ძალიან ცოტა არსებობს. მხოლოდ ასეთ სურათებს აქვთ არსებობის უფლება, იმიტომ რომ ზნეობრივად ემსახურებიან ადამიანებს. ვიცი ვერ დაგარწმუნებთ და არც არის საჭირო, ჭეშმარიტი ნაწარმოებები, კაცობრიობისთვის საჭირო როგორიც არის გეს ნახატები, არ იღუპებიან, არამედ თავისი განსაკუთრებული გზით მოიპოვებენ აღიარებას. სხვაგვარად არც შეიძლება. გენიალური ნაწარმოებები მაშინვე ყველასათვის გასაგები რომ იყოს, გენიალურნი არც იქნებოდნენ; შეიძლება ნაწარ-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 1-2, 3-4, 5-6, 2003 წ.

მოებები გაუგებარი იყოს და თან ცუდიც, მაგრამ ჭეშმარიტად გენიალური ქმნილება მუდამ იყო და იქნება პირველ ხანებში უმრავლესობისათვის გაუგებარი.

კიდევ ერთხელ მომიტევეთ, თუკი თქვენთვის უსიამოა ჩემი უხეში კილო და მიიღეთ ჩემი სრული პატივისცემა.

ლ. ტოლსტოი.

ბოლოს და ბოლოს მივიღეთ გეს ორი სურათი: „ჯვარცმა“ და — „სიკვდილის ღირსია“. როცა შეფუთული გავხსენით, თავზარი დამეცა, რა დამართნოდა ბოლო სურათს: გამოღებული იყო ჩარჩოდან, გაზეთის ქაღალდი ჰქონდა შემოხვეული და დაგრაგნილი იყო. რადგან გე მუდამ ეკონომიას იცავდა და იაფფასიან საღებავებს ყიდულობდა, ალბათ, ზოგიერთი საღებავი გლიცერინში იყო აზელილი და კარგად არც გამშრალიყო. ამიტომაც ყველა გაზეთი მიკვროდა სურათს და როცა აგლეჯა დავიწყე, შევძრწუნდი, რადგან დავინახე, რომ ამის გაკეთება შეუძლებელი იყო — ნახატი გაფუჭდებოდა. ცოტა დავასველე გაზეთები და ნაწილნაწილ ვაცილებდი. მაგრამ მაინც მრავალ ადგილზე დარჩა გაზეთის ასოების ანაბეჭდი.

გადავჭიმე სურათი ჩარჩოზე და ჩემს სახელოსნოში დავდგი იასნაია პოლიანაში, ვიდრე გადაწყდებოდა მისი შემდგომი ბედი.

აი რა მისწერა მამამ ამ საკითხთან დაკავშირებით ნიკოლაი ნიკოლაის ძე გე უმცროსს.

„ცოტა დაგვიანებით გიგზავნით პასუხს, ჩემო საყვარელო მეგობარო კოლეჩკა, და ამიტომაც ხუტორში გწერთ. მანამდეც, ვიდრე თქვენს წერილს მივიღებდი მანამდეც ჩემი ძვირფასი მეგობრის დანატოვარისადმი წარმოუდგენელი იყო სხვაგვარი დამოკიდებულება, რომ ვიდრე სული მიდგას, მოვალე ვარ გავაკეთო, რაც შემიძლია, რათა მისმა შრომამ გამოიღოს ის ნაყოფი, რომელიც უნდა გამოეღო. მისწერეთ პეტრუშას და მოგვეცით მე და ჩერტკოვს“ (თავისუფლება. ვიმოქმედოთ ჩვენი შეხედულებისამებრ) და ჩვენც გავაკეთებთ, რასაც შევძლებთ და მოვახერხებთ. აქამდე მხოლოდ წერილებს ვუგზავნიდი ტრეტიაკოვს. ბოლო წერილში მატყობინებს, რომ არ შეუძლია შეიძინოს „სამჯავრო“ და „ჯვარცმა“, იმიტომ, რომ ან აკრძალავენ ანდა მას ეშინია, რომ მტრები გააფუჭებენ სურათს. „რა არის ჭეშმარიტებას“ ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც ჩავუნერგე მთელი მნიშვნელობა იმისა, რაც გემ დატოვა. და როგორც კი მოსკოვში ჩავალ, შევეცდები მისი ან სოლდატენკოვის ან კიდევ ვინმეს შემწეობით მოვაწყო გეს მუზეუმი. ჩემის ფიქრით, უნდა მოვნახოთ შენობა და თავი მოვუყაროთ გეს ყველა ნამუშევარს, შევინახოთ და ვუჩვენოთ. ნახატების გამოცემაზე ვერაფერს ვიტყვი, ვიდრე არ ვნახავ. თუკი ხუტორიდან გაემგზავრებით, გადმომიგზავნეთ აქეთ, იასნაია პოლიანაში. ვნახავ საგულდაგულოდ და ჯერჯერობით შევინახავთ.

...ახლა კი ვზივარ ხშირად ტანიას სახელოსნოში, ვუყურებ ორივე სურათს და რაც უფრო მეტს ვუყურებ, უფრო მესმის და მიყვარს. ეს სურათები იქმნებოდა მხატვრის გონებასა და გულში — და მერე როგორი მხატვრის —ათეულობით წელი, ჩვენ კი გვინდა ხუთ წუთში გავიგოთ და განვსაჯოთ“.

როცა ნახატები ჩემს სახელოსნოში გამოვფინე, ვაცნობე ჩემს მეგობრებსა და გლეხებს სოფელში, ვთხოვდი ყველანი მოსულიყვნენ და ენახათ სურათები და თუკი ვინმეს დასჭირდებოდა განვუმარტავდი კიდეც.

აქვე დავსძენ, რომ ბუნდოვნად კი ვიცოდი, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთების გარეშე არ მინდოდა დამეჯერებინა ის ამბავი, რომ გლეხთაგან იშვიათად თუ ვინმეს ეცოდინებოდა, ვინ იყო ქრისტე და როგორი ცხოვრება ჰქონდა. ხოლო მოსული გლეხის ქალებიდან არც ერთს არაფერი სმენოდა მაცხოვარზე.

მე და მამა გამუდმებით ვღებულობდით წერილებს საერთო მეგობრებისაგან, გვეკითხებოდნენ ნიკოლაი ნიკოლაის ძის სიკვდილის ამბავს.

ნ. ს. ლესკოვი მერეკიულიდან 1894 წლის 8 ივნისს მწერდა:

„პატივცემულო ტატიანა ლევის ასულო!

მაპატიეთ და უარს ნუ მეტყვით თხოვნაზე, მაცნობოთ სად და რა პირობებში გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი ნ. ნ. გე და სად და როგორ დაკრძალეს მისი ნეშტი? საერთოდაც ყველაფერი რაც იცით ამ საქმის ირგვლივ თქვენს სახლში? აქ, მერეკიულში ეს ცნობა 4 ივნისს საღამოს პეტრე ის. ვეინბერგმა გვაცნობა, ხოლო 5-ში უკვე გაზეთებიც მოვიდა. ამ ამბის გაგებამდე ერთი საათით ადრე, ჩემთან შიშკინი იყო, და გეზე ვსაუბრობდით. აქ მხატვრები მრავლად არიან, და ყველანი დიდის სიმპატიით იგონებენ და სურთ იცოდნენ სად და როგორ განუტევა სული. მე და ის არაჩვეულებრივი თანატოლები ვიყავით: მეცა და ისიც ერთსა და იმავე დღეს დავიბადეთ, ერთი და იგივე წლის, ერთსა და იმავე დღეს — ნიკოლაი სტუდიელის ხსოვნის დღეს, რომელსაც არასოდეს არავინ არ აღნიშნავს, ის კი ჩვენი პატრონი იყო და ისიც მხატვარი გახლდაო...

ვ. ვ. სტასოვმა გვთხოვა მამაჩემსა და მე გადაგვეცა მისთვის ჩვენს განკარგულებაში მყოფი რაიმე მასალა გეს ბიოგრაფიისათვის. მამამ პასუხად ასეთი წერილი გაუგზავნა:

ვ. ვ. სტასოვს

12 ივნისი, 1894 წ. იასნაია პოლიანა.

ვლადიმერ ვლადიმერის ძევ!

ფრიად მახარებს, რომ თქვენ ასე აფასებთ გეს მოღვაწეობას და გესმით. ჩემის აზრით, ის მარტო გამოჩენილი რუსი მხატვარი როდი იყო, არამედ ერთი უდიდესი მხატვართაგანი, ხელოვნებაში ეპოქას რომ ქმნიან. მე და თქვენი თვალსაზრისი ამ ადამიანზე იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ თქვენთვის ის ქრისტიანული მხატვრობა, რომელსაც მხოლოდ მიუძღვნიდა მთელ თავის მოღვაწეობას, წარმოადგენს ერთ-ერთს უამრავ საინტერესო ისტორიულ სიუჟეტთა შორის, ჩემთვის კი, ისევე როგორც თავად მისთვისაც, მისი სურათების ქრისტიანული შინაარსი იყო გამოხატვა იმ მთავარი, უმნიშვნელოვანესი მომენტებისა, რომელსაც განიცდის კაცობრიობა, იმიტომ რომ, კაცობრიობა წინ იმდენად მიიწევს, რამდენადაც ასრულებს იმ პროგრამას, ქრისტემ რომ მისცა და რომელიც მოიცავს თავის თავში მთელს, რომელიც გნებავთ, ინტელექტუალურ ცხოვრებას კაცობრიობისა. ეს ჩე-

მი აზრი ნაწილობრივ, კიდეც პასუხობს იმ კითხვას, რატომ ვლაპარაკობ ქრისტეზე. არ ილაპარაკო ქრისტეზე, როცა ლაპარაკობ კაცობრიობის ცხოვრებაზე, მისი განვითარების გზებსა და ზნეობრივ მოთხოვნებზე, თვითეული ადამიანისათვის — იგივეა, რომ არაფერი თქვა კოპერნიკზე, ანდა ნიუტონზე, როცა ზეციურ მექანიკაზე საუბრობ.

ღმერთზე კი იმიტომაც ვლაპარაკობ, რომ ეს მცნება ყველაზე მარალო, ზუსტი და აუღელვებელია, ურომლისოდაც ზნეობრივსა და სიკეთის კანონებზე ისევე შეუძლებელია სიტყვის თქმა, როგორც იმავე ზეციურ მექანიკაზე, თუ არას იტყვი მიზიდულობის ძალაზე, რომელსაც თავისთავად არ გააჩნია ნათელი განსაზღვრება. ისევე როგორც ნიუტონს, რათა აეხსნა სხეულთა მოძრაობა, უნდა ეთქვა, რომ არსებობს რაღაც, სხეულის მიზიდულობის მსგავსი (თითქოსდა მიიზიდებიან). ასევე ქრისტესაც და არც ერთ მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია არ თქვას, რომ რაღაც, რამაც შეგვქმნა ჩვენ და ყველაფერი, რაიც არსებობს და თითქოს რომლის სურვილის თანახმად ყველამ და ჩვენ უნდა ვიცხოვროთ. აი ეს გახლავთ ღმერთი-მცნება ძალზე ზუსტი და აუცილებელი. არავითარი საჭიროება არ არსებობს გავექცეთ ამ მცნებას. და ასეთ მისტიურ შიშს ამ მცნების წინარე მივყევართ ფრიად მავნე ცრურწმენებისაკენ.

გეს წერილებს მე შეგიგროვებთ, მოვძებნი იმ წერილებსაც ჩემს ქალიშვილებს რომ გამოუგზავნა. მისი საუბრები, განსაკუთრებით ხელოვნებაზე, მეტად ძვირფასი რამ იყო. ვთხოვ ჩემს ასულს ჩაიწეროს ეს საუბრები და მივეხმარები ამ საქმეში. მისი განსაკუთრებული თვისება იყო ცინცხალი, ბრწყინვალე გონება და ხშირად გამოსახვის საოცრად ძლიერი ფორმა. ყოველივე ამას იგი ისვროდა ხოლმე საუბრებში. მისი წერილები დაუდევრად არის დაწერილი და ჩვეულებრივია.

ძალიან ვისურვებდი თქვენს ნახვას.

ლევ ტოლსტოი.

რეპინი მწერდა:

„გარდაიცვალა გე! როგორ მებრალება! როგორი დიდი მხატვარი იყო!“

და მომდევნო წერილში, ხელოვნებაზე მსჯელობის დასასრულს „თავისთავად“ იგი წერს: „სულში უსაზღვროდ ვნანობ, რომ გე დაუდევრად ექცეოდა ხელოვნების გარეგნულ მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ გენიალური ტალანტი და იშვიათი სულიერი განვითარება ჰქონდა, დაგვიტოვა თავისი ღრმა მხატვრული იდეები მხოლოდ უხეშად გაგოზილი ზეთის საღებავებით. მომიტევეთ — ვიცი, რომ, სხვა აზრისა ბრძანდებით...

მამაჩემის ამ დროის წერილები სავსეა თავისი მეგობრისადმი სიყვარულისა და აღფრთოვანების გრძნობით.

1894 წლის 12 ივნისს იგი საპასუხო წერილს უგზავნის ი. ი. გორბუნოვ-პოსადოვს:

„მადლობელი ვარ თქვენი, ივან ივანეს ძევ ორივე წერილის გამო, ჩემი მეგობრის სიკვდილის მერე გონს ვერ მოვსულვარ, ვერაფ-

რით შევეგუე, რაოდენ საოცარი საიდუმლო კავშირი სუფევს სიკვდილსა და სიყვარულს შორის. სიკვდილი თითქოს აშიშვლებს სიყვარულს, აცლის საბურველს და მუდამ გული გწყდება, ნანობ, გიკვირს, როგორ შემეძლო ასე ცოტა მყვარებოდა ან უფრო სწორად ასე ცოტა გამემჟღავნებინა ის სიყვარული, განსვენებულთან რომ მაკავშირებდა, და როცა აღარ არის ის, — ვინც მოკვდა, გრძნობ მთელს სიძლიერეს მასთან დაკავშირებული სიყვარულისას, ათმაგდება გამჭრიახობა სიყვარულისა, ხედავ ყოველივეს იმას, ღირსს სიყვარულისა, რასაც ადრე ვერ ამჩნევდი, — ანდა ამჩნევდი, მაგრამ როგორღაც გრცხვენოდა გაგემჟღავნებინა, თითქოს და ეს კარგი უკვე რაღაც ზედმეტი იყო.

იგი იყო საოცარი, სპეტაკი, ნაზი, გენიალური მოხუცი, ბავშვი, პირთამდე სავსე ყველასა და ყველაფრის სიყვარულით, იმ ბავშვებივით, რომელთა მსგავსად უნდა ვიცხოვროთ, რათა შევაღოთ ზეციური საუფლოს კარიბჭე. ბავშვურად ნაღვლობდა და გული წყდებოდა იმ ადამიანებზე , რომლებსაც არ უყვარდა არც თვითონ და არც მისი საქმე. ხოლო მისი საქმე არასოდეს ყოფილა მარტო მისი საქმე, ღვთისა იყო და ბავშვური მადლიერება და სიხარული მათ, ვინც აფასებდა მას და მის საქმეს.

ის, ვისთვისაც თაყვანი უნდა ეცა მთელ ქრისტიანულ სამყაროს, სავსებით ბედნიერი გახლდათ და ბრწყინავდა, თუ მის ნამუშევრებს დააფასებდა გიმნაზიელი ან კურსისტი ქალი. რამდენ ადამიანს არ სწამდა მისი მხოლოდ იმიტომ, რომ მეტად ნათელი, უბრალო და ყველას მოსიყვარულე პიროვნება იყო. ადამიანები ისე გაფუჭდნენ, რომ ეგონათ, მისი სიკეთისა და ალერსის მიღმა რაღაც იმალებოდა, მიღმა კი არაფერი იყო გარდა სიყვარულისა ღვთისადმი, მის გულში რომ ცოცხლობდა. ჩვენ კი ისეთი ცუდები ვართ ხშირად რომ გვრცხვენია, გვეუხერხულება ამ სიყვარულის. ღმერთის დანახვა, იგი გვააშკარავებს და ჩვენც ზურგს შევაქცევთ ხოლმე. ვინმეზე კი არა, საკუთარ თავზე მოგახსენებთ. რამდენჯერ ასევე შემიქცევია მისთვის ზურგი. უბრალოდ ცოტა მიყვარდა. სამაგიეროდ ახლა უფრო მეტად მიყვარს. და ის არ წასულა ჩემგან. ვიცი, სადაც უნდა ვიპოვო. ღმერთში. გამაღლებს ასეთი სიკვდილი, ასეთი ცხოვრება.

პეტრუშასაგან, მისი ვაჟისაგან, დიდი წერილი მივიღე, სადაც აღწერილია მისი ბოლო დღეებისა და სიკვდილის ამბავი. იგი ის-ის იყო ემზადებოდა სამუშაოდ და სავსებით ფლობდა თავის სულიერ ძალებს, მხიარულად იყო, ჩამოვიდა შინ, გადმოვიდა ეტლიდან, რამდენჯერმე დაიკვნესა და გარდაიცვალა.

აი ორი ამონაწერი მამაჩემის წერილებიდან ნ. ს. ლესკოვსა და ლ. ფ. ანენკოვას რომ გაუგზავნა.

„...გეზე გამუდმებით ვფიქრობ და გამუდმებით ვგრძნობ, რასაც უწყობს ხელს ის ამბავი, რომ მისი ორი ნახატი: „სამსჯავრო“ და „ჯვარცმა“ ჩვენს სახლში დგას და ხშირად ვუყურებ, და რაც უფრო მეტს ვუყურებ, მით უფრო მეტად მესმის და მიყვარს. კარგი იქნებოდა მოგონება რომ დაგეწერათ მასზე. ალბათ მეც დავწერ. ის იმდენად დიდი ადამიანი იყო, სულყველამ რომ დავწეროთ მისი ცხოვრების ამ-

ბები სხვადასხვა კუთხით ალბათ მაშინაც კი ვერ მივუახლოვდებით ანუ არ დაგვჭირდება ერთმანეთის ნათქვამის გამეორება.

„...ახლა უნდა გაგიმხილოთ, ლეონიდა თომას ასულო, გრძნობები, თქვენმა წერილმა რომ აღმიძრა. ალბათ, უკვე გეცოდინებათ ჩვენი მეგობრის ნ. ნ. გეს სიკვდილის ამბავი?

ჯერ კიდევ სიკვდილამდე მწერდა ევგ. ივ. პოპოვი, [illegible] კოლეჩკა, მისი ვაჟი, მეტისმეტად მოწყენილ გუნებაზე არისო... მალე კი მამამისის სიკვდილი მაცნობებს.

არ მახსოვს ვისამე სიკვდილს ასე ძლიერად ემოქმედოს ჩემზე. როგორც ყოველთვის, როცა გრძნობ ძვირფასი ადამიანის სიკვდილის მოახლოებას — ცხოვრება უფრო სერიოზული გახდა, უფრო ნათლად გამოიკვეთა საკუთარი სისუსტე, ცოდვები, ქარაფშუტობა, სათანადოდ რომ არ გიყვარდა — მხოლოდ ის, რაც არ კვდება და უბრალოდ დამენანა, რომ ამ ქვეყნად ერთი მეგობრით, დამხმარით, მუშაკით ნაკლები დამრჩა...

მოიფიქრა და მოითათბირა რა ახლობელ მეგობრებთან ერთად გეს ნახატების ბედზე, მამამ შესთავაზა პ. მ. ტრეტიაკოვს მისი სურათების გალერეასთან მოეწყო გეს მუზეუმი. სადაც თავს მოუყრიდნენ ყველა მის ნამუშევარს. გეს ვაჟიშვილები ტრეტიაკოვს უფასოდ გადასცემდნენ მამის ყველა სურათსა და ნახატს.

კეთილგონიერმა და ფრთხილმა პაველ მიხეილის ძემ მოისმინა მამაჩემის წინადადება არა მარტო მისი სახელით, არამედ გეს მემკვიდრეთა სახელითაც და შეჰპირდა პასუხს ერთი წლის შემდეგ მოგახსენებთო.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ ჩამოვიდა მამასთან და მოახსენა, რომ თანახმაა წაიღოს ყველა ნახატი და შეჰპირდა პირველი შესაძლებლობისთანავე ჩამოკიდებდა მათ გალერეაში სხვა ნახატებთან ერთად, — და რომ ცალკე შენობის გამოყოფას იგი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ მოახერხებდა.

მამა და უმცროსი ვაჟი დასთანხმდნენ ამ პირობებზე. სურათები გაუგზავნეს ტრეტიაკოვს. მაგრამ ხუთი წელიწადი არც იყო გასული, ტრეტიაკოვი რომ გარდაიცვალა. ამის შემდეგ გეს ზოგიერთ ნაწარმოებს, ხან გამოფენდნენ ხან კი ცენზურის სიმკაცრის გამო, ისევ უმალავდნენ საზოგადოებას.

1903 წლის შემოდგომაზე „ჯვარცმა“ გეს ვაჟიშვილმა ჟენევაში გამოფინა, სადაც დიდი წარმატება ჰქონდა.

ერთ რუს ემიგრანტზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ იგი სულიერად დაავადებულა თურმე. საათობით არ აშორებდა თვალს სურათს. შემდეგ კი ეხვეოდა და ლამის ახრჩობდა ადამიანებს ვინც შეხვდებოდა, თან ეუბნებოდა, ყველას უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, თორემ დავიღუპებითო.

ჟენევის ერთ-ერთმა გაზეთმა“, რომელიც სრულად არ ეთანხმებოდა ნახატის კონცეფციას, აღნიშნა ის, რაც გეს მთავარ ძალას წარმოადგენს.

„ეს არის ქმნილება, სავსე რწმენით, ღრმად უმწიკვლო, გულდასმით ნაფიქრი და შესრულებული. მთლიანობაში ეს არის ნაწარმოები

ძლიერი და მგრძნობიარე, ძალზე ნაზი მხატვრისა, რომელიც არსს წვდება და უყვარს.

სიყვარული და სინაზე იყო, ჭეშმარიტად გეს ბუნების გამორჩეული თვისებები და ყველაფერი, რასაც აკეთებდა ცხოვრებაში, ნათლად იყო გაცისკროვნებული მისი სულის ამ თვისებებით.

როცა იგონებ ნ. ნ. გეს სახეს, მუდამ წარმოგიდგება სიყვარულითა და ბედნიერებისაგან გაბრწყინებული, რადგან ფრიად იშვიათი გამონაკლისის გარდა, მისი სიყვარული ადამიანებისადმი მათაც ედებოდა და ისინიც ისეთივე სიყვარულით პასუხობდნენ, როგორსაც თვითონ ამჟღავნებდა მათ მიმართ.

ლ. ა. სულერჟიცკი

სიცოცხლე მშვენიერი უნდა იყოს.

ადამიანები ბედნიერები უნდა იყვნენ.

და ამ ორი მიზნის განსახორციელებლად, ადამიანებმა უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ არავითარი, თვით ყველაზე წვრილმანი და ქარაფშუტული საქციელი.

თუ კი შეიძლება ადამიანებს სიხარული მიანიჭო თავშესაქცევი მოთხრობით ანდა სასაცილო ანეკდოტით, — მაშინ გაუმარჯოს თავშესაქცევ მოთხრობას და სასაცილო ანეკდოტს.

თუკი შეიძლება ადამიანის ცხოვრება გაალამაზო ნახატით, წარმოდგენით, სიმღერით და ამისათვის შრომაა საჭირო — ეს ხალისიანად და მხიარულად უნდა გააკეთო.

თუ კი ადამიანთა ბედნიერებისათვის ტანჯვა იქნება საჭირო — ამაზეც მხნედ, მტკიცედ და სიხარულით უნდა წახვიდე.

აი მოკლედ, რამდენიმე სიტყვით გამოთქმული აზრი (რწმენის სიმბოლო) ახლახან გარდაცვლილი ჩემი სამხატვრო სკოლის ამხანაგის ლ. ა. სულერჟიცკისა!

არ ვიცი, თვითონ როგორ განსაზღვრავდა თავის შინაგან მსოფლმხედველობას. იქნებ სხვაგვარად, ვიდრე მე ვაკეთებ. ეგების მხოლოდ შეუცნობლად ცოცხლობდა მის არსებაში ის მგზნებარე სიყვარული სიცოცხლისა და ყოველივე მშვენიერისა, რაიც აიძულებდა მხიარულად ეშრომა და ბედნიერად დატანჯულიყო.

მაგრამ ყველა, ვინც იცნობდა სულერჟიცკის, არა მარტო გრძნობდა მის ამ თვისებას, არამედ თვითონაც გადაედებოდა ხოლმე.

სულერჟიცკი თითქმის ბიჭი მახსოვს.

მხატვრობისა და ქანდაკების სკოლაში სადაც დავდიოდი რამდენიმე ზამთრის განმავლობაში, სულერჟიცკი ამხანაგებს შორის პატარა ცენტრივით იყო.

სუსტი ინიციატივის, დუნე ხასიათის, მერყევი რწმენის ადამიანები ეტმასნებიან იმ ადამიანებს, მათზე უფრო დიდი ნიჭით რომ დაეჯილდოვა ბუნებამ.

ასევე იყო ჩვენს სკოლაშიც.

სულერჟიცკი ანუ სულერი, შემოკლებით ვეძახდით ასე, მუდამ ანთებული იყო რაიმე ახალი ჩანაფიქრით ანდა ახალი აღმოჩენით და თავის ამხანაგებსაც გადასცემდა ამ აღტაცებას.

თუ კი სადმე სკოლაში შეჯგუფდებოდნენ მოწაფეები, რომლებიც რაღაცაზე ცხარედ მსჯელობდნენ, შეიძლებოდა უშეცდომოდ გამოგეცნო, რომ ისინი სულერის ირგვლივ იყვნენ შეკრებილნი. როცა ხმამაღალი სიცილი გაისმოდა, ეს ამხანაგები იცინოდნენ სულერის რომელიმე მოთხრობის, ანეკდოტის ან წარმოდგენის გამო. თუ კი [illegible] შეწყობილად მღეროდნენ მოწაფეები — ეს მისი ხელმძღვანელობით შემდგარი გუნდი გახლდათ.

სულერი ფრიად ნიჭიერი იყო ხელოვნების ყველა სფეროში.

მაგრამ მთავარი ინტერესი, რაც გვაკავშირებდა სკოლაში, მხატვრობა იყო.

საშობაოდ გამოფენას ვაწყობდით და მანამდე გაცხარებულები ვემზადებოდით. როდესაც შევიკრიბებოდით უფრო ხშირად, ხელოვნებაში სხვადასხვა მიმდინარეობასა და მიმართულებებზე ვსაუბრობდით. ვუჩვენებდით ერთმანეთს საკუთარ ნამუშევრებს და ერთმანეთს რჩევას ვეკითხებოდით.

მახსოვს სწორედ შობის წინა დღეს სკოლაში შევიკრიბენით და ჩვენი გამოფენის საქმეს ვიხილავდით. ვილაც-ვილაცებმა თავიანთი ტილოები მოიტანეს.

სულერი მანამდე თავის ნახატს არ გვაჩვენებდა და არც შინაარსს გვიყვებოდა, თუმცა დიდი ხანია ამზადებდა. იგი ახალ გზებს ეძიებდა და არ უნდოდა, რომ სხვების აზრს გზა აებნია მისთვის.

ამიტომაც ყველანი ამ სურათის გამოჩენას დიდი ინტერესით ველოდით.

ერთ დღეს სულერი სადღაც გაქრა და ცოტა ხანში აღელვებულმა მოიტანა თავისი ნამუშევარი, იატაკზე დადგა კედელთან და გვთხოვა უკან დაიხიეთ, მოშორებით დადექით და შორიდან შეხედეთო.

ახლა აღარ მახსოვს ნახატის დეტალები. მახსოვს შთაბეჭდილება: დიდი, ცარიელი ოთახი, მბჟუტავი ნაცრისფერი განათება და მარტოსული ფიგურა.

სურათი სევდის, ნაღველისა და მარტოობის განწყობილებას აღძრავდა.

მოწაფეები გაყუჩდნენ და დიდხანს უხმოდ უყურებდნენ. შემდეგ გაისმა ცალკეული შეძახილები:

— ყოჩაღ, სულერ!

— როგორი განწყობილებაა!

— მაგარია, სულერ!

სულერი ბრწყინავდა. დაიწყო მოყოლა რა აზრები და გრძნობები უნდოდა ჩაექსოვა ნახატში. ამხანაგები არწმუნებდნენ, ეს საგსებით მოახერხეო და ყოველივე ამას მაყურებელი გრძნობს, როცა ნახატს უყურებსო.

სამხატვრო სკოლაში ასობით მოწაფე სწავლობდა და განსაკუთრებით დავუახლოვდი რამდენიმე ჭაბუკსა და ქალიშვილს, ჩვენთან ხამოვნიკებში რომ მოდიოდნენ ხოლმე. მათ შორის, რასაკვირველია, სულერიც იყო.

იმ ხანებში მამაჩემი დაკავებული იყო ხალხისათვის იაფფასიანი ლიტერატურის გამოცემის საქმით. წიგნით მოვაჭრე ი. დ. სატინთან

და ზოგიერთ თავის სხვა მეგობართან ერთად მან სათავე დაუდო გამომცემლობა „პოსრედნიკს“.

მე ძალზე თანავუგრძნობდი ამ საქმეს და გამომცემლობის მხატვრული მხარე ვიტვირთე, ვიმედოვნებდი საქმეში ჩემი ამხანაგებიც ჩამება. უნდა შეგვეცვალა უხეში, უზნეო და უხერხული ნაბეჭდები როგორებიც მრავლად იყო გასაყიდი, უფრო მხატვრულითა და ზნეობრივით.

შევიკრიბებოდით ხამოვნიკებში და გრძელი ჩაის დასალევი მაგიდის ირგვლივ მსხდარნი ბევრს ვბჭობდით, მაგრამ ამ ჩვენს ბჭობას ნამდვილი საქმე მაინცა და მაინც არ მოჰყოლია. მეტისმეტად უმწიფარნი და მერყევი ბუნებისანი ვიყავით. ცხოვრება აქეთ-იქით გვარწევდა და ჯერ კიდევ არ შეგვეძლო საქმეს გულისყურით მოვკიდებოდით.

მამა ალერსით ეექცეოდა ჩემს ამხანაგებს, განსაკუთრებით კი სულერს, რომელიც ხშირად მოდიოდა ჩვენთან.

როგორღაც მოხდა, რომ სულერმა სკოლაში მეტად მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც უფროსობას არ მოეწონა და იგი სასწავლებლიდან გარიცხეს.

ყველანი, მისი ამხანაგები, განცვიფრებულები, გულნატკენნი და აღშფოთებულები დავრჩით ამ მოვლენის გამო და ჩვენს მომდევნო გამოფენაზე პირველ ნომრად გამოვფინეთ მისი პორტრეტი მთელ სიმაღლეზე, შესანიშნავად შესრულებული ჩვენი ამხანაგის როსინსკის მიერ.

კატალოგში ამ ნომრით აღნიშნულია: „ვ. როსინსკი — ამხანაგის პორტრეტი“. ამით აშკარად ვაცხადებდით, თუმც სულერი გარიცხა ხელმძღვანელობამ, მაგრამ მაინც ჩვენს ამხანაგად ვთვლით-თქო.

ამის შემდეგ სულერი ჩვენსას კიდევ უფრო ხშირად დაიარებოდა. კითხულობდა მამაჩემის რელიგიურ-ფილოსოფიურ თხზულებებს, ისმენდა მის საუბრებს მრავალრიცხოვან მომსვლელებთან და მალე მამაჩემისთვის ძალზე ახლობელი გახდა თავისი შეხედულებებითა და რწმენით.

მრავალი, ე. წ. „ტოლსტოველის“ საპირისპიროდ, სულერს, რომელიც ტოლსტოის გავლენის ქვეშ მოექცა, არ დაუკარგავს თვითმყოფადობა. მიუხედავად ღრმა აზრებისა, გამუდმებით რომ მუშაობდა სულერის თავში, იგი დარჩა მხიარულ, ენამოსწრებულ კაცად, დახვეწილ მხატვრად, როგორიც იყო ადრე.

ზოგჯერ საღილად სულერი ანეკდოტს ანეკდოტზე ისვრიდა და ყველანი, მამაჩემის ჩათვლით სიცილისაგან ვიხოცებოდით.

ხოლო მაგიდიდან როცა წამოდგება, ხან მღერის, ხან ცეკვავს, ხანაც ვინმეს გამოაჯავრებს, განასახიერებს და ყველანი სიამოვნების ღიმილით შეჰყურებენ.

მახვილი თვალი ჰქონდა და ამიტომ შეეძლო საოცრად კარგად მიებაძა ადამიანებისა, ცხოველებისა თუ ფრინველებისათვის, საგნებსაც კი ბაძავდა. და რაკი მისი მხატვრული ალღო არაფერს ბანალურს, უხეშსა და თვალშისაცემს არ დაუშვებდა, ამიტომ მისი ყურება ან მოსმენა ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას წარმოადგენდა.

მახსოვს, გადმოაბრუნებდა გიტარას, ხელს სცემდა და რომელიღაც აღმოსავლურ სიმღერას მღეროდა. პატარა, მაგრამ მშვენიერი ტენორი,

შესანიშნავი სმენა ჰქონდა. როცა ვისმენდი სევდისმომგვრელ გაბმულ სიმღერას ჩვეული აღმოსავლური ინტერვალებით, ჩემი ბავშვობის დღეებში გადავეშვებოდი, როცა სამარის ველებზე მოხუცი ბაშკირ ბაბაი, ბაღჩის დარაჯი, ზაფხულის თბილ ღამეებში ასეთსავე სევდიან სიმღერებს იმღერდა და თან გადმობრუნებული რკინის სათლზე ურტყამდა ხელს.

მაგრამ აი სულერი სრულწლოვანი გახდა და ძნელი დღეები დაუდგა.

სამხედრო ბეგარა უნდა მოეხადა.

როგორ მოიქცეს?

იმისათვის ომები რომ შეწყდეს და მათთან ერთად დასრულდეს ყველა საშინელი ტანჯვა-წვალება, რასაც ომები იწვევს, — მსჯელობდა იგი, — ჯარში არავინ არ უნდა წავიდეს. მაშასადამე, თუ კი მას ეს სჯერა, უარი უნდა განაცხადოს სამხედრო ბეგარის მოხდაზე.

უნდა წახვიდე სატანჯველად.

და სულერიც წავიდა. როგორც ყოველთვის მხიარულად და მხნედ.

განაცხადა, რომ თავისი რელიგიური რწმენის გამო არ შეუძლია სამხედრო სამსახური.

სულერს მძიმე სასჯელი ელოდა.

მეგობრები დატრიალდნენ. თვითონ ისეთი თავაზიანი პიროვნება იყო, ყველა კეთილად იყო განწყობილი და ისე მოახერხეს, რომ დროის მოსაგებად ციხის საავადმყოფოში დააწვინეს გამოსაცდელად.

მე ვინახულე იმ საავადმყოფოში.

როცა ვუახლოვდებოდი შემზარავ, პირქუშ კედლებს, რომელთა მიღმა საშინელებები და ტანჯვა მესახებოდა, — დარდისაგან გული მეწურებოდა.

სულერთან რომ შევედი, ცხვირ-პირი ჩამომტიროდა, არ ვიცოდი რა მეთქვა, როგორ მენუგეშებინა.

მაგრამ როგორც კი შევხედე, განწყობილება მაშინვე შემეცვალა. ისეთივე მხიარული და ხალისიანი იყო, როგორც ყოველთვის, და ორი თვის შემდეგ ისევე თავისუფლად ვყბედობდით, თითქოს ჩვენს საყვარელ სკოლაში ვყოფილიყავით ანდა ხამოვნიკის სახლში.

სიცილით მიამბო, როგორ გადააკეთა თავისი საავადმყოფოს ხალათი, რომელიც გრძელი ჰქონდა, გამოსასვლელ პიჯაკად; თურმე ინგლისური ქინძისთავებით ამოკერა. მერე რამდენიმე მისი საავადმყოფოელი ამხანაგიც გამოაჯავრა და მალე ციხის კედლებმაც გაიგონეს მათთვის უჩვეულო მხიარული, გულწრფელი სიცილი...

მაგრამ იმ დღეს მხოლოდ სასაცილო ამბები როდი მითხრა.

სულერმა ისიც მიამბო, როგორ აცდუნებენ უარყოს თავისი რწმენა და თანხმობა განაცხადოს სამხედრო ვალდებულების მოხდაზე... როგორ იტანჯებიან მისი ახლობელი ადამიანები, განსაკუთრებით მამა, რომ იგი უარზეა და კიდეც კიცხავენ მის საქციელს... რომ იგი უკვე მერყეობს...

არავითარი რჩევა არ მიმიცია, მეშინოდა სინდისის საქმეში ჩავრეოდი, მაგრამ ვაგრძნობინე, რომ ჩვენი ოჯახი ზურგს არასოდეს შეაქცევს, რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს.

სულერმა ვერ გაუძლო და შევიდა მოხალისეთა არმიაში.

როგორ იტანჯებოდა როცა ამ დათმობაზე წავიდა, ამის გაგება შეუძლია ყოველ პატიოსან ადამიანს, ვინც დამორჩილებია სიყვარულის გამო ახლობელთა ნება-სურვილს, ამით კი უკან დაუხევია და არ აღსრულებია ის, რასაც სინდისი ჰკარნახობდა.

საკუთარი გულისტკივილი მამას გააგებინა.

მამამ გაუგო და ამიტომაც მეტისმეტად შეიბრალა.

„ძვირფასო ლ. ა. — წერს მამა; — მთელი სულით ვიტანჯებოდი თქვენთან ერთად, როცა თქვენს ბოლო წერილს ვკითხულობდი. თავს ნუ იტანჯავთ, ძვირფასო მეგობარო. ის კი არ არის მთავარი, რა გააკეთეთ; მთავარია ის, რაიც სულში გაქვთ; ის ჭიდილი, სულში რომ ბორგავს და ღმერთთან გვაახლოვებს. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ყოველივემ, რაიც თქვენ განიცადეთ, კი არ დაგაშორათ, არამედ უფრო მიგაახლოვათ მასთან. საქციელსა და მდგომარეობას, რომელშიც ვარდება ადამიანი, მის მიერ ჩადენილი საქციელის გამო, თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყოველგვარ საქციელსა და მდგომარეობას, რომელშიაც ვარდება ამ საქციელის შედეგად ადამიანი, აქვს მნიშვნელობა მხოლოდ იმ ბრძოლის მიხედვით, რომელიც სულში ხდებოდა, თუ რამდენად ძლიერი იყო ცდუნება, რომელსაც ებრძოდა. თქვენ კი საშინლად მძიმე ბრძოლა გადაიტანეთ და ამ ბრძოლაში ის აირჩიეთ, რაიც უნდა აგერჩიათ. განგებ კი არა, გულწრფელად გეუბნებით, რომ თქვენს ადგილას მეც თქვენსავით მოვიქცეოდი, რადგანაც ჩემის აზრით, ასეც უნდა მოქცეულიყავით. ყველაფერი ხომ, რასაც აკეთებთ, როცა უარს აცხადებთ სამხედრო ბეგარაზე, მხოლოდ იმიტომ გააკეთეთ, რათა არ დაგერღვიათ კანონი სიყვარულისა, მაგრამ სიყვარულის უფრო დიდ დარღვევად რა ჩაითვლება — ის რომ, ჯარისკაცთა რიგებში ჩადგეთ თუ გულგრილად უცქიროთ მოხუცის ტანჯვას.

არსებობს ასეთი საშინელი დილემები და მხოლოდ ჩვენმა სინდისმა და ღმერთმა იციან, რომ ჩვენთვის, ჩვენი პიროვნებისათვის ვიქმოდით და ვიქმთ იმას, რასაც ვიქმთ ღვთის გულისთვის. ასეთი მდგომარეობანი, თუ კი ისინი ჭეშმარიტად ღვთის გულისთვის არის არჩეული, სასარგებლოც კია: რადგან ხალხის ყბაში ვვარდებით (არა ახლობელ ადამიანთა, ქრისტიანთა, არამედ ბრბოის) და ამის გამო უფრო მტკიცედ ვეყრდნობით ღმერთს.

გულს ნუ გაიტეხთ, საყვარელო მეგობარო, არამედ გიხაროდეთ ის განსაცდელი, ღმერთმა რომ გამოგიგზავნათ. იგი განსაცდელს უგზავნის ძლიერი ნებისყოფის ადამიანებს, ამიტომაც ეცადეთ გაუმართლოთ იმედი. ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებას; არ გადაუხვიოთ არჩეული გზიდან, რადგან ეს ერთადერთი ვიწრო გზაა. უფრო და უფრო განიმსჭვალეთ სურვილით შეიცნოთ ნება ღვთისა და აღასრულეთ იგი, ნურავითარ ყურადღებას ნუ მიაქცევთ საკუთარ მდგომარეობას და რაც მთავარია, რას ფიქრობენ ადამიანები. ოღონდ იყავით მორჩილი, მართალი და მოსიყვარულე და რაოდენ დახლართულიც არ უნდა გეჩვენებოდეს ის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებით, იგი თავისთავად გაიხსნება.

ყველაზე ძნელი განსაცდელი, როცა სასწორი მერყეობს და არ იცი, რომელი ფიალა გადასწონის, უკვე განვლილია. განაგრძეთ ასევე

სიყვარულით ცხოვრება, როგორც აქამდე გიცხოვრიათ — მორჩილად, მართლად — და ყველაფერი კარგად იქნება.

განუზომლად მეტად მიყვარხართ ახლა, გადატანილი ტანჯვის შემდეგ, ვიდრე ადრე მიყვარდით.

ლევ ტოლსტოი

ბიბლიოთეკა

სულერმა საზღვაო სამსახური აირჩია და შორეულ ნაოსნობაში წავიდა.

ამის შემდგომ ცხოვრება უფრო და უფრო იშვიათად გვახვედრებდა ერთმანეთს. მაგრამ რა იშვიათადაც არ უნდა შევხვედროდით, ბოლომდე შევინარჩუნეთ მეგობრული და ამხანაგური დამოკიდებულება.

გასული საუკუნის ცხრაასიან წლებში საჭირო შეიქნა ხალხი, რომელიც გააცილებდა რუსეთიდან ემიგრაციაში მიმავალ დუხობორებს. გაემგზავრა ჩემი ძმა სერგეი. მაგრამ კიდევ დამხმარეები იყვნენ საჭირო.

ჩვენი არჩევანი, სხვათაშორის, სულერზე შეჩერდა.

მაშინ უკვე მოხდილი ჰქონდა სამხედრო სამსახური და სრულიად თავისუფალი იყო. ვიცოდით, რომ საქმიანი და ენერგიული ადამიანი იყო, მუშაობა შეეძლო. ხოლო რაკი აქ დაჩაგრულსა და წამებულ ხალხს უნდა დახმარებოდა ეჭვს არ იწვევდა რომ თანაუგრძნობდა მათ და უარს არ იტყოდა.

და სულერიც გაემგზავრა. ზოგჯერ უჭირდა, მაგრამ რაკი ჩვევად ჰქონდა „მხიარულად ეტანჯა“ შეძლო ყველა სიძნელეს გამკლავებოდა. ჩინებულად გააკეთა თავისი საქმე და ყველა დუხობორის უსაყვარლესი კაცი გახდა.

შემდგომ გავიგე, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრში მოეწყო რეჟისორად. შემდგომ უფრო და უფრო ხშირად აღწევდა ჩემამდე ხმები, რომ სულერი ავადმყოფობსო... ბოლოს კი შევიტყვე, რომ უკვე აღარ იყო ცოცხალი...

კიპროსზე, სადაც მან დუხობორები შეიყვანა, ციება შეეყარა, რომელმაც შეურყია ჯანმრთელობა და 46 წლისა საფლავში ჩაიყვანა...

ცხოვრება მშვენიერი უნდა იყოს...

ყოველივე რის გაკეთებაც შეეძლო სულერჟიცკის, რათა ცხოვრება მართლაც მშვენიერი ყოფილიყო, მან გააკეთა.

ჩემი გამოსათხოვარი და მადლიერი თაყვანისცემის გრძნობა მას ამის გამო. მეც სხვებთან ერთად მერგო ჩემი წილი იმ მშვენიერებისა, რის მოცემაც მოასწრო თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე...

იასნაია პოლიანა. 16 იანვარი, 1917 წელი.

შვედი აბრაამ ფონ გუნდე

იასნაია პოლიანაში ეს ადამიანი მოუსავლიანი 1892 წლის ადრიან გაზაფხულზე ჩამოვიდა. იმხანად იასნაია პოლიანაში არავინ იყო. დედა და უმცროსი ბავშვები მოსკოვში ცხოვრობდნენ, ხოლო მამა და ჩვენ ორი უფროსი ქალიშვილი—ბეგიჩევკაში რაევსკების მამულში. რიაზანის გუბერნიაში ვიყავით, სადაც დაშშეულთათვის სასადილოებს ვხსნიდით.

იასნაიაში რაკი არავინ დაუხვდა, შვედმა ბეგიჩევსკისაკენ განაგრძო გზა. მოვიდა მამასთან და დასახლდა, თითქოს მასთან უნდა გაეტარებინა დარჩენილი სიცოცხლის დღენი.

1892 წლის 30 აპრილს მამა წერილს უგზავნის დედას მოსკოვში: „დღეს ჩამოვიდა ორიგინალური მოხუცი შვედი ინდოეთიდან..." ხოლო 2 მაისს უფრო დაწვრილებით შეატყობინა: „ამ დღეს უკან გამოგვეცხადა 70 წლის მოხუცი, შვედი, 30 წელი ამერიკაში უცხოვრია, ნამყოფია ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში. გრძელი მოყვითალო ჭაღარა თმა აქვს, ასეთივე წვერი, პატარა ტანის არის, უზარმაზარი შლიაპა ახურავს, ჩამოფლეთილია, ცოტა მე მგავს. სიცოცხლეს ქადაგებს ბუნების კანონების მიხედვით. მშვენივრად ლაპარაკობს ინგლისურად, ძალზე ჭკვიანია, ორიგინალური და საინტერესო კაცია. სურს სადმე იცხოვროს (უკვე იყო იასნაიაში) და სწავლობს ადამიანებს, როგორ შეიძლება ერთმა კაცმა გამოკვებოს 10 ადამიანი 400 საჟენ მიწაზე მუშა პირუტყვის გარეშე, მარტო ბარით. მივწერე ჩერტკოვს მისი ამბავი და მინდა მასთან გავგზავნო. ჯერ კი აქ არის, კარტოფილს ძირს უთოხნის და გვიქადაგებს. იგი ვეგეტარიანელია, არც რძეს სვამს და არც კვერცხს გიახლებათ, ურჩევნია უმად ჭამოს ყველაფერი. ფეხშიშველი დაიარება, იატაკზე სძინავს, სასთუმლად თავქვეშ ბოთლს იდებს და ა. შ.

რამდენიმე დღის შემდეგ მამა ისევ ახსენებს მას თავის წერილში: „შაბათი დღეა, საღამოს 9 საათი. მაგიდასთან რომელზედაც სამოვარი დგას და რომელსაც შვედი „კერძს" ეძახის, ზის (ჩამოთვლილია მაგიდასთან მსხდომნი), შვედიც, ვაშლი რომ შეჭამა და მეტი არაფერი აღარ სურს. მასზე ამბობენ, რომ ყველაზე ანტიქრისტეაო. გვპირდება ოც ადამიანს გამოვკვებავ ჩანახის მერვედით და უკვე თხრის, მაგრამ იმ პირობით, თუ სულს მივყიდით.

მამას არ მიუწერია დედასთვის მოსკოვში, ეშინოდა არ შევაშფოთოო, რომ იგი გაიტაცა უმი საკვების თეორიამ, შვედი რომ ქადაგებდა და რომ მამაც შვედთან ერთად მიირთმევდა პირველყოფილ საკვებს. ნედლ ვაშლს გარდა, ის რაღაცნაირ ლავაშებსაც ამზადებდა ასევე უმად რომ ჭამდა და სვამდა ქერის ფქვილის წყალგარეულ ფაფას. ქვასავით მძიმე ლავაშებმა, რასაკვირველია, მთლად შეურყიეს ჯანმრთელობა მამას. მას ხომ ისედაც მთელი ცხოვრება კუჭის ტკივილი აწუხებდა. მამას ძვირი დაუჯდა თავისი ეს გატაცება. დედას წერილს უგზავნის შეტევის შემდეგ, რომ მას 2 მაისს მუცლის არეში საკმაოდ ძლიერი ტკივილები ჰქონდა, ასეთივე ტკივილი ჰქონდა ქვის გავლის დროს.

მაგრამ დედამ უკვე იცოდა რაც მოხდა, და ვიდრე მოსკოვში მამაჩემის წერილს მიიღებდა უკვე ბეგიჩევკაში გაჩნდა. მამას ავადმყოფობის ამბავი მამულის პატრონი ქალის, ე. პ. რაევსკაიასაგან გაუგია, რომელსაც შეშინებია და დედაჩემისთვის წერილი თუ დეპეშა გაუგზავნია. იგი აფრთხილებდა დედას, ბეგიჩევკაში დასახლდა ვიღაც შეშლილი მოხუცი შვედი, რომელიც ლევ ნიკოლოზის ძეს უმ ქერის ფაფას აჭმევსო, ამის გამო ლევ ნიკოლოზის ძეც ძლიერ ავად შეიქნა, და კუჭი ასტკივდაო. ურჩევდა დედას იმ ვიღაც შვედს ჭკუა ასწავლეთ, თორემ სხვაგვარად ლევ ნიკოლოზის ძის გამოჯანმრთელება საეჭვოაო.

იმ ხანად მოსკოვში ვიყავ, შიმშილმა ავად გამხადა და რამდენიმე

ღლით დედასთან ჩავედი, რომ დამესვენა და ცოტა მომეკეთებინა. დედამ უმცროსი ბავშვები მე დამიტოვა და თვითონ „წესრიგის დასამყარებლად“ ბეგიჩევკაში გაემგზავრა.

როცა ჩავიდა მამა უკვე სავსებით ჯანმრთელი იყო.

„მამა ჯანმრთელად დამხვდა, — მწერს დედა ბეგიჩევკიდან 1892 წლის 6 მაისს,—მაგიდასთან იჯდა ყველა თანამშრომელთან ერთად. ვე იყვნენ ორი ფილოსოფოსი და შვედი, იატაკზე რომ ეძინა...“ შემდეგ ამბავს აგრძელებს, და რატომღაც შვედს ნორვეგიელს უწოდებს. ნორვეგიელი გაემგზავრება და ისე, რომ არავითარი წყენა არ დარჩება. ეს განსაკუთრებით სურს ელენა პავლეს ასულსაც (რაევსკაიას, ბეგიჩევკის პატრონს).

მეორე დღეს მწერს: „ნორვეგიელი მოხუცია, ფეხშიშველი და ჭუჭყიანი, — უკიდურესი რწმენის კაცია, მაგრამ რატომღაც არ მესიმპატიურება. მისი იდეალია — ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის სახელით — მთელი თეორია. არავითარი ზნეობრივი თუ სულიერი იდეალები. სიმდიდრე ჰქონდა, მოწყენილი იყო, ავადმყოფობდა. მიხვდა, რომ უბრალოება, ცხოვრების პირველყოფილება იძლევიან ჯანსაღ სიმშვიდეს და მიაღწია კიდეც. ძროხასავით ბალახზე წევს, ბარავს მიწას, ამოევლება დონის წყალში, ჭამს ძალიან ბევრს, ძინავს სამზარეულოში — და სხვა არაფერი. ძალზე დელიკატურად ვუთხარით, რომ ჩამოდის ელენა პავლეს ასული და თვითონ კი უნდა გაემგზავროს. შეგვპირდა, გავემგზავრებიო“.

დედამ ბეგიჩევკაში ორი-სამი დღე დაჰყო, მოაგვარა მამაჩემის კვების საქმე და ისევ მოსკოვს გამოემგზავრა თავის უმცროს შვილებთან.

შვედმა, უეჭველად იგრძნო, რომ დედაჩემს არ მოუვიდა თვალში, რადგან მისი გამგზავრებიდან პირველსავე წერილში, მამა ატყობინებს: „შვედი მოწყენილია, ზის კუთხეში და კანკალებს. მაგრამ ისევ ისე რადიკალურად და ჭკვიანურად მსჯელობს. „შვედი უწინდებურად წინასწარმეტყველ იერემიას ჰგავს და საინტერესო კაცია“, — სწერს მამა დედაჩემს თავის ბოლო წერილში, ბეგიჩევკიდან რომ გაუგზავნა 1892 წლის 16 მაისს.

მალე ამის შემდეგ ყველანი დროებით შევიკრიბენით იასნაია პოლიანაში, რათა თუნდაც რამდენიმე კვირა მაინც გაგვეტარებინა ერთად.

მე, დედა და უმცროსი ბავშვები მოსკოვიდან ჩავედით, მამა და მაშა ბეგიჩევკიდან, დროებით სასადილოების საქმე ჩვენს თანამშრომლებს მიანდეს: როცა მარტო ვმგზავრობ რკინიგზით, იმისაც მრცხვენია, რომ ყურადღებას მაქცევენ, მაგრამ თან წამოყვანა ჩემი ორეულისა და თანაც ნახევრად შიშველისა — ამის გაკეთება სწორედ ვერ გავბედე, გამბედაობა არ მეყო, — გვითხრა მამამ იასნაიაში როცა ჩამოვიდა.

მეორე დღეს ტულისაკენ მიმავალ გზას დავადექი, რათა შვედს შევხვედროდი. ძალიან მაინტერესებდა მისი ნახვა და მინდოდა რაც შეიძლებოდა სწრაფად გამეცნო, გარდა ამისა ვგრძნობდი, რომ მისი დაცვა მომიხდებოდა დედაჩემის ანტიპატიისაგან, რასაც დედა არც მალავდა.

ამას გარდა, ახალგაზრდა ცხენზე ფიქრიც არ მასვენებდა შვედს რომ გავუგზავნე ტულაში, რადგან ცხენი თვინიერი არ იყო და თანაც მეტისმეტად მფრთხალი.

შარაგზაზე არც ვიყავი გასული, რომ დავინახე მთიდან ფორანი ეშვებოდა. როცა გამისწორდა, მეეტლემ ცხენი [illegible] თვალი ვკიდე ეტლში მჯდარ უცნაურ არსებას. ტანზე ეოლისფერი ბამბაზიის საბანი ჰქონდა შემოხვეული, საბნიდან მოყვითალო ჭალარა წვერი მოუჩანდა. დაკვირვებული, მაგრამ ასე მომეჩვენა, ბოროტი თვალები იყურებოდნენ დაფანჩულ წარბებს ქვეშიდან. თავზე ეხურა დიდი, ფორმადაკარგული ფეტრის შლიაპა. ფეხები მუხლამდე შიშველი ჰქონდა.

— ჩემს ცხოვრებაში აღარასოდეს აღარ ვიმგზავრებ ცხენით. — მომახალა ინგლისურად ისე, რომ არც მომსალმებია და არც უკითხავს, თუ ვის ელაპარაკებოდა.

— რატომ? — ვკითხე მე.

— იმიტომ, რომ ეს სისასტიკეა და საშიშიც არის, — მიპასუხა მან.

— ოჰ, ალბათ, რაღაც დააშავა ჩემმა კანდაურიხამ, — გავიფიქრე გუნებაში, — ტყუილად კი არ ვშიშობდი.

მეეტლემ მიამბო, როცა ტულიდან მოვდიოდით კიევის შოსეზე, კანდაურიხა დამფრთხალა და ყალყზე შემდგარა, ბედი არ გინდა, უცებ ეტლიდან ტაბიკი გამოვარდნილა და შვედი, ფორნის უკანა ბორბლებსა და ძარას შუა ქუჩაში მარტო დარჩენილა. ცხენი კი წინა ბორბლებთან ერთად გაქცეულა. საბედნიეროდ მეეტლეს ხელი არ გაუშვია სადავისათვის, სწრაფად შეუჩერებია ცხენი და ყველაფერი მოუწესრიგებია.

ჩავჯექი შვედთან ერთად ეტლში და შინ მივედით. გზაში ვისაუბრეთ, გაბრაზებული თვალები აღარ ჰქონდა, კეთილმეგობრულად შემომცქეროდა.

შვედს იასნაია პოლიანაში ცივად შეხვდნენ. მამა დიდი ხნის ნამყოფი არ იყო შინ და კარგა ხანია დასვენება არ გამოეყენებინა თავისი ლიტერატურული საქმიანობისთვის. ამას გარდა მეტისმეტად შეაწუხა ჩვენს ოჯახში დატრიალებულმა რომანმა და შვედი ვისღა ახსოვდა. დედას კი შვედი თავიდანვე არ მოსწონია თვალში და ბოლომდე დარჩა თავისი ანტიპატიის ერთგული. დედა იასნაიაში გრძნობდა, რომ შესწევდა ძალა წინააღმდეგობა გაეწია შვედისათვის, რომელიც ქადაგებდა გამოუმცხვარი ლავაშები და მოუხარშავი ფეტვის ფაფა ჭამეთო, ამიტომაც წინააღმდეგობა არ გაუწევია ჩვენთან რომ დარჩენილიყო, მაგრამ არავითარი გულისყური, არავითარი სიმპატია არ გამოუჩენია. მე კი მალე დავუმეგობრდი.

თავისი ცხოვრების ამბავი მითხრა.

ამ მონათხრობში რა არის სიმართლე და რა მონაგონი, მე ვერ გაინვსჯი, ამიტომ სიტყვასიტყვით გავიმეორებ რაც მითხრა.

ისტორია იწყება იმ დროიდან, როცა იგი ნიუ-იორკის მდიდარი სახლის მეპატრონე გახლდათ. ერთხელ გაუგონია, საბრალო ქალი, მისი სახლის ერთ-ერთი სარდაფი რომ ჰქონდა დაქირავებული, როგორ უჩიოდა ბედს და წყევლიდა მას, მდიდარ სისხლისმსმელს, აქაოდა, ნესტიან სარდაფში უკანასკნელ გროშებს მართმევსო.

„ვიგრძენი მისი სიტყვების სიმართლე და დაირღვა კიდეც ჩემი სულიერი სიმშვიდე. ბედნიერება დავკარგე. რაკი ადამიანის დანიშნულება ამ ქვეყნად — ბედნიერებაა, საკუთარ თავს დავეკითხე, რად ვიხდ და ჩემი სიმდიდრე, თუკი ტანჯვას მომიტანს. ვიფიქრე, რა გავაკეთო, ისევ ბედნიერი რომ ვიყო-მეთქი? და გადავწყვიტე ჩემი სახლ[illegible] ული ოთახი საჩუქრად გამეცა. ქალმა ახლა კიდევ უფრო მ[illegible] ლანძღვა-გინებას: „მერე და ვინ ამინაზღაურებს იმ წლების მწუხარებასა და შიმშილს, — ყვიროდა იგი, — ჩვენ რომ გადავიტანეთ, როცა ქუჩაში გვერეკებოდა ამ ნესტიანი სარდაფიდან ეს სისხლისმსმელი და გვართმევდა საკუთარი ოფლითა და სისხლით მონაგარ ფულს?“ ბედნიერების ნაცვლად ჯოჯოხეთში ჩავვარდი. მაშინ გავიქეცი. გავემგზავრე ინდოეთში და იქ საკუთარი შრომით ვირჩენდი თავს. სწორედ ინდოეთში გავიგონე ტოლსტოის ამბავი! აი, ეს კაცი საჩემოა-მეთქი — ვიფიქრე მე, — ვიცხოვრებ მასთან, მის შვილებს ფიზიოლოგიას შევასწავლი, რათა შეიცნონ ბუნების კანონები, ისწავლონ ამ კანონების თანახმად ცხოვრება და ბედნიერნი იყვნენ. მიწაზედაც ვიმუშავებ. აი რა გავიფიქრე და კიდეც გამოვეშურე, როგორც ხედავთ უკვე აქა ვარ...“

ჩემთვის ფიზიოლოგიის სწავლება საბრალო აბრაამმა ვერ შეძლო, მიწის დამუშავება კი თვითონაც არ უცდია. ვფიქრობ, როცა ბეგიჩევკაში კარტოფილს ძირს უთოხნიდა, იგრძნო რომ ეს აღემატებოდა 70 წლის ბერიკაცის ძალღონეს და ამიტომაც სამუდამოდ აიღო ხელი ამ სამუშაოზე.

ცხოვრობდა იასნაიაში და დღითიდღე გრძნობდა, რომ თავის ადგილას არ იყო და ოჯახის დიასახლისს თვალში არ მოსდიოდა.

მისი ფიზიოლოგიის გაკვეთილები მხოლოდ ეს იყო, რომ თვითეულ ქალს გვერდში ატაკებდა თითს, აბა, ერთი ვნახოთ კორსეტს თუ ატარებსო. ვისაც შეამჩნევდა უქადაგებდა მეტად მავნებელი რამ არისო, ვისაც არა ჰქონდა იმას აქებდა. საერთოდ, ადამიანს რაც შეიძლება ნაკლები ტანსაცმელი უნდა ეცვასო. ძილის დროს ჟოლოსფერ ბამბის საბანს იხურავდა, რომელიც დაუკითხავად წამოელო თურმე რაევსკების სახლიდან. პერანგი წელამდე ვადაღეღილი ჰქონდა, იცვამდა მოკლე პანტალონებს, რომლებსაც დროდადრო მუხლს ზემოთ აიკარწახებდა ხოლმე. ფეხსაცმელს საერთოდ არ ატარებდა და არც ჰქონდა.

ჟოლოსფერი საბნის გარდა, კიდევ გრძელი დაგლეჯილი ძველი ხალათი ჰქონდა, როცა შესცივდებოდა მაშინ იცვამდა.

აივანზე იძინებდა, პირდაპირ იატაკზე, ქვეშაგების გარეშე. თავქვეშ ცარიელ ბოთლს იდებდა, რადგანაც მისი აზრით, ბალიში თავს ახურებს და ყურებს გიხშობს, ეს კი ჯანმრთელობისათვის მავნებელია.

მიირთმევდა ქერის ფაფას და იმვიათად ბოსტნეულს, სადილად რომ მოგვართმევდნენ.

ერთხელ რძე შევთავაზე.

— დედაჩემი დიდი ხანია გარდაიცვალა, — მიპასუხა და მოწყენილმა შემომხედა.

რადგან ვერ გავიგე რა კავშირი იყო ჩემს ნათქვამსა და მის პასუხს შორის, თვალები დავაჭყიტე.

— ერთადერთი დედაჩემის რძეა, რომელზედაც მე უფლება მქონდა, — მიპასუხა მან, — ძროხის რძე კი ხბოს ეკუთვნის.

იასნოპოლიანელი შინამოსამსახურენი უდიდესი ზიზღითა და აღ-
შფოთებით უყურებდნენ შვედს და ჩვენი მსახური ზოგჯერ კიდეც გვა-
ფრთხილებდა მე და ჩემს დას ტერასაზე ნუ დაიარებით, რადგან იქ
თითქმის შიშველი შვედი წევს, საცვლები არ აცვიაო.

ერთხელ აბრაამს ვსთხოვე დადექით მენატურედ და დაგხატავთ-
მეთქი.

— კარგიო, — მითხრა, — ოღონდ წუთით მადროვეთ გავშიშვლ-
დები. არაფერია ადამიანის სხეულზე უფრო მშვენიერი და იგი შიშველი
უნდა დაიხატოსო.

მე მაინც ვარჩიე ჩაცმული დამეხატა, თუმც იგი არც თუ მაინცდა-
მაინც ხალისით დამიდგა მენატურედ.

ერთხელ, დედა თურმე ხეივანში მიდიოდა და გუბურასთან ბალახზე
მოსეირნე შიშველი ფიგურა დაუნახავს. დაუკვირდა და შვედი შეიცნო!

აბრაამი დედაჩემის დანახვაზე ოდნავადაც არ შემცბარა, არც აჩ-
ქარებულა, დამალულიყო, არამედ მშვიდად სცემდა ბოლთას მზის გუ-
ლზე.

ბალახზე ეფინა მისი საცვლები, ახლახან რომ ამოერეცხა ტბორ-
ში. რადგან გამოსაცვლელი არ ჰქონდა, იძულებული იყო შიშველი და-
ლოდებოდა, ვიდრე მზეზე გაშრებოდა მისი ერთადერთი ხელი ტანი-
სამოსი.

დედაჩემი აღშფოთდა.

შვედის მიმართ არაკეთილგანწყობა იასნაია პოლიანაში დღითიდღე
იზრდებოდა, და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ საცოდავი აბრა-
ამი გააძევეს ჩვენი სახლიდან.

ასე იყო ეს ამბავი. იასნაია პოლიანაში ჩამოვიდა ახალგაზრდა კარ-
გად ჩაცმული ფრანგი (ბატონი იურე, „ფიგაროს" რედაქტორი. იგი
მამასთან ჩამოვიდა, რათა გამოეკითხა შიმშილობის ამბები და ამის თა-
ობაზე სტატია დაეწერა).

შუა ზაფხული იყო, ცხელოდა და ჩაის ვსვამდით სახლის წინ მდგა-
რი ხეების ჩრდილში. იურემ ქალბატონებს პაპიროსის მოწევის ნება
გვთხოვა და რაკი თანხმობა მიიღო, სიგარა ამოიღო და მოუკიდა. იქვე
მჯდარი შვედი დაუფარავი ზიზღით შეჰყურებდა ფრანგს. როცა იურემ
გააბოლა, შვედი მომიბრუნდა და ჩვეულებისამებრ ინგლისურად მთხო-
ვა მეთარგმნა ფრანგისათვის შემდეგი სიტყვები.

— ჰკითხეთ ამ ადამიანს, — მითხრა მან, — სურს თუ არა, რომ
სახეში შევაფურთხო.

დავინახე, როგორი შეშინებული თვალებით შემომხედა დედამ,
იმედოვნებდა, რომ არ შევუსრულებდი შვედს თხოვნას. მაგრამ მე ახა-
ლგაზრდა და საკმაოდ ეშმაკი გახლდით, და წინასწარ მოვემზადე თავი
შემექცია მოსალოდნელი ორთაბრძოლით. სწრაფად შევხედე მამას და
შევნიშნე, რომ რამდენადმე მხიარულად და მაცდურად მიყურებდა, ამი-
ტომ თამამად და ხმამაღლა ვუთხარი:

— ბატონო იურე, ეს ბატონი გეკითხებათ, გსურთ თუ არა, რომ
მან სახეში შეგაფურთხოთ? — ვკითხე ფრანგულად.

იურეს საქციელი წაუხდა, შეცბა, მაგრამ თავს მოერია და ღირ-
სების გრძნობით ჰკითხა:

— კი მაგრამ... რისთვის?

შვედს გადავეცი, რომ ფრანგი გეკითხებათ: „რატომ?“

— უთხარით, — მითხრა შვედმა, — რომ გულს მირევს კვამლის სუნი, რომელსაც ის აფრქვევს. — მე ვუთარგმნე.

— თქვენ კი გადაეცით, — გაცხარდა ფრანგი, — რომ ქალბატონებმა ნება დამრთეს, მას კი ყურადღებას არ ვაქცევ, მით უფრო, რომ ასე თუ არ მოიქცეოდა, გული ამერეოდა მისი ჭუჭყიანი ფეხების დანახვაზე.

— ცრუობს, — მიპასუხა შვედმა მშვიდად, როცა ვუთარგმნე ფრანგის პასუხი. — გადაეცით, რომ ცრუობს, რადგან ჭუჭყის დანახვაზე გული არ შეიძლება აგერიოს, ხოლო მყრალი კვამლის სუნზე შეიძლება გულიც აგერიოს, უსიამოვნო გრძნობაც აღგეძრას და გაწყინოს კიდეც.

დედაჩემი ჩემსკენ საშინელი თვალებით იყურებოდა, მაგრამ უკვე აღარ მინდოდა შეჩერება, მით უფრო რომ მამაჩემის თვალებში აკიაფებული ეშმაკური ნაპერწკალი საამისოდ მაქეზებდა.

ბოლოს და ბოლოს ფრანგი მთლად გაცხარდა, და თქვა, ქალბატონები რომ არ ისხდნენ, ამ მოხუც თავხედს სილას გავაწნავდიო.

აქ დედაჩემის სტუმარმასპინძლობის გრძნობამ იძალა და საჭიროდ ჩათვალა დაეცვა თავისი ფრანგი სტუმარი. აღელვებულმა და გაბრაზებულმა ინგლისურად უთხრა შვედს, რომ თუკი არ გსურთ თავაზიანად მოექცეთ ჩემს სტუმრებს, შეგიძლიათ სადაც მოგესურვებათ, იქ წაბრძანდეთ იასნაია პოლიანადან.

ისევე აღუშფოთებლად და მშვიდად, როგორც ფრანგს ელაპარაკებოდა, შვედი დედაჩემს მიუბრუნდა.

— იცით თუ არა, — უთხრა მან დედას, — რომ დედამიწაზე ხუთი აკრი მიწა მე მეკუთვნის...

— მერე და გაემგზავრეთ იქ, — შეაწყვეტინა სიტყვა დედამ.

— დავიანგარიშე, — განაგრძო შვედმა, — რომ ყოველ ადამიანს ჩვენს პლანეტაზე უფლება აქვს ხუთი აკრი მიწა გამოიყენოს. მაშასადამე, მეცა მაქვს ამის უფლება, და მსურს ეს ხუთი აკრი მიწა ავიღო აქ.

— მე კი არა მსურს, — ისევ შეაწყვეტინა სიტყვა დედამ, — აიღეთ თქვენი ხუთი აკრი სადაც გნებავთ, მაგრამ არა იასნაია პოლიანაში!

— კარგი, — მორჩილად უთხრა მოხუცმა შვედმა, — რადგან ასე მეწინააღმდეგებით, შემიძლია აქ არ ავიღო. მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ უარი მითხრათ მიწის იმ ფართობზე, რომელსაც იჭერს ჩემი ორი ფეხისგული... აი, ამდენი — უთხრა მან და ორივე ხელისგული დაიწყო მაგიდაზე, რათა ეჩვენებინა, რამდენი მიწის დაკავება სურდა.

დედამ არც იმდენი მიწის მიცემა ისურვა.

და გადაწყდა შვედი გაესახლებინათ იასნაია პოლიანადან.

მაშინ შევთავაზე ჩემს მამულში, ოვსიანიკოვოში გადასულიყო, იასნაია პოლიანადან შვიდიოდ ვერსზე, ცარიელი პატარა ხის სახლში ეცხოვრა.

რადგან სახლში არავითარი ავეჯი არ იდგა, ვკითხე, რა ჩამოვიტანოთ-მეთქი.

— ერთი ცარიელი ბოთლიო, მითხრა.

ალარ დამიტანებია ძალა და აი ამ ავეჯით გადასახლდა შვედი ოვსიანიკოვოში.

ოვსიანიკოვოს კარმიდამოში — ერთ ქოხში ჩვენი ნაცნობი მ. ა. შმიდტი ცხოვრობდა, მეორეში — დარაჯი. არც მარია ალექსანდრეს ასული და მით უმეტეს არც დარაჯი ინგლისურად [illegible] ლაპარაკობდნენ, შვედმა კი რუსული არ იცოდა, ასე რომ [illegible] ერთმანეთს [illegible] ეგებლად იყო განწირული.

ზოგჯერ მამანემი ჩააკითხავდა ცხენით, ხშირად მე ფეხით ან ცხენით ჩავდიოდი და აი მაშინ მოიჯერებდა შვედი გულს ცხოვრებაზე საუბრებითა და ქადაგებით. ხშირად ჩამყავდა იქ ჩემი სტუმრებიც, ხოლო ზოგჯერ შვედს მოინახულებდა ტულის გუბერნატორის ზინოვიევის ოჯახი, აგარაკზე რომ ცხოვრობდა ოვსიანიკოვოს მეზობლად. მათთან ერთად ჩადიოდა იქ მაშინდელი ვიცე-გუბერნატორი ი. მ. ლეონტიევი, შესანიშნავად მოუბარი ინგლისურად.

არა მგონია აბრაამს ვინმე დაერწმუნებინოს, აუცილებელია ადამიანი პირველყოფილ ცხოვრებას დაუბრუნდესო, მაგრამ გულისყურით კი უსმენდნენ, რადგან მშვენივრად ლაპარაკობდა მგზნებარედ, გულწრფელად, დამაჯერებლად. და ეს ბერიკაცი მიქელანჯელოს ფრესკაზე დახატულ წინასწარმეტყველ იერემიას რომ მოგაგონებდათ, ლამაზი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, ძალზე შთამბეჭდავი სანახავი იყო.

როცა მარტო რჩებოდა ოვსიანიკოვოში, დაჯდებოდა იატაკზე ცარიელ სახლში და ჩანაწერებს აკეთებდა. მერე წასაკითხად მაძლევდა: ინგლისურად იყო დაწერილი რაღაც უცნაური ორთოგრაფიით, თვითონვე რომ გამოეგონებინა. ამბობდა, რომ გაამარტივა რთული და სულელური ინგლისური ორთოგრაფია, მაგრამ მე, ვინც ჩვეულებრივ ორთოგრაფიას ვიყავი შეჩვეული, მიძნელდებოდა მისი ნაწერის გარჩევა. ესეც არ იყოს, ჩემის აზრით მისი ნაამბობი, გაცილებით სჯობდა მის ნაწერს.

საღამოს აბრაამი დაწვებოდა ცარიელ ოთახში პირდაპირ ხის იატაკზე, თავქვეშ კი ცარიელ ბოთლს ამოიდებდა.

ქალური გუმანით ვგრძნობდი, რომ მოხუცს ზოგჯერ მოეწყინებოდა და ობლად გრძნობდა თავს ამ მიყრუებულ, დახავსებულ კარმიდამოში, სადაც მხოლოდ კოჭლი დარაჯი და მოხუცი, სუსტი მუდამ საქმიანი დედაბერი ცხოვრობდნენ. აბა მათთან რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა. მაგრამ შვედი არ ჩიოდა. იგი მთელი არსებით საკუთარ ფიქრებში იყო ჩანთქმული.

ზაფხულში მე და მამა ისევ უნდა წავსულიყავით ბეგიჩევკაში საზაფხულოების საქმეებთან დაკავშირებით. მაგრამ მამა შეუძლოდ შეიქნა და მარტო გამგზავნეს. ყველანი შემპირდნენ წერილებს გამოგიგზავნითო და მართლაც პირველსავე ფოსტამ მოიტანა მამაჩემის, დედაჩემის, მაშასა და სხვების წერილები. მამა რამდენიმე დავალებას მაძლევდა და ერთი-ორი ალერსიანი, გამამხნევებელი სიტყვაც მომწერა. დედა მატყობინებდა ყველაფერს, რაც იასნაია პოლიანაში ხდებოდა, და სხვათაშორის შვედის ამბავიც არ დავიწყნია, „იყო შვედი, ისადილა, ზანდერს (ჩვენს სახლში მცხოვრებ სტუდენტ-მედიკოსს) რაღაცას მედიცინაზე შთააგონებდა, და მისი ხმა ყველაფერს ახშობდა, რაც ძალზე მოსაბეზრებელი იყო.

შემოდგომაზე, როცა მთელი ჩვენი ოჯახი იასნაია პოლიანადან გასამგზავრებლად ემზადებოდა, აბრაამიც მოემზადა. გარკვევით თვითონაც არ იცოდა, საით წავიდოდა. ფული სულ ორასი მანეთი ჰქონდა. ბოლოს, როგორ ჩამოვიდა ბეგიჩევკაში მამასთან, მისთვის უნდოდა მეცა დამშეულებს მოახმარეო, მაგრამ მამაჩემს ფული არ გამოურთმევია, არ უნდოდა აბრაამი უფულოდ დარჩენილიყო.

როცა გაემგზავრა, აბრაამს იასნაია პოლიანაში დარჩა თავისი ძეწკვიანი საათი, რომელზედაც კიდევ მიმაგრებული იყო კომპასი და რაღაც სხვა ხელსაწყოები. ეს ნივთები შვეიცარიაში გავუგზავნეთ იმ მისამართზე, ჩვენ რომ დაგვიტოვა. რამდენიმე კვირაში ამანათი უკან დაგვიბრუნდა, რადგან ადრესატი ვერ ეპოვნათ.

საით წავიდა? სად იხეტიალა? კიდევ დიდხანს იცოცხლა? სად დატოვა თავისი ბებერი ძვლები? — აი კითხვები, რომელზედაც ვერასოდეს ვერავინ შეძლო პასუხის გაცემა.

„დედაბერი შმიდტი“

პატარა კარმიდამოში, დაახლოებით ცხრა ვერსში ტულიდან, ბოსტანსა და ჭისკენ მიმავალ შარაგზას შორის, რამდენიმე ძველი მტირალი არყის ხეების ძირში, არის პატარა, მოგრძო ბორცვაკი. ამ ადგილას განისვენებს მარია ალექსანდრეს ასული შმიდტის ნეშტი „დედაბერი შმიდტი“, როგორც მას ეძახდნენ მისი სიცოცხლის ბოლო წლებში. იგი გარდაიცვალა 1911 წელს. მისი მეგობრისა და მასწავლებლის, მამაჩემის ლევ ტოლსტოის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდგომ.

როცა ეს ქალი გარდაიცვალა მის მეგობრებს არა ერთხელ მოუსურვებიათ მოგონება დაეწერათ. მისი ცხოვრებისეული ამბები არ შეიძლებოდა დავიწყებას მისცემოდა, რადგან გულისამაჩუყებლად იცხოვრა ამ ქვეყნად და ბევრს გამოადგებოდა გაკვეთილად. რამდენჯერმე მოვკიდე კალამს ხელი, რათა მოკლედ მაინც მომეთხრო ის, რაც ხსოვნას შემორჩა. მაგრამ ველარ ვბედავდი, როცა გამახსენდებოდა, რა უჩვეულოდ თავმდაბალი და რაოდენ მორჩილი ბუნების ქალი იყო. მას მუდამ უმძიმდა და უხერხულად გრძნობდა თავს, როცა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, ლაპარაკობდნენ ან ზრუნავდნენ მასზე. „სულო დამეხსენით“ — ამბობდა ასეთ შემთხვევებში და ხუმრობით ხელს გაიქნევდა. და რატომღაც მეუხერხულებოდა, ვაითუ მისი მორიდებულობა ხელვყო-მეთქი, მაგრამ დედაბერი შმიდტის ხსოვნა ისე ხშირად გამომდგომია მაგალითად და ახლაც სამაგალითოა, იმდენჯერ გავუმხნევებივარ ჩემი ცხოვრების მძიმე წუთებში, რომ ვბედავ სიკვდილის შემდეგ მაინც გიამბოთ ამ თავმდაბალ ადამიანზე ყოველივე რაც მახსოვს და ვიცი.

ყველაზე გაცხარებულ დროს, როცა მამაჩემის სულში გარდატეხა ხდებოდა, როცა მისი სიტყვებით, ცხოვრების განწყობილება შეეცვალა, სხვა სურვილები გაუჩნდა, და სიკეთემ და ბოროტებამ ერთმანეთს გაუცვალეს ადგილები, როცა იგი მგზნებარედ და გულწრფელად წერდა ყოველივე იმას, — მისი ერთ-ერთი ხელნაწერი თხზულება ხელთ ჩაუვარდა მოსკოვის ნიკოლაევის სასწავლებლის ერთ-ერთი კლასის დამ-

რიგებელს ოლგა ალექსის ასულ ბარშევას. ოლგა ალექსის ასული გახლდათ ფაქიზად აღზრდილი, კარგად განათლებული, ნაზი ყვავულების თხელი ქალი ძველი თავადის ოჯახიდან. და ამასთან ერთად ნაზი, მგრძნობიარე სულის პატრონი. ტოლსტოის თხზულება რომ წაიკითხა, იგი გააკვირვა სიმართლის უზარმაზარმა ძალამ, რასაც ხელოვნებისა სუნთქავდა. თავისი შთაბეჭდილება უსათუოდ უნდა გაეზიარებინა უახლოესი მეგობრისათვის — მარია ალექსანდრეს ასული შმიდტისთვის, რომელიც იმავე სასწავლებელში მსახურობდა. პირდაპირმა და გაბედულმა მარია ალექსანდრეს ასულმა თავდაპირველად მოისურვა გაეგო რაზე წერდა ტოლსტოი თავის სტატიაში. როცა გაიგო, რომ იგი მართლმადიდებლობას ჰკიცხავდა, მარია ალექსანდრეს ასულმა, ამ ფრიად მორწმუნე ქალმა, უარი განაცხადა სტატიის წაკითხვაზედაც კი, ესოდენ რიდით რომ ურჩია ბარშევამ.

— თქვენი ტოლსტოი — ულმერთოა! ჩამოეხსენით გეთაყვა! მე არც წავიკითხავ! — პირდაპირ მიახალა მარია ალექსანდრეს ასულმა.

მაგრამ ოლგა ალექსის ასული არ მოეშვა. ცოტა ხანში ისევ შესთავაზა მარია ალექსის ასულს ხელნაწერის წაკითხვა.

— არ შეიძლება ლანძღოთ და უარყოთ ის, რაც არ წაგიკითხავთ, — ჩუმად შენიშნა მან თავის მედგარ ამხანაგ ქალს.

მარია ალექსანდრეს ასულს რაღა ეთქმოდა ბარშევას სამართლიან შენიშვნაზე და დაიწყო ხელნაწერის კითხვა. პირველივე სტრიქონებიდანვე თხზულებამ დაატყვევა და ისე მიიჯაჭვა მისი ყურადღება, რომ ბოლომდე სულმოუთქმელად წაიკითხა.

— სულო ჩემო ოლგა ალექსის ასულო. — შესძახა მან თავის მეგობარ ქალს როცა ბოლომდე წაიკითხა. — უნდა ვიშოვო ყველაფერი რაც აქვს დაწერილი ტოლსტოის ამგვარი სიტყვებით.

— გავიგონე, რომ სახარების ახალი თარგმანი გაუკეთებია, — თქვა ოლგა ალექსის ასულმა.

— მაშ ახლავე წავიდეთ სინოდის ბიბლიოთეკაში და ვიკითხოთ, ხომ არ შეიძლება ამ თარგმანის ყიდვა.

რასაკვირველია, სინოდის ბიბლიოთეკაში არათუ ვერ იპოვეს ტოლსტოის სახარება, არამედ მანდილოსნების მოთხოვნამ შეაცბუნა და აღაშფოთა კიდეც დამკვეთნი.

— მაშინ წავიდეთ თვითონ ტოლსტოისთან! — გადაწყვიტა მარია ალექსანდრეს ასულმა.

ოლგა ალექსის ასული გაშტერდა... არ ეთანხმებოდა, ეუბნებოდა, როგორ შეიძლება უცნობი ადამიანი შეაწუხო და თავი მოაბეზროო.

— მერე და როგორ შეხედავს ტოლსტოი ჩვენს მისვლას...

— დამეხსენი გეთაყვა, თქვენი არისტოკრატიული მანერებით! — ყვიროდა იგი და თან სწრაფად იცვამდა, — ადამიანმა თვალი აგვიხილა, სინათლე გვიჩვენა! სიცოცხლე მოგვცა! ჩვენ კი მაღალი საზოგადოების წესებზე, ზრდილობაზე ვფიქრობთ! ჩაიცვით და გავემგზავროთ.

კაფანდარა ოლგა ალექსის ასული დაემორჩილა და ორივე მანდილოსანი ქალი გაემგზავრა ხამოვნიკიში, სადაც იმჟამად ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა.

ყველაფერი, რაც აქამდე დავწერე, მარია ალექსანდრეს ასულის გადმოცემით ვიცოდი, და ვფიქრობ, რომ არც ერთი სიტყვა არ გამომრჩენია, რადგან უყვარდა ამ დროის გახსენება და ხშირად მიამბობდა ხოლმე. შემდეგ მომითხრო როგორ შეხვდა მამა მასა და ოლგა ალექსის ასულს ჩვენი მოსკოვის სახლის დარბაზში. იქვე მეც ვიყავი. [illegible] რსიანად შეეგება ქალებს, კარგად ესაუბრა და მაშინვე [illegible] მათ წინ ახლობელი და ძვირფასი ადამიანი იდგა.

— თქვენ მაშინ სულ მთლად ახალგაზრდა იყავით, — მეუბნებოდა მარია ალექსანდრეს ასული, — თმა სწორედ გქონდათ გადავარცხნილი. მამამ მოგიყვანათ ჩვენთან და გვითხრა — „ეს კი ჩემი მდივანი გახლავთ“.

ამ ხნიდან მარია ალექსანდრეს ასული და ოლგა ალექსის ასული ხშირად დადიოდნენ ჩვენთან. ჩვენ მათ „მამაჩემის კლასის დამრიგებელ ქალებს“ ვეძახდით. ყველანი ალერსიანად და მეგობრულად ვექცეოდით.

მარია ალექსანდრეს ასული ქმედითად შეუდგა ცენზურის მიერ აკრძალული მამაჩემის თხზულებათა გადაწერას. მასთან მუდმივი ურთიერთობა მქონდა, ხან ხელნაწერს მივაწვდიდი, ხან თხზულებებში ახალი შესწორებები შემქონდა, ხანაც მამაჩემის სხვადასხვა დავალებას გადავცემდი. ცოტცოტაობით მარია ალექსანდრეს ასული ჩვენი ოჯახის მეგობარი გახდა. განსაკუთრებით დაუმეგობრდა ჩვენი ოჯახის ყველაზე უმცროს წევრს — ჩემს პატარა ძმას ვანიკოს, ჯერ ისევ ბავშვი, რომ გარდაიცვალა. როცა ყველანი იასნაია პოლიანაში გავემგზავრებოდით ვანიკო თუმცა ძლივს ახერხებდა წერას, მაინც როგორღაც წერილებს უგზავნიდა მოსკოვში მარია ალექსანდრეს ასულს. ერთ-ერთ წერილში მე რომ გამომიგზავნა მარია ალექსანდრეს ასული მწერს: „საყვარელ ვანიკოს მადლობას ვუთვლი წერილის გამო. გული ამიჩუყდა. მან ხომ თვითონ მომწერა. როგორი საყვარელი, კარგი ბიჭუნაა! უთხარით, რომ არასოდეს დამავიწყდება მისი ჩემდამი ესოდენი ყურადღება. მაგრად ვკოცნი“.

დედაჩემსაც მუდამ სიყვარულითა და პატივისცემით ექცეოდა. მალე ყველა ჩვენი ინტერესი მისთვისაც გულითადი და მახლობელი შეიქნა და თანდათანობით ჩვენი მეგობრები მისი მეგობრებიც გახდნენ.

რადგან მარია ალექსანდრეს ასულსა და ოლგა ალექსის ასულს რწმენა მკვეთრად შეეცვალა და ორივენი ჩამორჩნენ მართლმადიდებლურ რელიგიას, იგრძნეს, რომ სასწავლებელში დარჩენა მათთვის უკვე შეუძლებელი იყო და ორივენი გადადგნენ. უნდოდათ ძალა მოესინჯათ თუ შეძლებდნენ ფიზიკურად შრომას. მათ გეგმებიც კი შეიმუშავეს ახალი შრომითი საქმიანობისათვის. ჩვენი ჩრდილოეთის ჰავა ორი სუსტი, შრომას შეუჩვეველი ქალისათვის აძნელებდა ცხოვრებას დაქირავებული მუშახელის გარეშე, მარტო საკუთარი ძალებით, ამის გამო გადაწყვიტეს სამხრეთში გადასახლებულიყვნენ, სადაც ბუნებასთან ბრძოლა ასე ძნელი არ არის, და გარდა ამისა იქაური ჰავა გამოაჯანმრთელებდა ავადმყოფ მარია ალექსანდრეს ასულს.

მამა თანაუგრძნობდა ამ გადაწყვეტილებას. გამოჩნდა საერთო ნაცნობი, რომელიც დასთანხმდა მიეცა ახალი კოლონისტი ქალებისათვის მიწის ნაკვეთი საარენდოდ სოჭთან ახლოს.

დაიწყო სამზადისი. შეიკრიბებოდნენ მეგობრები, ვინ შურით, ვინ კიდევ შიშით შეჰყურებდა ამ ორ მამაც ქალს, რომლებიც ემზადებოდნენ საკუთარი შრომით მოეპოვებინათ პური არსებისა.

მარია ალექსანდრეს ასულს ტულაში პატარა სახლი ჰქონდა, რომელიც კავკასიაში გამგზავრების წინ რამდენიმე ათას მანეთად გაეყიდა.

ბოლოს მეგობრები გამოგვეთხოვნენ და გზას გაუდგნენ.

ერთ-ერთ სადგურში მოსკოვსა და ხარკოვს შორის მიმავალ მოგზაურ ქალებს მოპპარეს საგზაო ჩანთა, რომელშიც ფული და პასპორტი ჰქონდათ. იძულებულნი შეიქმნენ ხარკოვში გაჩერებულიყვნენ და საქმე ისე მოეწყოთ, რომ გზის გაგრძელება შესძლებოდათ. ქალები ამოდენა ზარალმა კი არ დააღონა, პირიქით, თავი ისე დაიჭირეს, თითქოს უკეთესიც კი იყო ასე რომ მოხდა.

— ღმერთმა მოგვხედა, — ამბობდა შემდგომ მარია ალექსანდრეს ასული, — ჩავედით კავკასიაში მარტო საკუთარი ხელების ანაბარა, და ამგვარად მაშინვე აღმოვჩნდით იმ ხალხის მდგომარეობაში, იძულებულნი რომ არიან შრომით გაიტანონ თავი. ფული გვაცდუნებდა, დაქირავებულ მუშახელს გამოვიყენებდით და სხვებსაც ვაცდუნებდით.

მიიღეს რა კავკასიაში მიწის ნაკვეთი მეგობრები მუხლჩაუხრელად შრომობდნენ მიწაზე. მოხუცი არც ერთს არ ეთქმოდა, ალბათ ასე, ორმოც წლამდე იქნებოდნენ. მარია ალექსანდრეს ასული ქალწული იყო, ოლგა ალექსის ასული — ქვრივი. ორივენი სუსტი ჯანის პატრონები და ამიტომ ფიზიკური შრომისათვის გამოუსადეგარნი იყვნენ.

ახალგაზრდობაში მარია ალექსანდრეს ასული ჭლექით იყო ავად, და იმ ხანებშიც, ჩვენ რომ გავიცანით პერიოდულად ძლიერი ბრონქიალური შეტევა ემართებოდა. მეტისმეტად გამხდარი იყო, ცარიელი ძვალი და ტყავი. მძიმედ სუნთქავდა, და ზოგჯერ ვვესმოდა ამოსუნთქვისას მკერდში როგორ უხიხინებდა ნახველი. ექიმები ურჩევდნენ მშვიდად ეცხოვრა, არაფერი ეკეთებინა, თორემ ნაადრევად დაიღუპებიო, ემუქრებოდნენ, თუ კი მათ რჩევას არ შეასრულებდა. მაგრამ მარია ალექსანდრეს ასული არ შეუშინდა ექიმების მუქარას, და მიწის მუშის მძიმე ხვედრი იტვირთა.

სინამდვილეში მართალი თვითონ აღმოჩნდა და არა ექიმები. კავკასიაში მუშაობის პირველსავე წლებში მარია ალექსანდრეს ასულს გადაავიწყდა თავისი ბრონქიტი, ავადობამ მხოლოდ სიცოცხლის მიწურულს შეახსენა თავი. მაგრამ მაშინაც კი ამ მძიმე სენმა ვერ აიძულა რაიმე შეეცვალა თავის ცხოვრებაში.

კავკასიიდან გვწერდა, რომ „ზორბა ქალი" გავხდიო.

მამამ ამაზე უპასუხა: თქვენ უდავოდ აჭარბებთ, როცა ამბობთ ზორბა ქალი გავხდიო, ძალზე ვშიშობ, მეტისმეტად ქანცგაწყვეტილი ხომ არა ხართ. თუმცა, ამას არაუშავს, ოღონდ იცოცხლეთ...

მიწის სამუშაოების მთელი სიმძიმე, რა თქმა უნდა, მარია ალექსანდრეს ასულს დააწვა მხრებზე. ძალიან კი ცდილობდა ოლგა ალექსანდრეს ასული მიხმარებოდა მინდვრად თუ ბოსტანში, მაგრამ პატარა ხელებისა და სუსტი აღნაგობის ქალმა ვერ გაუძლო ფიზიკურ შრომას.

— არა, გეთაყვა, მარია ალექსანდრეს ასულო — ეუბნებოდა იგი, — უჩემოდ მოთიბეთ, მე კი წავალ და მეტიუ არნოლდს წავიკითხავ...

მარია ალექსანდრეს ასული ზოგჯერ გაბრაზდებოდა.

— როგორი ეგოისტი ხართ! თქვენ ხომ მოითხოვთ რძიანი ჩაის, მერე და საიდან მოვიტანო რძე თუკი თივას არ მოვიმარაგებთ ზამთარში ძროხისათვის! აბა, — მერე ცოტა შეარბილებდა კილოს, — წადით, წადით! ოღონდ სამოვარი დადგით. თორემ ჩაი ...

თივას რომ აიღებდა მარია ალექსანდრეს ასული ... იმ იმედით, რომ ჩაი ადუღებული დახვდებოდა. მაგრამ არც სუფრა იყო გაშლილი და არც სამოვარი დუღდა.

ოლგა ალექსის ასული იჯდა სკამზე, ცალ ხელში წიგნი ეჭირა, მეორე ხელში მარაო და უბორიებდა სამოვრის მილში. სამოვარი იატაკზე იდგა იქვე მის გვერდით და ჯერ კიდევ არ ადუღებულიყო.

მარია ლაექსანდრეს ასულს გულიანად ეცინებოდა, მოეხვეოდა თავის საყვარელ, უგერგილო მეგობარს, გააჩაღებდა ნახშირს და რამდენიმე წუთში უსხამდა ჩაის ოლგა ალექსის ასულს. ამ დროს კი ოლგა ალექსის ასული უამბობდა მშვენიერ ამბებს, არნოლდის წიგნში რომ ამოიკითხა.

როგორღაც ოლგა ალექსის ასული ვერ გაუფრთხილდა თავს და კავკასიური ციება შეეყარა. მამამ გაიგო ეს ამბავი და მეგობარ ქალებს წერილი გაუგზავნა:

„განსაკუთრებით სასიხარულო იყო, ოლგა ალექსის ასულო, თქვენი ამბის შეტყობა, რადგან ვიცოდი, რომ ციება შეგეყარათ და ვშიშობდი. რა კარგად ცხოვრობთ! თქვენი ცხოვრება რაღაც საარაკოდ წარმომედგინა, თურმე რა დრო გასულა... ცხოვრობენ ყველანი ადამიანურად, მხოლოდ მე ვერ ვცხოვრობ ისე, ადამიანებს რომ შეეფერება, რაღაცნაირად საძაგლად ვცხოვრობ. ზოგჯერ სევდა მომეძალება, მაგრამ ვკიცხავ საკუთარ თავს. კი არ უნდა იდარდო, არამედ უკეთ უნდა იცხოვრო. სულ ვცდილობ ვწერო, მაგრამ ცუდად გამომდის. ოღონდაც კი ღმერთმა შემაძლებინოს არა ვქმნა, არა ვთქვა, არ გავიფიქრო ბოროტება“...

სხვა წერილში კი სწერს:

„რაოდენ სასიხარულოა კარგი ამბების გაგება თქვენზე... უცნაური გრძნობა მაქვს თქვენდამი: ვიცი როცა სულში სიკეთეა, ამ ქვეყნადაც ყოველივე კეთილად იქნება. ვიცი, რომ სულში სიკეთე გაქვთ, მაგრამ მაინც მეშინია, მეტისმეტი არ მოგვიდეთ, არ გადაიღალოთ შრომით, და რაღაც არ მოხდეს, — თუმც კი ვიცი, არაფერია მოსახდენი. აქამდე ტყუილად ვშიშობდი, და მხოლოდ სიხარულს მგვრიდა თქვენი ცხოვრება. ღმერთმა ინებოს, რომ ასევე სიხარულს განიჭებდეთ ჩვენცა და სხვა მახლობელი ადამიანებიც. ასეთი სიხარული, მადლობა ღმერთს, უამრავი მაქვს...“

1890 წლის 10 აგვისტოს მამა წერს:

„გმადლობთ თქვენი წერილის გამო... თქვენ ხშირად მიხდით მადლობას, მე კი არ ვიცი როგორ გადაგიხადოთ ყველა იმ სიხარულის სანაცვლოდ, რომლებსაც თქვენ მანიჭებთ? თვითეული თქვენი ამბის გაგება (გემ შემატყობინა) და თქვენი წერილი — სასიხარულოა. აი ცხოვრობენ ადამიანები ადამიანური ცხოვრებით და არამც თუ არ ნანობენ წარმართობა რომ დააგდეს, არამედ მხოლოდ ხარობენ. და როგორი ადამიანები — სუსტნი, არაჯანსაღნი. ვერასოდეს ვერ შევძლებ მრვი-

ფიქრო და დავწერო ისეთი მტკიცებები, ჩვენს მიერ ნაქადაგევი მოძღვრების სასარგებლოდ, როგორსაც თქვენ იძლევით საკუთარი ცხოვრებით.

ცხოვრობდნენ მარია ალექსანდრეს ასული და ოლგა ალექსის ასული მიწის ნაკვეთზე, რომელიც არენდით ჰქონდათ აღებული კავკასიაში დიდი ხნის წინ დამკვიდრებული მიწათმფლობელი სტარკისგან. ქალები ძალზე დაუმეგობრდნენ და როგორც კი რაიმე საჭიროებდათ, მაშინვე მიაშურებდნენ რჩევისა თუ დახმარებისათვის.

მაგრამ რატომღაც სტარკი უნდა გამგზავრებულიყო და მეგობარმა ქალებმა გადაწყვიტეს კავკასიის დატოვება.

მათ ეს ამბავი მამას შეატყობინეს და მისგან ასეთი პასუხი მიუვიდათ:

„დიდი ხანია ველოდი თქვენგან რაიმე ამბავს, ძვირფასო მარია ალექსანდრეს ასულო და აი გავიგე კიდეც — კარგიც და ცუდიც. კარგი იმიტომ, რომ ცოცხლები ხართ, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, მთლად ცუდი არა, მაგრამ არც მთლად კარგი, იმიტომ რომ თითქოს ნანობთ კავკასიაში რომ გადახვედით, თითქოს თუ სტარკი არ იქნება, შეიცვლება ყველა თქვენი განზრახვა და თითქოს ამიტომაც გინდათ უკან დაბრუნდეთ.

ნუ შეადგენთ გეგმებს, ნუ ივარაუდებთ, რომ არსებობს დრო, ადგილი და ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ საჭირონი და მნიშვნელოვანნი იყვნენ თქვენი ცხოვრებისათვის და რომ არის ადგილი, დრო და ადამიანები, რომელთა შორის თქვენ არ შეგეძლებათ იყოთ კარგი და ამიტომაც სავსებით ბედნიერნი.

მოგვწერეთ, გეთაყვა, კიდევ და რაც შეიძლება სწრაფად და ესევე სთხოვეთ ოლგა ალექსის ასულსაც, გადაეცით მას ჩემი სიყვარული და იგივე რჩევა: რაც შეიძლება ნაკლებად იმოქმედეთ. რაც უფრო გამოუვალი გეჩვენებათ მდგომარეობა, მით უფრო ნაკლებად უნდა იმოქმედოთ. მოქმედებით ჩვენ, ჩვეულებრივად ვაფუჭებთ ხოლმე პირობებს, რომლებიც თავისთავად საუკეთესოდ მოგვარდებოდა. გეთაყვა, ოლგა ალექსის ასულო მომწერეთ და რაც შეიძლება დაწვრილებით თქვენი მდგომარეობა, რა განზრახვანი გაქვთ, და ფინანსური ამბები. თქვენ ეს არ უნდა გაინტერესებდეთ, მე კი მაქვს უფლება გულისყური გამოვიჩინო.

საკუთარ თავზე კარგის გარდა ვერაფერს მოგახსენებთ. დღითიდღე უფრო სასიხარულო ხდება ცხოვრება, სულიერი განწყობილებაც გამიუმჯობესდა და გარეგანი პირობებიც სასიკეთოდ შეიცვალა.

ამ წერილის მიღების შემდეგ მეგობარი ქალები აღარ გაჰყოლიან საკუთარ მეგობარს.

საიდანღაც ღმერთმა შემწედ მოუვლინათ მათ თათარი ალი, ვინაც თავისი ალალი გულით იგრძნო სულიერი სიალალე ორი განსწავლული მანდილოსნისა. დარჩა მათთან საცხოვრებლად და გაიზიარა მათი ხვედრი.

მამა მუდმივად უგზავნიდა წერილებს მეგობარ ქალებს, ამხნევებდა და თანაუგრძნობდა ყველა საქმეში, რაც არ უნდა შემთხვეოდათ.

„მადლობელი ვარ თქვენი, ძვირფასო მარია ალექსანდრეს ასულო და ოლგა ალექსის ასულო, — წერს მამა 1891 წლის 3 თებერვალს, —

რომ ისევ და ისევ გვახარებთ თქვენი წერილებით. იმდენად კარგად ცხოვრობთ (ვგულისხმობ თქვენი ცხოვრების გარეგნულ ფორმას), რომ ყოველთვის, როცა თქვენი წერილები მოდის შიში-ამიტომ, ვიდრე გავხსნიდე და კითხვას დავიწყებდე, ვაითუ გავიგო, რომ სხვაგვარად დაგიწყიათ ცხოვრება. მაგრამ, მადლობა უფალს, ყველაფერი კარგად მიდის, და თქვენ, ქრისტიანმა რობინზონებმა იპოვეთ თქვენი პარასკევა-ალი, გადაეცით მას ჩემი სალამი.

ვლაპარაკობ გარეგნულ ფორმაზე, რადგან მარტო ის ერთი შეიძლება შეიცვალოს ჩვენგან დამოუკიდებლად... ადრე ხშირად ვიტყუებდი თავს, სულ საწინააღმდეგო აზრი მქონდა, ვფიქრობდი, თუ კი ჩემი ცხოვრების ფორმა უზნეოა და მე არ შემიძლია მისი შეცვლა, ეს ხდება განსაკუთრებით უბედურ შემთხვევათა გამო, მაგრამ ახლა კი ვიცი, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მე ჩემი მორალურ-ზნეობრივი ძალებით მზად არა ვარ და არა მაქვს უფლება უკეთეს პირობებზე. პირიქით ფიქრი, ყველაფერი რომ გარეგან პირობებს გადააბრალო, საშინლად მავნებელი თვითმოტყუებაა, რაიც ადამბლავებს ჭეშმარიტი ცხოვრებისათვის საჭირო ძალას, რომელმაც ჭეშმარიტებისა და სიყვარულის გზით უნდა გატაროს...“

სხვა წერილში მამა მარია ალექსანდრეს ასულს უზიარებს თავის სამუშაო გეგმას და ლიტერატურულ ჩანაფიქრს.

„ოდესღაც მინდოდა დამეწერა ასეთი იგავი, მითი, წერს მამა, — რომ ადამიანები ციგებით მიცურავენ უფსკრულისაკენ, სადაც ისინი დაიმსხვრევიან და მათგან აღარაფერი დარჩება. და აი, ისინი გზაში, ციგებზე მსხდომნი, ერთმანეთს ედავებიან, ეკინკლავებიან, რომ ერთი მეორეს არ აძლევს მშვიდად ჯდომის საშუალებას და ტანისამოსს უსვრის. ერთადერთი საქმე, რაიც ღირს გააკეთოთ თვითეულმა ამ ციგებზე, ის არის, რომ ერთმანეთს სიხარულის ღიმილი მოჰგვაროთ, მივაგოთ სიყვარული, ის ერთადერთი, რაიც არ დაიმსხვრევა უფსკრულში და გადარჩება.

ძალზე ბევრს ვწერ. ვწერ ძალიან ნელა, უამრავჯერ ვასწორებ და არ ვიცი ეს რის გამო ხდება, ბუნებრივმა ძალამ მიმტყუნა, რაც ცუდი არ არის, ოღონდ კი სიყვარულის ნიჭი მომემატოს, თუ ის საგანი, რაზედაც ვწერ, ფრიად მნიშვნელოვანია“.

კავკასიაში მეგობრებმა ოთხიოდ წელიწადი იცხოვრეს.

ბუნებით სუსტი ჯანის ოლგა ალექსის ასული, რომელიც კიდევ უფრო დაასუსტა ციებამ, როგორღაც გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა. ავადმყოფობამ რამდენიმე დღეში ჩაიყვანა სამარეში.

მარია ალექსანდრეს ასული მარტო დარჩა. უნუგეშო დღეში ჩავარდა. დარჩენა კავკასიაში მარტოხელა ქალისა, საყვარელი მეგობრის გარეშე, სადაც თვითეული წვრილმანი მის თავს ახსენებდა, აღარ შეეძლო, ძალა აღარ ეყო და ისიც ჩვენსკენ გამოეშურა. იცოდა, რომ ჩვენს ოჯახში შეეძლო თავისი მწუხარება გადმოელვარა, ეტირა და გული მოეოხებინა.

სიხარულისა და მღელვარებისაგან თვალებცრემლიანი შევხვდით საყვარელ მარია ალექსანდრეს ასულს. ოთხი წლის განშორების შემდეგ

როგორც კი ჩამოვიდა, იმ დღესვე წერილი გაუგზავნა ჩემს და მაშას, რომელიც მაშინ არ იმყოფებოდა იასნაია პოლიანაში:

„ძვირფასო მაშა, არაფრის მოწერა არ შემიძლია. მხოლოდ ერთს გეტყვი. ძალიან, ძალიან კარგად ვარ. დღეს თქვენთან, იასნაიაში დიდხანს და ისე კარგად ვესაუბრე სოფია ანდრიას ასულს. ლევ ნიკოლოზის ძე შინ არ იყო. შემდეგ მოვიდა და თვალებს არ ვუჯერებდი, რომ ცოცხალს ვხედავდი, თუმცა მთელი ეს სანი მტკიცედ მწამდა, რომ უსათუოდ ვნახავდი... ლევ ნიკოლოზის ძე მხნედ არის, მაგრამ ამ ოთხ წელიწადში ძალიან გამხდარა. ყველა თქვენები დიდი სიყვარულით შემხვდნენ...“

მის წერილს მამამ რამდენიმე სიტყვა მიაწერა: „საღამოს ჩამოვიდა მარია ალექსანდრეს ასული და რომ იგი ისევ ისეთივეა. ძალზე საინტერესოა მისი ნახვა...“

1893 წლის 11 ივნისს მამა ისევ უგზავნის წერილს მაშას:

„... მარია ალექსანდრეს ასული ძალზე კარგი ადამიანია. ნათელი, მშვიდი, სალისიანი და არაჩვეულებრივად მტკიცე საკუთარი მსოფლმხედველობა აქვს.

მარია ალექსანდრეს ასულმა არ ისურვა ჩვენს სახლში ცხოვრება და სოფელში ერთ გლეხის ქალთან დასახლდა. ჩვენსა ხშირად შემოირბენდა, რათა წაეკითხა მამაჩემი რასაც წერდა და თან მოეგონებინა განსვენებული ოლგა ალექსის ასული. რითაც იხსნება თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ოლგასთან. კიცხავდა საკუთარ თავს, რომ ვერ მოუარა და ვერ დაიფარა თავისი ავადმყოფი მეგობარი ქალი.

— ოჰ, მე კიდევ ეგოისტს ვეძახდი! — გულმოკლული იხსენებდა იგი — თვითონ მე საშინელი ეგოისტი! — და მარია ალექსანდრეს ასულს ცრემლები ახრჩობდა.

დროთა განმავლობაში მწუხარება განელდა და მარია ალექსანდრეს ასულს ისევ სამუშაოსაკენ მიუწევდა გული. იგი ეხმარებოდა, რამდენადაც ძალა შესწევდა ოჯახს, სადაც ცხოვრობდა, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა.

ხშირად მამა და მე მივდიოდით მის გაწკრიალებულ სამყოფელში გლეხის ქოხში და რაზე არ ვსაუბრობდით — მატერიალურსა თუ განყენებულ საკითხებზე.

ერთხელ გვიამბო ამ დღეებში რა ამბავი შემთხვევია, თან სიცილით კვდებოდა.

...ერთ დილას, მის დიასახლისს მარია ალექსანდრეს ასულისათვის თოკი მოუტანია და უთხოვია სახაზინო ტყეში წადით და ერთი შეკვრა ფიჩხის კონა მოიტანეთო. მარია ალექსანდრეს ასულს წაუკრავს თავზე თავსაფარი შალი, აუღია თოკი და წასასვლელად გამზადებულა. დედაბერს ჭიშკრამდე მიუცილებია და გამოთხოვებისას ურჩევია, თვალი გეჭიროს, სადმე მეტყეველს არ გადაეყაროო.

— თორემ ლიაქსანა, მაშინვე თავსაფარს მოგხდის და თოკს წაგართმევსო.

მარია ალექსანდრეს ასული გაშეშდა.

— გეთაყვა, საქურდლად მგზავნით? — აყვირდა იგი, — ერთი უყურეთ! საქურდლად მგზავნის! არა გეთაყვა, შემეშვით! ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებია და არც გავაკეთებ!

კუთხეში მიაგდო თოკი, ჩაუარა გვერდით შემცბარ დიასახლისს და ქოხში შებრუნდა.

მარია ალექსანდრეს ასულს გამყოლი გული არ ჰქონდა, ამიტომ მალე მოლბა და თავისი დიასახლისი კიდეც გაამართლა. მაგრამ სოფელში, გლეხის ოჯახში ცხოვრება მისთვის, ვისაც მარტოობა და სიჩუმე უყვარდა, — უფრო და უფრო უძნელდა. ამას ვხედავდით, და რომ არ დაგვეკარგა ეს ძვირფასი ადამიანი შევთავაზეთ ჩვენს მეზობლად პატარა მამულში, ოვსიანიკოვოში დასახლებულიყო, სადაც ერთი პატარა სახლი და ორი ქოხი იდგა. აქ მას შეეძლო თავის გემოზე ეცხოვრა.

ეს მამული იასნაია პოლიანადან ექვს ვერსშია და ადრე მარია ალექსანდრეს ასულის ძმას ვლადიმერ შმიდტს ეკუთვნოდა. ერთხელ მოსკოვში მარია ალექსანდრეს ასულმა უამბო დედაჩემს, რომ მის ძმას საქმეები აერია, ამიტომ მამული უსათუოდ უნდა გაყიდოს, რადგანაც დიდი ოჯახი ჰყავს სარჩენი. მარია ალექსანდრეს ასულს ფრიად აწუხებდა ძმის მდგომარეობა. რომ დაემშვიდებინა, დედა შეჰპირდა ოვსიანიკოვოს ვიყიდითო. იმ ხანებში დედას თავისუფალი ფული ჰქონდა, ამიტომ ტულაში გამგზავნა, სათანადო საბუთები გამატანა. დამავალა ოვსიანიკოვოს მამული იყიდეო.

როცა ჩვენი ოჯახი გაიყო 80-იან წლებში, ოვსიანიკოვო მე მერგო წილად რაკი მაშინ ახალგაზრდა ქალიშვილი ვიყავი, საცხოვრებლად მშობლებთან დავრჩი, ოვსიანიკოვოში კი მარტო დარაჯი ცხოვრობდა. სწორედ ეს ოვსიანიკოვო შევთავაზეთ მარია ალექსანდრეს ასულს. იგი სიხარულით დაგვთანხმდა და ერთ-ერთ ქოხში დაბინავდა. სახლი მეტისმეტ ფუფუნებად მოეჩვენა, მაგრამ ქოხითაც არ უნდოდა მუქთად ესარგებლა და საფასურს იმით მიხდიდა, რომ კარმიდამოს და ხილის ბაღს უვლიდა. როცა ვთხოვე, თავს ნუ დაიტვირთავთ და ვინმე დაიქირავეთ კარმიდამოში სამუშაოდ-მეთქი, ეწყინა და ერთხელ მომწერა, „ვიცხოვრო ოვსიანიკოვოში და არაფერი გავაკეთო თქვენთვის — ჩემს ძალ-ღონეს აღემატება, უმჯობესია წავიდე თქვენგან, რაკი ჩვენს შორის არ არის მოყვრული დამოკიდებულება“.

1907 წელს შევაკეთეთ მარია ალექსანდრეს ასულის ქოხი და გომური მივაშენეთ მისი ძროხის მანეჩკასათვის. როცა მარია ალექსანდრეს ასული ისევ დაბრუნდა ქოხში, ველარ მორჩა მის ქებას და მადლიერების გამომხატველ წერილს წერილზე მიგზავნიდა.

„მადლობა, დიდი მადლობა, ძვირფასო ტანეჩკა, მეფური სახლისათვის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დიდი ხანია გადავედი, ვცხოვრობ და ვხარობ და გუნებაში სულ მადლობას გწირავთ, მართლაც, სანაქებო შენობა გამოვიდა. აი უკვე რამდენიმე დღეა ყინავს 25 და 23 გრადუსი ყინვაა, ქოხში კი სითბოა. მერე და რა ნათელია, ადვილად სუნთქავ, იატაკიდან არ უბერავს — ერთი სიტყვით, ისეთი მშვენიერი რამ არის, არსად წასვლა არ მოგინდება. ხშირად ჩემი მეგობარი გლეხები დაიარებიან, რომ გათბნენ“.

„... ჩემთან თბილა, მიუხედავად სასტიკი ყინვებისა. მე კი ვწევარ თუ ფეხზე ვარ, სულ თქვენზე ვფიქრობ. სულ მადლობას გწირავთ ჩინებული, თბილი, დიდებული შენობისათვის,“ — მწერს იგი 1908 წლის 4 იანვარს.

სასიხარულო იყო ოვსიანიკოვოში ჩასვლა და მარია ალექსანდრეს ასულის პატარა მეურნეობის ნახვა. მისი ქოხი, ორ ნაწილად გაყოფილი, მუდამ დაგვილი და დაწკრიალებულია. ქოხის უკანა ნაწილში, წინასაგან მაგიდითა და რუსული ღუმელით რომ არის გამოყოფილი, საწერი მაგიდა დგას. კედელზე ჰკიდია კალენდარი [illegible] „ფასი ლევ ნიკოლაევიჩის“ პორტრეტით. წინა ნაწილში დგას მაგიდა, კედელზე კი ჰკიდია ჭურჭლეულის თარო. ყოველგვარი იარაღმოწყობილობა: სარეცხი მანქანა, კარაქის სადღვები, ხელის პლანეტი წკრიალებს და თავის ადგილას დევს. ხენდროს პლანტაცია ბოსტანი და ხილის ბაღი — სანიმუშოდ მოვლილი. მარია ალექსანდრეს ასულის ქოხზე მიშენებულია ცივი ფარდული საიდანაც გასასვლელია გომურში, მარია ალექსანდრეს ასულის საყვარელ ძროხა მანეჩკასთან, წლების მანძილზე რომ კვებავდა და შემოსავალს აძლევდა თავის პატრონს.

მანეჩკა მუდამ მაძღარია, სუფთა, ვარდისფერი დრუნჩი, მშვიდად და კეთილად გამომზირალი თვალები. მერე მანეჩკამ ხბო მოიგო — რიჟენიჩკა და მაშინ მარია ალექსანდრეს ასულმა მთლად ბობოლად ჩაცვალა თავი.

უნდოდა ფუტკარიც მოეშენებინა და მამაჩემს შეუკვეთა მისთვის ნიმუშად სკა გაეკეთებინა. 1895 წლის იანვარს იგი წერს მამას მოსკოვში:

„ძვირფასო ლევ ნიკოლოზის ძევ, გააკეთებინე დურგალს ჩემთვის სკა ნიმუშად თქვენი ხელმძღვანელობით. ხოლო მასალისა და გადმოგზავნის ფულს მე ტატიანა ლევის ასულთან გავასწორებ. ოღონდ კარგი იყოს, სასწრაფოდ გააკეთებინეთ, ახლა ზამთარში კაცები თავისუფლად არიან და იაფად მოჰკიდებენ ხელს სამუშაოს, გაზაფხულზე კი გაძვირდება და აღარ გააკეთებენ. ძველებურად ვცხოვრობ — მხიარულად და კარგად, სულ მთლად ჯანმრთელად ვარ. მაგრად გეხვევით სუყველას. თქვენი მარია შ.“

არ მახსოვს გააკეთებინა თუ არა მამამ სკა, მაგრამ მახსოვს რომ ფუტკარი ჰყავდა და თაფლით გვიმასპინძლდებოდა.

მიხვიდოდი ფეხით ან ცხენით, ის კი მის ბოსტანშია და შორიდან მოჰკრავს თვალს სტუმარს და შესახვედრად მოისწრაფის. თითქოს ახლაც ვხედავ: თავზე ჩითის ჭრელი თავსაფარი წაუკრავს, გამხდარ, გაძვალტყავებულ მხრებზე ქურთუკი მოუსხამს, წელზე თოკი აქვს შემოხვეული ქამრის ნაცვლად, მოკლე ქვედა კაბა აცვია, მაღალყელიანი მამაკაცის ჩექმები მოუჩანს. მის ფეხებთან გორაობს და ეალერსება ყინვაში გადარჩენილი საცოდავი ფეხებმონგრეული ძაღლი შავოჩკა.

მარია ალექსანდრეს ასული მეხვევა და მკოცნის. და მისი გაძვალტყავებული ყვრიმალები ლოყებზე მესობა.

— ტანია! გეთაყვა! — გახარებული ყვირის იგი — როგორ არის მამა? წამო, ჩაი დავლიოთ!

და ჩვენ ქოხში შევდივართ. მაშინვე სამოვარს დგამს. შემდეგ სარდაფში ჩაძვრება, იქვე, იატაკქვეშ რომ აქვს მოწყობილი და გამოაქვს დანამული კოჭობი ცივი რძით. თაროდან იღებს შავ პურს, მაგიდაზე დებს მარილს, ჩაის ჭურჭელს და ხის კოზს ნაღების მოსართმევად.

ვიღრე სამოვარი ადუღდებოდეს, ვსაუბრობთ. საუბარში მუდამ

ყველაზე ძვირფასსა და მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ საკითხებს ვეხებით, ხშირად ორთავეს სიხარულის ცრემლი გვიბრწყინავს თვალზე.

უმეტესად მამაჩემზე ვსაუბრობთ.

— ოჰ, ტანია! — თვალცრემლიანი მეუბნება იგი, — რა დიდი სიყვარული აქვს ლევ ნიკოლოზის ძეს ადამიანებისადმი, [illegible] რამდენი მუშაობა დასჭირდა, რათა შესძლებოდა ხალხისთვის გადაეცა იგი. რამაც ხალხს ბედნიერება მოუტანა! ვინ შესძლებდა ესოდენ უზარმაზარი შრომა გაეწია, თუ არა იგი. ამისათვის მხოლოდ გონება და ნიჭი არა კმარა, საჭიროა ადამიანი გიყვარდეს უდიდესი სიყვარულით. სხვაგვარად შეუძლებელია დაძლიო დაუძლეველი, გაუკეთებელი საქმე გააკეთო.

ამ ქალმა იცოდა, რომ მამა წლობით მუშაობდა თავის რელიგიურ თხზულებაზე, იცოდა, იმისათვის უფრო ნათელი და გასაგები რომ გაეხადა, კეთილსინდისიერად გადააკეთებდა და გადაასწორებდა ხოლმე „აურაცხელჯერ", როგორც თვითონ წერდა ხოლმე მამა, ამოწმებდა და წონიდა თვითეულ სიტყვას.

— აი ტანეჩკა, — ამბობდა იგი, — თაობა თაობაზე იზრდებოდა ცრუ რწმენისა და ცრუ მეცნიერების გარემოში, ხოლო ძვირფასმა ლევ ნიკოლოზის ძემ ყოველივე ეს ამხილა და ნათელჰყო.

მამა ასე ძლიერ კი უყვარდა, მაგრამ ზოგჯერ მარია ალექსანდრეს ასული მაინც აძლევდა თავს ნებას, გაეკიცხა და რაკი მისი სული უყვარდა, ძალზე იტანჯებოდა, როცა მას ეჩვენებოდა, რომ მამა არ იდგა იმ სიმაღლეზე, მას რომ ეკადრებოდა.

მახსოვს, მამაჩემის სტატიამ „არ ძალმიძს დუმილი" გული ატკინა მარია ალექსანდრეს ასულს და ამიტომ არც გადაუწერია და არც გაუვრცელებია, როგორც მისი სხვა თხზულებები.

— ეს თვითონ არ არის ამ სტატიაში. ეს სიყვარულით არ არის დაწერილი, გაბოროტებული ნაწერია, — ამბობდა იგი, — არა, არ არის ძვირფასი ლევ ნიკოლოზის ძე ამ სტატიაში არა...

ხშირად სამეურნეო საკითხებზედაც ვსაუბრობდით. მიამბობდა, რაც გააკეთა ჩემთვის ოვსიანიკოვოში, აგრეთვე თავის პირად საქმეებსაც მანდობდა.

— აი, ტანეჩკა, — მეუბნებოდა და თავის სარეცხ მანქანას მაჩვენებდა, რა დიდი საყრდენია ჩემთვის სარეცხი მანქანა. უამისოდ ვერ შევძლებდი შინამოსამსახურის გარეშე თავის გატანას. ახლა კი ყველაფერს თვითონ ვაკეთებ.

როცა სამოვარი ადუღდებოდა, მარია ალექსანდრეს ასული ჩასხამდა ჩაის სუფთა ტოლჩებში, დაჭრიდა თხელ და მოგრძო ნაჭრებად შავ სურნელოვან პურს. მე კი ხის კოვზით მოვხდიდი თავს სქელ ნაღებს, ჩავიდებდი ჩაიში, მარილს მოვაყრიდი პურზე და ასე მეგონა ჩემ სიცოცხლეში არასოდეს დამილევია და მიჭამია უფრო გემრიელი რაიმე-მეთქი.

დროდადრო მარია ალექსანდრეს ასული გადის თავისი ქოხიდან და გაჰყურებს სოფლისაკენ მიმავალ ბილიკს. მან იცის, რომ თითქმის ყოველთვის, როცა ვინმე ესტუმრება იასნაია პოლიანადან, მამაც ვერ მოითმენს და უეჭველად ისიც ჩამოვა ცხენით.

და მართლაც ხედავს, რომ სოფლის ფარდულებს მიღმა მხედარი გამოჩნდა. მარია ალექსანდრეს ასული შემორბის ქოხში და ყვირის: „მამა!“

შემდეგ შესახვედრად გარბის.

ზოგჯერ მამა ჩამოხდება ცხენიდან, მიაბამს და ქოხში შეგორდის, უფრო ხშირად კი ცხენზე მჯდარი ესაუბრება მარია ალექსანდრეს ასულს. ქალი დგას მის გვერდით, ხელი ცხენისათვის ჩაუვლია მხარზე და აღტაცებული, მოსიყვარულე თვალებით მისჩერებია.

მამა ცოტა გადმოიხრება ცხენიდან და უყვება რა წერილები მიიღო, ვინ ჰყავდა მნახველები.

როცა მამა უკან გაბრუნდება, ქოხში შევალთ და ცოტა ხანი ჩუმად ვართ. მარია ალექსანდრეს ასული სავსეა შთაბეჭდილებებით, მამასთან შეხვედრამ და საუბარმა რომ დაუტოვა და არ მინდა განწყობილება დავურღვიო. შემდეგ მეც მივდივარ და ვგრძნობ, რომ დღეს უფრო უკეთესი ადამიანი გავხდი.

ზოგჯერ დავითანხმებ ხოლმე მარია ალექსანდრეს ასულს ჩემთან ერთად წამოვიდეს. მაშინ იგი სასწრაფოდ გამოიცვლის საშინაო კაბას, ჩაიცვამს „არისტოკრატიული სახლებისათვის განკუთვნილ კაბას“, როგორც ხუმრობით იტყოდა ხოლმე და ჩვენც მივდივართ იასნაია პოლიანაში. მთელი საღამო ჩვენთან იყო, დაიძინებდა კიდეც. დილით კი უთენია უბრუნდებოდა ოვსიანიკოვოში თავის საქმეს.

ხან კი, როცა მარია ალექსანდრეს ასული სამუშაოს შეუნაცვლებდა, შეაბამდა თავის ზარმაც პიატაჩოკს, თვითონ წამოიყვანდა ცხენს და ჩამოვიდოდა იასნაია პოლიანაში. შოლტი მარია ალექსანდრეს ასულს არ სჭირდებოდა, რადგან პიატაჩოკის გაჭენება არ შეიძლებოდა. მიდიოდა ცხენი ისე, როგორც თვითონ უნდოდა, ანუ ისე მოზოზინებდა კაცი იფიქრებდა საცაა დადგებაო და ასე, გაივლიდა რა საათნახევარში ექვსიოდე ვერსს, პიატაჩოკი მოიყვანდა მარია ალექსანდრეს ასულს ჩვენს სადარბაზომდე.

ზამთრობით მგზავრობა უჭირდა. საოცრად გამხდარი მარია ალექსანდრეს ასული მცივანა იყო და ამიტომ მეტისმეტად თბილად იცვამდა. ჩაიცვამდა ფუფაიკას, ქურთუკს, მოკლე ქურქს, თავზე ჯერ ჩითის თავსაფარს წაიკრავდა, ზევიდან მოქსოვილ დაბამბულ ქუდს დაიხურავდა, ქუდს ზემოთ ნაქსოვ თავსაფარს შემოიხვევდა... ასე გამოწყობილი გაჯიხინებულ სანგს ჰგავდა, რომელსაც ძალიან უძნელდება ყოველგვარი მოძრაობა.

ჩამოიცვამდა ხელზე თბილ თათმანებს, აიღებდა ხელში აღვირს და მიემგზავრებოდა იასნაია პოლიანაში. თუ გზაში არავინ შეხვდებოდა, მაშინ უზრუნველად ჩამოვიდოდა, თუ შემხვედრი მარხილი გამოჩნდებოდა, მაშინ უჭირდა. პიატაჩოკი არასგზით არ გადაუხვევდა თოვლში და ხშირად შემხვედრი მარხილები გადააყირავებდნენ თოვლში მარია ალექსანდრეს ასულის პატარა მარხილს. თუ კი მოახერხებდა და პიატაჩოკს თოვლში გადაიყვანდა, მერე ისევ გზაზე გამოყვანაც არ იყო იოლი საქმე: ნამქერში ჩავარდნილი პიატაჩოკი ჩაწვებოდა თოვლში და იწვა მშვიდად, ვიდრე ლაგამით არ გამოათრევდნენ ნამქერიდან. უნდა

დალოდებოდა მარია ალექსანდრეს ასული ვინმე მგზავრს, რომელიც გაჭირვებაში დაეხმარებოდა ან თვითონ უნდა გამომძვრალიყო მარხილიდან, ლაგამში ჩაევლო ხელი პიატაჩოკისათვის და გამოეყვანა გზაზე. ამასობაში ვალინკებში თოვლი ჩაეყრებოდა და თვითონაც ველარ სუნთქავდა, იმდენი რამ ეცვა.

ჩვეულებრივ საღამო ხანს ჩამოვიდოდა ხოლმე, რადგან ზეზე თავისუფალი დრო იყო მისთვის. ამას გარდა ისიც იცოდა, რომ სწორედ ამ დროს იჯდა მამა დიდ დარბაზში მრგვალ მაგიდასთან, ოჯახის წევრებთან და სტუმრებთან ერთად. მარია ალექსანდრეს ასული თვალებში შესციცინებდა და იწოვდა თვითეულ მის ნათქვამ სიტყვას, რათა შემდეგ ამ სიტყვებით ეცოცხლა მომავალ შეხვედრამდე.

თუმცა ამ ქალს უდიდეს სიხარულს ანიჭებდა თავის მეგობართან და მასწავლებელთან შეხვედრა, მაინც პირველ რიგში საქმეს აყენებდა და არასოდეს თვით ამ სიხარულის გულისთვისაც კი არ მიუცია თავისი თავისათვის ნება საკუთარი მოვალეობა სხვისთვის გადაელოცა. მამაჩემის სიცოცხლის ბოლო წელს ასე მიპასუხა წერილზე, რომელშიც ვთხოვდი საღამო ჩვენთან, იასნაია პოლიანაში გაეტარებინა:

ავადმყოფმა ძროხამ არ გამომიშვა. სხვას ხომ ვერ დავავალებ მის მოვლას — სირცხვილია.

როცა ჩემი მშობლები მოსკოვში ცხოვრობდნენ, ის იქაც ჩადიოდა მათ სანახავად. მაგრამ ოვსიანიკოვოში მუდამ სიხარულით ბრუნდებოდა.

1900 წელს რომში მწერდა თავისი მოსკოვში ჩასვლის ამბავს:

„ძალზე სასიხარულო იყო მამათქვენის და ყველა საყვარელი მეგობრის ნახვა, მაგრამ თავადური, ქალაქური, მდიდრული ცხოვრება ჩემს სულს არ ეხამება და მე უბრალოდ ვისვენებ ბუნების წიაღში საკუთარ უბრალო და ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი“.

„ყველანი ძალიან მებრალებით, — მწერს იგი სხვა წერილში, — რომ ხელოვნურ მდგომარეობაში ცხოვრობთ“.

ასე იცხოვრა მარია ალექსანდრეს ასულმა მრავალი წელი განმარტოებულ კარმიდამოში.

დილაუთენია იწყებდა შრომას: მოწველიდა თავის მანეჩკას, მოიმზადებდა საჭმელს, გაირეცხავდა თეთრეულს, იმუშავებდა ბაღსა და ბოსტანში... საღამოს კი აინთებდა თავის ლამპას, გაიკეთებდა სათვალეს და იწყებდა გადაწერას „ძვირფასი ლევ ნიკოლოზის ძის ღვთიური აზრებისა“ როგორც თვითონ ამბობდა. (იმ ხანებში მამაჩემის ყველა ფილოსოფიური თხზულება ცენზურამ აკრძალა და ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა).

რამდენიმე ცალად გადაწერდა ხოლმე თხზულებას, რომელიც მოსწონდა და თვლიდა, ხალხისთვის სასარგებლო არისო. ხელნაწერებს თავის მეგობრებს უგზავნიდა. არა ერთხელ გამოუგზავნია, როცა იასნაია პოლიანაში არ ვცხოვრობდით, მამაჩემის რომელიმე სტატიის ხელნაწერი ანდა წერილების პირები. ზოგჯერ ეს ხელნაწერები რომელიმე საერთო მეგობრისთვის უნდა გადამეცა.

„ვგზავნი თქვენს სახელზე — რელიგიის სამ ეგზემპლიარს, —

მწერს ერთ-ერთ წერილში, — გადაეცით ისინი პოშას (პაველ ივანიჩ ბირიუკოვს), დუნაევს, და ჩერტკოვს... საჩუქრად ვუგზავნი მათ".

„გიგზავნით სულიერ საჩუქარს, — მწერს და თან ურთავს მამაჩემის წერილების პირს, — ეს ისეთი კარგი წერილია, რომ ჩემზე ფრიად სასიკეთოდ მოქმედებს".

როცა ბავშვებიან ქვრივს გავყევი ცოლად მარია ალექსანდრეს ასულმა ჩემთვის გადასწერა მამაჩემის წერილი, რომელშიც აღზრდის საკითხებს ეხებოდა.

„არ ვიცი გადმოგიგზავნათ თუ არა მაშამ მამის წერილი აღზრდაზე. მე თქვენთვის სწორედ ეს წერილი გადავწერე. ამ წერილში პოვებთ პასუხს აღზრდის საკითხებზე. თქვენი ახალი ოჯახური ცხოვრების თვითეულ ნაბიჯზე რომ შეგხვდებათ..."

მარია ალექსანდრეს ასულს ფრიად უყვარდა მარტოხელა ქალის ცხოვრებით რომ ცხოვრობდა და ყოველთვის სიხარულით ბრუნდებოდა უკან, როცა კი რაიმე საქმის გამო ოვსიანიკოვოდან გამგზავრება მოუხდებოდა.

1894 წლის 15 აპრილს იგი მოსკოვში მიგზავნის წერილს:

„... აი თქვენ სულ სწუხართ, როგორ უნდა ვიცხოვრო მარტო ასეთმა სუსტმა არსებამ. მე კი ვერა და ვერ მოვიჯერე გული სიხარულით ასე რომ ვცხოვრობ... ტულაში აქამდე არ ვყოფილვარ და მალე არც ვაპირებ ჩასვლას. ისე მენანება დავარღვიო სიჩუმე და ჩემი განმარტოებული ყოფა თუნდაც ერთი დღით".

სხვა წერილებში იწერება:

„რა სიხარული მარგუნა ღმერთმა ცხოვრებაში. არც სევდა, არც ნაღველი. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად არის და მხოლოდ ერთს ვისურვებდი, ყველამ ისე კარგად იცხოვროს, როგორც მე ვცხოვრობ".

„... ვტკბები მშვიდი, იდეალური სიმყუდროვით..."

„... ჩვენთან უფრო უკეთ არის საქმე, ვიდრე რასაც კარგად ყოფნა ჰქვია. ჩემი ბოსტანიდან არც გამოვიდოდი, ირგვლივ ისეთი სილამაზეა, ხოლო რაც მთავარია — იდეალური სიჩუმე".

1894 წლის 15 აპრილს მწერს მოსკოვში:

„... ეს-ეს არის დავბრუნდი სამუშაოდან: ჩალას ვჭრიდი ჩემს ბოსტანში და უამრავი აგური ამოვთხარე. მთელი დღე წელი არ გამიმართავს, ისე ვიმუშავე და სწორე გითხრა მიხაროდა, ირგვლივ ისე კარგია. ისეთი თბილი ამინდი იდგა, რომ მარტო კაბაში ვიმუშავე, ჩემი ბოსტნის ერთ დესეტინაზე უგრეხელი და ცოტა ქერი დავთესე. მინდოდა სულ ქერი დამეთესა, მაგრამ თესლი არავინ გამიცვალა, უგრეხელი კი ძმისწულმა მაჩუქა. მეორე ნახევარს კი ხვალ დავბარავ".

„... ჩვენთან ოვსიანიკოვოში მიწიერი სამოთხეა, — მწერს სხვა წერილში, — ჯანმრთელად ვარ და ყურებამდე ჩაფლული ბოსტანში. ვდგები გამთენიის სამ საათზე და გვიანობამდე ვმუშაობ. ორი საჟენი შეშა შევაგროვე ზასეკში, ამ დღეებში გადმოვიტან. მიხარია ხენდროს და ბოსტნეულს რომ ვხედავ".

„ჩემო ძვირფასო მეგობარო ტანეჩკა, მაპატიეთ, პასუხი რომ დაგიგვიანეთ. ამ ხანებში ბევრი ვიმუშავე თივის შეგროვებაზე, აქეთ კი-

დევ ხენდრო. საღამო ხანს ისე ვიღლებოდი, რომ მოწერის თავი აღარ მქონდა... მე, ჩემო საყვარელო, ჯანმრთელად ვარ, მხნედ, მხიარულად, სულში ზეიმი მაქვს. დილიდან საღამომდე ვმუშაობ, და მერე მეგდარივით ჩამეძინება კარავში, ბოსტანში რომ დგას...“

„მთლიანად საშემოდგომო სამუშაოს ვუნდები. სულ [illegible] და მხოლოდ არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა ღმერთსა და თქვენ, რომ ასე კარგად ვცხოვრობ...“

აი ასეთი სიხარულის შეძახილებით არის სავსე ყველა წერილი მოხუცი შმიდტისა, მარტოხელა ქალისა, ვინაც შრომაში გალია მთელი ცხოვრება.

ერთ-ერთ წერილში მამაჩემი მიშას სწერს 1906 წლის 30 იანვარს:

„ახლა სადილობამდე ვიყავი მარია ალექსანდრეს ასულთან. რძე არა აქვს, ზის მარტო თავის ქოხში, და კითხვაზე: კარგად თუ არის, ხომ არ მოგეწყინათ-მეთქი, პასუხად ტაშს შემოკრავს.

მეზობელი სოფლების გლეხებთან მარია ალექსანდრეს ასულს ყველაზე კეთილმეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. ეს თავისთავად ხდებოდა, ყოველგვარი ხელოვნური ძალდატანების გარეშე მისი მხრიდან“.

როგორლაც სოფლის ბიჭებმა გაიგეს, რომ მარია ალექსანდრეს ასულს კარგი საინტერესო წიგნები ჰქონდა, და აი, ისინი გაიქცნენ მასთან წიგნების სათხოვნელად.

„მე დიდი სიხარული მეწვია და, — მომწერა ამ საკითხთან დაკავშირებით, — უკვე მეორე დღეა, რაც ბავშვები მოდიან ჩემთან ოვსიანიკოვოდან საკითხავი წიგნებისთვის. რაოდენ სასიხარულოა, თითქოს მძიმე ტვირთი მოგვეხსნა, როცა რაიმე კარგი უშენოდ კეთდება. არავითარი ძალდატანება, არამედ ბუნებრივად, თვითონვე მოინდომეს და მოვიდნენ კიდეც. დღეს ორი მოვიდა, გუშინაც — ორი. ამათ კი სხვებიც მოჰყვებიან, და უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ საუკეთესო ურთიერთობა დამყარდება. ეს ძალზე მსიამოვნებს. ახლა მივწერ მაშას, რომ წიგნები გამომიგზავნოს, ანდა პოშას, თორემ სულ ათი წიგნი მაქვს“.

დედაკაცები მარია ალექსანდრეს ასულთან რჩევის საკითხავად და წამლებისათვის დაიარებოდნენ, გლეხები კი — სასაუბროდ.

ერთხელ ქმედითი მონაწილეობა მიიღო სახაზინო ღვინის ფარდულის დაკეტვის საქმეში, ოვსიანიკოვოს მეზობელ სოფელ სკურატოვოში. არ ვიცი ვისი თაოსნობით წამოიჭრა საკითხი სკურატოვოში ღვინის ფარდულის გახსნის თაობაზე. გლეხებს ეშინოდათ საკუთარი სისუსტის და ამიტომ დაწერეს არზა, რომ მათ არ სურთ თავიანთ სოფელში ღვინის ფარდული იყოს. თავისი არზა ერობის უფროსს გადასცეს. ეს იყო იანვარში. და მაინც იმავე წლის მარტში სოფელ სკურატოვოს ერთმა გლეხმა ს. ბ.-იმ გააქირავა თავისი ქოხი ღვინის ფარდულისათვის და სააქციო უწყებიდან ბედ ორასი მანეთი აიღო. გლეხები მივარდნენ რჩევისა და შემწეობისათვის მარია ალექსანდრეს ასულთან, ის კი თავის მხრივ სასწრაფოდ იასნაია პოლიანაში გამოეშურა. მამა იმ ხანად შეუძლოდ იყო და ეს საქმე მე მომანდო. წავედი სკურატოვოში,

ვესაუბრე გლეხებს, შევკრიბე საჭირო ცნობები და გადავწყვიტე ტულაში გავმგზავრებულიყავი, გავიგო ერთი რა ამბავია-მეთქი. ჩემი გამგზავრებიდან მეორე დღეს, 1907 წლის 10 ივნისს, მარია ალექსანდრეს ასული მწერს:

„ახლა, თქვენ რომ წახვედით სკურატოვოში ჩამოვიდა სააქციო მართვის ჩინოვნიკი ს. ბ.-ს შენობის სანახავად ღვინის სარდაფისათვის რომ გააქირავა. გლეხები მივიდნენ და ჰკითხეს, რატომ არ მოჰყვა შედეგი მათ კანონიერ მოთხოვნას, მიუხედავად იმისა, რომ გლეხებმა არზა საერობო უფროსთან 1907 წლის 17 იანვარს შეიტანეს. ჩინოვნიკი შეეკითხა: ჯერ ერთი, რატომ არ გამოგზავნეთ თქვენ, სკურატოვოს გლეხებმა სამი წლის განმავლობაში არც ერთი განცხადება სააქციო მმართველობაში, რომ არ გსურდათ ღვინის ფარდული თქვენს სოფელში? ალბათ მამასახლისმა წაგიკითხათ ეს განცხადება? (თურმე მამასახლისი უნდა შეკითხვოდა გლეხებს სურდათ თუ არა მათ სოფელში ღვინის ფარდულის გახსნა. მას ეს არ გაუკეთებია. მაგრამ როცა კრებაზე მამასახლისმა შესთავაზა გლეხებს, ვინც ფარდულის გახსნის მომხრე ხართ, დარჩით, ხოლო მოწინააღმდეგენი — გადითო, უკლებლივ ყველა გლეხმა სოფელ სკურატოვოდან დაიხურა ქუდი და გავიდა ქოხიდან). მეორეც, თქვენი მამასახლისი გამოცხადდა ჩვენთან სააქციო სამმართველოში ს. ბ.-სთან ერთად და უსაფუძვლოდ განაცხადა, რომ საზოგადოება თანახმა არის ღვინის ფარდულის გახსნაზე, გამონაკლისი მხოლოდ ორიოდე გლეხიაო. აი რატომ მისცა ბე სააქციო მმართველობამ ს. ბ.-ს თუ კი თქვენ არ გსურთ ღვინის ფარდული შემოიტანეთ ყველამ 200 მან. სააქციო მმართველობაში. მაშინ დავხურავთ. გლეხებმა უპასუხეს: „პირველად გვესმის თქვენგან განცხადების ამბავი. მამასახლისს არავითარი განცხადება არ წაუკითხავს“.

გლეხები სამჯერ მივიდნენ ვიცე-გუბერნატორთან. მესამედ რომ მივიდნენ გუბერნატორმა ცივად მიიღო ისინი, უთხრა: „ხომ გითხარით, როცა შევკრებ ცნობებს საერობოს უფროსთან და თუ თქვენმა არზამ არ დაიგვიანა — ანუ ბეს მიცემამდე მოვიდა, მაშინ ღვინის ფარდული არ ექნებათ“. გლეხებმა უპასუხეს: „ოც ივნისს ფარდულს გადმოგვიტანენ. პეტრეს დღეს მისი გახსნაა“ — „გადმოვიდეს მერე, — უპასუხა ლოპუხინმა, — ჩვენ კი განვიხილავთ საქმეს და დავხურავთ ფარდულს, თუკი თქვენი არზა ბეს გაცემამდეა შემოსული, მეტი არაფერი“. გლეხები სავსებით სასოწარკვეთილნი დაბრუნდნენ. ახლა დედაკაცებმა გადაწყვიტეს შეკრებილიყვნენ, ყველანი ერთად გუბერნატორთან წასულიყვნენ და ეთხოვათ — არ გაეხსნა ფარდული, მამასახლისს, სერგეის და უფროსობას თავშეკავებულად ექცევიან, არც კი შემიძლია გადმოგცეთ, ძვირფასო ტანეჩკა, რამდენად გულს მტკენს მთელი ეს ამბავი. შევთავაზო და დავითანხმო გლეხები შეკრიბონ ფული ბეს შესატანად, ვერ ვბედავ. 1 მან. 60 კაპ. ფუთი ფქვილი ღირს, არავითარი შემოსავალი არა აქვთ, ისღა დარჩენიათ საქონელი გაყიდონ, — ენა ვერ მომიბრუნდება ვუთხრა, ფული შეაგროვეთ-მეთქი.

ყველანი ჩავებით სახაზინო სამიკიტნოს წინააღმდეგ ბრძოლაში. დედაჩემი ტულაში ჩავიდა და ცნობები შეკრიბა, როდის მივიდა სააქციო მმართველობაში გლეხების არზა, რომ არ სურდათ ღვინის ფარ-

ღული თავის სოფელში. თურმე ბეს გაცემამდე შესულა, მაგრამ რატომ-ღაც გლეხების არზა მაუდქვეშ ამოუდვიათ.

გლეხები არ შედრკნენ და ყველანი ერთად მეხუთედ მივიდნენ ვიცე-გუბერნატორთან. ახლაც იგივე პასუხი მიიღეს: „შევეცდებით, გავარკვიოთ თქვენი საქმე სააქციო მმართველობაში და მაშინ გაცნობებთ“.

მაშინ მარია ალექსანდრეს ასულმა გადაწყვიტა ესესხებინა 200 მან. რათა ეს ფული სააქციო მმართველობაში შეეტანა. მან წერილი მისწერა ერთ თავის მდიდარ ნაცნობს და აუხსნა რისთვის სჭირდებოდა ფული და სთხოვა ესესხებინა 200 მან. იმედოვნებდა, რომ მეგობრებში ცოტა-ცოტას შეკრებდა და ვალს ასე გადაიხდიდა.

პასუხმა დაიგვიანა და მარია ალექსანდრეს ასულიც და გლეხებიც მეტად ღელავდნენ. ეშინოდათ, ფარდული თუ გაიხსნებოდა, გაცილებით ძნელი იქნებოდა მისი დახურვა, ვიდრე ის, რომ არ გაეხსნევინებინათ. მისგან ასეთი წერილი მივიღე, სკურატოველმა გლეხებმა რომ ჩამომიტანეს იასნაია პოლიანაში:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო, ტანეჩკა! დაეხმარეთ გლეხებს. სამიკიტნოს მაინც ხსნიან. ჩამოვიდა მამასახლისი და მითხრა: სამიკიტნო იქნებაო. გლეხები სასოწარკვეთილნი არიან. გეთაყვა, ჩემო მტრედო, სთხოვეთ კეთილ მიხეილ სერგის ძეს (ჩემი ქმარი მ. ს. სუხოტინი) გაისარჯოს გლეხების გულისთვის, ან იქნებ თქვენ თვითონ მიხვიდეთ გუბერნატორთან. ს. ბ.-მ გლეხებს ფული შესთავაზა, მათ უარი უთხრეს და უნდათ მხოლოდ ერთი რამ — სამიკიტნო არ იყოს.

ველაპარაკე გლეხებს. მათ მტკიცედ და ბეჯითად აქვთ გადაწყვეტილი, რომ არ დაანებებენ თავის სოფელში ღვინის ფარდულის გახსნას. საამისოდ ათასგვარ საშუალებას იგონებდნენ. ერთმა გლეხმა შემოგვთავაზა საკითხი ასე გადაწყვეტილიყო: მოდით გავახსნევინოთ დუქანი ნახევარი წლით, „დავლიოთ 200 მანეთის არაყი მთლიანად და მერე დავხუროთ, ეს რას ნიშნავს-მეთქი, იმანაც და სხვა გლეხებმაც ასე ამიხსნეს, რომ ფიქრობენ „არ მისცენ ღვინის ჩამოტანის ნება, როგორც კი მოიტანენ ყუთებით, მაშინვე დავამსხვრიოთო“. მე, რა თქმა უნდა, ძალიან გულმხურვალედ ვურჩიე, არც ერთი ექნათ და არც მეორე, შევპირდი, ერთხელ კიდევ ჩავალ ტულაში, ისევ მივდგებ-მოვდგები, ეგების რამე გავახერხო-მეთქი. გლეხები დავარწმუნე მოთმინება სჯობს, რადგან ყოველი ძალდატანება მათის მხრივ, რასაკვირველია ბუნტად ჩაითვლებოდა და ამის გამო დაისჯებოდნენ, დუქანს კი, მაინც უეჭველად გახსნიდნენ. გლეხებმა დამიჯერეს. მე ისევ გავემგზავრე ტულას“.

არ მახსოვს დაწვრილებით რა გავაკეთე, მაგრამ ვიცი, რომ საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. მდიდარი ნაცნობი, რომელმაც მარია ალექსანდრეს ასულს ეს ტვირთიც ჩამოაშორა. იგი ზეიმობდა.

„მიწამდის გიხრით თავს, ჩემო სიხარულო ტანეჩკა, — მწერდა მე, — რომ თქვენ დახურეთ დუქანი. ივანე ივანეს ძე (გორბუნოვ-პოსადოვი, მწერალი და გამომცემელი, წიგნის ფირმისა „პოსრედნიკი“, მრავალი წელი ოვსიანიკოვოში რომ გაატარა). დღეს გლეხებს დაუ-

წერს მადლობის წერილს და ისინი, ალბათ, მოვლენ თქვენთან თხოვნით, რათა ეს წერილი გუბერნატორს გადასცეთ. მათ ხომ არ მიუშვებენ. აქ ყველანი ვზეიმობთ და მადლობას გწირავთ, ძვირფასო მეგობარო!"

ხშირად დაიარებოდნენ მარია ალექსანდრეს ასულთან ავადმყოფები. უბრალო სენს იგი თვითონვე აქიმობდა, ხოლო უფრო მძიმე შემთხვევებში ავადმყოფებს თავის მეგობარ ექიმებთან გზავნიდა. რადგან ჩვენთან, იასნაიაში მამაჩემის სიცოცხლის ბოლო წლებში ექიმი ცხოვრობდა, მარია ალექსანდრეს ასული ხშირად უგზავნიდა თავის ავადმყოფებს, თან საალერსო ბარათს გამოატანდა ხოლმე და სთხოვდა ან მიეღო ავადმყოფი ან თვითონ ჩამოსულიყო. ყველანი ყოველთვის ხალისით ეხმარებოდნენ მარია ალექსანდრეს ასულს, უნებურად გადაედებოდათ ხოლმე ამ ქალის ალერსიანი და სიყვარულით სავსე დამოკიდებულება ადამიანების მიმართ.

ოვსიანიკოვოს სახლში, როცა იქ მარია ალექსანდრეს ასული ჩავიდა, პირველ წლებში მამულში მუდმივად არავინ ცხოვრობდა, მხოლოდ შემთხვევითი მაცხოვრებლები იყვნენ ხოლმე. ერთი ზაფხული გაატარა იქ ჩემმა დამ მ. ლ. ობოლენსკაიამ თავის ქმართან ერთად. საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა იქ მამაჩემის შეხედულებებთან ახლოს მდგომი ი. ი. ბოჩკარიოვი. დროებით ცხოვრობდა ფრიად უცნაური კაცი-მოხუცი შვედი აბრაამ ფონ ბუნდე. კიდევ ბაღში თვითნაკეთებ მიწურში ცხოვრობდა მოხუცი მეფუტკრე „პროფესორი", როგორც ჩვენ ვეძახდით. ეს მეტსახელი იმიტომ შევარქვით, რომ თვითონ თავის თავს მეფუტკრეობის „პროფესორს" ეძახდა. ეს იყო რუსი რობინზონის ტიპი, რომელმაც იცოდა საკუთარი ხელებით ყოველგვარი ცხოვრებისეული გასაჭირის მოგვარება-დაკმაყოფილება. თვითონ აიშენა მიწური, ჩადგა ღუმელი, გაიკეთა ფარდული და ყველაფერი რაც საჭირო იყო, მიწურის სახურავზე კი ხენდრო მოიყვანა. თვითონ იწნავდა ლიფნის მაღალყელიან ჩექმებს და ჭილის ქუდებს. სამწუხაროდ დალევა ძალიან უყვარდა და ზოგჯერ მთვრალი მიდიოდა მარია ალექსანდრეს ასულთან. ეს ამბავი ძალიან ტკენდა გულს მარია ალექსანდრეს ასულს და იგი ყოველ ღონეს ხმარობდა ზემოქმედება მოეხდინა მასზე, რათა მას დაეთრგუნა ეს დამღუპველი ჩვევა. „პროფესორი" ცდილობდა თავის შეკავებას. მაგრამ შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს საბრალო „პროფესორი" მკვდარი უპოვიათ თხრილში, იქვე ოვსიანიკოვოსთან ახლოს. თხრილი წყლით იყო სავსე და მოხუცი ალბათ დაიხრჩო, როცა გზიდან გადავარდა.

ყველა ამ შემთხვევით ბინადართა შემდგომ ოვსიანიკოვოს სახლში ცხოვრობდა გორბუნოვების ოჯახი, რომელიც ყოველწლიურად აგარაკად ქირაობდა ამ სახლს. მარია ალექსანდრეს ასულს ძალიან უყვარდა გორბუნოვების ოჯახი, რომელთანაც მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა.

წლები გადიოდა და მარია ალექსანდრეს ასულს უფრო და უფრო ხშირად აწუხებდა ჩვეულებრივი ბრონქიტები. უკვე ვამჩნევდით, რომ ძალამ საკმაოდ უმტყუნა და მუშაობა უფრო და უფრო უმძიმდა.

„ეს ქალი ისე დაძაბულად ცხოვრობს, რომ მის გამო მუდამ მეშინია“, — წერს ლევ ნიკოლოზის ძე ერთ წერილში თავის ქალიშვილს მაშას. ყველანი შეშფოთებულები ვიყავით მისი ავადმყოფობის გამო. მაგრამ მარია ალექსანდრეს ასული მუდამ გვეხვეწებოდა ნუ სწუხართ და ნურც ზრუნავთ ჩემზეო.

„დიდად მადლობელი ვარ ძვირფასო ტანეჩკა, ბელეკონი რომ გამომიგზავნეთ, — მწერდა მე, — უკეთ მეძინა, მაგრამ უფრო მეტად მომედინა ოფლი. ახლა თავს უფრო მხნედ და ძლიერად ვგრძნობ. ჩემო მტრედო, ჩემო ძვირფასო, თხოვეთ მამას ნუ ჩამომაკითხავს, ჩანს მალე გამოვკეთდები და თვითონ მოგინახულებთ სუყველას. ძალზე მეშინია კოზლოვსკის გზების. ღმერთმა დაიფაროს და რომ დავარდეს. მადლობელი ვარ, ასე რომ გიყვარვართ...“

„გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, — წერს სხვა წერილში, — ღამღამობით ოფლი ისევ მომდის, მაგრამ გაცილებით ნაკლებად. ერთი სული მაქვს, როდის გნახავთ. მწყურია მამაშენის ნააზრევის წაკითხვაც და გადაწერაც“.

„ჯანმრთელად ვარ ნათლისღების ყინულივით, მაგრამ თუკი ავად შევიქნები — ჩემი გულწრფელი სურვილია საავადმყოფოში დავწვე და იქ მოვკვდე, ასე რომ დარწმუნებული ვარ, მე თუ მოვკვდები, — ყველანი, ჩემი ძვირფასი მეგობრები, მაპატიებთ“.

„ჯერ ისევ სისუსტეს ვგრძნობ და არსად არ გავდივარ... კარგია, რომ ამ ბოლო ღამეებში არ გავოფლიანებულვარ, თორემ ოთხ-ხუთჯერ ვიცვლიდი თეთრეულსა და საცვლებს. ამიტომაც დავსუსტდი ასე... მაპატიეთ და მრისხანება მოწყალებით შემიცვალეთ, მაგრამ არ შემიძლია შეგატყობინოთ ჩემი ავადმყოფობის ამბავი, ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებ, რომ არ გენდობით ანდა თქვენს წყენას ვერიდები, არამედ იმიტომ, რომ ყველანი სულითა და გულით მიყვარხართ...“

ასეთი წერილებით ცდილობდა საყვარელი მოხუცი ქალი დავემშვიდებინეთ. და ჩვენც გვჯეროდა, რომ ავადმყოფობა არ უჭირდა და რომ ჩვენი ზედმეტი ზრუნვა მას უფრო აწუხებდა.

— არ გეშინიათ მარტოობის? — ვეკითხებოდი მე, — მოწყენილი არა ხართ ხოლმე მარტო; არ დარდობთ, რომ არავინ შეგიცოდებთ, არავინ მოგივლით?

— ახ, სულო ჩემო, რას ამბობ? — გულწრფელად მეუბნებოდა მარია ალექსანდრეს ასული, — მე მარტოსული ქალი ღმერთთან ერთად ისე კარგად ვგრძნობ თავს! ისე კარგად! როცა თვითონ გამოცდი ტანჯვას, უკეთ მიხვდები სხვების ტანჯვას, — მერე დასძენდა, — ეს ღმერთს ვუყვარვარ და მიგზავნისო.

თუმცა მარია ალექსანდრეს ასული ცდილობდა უწინდებურად ემუშავა, მაგრამ მუშაობა თანდათან უფრო და უფრო უმძიმდა, მაშა მიამბობდა, როგორ ბრუნდებოდა წელში ოთხად მოხრილი სამუშაოდან და სიარულის დროს თანდათან როგორ იმართებოდა და მხოლოდ მაშინ გასწორდებოდა სრულად, როცა სახლს მიუახლოვდებოდა. შინაური საქმეებისა და ბაღსა და ბოსტანში სამუშაოს გარდა მარია ალექსანდრეს

ასულს ზამთრისათვის შეშა უნდა მოემარაგებინა. თვითონ მოჰქონდა შეშა ზასეკის სახაზინო ტყიდან და თვითონ აპობდა. მაგრამ ჩვენებოდა, რომ საკმარისად არ შრომობდა, თავის ცხოვრებას ერთი მისი ნაცნობი ქალის ცხოვრებას უდარებდა და მწერდა:

„აი, წმინდანი მშრომელი ქალი! მე კი როგორც ვამბობდავ საკუთარ ცხოვრებას და ჩემს შრომას იმისას შევადარებ, ძალიან მრცხვენია!“

მახსოვს, შემოდგომაზე ოვსიანიკოვოში ნერგები ჩავუტანე: არყისა და ნაძვის ხეები — და ვთხოვე მარია ალექსანდრეს ასულს დაექირავებინა დღიური მუშები და მეორე დღეს ხეები მათთვის დაერგვევინებინა, ორმოები უკვე წინასწარ იყო გამზადებული.

მეორე დღეს დილით გავიღვიძე და ვხედავ, რომ საშინელი ამინდია; ცივა, გამჭოლავი ქარია და წვიმა ცრის. გული ჩამწყდა. დარწმუნებული ვიყავი, მარია ალექსანდრეს ასული არა მარტო სიტყვა სიტყვით შეასრულებდა ჩემს თხოვნას, უეჭველად თვითონაც იმუშავებდა დღიურ მუშებთან ერთად. ჩავიცვი ტყავკაბა, ჩავჯექი ეტლში და ამ მოზუზუნე ქარში, სეტყვასა და წვიმაში, რომლებიც ტყაპუჭზე მცემდა და ტკივილამდე მირტყავდა სახეში, ოვსიანიკოვოში გავეშურე.

არც შევმცდარვარ, რასაც ვვარაუდობდი სწორედ ისე იყო. მარია ალექსანდრეს ასული გლეხის გოგოებთან ერთად იდგა მინდორში და სამუშაოს ხელმძღვანელობდა. ძალით დავითანხმე თავი მიენებებინა სამუშაოსათვის და ქოხში წასულიყო ჩაის დასალევად. დღიური მუშები, რომლებიც ვერ ბედავდნენ სამუშაოზე უარის თქმას, ვიდრე მათთან მარია ალექსანდრეს ასული იყო, სიხარულით გაიქცნენ ქოხებში.

ზოგჯერ როცა მარია ალექსანდრეს ასული იასნაია პოლიანაში ჩამოვიდოდა, გვიკვირდა ხოლმე ისეთი ცუდი ფერი ედო.

— რა მოგივიდათ, მარია ალექსანდრეს ასულო? — ვკითხავდით, — ცუდად ხართ?

— რატომ გეთაყვა? — პირდაპირ პასუხს გაურბოდა ხოლმე.

— რაღაც ფერმკრთალი ხართ...

— ოჰ, გეთაყვა, ჩამომეხსენით! აქ განათებაა ასეთი, — გვეტყოდა მარია ალექსანდრეს ასული, შებრუნდებოდა, რომ კარგად ვერ დაგვენახა მისი გადაფითრებული პირისახე.

ამ „განათებით“ ხშირად ვაბრაზებდით ხოლმე.

— მარია ალექსანდრეს ასულო, როგორ არის განათების საქმე? — შევუჩნდებოდით ჩვენ.

— მშვენივრად, მშვენივრად! ჩამომეხსენით, გეთაყვა!

და ჩვენთან ერთად ისიც გულიანად იცინოდა თავის თავზე.

ამ ქალს განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა არაჩვეულებრივად, მსიარულად და გადამდებად ეცინა. და ჩვენც ოჯახში ხშირად ვაბრაზებდით იმის გამო, რათა გაგვეგონა ეს გულწრფელი, გულიანი, ხალისიანი სიცილი.

— მარია ალექსანდრეს ასულო! — შევუჩნდებოდით ხოლმე მე და მაშა, — ოდესმე თუ გყვარებიათ ვინმე?

— პა, პა, პა! აბა როგორ, გეთაყვა! ვიტანჯებოდი და მერე რო-

ვორ! აი სისულელე თუ ვინდა. და მარია ალექსანდრეს ასული სიცილისაგან გადაიქცეოდა.

— მარია ალექსანდრეს ასულო, გვიამბეთ როგორ იტანჯებოდით, ვინ გიყვარდათ?

— ოხ, გეთაყვა, ჩამომეხსენით! მადლობა ღმერთს, [illegible] დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა... დამავიწყდა კიდეც ყოველივე

მაგრამ მაინც არ ვეშვებოდით. და მარია ალექსანდრეს ასული გაბარებული იმით, რომ ამ ანკესზე არ წამოეგო, გვიამბობდა, რომ იყო ვილაც ექიმი, ვის გამოც იტანჯებოდა. თან შიგადაშიგ გულიანად კისკისებდა, როგორც ჩვეოდა ხოლმე. ამას გარდა მსახიობ შუმსკოის აღმერთებდა. ქალი საათობით ელოდა ხოლმე მცირე თეატრის გამოსასვლელ კართან მის გამოსვლას, რათა ერთხელ კიდევ მოეკრა თვალი. არც ის დაუმალავს, რომ როგორღაც მისი ცხვირსახოცი უშოვნია. ისე ვუფრთხილდებოდი, როგორც უძვირფასეს საგანძურსო, გვითხრა.

— მაგრამ, გეთაყვა, იგი ჭეშმარიტი ხელოვანი იყო! — დასძენდა ხოლმე ღინჯად.

მარია ალექსანდრეს ასულს უყვარდა და აფასებდა ხელოვნებას, განსაკუთრებით ძლიერად ზემოქმედებდა მასზე მუსიკა. ჩვენთან ხშირად ისმენდა ხოლმე. და მარია ალექსანდრეს ასულიც სულის სიღრმემდე ტკბებოდა. დღესავით მახსოვს მისი გაძვალტყავებული სხეული, ჩამომშკნარი პირისახე, მკვეთრად გამოჩრილი ყვრიმალის ძვლები და ყბები და მშვენიერი, შთაგონებული თვალები, რომლებიც თითქოს ამქვეყნიურს ვერაფერს ამჩნევდნენ და სულის სიღრმეში იხედებოდნენ.

ჯანმრთელობამ რაკი უმტყუნა, მარია ალექსანდრეს ასულს შემოსავალიც შეუმცირდა. ეს ჩვენ გვაღელვებდა, რადგან მეტად ძნელი იყო დაგვეყოლიებინა, მიეღო რაიმე მატერიალური დახმარება. დედაჩემი ზოგჯერ საკუთარი ხელით შეუკერავდა კაბას და მარია ალექსანდრეს ასულიც, მხოლოდ იმიტომ არ ეუბნებოდა უარს კაბაზე, რომ იცოდა, გულს ატკენდა დედას, აქაოდა და საჩუქარი დამიწუნაო. მარია ალექსანდრეს ასული ხუმრობით ამ კაბებს „არისტოკრატიული სახლებისთვის“ განკუთვნილ კაბებს ეძახდა. ყველა ჩვენი მეგობარი ცდილობდა ეჩუქებინა მისთვის რაიმე ისეთი, რაც გამოადგებოდა და შრომას შეუმსუბუქებდა. მაგრამ მარია ალექსანდრეს ასული იშვიათი გამონაკლისის გარდა, ცდილობდა ისე, რომ მჩუქნელისათვის გული არ ეტკინა, აერიდებინა ეს საჩუქრები: ეუბნებოდა „რაც მჭირდება, ყველაფერი იმაზე მეტი მაქვსო“. ერთხელ ჩემმა ძმამ ანდრეიმ გაიგო, რომ ხელმოკლედ ცხოვრობდა და ფული გაუგზავნა. მან ფული უკან დაუბრუნა და მე მომწერა:

„... მაშინვე მივხვდი, რომ ძმურად გსურდათ ჩემთვის ხელი გაგემართათ. გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო; ძალიან ამიჩუყდა გული, მაგრამ ფული მაინც არ ავიღე, იმიტომ, რომ გასაჭირი უკვე უკან დარჩა. ეს მეორდება წლიდან წლამდე, როცა ძროხა არ იწველება. ახლა კი რიჟენოჩკამ ხბო მოიგო და ყველაფერი ჩინებულად აეწყო. რძეს ქარხანას ვაბარებ და ყოველდღიურად 45 კაპიკი მაქვს. ჩემთვის ეს მთელი სიმდიდრეა, მეც მყოფნის, დამხმარე ქალსაც ვისტუმრებ და მესამესაც

ეყოფოდა... მაგრად გკოცნით შენ და ანდრიუშას. და ფრიად მახარებს თქვენი ასეთი სიყვარული".

ასევე არ აიღო ჩვენი საერთო მეგობარი ქალისაგან გაგზავნილი ფული.

„მუდამ ცრემლის მორევამდე მიიჩუყებს გულს სიყვარულის კეთილი გრძნობა, მაგრამ ფულზე იმიტომ ვამბობ უარს, რომ სხვადასხვა მოთხოვნილებანი გვაქვს, და მდიდარ ხალხს თავისთვისაც არა ჰყოფნის".

ერთხელ დედაჩემი და ჩემი და საშა ჩავიდნენ მარია ალექსანდრეს ასულთან და რაღაც სურსათ-სანოვაგე ჩაუტანეს, თავისგანაც და ჩემგანაც. მან მაშინვე მომწერა ეს ამბავი:

„... მეოთხე საათი იქნებოდა უცებ ეტლის ხმაური შემომესმა და მოვიდნენ დედა, საშა — მომიტანეს ჩაი, თაფლი, ბურღული. უბრალოდ გავშეშდი, როცა დავინახე საყვარელი სოფია ანდრიას ასული, თვითონ რომ შემომიტანა ეს ყველა ქოხში. მანვე გადმომცა თქვენი დიდი სიყვარულისა და ჩემზე ზრუნვის ამბავიც, კინაღამ ავტირდი სიხარულისაგან, რომ თქვენ, ჩემო ძვირფასო, გახსოვართ. გმადლობთ. ეს ჩემთვის უდიდესი სიხარულია, რომელიც არც დამიმსახურებია".

ჩვენს მეგობართაგან რამდენიმემ სცადა, მარია ალექსანდრეს ასულთან ერთად ეცხოვრა, შრომაში დახმარებოდნენ. და თუმცა პირდაპირ ასეთ წინადადებაზე არასოდეს უთქვამს უარი, მაინც უმძიმდა ვინმესთან ერთად ცხოვრება, ვინც არ უნდა ყოფილიყო; მაგრამ კიდევ უფრო იტანჯებოდა როცა მიდიოდნენ, რათა ესწავლათ საკუთარი შრომით ცხოვრება.

— ჩემგან რა უნდა ისწავლოთ? ბოროტი ეგოისტი ვარ და მეტი არაფერი, — ამბობდა ქალი, — ძლივს გამაქვს თავი. სხვებისთვის რა მაგალითი უნდა ვიყო.

უნდოდა თუ არა, რაკი ძალამ უმტყუნა და ველარ უმკლავდებოდა თავის მეურნეობას, იძულებული გახდა შინამოსამსახურე აეყვანა. მარია ალექსანდრეს ასულისათვის ეს არ იყო იოლი საქმე, თუმცა იმ ქალს დამხმარეს ეძახდა და არა მოსამსახურეს, თან როგორც თავის თანასწორს ისე ეპყრობოდა, „თქვენობით" მიმართავდა და ლუკმასაც უნაწილებდა, — მაინც გულწრფელ მარია ალექსანდრეს ასულს სიმშვიდეს უკარგავდა იმის შეგნება, რომ დაქირავებული მუშახელი ჰყავდა, ასეთი ცხოვრება კი მას მუდამ ზიზღს გვრიდა...

მარია ალექსანდრეს ასულის დამხმარე ქალები ხშირად იცვლებოდნენ, რადგან დიდხანს ვერ უძლებდნენ მონაზონივით ცხოვრებას განმარტოებულ, მიყრუებულ კარმიდამოში. 1910 წლის ზაფხულში ქალის ნაცვლად მარია ალექსანდრეს ასულმა დამხმარედ ახალგაზრდა ბიჭი აიყვანა მეზობელი სოფლიდან. ღვიძლ დედასავით ზრუნავდა იგი და უვლიდა თავის ჭაბუკ დამხმარეს და ყოველნაირად ცდილობდა გაელამაზებინა მისი ცხოვრება.

იმ ზაფხულს, ჩვეულებისამებრ, ოვსიანიკოვოს სახლში ცხოვრობდა ლ. ი. გორბუნოვის ოჯახი. ერთხელ საღამოს, როცა საქმეები მოითავა, მარია ალექსანდრეს ასულმა შესთავაზა ივან ივანეს ძეს იასნაია პოლიანაში წავიდეთო. შეაბეს ცხენი, ჩასხდნენ ეტლში და გამოემგზავრ-

ნენ. იასნაიაში ლევ ნიკოლოზის ძესთან საუბარში შემოაღამდათ და ამიტომ გადაწყვიტეს ღამეც აქ გაეთენათ. დილაუთენია გააღვიძა ივან ივანეს ძე ცოლმა, რომელმაც ოვსიანიკოვოდან სამწუხარო ამბავი ჩამოიტანა: შუაღამის პირველ საათზე მარია ალექსანდრეს ასულს ქოხსა და ბოსელს შორის თივას ცეცხლი მოჰკიდებია... რადგან ქოხი ხისგან იყო, ხოლო ბოსელი მოწნული და ჩალით დახურული, უმოკლეს ხანში ყველაფერი ერთიანად გადაბუგულა.

ხანძრის დროს მარია ალექსანდრეს ასულის ქოხში ეძინა ოვსიანიკოველ დედაბერს, ვისაც მასპინძლის ნაცვლად ძროხა უნდა მოეწველა, ხოლო ფარდულში, ქოხის შორიახლოს — მარია ალექსანდრეს ასულთან სტუმრად ჩასულ მის ნაცნობ ქალს. ამ ქალს გაღვიძებია ხანძრის ტკაცუნზე და ქოხში შევარდნილა დედაბრის გასაღვიძებლად. გაიღვიძეს გორბუნოვის ცოლმაც და ბავშვებმაც, სახლში რომ ცხოვრობდნენ. მაშინვე გაცვივდნენ მარია ალექსანდრეს ასულის საყვარელი ძროხის გადასარჩენად, რომელიც ყველა პიროუტყვის მსგავსად ჯიუტობდა და არ უნდოდა უდროო დროს თავის ბოსელიდან გამოსვლა. ვიდრე ისინი ძროხას ეჯაჯგურებოდნენ, ცეცხლი ისე მოედო ქოხს, რომ შიგ ველარ შეხვიდოდი.

მარია ალექსანდრეს ასულს დაეწვა რაც კი რამ ებადა: კაბები, ქურქი, თეთრეული, ქვეშაგები, სარეცხი მანქანა, კარაქის სადღვები, პლანეტი, ჭურჭლეულობა, ყველა წიგნი, და ორმოცდაცამეტი მანეთი; ეს ფული შესანახად მიაბარა სწორედ იმ ქალმა ფარდულში რომ ეძინა.

ყოველივე ამის ანაზღაურება შეიძლებოდა. მაგრამ ყველაზე მეტად მარია ალექსანდრეს ასულს იმ ამბავმა მოუკლა გული, რომ ცეცხლში დაიწვა მამაჩემის ყველა წერილი, მისდამი გაგზავნილი, ნამდვილი ხელნაწერი მისი მოთხრობისა „სულელი ივანე“ და მამაჩემის მრავალი თხზულება საბოლოო რედაქციით, საკუთარი ხელით რომ ჰქონდა გადაწერილი. სხვათა შორის თხზულებაში „სახარების გამოკვლევა“ მამაჩემს საკუთარი ხელით ჰქონდა ჩაწერილი უამრავი შენიშვნა და შესწორება. ერთი თავისი უძვირფასესი ნიეთი-ხელნაწერი წიგნისა „მაშ რა ვაკეთოთ?“ მარია ალექსანდრეს ასულმა ჯერ კიდევ 1901 წელს მაჩუქა წარწერით: „აჩუქა ჩემს ძვირფას ტანეჩკას მ. შმიდტმა“ — ეს ხელნაწერი წარმოადგენს სქელ აკინძულ წიგნს, სადაც შენარჩუნებულია ცენზურის მიერ ამოღებული ადგილები.

როცა ეს ამბავი შეიტყო მარია ალექსანდრეს ასულმა, ხმამაღლა შეჰყვირა, პირისახეზე ხელები აიფარა და დიდხანს იჯდა ჩუმად. მაშინ იასნაია პოლიანაში არ ვიყავი. მარია ალექსანდრეს ასული 1910 წლის 6 ივლისს წერილს მიგზავნის ოვსიანიკოვოდან:

„... ყველაფერი დამეწვა. და ყველაზე ძვირფასი, რაც ჩემი ცხოვრების აზრსა და არსს წარმოადგენდა — ლევ ნიკოლოზის ძის ხელნაწერები და ჩემი შავიჩკა. მომიტევეთ ყველა ჩემი შეცოდებანი ნებსითი და უნებლიე, ხოლო ცოდვებთან ერთად ჩემი მძიმე ავადმყოფი სიბერე. სიტყვები არ მყოფნის მადლობის სათქმელად, ძვირფასო მეგობარო, ჩემდამი სიყვარულის გამო. მე არ ვღირვარ ამად...“

ძნელი იყო მარია ალექსანდრეს ასულისათვის ამ განსაცდელთან შერიგება. როგორ უნდა ეცხოვრა, როცა ხელთ არ ჰქონდა ის უსაზღვ-

რიდ ძვირფასი აზრები, რომელთაც ხანგრძლივი შემოდგომისა და ზამთრის ღამეებში გადაიკითხავდა და გადაწერდა ხოლმე და რომლებიც სულიერი ცხოვრებისათვის ძალას მატებდა. ბევრის აღდგენაც აღარ შეიძლებოდა. მთელი მრავალწლიანი მიწერ-მოწერა ყველაზე უძვირფასეს მეგობართან და მოძღვართან — ცეცხლში ჩაინთქა, ფანაც მატერიალურადაც რა ძნელია ისევ შეაგროვო მეურნეობისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში აუცილებელი წვრილმანები, რომლებიც შეუმჩნევლად გროვდება და რომელთაც უნებლიედ ეჩვევი.

სხვადასხვა მონაცემებით დამტკიცდა, რომ ხანძარი გაუჩენია მარია ალექსანდრეს ასულის ახალგაზრდა დამხმარეს, რათა მოეპარა სხვისი ფული, მარია ალექსანდრეს ასულს რომ ჰქონდა მიბარებული. მარია ალექსანდრეს ასულმა არა თუ აპატია ეს დანაშაული, არამედ არავის აძლევდა ნებას მისი თანდასწრებით ბრალი დაედოთ ბიჭისთვის.

— ღმერთი ფარავდეს, გეთაყვა! ღმერთი ფარავდეს! — მგზნებარედ ამბობდა იგი. ეს ჯერ კიდევ საკითხავია, ბრალეულია თუ არა. ხომ გაგიგიათ ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამკარგავმა ათასი. ღმერთი ფარავდეს.

მაშინვე ხანძრის შემდეგ ხე-ტყის მასალა შევიძინე და დურგალს შევუკვეთე ახალი ქოხის აშენება. შევუკვეთე უფრო მაღალი და ფართო, რათა სნეულ დედაბერს უფრო თავისუფლად ესუნთქა. მარია ალექსანდრეს ასული მთელი არსებით მიწევდა წინააღმდეგობას ამ ახალ ნაგებობაზე. მაგრამ ვიცოდი, რომ ეს ქალი ისე კარგად ვერსად ვერ იცხოვრებდა, როგორც ოვსიანიკოვოში.

„გუშინ ვერ მოვახერხე გამოგლაპარაკებოდით მშენებლობის საქმეზე, მომწერა მარია ალექსანდრეს ასულმა, როცა ჩემი განზრახვა შეიტყო, — დიდ მადლობას მოგახსენებთ, ღრმად შემძრა თქვენმა თანაგრძნობამ, მაგრამ მშენებლობა პირადად ჩემი გულისათვის რომ დაიწყოს, ამას ვერასგზით ვერ დავუშვებ. მარტო გაფიქრებაზეც კი, აუტანელი სევდა შემომაწვება, უბრალოდ, სული მტკივა ხოლმე. ვიცხოვრებ სადაც და როგორც ღმერთი მიკარნახებს, მაგრად გკოცნით ყველას, გულითა და სულით გემშვიდობებით სუყველას. 15-ში ვფიქრობ ძმასთან გამგზავრებას".

მე არ დავუჯერე მარია ალექსანდრეს ასულს და განვაგრძე მშენებლობა. მთელი წელიწადი იცხოვრა მარია ალექსანდრეს ასულმა როგორც მომწერა კიდეც „სადაც და როგორც ღმერთი უკარნახებდა". ბოლოს როცა მივწერე, ხომ ფიქრობთ ოვსიანიკოვოში დაბრუნებას-მეთქი ასე მიპასუხა:

„ჩემო ძვირფასო ტანეჩკა, არათუ ვფიქრობ, ძვირფას ოვსიანიკოვოში დაბრუნებაზე, არამედ ფორთხვით ჩამოვალ, ოღონდ თუკი უფრო ძვირად დააზღვევთ, რათა ხანძრის შემთხვევაში, არ იზარალოთ".

მეორე პირობად წამომიყენა, რომ ნება დამერთო მისთვის თვალყური მიედევნებინა სამუშაოებისათვის. ეს ჩემთვის მოსახერხებელი იყო, რაკი თვითონ იასნაიაში არ ვცხოვრობდი, მარია ალექსანდრეს ასულს სავსებით საკუთარი მოთხოვნილებების და გემოვნების მიხედვით შეეძლო ახალი ქოხის აშენება. მანამდე გადავიდა ქოხში, ვიდრე

საბოლოოდ გააწყობდნენ და თავის თავზე აიღო დარჩენილი სამუშაოებისა და ჩემი საქმეების ხელმძღვანელობა.

„... ჩემო კარგო, იცოდეთ ერთი, — მწერს იგი, — ყველაფერს ისეთი სიყვარულით, კეთილის სურვილით ვაკეთებ, როგორც არასოდეს გამიკეთებია“.

„... გახსოვდეთ, — მწერს შემდეგ, — რომ სურვილი — ... ბოდით, მთელი გულით მეწადა, მაგრამ ჩემმა ბებერმა, ავადმყოფმა თავმა, შეიძლება მიმტყუნოს და შევცდე...“

როცა თავის ახალ „სასახლეში“ გადავიდა, ასე ეძახდა ქოხს, არ შეუწყვეტია მადლობით სავსე წერილების გამოგზავნა.

„საყვარელო მეგობარო, გმადლობთ ახალი ჩინებული შენობისთვის, სადაც შემიძლია ვიავადმყოფო, დავახველო ისე, რომ არავინ შევაწუხო. მრცხვენია სხვის სახლში რომ ვცხოვრობ ამ გულისგამაწვრილებელი და ბინძური სენით შებყრობილი. ტანეჩკა, ჩემო საყვარელო, ძალიან გთხოვთ, არ მომერიდოთ და მიბრძანეთ ყველაფერი რის გაკეთებაც გინდათ ოვსიანიკოვოში, ნუ წამართმევთ სიხარულს იმისა, რომ მოგემსახუროთ. თქვენ ეჭვადაც არ იცით, რა სიყვარულით ვეკიდები ყველაფერს, რაიც თქვენ გეხებათ“.

„... ჩემს პაწია სახლში კარგად ვარ-მეთქი, ამისი თქმა ცოტაა. გმადლობთ, ჩემო სულო, ისე ვცხოვრობ, თითქოს ქრისტეს უბეს ვიყო ამოფარებული, და სულ ვფიქრობ რისთვის მარგუნა ღმერთმა ასეთი კარგი ცხოვრება...“

„... ეგების ძალა მომეკრიბა და ჩამოვსულიყავი თქვენთან მადლობის სათქმელად იმ შესანიშნავი ცხოვრების გამო, როგორიც თქვენ მომაგეთ ღვთაებრივ ოვსიანიკოვოში. ჩემო ძვირფასო მეგობარო! — იცოდეთ ერთი რამ, რომ სიტყვები არ მყოფნის გამოვთქვა ჩემი უგულითადესი მადლობა...“

თავისი ყველა განძის დაკარგვამ სევდით დადაღა, მუდამ მხიარული, მხნე და სიცოცხლის მოყვარული მარია ალექსანდრეს ასული, მაგრამ თუ სიმხიარულე შეუმცირდა, სამაგიეროდ სიკეთე და სილბო შეემატა. დაანება რა თავი ეგოისტურად ცხოვრებას, მან მთელი თავისი გულისყური პირადულიდან მის ირგვლივ მყოფ ადამიანებზე გადაიტანა. უკვე აღარ ეშინოდა ხელმოკლედ ცხოვრების, შრომისა და ავადმყოფობის, რომლებშიც მუდამ პოულობდა სულიერად ზრდის საშუალებებს. მთელ თავის სულიერ ძალებს ახლა მხოლოდ იმაზე ხარჯავდა, რათა გაეზარდა მოყვასისადმი სიყვარული. პირველ ხანში თავს ძალას ატანდა, შემდგომ ეს სიყვარულიანი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ ჩვეად ექცა და მისი სიცოცხლის დასასრულს მარია ალექსანდრეს ასულისათვის ისევე ბუნებრივი გახდა უკლებლივ ყველა ცოცხალი არსების სიყვარული, როგორც სუნთქვა. როცა მისი თანდასწრებით ვინმე ჩხუბობდა ან ბრაზობდა, ან კამათობდა, ან ვისმე კიცხავდა, მარია ალექსანდრეს ასული გულწრფელად იტანჯებოდა და მაშინვე იმას გამოექომაგებოდა, ვისაც გულს ტკენდნენ, თან ცდილობდა მოერიგებინა მოკამათენი და ყოველივე გაუგებრობით აეხსნა. მახსოვს, რამდენჯერმე დაუქაჩავს ჩემი კაბის კალთა, ანდა სახელო, როცა ვინმეს მივვარდებოდი და გავკიცხავდი.

— არ გინდათ, ტანეჩკა, არ გინდათ, — ჩამჩურჩულებდა ყურში, — თავი დაანებეთ, იგი მთლად ბავშვია... არ ესმის... როგორ შეიძლება გაბრაზება?

ყველაზე მეტად უმძიმდა თავის შეკავება, როცა უკულმართად ესმოდათ ანდა მისი თანადასწრებით კიცხავდნენ მამაჩემს. მაგრამ სიცოცხლის ბოლოს ასეთ შემთხვევაშიც გამოუმუშავდა თავშეკავების უნარი. ქალი ცდილობდა თავისი მოწინააღმდეგის თვალსაზრისზე დამდგარიყო და თან რბილად და ალერსიანად არწმუნებდა ლევ ნიკოლოზის ძეს ნდობითა და სიყვარულით მოჰკიდებოდა, ეცადა გაეგო მისი. ცდილობდა საკუთარი სიტყვებით აეხსნა ის, რასაც ფიქრობდა, ამბობდა და წერდა ლევ ტოლსტოი.

ბოლო ხანებში მარია ალექსანდრეს ასულს აწუხებდა, მისი მეგობრის, ლევ ნიკოლოზის ძის სულიერი განწყობილება, ვისაც უფრო და უფრო უმძიმდა იასნაია პოლიანაში ცხოვრება. მამა ხშირად ჩადიოდა იასნაია პოლიანადან ოვსიანიკოვოში, რათა მისთვის საკუთარი სული გადაეშალა.

1910 წლის ზაფხულის მიწურულს მამა ჩემთან ჩამოვიდა სტუმრად სოფელში, ნოვოსილსკის მაზრაში. აქედან გაუგზავნა მან მარია ალექსანდრეს ასულს თავისი უკანასკნელი წერილი, რომელიც ამ ქალის სიკვდილის შემდეგ აღმოვაჩინე მის ქაღალდებში. აი, ისიც:

„10 სექტემბერი, 1919 წელი. კოჩეტი.

გამარჯობათ, ძვირფასო ძველო მეგობარო ჩემო და ერთმორწმუნევ. საყვარელო მარია ალექსანდრეს ასულო, ხშირად ვფიქრობ თქვენზე. ახლა, როცა არ შემიძლია შემოგიაროთ ოვსიანიკოვოში და გინახულოთ, მსურს მოგწეროთ ყველაფერი ის, რაიც თქვენც იცით. სახელდობრ, რომ ძველებურად ვცდილობ ნაკლებად ცუდი ვიყო და რომ თუმც მუდამ ვერ ვახერხებ, ამ სურვილში ვპოვებ მთავარ საქმესა და სიცოცხლის სიხარულს, და კიდევ იმას, რაც ასევე იცით, რომ მიყვარხართ, გაფასებთ და მიხარია, რომ გიცნობთ.

გეთაყვა, მომწერეთ თქვენი ამბავი, ფიზიკურიც და სულიერიც.

თქვენი მარად მოსიყვარულე **ლევ ტოლსტოი“.**

23 სექტემბერს მამა დაბრუნდა იასნაია პოლიანაში და ისევ ხშირად მოინახულებდა ხოლმე თავის „ძველ მეგობარსა და ერთმორწმუნეს“.

უკანასკნელად ოვსიანიკოვოში 26 ოქტომბერს იყო, ორი დღით ადრე, ვიდრე იასნაია პოლიანადან წავიდოდა. მარია ალექსანდრეს ასულმა მიამბო, რომ მამა ცხენით მისულა და უთქვამს სამუდამოდ ვაპირებ იასნაია პოლიანადან წასვლასო. მარია ალექსანდრეს ასული ავიშვიშებულა და ხელი ხელს შემოუკრავს.

— გეთაყვა, ლევ ნიკოლოზის ძევ, ეს სისუსტეა, გაგიელვით... უთქვამს მარია ალექსანდრეს ასულს.

— ჰო, — უპასუხნია მამას, — ეს სისუსტეა.

მაგრამ მამას არ უთქვამს, რომ გაუვლიდა ეს სისუსტე. ორი დღის შემდეგ 28 ოქტომბერს მამა შუალამისას ექიმ დუშან პეტრეს ძე მაკოვიცკისთან ერთად გაემგზავრა სახლიდან, დაგვიტოვა მე და ჩემს ძმას სერგეის წერილი, რომ წავიდა იმიტომ, რომ ვერ შეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო.

როცა მარია ალექსანდრეს ასულმა შეიტყო, მამის წასვლის ამბავი, მაშინვე იასნაია პოლიანაში გადავიდა საცხოვრებლად. სადაც მწუხარება იყო, სადაც ნუგეში იყო საჭირო ყოველთვის იქ გაჩნდებოდა მარია ალექსანდრეს ასული. ასე მოხდა ამჯერადაც, მარია ალექსანდრეს ასული წამსვე ჩვენთან მოვიდა და თან მოიტანა მარადიული სიყვარულისა და სინაზისა. ღამეებს დივანზე ათენებდა დედამიწის ბაძინებელ ოთახში და მისი სიმშვიდე რომ არ დაერღვია, პირისახეს ბალიშში ჩარგავდა და ისე ახველებდა.

მამის გარდაცვალების შემდეგ მარია ალექსანდრეს ასული ძალიან გახდა, წელში მოიხარა, დარდიანი და ჩუმი შეიქნა. მხოლოდ უფრო ალერსითა და სიყვარულით ექცეოდა ირგვლივ მყოფთ. მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა და 1911 წლის ივლისში მომწერა: „ცუდმა ამინდებმა და ძნელად სათიბმა ავად გამხადესო", მუშაობა მაინც არ შეუწყვეტია. ეს მისი სულიერი მოთხოვნილება და სიხარული იყო. თიბვას რომ მორჩა, წერას შეუდგა.

„მოხარული ვიქნები ისევ ჩავუჯდე საყვარელ საქმეს. შევიტანო ყველა გამოტოვებულ ადგილს წიგნში „ცხოვრების გზა". — რაც შეცვლილია და გამოტოვებულია. სხვანაირად ამ წიგნს არ დაბეჭდავდნენ,", — მწერს იმავე წერილში.

ამავე წლის შემოდგომაზე მოვინახულე ჩემი საყვარელი ძველისძველი მეგობარი, და ჩვენც, როგორც ყოველთვის გული გადავუშალეთ ერთმანეთს და ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ვისაუბრეთ. ეჭვადაც არ გვქონია, რომ ცალი ფეხი სამარეში ედგა, თუმცა კი შევამჩნიე, რომ უფრო და უფრო უნელდებოდა სასიცოცხლო ინტერესები და თანდათან ეზრდებოდა სულიერი ცხოვრების მოთხოვნილება. 1911 წლის 18 ოქტომბერს, ჩემს სოფელში ი. ი. გორბუნოვისაგან ასეთი დეპეშა მივიღე:

„მარია ალექსანდრეს ასული გარდაიცვალა დღეს, სამშაბათს, გამთენიის 7 საათზე. გელოდებით თქვენ და თქვენს განკარგულებას. გორბუნოვი".

რაკი ვიცოდი, რომ მარია ალექსანდრეს ასული არ აღიარებდა აშკარად მართლმადიდებლურ სარწმუნოებასა და ისიც ვიცოდი, რომ არ სურდა დაემარხათ საეკლესიო წესისამებრ, ყოველივე ეს დეპეშით ვაცნობე ოვსიანიკოვოში. იმ ხანებში არ შემეძლო დამეტოვებინა ჩემი ოჯახი, ამიტომ მარია ალექსანდრეს ასულის გარდაცვალების და მისი დაკრძალვის ყველა წვრილმანი მხოლოდ მნახველთა გადმოცემის თანახმად შევიტყვე.

ოვსიანიკოვოში დარაჯად იყო იმ ხანებში მარია ალექსანდრეს ასულთან შეხედულებებით ახლოს მყოფი გლეხი მეზობელი სოფლიდან პ. ი. სკვორცოვი. მოხუცს უყვარდა ეს გლეხი და ხშირად გულითადად ესაუბრებოდა. მარია ალექსანდრეს ასულის გარდაცვალების წინადღით სკვორცოვმა შენიშნა, რომ ქალი მეტისმეტად იყო დასუსტებული და შესთავაზა ვუდეპეშებ გორბუნოვებს, რომლებიც უკვე მოსკოვში არიანო. მარია ალექსანდრეს ასულმა მტკიცე უარი განუცხადა.

— გემუდარებით, პეტრე ივანეს ძევ — ეუბნებოდა ქალი, — ნუ შეაწუხებთ ჩემი გულისთვის. თუკი თავს ძალიან ცუდად ვიგრძნობ, ზვენიგოროდში წავალ და საავადმყოფოში დავწვები დიმიტრი ნიკოლო-

ზის ძესთან. (დიმიტრი ნიკოლოზის ძე ნიკიტინი იყო ზვენიგოროდის საერობო საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მარია ალექსანდრეს ასულისა და ჩვენი ოჯახის მეგობარი). მისი დაკრძალვის დღეს ნიკიტინმა ოფსიანიკოვოდან მომწერა: „ჩავუშვით სამარეში საყვარელი მარია ალექსანდრეს ასული. ლევ ნიკოლოზის ძის შემდეგ ეს ქალი თვითეული ჩვენგანის სინდისი იყო...“

სკვორცოვმა დაუჯერა, მაგრამ დამშვიდებით მაინც ვერ დამშვიდდა. მეორე დღეს, როგორც კი გაიღვიძა, მის სანახავად წავიდა. მარია ალექსანდრეს ასული საწოლზე იწვა, პირით კედლისაკენ და ფართოდ გახელილი თვალებით კედელს მიშტერებოდა, რომელზედაც ერთმანეთის გვერდიგვერდით ეკიდა ჯვარცმა და ლევ ტოლსტოის სურათი. უკვე აღარაფერს ამბობდა. ასე თანდათანობით ჩანიავდა და გადავიდა ამიერ ქვეყნიდან იმიერ ქვეყანას...

მარია ალექსანდრეს ასულის დაკრძალვას რამდენიმე მეგობარი დაესწრო. მას დატოვებული ჰქონდა ა. წ. თებერვალში დაწერილი ბარათი, რომელშიც ითხოვდა დაესაფლავებინათ საეკლესიო წესის აღუსრულებლად, რადგანაც იგი უკვე ოცდაათი წელიწადია ჩამოშორებული იყო მართლმადიდებლურ ეკლესიას. ბარათის ბოლოს იგი თხოვნით მიმართავდა ხელისუფალთ, არ დაესაჯათ მისი მეგობრები იმის გამო, რომ ისინი მის თხოვნას აღასრულებდნენ.

დამსწრეთა გადმოცემით დაკრძალვა ძალზე უბრალოდ და გულისმომწყვლელად ჩატარდა. გვამი ჩაასვენეს უბრალო ხის კუბოში, და ჩაუშვეს არყის ხის ძირას გათხრილ სამარეში, იმ ბოსტნის კიდეში, სადაც ამდენხანს შრომობდა კეთილი დედაბერი. როცა მის ნეშტს მიწა მიაყარეს და საფლავზე პატარა წაგრძელებული ბორცვი წარმოიშვა, ყველანი რამდენიმე წუთს შედგნენ სამარესთან უქუდოდ. შემდეგ გორბუნოვმა თქვა:

— მშვიდობით საყვარელო დაო! ღმერთმა ინებოს, რომ ყველამ ისე ვიცხოვროთ, როგორც შენ იცხოვრე.

აი მთელი ისტორია უბრალო, თავმდაბალი და მარტივი ცხოვრებისა „მოხუცი ქალის შმიდტისა“. ვფიქრობ, ჩვენი საერთო მეგობრის გორბუნოვის სურვილი რომ ახდეს და ყველანი ცოტათი მაინც მივუახლოვდეთ საკუთარი ცხოვრებით მარია ალექსანდრეს ასულის ცხოვრებას, მაშინ უამრავი სიხარული და ბედნიერება შეემატებოდა ადამიანებს. თითქოსდა ერთი სიტყვით რით იყო გამორჩეული ეს შეუმჩნეველი, თავმდაბალი, მშრომელი ქალი? მაგრამ როცა აწონი ყველა იმ ღირსებას, რითაც ასე მდიდარი იყო, მაშინ ხედავ, რომ ასეთები ძალზე იშვიათად გვხვდებიან ცხოვრების გზაზე. ადამიანების სიყვარული, სიყვარული და გულმოწყალება ცხოველთა, მორჩილება სნეულებასა და უბედურებაში, შრომის სიხარული, — აი მისი დადებითი თვისებები. და ამასთან ერთად არ ჰქონდა თვითკმაყოფილება, სიზარმაცე, შური, სიხარბე, მოყვასის გაკიცხვა არ იცოდა. განა ეს ღვაწლმოსილი ცხოვრება არ არის? და რაკი ამ მოხუცმა, სუსტმა, ავადმყოფმა, შედარებით ფუფუნებასა და სილალეში აღზრდილმა ქალმა შეძლო ასე გარდაექმნა თავი, აღარ და აღარავინ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას. საერთო ძალებით ჩვენ შევძლებდით ცხოვრების იმგვარად მოწყობას, სადაც

იქნებოდა უფრო მეტი ჭეშმარიტი ძმობა, ჭეშმარიტი თანასწორობა, ჭეშმარიტი სიყვარული, ვიდრე ახლა ვხედავთ.

(საინტერესოა როგორ შეხვდა ხელისუფლება მ. ა. შმიდტის სამოქალაქო წესით დაკრძალვას. გორბუნოვი და იმჟამად ოსიპიანოვიში მცხოვრები ა. ა. ბულანჟე პასუხისმგებლობაში გადასცეს, [illegible] კრძალვის მოთავენი და ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს [illegible] იმისა, რომ მე არაერთხელ განვაცხადე, რომ მ. ა. შმიდტი საეკლესიო წესის აღუსრულებლად დაკრძალულია ჩემს მამულში ჩემი განკარგულების თანახმად; ამიტომაც ვითხოვ ბრალი მე დამდონ ანდა უკიდურეს შემთხვევაში როგორც მოწმედ გამიყვანონ-მეთქი, არავითარი პასუხი ჩემს განცხადებებზე არც ერთხელ არ მიმიღია. ხოლო გორბუნოვმა შუამდგომლობაზე, სადაც ითხოვდა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით მოწმეებად გამოვეძახებინეთ მე და კიდევ რამდენიმე პიროვნება ამ საქმესთან დაკავშირებით, პასუხად მიიღო ცნობა, სადაც ნათქვამი იყო, რომ მისი შუამდგომლობა დატოვეს უშედეგოდ, „რადგან განსახილველ გარემოებებს ამ მოწმეთა მეოხებით არა თუ არავითარი სასარგებლო მნიშვნელობა არ ექნება საქმისათვის, არამედ საერთოდაც არ ეხება საკითხს და ზედმეტად გადატვირთავს სასამართლო საქმეს დამატებითი მონაცემებით).

ამგავი იმისა თუ როგორ ვწყვეტდით მე და მამაჩემი მიწის საკითხს

მამაჩემის სიყვარული მიწისა და პატივისცემა მიწათმოქმედებისადმი არა მხოლოდ პრინციპული არამედ ორგანული გრძნობაც იყო. ე. წ. მოქცევამდე, თუ გნებავთ, სულიერ გარდაქმნამდე, მამა გატაცებით მისდევდა მეურნეობას, სრულყოფდა მის ყველა სფეროს, რამდენადაც ხელეწიფებოდა. გლეხთა სამიწადმოქმედო შრომასთან მუდამ ახლოს იდგა და ხშირად კიდეც მონაწილეობდა. როცა კი სულიერი „გარდატეხის" დრო დაუდგა, მამამ უარყო ყოველგვარი საკუთრება, როგორც ფულადი ისე საადგილმამულო. მას არაფრის ქონება არ სურდა, და ჩვეული მგზნებარებითა და გატაცებით, მთელი ძალებით ისწრაფოდა, გადაეგდო მისთვის ესოდენ მძიმე ულელი.

ეს არც ისე იოლად მოსაგვარებელი საქმე გახლდათ: მას ჰყავდა ცოლი და ცხრა შვილი, თვითონვე რომ შეაჩვია ისე ეცხოვრათ, იმგვარად, როგორც მისი წრის ხალხი ცხოვრობდა. მე ვწერ — ე. ნ.-ს იმიტომ, რომ არ მიმაჩნია, თითქოს მამაჩემის სულში დაიბადა რაღაც ახალი თვისება ადრე რომ არ ჰქონია. ყოველივე რაიც მან შემდგომ გამოთქვა თავის რელიგიურ-ფილოსოფიურ თხზულებებში, ყოველივე ეს მუდამ ცოცხლობდა მის სულში, რასაც ხშირად გამოთქვამდა კიდეც თავის დღიურებსა, მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ ცხოვრებაში. მხოლოდ დროებითი დაშრევება ინტერესთა — ლიტერატურულ, ოჯახურ, ქონებრივ და სხვათა — უშლიდა ხელს. მთელი სისრულით გამოვლენილიყო. მისი სულიერი არსობა და როს დასრულდა საიდუმლო შინაგანი ჭიდილი და პირთამდე აავსო მისი სული, მან იოლად ჩამოიცილა ეს ქერქი

და გადააგდო. არ შეუცვლია რა თავისი გზა, მამა სიკვდილამდე მტკიცედ მოღვაწეობდა ისე, როგორც ჯერ ისევ ადრეულ სიჭაბუკეში უთქვამდა გული. როცა თავის დღიურში წერდა: „გუშინ საუბარი ღმერთსა და რწმენაზე,—წერს იგი სევასტოპოლის მისადგომებთან მყოფი 1855 წლის 4 მარტს.—აღმიძრა დიადი, უზარმაზარი აზრი, რომლის განხორციელებასაც, მგონია შემწევს ამის უნარი, უნდა მივუძღვნა ცხოვრება, ეს აზრია — დავაარსო ახალი რელიგია, რომელიც შეესაბამება კაცობრიობის განვითარებას, ქრისტეს რელიგიას, მაგრამ განწმენდილს რწმენისა და იდუმალებისგან, პრაქტიკული რელიგიისას, რომელიც ნეტარებას მომავალში კი არ გპირდება, არამედ მიწაზე გაზიარებს ნეტარებას... ვიმოქმედო შეგნებულად ადამიანების რელიგიასთან შესაერთებლად — აი საფუძველი აზრისა, რომელიც, იმედი მაქვს, გამიტაცებს“.

დედაჩემი, ვინაც თვრამეტი წლისა ცოლად გაჰყვა ასაკით უფროს ადამიანს, მასზე მაღლა რომ იდგა გამოცდილებით, წრითა და მდგომარეობით, ნაწილობრივ თავისმა ქმარმა აღზარდა. იგი გვიამბობდა, რომ მამაჩემი, მაგალითად უკრძალავდა მეორე კლასის ვაგონით მგზავრობას, უსათუოდ პირველი კლასის ვაგონით უნდა ემგზავრა. ჩვენ, ბავშვებს, საგულდაგულოდ გვზრდიდნენ და განსაკუთრებული განათლება მოგვცეს. სახლში ცხოვრობდა არა ნაკლებ ხუთი აღმზრდელისა და პედაგოგისა და ამდენივე კიდევ ჩამოდიოდა გაკვეთილების ჩასატარებლად. (მათ რიცხვში მღვდელიც). ვსწავლობდით: ბიჭები ექვს, მე კი ხუთ ენას, მუსიკას, ხატვას, ისტორიას, გეოგრაფიას, მათემატიკას, საღმრთო სჯულს.

მამა წინააღმდეგი იყო საშუალო სკოლაში შევსულიყავით, არა მარტო ქალიშვილები, არამედ ვაჟიშვილებიც.

ოჯახში ლამის პირველი შვილის გაჩენისთანავე გადაწყდა, რომ როცა უფროსი ვაჟი — სერგეი — თვრამეტი წლისა შესრულდებოდა, მოსკოვში გადავიდოდით საცხოვრებლად, იქ სერიოჟა უნივერსიტეტში შევიდოდა, მე კი უფროს ქალიშვილს, სერიოჟაზე წელიწადნახევრით უმცროსს — მაღალ საზოგადოებაში გამიყვანდნენ.

ყოველივე ვარაუდისამებრ აღესრულებოდა ლაღად, ყოველგვარი გართულების გარეშე: მამა წერდა რომანებს და სოფლის მეურნეობას მისდევდა. დედა შრომობდა და ძუძუს აწოვებდა პატარებს, ასწავლიდა უფროს შვილებს. გადაწერდა მამის თხზულებებს და საოჯახო საქმეს განაგებდა. ცხოვრება მშვიდად და ბედნიერად მიედინებოდა. ოჯახის თავი მამა იყო, ვისაც ყველანი უსიტყვოდ ვემორჩილებოდით.

მაგრამ აი 70-იანი წლების დასასრულს მამა ეჭვებმა შეაწუხეს. რა არის ცხოვრების აზრი? ისე ცხოვრობს, როგორც უნდა იცხოვროს? აკეთებს თუ არა იმას, რაიც აუცილებელია საკუთარი თავისა და სხვების ბედნიერებისათვის?

ამ ეჭვებმა და აუტანელმა სულიერმა ტანჯვამ, მან რომ გადაიტანა ცხოვრების აზრის ძიების ჟამს, მაშინ კინალამ თვითმკვლელობამდე მიიყვანა მამა.

მან განსაცვიფრებელი სიმართლის ძალით აღწერა ეს განცდები თავის წიგნებში: „აღსარება“, „რა არის რწმენა ჩემი“ და დაუმთავრებელ მოთხრობებში „შეშლილის ჩანაწერები“.

აღარ გავიმეორებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ მისი სულიერი წონასწორობის დარღვევა დაეტყო მთელი ოჯახის ცხოვრების წყობას. მამა ჩაეფლო ინტერესებში, ახალმა მსოფლმხედველობამ რომ გადაეშალა. ახალმა ადამიანებმა, სრულად უცხონი რომ იყვნენ ოჯახისათვის, [illegible] სთქმაში ჩააგდეს იგი და ეს ადამიანებიც დაინტერესდნენ [illegible].

დიდი ხნის წინანდელი ინერცია მძლავრობდა და [illegible] არ ცდილა შეეცვალა ოჯახის გარეგნული ცხოვრება, არამედ 1882 წელს იყიდა და ავეჯით გააწყო სახლი მოსკოვში ხამოვნიკის შესახვევში. მანვე გვიყიდა ეტლი, კარეტა, ორი მარხილი და განკარგულება გასცა თუ რომელი სამი ცხენი ჩამოეყვანათ იასნაია პოლიანადან მოსკოვში.

უფროსი ძმა უნივერსიტეტში დადიოდა. მე კი ის-ის იყო მაღალ საზოგადოებაში გამიყვანეს. პირველ მეჯლისზე მამამ წამიყვანა.

მაგრამ ცოტა-ცოტაობით მამასთვის ასეთი ცხოვრება უფრო და უფრო აუტანელი შეიქნა. განსაკუთრებით უმძიმდა მიწის მესაკუთრე რომ იყო. იგი მოუწოდებდა ოჯახს მთელი ქონება გაეცათ და გლეხებივით ეცხოვრათ.

ოჯახს, დედის მეთაურობით, რაკი არ გაუვლია ის გზა, რომელიც მამამ განვლო, არ შეეძლო გაეგო მოტივები, რითაც მამა ხელმძღვანელობდა და ამიტომაც სრულიად ვერაფერი გაეგო თავისი მესვეურისა. რამდენი წელიწადი გვატარა ოჯახის ამ თავკაცმა ერთ გზაზე და უცებ ყველაფერი უნდა დანგრეულიყო და დავდგომოდით სრულიად ახალ, გამოუცნობ გზას. განსაკუთრებით გაოგნებული, ნაწყენი, გაღიზიანებული, შეშინებული და თავგზააბნეული იყო დედა.

დედამ ვერ გაიგო რატომ უნდა დაენგრიათ ცხოვრება, სადაც იგი ბედნიერად გრძნობდა თავს — ცხოვრება, ასე სვეებედნიერად მიმდინარე.

„ყველას ერთმანეთი გვიყვარს. ის კი ყველას უყვარს და პატივს სცემენ, ყველანი ემორჩილებიან. და მერე რა კარგია ცხოვრება, როცა ასეთი გონიერი მოსიყვარულე წინამძღოლი გვყავს. ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობას, რასაც ადამიანთა სიყვარული, დიდება და ფული მოაქვს, და ნეტავ კიდევ რაღას დაეძებს?“

მას აქეთ რაც დაიწყო „იდეები“ (ასე ამბობდა დედაჩემი) ყველაფერი გაფუჭდა. ბავშვებმა როგორც კი დაინახეს, რომ მამამ შეწყვიტა მათი ხელმძღვანელობა, აღარ ისურვეს მორჩილად ყოფნა, მთავრობამ რაღაც საზიანო ქროლვა რომ იყნოსა, ყურები ცქვიტა, მაგრამ რაკი ვერ ბედავდა თავად ტოლსტოისთვის ეხლო ხელი, ასახლებდა და აპატიმრებდა სულიერად ტოლსტოის ახლობელ ადამიანებს. აწყობილი, ბედნიერი ოჯახური ცხოვრების ნაცვლად იყო ბრძოლა, დავა, რასაც ცრემლები, ურთიერთსაყვედურები მოჰქონდა. ვისთვის ან რისთვის იყო ეს საჭირო? მერე კიდევ რა უფლება აქვს ძალით მოითხოვოს ჩვენგან შეცვლა იმ ცხოვრებისა, რომელსაც წლების მანძილზე თვითონვე შეგვაჩვია? — ასე მსჯელობდა დედაჩემი.

ბავშვებს ცოტა გვესმოდა იმისა, რაც ხდებოდა და მხოლოდ მამისა და დედის უთანხმოება გვტანჯავდა. ვხედავდით, რომ ორივენი ძლიერ განიცდიდნენ, ხშირად სტიროდნენ, მაგრამ როგორ მივშველებოდით — არ ვიცოდით.

ბოლოს მამამ გადაჭრით განაცხადა, რომ ამიერიდან აღარ სურდა მესაკუთრე ყოფილიყო და დედას შესთავაზა მთელ ქონებას თვითონ დაპატრონებოდა. დედამ ამაზე უარი უთხრა. მაშინ მამამ ხელა გამოსავალი იპოვა: შემოგვთავაზა ისე მოვქცეულიყავით, თითქოს ის უკვე გარდაცვლილი იყო. მემკვიდრეებს ისევე როგორც ესმის [illegible] ცვალებ-ბის შემდეგ მოხდებოდა მამის ქონება ერთმანეთში [illegible] გაეყოთ.

ასეც გავაკეთეთ. 1890 წელს, ვნების კვირადღეს, იასნაია პოლიანაში ჩამოვიდნენ ჩემი ძმები, რათა მომხდარიყო ქონების გაყოფა! მე ვწერ ჩემს დღიურში 1890 წლის 13 მაისს: მამამ მოისურვა, თორემ რასაკვირველია, — ამას არავინ გააკეთებდა.

მაგრამ უკვე მაშინ მესმოდა, როგორ უმძიმდა მამას. გადავწყვიტეთ როგორღაც სამივენი ერთად: სერგეი, ილია და მე შევსულიყავით მასთან კაბინეტში, რათა გვეთხოვა მამასთვის შეეფასებინა მთელი ქონება. დავუკაკუნეთ:

— ვინ არის?

— ეს ჩვენ მოვედით...

მამა არც დალოდებია, რას ვეტყოდით, რა გვინდოდა და სწრაფად მოგვახალა:

— ჰო, ჰო, ვიცი... საჭიროა ხელი მოვაწერო, რომ ყველაფერზე უარს ვაცხადებ თქვენს სასარგებლოდ.

ასე იმიტომ გვითხრა, რომ მისთვის ეს ყველაზე სამძიმო ტვირთი იყო და უნდოდა სასწრაფოდ გადაეგდო ეს ტვირთი. მესმოდა როგორ უმძიმდა ხელი მოეწერა და გაესაჩუქრებინა ის, რასაც კარგა ხანია თავისად აღარ თვლიდა. როცა საკუთარ მიწებს, სახლსა და ფულს გვაძლევდა საჩუქრად, თითქოს აღიარებდა, რომ ეს მისი საკუთრება იყო.

სიკვდილმისჯილივით ჩქარობდა თავი გაეყო მისთვის გაკეთებულ მარყუჟში, რომელსაც ელოდა, რომ ვერ აცდებოდა — და ჩვენ სამივენი, მის წინაშე მდგარნი, ვიყავით ეს მარყუჟი.

მამის ქონება ათ თანაბარ ნაწილად გაიყო და კენჭისყრით დაურიგდა ცხრა შვილსა და მეათე — დედას. ეს გაყოფა ყველასათვის ძნელი იყო. გული მტკიოდა, რომ მეც ვმონაწილეობდი იმ საქმეში, მამას რომ არ მოსწონდა. მაგრამ თავს იმით ვინუგეშებდი, რომ ამ გაყოფით მოისპობოდა მრავალი უსიამოვნო ჩხუბი და კამათი ოჯახში.

ჩემმა დამ მაშამ გადაჭრით განაცხადა უარი თავის წილ ქონებაზე. დედაჩემმა მაინც წინდახედულება გამოიჩინა, გამოჰყო ეს ნაწილი და მაშინ გადასცა მაშას, როცა თხოვდებოდა და მაშასაც უარი აღარ უთქვამს.

თვითეულ ადამიანს საკუთარი სულიერი თვისება გააჩნია. არიან ადამიანები, ყველაფერს სწრაფად რომ გადასწყვეტენ ხოლმე, წუთიერი შთაბეჭდილების ზეგავლენით, ამას რა შედეგი მოჰყვება, არ ფიქრობენ. ასეთ ადამიანებზე ნ. ნ. გუსევს თავის წიგნში „ორი წელიწადი ტოლსტოისთან“ მოტანილი აქვს მამაჩემის სიტყვები, კარგად რომ გამოხატავენ ჩემს აზრსაც:

ყოველთვის მეშინია ასეთ ადამიანთა გამო, რომლებიც მაშინვე ფიცხლად გადაწყვეტენ რაიმეს: მამულიც გასცა... ხოლო შემდეგ, თუკი ძალა არ ეყოფა, თავის თავს კი არ დაადანაშაულებს, არამედ დაადანა-

შაულებს იმ მოძღვრებას, რომლის აღსრულებაც სურდა: იტყვის ამის გაკეთება შეუძლებელიაო.

სხვა ადამიანებს ეშინიათ თავიანთ ძალას დაეყრდნონ, შიშობენ, ვაითუ, მომავალში საკუთარი შეხედულებები შეგვეცვალოსო და საკუთარი საქციელი სანანებელი გაგვიხდესო. და ამიტომაც რჩებიან ... დელ პირობებში, თან უმძიმთ და თან რცხვენიათ.

მე ადამიანთა ამ ბოლო ჯგუფს ვეკუთვნოდი. მეტისმეტად არ მსურდა მონაწილეობა მიმეღო გაყოფაში. იმ ხანებში ჩემთვის გაცილებით ადვილი იყო უარი მეთქვა მამის მემკვიდრეობაზე, ვიდრე მიმეღო საკუთარი წილი.

მაგრამ მე წამიერი შთაბეჭდილების ზეგავლენით არასოდეს ვიქცევი, ამიტომ თავდაპირველად გადავწყვიტე კარგად გამეაზრებინა საკუთარი მდგომარეობა და საკუთარი ძალები ამეწონ-დამეწონა.

იმ დროის დღიურში ჩაწერილი მაქვს:

„მშურდა მამასი, ვინაც არაფერში არ მონაწილეობდა და უარი განაცხადა თავისი წილის აღებაზე. და მეც ფრიად კეთილსინდისიერად ვცდილობდი კარგად მომეფიქრებინა, როგორ მოვქცეულიყავი. ბოლოს აი, რა გადავწყვიტე:

ჯერ ერთი, არა მაქვს უფლება არ ავიღო საკუთარი წილი, იმიტომ, რომ მაინც გამომიყოფენ და დედაჩემის სახელზე დაწერენ, დედა მაინც მომცემს შემოსავალს. ჩემი წილი ადგილმამულიდან და ესეც არ იყოს, ჩემს მაგივრად რად უნდა იდავიდარაბოს?! ხოლო მეორეც, იმდენი მოთხოვნილება გამაჩნია და თვითონ ჩემგან ისეთი ცოტა სარგებელია, რომ ვინმეს კისერზე უნდა ვიჯდე და სათრევად გავუხადო თავი. უწინარეს ყოვლისა იმაზე უნდა ვიზრუნო, რათა მოთხოვნილებები შევიმცირო, ხოლო ფულის მოშორებას ყოველთვის შევძლებ. თანაც ისე ცუდი მომვლელი ვარ იმისა, რაც მაბადია და ისე ხშირად მჭირდება რაც შეიძლება მეტი ფული, რომ აბა როგორღა უნდა განვაცხადო უარი საკუთარ წილზე!"

მაშინ მეგონა, რომ ჩემთვის გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა საკუთარი მოთხოვნილებების შემცირება და ჩემი წილი ქონების მოშორება, ვიდრე ეს სინამდვილეში აღმოჩნდა. ასე ვმსჯელობდი: ჩემი ცხოვრების მთავარ საქმეს უნდა წარმოადგენდეს ის, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დავხარჯო საკუთარ თავზე სხვა ადამიანთა შრომის ნაყოფი და რაც შეიძლება მეტი გავცე სანაცვლოდ. თუ კი მე ახლა უშუალო ზიზღის გრძნობას ავყვები და არ ავიღებ ჩემი კუთვნილი ქონების წილს, შეიძლება ისე მოხდეს, — ალბათ უეჭველად ასე მოხდება — რომ ვერ გავუძლო ცდუნებებს და ამ ცდუნებათა დასაკმაყოფილებლად ადვილი მოსალოდნელია რაიმე ცუდი საქციელი ჩავიდინო: ან გავთხოვდე ფულის გამო, ან ვიმუშაო ისეთ ადგილას, ჩემს რწმენას რომ არ შეესაბამება ანდა რალაც ამდაგვარი უსათუოდ მოხდება.

და ასე ავიღე ჩემი წილი ქონება: მამული სოფელ ოვსიანიკოვოში. ეს ოთხმოცი დესეტინა მიწა იასნაია პოლიანასთან ახლოს და მცირეოდენი ფულადი კაპიტალი.

უწინდებურად იასნაია პოლიანაში ვცხოვრობდი. ოვსიანიკოვოში ცხოვრობდა ჩვენი მეეტლის ვაჟი, რომელიც იქ მეურნეობას განაგებდა,

მაგრამ საქმე ცუდად მიდიოდა, მიწა იჯარით გავეცი მეზობელი სოფლების გლეხებზე და ინვენტარი გავყიდე.

მახსოვს პირველად გლეხებმა ბე რომ მომიტანეს. სამზარეულოში იქვე იყო ჩვენი მზარეული სემიონ ნიკოლოზის ძე, სამიკიტნო შემოვიდა. ერთ-ერთმა გამონასკვული ხელსახოცი გამოხსნა და [illegible] დაიწყო მანეთიანები, ორშაურიანები და სპილენძის შაურიანებიც, თან გულისყურით ითვლიდა, არ შემეშალოსო. ვიდექი და ველოდებოდი, როდის დაითვლიდა, რათა ამეღო ეს მძიმე შრომის შედეგად აღებული ფული და ჯიბეში ჩამედო. მეორე დღეს ოვსიანიკოვოში ჩავედი, რათა გლეხებთან ერთად პირობები ჩამომეწერა:

ისე გამიჭირდა, რომ გუნებაში გადავწყვიტე, რაც არ უნდა დამჯდომოდა შემეცვალა ეს მდგომარეობა. განვიზრახე მარტოკას გამომენახა გზები ამ ულლის თავიდან მოსაშორებლად.

გადავწყვიტე გლეხებისაგან აღებული ფული უკან დამებრუნებინა, მაგრამ ოვსიანიკოვოსათვის რა მექნა, ვერაფერი მოვიფიქრე.

მამას არ დავთათბირებივარ, რადგანაც მსურდა ჯერ მარტოს, საკუთარი სინდისის წინაშე დარჩენილს, ყოველმხრივ განმეხილა ეს საკითხი და საკუთარი ძალები ამეწონა.

მაგრამ მამაჩემის მგრძნობიარე, მოსიყვარულე გულს ჩემი განწყობილება ვერ დავუმალე. მან მაშინვე იგრძნო, რომ რაღაცით შეწუხებული ვიყავი. აი რას სწერს იგი მაშას 1894 წლის 29 აგვისტოს:

„გუშინ ტანია ოვსიანიკოვოში იყო გლეხებთან პირობების გასარკვევად. გული მწყდებოდა მისი საქციელის გამო, მაგრამ განგებ ვდუმდი. იქიდან ძალზე მოწყენილი დაბრუნდა. დღეს დილით, მის ოთახში რომ გავიარე, ვკითხე, მოწყენილი რატომ ხარ-მეთქი. ყველაფრის გამოო, მიპასუხა, და იქვე დასძინა, „მაგრამ არა, არის ერთი მიზეზი“. — „რა მიზეზია?“ — „ოვსიანიკოვო. რატომ უნდა ჩაიდინო სისაძაგლე, როცა არავის არ სჭირდება“. ბაგეები უთრთოდა და აქვითინდა. როცა თავს მოერია, მითხრა, რომ ამ საქმეზე უსათუოდ დაგეთათბირებიო. უკვე მოვიფიქრე, როგორ უნდა მოიქცეს ტანია. და გული სიხარულს ველარ იტევს. მაგრამ აი გავიდა დღე და არაფერს მეუბნება. იქნებ ჰგონია, რომ დამავიწყდა (როცა მხოლოდ ამით ვცოცხლობ), ან იქნებ რცხვენია. მაგრამ ყოველივე კარგად იქნება, რადგან იგი არ ცდილობს არ დაინახოს, რაც არ სურს.

შემდეგ წერილში ისევ მაშას ატყობინებს:

„ტანიას ოვსიანიკოვოზე ველაპარაკე. ძალიან მინდა იქ საქმე ისე მოვაწყო, რომ მიწის ფული საზოგადოებრივ საქმეს მოხმარდეს“. (ჰენრი ჯორჯის მსგავსად).

რაკი მამას გადავუშალე მძიმე საწუხარი ასე რომ მტანჯავდა, დავმშვიდდი. მან ამიხსნა თავისი გეგმა, როგორ მოვქცეულიყავით მიწის საკითხთან დაკავშირებით და ჩვენც ოვსიანიკოვოში წავედით, რათა გლეხებისთვის გადაგვეცა ჩვენი წინადადება. მამის საუბარი გლეხებთან საკმაოდ ზუსტად არის აღწერილი „აღდგომაში“.

სულიდან თითქოს მძიმე ლოდი ამაცალეს.

სახნავი მიწა და ტყეები გლეხებს გადაეცა.

კარმიდამო ჩემს სარგებლობაში დავიტოვე, უმთავრესად იმიტომ,

რომ იქ დასახლებულიყო მარია ალექსანდრეს ასული შმიდტი, ჩვენი ძველი მეგობარი და მამაჩემის შეხედულებების ერთგული მიმდევარი. ოვსიანიკოვოს კარმიდამოში სხვებიც ბევრნი ცხოვრობდნენ, რომლებსაც საცხოვრებელი სახლი სჭირდებოდათ.

ჩემი საქციელის პასუხად მრავალი შექება და მადლობა დავიმსახურე. ამან ერთხელ კიდევ დამანახა, რა ხშირად აქებენ ან კიცხავენ ადამიანები იმას, რაც არც ქების ღირსია და არც გაკიცხვისა.

სხვათა შორის ლ. ი. ვესელიტსკაიასაგან ასეთი წერილი მივიღე. (ლ. ი. ვესელიტსკაიამ, ფსევდონიმით „ვ. მიკულიჩი", დაწერა არა ერთი ნიჭიერი მოთხრობა „მიმოჩკა პატარძალი", „მიმოჩკა წყლებზე", „მიმოჩკა მოიწამლა". და ასე შემდეგ. 1914 წელს მან გამოაქვეყნა მოგონებები სათაურით „წარსულის ჩრდილები", მიძღვნილი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოისა, მისი ოჯახისა და მეგობრებისადმი.

„სწორუპოვარო ტატიანა ლევის ასულო!

ნუ გაბრაზდებით, ჩემო ძვირფასო და ჭკვიანო, იმის გამო, რომ იაკუბოვსკიმ საიდუმლოდ გაგვიმხილა თქვენი ამბავი. ისე გახარებული და აღფრთოვანებული ვარ, რომ არ ვიცი ან გული სადა მაქვს ან სრულ ჭკუაზე თუ ვარ. რაც არ უნდა მითხრან, არაფერი მესმის და არ შემიძლია არც წერა, არც ლაპარაკი, არც კითხვა მანამდე, ვიდრე არ გეტყვით: გმადლობთ ყველა იმ გრძნობათა გამო, რომლებიც თქვენმა საქციელმა გამოიწვია.

გკოცნით და უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ გნახეთ და გიცნობთ.

უფრო და უფრო ნათელი ხდება იასნაიაში ის, რაც ყველასათვის ნათელი უნდა გახდეს. კიდევ ერთხელ გკოცნით მაგრად.

მთელი სულით თქვენი მოსიყვარულე
ლიდია ვესელიტსკაია".

რაკი ეს წერილი რამდენიმე თვის შემდეგ მივიღე, რაც მიწები გლეხებს გადავეცი, პირველად ვერ გავიგე, რა უამბეს ჩემზე ლიდია ივანეს ასულს. მას აქვთ ახალი მოვლენები და ახალი ინტერესები გაჩნდნენ და იმ ეპიზოდმა უკანა რიგში გადაინაცვლა. გარდა ამისა, ის, რაც მე გავაკეთე საკუთარი სინდისის დასამშვიდებლად, ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე იოლად ჩასადენი საქციელი იყო. და ამიტომაც შექებასაც ყველაზე ნაკლებად იმსახურებდა. იყო უამრავი სხვა რამ რომელთა აღსრულება გაცილებით მეტად მიჭირდა და ამიტომაც არათუ მაქებდნენ, არამედ, ხშირად მკიცხავდნენ.

მაშინ, როცა მე და მამაჩემი ოვსიანიკოვოს საქმეებს ვაგვარებდით, ჩემთვის სავსებით სულერთი იყო, რას ამბობდნენ ჩემზე, მე და მამა იმით ვიყავით დაკავებულნი, რომ ოვსიანიკოველ და სკურატოველ გლეხებთან პირობებს ვადგენდით, და სხვა აღარაფერი მაინტერესებდა. ამ პირობის შავი პირი მამაჩემის ხელით არის დაწერილი, ხოლო ჩემი ხელით ჩამატებულია ადგილები, მამას მითითების თანახმად. იგი ჩემთან ინახება, როგორც იმ საოცარი სიახლოვის წუთების სახსოვარი, ჩემსა და მამას შორის რომ სუფევდა, რაიც ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია მოსაგონებლად.

ამ პირობის თანახმად მთელი სახნავი და სათიბი მიწები სრულ გამგებლობასა და სარგებლობაში გადაეცემოდა ორ საგლეხო საზოგადოებას, რომ მათ აქვთ უფლება დახნან, დათესონ და აიღონ მოსავალი თავიანთ სასარგებლოდ სახნავ-სათიბ მიწებზე, რომ აძოვონ თავიანთი საქონელი ველ-მინდვრებში, ისარგებლონ ტყით და ყოველწლიწადში ერთხელ გაწმინდონ და გამოიტანონ ძირშემხმარი ხეები.

გლეხები კი ვალდებულებას იღებდნენ: შეიტანონ საზოგადოებრივ სალაროში თვითეულ დესეტინა მიწაზე ექვს-ექვსი მანეთი. გააპოხიერონ ნიადაგი, უდარაჯონ ტყეს და გადაიხადონ ბევარა იჯარაში აღებული დარჩენილი ფულიდან. გლეხები ვალდებულნი იყვნენ გამოეყენებინათ საერთო გაჭირვების შემთხვევაში ორი სოფლის საზოგადოების კრების გადაწყვეტილების თანახმად.

ბოლოს ვთხოვდი ჩემს ორ მემკვიდრეს, რომ ჩემი სიკვდილის შემდგომ მიწა სრულ საკუთრებაში გადაეცათ გლეხებისათვის.

თუმცა მამამ ამიხსნა ჰენრი ჯორჯის სამიწათმოქმედო სისტემა, მაგრამ ეს სისტემა მაშინ თითქმის არც მაინტერესებდა.

სული სიხარულს ვერ იტევდა, რადგან ვხედავდი, რომ მამა ძალზე გახარებული იყო, ხოლო გლეხები კმაყოფილნი.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ავიღე ხელთ ჰენრი ჯორჯის წიგნი და კეთილსინდისიერად შევისწავლე.

როცა გავიგე ამერიკელი რეფორმატორის სისტემა, აღტაცებისაგან ისეთი მღელვარება დამეუფლა ამ გენიალური მოძღვრების ნათელი სამართლიანობის წინარე, რომ მსურდა რაც შეიძლებოდა სწრაფად გადამეცა თვითეული ადამიანისათვის ის, რასაც ვგრძნობდი, და განვიცდიდი მე. დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი გულწრფელი ადამიანი, ვინც წინასწარ არ არის დარწმუნებული, არ შეიძლება არ მოექცეს იმ დიდი ლოგიკური ხიბლის ზეგავლენის ქვეშ, რომელიც დაფუძნებულია, როგორც ყოველივე დიადი, რელიგიურ პრინციპზე, ჰ. ჯორჯის მოძღვრებაში რომ არის გამოხატული.

ამ ადამიანს თავისი სისტემა კაბინეტში ბეჯითი შრომით კი არ შეუქმნია, არამედ საკუთარმა ცხოვრებამ, გაჭირვებული მუშაკაცის ცხოვრებამ შეაქმნევინა. მან ჭეშმარიტება მოიპოვა პირადი ტანჯვის წილ. თვითონ ყვება ერთხელ როგორ შეიქმნა იძულებული ქუჩაში სამათხოვროდ ხელი გაეწვდინა, რათა ავადმყოფი ცოლისათვის წამლები ეყიდა. სამუშაო საკითხი მისთვის მტანჯველ დილემად იქცა და მან ეს საკითხი თავისი ძლიერი გონებითა და თავისი კეთილშობილური, მგზნებარე გულით გადაწყვიტა.

და დღემდე ადამიანებს ეშინიათ ენდონ მიწის საკითხის ამ უწმინდეს გადაწყვეტილებას, რომელთანაც ჰ. ჯორჯი მივიდა. ეჭვი არ მეპარება, რომ ოდესმე კაცობრიობა თვალს გაახელს და დაინახავს საყოველთაო კეთილდღეობის ამ უბრალო ხერხს, და ბედნიერება და სიმდიდრე კაცობრიობისა იმდენად გაიზრდება, რომ ადამიანები შიმშილით აღარ დაიხოცებიან, როგორც ახლა.

რელიგიურ პრინციპზე დაფუძნებული ზნეობრივი ცხოვრება ყოველთვის ყველაზე ხელსაყრელია, მაგრამ საუკუნეებს საუკუნეები ენაცვლება და ადამიანებს ეშინიათ ამის აღიარება.

გაიგონა რა ამერიკელი რეფორმატორის დიადი სიტყვები მეორე დიადმა სულმა, ჭეშმარიტებისა და ადამიანების მიმართ იმავე სიყვარულით სავსემ დედამიწის საპირისპირო მხარეზე შეთრთოლდა და გაეპასუხა მათ.

მას შემდეგ რაც ჯორჯის წიგნი წაიკითხა, მამას ერთხელაც არ გაუშვია ხელიდან შემთხვევა, რათა გაევრცელებინა მისი მოძღვრება. ჩემი თანდასწრებით საუბრობდნენ ამ თემაზე და მეც გულათრთოლებული ვუსმენდი მათ. მხოლოდ ერთი რამ მაცბუნებდა. თუმცა ამ სისტემის ცხოვრებაში გასატარებლად, არ იყო საჭირო უხეში „ჩამორთმევა", რომელსაც, როგორც ყოველ მდგომარეობას ვერ იტანდა მამა, — მაგრამ მაინც მიწის გადასახადი მთავრობას უნდა აეკრიბა. მთავრობა კი ძალმომრეობას ემყარება.

ეს მე მამას ვუთხარი, — მიპასუხა, ზოგჯერ ეს ამბავი მეც მაცბუნებსო. მაგრამ არსებული წყობილების პირობებში მიწის საკითხის ეს ყველაზე საუკეთესო გადაწყვეტილებაა. გარდა ამისა, მას წარმოდგენილი აქვს ისეთი საზოგადოებრივი წყობა, სადაც ხალხის მმართველობა სხვაგვარი იქნება ვიდრე ამჟამად არის, იქნება ნებაყოფლობითი.

ამ დროს კი ოვსიანიკოვოს გლეხები კეთილსინდისიერად აღასრულებდნენ თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს. კრებდნენ საიჯარო გადასახადს, შეჰქონდათ ბანკში და ხარჯავდნენ საზოგადოებრივი გასაჭირის დროს. ერთხელ სკურატოვში დაეხმარნენ იმათ, ვისაც სახლები დაეწვათ, ერთხელ მოუსავლიან წელიწადში ქერის თესლი უყიდეს, გუბურა ამოთხარეს.

ჩემამდე აღწევდა ხმები, რომ გლეხები ჯერ კიდევ სავსებით არ მენდობოდნენ და ეშინოდათ, ვაითუ, ერთბაშად მოგვთხოვოს ამ წლების მთელი საიჯარო ფული.

მაგრამ მალე დაინახეს, რომ არა თუ არ ვითხოვდი მათგან ფულს, არამედ იმასაც არ ვამოწმებდი, რამდენი შეჰქონდათ.

როცა ამაში დარწმუნდნენ, დაანებეს თავი საიჯარო გადასახადის შეტანას და უკვე მუქთად სარგებლობდნენ. ზოგიერთმა გლეხმა ქორვაჭრობაც კი დაიწყო, თვითონ მუქთად იღებდნენ და მეზობელს კი ფულს ახდევინებდნენ.

მომდიოდა საჩივრებიც, ჭორები, დაბეზღებანი. მაშინ უკვე გათხოვილი გახლდით და იასნაია პოლიანადან შორს ვცხოვრობდი. მე იქ მცირე ხნით ჩავდიოდი ხოლმე და არა მქონდა საშუალება ოვსიანიკოვოს საქმეებისათვის მიმეხედა. გარდა ამისა გული მატკინა გლეხების ქორვაჭრობამ და გადავწყვიტე ყურად მეღო მათი თხოვნა საგლეხო ბანკის მეშვეობით მიმეყიდა მათთვის ის მიწა, რომლითაც სარგებლობდნენ.

რაკი ოვსიანიკოვოსთან დამოკიდებულებაში აღარ ვიყავი, აღარ მაინტერესებდა ჰ. ჯორჯის სისტემა, მით უფრო დიდი გულისყურით მოვეკიდე ამ სისტემის თეორიულ მხარეს.

იასნაია პოლიანაში მოდიოდა ჟურნალები, საგანგებოდ მიძღვნილი ჯორჯის სისტემის პროპაგანდა და მისი მრავალი წიგნი, რომლებიც მამაჩემის ხელმძღვანელობით ითარგმნებოდა რუსულ ენაზე. ვკითხულობდი ყველაფერს რაც ხელთ მხვდებოდა ამ საკითხთან დაკავშირებით.

როცა ჯორჯის ყველა წიგნი წავიკითხე, იმავე საკითხზე სხვა ავტორების თხზულებების კითხვას შევუდექი, ვფიქრობდი, რომ იქნებ აქ მეპოვა რაიმე ახალი ან მისი თეორიის უარმყოფელი. შემდეგ ვიშოვე და წავიკითხე ჯორჯის კრიტიკა, ვფიქრობდი, რომ შესაძლებელია ყოფილიყო წინააღმდეგობანი რაც ვერც მე მოვიფიქრე და ვერც მამაჩემმა.

მაგრამ მიწის საკითხის გადაწყვეტის საქმეში ვერაფერი ვიპოვე ისეთი, რაც ჰ. ჯორჯის შეედრებოდა, ხოლო რუს კრიტიკოსებთან ვიპოვე იმდენი აღმაშფოთებელი უცოდინარობა იმ ავტორისა რომელსაც ისინი აკრიტიკებდნენ.

წიგნების მთელი წყება რომ წავიკითხე, უწინდებურად ჩემს თვალსაზრისზე დავრჩი. ვერაფერი ვიპოვე უფრო უბრალო, უფრო ნათელი, უფრო სასარგებლო უფრო სამართლიანი, ვიდრე ჯორჯის სისტემა იყო.

როგორ მსურდა მთელი ქვეყნიერება გაცნობოდა ამ სისტემას. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ იცოდე ეს სისტემა-ნიშნავს, უსათუოდ მისი მიმდევარი გახდე. მაგრამ რა გამეკეთებინა, რათა ადამიანთა გულისყური მისკენ მიმეპყრო?

გადავწყვიტე დამეწერა პოპულარული წიგნი, სადაც ჩამოყალიბებული იქნებოდა ჰ. ჯორჯის მოძღვრება.

მეგონა რომ შემწევდა ამის ძალა. საკუთარ თავზე გამოცდილი მქონდა, რა ძნელია ადამიანისათვის, ვინც არ იცნობს პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებას და არ არის განათლებული ამ სფეროში, მაშინვე გაიგოს და დაეუფლოს დიდი ამერიკელი ეკონომისტი-ფილოსოფოსის აზრს. მრავალი სპეციალური ტერმინი ბუნდოვანია საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის. რაკი ვიცოდი რამდენი რამის წაკითხვა, რამდენი ფიქრი დამჭირდა და წინასწარ რამდენი ვინმე გამოვკითხე ვიდრე ნათლად გავიგებდი ჯორჯს, გადავწყვიტე ჩამომეყალიბებინა მისი შეხედულებები ყველასათვის მისაწვდომ, ყოველი რიგითი მკითხველისათვის გასაგები ენით.

რამდენჯერმე გადავწერე და გადავაკეთე ჩემი წიგნის დასაწყისი და ვცდილობდი უბრალოდ, ნათლად, გასაგებად გადმომეცა ჩემთვის ძვირფასი აზრები.

ხშირად ეჭვები შემიპყრობდნენ, ისე ვწერ ან იმას ვწერ, რაც არის საჭირო, ან იქნებ საერთოდაც არავის სჭირდება ჩემი შრომა-მეთქი?

რასაკვირველია, ამის საუკეთესო მსაჯულად მამაჩემი გამოდგებოდა. მაგრამ საკუთარ წიგნს განსახილველად იმიტომ ვერ ვაძლევდი, რომ ვიცოდი, მამა ვერ იქნებოდა ჩემი წიგნის თავისუფალი და პირუთვნელი განმსჯელი. გადავწყვიტე პირველი ნაწილი ფსევდონიმით გამეგზავნა.

ხელნაწერი რემიგტონზე გადავბეჭდე და მანქანაზევე გადაბეჭდილი წერილიც გავუგზავნე, რომელშიც ვთხოვდი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის პასუხი გამოეგზავნა მოსკოვში ამა და ამ მისამართზე. რაც მომაფიქრდა, ისე მოვაწერე ხელი. პ. პოლილოვი. მოსკოვში კი მივწერე, რომ წერილს როგორც კი მიიღებდნენ, მაშინვე ჩემთვის სოფელში გადმოეგზავნათ.

უდიდესი მოუთმენლობით ველოდი პასუხს, მაგრამ არა და არ ჩა-

ნდა. სწორედ ამ დღეებში აირ-დაირია დაზღვეული წერილების საფოსტო უწყებები, იმის ნაცვლად რომ ჩვენ მოგვსვლოდა, ისინი ჩვენს მეზობლებს გადაუგზავნეს. ვღელავდი, ყველას ვკიცხავდი და მოუთმენლობისაგან ადგილს ვერ ვპოულობდი.

ბოლოს გადავწყვიტე იასნაია პოლიანაში გავმგზავრებულიყავი.

დილით ჩავედი და რაკი მამა მუშაობდა, მე აღარ მოვწყვიტე სამუშაოს. ჩემს დას საშას ვკითხე იასნაიაში ახალი ხომ არაფერია-მეთქი, ვინ მნახველები იყვნენ და ან რა წერილები მიიღეთ-მეთქი. საშამ მითხრა, რომ სხვა საინტერესო წერილებს შორის მამამ მიიღო ხელნაწერი და წერილი ვიღაც პოლილოვისაგან, რამაც ფრიად გაახარაო. დასძინა მამა ხელნაწერს ძალზე აქებდა და პოლილოვს გრძელი წერილი გაუგზავნა, სტატიის მსგავსი, რომელიც რამდენჯერმე გადააკეთაო. მაჩვენა ჩემივე წერილი ფსევდო-პოლილოვის სახელით გამოგზავნილი და შიგვე ჩადებული ჩემი ხელნაწერი. კონვერტზე მამაჩემის ხელით ეწერა: „პასუხი გაეცეს". დაბლა კი ფრჩხილებში მიწერილი ჰქონდა („საინტერესოა").

მოვთხოვე საშას მამაჩემის პასუხის ასლი. მომიტანა, გულისკანკალით და უდიდესი მღელვარებით წავიკითხე. აი ის წერილიც:

„1909 წლის 6 ნოემბერი. იასნაია პოლიანა:

პეტრე ალექსანდრეს ძევ!

თქვენმა სტატიამ და წერილმა უდიდესი სიხარული მომანიჭა. კარგა ხანია შევწყვიტე და არასოდეს არ მაინტერესებდა პოლიტიკური საკითხები, მაგრამ მიწის საკითხი, ანუ აგრარულ მონობის საკითხი, თუმც კი პოლიტიკურ საკითხად ითვლება, არის, როგორც თქვენ მართებულად შენიშნავთ, ზნეობრივი საკითხი, უწმინდესი ზნეობრივი მოთხოვნილების დარღვევის საკითხი და ამიტომაც ეს საკითხი არათუ მაინტერესებს, არამედ მაწამებს, მაწამებს ის სულელური უხეში გადაწყვეტა ამ საკითხისა როგორც ეს ჩვენმა უბედურმა მთავრობამ გადაწყვიტა, და ის სრული გაუგებრობა საზოგადოების წარმომადგენლობისა, რომელიც თავს მოწინავედ მიიჩნევს. ამიტომაც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ის სიხარული, რომელიც თქვენი მშვენიერი სტატიის წაკითხვამ მომანიჭა, ასე მკაფიოდ და ძლიერად რომ აჩენს საქმის არსს.

ეს საკითხი იმდენად მაწამებს, რომ ამ დღეებში ძალზე ცხადი სიზმარი ვნახე: „სწავლულ-მეცნიერთა" საზოგადოებაში გახლდით და ვეკამათებოდი მათ შეხედულებებზე და ჩამოვაყალიბე სწორედ ის შეხედულება მიწის კერძო საკუთრების არსებულ აღმაშფოთებელ უსამართლობაზე, რაიც ესოდენ მშვენივრად არის გამოთქმული თქვენს სტატიაში. მე ჩავიწერე ეს სიზმარი და მინდოდა, ცოტა შემესწორებინა და დამებეჭდა. ეს სიზმარი ასრულდა თქვენს მიერ და თქვენს სტატიაში.

ღმერთი შეგეწიოთ რათა დაასრულოთ ეს შრომა და რაც უფრო სწრაფად მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება. იცნობთ თუ არა ნიკოლაევს? მე არათუ ვიცნობდი ნიკოლაევს, არამედ დიდადაც მეხმარებოდა როგორც რჩევა-დარიგებებით, ასევე წიგნებით. მან გადმომცა მთელი თავისი ბიბლიოთეკა აგრარულ საკითხზე, საიდანაც უამრავი ცნობა ამოვკრიბე. განსვენებულმა ს. დ. ნიკოლაევმა, რომელიც 1920 წელს

გარდაიცვალა, ჰ. ჯორჯისა თითქმის ყველა თხზულება თარგმნა რუსულ ენაზე, გაეცანით, ის მცოდნეა ჰ. ჯორჯისა, ისეთი მგზნებარე მომხრე მისი მოძღვრებისა და თანაც ისეთი მშვენიერი ადამიანი, როგორსაც იშვიათად შეხვდებით.

დიდად გმადლობთ იმ სიხარულისათვის, მე რომ [illegible]

ვფიქრობ, რომ საკითხი აგრარული მონობის [illegible] და მისგან განთავისუფლების აუცილებლობაზე ახლა შეგნების იმავე დონეზე დგას, რა დონეზადაც იდგა ბატონყმობის საკითხი 50-იან წლებში: იმგვარივე შეგნებული აღშფოთება ხალხისა, რომელიც ცხადად გრძნობს გამეფებულ უსამართლობას, ისეთივე შეგნება უსამართლობისა მდიდართა კლასის იშვიათ საუკეთესო წარმომადგენელთა შორის და ისეთივე უხეში, ნაწილობრივ გაუცნობიერებელი, ნაწილობრივ კი გაცნობიერებული გაუგებრობა საკითხისა მთავრობაში.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მაშინ ყმა-გლეხთა გასანთავისუფლებლად ხელისუფლებს ევროპის მაგალითი ჰქონდა და რაც მთავარია, ამერიკის, ახლა კი ეს მაგალითი არ არის და თუ არის, ეს მაგალითიც, რომელიც გულისხმობს წვრილი კერძო მიწათსაკუთრების შექმნას, არა მხოლოდ არ ათავისუფლებს ხალხს აგრარული მონობისაგან, პირიქით განამტკიცებს ამ მონობას. და როგორც ყოველთვის, მმართველი წრეები, დგანან რა ზნეობრივი და გონებრივი კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე, განსაკუთრებით ახლა, მას შემდეგ რაც რევოლუციაზე გაიმარჯვეს განსაკუთრებით თვითდარწმუნებულნი და უხეშნი გახდნენ, არც იმის თავი აქვთ თვითმყოფადად იფიქრონ, არც იმისა შეიგნონ, რომ მიწის საკუთრების უზნეობა, თამამად ამსხვრევს რუსეთის ცხოვრების საუკუნეობრივ საფუძვლებს, იმის გამო, რათა რუსი ხალხი მიიყვანონ იმ საშინელ, არაზნეობრივსა და დამღუპველ მდგომარეობამდე, რომელშიც იმყოფებიან ევროპის ხალხები. თავიანთი გონებაშეზღუდულობისა და უზნეობის გამო ამ ადამიანებს არ ესმით, რომ რუსი ხალხი არ იმყოფება ახლა იმ მდგომარეობაში, როცა შეიძლება აიძულო მიბაძოს ევროპას ანდა ამერიკას, არამედ იმ დღეშია, როცა მან უნდა უჩვენოს სხვა ხალხებს გზა, რა გზითაც შეიძლება მიაღწიო ხალხის განთავისუფლებას აგრარული მონობისაგან, მთავრობა, რომ არ ვამბობ ჭკვიანი და ზნეობრივი იყოს-მეთქი, იყოს თუნდაც სულ მცირედ ის, რითაც თავს იქებს, იყოს რუსული, გაიგებდა, რომ რუსი ხალხი, თავისი დამკვიდრებული შეგნებით, რომ მიწა ღმერთს ეკუთვნის და შეიძლება იყოს სათემო, მაგრამ არაფრით არ შეიძლება იყოს კერძო საკუთრების საგანი, გაიგებდა რომ რუსი ადამიანი ჩვენი დროის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში სხვა ხალხებთან შედარებით გაცილებით წინ დგას.

ჩვენი მთავრობა სავსებით უცხო რომ არ იყოს ხალხისთვის, რომ არ იყოს სასტიკი, უხეში და სულელური დაწესებულება, იგი გაიგებდა არა მხოლოდ იმ უდიდეს როლს, რომელიც უნდა განახორციელოს, გაფორმოს ხალხის დიადი, მოწინავე იდეალები, არამედ იმასაც გაიგებდა, რომ ხალხის დამშვიდებას, დაშოშმინებას, რასაც ახლა აღწევს იოანე ბრწყინვალეს დროის შემდეგ გაუგონარი დასჯითა და ყოველგვარი ჯურის საშინელებებით, უეჭველად მოახერხებდა თუკი განახორციელებდა ერთ

საერთო-სახალხო იდეალს. გაანთავისუფლოს მიწა მესაკუთრის უფლებისაგან. არ დასჭირდებოდა მაშინ არც მეფეს, არც მის მინისტრებს, დამნაშავეებივით დამალვოდნენ ხალხს დაცვის საშუალების მიერ. მხოლოდ გამოაცხადეს მანიფესტი როგორც მაშინ ყმაგლეხთა გათავისუფლების დროს, რომ მთავრობა მუშაობს მიწის მონობისაგან ხალხის გასანთავისუფლებლად, და ხალხი ყველა დაცვაზე უკეთ დაიცავს ხელისუფლებას, რომელსაც მაშინ თავისად ჩათვლის. ე. წ. მაღალი საზოგადოების სიბრმავე, საოცარია!

სათათბირო? სათათბიროს წევრებთან ყოველ შეხვედრაზე საკუთარ მოვალეობად მიმაჩნდა, მეთხოვა მათთვის, რათა მათ თუნდაც დაეყენებინათ კერძო საკუთრების უფლებისაგან მიწის განთავისუფლებისა და მიწის გადასახადის შეტანის საკითხი ჯორჯის მიხედვით. პასუხი მუდამ ერთია. ამ საკითხზე არ გვიმუშავნია, უცნობია ჩვენთვის. მთავარი კი ის არის, რომ ეს საკითხი არავითარ შემთხვევაში არ დადგება განსახილველად. როგორც ჩანს, ეს ბატონები მეტისმეტად გულითადად არიან გატაცებულნი წყლის ნაყვით. რათა დრო დარჩეთ იმაზე დასაფიქრებლად, რა არის მხოლოდ მნიშვნელოვანი და საჭირო. ისინი ბრმები არიან, მაგრამ კიდევ უარესია ის ამბავი, რომ გონიათ — თავისუფალნი ვართო.

მაშ როგორღა არ მიხაროდეს თქვენი მოღვაწეობა! გთხოვთ, მომწერეთ თქვენი საქმის წარმატების ამბავი.

მეგობრული მადლიერების გრძნობით გართმევთ ხელს

ლევ ტოლსტოი.

7 ნოემბერი, 09 წელი

იასნაია პოლიანა.

ძალზე რთული, არეული გრძნობები აღმიძრა ამ წერილის წაკითხვამ.

აღტაცებული ვიყავი მამას რომ მოეწონა. მაგრამ თან მრცხვენოდა და ვნანობდი საკუთარი მისტიფიკაციის გამო. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მამა როცა გაიგებდა ვინ იყო ნამდვილი ავტორი, გული დაწყდებოდა და ეწყინებოდა, რომ ახალ კერაზე კი არ წარმოიშვა ჯორჯის იდეის ცოდნა და პროპაგანდა, არამედ მისივე სისხლისა და ხორცისაგან მომდინარეობს.

როცა დედა ადგა, მანაც მიამბო, რომ მამა სულ ერთ სტატიაზე ლაპარაკობს ვინმე პოლილოვმა რომ გამოუგზავნა, ძალიან აქებს და რომ ისევ დაიწყო ლაპარაკი ჯორჯზე, რამაც უკვე თავი მოაბეზრა.

მე ათრთოლებული ველოდი მამის მოსვლას. ბოლოს იგი გამოვიდა თავისი კაბინეტიდან დარბაზში. მივესალმეთ ერთმანეთს და საუზმეზე დავსხედით.

იმ დღეს მეტად მხიარულ გუნებაზე იყო და მიამბობდა, დილით რა წერილები მიიღო. სხვათა შორის, ერთი მისი ახალგაზრდა მეგობარი ახლახან დაქორწინებულა და აღუწერდა თავის ცოლს. იუმორისტულად წერდა, რომ ყოველმხრივ იდეალური ქალი არისო, ჩინებულად აცხობს ღვეზელებს, მაგრამ არავითარი ლოგიკა არა აქვს, პერანგები სულ სუფთა მაცვია, მაგრამ ჩემი ფიქრები და იდეალები იმ ქა-

ლისთვის უცხო არისო და ა. შ. პასუხს ვერ ვაგებ რაოდენი სიზუსტით გადმოცემდა წერილის შინაარსს. მე ეს წერილი არ წამიკითხავს, მაგრამ დაახლოებით მახსოვს მამის გადმოცემის მიხედვით. მამა ბევრს იცინოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველანი ასეთები ხართ.
მან ჭამა დაიწყო.
ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ვკითხე:
— მოგეწონა პოლილოვის სტატია?
— დიახ, ძალიან. მერე რა? შენ მას იცნობ?
— დიახ. იცი, რომ ფსევდონიმია? პოლილოვი ქალია.
მამამ ჭამა შეწყვიტა და თავი ასწია.
— არ შეიძლება!
— არა, სიმართლეა.
— ვინ არის?
მე გამეცინა.
— თანაც შენი ძალზე ახლობელი ქალია.
— არ შეიძლება!
— არა, სიმართლეა.
— ვინ არის?
— მე ვარ!
— არ შეიძლება!!!

აქ უკვე ვუამბე ყოველივე, რატომ გამოვუგზავნე ხელნაწერი ფსევდონიმით. მამას საყვედური არ უთქვამს, მაგრამ ვიგრძენი, რომ სწორად გამოვიცანი, როცა ვშიშობდი, ვაითუ გული გაუტყდეს-მეთქი. გულგატეხილობა არ გაუმხელია, მაგრამ ისეთ ახლობელ ადამიანებს შორის, როგორებიც ჩვენ ვიყავით, შეუმჩნეველი არაფერი დარჩება, არც ერთი ჩრდილი.

ძალიან სერიოზულად მოვილაპარაკეთ, როგორ უნდა დაგვეწერა წიგნი და ჩემი სამუშაო გეგმა ჩამოვუყალიბე.

წიგნი სამი ნაწილისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. პირველი ნაწილი — პრინციპიალური მხარე... მიწის საკუთრების უზნეობა. მეორე — ჩამოყალიბება არსებული აგრარული პროგრამებისა და მათი კრიტიკა, და მესამე — ჯორჯის ეკონომიური სისტემის ჩამოყალიბება.

შევფერხდი მეორე ნაწილზე. ძნელი ამოსარჩევი იყო ის, თუ რა ითვლებოდა ამ საკითხში მნიშვნელოვნად. ვიშოვე უამრავი წიგნი, მაგრამ რამდენიც არ წავიკითხე, მაინც იყვნენ ვიღაც-ვიღაც კომპეტენტური ავტორები, რომლებიც კიდევ უნდა წამეკითხა. მარქსი, კაუტსკი, კონრად შმიდტი, გერცენ შტეინი, ჩერნოვი, ტუგან-ბარანოვსკი და მრავალი სხვა ავტორები წავიკითხე ანდა გადავათვალიერე. მაგრამ რაკი არ მქონდა სპეციალური განათლება ამ სფეროში, ჩემთვის ძნელი იყო ორიენტირება უამრავ საკითხთა შორის.

მამას, ჩვეულებისამებრ, არავითარი რჩევა არ მოუცია, მაგრამ ჩვენი საუბრის ბოლოს გაეცინა და მითხრა:

— კი მაგრამ სად არის პოლილოვი? მე ისე კარგად მყავდა წარმოდგენილი: მოხდენილია, ლურჯი პიჯაკი აცვია.

შემდეგ თავზე ხელი გადამისვა და დასძინა:

— მაგრამ თუ არ დაამთავრებ ამ წიგნს, შენ იცოდე ნამდვილი ქალი იქნები.

ჰაი, რომ არ მიღალატია ჩემი სქესისათვის! ნამდვილ ქალად დავრჩი. და ხელნაწერიც დღემდე დაუმთავრებელია.

1923 წლის 5 ივლისი.

მოსკოვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევ ტოლსტოის სიკვდილის ამგავი და მისი შინიდან წასვლის შორეულ მიზეზთა გამო

ხშირად მდებდნენ ბრალს, რომ მე არასოდეს ამიმაღლებია ხმა, როცა მამაჩემის — ლევ ტოლსტოის თხზულებებს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ აქვეყნებდნენ ან კიდევ უსირცხვილოდ ითვიხებდნენ. ისევე როგორც დუმილით ვხვდებოდი სიცრუესა და ცილისწამებას, დროდადრო თავს რომ იჩენდნენ და არც ახლა შეწყვეტილა მთელი მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ტოლსტოის სახელის გარშემო.

მე მამის კვალს მივყვებოდი: მას ხომ წესად ჰქონდა არასოდეს გაეცა პასუხი, როცა ხელყოფდნენ მის ლიტერატურულ უფლებებს და არც ცილისწამებისათვის მიეგდო ყური, თუ პირად ცხოვრებას ეხებოდა.

და უკვე აღარ ძალმიძს დუმილი, ეს იმიტომ, რომ გამოიცა წიგნები დაწერილი მამაჩემის მეგობართა მიერ, რომლებიც ყალბად ხატავენ ჩემი მშობლების ურთიერთდამოკიდებულებას და მიკერძოებით, წინაზრახვით ამახინჯებდნენ დედაჩემის სახეს. ამ წიგნებში აღწერილი ფაქტები, როგორც წესი, ზუსტია, მაგრამ თუ გოგოლის ნათქვამს დავიმოწმებთ — არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე სიმართლეს მოკლებული ჭეშმარიტება.

მე ვფიქრობდი, როგორც უფროსი ქალიშვილი, ჭეშმარიტებას ქომაგად უნდა დავდგომოდი. მშობელთა ნათელი ხსოვნა მავალებს ამჟამად დავარღვიო მდუმარება. რასაკვირველია, მძიმე მოვალეობაა, რადგან მომიხდება ფარდა ავხადო ბევრს რასმე ისეთს, რაიც, უმეტესწილად, არასოდეს სცილდება ვიწრო ოჯახური წრის ფარგლებს.

ჩვეულებრივ სახლში არ მიცხოვრია, ჩვენი სახლი შემინული გახლდათ, თვითეული გამვლელ-გამოვლელისათვის საჩინო. ყოველ ადამიანს შეეძლო ყველაფრის დანახვა, შეეძლო ჩაწვდომოდა ჩვენი ოჯახური ყოფის ინტიმურ წვრილმანს და სამსჯავროზე გაეტანა საკუთარი თვალთვალის შედეგად მიღწეული მეტ-ნაკლებად სამართლიანი დასკვნები. ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა მომსვლელ-სტუმართა თავდაჭერილობის იმედი გვქონოდა.

მამაჩემი არასოდეს უფრთხოდა საკუთარ თავზე ლაპარაკს. როცა კი ამას საჭიროდ სცნობდა. ასე ცხოვრობდა, არავის ემალებოდა. მან დაწერა „აღსარება“ და თავის ამ აღსარებაში უაღრესად გულწრფელად ახადა ფარდა საკუთარი გულის ყველა საიდუმლოს.

მიმაჩნია, რომ დადგა ჟამი, როცა ადამიანებს, ვისაც ტოლსტოი უყვართ, გავუზიარო ყოველივე ჩემს მიერ განცდილი იმ წლებში, მის გვერდით რომ გავატარე. მე საკუთარი თვალსაზრისი ჩამომიყალიბდა, ცალკერძ დედაჩემისა და მამაჩემის ურთიერთობაზე და, ცალკერძ, მათ

დამოკიდებულებაზე ჩვენდამი — შვილებისადმი. მე მოწმე გახლავართ. თავდაპირველად მსურდა ჩემი რუსი ძმებისა და დებისათვის მიმემართა: მამაჩემს მათ შორის ახლაც უამრავი მეგობარი ჰყავს. ახლა ფრანგებს მივმართავ, რადგან დარწმუნებული ვარ, იქაც მრავლად იპოვებიან ტოლსტოის მეგობარნი. მათგან დასაფიცი არაფერი მაქვს — ძმანი ისინი იყვნენ მოსამართლენი. მინდა ახლებურად გაშუქებული ვუჩვენო მამაჩემის ცხოვრების ზოგიერთი მხარე. სავსებით გულახდილი და უალრესად გულწრფელი ვიქნები; და თუ ვერ ვიტყვი ყოველივეს, რაიც შემეძლო მეთქვა ჩემთა მშობელთა ცხოვრებისეული დრამისა გამო, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მეტისმეტად მრავალი ადამიანი იყო გარეული ამ ტრაგედიაში და ზოგი მათგანისათვის ეს ფრიად ნაადრევი იქნებოდა.

ყველა თარიღი „ძველი სტილით" არის მითითებული, ანუ ცამეტის დღით დაგვიანებით.

* * *

1910 წლის 28 ოქტომბერს, შემოდგომის ბნელ ღამეს, ნაშუაღამევის სამ საათზე მამაჩემმა დატოვა თავისი სახლი იასნაია პოლიანაში, სადაც დაიბადა და თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გაატარა.

მაინც რა გახდა მიზეზი ამ გამგზავრებისა — მეტიც ამ გაქცევისა? ცნობილია თუ არა ეს მიზეზი, ან იქნება თუ არა ოდესმე ცნობილი?

ყველაზე იოლი იქნებოდა გვეთქვა, რომ ტოლსტოი ცოლს გაექცა, რადგანაც ქალს არ ესმოდა მისი და ამდენად მასთან ცხოვრება უმძიმდა. ანდა მცირედი ფუფუნება, ოჯახში რომ სუფევდა, მისთვის აუტანელი იყო, და უნდოდა სადად, განმარტოებით ეცხოვრა გლეხკაცებსა და მუშებს შორის. მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში არასოდეს არ ხდება ისე, რომ რომელიმე ერთმა მიზეზმა უპირატესობა მოიპოვოს ყველა სხვა მიზეზთა ზედა და უბიძგოს ან ეს მოიმოქმედოს ან ის. და ეს აზრი განსაკუთრებულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ისეთი მდიდარი, მგზნებარე სულისა და რთული ბუნების ადამიანისათვის, როგორიც გახლდათ მამაჩემი. მისი საქციელი განაპირობა მიზეზთა წყებათაწყებამ, ერთმანეთს რომ ეხამებოდნენ, ერწყმოდნენ, ეჯახებოდნენ, ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ.

მე გახლდით მოწმე მამაჩემის ცხოვრების ორი ხანისა: მისი რელიგიური კრიზისის წინარე და შემდგომ. აქვე დავსძენ: მე ისეთი მოწმე გახლდით, ვისაც საგანგებოდ კარგი პირობები ჰქონდა. ყველაზე მეტად მე ვიყავ ნაზიარები ტოლსტოის ინტიმურ ცხოვრებას. ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, ვიდრე გავთხოვდებოდი, მე სულ შინ ვცხოვრობდი. მამაჩემი ჩემთან ფრიად გულახდილი გახლდათ, განსაკუთრებით ისეთ ამბებში, რაიც დედაჩემს ეხებოდა. მან იცოდა, რომ მე ორივე მიყვარდა და მუდამ მზად ვიყავ ყველაფერი გამეკეთებინა, რაც კი ჩემზე იყო დამოკიდებული, რათა მათ შორის მშვიდობას დაედო ბინა.

თავის მხრივ, დედაჩემიც მიზიარებდა ფარულ დარდსა თუ სიხარულს. მე მისი უფროსი ასული ვიყავ, მხოლოდ ოცდაოდე წლით უმცროსი მასზე. წლებმა ჩვენს შორის ასაკობრივი ზღვარი იმდენად წაშალა, რომ დედა როგორც თანატოლს, როგორც მეგობარს ისე მექცეოდა.

რათა შევიმეცნოთ ვითარების მთელი ტრაგიზმი, შეუმჩნეველად რომ იზრდებოდა თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე და დასრულდა იმით, რომ მამაჩემი შინიდან გაიქცა და გარდაიცვალა სადგურის უფროსის პაწაწინა ქოხში, უნდა ჩავუფიქრდეთ იმ გარემოებას თუ როგორი იყო მოწიფული ტოლსტოი და როგორი იყო ისეთ ადამიანს სრულიად ნორჩი სონია ბერსი, მისი მეუღლე რომ გახდა.

წინ მიდევს მამაჩემის ინტიმური დღიურები 1847 წლიდან მოკიდებული, როცა იგი ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ. მაშინ იგი ცხრამეტი წლის ჭაბუკი იყო. დედაჩემის დღიურებიც მაქვს, 1862 წლით რომ იწყება. დედა მაშინ თვრამეტი წლის იყო და ახალი გათხოვილი. თვითეული ყურადღებიანი ადამიანი იპოვის ამ საბუთებში ჩანასახს იმ ხასიათებისას, მოწიფულობის ასაკში რომ განვითარდა და განმტკიცდა.

აი როგორი იყო მამა: გამუდმებით ებრძოდა საკუთარ ვნებებს, არაფერს გააკეთებდა საგულდაგულოდ რომ არ აეწონ-დაეწონა, შეუწყალებელი სისასტიკით სჯიდა საკუთარ თავს, უაღრესად მომთხოვნი თავისი თავისა და სხვების მიმართაც. ამავდროულად გამოუსწორებელი ოპტიმისტი, არასოდეს რომ არ ჩიოდა, ყოველი რთული მდგომარეობიდან იპოვიდა გამოსავალს, ეძიებდა თვითეული პრობლემის ამოხსნას, ნუგეშს პოვებდა ყოველგვარი უბედურებისა თუ უსიამოვნების ჟამს. კბილის ტკივილსაც კი გამართლებას მოუძებნიდა. თავის დღიურში წერს: „...კბილის ტკივილს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს ჯანმრთელობისათვის". სხვა ადგილას უწერია: „ყველა სატკივარს აშკარა მორალური სარგებელი მოჰქონდა. ამისთვისაც მადლობელი ვარ მისი".

მთელი მისი ცხოვრების ლაიტმოტივი იყო „თვითდაოსტატება". 1847 წლის 24 მარტს იგი წერს: „მე ბევრად შევიცვალე, მაგრამ მაინც ჯერ არ მიმიღწევია სრულყოფილების იმ დონისათვის (მეცადინეობას ვგულისხმობ), რის მიღწევაც მსურდა". და იქვე დღიურში მოხაზავს ქცევის ზოგიერთ წესს. იგი საკუთარ თავს მეტისმეტად მრავალ დავალებას აძლევს და რაკი არ ძალუძს შესრულება, უკმაყოფილოა.

7 აპრილს ტოლსტოი წერს: „ზუსტად ერთი კვირის თავზე სოფელში მივემგზავრები. რა გავაკეთო ამ კვირაში? უნდა ვიმეცადინო ინგლისურსა და ლათინურ ენებში, რომაულ სამართალსა და წესებში: კვირის ბოლოს აღნიშნავს: „რა იქნება მიზანი ჩემი ცხოვრებისა ორი წლის განმავლობაში? 1) შევისწავლო იურიდიულ მეცნიერებათა სრული კურსი, რომელიც საჭიროა უნივერსიტეტში საბოლოო გამოცდის ჩასაბარებლად. 2) შევისწავლო პრაქტიკული მედიცინა და თეორიულის ნაწილი. 3) შევისწავლო ენები: ფრანგული, რუსული, გერმანული, ინგლისური, იტალიური და ლათინური. 4) შევისწავლო სოფლის მეურნეობა როგორც თეორიულად, ისევე პრაქტიკულად. 5) შევისწავლო ისტორია, გეოგრაფია და სტატისტიკა. 6) შევისწავლო მათემატიკა, გიმნაზიის კურსი. 7) დავწერო დისერტაცია. 8) მივაღწიო სრულყოფილების საშუალო დონეს მუსიკასა და ფერწერაში; 9) დავწერო წესები. 10) შევიძინო მცირეოდენი ცოდნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში; 11) შევადგინო თხზულებანი ყველა იმ საგნებისა, რომლებსაც შევისწავლი".

მეორე დღეს მიხვდა, რომ გადაჭარბებით შეაფასა საკუთარი შესაძლებლობები და 18 აპრილს ჩაიწერა: „უცებ უამრავი წერა ჩამოვწერე და მსურდა მივყოლოდი, მაგრამ ჩვენი ძალები მეტისმეტად სუსტი აღმოჩნდა საამისოდ.

ორი თვის მოწადინების შემდგომ აღნიშნავს: „ოჰ, რა ძნელია ადამიანისათვის განავითაროს საკუთარ არსებაში კარგი, როცა მხოლოდ ცუდის ზემოქმედებას განიცდისო. „მივაღწევ კია ოდესმე იმას, როცა არ ვიქნები დამოკიდებული არავითარ გარეშე ვითარებაზე? ჩემის აზრით ეს გახლავთ უდიდესი სრულქმნილება“.

მოგვიანებით დარწმუნდა, რომ სრულქმნილება და სრულქმნა (— სრულყოფა) სულ სხვადასხვა მცნებებია. და 1854 წლის 3 ივლისს ჩაიწერა: „ჩემი უმთავრესი შეცდომა... ის გახლავთ, რომ მე სრულქმნილება და სრულქმნა ერთმანეთში ავურიე. უწინარეს ყოვლისა კარგად უნდა შეიმეცნო საკუთარი თავი და საკუთარი ნაკლი: ეცადო გამოასწორო იგი და არ დაისახო მიზნად სრულქმნილება, რასაც არათუ ვერ მიაღწევ იმ უმდაბლესი წერტილიდან, სადაც ვდგავარ, არამედ იმედიც მეწურება, რომ საერთოდ შესაძლებელია მიღწევა“.

იგი მაინც ყოველ ღონეს ხმარობს, არ კარგავს იმედს. დროდადრო აღნიშნავს სრულყოფისაკენ მიმავალ გზაზე მიღწეულ წარმატებებს. „ჩემი გამოსწორების საქმე ჩინებულად მიდის“. — ამტკიცებს ტოლსტოი. „ვტკბები, ისე სწრაფად ვვითარდები მორალურად“, — შენიშნავს მოგვიანებით. ერთხელ ასეთი ამოცანა დაისახა.

„დღეში თითო კეთილი საქმე“. და იქვე დასძინა: „და საკმარისია“. „მტკიცედ გადავწყვიტე საკუთარი სიცოცხლე მივუძღვნა მოყვასზე ზრუნვას. უკანასკნელად ვეუბნები საკუთარ თავს: გავა სამი დღე და თუ მე ვერას ვარგებ ადამიანებს, თავს მოვიკლავ“. ერთი თვის თავზე ჩაწერა: „თუ ხვალ ვერას გავაკეთებ, ტყვიას მივირტყამ შუბლში“.

მრავალი წლის შემდგომ, ბრძოლის ამ წლებს რომ იგონებდა, მაჩემი წერდა: „...ერთადერთი ჭეშმარიტი რწმენა ჩემი იმხანად იყო რწმენა სრულქმნილების. მაგრამ რაში იყო ეს სრულქმნილება და მისი მიზანი ვერ გეტყოდით... მთელი გულით ვესწრაფოდი კარგი ვყოფილიყავ, მაგრამ მე ახალგაზრდა ვიყავ, ვნებებით სავსე, მე კი მარტო, სრულიად მარტო, ვეძიებდი სიკეთეს. ყოველთვის, როცა ვცდილობდი ჩემი უგულითადესი სურვილის გამჟღავნებას, ვყოფილიყავი მორალურად კარგი პიროვნება, ზიზღსა და დაცინვას მომაგებებდნენ. ხოლო როგორც კი მდაბალ ვნებებს ავყვებოდი, ყოველმხრივ მაქებდნენ და მაქებდნენ“.

შემდგომ — ქორწინება.

1862 წლის 12 სექტემბერს ტოლსტოი წერს: „მე შეყვარებული ვარ. არ მეგონა თუ ასეთი სიყვარული შეიძლებოდა. მე ხელი ვარ, თავს მოვიკლავ, ასე რომ გაგრძელდეს“.

16 სექტემბერს იგი ყმაწვილ ქალს, სონია ბერსს ბარათს გადასცემს და ცოლობას თხოვს. დღიურში კი იწერს: „ვუთხარი. ქალმა — ჰოო. იგი დაჭრილ ფრინველს მაგონებს. რა უნდა დავწერო. ეს არც დაგავიწყდება და ვერც დაწერ“. ერთ კვირაში, 23 სექტემბერს — ქორწი-

ლი. გავა ორი დღე და იგი წერს: „ენით უთქმელი ბედნიერებაა... ასეთ დიდ ბედნიერებას ერთი სიცოცხლე ვერ დაიტევს“.

რა იყო ქორწინება ტოლსტოისათვის? ფურცელი სიყვარულისა. საშუალება ბოლო მოეღო იმ ცდუნებათათვის, მას რომ აწამებდნენ. ქორწინება იყო მისი ცხოვრების ის ხანა, რომლისთვისაც მან [illegible] შეძლო მიეძღვნა მთელი თავის გონებრივი და სულიერი ძალები [illegible] წელიწადიც და იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცოლქმრული ცხოვრების ცხრა თვე მისთვის გამოყეყეჩების ხანა იყო. მას სინდისი ქეჯნის ასე ეგოისტურად რომ იცხოვრა, მძიმე ტვირთად აწევს უქმად ყოფნა და და ალარ სცემს პატივს საკუთარ თავს. ოჯახური ცხოვრების სიხარულმა ერთიანად შთანთქა იგი და დაავიწყებინა „სიმაღლე ჭეშმარიტებისა და ძლიერებისა“, ადრე რომ იცოდა.

1863 წლის 18 ივნისს ტოლსტოი დღიურში იწერს: „სადა ვარ მე? სად არის ის პიროვნული მე, თვითონვე რომ მიყვარდა და ვიცნობდი, ვინაც ზოგჯერ ჭეშმარიტი სახით გამომეცხადებოდა და სიხარულსა და შიშსა მგვრიდა? მე სულნამცეცა ადამიანი ვარ, არარაობა ვარ. მე ასეთი ვარ იმ დღიდან, რაც ცოლად შევირთე ქალი, რომელიც მიყვარს“. ტოლსტოი ამ დღის ჩანაწერს ლოცვით ამთავრებს: „ღმერთო დიდებულო, ... მაცხოვრე მუდამ ასეთის შეგნებით შენის არსებისა და საკუთარი ქალისა...“

და აი ეს ქალიც. როგორი იყო იგი, სონია ბერსი, როცა გაიცნო ტოლსტოი, შეიყვარა და ცოლად გაჰყვა. ექიმ ბერსის მეორე შვილი, აღზრდილი მისი წრისა და მისი საუკუნის თავადის ასულთა კვალად. იმ ხანად გათხოვება თვითეული თავადის ქალის სასიცოცხლო მიზანი იყო და დედაჩემიც თავისდაუნებლიეთ მიისწრაფოდა ამ იდეალისაკენ. ქორწინება მისთვის იყო რაღაც წმინდათაწმინდა. მთელი თავისი აღზრდით იგი მომზადებული იყო საოჯახო ცხოვრებისათვის და ამ ცხოვრებას მიუძღვნა მან თავისი უმანკო სულისა და სხეულის მთელი სიმდიდრე.

მაგრამ ქმრის ბუნების საპირისპიროდ ცოლი ბუნებით პესიმისტია. ხშირად ეძლევა სევდასა და ადვილად წყდება ხოლმე გული. ეჩვენება, რომ ირგვლივ ყველაფერს უბედურება მოაქვს მისთვის. მუდამ ჰგონია, რომ გამოუვალ მდგომარეობაშია და ნაცვლად იმისა, რომ გამოსავალი გზა ეძიოს, ან ჩივის ან საყვედურობს საკუთარ თავს, ან გასამართლებელ მიზეზს ეძიებს. იგი პასუხისმგებლობას გრძნობს ყველა უბედურებათა გამო, გარს რომ ახვევია და თავი დამნაშავე ჰგონია, რაკი შველა არ შეუძლია.

პირველი დიდი უბედურება ამ ქალის ცხოვრებაში იყო ის, როცა შეიტყო რა ცხოვრებას ეწეოდა მისი მეუღლე ქორწინებამდე. სიკვდილის დღემდე ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ მთელი თავისი სიყვარული მიუძღვნა კაცს, რომელსაც ადრე სხვა ქალები ჰყვარებია. აი რას ვკითხულობთ დედაჩემის დღიურში: „მთელი მისი წარსული იმდენად საშინელია ჩემთვის, რომ მე, ალბათ ვერასდროს შევურიგდები ამას... მას არ ესმის, რომ მისი წარსული მთელი ცხოვრებაა ათასნაირი გრძნობით სავსე; კარგით თუ ცუდით, და ეს გრძნობები უკვე აღარ შეიძლება მე მეკუთვნოდნენ, ისევე როგორც არ შეიძლება მე მეკუთვნოდეს მისი

ლიჭაბუკე, გახარჯული, ღმერთმა რომ უწყის მხოლოდ, ვის და რის გა-
ჭო. მას არც ესმის, რომ ყველაფერს ვუძღვნი, რომ ჩემს არსებაში ყო-
ველივე ხელშეუხებია, რომ მას მხოლოდ ჩემი ბავშვობა არ ეკუთვნო-
და... თვითონ კი ისურვებდა მეც მასავით მეცხოვრა, განმეცადა იმდენი-
ვე ცუდი, რამდენიც მან განიცადა; რომ უკეთ შემეცნო [illegible]. თავის-
დაუნებლიეთ გული წყდება, რომ ბედნიერება იოლად მოვიპოვე, ისე
დავეუფლე, არც დავფიქრებულვარ, არც დავტანჯულვარ... რა უნდა
ვქნა? მე კი ვერ მიპატიებია ღმერთისათვის, ასე რად მოაწყო ეს ქვე-
ყანა, რომ ყველანი, ვიდრე წესიერნი გახდებოდნენ აუცილებლად უნდა
გადარეულიყვნენ".

მას არ შეუძლია ისარგებლოს წილხვედრი ბედნიერებით. ბედნიე-
რების წუთებშიც კი იგი როგორლაც ახერხებს თავი გაიწამოს იჭვებითა
და წინათგრძნობებით. „თუ შეუძლოდ არის, ვფიქრობ უსათუოდ მოკვ-
დება-მეთქი და დამეხვევა შავი ფიქრები მთელი სამი საათის განმავ-
ლობაში. მხიარულ გუნებაზეა და ახლა იმაზე ვიმტვრევ თავს არ გაუ-
ნელდეს-მეთქი სულის ეს განწყობილება... თუ შინ არ არის ან დაკავე-
ბულია, ისევ მასზე ვფიქრობ, ყურს ვუგდებ, ხომ არ მიდის-მეთქი. და
თუ გვერდით არის მისი სახის გამომეტყველებას ვადევნებ თვალს".

და ქალიც ეჭვიანობს ყველასა და ყველაფერზე: „თვითონაც მძულს
და მისი ხალხიც. ვგრძნობ, რომ ან მე უნდა ვიყო, მე ჯერჯერობით ოჯ-
ახის წარმომადგენელი, ანდა ხალხი. ასე გულმხურვალედ რომ უყვარს
ლ-ს. ეს ეგოიზმია, იყოს ასე. მე მისთვის ვცოცხლობ, მისით ვცოცხლობ,
ასევე მინდა საპასუხოდ, თორემ აქ სული მეხუთება და სივიწროვეს
ვგრძნობ".

სხვა ადგილას უწერია: „მისი თხზულების დასაწყისი წავიკითხე
და ყველგან, სადაც სიყვარულია, სადაც ქალები არიან, ზიზღი ვიგრ-
ძენი, სული დამიმძიმდა, ყველაფერს, ყველაფერს დავწვავდი, ჩემი ნე-
ბა რომ იყოს. დაე, არსად არაფერმა არ მომაგონოს მისი წარსული. ალ-
რეც მისი ნაშრომი დამენანებოდა, რადგან ეჭვიანობამ საშინელი პატ-
ივმოყვარე გამხადა.

ეე რომ შემეძლოს მისი მოკვლა და შემდგომ ახალი შევქმნა, ზუს-
ტად ასეთი, ამასაც უდიდესი სიამოვნებით მოვიმოქმედებდი".

საბრალო ბალლი! იტანჯება უაზრო შეუსაბამობათაგან, თვითვე
რომ გამოიგონა თავის საწამებლად. იგი ვერ ხვდება, რომ ქორწინება-
ზე მისი შეხედულება რაკი არ შეესაბამება სინამდვილეს, ტანჯვის მი-
ზეზიც სწორედ აქედან მომდინარეობს. ამ ქალისათვის ყოველივე ოჯა-
ხური ცხოვრებით გვირგვინდებოდა: ყოფილიყო ერთგული და მოსიყვა-
რულე მეუღლე, თავგადადებული დედა — აი მოვალეობა, რასაც ისახა-
ვდა. და ღმერთია მოწამე — პატიოსნად შეასრულა მან ეს მოვალეობა,
თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე; ქმრისგანაც ამასვე მოითხო-
ვდა.

და განა შეეძლო ლევ ტოლსტოის თავისი ინტერესები ოჯახით შე-
მოესაზღვრა და მხოლოდ მეუღლე და მამა ყოფილიყო?

უთანხმოება, ოდნავ შესამჩნევად რომ იჩინა თავი ჩემი მშობლე-
ბის ცოლ-ქმრობის ლამის პირველი დღეებიდანვე, იმ დიდი სიყვარულის
წყალობით, მათ რომ აკავშირებდათ, თითქმის ოცი წელიწადი იყო და-

მალული იმ დრომდე, რომელსაც ტოლსტოის მოქცევას ანდა რელიგიურ კრიზისს ეძახიან, და რასაც თვითონ თავის მეორე დაბადებას ეძახდა. მათი ქორწინების პირველი ოცი წელიწადი ბედნიერების მომტანი იყო.

მაშ ასე, როგორც უკვე მოგახსენეთ, დედაჩემი [illegible] ეთხოვდა. იგი ლამაზია, ტანკენარი, მგზნებარე შავგვრემანი ქალიშვილი. ადრე სოფელში არასოდეს უცხოვრია. და აი ამ მკვიდრმა ქალაქელმა, თითქმის ბავშვმა, უნდა უარჰყოს ყოველგვარი სიამე-სიხარული დიდ ოჯახსა და დიდ ქალაქში ცხოვრებასთან რომ არის დაკავშირებული. სექტემბრის კუნაპეტ ღამეს ქმართან ერთად მიემგზავრება იგი დიდი სამგზავრო ეკიპაჟით—დორმეზს რომ ეძახიან. იგი მიემგზავრება იასნაია პოლიანაში, სადაც ვერავის ნახავს გარდა მოხუცი დეიდისა ტატიანა ალექსანდრეს ასულისა, ვისაც გარს ახვევია რამდენიმე უცნაური დედაკაცი, რომელთაგან ერთი სრულ ჭკუაზე არც არის. მას ეშინია, გადაკაშკაშებული კრემლის ნაცვლად, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ, უკუნეთ წყვდიადში ჩაფლული კარმიდამო ხვდება. სასურველ სტუმართა ნაცვლად სახლის კარები მხოლოდ გამვლელ მომლოცავთათვის იღება. ეს უჩვეულო გარემო უცნაური და ცოტა შემზარავი ეჩვენება, ქმარს კი დივანზე სძინავს, სასთუმლად ტყავის ბალიში უდევს, თანაც ბალიშისპირიც არა აქვს გადაკრული.

ახლგაზრდა ქალისათვის ადვილი არ იყო ამ ახლებურ ცხოვრებას შეჰგუებოდა. მაგრამ დიდი და ორმხრივი სიყვარული ყველაფერს ავიწყებდა.

მამაჩემი წერს: „იგი იმდენად წმინდაა, კარგია, იმდენად უბიწოა, ამ წუთებში ვგრძნობ, რომ მე არ მეკუთვნის, თუმცა მთელი არსებით მელტვის. არ მეკუთვნის იმიტომ, რომ ვერ ვხედავ. თავი ღირსად არ მიმაჩნია“.

თავის მხრივ, არც ახალგაზრდა ცოლს მიაჩნია თავი ღირსად ისეთი დიდი ადამიანისა, როგორიც მისი მეუღლე იყო. იგი გამუდმებით ესწრაფოდა სიმაღლეს, რომელზედაც ეს ბუმბერაზი იდგა მის თვალში. „რაკი ყველაფერში ვგრძნობდი ლევ ნიკოლოზის ძის დამთრგუნველ უპირატესობას, ეს იქნებოდა ასაკი, განათლება, ნიჭი, თუ ცხოვრებისეული გამოცდილება, აღარაფერი რომ არა ვთქვათ მის გენიალობაზე, თავს არ ვზოგავდი სულიერად მივახლოვებოდი. თუ მის დონეზე ვერ დავდგებოდი, იმდენად მაინც მივახლოვებოდი, რომ გამეგო მისი სულის მოძრაობა, მაგრამ ვგრძნობდი რა უმწეო ვიყავ“.

ვნახოთ როგორ ცხოვრობდნენ იასნაია პოლიანაში. დალევდა თუ არა ყავას მამა მაშინვე სამუშაო ოთახს მიაშურებდა. მაგრამ მუშაობის დროსაც ვერ იცილებდა გვერდიდან თავის მეუღლეს. დედა ჩუმად იჯდა დივანზე და ვიდრე მამა წერდა, ხელსაქმით ირთობდა თავს. საღამოს კი შეუდგებოდა დღისით დაწერილი ფურცლების სუფთად გადაწერას. რა დაღლილიც არ უნდა ყოფილიყო, დედას არასოდეს ჩაუგდია ღელე, რადგან ეს სამუშაო მიაჩნდა თავის უმთავრეს მოვალეობად. გადაწერდა ღა დარბაზში თავის მოხუც დეიდას მოიკითხავდა.

გავიდა ცოტა ხანი. უკვე დედა პირველი შვილის გაჩენას ელოდა, როცა კი თავს შეუძლოდ იგრძნობდა, მიწვებოდა ხოლმე ქმრის ფერხ-

თით შავი დათვის ტყავზე; ამ დათვის ეშვები ამ რამდენიმე წლის წინათ კინალამ საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის, და ასე მშვიდად მძინარე ელოდებოდა იმ საათის დადგომას, როცა ყველანი თავთავიანთ ოთახებში წავიდ-წამოვიდოდნენ. მამამ ისურვა, რომ დედას არათუ თვითონ ეწოვებინა ძუძუ თავისი პირმშოსათვის, (ეს გახლდათ ჩემი ძმა სერგეი), არამედ ძიძის გარეშეც იოლად გასულიყო. ეს მძიმე ~~მოთხოვნა~~ იყო ახალგაზრდა, გამოუცდელი, ფუფუნებაში გაზრდილი ქალისათვის. ბალღი სუსტი იყო. ძუძუს წოვება, ასე დიდ ტკივილს რომ აყენებდა დედას, მაინც ველარ შეძლო და შეწყვიტა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ როცა დარწმუნდნენ, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ. ძიძის მოყვანა? ეს ჩემს მშობლებს დანაშაულად მიაჩნდათ. გადაწყვიტეს ბავშვისთვის ძუძუ წაერთმიათ. იმ დროს მაინცდამაინც თავს არ იტკივებდნენ ჰიგიენისა და სტერილიზაციის გამო. ბავშვი მძიმე ავად შეიქნა. თავის დღიურში დედას აღწერილი აქვს მამაჩემი როგორ უმზადებდა პაწიას რძეს და აცახცახებული ხელებით როგორ აწვდიდა საწოვარას და ცდილობდა შეჩვეოდა თავის ახალ მოვალეობას. „თვითონ კი სასოწარკვეთილი დღედაღამ ვსტიროდი, ვეთხოვებოდი ბიჭუნას, მინდოდა ჩამეგონებინა, თითქოსდა ჩემი გაგება შეეძლო, რომ ბრალი არ მიმიძღოდა, ძუძუ თუ ვერ ვაწოვე“.

მამა ღამეებს უთევდა ვაჟიშვილს. განთიადი ტანგაუხდელს მოუსწრებდა ხოლმე და ისიც უბრუნდებოდა თავის კაბინეტში ალექსანდრე პირველს, ნაპოლეონს, პიერს, თავად ანდრეის, ნატაშას, პლატონ კარატაევს — „ომისა და მშვიდობის“ ყველა გმირს, ეპოპეას იგი ამ ხანებში წერდა. მაგრამ მაინც დადგა წუთი, როცა მათ, სურვილის საწინააღმდეგოდ, ძიძის აყვანა მოუხდათ.

მალე მეც მოვევლინე ამ ქვეყანას. ჩემს გამო ამდენი დავიდარაბა არ ატეხილა. ჩემს დედ-მამას სიცოცხლე მშვენიერი ეჩვენებოდათ. მამაჩემი თავის სიმამრს სწერდა: „თითქოს მხოლოდ ახლა დაიწყო თაფლობის თვე. რა საყვარელია სონია თავის ორ პაწიასთან ერთად“.

გავიდა კიდევ წელიწადნახევარი და ჩემი ძმა ილია დაიბადა. შემდეგ წელიწადნახევრიდან ორი წლის შუალედებით ჩვენი ოჯახი რეგულარულად იზრდებოდა. ცამეტი ბავშვი ვიყავით, რომელთაგან თერთმეტს დედა აწოვებდა ძუძუს. ვიდრე მამაჩემის გამოცდილი და კეთილი მარჯვენა მართავდა ჩვენს ცხოვრებას, ყველაფერი ჩინებულად მიედინებოდა. დედა ყოველივე საუკეთესოს, რაც კი გააჩნდა, თავის ქმარს ანაცვლებდა, მთელ თავის ძალას, მთელ თავის სიყვარულს.

ჩვენ მთელ წელიწადს იასნაია პოლიანაში ვატარებდით. მამაჩემის მოღვაწეობა განაწილებული იყო ლიტერატურულ შრომასა, ოჯახსა და მეურნეობას შორის. იგი რგავდა ხეებს, აფართოებდა ბაღებსა და ტყეებს, აშენებდა ფუტკარს; დგამდა ახორს, მისდევდა მეცხოველეობას, მაგრამ საუკეთესო ძალები და დროის უმეტესი ნაწილი ლიტერატურულ შრომას მიჰქონდა.

„ახლა მე ღრუბელივით გარს მომეხვია სიხარული და შეგნება იმისა, რომ შემიძლია გავაკეთო დიადი რამ — დავწერო ალექსანდრესა და ნაპოლეონის ფსიქოლოგიური ისტორიული რომანი“. ეს სტრიქონე-

ბი 1865 წლით დათარიღებული დღიურიდან არის აღებული. აქ პირველად არის ნახსენები „ომი და მშვიდობა“.

ორი წლის თავზე კი დედაჩემი აღნიშნავდა: „ლევი მთელი ზამთარი გაღიზიანებული, ხშირად თვალცრემლიანი და აღელვებული წერს. ჩემის აზრით მისი რომანი „ომი და მშვიდობა“ ჩინებული [illegible] ყველაფერი, რაც წამიკითხა ისე ამაღელვებელია, რომ ცრემლი [illegible] რევა“.

კითხვისას დედა თავის შენიშვნებს ეუბნებოდა. მამა მათ ყურად იღებდა და ზოგჯერ მისი შენიშვნების შესაბამისად ცვლიდა ტექსტს. მოვიტან ერთ პატარა ნაწყვეტს მამაჩემის წერილიდან, ცოლს რომ გაუგზავნა 1864 წლის 7 დეკემბერს. „კაბინეტში ვწერ და წინ მიდევს შენი სურათები — შენი ოთხი ასაკის ამსახველი. გეთაყვა, სონია. რა ჭკვიანი ხარ, ყველაფერს, უმალ ხვდები, რასაც ჩაუფიქრდები“. და შემდეგ აანალიზებს რა დედაჩემის გონიერებას, ასე ამთავრებს: „მე კი ჯერაც არ მითქვამს, რატომ ხარ ჭკვიანი, შენ, კარგი მეუღლეც სწორედ ამას ქვიან, ისე ფიქრობ ქმარზე, როგორც საკუთარ თავზე. მახსოვს, მითხარი, სამხედრო და ისტორიული ამბები ცუდი გამოვა, კარგი იქნება მეორე მხარე — ოჯახური ცხოვრება, ხასიათები. ფსიქოლოგიური ამბები. ამაზე დიდი სიმართლე რაღა იქნება. მე მახსოვს როგორ მითხარი ეს და ახლაც ასეთი მახსოვხარ. ჰო, და ტანიასავით მეც მინდა ვიყვირო: დედა, მე მინდა იასნაია პოლიანაში, მე მინდა სონია... სულო ჩემო საყვარელო, მხოლოდ გიყვარდე ისე, როგორც მე მიყვარხარ, სხვას არაფერს დავეძებ და ყველაფერი მშვენივრად იქნება“.

იმ ხანებში ცოლსაცა და ქმარსაც, თვითეულს თავისი საქმე ჰქონდა, გულისყურითა და სიყვარულით რომ ეკიდებოდნენ და თან ერთმანეთის ცხოვრებას ავსებდნენ. თვითეული მთელი არსებით ეძლეოდა ამ საქმეს.

მამაჩემის საქმე გახლდათ ლიტერატურული შრომა. „უნდა წერო მხოლოდ მაშინ, როცა ყოველთვის, რამდენჯერაც ჩააწობ კალამს მელანში, სამელნეში ჩატოვებ საკუთარი ხორცის ნაგლეჯს...“

რაც შეეხება დედას, იგი საკუთარი ხორცის ნაგლეჯს ყოველდღიურად ტოვებდა ბავშვთა ოთახში. იგი დღიურში წერს: „ჩემი შვილები მიყვარს თავდავიწყებით, ლამის ტკივილსა ვგრძნობ“. იგი არ აჭარებს, რადგან როცა დედა სიყვარულით აწოვებდა ძუძუს თავის შვილებს, ეს ტანჯვის გარეშე არ ხერხდებოდა. თითქოს აი ახლაც თვალწინ მიდგას დედა, ხელში ბავშვი უჭირავს, თავი უკან გადაუგდია, კბილს კბილზე აჭერს, რომ ტკივილი დამალოს. იგი დედის მოვალეობას ყველაზე მნიშვნელოვან მოვალეობად მიიჩნევდა: „რომც მომკლას ამ ტანჯვამ, თავს მაინც არ დავანებებინებ“, — გაუტყდა იგი თავის დას ერთ ერთ წერილში. მეორე წერილში კი სწერს: „ჩემი შვილი არ იქნებოდა სავსებით ჩემი, უცხო ქალს რომ ეწოვებინა ძუძუ მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ჟამს, პირველ წელიწადს“. ესაა დედობრივი მონება საკუთარი ნებით. ათი თვის ვაჟიშვილის გარდაცვალების შემდეგ დედაჩემი იმავე დას სწერდა: „ახლა, ტანია, თავისუფალი ვარ, მაგრამ რაოდენ მძიმეა ეს თავისუფლება...“

დროდადრო მამა საქმეებისა გამო მოსკოვს მიემგზავრებოდა. ყოველდღიური მიწერ-მოწერა განშორებას უმსუბუქებდათ. იასნაია პოლიანადან დედა წერდა: „ვზივარ შენს კაბინეტში, ვწერ და ვსტირი. ვსტირი საკუთარი ბედნიერების გამო, შენს გამო, ვტირი, რადგან შენ არა ხარ ჩემს გვერდით. ვიგონებ ყოველივეს განვლილს“.

მამა კი პასუხად უგზავნის: „ზეგ ბავშვების ოთახში [illegible] შენ ასე ნაზს, დაუცხრომელს, მშვენიერს მეუღლეს ჩემსას“.

დაიხსომეთ, იგი ზუსტად მიუთითებს, რომ ეს მოხდება ბავშვების ოთახში. მან კარგად იცოდა, რა დროსაც არ უნდა ჩამოსულიყო შინ, ცოლი ბავშვებთან დაუხვდებოდა.

ზოგჯერ დედას აშინებდა, რომ მხოლოდ ქმარ-შვილისთვის არსებობდა, პირადი არაფერი რჩებოდა. ეს იგრძნობა 1862 წლის ჩანაწერებში: „მე ვფიქრობ მისი ფიქრებით, ყველაფერს მისი თვალით ვუცქერი, თავს ძალას ვატან, მისთანა ვერ გავხდები, თავს კი დავკარგავ. უკვე აღარა ვარ ის, რაც ვიყავი და უფრო მიჭირს“. სხვა ადგილას შენიშნავს: „როცა იგი შინ არ არის, მე ისევ მისი ინტერესებით ვცხოვრობ, შევალ მის კაბინეტში, დავალაგებ. გადავაწყობ სკივრში მის თეთრეულსა და ნივთებს, გადავიკითხავ მის ხელნაწერს და მთელი ძალით ვცდილობ მის გონებრივ სამყაროში შესვლას“. დედა სწერს მამას: „...უშენოდ ყოფნა იგივეა, რაც უსულოდ ყოფნა. მხოლოდ შენ, ერთადერთმა ხარ ყველას და ყველაფერს პოეტური მშვენიერება მიანიჭო და რაღაც სიმაღლეზე აიყვანო... როგორც კი უშენოდ დავრჩები, მხოლოდ ის მიყვარს, რაც შენ გიყვარს. სწორად აღარ ვიცი, თავად მე მიყვარს, თუ მხოლოდ იმის გამო, რომ შენ გიყვარს“.

ზოგჯერ ახალგაზრდობას, სიმხიარულის სურვილს თავისი გააქვს და იგი წამოიძახებს ხოლმე: „...ისინი დასაძინებლად მგზავნიან. მე კი თავდაყირა დადგომა მინდა, სიმღერა, ცეკვა მინდა“. და ეს იმის გამო ხდება, რომ ქალი მხოლოდ და მხოლოდ ცხრამეტი წლისაა. გრძნობს, რომ ახალგაზრდაა და ხშირად გამოუტყდება ხოლმე საკუთარ თავს: „ზოგჯერ ისევ გულით მწადიან გავექცე ამ ცხოვრებას. არ შეიძლება. მე ამისი არც დრო მაქვს და არც უფლება“. დედა განსაკუთრებულად შეიგრძნობს მუსიკას, ამიტომაც ყველაზე მეტად მისი ეშინია.

„მაშენკამ რაღაც დაუკრა და მუსიკამ, ასე დიდხანია რომ არ მსმენია, ერთბაშად გამომიტაცა ბავშვების ოთახიდან, საიდანაც ამდენი ხანია, ნაბიჯი არსად გამიდგამს და სადღაც შორს გადამისროლა, სადაც ყოველივე სულ სხვაა. შემეშინდა კიდეც, მე ჩემს არსებაში დიდი ხანია ჩავახშე ყველა ის სიმი, რომლებიც მტკიოდა და მგრძნობიარე იყო მუსიკის ჰანგების მოსმენისა თუ ბუნების დანახვისთანავე... ვისურვებდი არასოდეს გაღვიძებულიყო ჩემს სულში ეს გრძნობა, რომელიც შენ — პოეტსა და მწერალს გჭირდება, ხოლო მე — დედასა და დიასახლისს — მხოლოდ ტკივილს მგვრის, რადგანაც ამ გრძნობას მე ვერ მივეცემი და არც შემფერის“.

ეს შინაგანი ჭიდილი, ეს ძალმომრეობა საკუთარი თავის მიმართ, ქმარს შეუმჩნეველი არა რჩებოდა და ამიტომ კიდევ უფრო ძლიერად უყვარდა იგი, თუმცა შეშინებული ადევნებდა თვალს. ეს აისახა კიდეც 1863 წლით დათარიღებულ დღიურში: „...იგი ახალგაზრდაა, ბევრი

რამ არ ესმის და არც უყვარს ჩემი და უამრავ რასმე იხშობს საკუთარ სულში ჩემი გულისთვის. და ყველა ამ მსხვერპლს თავისდაუნებლიეთ ჩემს ანგარიშზე აგდებს“.

ჭეშმარიტად, სწორედ ასეთი ანგარიში წარუდგინა დედამ მამაჩემს, მაგრამ ეს მოხდა გაცილებით გვიან, გაცილებით გვიან. [illegible] ხანებში კი ცხოვრება კარგი იყო და გზა იოლად სავალი.

ამავე ხანიდან მამაჩემი ცდილობს უფრო სადა გახადოს ოჯახის ცხოვრება და შემოიღოს უფრო მკაცრი წესები, ვიდრე ეს მისი წრის ხალხში იყო მიღებული. მაგრამ ყოველი ცდა მარცხით დასრულდა და სასწრაფოდ მიანება თავი. მამას სურდა, რომ მისი უფროსი ვაჟი უგადიოდ გაზრდილიყო. დედაჩემის ავადმყოფობამ უცილობელი გახადა გამდელის დაქირავება. ხოლო ცოტა მოგვიანებით იგი ინგლისიდან ჩამოიყვანეს ფორანით, მგზავრობის პირველმა მცდელობამაც არ გაამართლა, დედაჩემი ისე დაანჯღრია, რომ ავად შეიქნა. სხვა რა გზა იყო — ეტლი დაიქირავეს. მამა ბუნებით ჯიუტი არ გახლდათ. ესეც არ იყოს, თუ კი მას მიზნად ჰქონდა დასახული ცხოვრების სრულქმნა, ოდნავადაც არ ცდილობდა თავისი ნება სხვებისთვის მოესვია თავს. მაშ ასე, რაკი დარწმუნდა, რომ არ ძალუძდა ცოლის გემოვნებისა და ზნე-ჩვეულებათა შეცვლა, სხვა რა გზა ჰქონდა, დაემორჩილა ბედს. ეს არც ისე ძნელი იყო, რადგან იმ ხანებში გაუბრალოება მისთვის უფრო გემოვნების საქმე იყო, ვიდრე რწმენისა, თანაც მაშინ იასნაია პოლიანაში ისედაც სადად ცხოვრობდნენ.

მცირე ფუფუნებამ სახლში მას უკან იჩინა თავი, როცა დაიწყო მამაჩემის თხზულებათა წარმატებით გაყიდვა. იზრდებოდა ოჯახის შემოსავალი და ჩვენც უფრო ხელგაშლილად ვცხოვრობდით: უცხოელი ბუვერნანტები გვყავდა. რუსული ენის მასწავლებლები, როგორც ქალები, ისე კაცები. ყველანი ჩვენთან ცხოვრობდნენ. კვირაში რანდენჯერმე პედაგოგები ტულიდანაც ჩამოდიოდნენ. გვიტარებდნენ საღვთო სჯულის გაკვეთილებს, გვასწავლიდნენ რამდენიმე უცხო ენას, მუსიკასა და მხატვრობას.

ბედნიერი ცხოვრების ეს ოცწლიანი ხანა დრამით დამთავრდა. კარგა ხანია რომ მზადდებოდა და ბოლოს დაანგრია ჩვენი ოჯახური ცერა.

დრამა ჭეშმარიტად დრამად მაშინ იქცევა, როცა დამნაშავენი არ არიან, მაგრამ ვითარება ჩიხში მიგამწყვდევს. ჩვენი ოჯახი მართლაც ტრაგიკულ ვითარებაში აღმოჩნდა, საიდანაც თავდასაღწევი გზა არ იყო.

როცა სულ პატარები ვიყავით, ჩვენმა მშობლებმა გადაწყვიტეს მოსკოვს გადასულიყვნენ საცხოვრებლად, როგორც კი უფროსი ბავშვები ცოტას წამოიზრდებოდნენ. ჩემს ძმას საუნივერსიტეტოდ შინ ამზადებდნენ. რაც შეეხება მე, თვრამეტი წლისა უკვე უნდა გადავეყვანეთ მაღალი წრის საზოგადოებაში. ეს თავად მამაჩემმა გადაწყვიტა მტკიცედ. მახსოვს როგორი შეწუხებული იყო, როცა ლავიწის ძვალი მოვიტეხე. მოსკოვში საუკეთესო ქირურგთან მიმიყვანა, ეკითხებოდა ოპერაციის შემდგომ ხომ აღარ დაიჩნდებაო. უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ არაფერი შემემჩნეოდა სამეჯლისოდ მორთულს.

მაგრამ 1880 წლის დადგომამდე სულ ცოტა ხნით ადრე, მამაჩემის

სულიერი ინტერესები ერთიანად შეიცვალა. ეს ამბავი შეუმჩნევლად დაიწყო.

1887 წელს იგი წერდა თავის მეგობარს სტრახოვს: „ამ დღეებში მოვისმინე მღვდლის გაკვეთილი, კატეხიზმოს უკითხავდა ბავშვებს. დიდი უგვანობა იყო ყოველივე. ცხადად ჩანს, რომ ჭკვიანი ბავშვები: რათუ არა სწამთ ეს სიტყვები, არამედ სძულთ და სხვაგვარად: არ შეუძლიათ. ამიტომ სურვილი აღმეძრა კატეხიზმოს ფორმაში გამომეცა ის, რაიც მწამს და ვცადე კიდეც. მაგრამ ამ ცდამ მაჩვენა, რაოდენ ძნელია ჩემთვის ამის გაკეთება, ვშიშობ, რომ შეუძლებელიც კია.

ამის გამო ნაღველი ლოდივით დამაწვა გულზე.

ამ დღიდან მოკიდებული მამაჩემი უკვე დაუღალავად ეძიებს გზებს თავისი რწმენის გამოსახატავად. „აღსარებაში“ იგი მოგვითხრობს როგორ იგრძნო მოქცევის პირველი ნიშნები. „...რაღაც უცნაური რამ მემართებოდა: უცაბედად საგონებელში ვვარდებოდი, თითქოს ცხოვრება შეჩერდა, თითქოს არ ვიცოდი როგორ მეცხოვრა, რა გამეკეთებინა... და ასეთი შეჩერებანი ცხოვრების მდინარებისა მუდამ ერთგვაროვანი კითხვებით გამოისახებოდა: რატომ? კი მაგრამ შემდგომ?“

თავდაპირველად მამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამ კითხვებს, რაკი მათ უსაფუძვლოდ მიიჩნევდა. მაგრამ ეს კითხვები სულ უფრო და უფრო ხშირად წამოჰყოფდნენ ხოლმე თავს, მეტის დაჟინებით მოითხოვდნენ პასუხს.

და მამაც მიხვდა, რომ მასაც იგივე დაემართა, რაიც ემართება სასიკვდილო სენით შეპყრობილ ადამიანს. მან დაინახა, რომ აუცილებლად უნდა გაეცა პასუხი ამ კითხვებზე. მას უნდა სცოდნოდა რისთვის წერდა წიგნს, რისთვის ზრდიდა ვაჟიშვილს, რისთვის ყიდულობდა ახალ მამულს. „კარგი, — ეუბნებოდა იგი საკუთარ თავს, — შენ გექნება ათასობით დესეტინა მიწა, ასობით ცხენი, შენ იქნები მსოფლიოს ყველა მწერალსა და პოეტზე სახელგანთქმული. მაგრამ რად? რისთვის? რას მოგცემს ყოველივე ეს? „აღსარებაში“ წერს: „მე თითქოს ვცხოვრობდი,დიდხანს ვცხოვრობდი, ვიარე, ბევრი ვიარე, მერე მივადექი უფსკრულს და ნათლად დავინახე, რომ წინ აღარაფერია სიკვდილის გარდა“.

„მოხდა ისე, რომ ჯანსაღმა, მშვენიერმა კაცმა უცებ ვიგრძენი, რომ აღარ შემიძლია მეტი ცხოვრება.

და სწორედ მაშინ მე, ბედნიერმა კაცმა, სასწრაფოდ გავიტანე თოკი, ჩემი ოთახიდან, სადაც ყოველ საღამოს მარტო ვიყავი, რათა თავი არ ჩამომეხრჩო კარადებს შორის კედელზე, აღარც სანადირო თოფი დამქონდა, რათა არ ვეცდუნებინე ცხოვრებისაგან თავდახსნის იოლ სერხს.

„წყვდიადის შიში მეტისმეტად დიდი იყო და მე მინდოდა სწრაფად, რაც შეიძლება განვთავისუფლებულიყავ მისგან ან ყულფით ან ტყვიით“...

„ვეუბნებოდი საკუთარ თავს, რომ ყოველივე ამაში რაღაც სიყალბე გამოსჭვივის, მაგრამ ამ სიყალბის დანახვა მე არ შემეძლო. კარგა ხნის შემდგომ ეს წყვდიადი გაიფანტა, განათდა და მეც თანდათანობით ჩავწვდი ჩემს მდგომარეობას“.

ცოტაცოტაობით მამა დარწმუნდა, რომ ცხოვრების ძალა ემყარება რწმენას, რომ ყველაზე ღრმა ადამიანური სიბრძნე დაფარულია პასუხებში, რომლებსაც რწმენა იძლევა.

და მანაც დაიწყო ყველა ხალხთა რელიგიების შესწავლა და პირველ რიგში მართლმადიდებლურისა. იგი წიგნების მეშვეობით სწავლობდა, მაგრამ უშუალოდ ცოცხალ ადამიანებსაც მიმართავდა, ეუბნებოდა უბრალო ხალხს — მორწმუნეთ და თუმც კი შენიშნა, რომ ისინი ჭეშმარიტი ქრისტიანებია. ამავე დროს მეტისმეტად ცრუმორწმუნენიც იყვნენ. მაინც მიხვდა, რომ ეს რწმენა მათთვის აუცილებელიც იყო და თან მათი ცხოვრების გამართლებაც გახლდათ. მამამ ისწავლა ამ ხალხის სიყვარული და რაც უფრო მეტად უყვარდა ისინი, მით უფრო უმსუბუქდებოდა ცხოვრების ტვირთი.

მაშინ მიხვდა ტოლსტოი, რომ თავისთავად ცხოვრება სრულიადაც არ იყო უსარგებლო, არ იყო ბოროტება, მაგრამ თავად მის ცხოვრებას არ ჰქონდა აზრი, ცუდად ცხოვრობდა.

და სახარების სიტყვები, რომ ადამიანები წყვდიადს არჩევენ სინათლეს, რაღაც უგვანო საქციელის გამო, მისთვის გასაგები და ნათელი შეიქნა.

ყოველივე განცდილმა იგი აიძულა საკუთარ ცხოვრებას გულდასმით ჩაჰკვირებოდა. ეს გახლდათ დასაწყისი ძიებისა და იჭვების პერიოდის, დარდსა და ბრძოლაში რომ გაატარა. პასუხებს კითხვებზე, მას რომ გამუდმებით თან სდევდნენ, იგი მეცნიერებაშიც, ფილოსოფიაშიც, რელიგიაშიც ეძიებდა.

და აი სიმწიფის ასაკს მიღწეულმა, როცა ცხოვრებისაგან მიიღო სრული ბედნიერება, როგორსაც შეიძლება ელოდეს ადამიანი, მან ზუსტი აქცია ამ ბედნიერებას.

ყველა ამქვეყნიური სიკეთე, ყველა მიწიერი ცდუნება ამიერიდან მისთვის იქცევა არა მხოლოდ დაბრკოლებად, არამედ მძიმე ჯვრად. დროდადრო ეჩვენება, რომ ეს ტვირთი მის ძალ-ღონეს აღემატება და მოინდომებს მის გადაგდებას, მოინდომებს ჩამოიშოროს მთელი თავისი წარსული, ოჯახური ცხოვრება, რაზედაც სიჭაბუკეში ოცნებობდა; უარი ოქვას შეძენილ ქონებაზე და ბოლოს ჩამოშორდეს ეკლესიას, მისთვის ასე ძვირფასს, რადგან ეკლესია წარმოადგენდა დამაკავშირებელ რგოლს ხალხთან, ასე გულით რომ უყვარდა.

მაგრამ ვიდრე უარს იტყოდა რელიგიაზე, რომელიც ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა, მან ეს რელიგია შეუწყნარებლად გააანალიზა. იგი კეთილსინდისიერად იცავდა ყველა მართლმადიდებლურ წესჩვეულებას, მარხვასა და მარხვის დღეებს, კითხულობდა ლოცვანს და ესწრებოდა საეკლესიო მსახურებას.

მახსოვს, ყოველ კვირადღეს, მე და მამა წირვაზე მივდიოდით. ფეხით მივდიოდით იმის ნაცვლად, რომ ორცხენიანი ეტლით გავმგზავრებულიყავით, როგორც ამას დედა აკეთებდა, როცა ბავშვები ზიარების მისაღებად მიჰყავდა. მამა ჩვეულებისამებრ, ადვილად მოიყრიდა ხოლმე მუხლს. ჩვენ მკაცრად ვინახავდით მარხვას და თევზსაც კი არ ვჭამდით. დედაჩემი წერს დღიურში: „ლევ ნიკოლოზის ძეს უფრო და უფრო ეც-

ვლება ხასიათი, თუმცა მუდამ მორიდებული და ნაკლებმომთხოვნი, ახლა კიდევ უფრო მოკრძალებული, უწყინარი და მომთმენი შეიქნა. და ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებიდანვე დაწყებული მარადიული ომი, მიზნად მორალური სრულქმნა რომ გაუხდია, სრული წარმატებით გვირგვინდება".

რაკი სურდა ყოველმხრივ შეესწავლა მართლმადიდებლობა, მამა ხშირად მიემგზავრებოდა მოსკოვს ეპისკოპოს მაკართან, იყო სერგიეცის ლავრაში და ფეხით ჩავიდა სავანე ოპტინაში, იგი გაემგზავრა კიევში. მისი სიტყვებით, იქითკენ ფრიად მიუწევდა გული. მაგრამ ჩავიდა თუ არა სახელგანთქმულ მონასტერში, ცოლს მისწერა: „მთელი დილა ნაშუადღევის სამ საათამდე დავდიოდი ტაძრებში, მღვიმეებში, ბერებში და ძალზე უკმაყოფილო ვარ. არ ღირდა ამად... 7 საათზე იმათგან ისევ ლავრაში მივბრუნდი სქიმოსან ანტონიოსთან და ჭკუის სასწავლი ცოტა რამ ვნახე".

იმავდროულად მამა სახარებას სწავლობდა და რაც უფრო ღრმად სწავლობდა, მით უფრო მეტად ხვდებოდა მართლმადიდებლობის მთელ სიყალბეს. მისთვის თანდათან ცხადი გახდა წმინდა წყლის ქრისტიანული მოძღვრების სიდიადე. „მე მივაღწიე მზეს, მივყვებოდი რა მის სხივებს, — ამბობდა მამა და ამით გამოხატავდა, რომ იგი მართლმადიდებლობის გავლით მივიდა ქრისტიანობასთან". თხზულებაში „რაშია რწმენა ჩემი", იგი წერს: „ეს იყო წამიერი განათება ჭეშმარიტების ნათლით". მის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ მან სრული პასუხები მიიღო კითხვებზე: „როგორია აზრი ცხოვრებისა? და სხვათა ცხოვრების აზრი?"

ამ ხანებში მამა გატაცებით მუშაობდა და უზარმაზარი შრომა გაწეწია. ხელახლა თარგმნა ოთხივე სახარება, შეადარა ისინი და ამ შეჯერების საფუძველზე დაადგინა ერთიანი ტექსტი.

ამასთან ერთად იგი განაგრძობდა მუშაობას დოგმატიკური თეოლოგიის კრიტიკულ გარჩევაზე და ამდენად თავისი სიცოცხლის წლების მიწურულს იძულებული შეიქნა შეესწავლა ებრაული და ბერძნული ენები.

ჩემი ვალია განვმარტო, როგორ იმოქმედა მამის მოქცევამ ოჯახზე. რასაკვირველია, ოჯახის წევრები ვერ გაუტოლდებოდნენ მას ვერც გონებით, ვერც თავისი ინტელექტუალური და მორალური ღირსებებით, არ გაუვლიათ მასთან ერთად შინაგანი გარდაქმნის გზა, ოჯახს არც შეეძლო მას გაჰყოლოდა. ეს ოჯახი აღზრდილი იყო გარკვეულ ტრადიციებზე, გარკვეულ გარემოში და აი უცებ ოჯახის თავი უარს ამბობს მისთვის ჩვეული ცხოვრების ყაიდაზე განყენებულ იდეათა გამო, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მის ადრინდელ შეხედულებებთან.

მაგრამ მამას უფლებამოსილად არ მიაჩნდა თავი ერთბაშად დაანგრიოს ის, რაც თვითონვე შექმნა.

მან იქორწინა თვრამეტი წლის ქალწულზე. ჩამოაყალიბა ამ ქალის ბუნება, მისმა ზეგავლენამ ამ ქალის არსებაში ღრმა ფესვები გაიდგა. განა თვითონ არ სთხოვდა თავის მეუღლეს მხოლოდ პირველი კლასის ვაგონით იმგზავრეო, განა თვითონ არ უკვეთავდა თავისი ცოლშვილისათვის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ყველაზე საუკეთესო ხარი-

სხისას და ყველაზე საუკეთესო მაღაზიებში? ახლა კი ითხოვს გლეხებივით იცხოვრონ. რატომ? რატომ უნდა თქვან უარი უქმად ყოფნასა და მხიარულებაზე? რატომ უნდა იშრომონ დღე და ღამე, შრომას ისევ ათასგვარი გაჭირვება ახლავს თან? — აი კითხვები, რომლებსაც დედა ეკითხებოდა თავის თავს.

თავდაპირველად დედა შეეცადა გაეგო მამის გულისწადილი. ეს რას სწერდა დედაჩემი ერთხელ მამას: „გუშინ შენთან ვბრუნდებოდი ეტლით და სულ ვფიქრობდი, რას არ გავცემდი, ოღონდ გამეგო, რა გიდევს სულში, რაზე ფიქრობ. ჩემთვის ძალზე სამწუხაროა, რომ შენ ასე ცოტას მიზიარებ შენს გულისწადილს, ეს მე მორალურადაც მჭირდება და კარგიც იქნებოდა. ალბათ გგონია, რომ მე ჯიუტი და თავნება ვარ, მე კი ვგრძნობ, უამრავი რამ, რაც კარგია ჩუმად გადმოდის ჩემს სულში და ამ ქვეყნად სიცოცხლეს მიადვილებს“.

მინდა განსაკუთრებულად აღვნიშნო მამაჩემის ერთი თვისება. იგი არამც თუ სხვა ვინმეს ასწავლიდა ჭკუას, თავისი ოჯახის წევრებსაც კი არ არიგებდა და არასოდეს მიუცია რჩევა. იგი ძალზე იშვიათად გვესაუბრებოდა თავის რწმენაზე, მარტო ილვწოდა საკუთარი სულიერი სამყაროს გარდასაქმნელად. ჩვენ ვერ ვხედავდით როგორ ვითარდებოდა ეს პროცესი. და ერთ მშვენიერ დღეს უკვე შედეგის მოწმენი შევიქენით. საამისოდ კი არ გახლდით მომზადებულნი.

იმ წლებში მისი არ გვესმოდა. მისი შეხედულებები გვაშინებდნენ მხოლოდ, კი არ გვარწმუნებდნენ.

ეგების რაღაცნაირი ჩვეული სიმორცხვე უშლიდა ხელს გაეზიარებინა ჩვენთვის ჩუმად ნალოლიავები ძვირფასი ფიქრები. ეგების ეშინოდა ვეიძულებინეთ, ძალა დაეტანებინა. და ჩვენ, მისმა შვილებმა მხოლოდ მისი მოწაფეების წყალობით ვისწავლეთ, როგორ გაგვეგო უკეთ საკუთარი მამისათვის.

ქორწინებიდან ექვსიოდე კვირის თავზე დედა თავის დღიურში წერდა: „უცნაურია, მე იგი საშინლად მიყვარს, ზეგავლენას კი ძალზე მცირედ ვგრძნობ“.

მამასა და ოჯახს შორის უთანხმოებამ მოსკოვში გადასვლის შემდეგ უფრო იჩინა თავი. ჩვენი მშობლების ინტერესები სულ უფრო შორდებოდა ერთმანეთს. სახლის მოწყობა, მასწავლებელთა შერჩევა, ბავშვების შეყვანა სკოლებში, ეტლისა და ცხენების ყიდვა, შინამოსამსახურეთა დაქირავება — ეს ყველაფერი დედას უნდა მოევვარებინა. ჩვენს ტანსაცმელზედაც უნდა ეზრუნა. დედა კი უახლოეს ხანში ისევ ბავშვის გაჩენას ელოდა. მამას ებრალებოდა თავისი ცოლი და თუმცა ოჯახის შინაურ საქმეთა მოგვარება სულაც არ აინტერესებდა, მაინც ცდილობდა დახმარებოდა მეუღლეს. მამა სწერდა მოსკოვში დედაჩემს, „არც დაიჯერებ, როგორ მტანჯავს, იმაზე ფიქრი, რომ შენ თავს ძალას ატან და ისე მუშაობ. ვნანობ, რომ ცოტას (თითქმის არც) გეხმარებოდი... ვფიქრობდი, ჩემსავით დაძაბულად რომ იმუშაო, და რაიმე შექმნა, ამქვეყნად ყველაფერი უნდა დაივიწყო-მეთქი. და მეც მეტისმეტად მავიწყდებოდი და ახლა ვნანობ. ღვთისა და ჩვენი სიყვარულის გულისთვის, თავს გაუფრთხილდი. უფრო მეტი მოსაგვარებელი საქმე

ჩემი ჩამოსვლის დროისთვის გადადე. მე ყველაფერს სიხარულით გავაკეთებ, თანაც არც თუ ურიგოდ, რადგან მოვინდომებ".

და მართლაც მამამ დააჩქარა მოსკოვს ჩამოსვლა, რათა დედას დახმარებოდა. მან ითავა ბიჭების განაწილება გიმნაზიებში, მე სამხატვრო სახელოსნოში მომაწყო და ჩვენი ცხოვრების სხვა უამრავ წვრილმანს მოჰკიდა ხელი. მაგრამ მამას ძალიან უმძიმდა მოსკოვში ცხოვრება, მისი სულიერი ტანჯვა ჩვენც გვტანჯავდა. „მაგრამ ყველანი, თუმცა სასლი კი შეაქეს, — წერდა დედა თავის დას, — მაშინვე სასოწარკვეთილებას მიეცნენ და ეს ჭმუნვა და სევდა სამ დღეს გრძელდებოდა. თანაც სულ უფრო ძლიერდებოდა. ბანქოს სათამაშო სახლი გეგონება, ისეთი ხმაურია და ამიტომაც არც ლევის კაბინეტში და არც ჩვენს საძინებელში სიმშვიდეს ვერ პოვებ. ხშირად თავზარდაცემული ვარ და მთელი დღის განმავლობაში ერთიანად დაძაბული, მეტისმეტად რომ არ იხმაურონ. ბოლოს მე და ლევმა ვისაუბრეთ, მითხრა, შენ რომ გიყვარდე და ჩემს სულიერ მდგომარეობაზე ფიქრობდე, ამ უზარმაზარ ოთახში არ მამყოფებდიო, იქ ხომ ადამიანი წუთითაც ვერ მოისვენებს, თვითეული საკარძელი, რომელიც ამ ოთახში დგას, გლეხკაცისათვის მთელი ბედნიერება იქნებოდა. ანუ ამ ოცდაორ მანეთად ცხენს ან ძროხას იყიდიდაო, აქ რომ ვარ, ტირილი მინდაო და ა. შ. შეგიძლია წარმოიდგინო რა ლაღად ვცხოვრობ, თანაც ორიოდ კვირაში უნდა ვიმშობიარო, ხოლო სადავიდარაბო საქმეები და საშუშაო უამრავია".

მოსკოვში ყოფნის დროს უკლებლივ ყველანი წარჩინებულთა საზოგადოების მოვალეობებს ვერ ავუდიოდით, ეს საღამოებიო, ეს ცხოვრებისეული წვრილმანებიო, ბავშვთა აღზრდაზე ზრუნვაო. მამა სულ სხვაგვარ ურთიერთობას ამყარებდა იმ ადამიანებთან, ვისაც ჩვენ ჩუმად „უბირ ხალხს" ვეძახით. მხერხავებთან ერთად დაიარებოდა მოსკოვის გარეუბანში ვორობიოვის მთაზე, საიდანაც ოდესღაც ნაპოლეონი ქალაქს გადაჰყურებდა. თავის ახალ ნაცნობებს რომ შეხვდებოდა, მამა ოველდღე გადიოდა მდინარის გაღმა ნაპირზე და მათთან ერთად მუშაობდა. „იგი დადიოდა ციხეებსა და საპყრობილეებში, ესწრებოდა სათემო და სამოქალაქო სასამართლოებს, რეკრუტთა გაწვევას და თითქოს განზრახ ეძიებდა ყველგან ადამიანთა ტანჯვას, ძალმომრეობას და მგზნებარედ უარყოფდა კაცობრიობის ცხოვრების მთელ არსებულ წყობას, ყველაფერს გმობდა, ყველაფრის გამო იტანჯებოდა და სიმპათიას მხოლოდ ხალხის მიმართ გრძნობდა, ყველა ჩაგრულს თანაუგრძნობდა".

მართლაც ასე იყო ყოველივე და მამასაც არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო. იგი უკვე იზიარებდა ქრისტიანულ მოძღვრებას მოყვასისადმი სიყვარულზე: მას უნდა მოეძებნა ისინი, ვისი ტანჯვის შემსუბუქებაც შეეძლო. გარდა ამისა უფრო და უფრო მეტად აწამებდა ის ამბავი, რომ ქონების პატრონი იყო და იმ აზრს ელოლიავებოდა როდის დააღწევდა თავს სიმდიდრეს.

„გავცე ყოველივე რაც გამაჩნია, — წერს იგი, — არა იმიტომ, რომ სიკეთე გავაკეთო, არამედ იმად, რომ ნაკლებ დამნაშავე ვიყო".

და მამამ დაიწყო ხელაღებით ფულის გაცემა. ეს აშინებდა დედაჩემს.

„ლევ ნიკოლოზის ძის ახლებური გუნება-განწყობა კიდევ იმაში გამოიხატა, რომ ფულს უხვად გასცემდა, განუკითხავად ყველას აძლევდა, ვინც კი სთხოვდა. შეეცადე დამერწმუნებინა, რომ საჭიროა რაღაცნაირად მოგვარება ამ საკითხისა, უნდა იცოდე, ვის ან რად აძლევ, იგი კი ჯიუტად იმეორებდა სახარების სიტყვებს: მიეცი მათხოვარსა.

დედას არ ესმოდა, რომ მისი ქმრისათვის ქონებისა და ფულის გაცემა ნიშნავდა ცოდვის მოცილებას, მესაკუთრის ცოდვისა, რომელიც პუტანელი შეიქნა მისთვის იმ დღიდან, როცა დაძაბული შინაგანი ჭიდილის შედეგად აღიარა განსაზღვრული თვალსაზრისი.

ჩვენი მოსკოვში ცხოვრების პირველ ზამთარს ერთმა გარემოებამ მამაჩემი ფრიად ააღელვა. მინდა მოგითხროთ 1882 წლის საქალაქო აღწერაზე. მამა მოხალისედ ჩაეწერა დამთვლელად. თანაც ითხოვა მისთვის ის უბანი მიეცათ, სადაც მოსკოვის მოსახლეობის დაბალი ფენა ბინადრობდა. სადაც იყო ღამის სათევი სახლები და ბუნაგები თავაწყვეტილი გარყვნილებისა. თავის სიცოცხლეში მამამ პირველად დაინახა ნამდვილი სიდუხჭირე. შეიმეცნა რა ადამიანების ცხოვრების ფსკერზე დასული ადამიანების მორალური ზნედაცემულობის მთელი სიღრმე, მას თავზარი დაეცა და ჩვეულებისამებრ თავისი შთაბეჭდილებანი შეუწყალებლად გააანალიზა. რა არის ამ შემზარავი სიდუხჭირის მიზეზი? საიდან მომდინარეობს ეს მანკიერება? პასუხმაც არ დააყოვნა. თუკი არიან ადამიანები, რომლებსაც უჭირთ, ეს იმის ბრალია, რომ სხვებს ზედმეტი ქონება აქვთ.

თუკი არსებობენ უმეცარნი — ეს იმის გამო ხდება, რომ სხვებს ზომაზე მეტი აქვთ უსარგებლო ცოდნა.

თუკი ზოგიერთებს ქანცი უწყდებათ მძიმე შრომისაგან, მაშასადამე, სხვები ფუფუნებაში ცხოვრობენ.

და როცა იგი თავის თავს ეკითხებოდა, ვინ არიან ეს სხვები? — — პასუხი თავისთავად ცხადი იყო: ეს მე ვარ, მე და ჩემი ოჯახი. დიდი ხანია ამას უთქვამდა გული, მაგრამ რაც ახლა დაინახა, აიძულა მამა ელიარებინა ყოველივე მთელი თავისი არსებით.

მამაჩემის მსგავსი ადამიანები მიღებულ შთაბეჭდილებებს ჩვეულებრივ უფრო მწვავედ განიცდიან. ეს უნარი მამას მოჭარბებული ჰქონდა, ვიდრე მის ახლობელ ადამიანებს. და აღმოაჩინა რა ცოდვა, რაშიაც მასაც ედო წილი, მან მოვალედ ჩათვალა თავი, მომავალში აღეკვეთა ეს ცოდვა და ამით გამოესყიდა დანაშაული.

მაგრამ მამა მალე დარწმუნდა, რომ ეს საქმე არც იმდენად იოლი მოსაგვარებელი იყო. ჩვენ მაშინ იმ სახლში ვცხოვრობდით, თვითონ რომ გვიყიდა. ჩვენც არც კი დავფიქრებულვართ რა დიდი მსხვერპლი გაიღო მამამ ოჯახის გულისათვის. დედაჩემი ცოტა მიამიტურად სწერდა თავის დას: „ლევი, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინათ განგვიცხადა მოსკოვი უზარმაზარი ჩეჩმა და დასნებოვნებული წუმპე არისო, მაიძულა გამეზიარებინა ეს აზრი და უფრო მეტიც, გადავწყვიტეთ საცხოვრებლად აღარასოდეს აღარ ჩამოვსულიყავით, მაგრამ ცოტა ხნის მერე ისე მოწადინებული ეძებდა ყველა ქუჩასა თუ მოსახვევში ჩვენთვის საცხოვრებელ სახლს... აქ უკვე ბრძენთა ბრძენიც ვერას გაიგებს“.

ჩემი ძმა სერგეი უნივერსიტეტში სწავლობდა. მე ის-ის იყო მაღალი წრის საზოგადოებაში წარმადგინეს. მამამ თვითონ წამიყვანა ჩემს პირველ მეჯლისზე. გამაცნო თავისი წრის ადამიანები, ვისთანაც ერთვირი გაწყვეტილი არ ჰქონდა.

აი როგორ მიედინებოდა ჩვენი ცხოვრება: მე და დედა ერთად ვდგებოდით, მერე მთელი დღე სტუმრებს ველებულობდით ან თვითონ ვივდიოდით სტუმრად. საღამო ხანს ეტლით ან მარხილით მივემგზავრებოდით. ან მეჯლისზე ან წვეულებაზე. ასეთნაირი ცხოვრება დედას ხან სიამოვნებას ანიჭებდა, ხან კი გრძნობდა, რომ ფუჭი იყო ასეთი დროსტარება. იგი წერს თავის დას: „ახლა ჩვენ მთლიანად მაღალი წრის საზოგადოებას მივეცით თავი... სიმართლე გითხრა, სამხიარულოს ძალზე ცოტას ვხედავ... ხუთშაბათი მიღების დღედ დავაწესეთ. და აი ჩვენც დავსხდებით ხოლმე ბაიყუშებივით სასტუმროში, ლელკა ფანჯარასთან ცმუკავს, უყურებს, ვინ მოვიდა. შემდეგ გამოაქვთ ჩაი, რომი, ორცხობილა, ტარტინები, ყოველივეს მადიანად შეექცევიან. ჩვენც ასევე მივდივართ ხოლმე მიღების დღეებში და ასევე გვიმასპინძლდებიან". დისადმი გაგზავნილი სხვა წერილი: „ლევი ძალზე მშვიდად არის, მუშაობს, რაღაც სტატიებს წერს; ზოგჯერ იფეთქებს და ამხედრდება ქალაქური, და საერთოდ, თავადური ყოფის წინააღმდეგ. გული მტკივა, მაგრამ ვიცი, რომ სხვაგვარად არ შეუძლია. იგი მოწინავე ადამიანია, წინ მიუძღვის ბრბოს და უჩვენებს გზას, რომელსაც უნდა დაადგნენ ადამიანები. მე კი ბრბო ვარ, ბრბოს მდინარებას მივყვები, ბრბოსთან ერთად ვხედავ ფარნის შუქს, რომელიც მოაქვს ყოველ მოწინავე ადამიანს, და, რასაკვირველია, ლევსაც. და ვაღიარებ, რომ ეს არის სინათლე, მაგრამ უფრო სწრაფად სვლა არ შემიძლია, რადგანაც სულს მიხუთავს ეს ბრბოც, გარემოც და საკუთარი ზნე-ჩვეულებანიც".

„ლევი ძალიან მშვიდად არის, რაღაც სტატიებს წერს. „აი რას ფიქრობდა თურმე დედა, ეგონა მეუღლე სტატიებს წერდა, ვერც ხვდებოდა სულიერად როგორ იტანჯებოდა, როცა თავის მდგომარეობაზე ფიქრობდა და გამოსავალ გზას ეძიებდა. ძნელი გასაგები არ არის, რის გამო იტანჯებოდა მამა. ღამის სათევი სახლებიდან შინ მიბრუნებული ხედავდა თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდას, სადაც ფორთოხლები და ნამცხვარი აწყვია, ორი ლაქია გულმოდგინედ ემსახურება ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე უქნარებს, კედლებზე ქსოვილია გაკრული, ყველგან ხალიჩებია. ამ ფულით ათ ადამიანს ჩააცმევდა. ტკივილი და უკმაყოფილება გულს უწურავს. მას არა და არ შეეძლო შერიგებოდა იმ აზრს, რომ ჩვენ უზრუნველად და ფუფუნებაში გვეცხოვრა, როცა გვერდით ადამიანები სიღატაკეში იხოცებოდნენ.

გავიხსენოთ რას წერს იგი სტატიაში: „მაშ რა უნდა გავაკეთოთ". „როგორ შეუძლია ადამიანს თუ კი გონი და სინდისი მთლიანად არ დაუკარგავს, იცხოვროს ისე, რომ თვითონ არ იბრძოლოს მთელი კაცობრიობის სიცოცხლისათვის და, მხოლოდ შთანთქას ამ ადამიანების სიცოცხლისათვის მებრძოლთა მონაპოვარი, თავისი მოთხოვნილებებით უფრო მძიმე ჭაპანი არგუნოს და გაზარდოს ამ ბრძოლაში დაღუპულთა რიცხვი".

მამას ესმოდა, რომ ადამიანმა მარტო პირადი კეთილდღეობისათვის არ უნდა იცხოვროს, არამედ უნდა მონაწილეობდეს სხვათა კეთილდღეობის მოპოვების საქმეში. ეს იყო მისთვის ბუნებრივი კანონი, რომლის აღსრულებაც მიაგებდა ადამიანს ბედნიერებას. მაგრამ იგი ხედავს, რომ ეს კანონი დარღვეულია, მურა-ფუტკრებივით ადამიანები „ვარს ამბობენ შრომაზე და სხვათა შრომის ხარჯზე ცხოვრობენ. და სულერედ იმ ფუტკართა მსგავსად იღუპებიან, რადგან ხელყვეს ბუნების კანონი. განწირული ფუტკრები კი ჩვენა ვართ — მე და ჩემი ოჯახი, ფიქრობდა იგი. ეს არ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო.

მამას შეგნებული ჰქონდა, რომ ცოლს არ შეეძლო მისი გაგება. მამაჩემის ტანჯვას ქალი უყურებდა როგორც ავადმყოფობის გამოვლინებას და ეშინოდა გონება არ დაჰკარგოსო. დედაჩემის აზრით ეს იყო კრიზისი და იმედოვნებდა, ჩქარა გაუვლისო. ქალი ოდნავადაც ვერ გრძნობდა რაოდენ დიადი იყო ის, რაც მისი ქმრის სულში ტრიალებდა. აი რას სწერს დედაჩემი თავის დას: „ლევს კაბინეტში სძინავს. უძილობა აწუხებს და ზოგჯერ ნაშუალამევის სამ საათამდე ბოლთას სცემს ოთახში“. „სულიერად მოსვენებულია, და ჩვენც მეგობრულად ვართ. საკმაოდ მხიარულადაც. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელ წავიკინკლავეთ, ისიც ცოტათი“.

ისინი გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ კეთილი მეგობრებივით, მაგრამ ერთმანეთისთვის უცხონი იყვნენ, პირთამდე ავსებდათ დიდი და გულწრფელი სიყვარული, მაგრამ უფრო და უფრო გრძნობდნენ, რა ბევრი რამ აშორებდათ ერთმანეთს. და მამასაც სწორედ მაშინ დაებადა და ეკვიატა აზრი, სამუდამოდ დაეგმო ძველი ცხოვრება და დაეწყო ახალი, უფრო მეტად რომ ესადაგებოდა მის რწმენას.

1879 წელს დედა სწერს თავის დას: „ლევი სულ მუშაობს, როგორც თვითონ ამბობს, მაგრამ ვაი რომ!.. წერს რაღაც რელიგიურ შეგონებებს, კითხულობს და ფიქრობს თავის ტკივილამდე და ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ აჩვენოს ეკლესია რამდენად არ შეესაბამება სახარების მოძღვრებას... ერთი რამ მწადია მხოლოდ: რაც შეიძლება მალე დაამთავროს და მოიშოროს სახადივით. მას დაეუფლოს ანდა გამოუწეროს გონებრივი სამუშაო ასეთი ან სხვაგვარი ამ ქვეყნად არავის შეუძლია, თვითონაც არ ხელეწიფების“.

ვიდრე მამაჩემი ლიტერატურულ შრომას ეწეოდა, მისი ცოლი ცხოველ ინტერესს იჩენდა. მაგრამ ახლა როცა განყენებულმა საკითხებმა იჩინა თავი, ქალი არათუ გულგრილი დარჩა, არამედ სამტროდაც განეწყო. თვითონ დედა ერთ-ერთ ჩანაწერში ასე ხსნის ამ საკითხს: „ღვარძლიანი უარყოფა მართლმადიდებლობისა და ეკლესიისა, ამ ეკლესიისა და მისთა მსახურთა ლანძღვა, ჩვენი ცხოვრების გაკიცხვა, დაგმობა ყველაფრისა, რასაც მე და ჩემი ახლობლები ჩავდივართ, — ყოველივე ეს აუტანელი იყო. მაშინ ჯერ ისევ ვათეთრებდი ხოლმე, რასაც წერდა და ასწორებდა ლევ ნიკოლოზის ძე. მაგრამ მახსოვს, ერთხელ, ეს იყო 1880 წელს, ვწერდი, ვწერდი და ვგრძნობდი სისხლი როგორ მაწვებოდა პირისახეზე და ბოლოს თავში ამივარდა. ჩემს სულში აღშფოთებამ გაიღვიძა, სასწრაფოდ ავკრიფე ყველა ფურცელი, მივუტანე ლევ

ნიკოლოზის ძეს და განვუცხადე, რომ ამიერიდან აღარ გადავწერდი, ვუთხარი რომ გაბრაზებული და აღშფოთებული ვარ".

თვითონაც რომ არ გაღიზიანებულიყო, მამა ხშირად ტოვებდა მოსკოვს. ყველაზე ხშირად იგი იასნაია პოლიანაში მიემგზავრებოდა. ზოგჯერ ოლსუფიევებთან ჩავიდოდა მოსკოვთან ახლოს მდებარე სოფელში, ანდა თავის ძველ, სევასტოპოლელ მეგობარს ესტუმრებოდა, ზოგჯერ კი უფრო შორსაც — სამარის გუბერნიაში ბაშკირებს მიაშურებდა. მაგრამ სიმშვიდეს ვერც იქ პოულობდა. 1885 წლის 22 მაისს იგი წერს თავის მეგობარს ლ. დ. ურუსოვს: „სოფელში ყოფნა რატომღაც მიმძიმს. ჩვენი უმართებულო ცხოვრება, უპოვართა მონობა, ასე ცხადი რომ არის ჩემთვის და ჩვენ კი ასე მიამიტურად ვხუჭავთ თვალს, განსაკუთრებით მიმძიმს. არ ვიცი რად, მაგრამ ხშირად ვიხსენებ: ვინც ბოლომდე აიტანს, გადარჩება და თუმც არ ეგების, მაინც ველი რაღაცას, რაიც გადამარჩენს ცხოვრებასა და აზროვნებას შორის არსებულ მწვავე უთანხმოებისაგან".

მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა და ისიც განაგრძობდა ცხოვრებას საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, რაც მას აწამებდა. ამ დროს იგი განსაკუთრებით მარტოსულად გრძნობს თავს. იგი სწერს მ. ა. ენგელჰარდტს: „თქვენ, ალბათ, არ ფიქრობთ ამას, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ რაოდენ მარტო ვარ, რაოდენ საძულველია ჩემს ირგვლივ მყოფთათვის ის რაც ჭეშმარიტ „მეს" წარმოადგენს".

და თითქმის იმავე ხანებში მისი ცოლი ატყობინებს თავის დას: „მარტოსული ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ როგორც ახლა ვარ, ისე მარტო — არასდროს. და ეს ასე ცხადია, ისე კარგად ვგრძნობ, რომ არავის არ უნდა ჩემი ცნობა, არავის არ ვაინტერესებ".

და თუმცა ძალზე სტანჯავდა უთანხმოება ცოლთან, რაკი ხედავდა, რომ შორიშორ იდგნენ ერთმანეთისაგან და ცოლი ვერ გაიზიარებდა მის რწმენას, მამა მაინც არ ჰკარგავდა იმედს. სწამდა დადგებოდა დღე, როცა ქალი ისევ მასთან იქნებოდა. 1883 წლის 23 ოქტომბერს მამა სწერს დედაჩემს: „ვიდრე ცოცხლები ვართ, გამუდმებით ვიცვლებით და, მადლობა ღმერთს, შეგვიძლია შევიცვალოთ, და მეტად და მეტად მივეახლოთ ჭეშმარიტებას. მე მხოლოდ ამას ვეძებ და ვისურვებ ჩემთვისაც და ახლობელთათვისაც: შენთვის და ბავშვებისთვის. უიმედობა რა სათქმელია, როცა მწამს, რომ ჩვენ შევიყრებით თუ ჩემს სიცოცხლეში ვერა, შემდეგ მაინც".

ან სხვა წერილები ავიღოთ: „შენ ასე ძლიერი, გარეგნულად ჩინებული (მორალურადაც მშვენიერი) არსება ღუპავ საკუთარ ძალებს". „შენ საოცარი ძალის პატრონი ხარ არა მარტო ფიზიკურად, არამედ მორალურადაც, მხოლოდ სულ მცირედი რაღაც გაკლია, მცირედი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მალე მოიპოვებ, მე ამაში დარწმუნებული ვარ. ოღონდ გულდაწყვეტილი ვიქნები იმიერ ქვეყანას, თუ კი ამას აღსრულება ჩემი სიკვდილის შემდგომ უწერია. მავანთ და მავანთ გული წყდებათ, რომ დიდება სიკვდილის შემდეგ მოდის. ამ მხრივ მე სანატრელი არა მაქვს რა. მე არამც თუ მრავალ რასმე შეველეოდი, არამედ დიდებასაც მთლიანად დავთმობდი, რომ შენ ჩემს სიცოცხლეშივე დამნათესავებოდი სულიერად, ისე როგორც ეს ჩემი სიკვდილის შემდეგ მოხდება".

სხვა ადგილას კი ასეთ აზრს გამოთქვამს: თუკი ჩემი რწმენა ჭეშმარიტია, მაშინ მას სხვა ადამიანებივით ჩემი მეუღლეც აღიარებს.

მაგრამ იმ დღეებში სიახლოვეზე ფიქრი ნაადრევი იყო. ქმრის ცხოვრების ყაიდა დედას არანაკლებ აშინებდა, ვიდრე მისი იდეები. „... ზნე-ჩვეულებაც შეიცვალა, — სწერს იგი თავის დას, — ... არ გავა, რაღაც ახალი არ გაუჩნდეს. დგება 7 საათზე — ბნელა. ქაჩავს წყალს მთელი სახლისათვის. ციგით მოათრევს უზარმაზარ გეჯას. ხერხავს დიდრონ ხეებს, აპობს და აწყობს საჟენებად. თეთრ პურს არ სჭამს, არც არსად დაიარება“.

ცხოვრობდნენ ასე აუტანელ დაძაბულ გარემოში თვითეული თავისთვის, არ ერეოდნენ ერთმანეთის ცხოვრებაში, მაგრამ ერთს კი გრძნობდნენ, რომ ოცწლიანი სიყვარულით განმტკიცებული კავშირი მაინც არსებობდა. ერთმანეთში დაუსრულებელ კამათსა და ხანგრძლივ დავას არავითარი შედეგი არ მოჰქონდა, მხოლოდ იარას უღრმავებდა ორთავეს. 1884 წლის ზაფხულში მშობლებს შორის რამდენიმე უფრო მძიმე სცენა გაიმართა. 18 ივნისს შუაღამისას მამამ მხრებზე მოიგდო ჩანთა და დასტოვა სახლი.

დღემდე თვალნათლივ ვხედავ როგორ ეფარება თვალს მამაჩემი არყის ხეების ხეივანში. ვხედავ დედასაც — სახლთან ხის ძირას ზის, პირისახეზე ტანჯვა აღბეჭდია. ფართოდ გახელილი თვალები, მწუხარე, უსიცოცხლო მზერა სივრცისათვის მიუპყრია. დედას იმ დღეს უნდა ემშობიარა და უკვე გრძნობდა კიდეც პირველ მტეხიარობას. შუაღამე გადასული იყო. ჩემი ძმა ილია მივიდა დედასთან და სათუთად მიიყვანა საწოლამდე მის საძინებელ ოთახში. გარიჟრაჟზე ჩემი და ალექსანდრა დაიბადა.

იმ ღამეს მამა შორს არ წასულა. მან იცოდა, დედას რომ უნდა ემშობიარა — ამ ქვეყნად მისი შვილი უნდა გაეჩინა. უკან დააბრუნა ცოლისადმი სიბრალულმა. მაგრამ მდგომარეობა მაინც იმდენად დაძაბული რჩებოდა, რომ აღარ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო. განხეთქილება მოხდა გადამწყვეტი ახსნა-განმარტების შემდეგ, როცა მეუღლეებმა ერთმანეთს გაუმხილეს თავიანთი წყენა, ფარდა ახადეს ყოველივეს, რამაც წამებად აქცია მათი ყოველდღიური ცხოვრება. ეს მოხდა იმავე წლის დეკემბერში. მამაჩემს, როგორც ჩანს, გაუწყდა მოთმინების ძაფი. ფიალა პირთამდე აივსო. მან ველარ შეიკავა თავი. მთელი მისი თავშეკავების უნარი და სილბო უკვალოდ წაშალა გულისწყრომის დაუოკებელმა ტალღამ.

ტკივილისაგან სახედაღრეჯილი მივიდა იგი ცოლთან და პირდაპირ მიუკიბ-მოუკიბავად განუცხადა — სახლიდან მივდივარო. აი ნაწყვეტი დედაჩემის წერილიდან, რომელიც თავის დას გაუგზავნა და სადაც აღწერილი აქვს რაც მოხდა: „მოვიდა ლევი უკიდურესად აღელვებული, პირგამეხებული. ვზივარ და ვწერ. შემოვიდა, შევხედე — საშინელი სახე აქვს. მანამდე მშვენივრად ვცხოვრობდით, ერთი უსიამო სიტყვა არ თქმულა, არაფერი, სულმთლად არაფერი. — მოვედი გითხრა, რომ განქორწინება მწადია შენთან. ასე ცხოვრება არ შემიძლია. გავემგზავრები პარიზში ან ამერიკაში.

გესმის, ტანია, მთელი სახლი რომ ჩამომქცეოდა თავზე, ასე არ გამიკვირდებოდა.

— რა მოხდა?

— არაფერი. მაგრამ საზიდარს თუ უფრო მეტ ტვირთს დავუდებთ, ცხენი დადგება და აღარ წაიღებს.

რა ტვირთს ვუდებდით — ვერ გავიგე. მაგრამ დაიწყო ყვირილი, საყვედურები, უხეში სიტყვები, უფრო და უფრო გაგიჟდა. მე ვითმენდი, ვითმენდი, არაფერს ვეუბნებოდი პასუხად — ვხედავ კაცი ჭკუიდან შეიშალა. ბოლოს, როცა მითხრა — სადაც შენა ხარ, იქ სუნთქვა ძნელდებაო, — ვუბრძანე მოეტანათ სკივრი და დავიწყე ჩემი ნივთების ჩალაგება, მინდოდა თქვენთან ჩამოვსულიყავ, თუნდაც რამდენიმე დღით. მოირბინეს ბავშვებმა, მორთეს ღრიალი. მერე მუდარა დამიწყო „დარჩიო". დავრჩი, მაგრამ უცებ ისეთი ქვითინი აუვარდა, რომ სათქმელადაც ძნელია.

აბა, ერთი წარმოიდგინე: ლევი ერთიანად ცახცახებს და თრთის, შემეცოდა. ოთხივე ბავშვი: ტანია, ილია, ლელია, მაშა — ერთად ღრიალებდნენ. მე წელი გამიშეშდა, არც სიტყვა, არც ცრემლი, მინდა რაღაც წამოვროშო, მაგრამ თავს ვიკავებ, მეშინია და ამიტომ ხმას არ ვიღებ. მთელი სამი საათი კრინტი არ დამიძრავს. რომც მოვეკალ ვინმეს — სიტყვას ვერ დამაცდენინებდა.

ასე დასრულდა ყოველივე. მაგრამ დარდი, მწუხარება, განხეთქილება, გაუცხოების ავადმყოფური განცდა — ყოველივე ეს სულში ჩამრჩა. ხშირად უგუნურივით ვეკითხები საკუთარ თავს: რად? რისთვის? სახლიდან ნაბიჯს არა ვდგამ. გამოცემაზე შუალამის სამ საათამდე ვმუშაობ, ჩუმად ვარ, როგორ მიყვარდა ყველანი და მახსოვდა მუდამ, როგორც არასდროს და რისთვის?"

მე მახსოვს ის საშინელი ზამთრის ღამე. ჩვენ მაშინ ცხრანი ვიყავით. თვითეულს ცხადად ვხედავ: ჩვენ, უფროსები, წინა ოთახში კიბეზე ვსხედვართ პირველ საფეხურზე. დროდადრო ავირბენთ მეორე სართულზე იმ ოთახის კართან, სადაც ჩვენი მშობლები საუბრობენ. ყურს ვუგდებთ. ისინი საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და საშინელ მღელვარებას ამჟღავნებდნენ. ვგრძნობდით, რომ ჩვენი მშობლები უკიდურესად მნიშვნელოვან და გადამწყვეტ საკითხზე საუბრობდნენ. არც ერთი თმობდა, არც — მეორე. ორივენი იცავდნენ რაღაცას, ისეთს, თვითეულს სიცოცხლეზე მეტად რომ ულირდა: დედა — თავისი შვილების კეთილდღეობას, მათ ბედნიერებას — როგორც მას ესმოდა ეს ბედნიერება — მამაჩემი კი — საკუთარ სულს იცავდა.

დედას „სიგიჟემდე, ტკივილამდე" უყვარდა თავისი შვილები. მამაჩემს კი ყველაფერზე მეტად ჭეშმარიტება უყვარდა. სიტყვები სრულად ვერ აღწევდა ჩვენს ყურთასმენამდე, მაგრამ ის, რაც გვესმოდა, საკმარისი იყო გაგვეგო, რა ტრიალებდა ჩვენს ოჯახში. „მე არ შემიძლია, — ეუბნებოდა მამა, — გავაგრძელო ცხოვრება ფუფუნებასა და უსაქმურობაში. მე ველარ მივიღებ მონაწილეობას ბავშვების აღზრდაში, რადგან ასეთი აღზრდა დამღუპველია მათთვის. აღარ შემიძლია ამიერიდან სახლისა და მამულების მფლობელი ვიყო. თვითეული ცხოვრებისეული ნაბიჯი აუტანელი წამებაა ჩემთვის". ბოლოს ასე განაცხადა: „ან მე წავალ ან სხვაგვარად უნდა ვიცხოვროთ: გავცეთ მთელი ჩვენი ქონება და ვიცხოვროთ გლეხებივით საკუთარი შრომით".

დედამ უპასუხა: „თუ შენ წახვალ, თავს მოვიკლავ, რადგან არ შემიძლია უშენოდ სიცოცხლე. რაც შეეხება ცხოვრების წესის შეცვლას, ეს მე არ შემიძლია და არ დაგეთანხმები, და საერთოდაც არ მესმის რად უნდა დავანგრიოთ რაღაც ქიმერის გამო ყოველმხრივ ბედნიერი ცხოვრება". და იწყებოდა ისევ თავიდან დავა, ჯადოსნური წრე შეკრული იყო.

ბიბლიოთეკა

გვესმოდა თუ არა აზრი იმისა, რასაც მამა ამბობდა? მე, მაგალითად არ მესმოდა. მტკიცედ მწამდა, რომ მამა არ შეიძლებოდა შემცდარიყო. მაგრამ რაში მდგომარეობდა ის ჭეშმარიტება, მან რომ იპოვა, კარგად არ ვიცოდი. მე, ოცი წლის ქალიშვილს, მამის ჭეშმარიტება იმდენად მიუწვდომელი მეჩვენებოდა, იმდენად აღმატებული ჩემი გაგების უნარზე, ქალწულისთვის ჩვეული თვალთახედვით რომ იყო შემოფარგლული, რომ საერთოდაც აღარ მქონდა იმედი ოდესმე მაინც მივხვდებოდი. არც დედაჩემის პოზიცია მესმოდა. ვფიქრობდი, რომ იგი უნდა დამორჩილებოდა მამაჩემის ნება-სურვილს, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეს სურვილი. განა უფრო ადვილი არ არის დაჰყვე ნებას ქმრისა, რომელიც გიყვარს და რომელსაც უყვარხარ, ვიდრე აიტანო ის მორალური წამება? მე ასე ვფიქრობდი და არ მესმოდა, სხვაგვარად რად გადაწყვიტა.

ჩვენ, ბავშვებს, ვინ რას გვკითხავდა?! ვისხედით წინა ოთახში კიბეზე და ველოდით, როდის შეთანხმდებოდნენ. უცებ ჩაიარა მსახურმა ხელში ჩემოდნით და ჩემოდანი დედაჩემის საძინებელ ოთახში შეიტანა — ჩვენთვის ნათელი გახდა ყოველივე. საბედნიეროდ ჩვენთან ერთად იყო ჩვენი დიდი მეგობარი — მიხეილ ალექსანდრეს ძე სტახოვიჩი. იგი ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდა. იმ დღეს უნდა გამგზავრებულიყო პეტერბურგში, მაგრამ ვთხოვეთ გადაედო გამგზავრება, რადგან მარტო დარჩენის გვეშინოდა, თუ დედა გამგზავრებას გადაწყვეტდა, იგი მას გაჰყვებოდა. სტახოვიჩიც ჩვენთან ერთად იჯდა წინკარში. ახლაც თვალწინ მიდგას როგორ ზის თავის ჩემოდანზე და ყოველნაირად ცდილობს შეიმოკლოს ეს გაუთავებელი ზამთრის ღამე.

და აი დასრულდა ეს ღამეც, ეს თავზარდამცემი ღამე. დასრულდა ისე, რომ რაიმე გარკვეული გადაწყვეტილება არ მიუღიათ, კვანძი არ გახსნილა. მას აქეთ მძიმე საკითხებს მეტად აღარ შეხებიან. დედა მხოლოდ მამის ცხოვრების კეთილმოწყობაზე ზრუნავდა.

მამა კი ისევ დარდიანი იყო, ჩუმი, თავის ფიქრებში ერთიანად ჩაძირული, ნაზი ცოლისა და ბავშვების მიმართ, მან ხომ მოულოდნელად გული ატკინა ცოლ-შვილს და ეს სტანჯავდა, თუმცა არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო. მამა უნდა დამშვიდებულიყო, ყველაფერი კარგად აეწონ-დაეწონა და ამიტომ გადაწყვიტა სოფელში წასულიყო თავის მეგობარ ოლსუფიევებთან, მოსკოვიდან თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით.

აი პარმალის წინ ორადგილიანი ციგა დგას. სულთანი, ჩვენი კეთილი ცხენი, ჭკვიანი თვალებით მომჩერებია. დედამ საგზაოდ სანოვაგე გაგვიმზადა, ქურქებითა და საბნებით მოგვამარაგა. იგი ჭკუას გვარიგებდა, გვაფრთხილებს, როგორ უნდა მოვიქცეთ ქარბუქში გზა რომ არ დაგვებნეს და არ გავიყინოთ. დედა ღელავს: ყინვისაგან ლოყები დასწი-

თლებია, ხოლო დიდრონი შავი თვალები შეკავებული მღელვარებისაგან უბრწყინავს.

ავიღე ხელში აღვირი, გაიღო ჭიშკარი და მე და მამა მარტონი დავრჩით გზაზე ამ მშვენიერი ზამთრის დილასისხამზე. დღემდე მახსოვს ეს მგზავრობა, თვითეული წვრილმანი. რიგრიგობით [illegible] ცხენს. რამდენჯერმე გადავყირავდით. უკვე შუაღამე [illegible] ქარბუქი მძვინვარებდა, როცა მივადექით ჩვენი მეგობრების სახლს. ჩვენს გონიერ სულთანს ერთი წლის წინ ჰქონდა ეს გზა გავლილი, ახსოვდა თვითეული შესახვევი და პირდაპირ მიგვიყვანა მიზანთან. თუმცა არც თუ მთლად მიზანთან — ჯიქურ გაემართა საჯინიბოსაკენ, სადაც ერთხელ უკვე იყო ნამყოფი.

გზაში მამა გულახდილად მესაუბრა და პირველად მაშინ გახდა ჩემთვის ცოტად თუ ბევრად გასაგები მისი მსოფლმხედველობა.

მაგრამ მოსკოვში ხომ უნდა დავბრუნებულიყავით? ჩვენს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. იგი ადრინდელი განრიგით მიედინებოდა. მე თამამად შემიძლია განვაცხადო და ვამტკიცო, რომ ჩემი მშობლების ურთიერთსიყვარული არათუ არ შენელებულა, არამედ პირიქით, გადატანილმა ტანჯვამ კიდევ უფრო გააძლიერა ეს სიყვარული, თითქოს დეზდემონა და ოტელო იყვნენ. დედას უყვარდა მისი ტანჯვის გამო, ხოლო მამას თანაგრძნობისთვის, რაც დედამ გამოიჩინა მისი ტანჯვისადმი. ვფიქრობ არ შევცდები თუ დავსძენ, რომ მამისადმი სიბრალულის გრძნობამ დედას ყველაფერი გააკეთებინა, რის გაკეთებაც შეეძლო, რათა მიახლოებოდა მას გულითა და გონებით, რათა დაინტერესებულიყო მისი შრომებით, მერე რარიგ ცდილობდა გაეგო ისინი.

ამ ხანებში მამა წერდა თხზულებას „სიცოცხლის გამო". თავისი უბრალოებით დიადმა ამ ნაწარმოებმა დედის გულში რაღაცნაირი გამოძახილი ჰპოვა. ამის დასტურია თავისი დისადმი გაგზავნილი წერილი: „... ვზივარ სრულიად მარტო... მთელი დღე ვწერდი. ლევის სტატია გადავწერე „სიცოცხლისა და სიკვდილის გამო", (ფილოსოფია), რომელსაც იგი ამჟამად კითხულობს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ საზოგადოებაში. კარგი სტატიაა, ყოყლოჩინობისა და ტენდენციის გარეშე, წმინდა ფილოსოფიური". შემდეგ მომდევნო წერილში წერს: „ჩემის აზრით ძალიან კარგია და ღრმა ჩანაფიქრი აქვს. მეც მომწონს, რადგან იდეალისტურია".

სტატია იმდენად კარგად ეპასუხებოდა დედაჩემის გრძნობებს, რომ მან არათუ გადაწერა, არამედ ფრანგულ ენაზედაც თარგმნა.

მერე რაოდენი სიხარული მოჰგვარა თავის მხრივ მამას მათი სულების დაახლოებამ! და თუმცა ეს სიახლოვე დროებითი იყო, არასრული და არ ნიშნავდა აზრებისა და ქცევის შეცვლას, სამაგიეროდ დედა უკვე აღარ უარყოფდა მამაჩემის რწმენას, არ კიცხავდა მის იდეებს, არ ეზიზღებოდა როგორც ადამიანი. რა გულით ეწადა მამას სრული თანხმობა. უნდოდა ხელი გაეწვდინა ამ ქალისათვის და დახმარებოდა, რათა სულიერად ამაღლებულიყო იგი. რაც საშუალებას მისცემდა დედას უკეთ გაეგო მამაჩემის აზრები. მამა მზად იყო თავისი ცოლისათვის მიეძღვნა სიყვარულით პირთამდე სავსე გული. 1891 წლის 23 ოქტომბერს მამა იასნაიადან სწერს დედას: „ისეთი კარგი, ბედნიერების მომნიჭებელი

შთაბეჭდილება დამრჩა ჩვენი ბოლო საუბრიდან, რომ როგორც კი გამახსენდება, მაშინვე სიხარულით ვივსები".

ან კიდევ სხვა წერილში: „რადგანაც სიმხნევისათვის ჩემი სიყვარული გჭირდება, ეს სიყვარული იმდენია, რამდენიც საერთოდ შეძლება არსებობდეს. გამუდმებით შენზე ვფიქრობ და მუდამ გრძნობამორეული".

აი კიდევ ერთი ნაწყვეტი 1895 წლით დათარიღებული წერილიდან: „გრძნობა, რომელიც მე განვიცადე, იყო უცნაური გულის აჩუყება, სიბრალული და სრულიად ახალი სიყვარული შენდამი. ისეთი სიყვარული, როცა მე მთლიანად ჩავესახლე შენს არსებაში და განვიცადე ის, რასაც შენ განიცდიდი. ეს ისეთი წმინდა, კარგი გრძნობაა, არაფერი არ უნდა მეთქვა, მაგრამ ვიცი გაგახარებს ამის გაგონება და ვიცი, რომ გამყლავნება ვერას დააკლებს, ვერ შეცვლის. პირიქით, ახლა როცა შენ გწერ, იმასვე განვიცდი. უცნაურია ეს ჩვენი გრძნობა როგორც დაისის მწუხრი. მხოლოდ იშვიათად ამცირებენ ამ შუქს ჩვენი ურთიერთუთანხმოების ღრუბლები. მე მაინც მჯერა, რომ ეს ღრუბლები გაიფანტება ღამის დადგომამდე და მზის ჩასვენება სავსებით ნათელი და სხივმფინარი იქნება".

1896 წელს: „შენ ისეთი უწყინარი, მოსიყვარულე, სათნო იყავი ბოლო დღეებში და მეც მუდამ ასეთს გიგონებ". ან კიდევ: „გახსოვს მეუბნებოდი, შენი წერილები ჩემთვის სასარგებლოც არისო და სასიამოვნოც. მე კი როგორ მწადია, სულ მუდამ მწადია, კარგი რამ გაგიკეთო, კიდევ უფრო უკეთესი, შეგიმსუბუქო ცხოვრების ტვირთი, ყველაფერი ვიღონო, რომ შენ მშვიდად იყო, მხნედ, კარგად. გამუდმებით შენზე ვფიქრობ. რაღაცნაირად შეშინია შენს გამო. ისეთი სუსტი ხარ და თან ისეთი ძვირფასი".

1897 წელს, ზაფხულის დასაწყისში დედამ მოახერხა რამდენიმე დღით დაეტოვებინა მოსკოვი, სადაც იგი უმცროსი ვაჟიშვილების სწავლების გამო იყო შეჩერებული და მოულოდნელად ჩამოვიდა იასნაიაში.

სოფელში მცირე ხანი დაჰყო და ისევ უკან გაბრუნდა. ქმარმა წერილი დაადევნა: „შენი ჩამოსვლით ისეთი ძლიერი, ცინცხალი, კარგი შთაბეჭდილება დატოვე; ახლა უფრო ვგრძნობ, რომ შენ აღარ ხარ ჩემს გვერდით.

ჩემი გაღვიძება და შენი გამოჩენა — ამაზე ძლიერი სიხარული, ალბათ, არასოდეს განმიცდია".

და სხვა წერილში: „არ შემიძლია გავექცე იმ გულისამაჩვილებელსა და მწუხარე გრძნობას, ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო სონია, როცა ვიხსენებ რა გულმდუღარედ სტიროდი გამგზავრების დღეს.

მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ის კეთილი, ღვთიური, რაც ასე უხვად გაქვს მომადლებული, სძლევს ყოველივე იმას, რაც შენ გთრგუნავს და ქანცს გიწყვეტს, მთელს იმ აპატიურსა და უშინაარსო ცხოვრებას, რაც ასე გაწუხებს და შენ კიდევ იცხოვრებ მხიარულად, მშვიდად.

მე მხოლოდ ვშიშობ ხელი არ შეგიშალო, დახმარება კი სხვამხრივ არ შემიძლია გარდა იმისა, რომ უფრო ძლიერად მიყვარდე. ეს სიყვარული გამუდმებით თანა მდევს".

დედაჩემმა ისევ მოჰკიდა ხელი მამის თხზულებათა გადაწერას. ბოლო ხანებში ეს საქმე მიტოვებული ჰქონდა. „ტანიამ გადაწერა დაიწყო, — წერს დედას მამაჩემი, — მაგრამ რაც მთავარია, ბევრს ვერ აუვლის შენს „მშვენიერ ხელწერას“.

ამ ხანებში მამამ საკუთარ შვილებს შენიშნა მისდამი სიმპათიისა და გაგების ნაპერწკალი. ამან უდიდესი ბედნიერება მიანიჭა. მე მას წერილებს ვუგზავნიდი. ვრცელი პასუხიც მომივიდა, სავსე სინაზითა და დახმარების უდიდესი სურვილით.

ჩემი და მაშა მთელის არსებით მამის მიმდევარი გახლდათ: მაშინ თოთხმეტი წლისა იყო. შვილებში ისა და უმცროსი ძმა ჰგვანდნენ მამას ყველაზე უფრო. მაშას მამის თვალები ჰქონდა, ცისფერი, უძირო, გამომცდელი და სხივიერი. საზრუნავი არასოდეს გამოლევია — მუდამ აწუხებდა ვინმეს ბედი.სხვაგვარი მე იგი არ მახსოვს.

იასნაია პოლიანაში ავადმყოფებს მაშა უვლიდა, ასწავლიდა ბავშვებს და ღარიბებს ლუკმაპურს უჩენდა. დაიარებოდა მოსკოვის ლაზარეთებში და მოწყალების დის მოვალეობებს ეუფლებოდა. დედას აწუხებდა მისი ჯანმრთელობის ამბავი და შიშობდა, რადგან მაშას გულთან ახლოს მიჰქონდა ყველას უბედურება. ამას რომ ხედავდა, მამა ძალზე ბედნიერი იყო. გრძნობდა, რომ მაშა მას მიემხრო, ხედავდა, რომ მისი ასული სიმპათიურად იყო განწყობილი მისი აზრებისა და შრომისადმი.

ძმებიც ასევე მეტნაკლებად იზიარებდნენ მამის იდეებს და მონაწილეობდნენ მის ცხოვრებაში, თუმც მაშასავით მტკიცედ ვერა. ერთი ხანობა ჩემი ძმა ლევი შედარებით ახლოს იყო მამასთან, მაგრამ შემდგომ უფრო ჩამოშორდა, იყო დრო, როცა იგი ყველაფერზე მაღლა თავისი მამის შეხედულებებს აყენებდა.

„ლევს სათქმელიც აქვს და იცის რა მითხრას,—წერს ჩემი მამა ერთ წერილში, — თანაც ისე მითხრას, მაგრძნობინოს, რომ, ჩემი ახლობელია თვითონაც და მისი ინტერესებიც და რომ მან იცის ან სურს იცოდეს ჩემი გულისწადილი“.

ამ წლებში მამაჩემმა, მისდა საბედნიეროდ, შესძლო განეხორციელებინა თავისი ორი სურვილი: მან უარი განაცხადა ყოველგვარ კერძო საკუთრებაზე და მეუღლეც დაითანხმა, რათა მისი ლიტერატურული ნაწარმოებები გამოეცა ყველას, ვინც კი მოისურვებდა რუსეთსა თუ საზღვარგარეთ. რადგანაც მამას არ სურდა ერთბაშად წაერთმია ყოველივე ცოლისა და ბავშვებისათვის, ამიტომ ცოლს დაუტოვა საავტორო უფლება 1880 წლამდე დაწერილ თხზულებებზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც დაწერა „სულიერად მეორედ დაბადებამდე“. ბუნებრივია, მეორედ დაბადების შემდეგ მამას უკვე აღარ შეეძლო გაეყიდა ის, რასაც წერდა, რადგანაც თვლიდა, რომ მსგავსი ვაჭრობა საკუთარი აზრებითა და გრძნობებით ისევე სამარცხვინოა, როგორც საკუთარი სხეულით ვაჭრობა. ცოლზე ადვილად არ გაუმარჯვნია. ვიდრე თანხმობას მისცემდა, დედა შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდა. მამა სთხოვდა კარგად ჩაფიქრებოდა მის თხოვნას, წრფელი გულით, როგორც ფიქრობს ადამიანი ღვთის წინაშე ან სიკვდილის წინ. აი, რას წერდა მამა იასნაია პოლიანადან: „... გააკეთე ეს კეთილის გრძნობით,

იმ შეგნებით, რომ თავად შენთვის არის ეს სიხარულის მომნიჭებელი, რადგან ამით შენ ათავისუფლებ მძიმე მდგომარეობიდან იმ ადამიანს, რომელიც გიყვარს. მაგრამ არაფერი გააკეთო ავი გრძნობით".

დედა დაეთანხმა. დაეთანხმა, მაგრამ ვერ კი გაუგო, თუმცა შეგნებული კი ჰქონდა, რომ მისი მეუღლის სულში იყო ერთი [illegible] საც იგი ვერაფერს დათმობდა, მისდამი სიყვარულიც ვერ [illegible], რადგან სინდისის მოთხოვნა მას სიცოცხლეზე ძვირად უღირდა.

იმავე წელს მამა კერძო საკუთრებისაგანაც განთავისუფლდა. მისი ოცნება იყო გაეცა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, და მთელი ოჯახით ეცხოვრა ისე, როგორც გლეხები ცხოვრობდნენ. ამაზე ცოლი არ ეთანხმებოდა. მაშინ მამამ მთელი ქონება შესთავაზა. ცოლმა უარი უთხრა და არც თუ უსაფუძვლოდ: „შენ თვლი, რომ საკუთრება ბოროტებაა და გინდა ეს ბოროტება მე ვიტვირთო?"

რა უნდა ექნა მამას? რაღაცაზე ხომ უნდა შეჩერებულიყვნენ. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს ისე მოქცეულიყვნენ, თითქოს მამა უკვე გარდაცვლილი იყო. სახელდობრ, მისი მემკვიდრეები უნდა დაპატრონებოდნენ ქონებას და გაეყოთ ერთმანეთში. შეაფასეს მთელი უძრავი ქონება. შემდეგ ყველაფერი ათ ნაწილად გაჰყვეს: თითო წილი თითო ბავშვზე და ერთიც — დედაზე. ვყარეთ კენჭი. იასნაია პოლიანა დედასა და უმცროს ძმას ვანიკოს ერგოთ. ეს განაწილება ჩვენთვის მეტისმეტად სამძიმო იყო. დედა გრძნობდა ამას. იგი თავის დას წერდა: „არის ამ გაყოფაში რაღაც გულისმომწყვლელი და არადელიკატური მამასთან დამოკიდებულებაში".

სწორედ იმ ხანებში ჩვენ, ბავშვებმა, მამასთან შეთანხმებით პატარა გამარჯვება გამოვტაცეთ დედას. მან ნება დაგვრთო ზაფხულობით მინდვრად გვემუშავა გლეხებთან ერთად.

ჩვენი ცხოვრების უმშვენიერესი ხანა! ყოველ სისხამ დილით, ცვარში, მე და ჩემი და მხრებზე ფოცხებს გავიდებდით და გლეხის ქალებთან ერთად სათიბში მივდიოდით. მამაკაცები, მათ შორის მამაჩემი და ჩემი ძმები — ილია და ლევი, გამთენიის ოთხი საათიდან თიბავდნენ. ქალები ჩავმწკრივდებოდით და მზის გულზე გადმოვაბრუნებდით მოთიბულ ბალახს. თივა „ბატონის ეზოში" გადაგვქონდა. მაგრამ ჩვენ ბატონისათვის კი არ ვმუშაობდით, არამედ გლეხების სასარგებლოდ. გლეხები ბატონის სათიბების გათიბვაში თივის ნახევარს იღებდნენ.

შუადღისას მუშაობა წყდებოდა. იქვე, ხეების ჩრდილში ვსადილობდით. ჩვენთვის საჭმელი სოფლის ბავშვებთან ერთად უმცროს დას ალექსანდრას მოჰქონდა. ჩვენი ულუფაც ისეთივე ღარიბული იყო, როგორიც გლეხებისა. მამაკაცები ჩქარობდნენ, არ გვაძლევდნენ დასვენების საშუალებას. უკანასკნელი ლუკმა არც გვქონდა გადაყლაპული, ისინი კი უკვე ყვიროდნენ: „აბა, ქალებო, დაუჩქარეთ". და თუ ცა მოიღრუბლებოდა და წვიმა იყო მოსალოდნელი; მაშინ საერთოდ არ გვინდობდნენ. დაძახებისთანავე უნდა გვეტაცნა ხელი ფოცხებისათვის, უნდა ჩავმდგარიყავით რიგში და მცხუნვარე მზის ქვეშ გვემუშავა, ვიდრე სიცხე არ დაიკლებდა მზის ჩასვლასთან ერთად. რა ლამაზი სანახავია რუსული სოფელი თიბვის დროს! რაოდენი მომხიბლაობა შეინარჩუნა ჩემს თვალში, საკმარისია გავიხსენო მდინარე ვორონკას გაყოლებაზე მდიდარი ველ-მინდვრები გლეხკაცებითა და გლეხის ქალებით ნაირფერად

აჭრელებული. იმ ხანებში გლეხები ტრადიციულ ეროვნულ ტანსაცმელს ატარებდნენ: ქალიშვილები — პერანგებსა და სარაფანებს, ქალები პანევებს წინსაფრებით, მე და ჩემი და, იმათგან რომ არ გამოვრჩეულიყავით, ასევე ვიცვამდით.

შინ შებინდებულზე ვბრუნდებოდით მხიარულნი, სიცილ-კისკისით, სიმღერითა და ცეკვით. ჩემი და მაშა, წინ რომ მიუძღოდა ქალებს, ხშირად დაყრიდა ფოცხებს, გამოიწვევდა რომელსამე გლეხის გოგოს და დაუვლიდა წრეში მასთან ერთად. ზოგჯერ დედაჩემიც გამოდიოდა მინდვრად სამუშაოდ. გადაიცვამდა სოფლურ კაბას, აიღებდა ფოცხს და ჩვენთან ერთად წამოვიდოდა. მაგრამ შეჩვეული არ იყო მშვიდ და თანაბარ შრომას, რაც აუცილებელია, როცა მინდვრად მუშაობ. იგი მაშინვე ანგარიშმიუცემლად იწყებდა შრომას, თავს არ ზოგავდა. ერთხელაც ძალამ უმტყუნა და ავად გახდა. ის დღე იყო და მეტად აღარასოდეს უშრომია ფიზიკურად.

მამა მთელ დღეებს უბრალო ხალხში ატარებდა, რომელიც გულით უყვარდა. იგი ტოლს არ უდებდა გლეხკაცს მუშაობაში. მიაჩნდა, რომ შრომა ადამიანის მოვალეობაა. თანაც მამა გრძნობდა, რომ ბავშვები სიმპათიურად იყვნენ განწყობილნი, მოსწონდათ მისი ცხოვრების წესიც და ის იდეებიც, რომელთა შესაბამისადაც ცხოვრობდა. მაშინ მამა ბედნიერი იყო.

მოვიდოდა ზამთარი და მამაც ისევ მიუჯდებოდა საწერ მაგიდას. იმ წლებში მოწაფეები საკმაო რაოდენობით ჰყავდა. ზოგიერთი ამ მოწაფეთაგან თავისი მასწავლებლის მეგობარიც გახდა და ჩვენიც. იმათგან, ვინც ჩვენი ცხოვრების თანამონაწილე გახდა, დავასახელებ: ბირიუკოვს, გორბუნოვსა და ჩერტკოვს. უფრო გვიან მათ შეემატა წმინდანი ქალი მარია ალექსანდრეს ასული შმიდტი.

ჩერტკოვი... თავდაპირველად მე და მაშას გვეგონა, რომ მისი სახით ძვირფასი დამხმარე შევიძინეთ ჩვენი მთავარი მოვალეობის — მამის ხელნაწერების გადაწერის საქმეში. ჩერტკოვმა გვიშოვნა პირის გადასაღები წნული. ასე შემოინახა ყველა წერილის პირი. მანამდე კი ჩვენ იმით ვკმაყოფილდებოდით, რომ უფრო მნიშვნელოვანი წერილის პირს ვიღებდით მხოლოდ. მამაჩემის თვითეული დღიურის ასლი მაშინვე კეთდებოდა და ჩერტკოვს ბარდებოდა. ერთი სიტყვით, ჩერტკოვი იქცა მამის მუშაობის მთავარ მამოძრავებელ ზამბარად.

იმ ხანებში მამაჩემისა და მისი დამხმარე მეგობრების უმთავრესი საზრუნავი იყო პატარა იაფფასიანი ბროშურების დაბეჭდვა და გავრცელება. ამით უნდოდათ შეეცვალათ ის ძალზე მწირი სულიერი საზრდო, ხალხს რომ სთავაზობდნენ. ასეთი გახლდათ „პოსრედნიკის“ ამოცანა, რომლის გამოცემებიც მთელ რუსეთში ვრცელდებოდა მილიონ ცალად. ამ ბროშურებში დაიბეჭდა ტოლსტოის ცნობილი მოთხრობები. პირველად აქ გამოქვეყნდა „წყვდიადის ძალა“. „პოსრედნიკში“ სხვა დიდი მწერლებიც თანამშრომლობდნენ და ხალხმაც შეიტანა საკუთარი წვლილი უსახელო თანამშრომლობით. დედა თავაზიანად ხვდებოდა მამის მოწაფეებს: ბირიუკოვს, გორბუნოვს, ჩერტკოვსაც კი. „პოსრედნიკში“ მათი მოღვაწეობა დედას არ აღელვებდა. და ტოლსტოიც ხარობდა, რაკი დედა სტუმართმოყვრულად იღებდა მის მეგობრებს.

„შენ იმდენი კარგი თვისება გაქვს, — წერს მამა, — შენი დამოკიდებულება ჩერტკოვთან და ბირიუკოვთან ფრიად მახარებს“.

მაგრამ 1895 წელს უბედურება დატრიალდა, რამაც უდიდესი და საბედისწერო ზემოქმედება მოახდინა დედაჩემის ხასიათზე.

უბედურება, რამაც თავდაყირა დააყენა მთელი მისი ცხოვრება იყო პატარა 7 წლის ვანიკოს, მისი ნაბოლარა ვაჟიშვილის სიკვდილი. შვილის სიკვდილით თავზარდაცემული დედა ამის შემდეგ აღარ გამართულა წელში.

ჩემმა მშობლებმა და განსაკუთრებით დედამ, თავისი სიცოცხლის დასალიერს ამ ბავშვზე შეაჩერეს მთელი სიყვარული — გასაოცრად ნიჭიერი, არაჩვეულებრივად მოსიყვარულე ვანიკო ნამდვილად იყო ამ სიყვარულის ღირსი. გონებრივადაც ძალზე ნაადრევად ვითარდებოდა. როცა ვანიკო მამასთან არ იყო, იგი მუდამ უდიდესი სინაზით ახსენებდა წერილებში. „ვანიკო ძალიან მიყვარს“. „ძალიან საყვარელია, უფრო მეტია ვინემ საყვარელი — „შესანიშნავია“. ვანიკოს სწერდა: „ვანიკო, მომწერე წერილი! მე შენ მიყვარხარ! მამა“.

და აი უცებ ეს ბავშვი სამ დღეში დაიღუპა ქუნთრუშით. მალე ამ შემზარავი ამბის შემდეგ, 1895 წლის მარტში, დედაჩემი სწერს თავის დას: „ხედავ, ტანია, ცოცხალი დავრჩი ვანიკოს შემდეგ. დილით პირველი გაღვიძება ხანმოკლე მტანჯავი ძილის შემდეგ საშინელებაა იმდენად, რომ წამოვიყვირებ, ვეძახი ვანიკოს, მინდა ავიტაცო, ვიგრძნო, დავკოცნო-და მაგიერ ეს უმწეობა სიცარიელის წინაშე, ეს ჯოჯოხეთი! სახლში არავის და არაფრის ხმა არ ისმის. სამარისებული სიჩუმეა. საშა გაქვავებული ზის კუთხეში, დიდრონი სევდიანი თვალებით მომჩერებია და ტირის.

გოგონებმა დედობრივი სიყვარულის მოთხოვნილება მთლიანად ვანიკოზე გადაიტანეს. მასაც უსაზღვროდ უყვარდა ისინი, ეალერსებოდა ყველას და ყველასთვის ჰყოფნიდა სინაზე. ახლა კი მათთვისაც მიეფარა თვალს.

ლევი სულ მოიხარა, დაბერდა. დარდიანი დაიარება, ნათელ თვალებში ნაღველი ჩადგომია. ჩანს, რომ მისთვისაც ჩამქრალა მისი სიბერის უკანასკნელი ნათელი სხივი. ვანიკოს გარდაცვალებიდან მესამე დღეს იჯდა, ქვითინებდა და ამბობდა: „ცხოვრებაში პირველად ვგრძნობ, რომ საშველი არ არის. მის დანახვაზე გული მეფლითებოდა. უბედურებამ ისიც გატეხა.

ვაჟიშვილები ჩამოვიდნენ. ილია იმ დღესვე ჩვენთან გაჩნდა და მეტისმეტად გამათბო თავისი თანაგრძნობით, ცრემლებითა და სიკეთით. სერიოჟა დაკრძალვის დღეს ჩამოვიდა და ახლაც ჩვენთან არის. საბედნიეროდ, საბრალო ლევი არ ყოფილა. იგი ექიმ ოგრანოვიჩის სანატორიულ კოლონიაში ცხოვრობს, მოსკოვიდან სამი საათის სავალია. ღმერთმა განარიდა იგი ამ უბედურებას.

ლევი მეუბნებოდა, რომ ხშირად, როგორც კი მოიკეთებდა ხოლმე ვანიკო, ბედნიერებისაგან სუნთქვა მეკვროდაო.

სამშაბათს... საღამოს, 21 თებერვალს, მამა მათ ხმამაღლა უკითხავდა ვერა ტოლსტაიას მიერ გადმოკეთებულ დიკენსის მოთხრობას „დიდი მოლოდინი“, რომლისთვისაც „კატორღელი ასული“ დაურქმევია.

როცა ვანიკო ჩემთან გამოსამშვიდობებლად მოვიდა, ვკითხე, წაკითხული თუ მოგეწონა-მეთქი. მან საშინლად დახაღვლიანებულმა შემომხედა და მითხრა:

— ნუ მკითხავ, დედი, იმდენად სევდის მომგვრელია ყოველივე, საშინელებაა... ესტელა პიპის არ გაჰყოლია ცოლად!

მინდოდა გამემხიარულებინა, მაგრამ რას ვხედავ! ბავშვს საშინელი ფერი ადევს. ჩავიყვანე დაბლა. ვანიკო ამთქნარებს და ცრემლმორეული მეუბნება:

— ოჰ, დედა, ისევ იგი. იგი! (ციებაზე მეუბნებოდა).

თერმომეტრი ჩავუდევი — 38 და 5. ღამით იწვოდა სიცხისაგან, მაგრამ ეძინა. დილით ექიმის მოსაყვანად გავგზავნეთ კაცი. ექიმმა მაშინვე გვითხრა — ქუნთრუშა სჭირსო. სიცხე უკვე ორმოცს აღემატებოდა. თან ტკივილი დაეწყო... შუალამისას, სამ საათზე, გონზე მოვიდა, შემომხედა და მითხრა:

— მაპატიე, ჩემო საყვარელო დედიკო, რომ გაგაღვიძეს.

— მე გამოვიძინე, ჩემო კარგო, ჩვენ რიგრიგობით ვისხედით, — ვუთხარი მე.

— ახლა ვიღასი ჯერია! ტანიასი?

— არა, მაშასი.

— დაუძახე მაშას. შენ წადი, დაიძინე!

და დამიწყო კოცნა ისე მაგრად, მაგრად, ნაზად! იწვდიდა თავის გამომშრალ ტუჩებს და მეკვროდა.

— რა გტკივა? — ვკითხე მე.

— არაფერი არ მტკივა.

— მაშ რა გაწუხებს, ნაღველი?

— ჰო, ნაღველი.

ამის შემდეგ თითქმის არც მოსულა გრძნობაზე. ოთხშაბათს მთელი დღე იწვოდა, იშვიათად წამოიკვნესებდა. გამონაყარი დილიდან გაქრა. შემოვახვიეთ მდოგვიან ცივ წყალში დასველებული ზეწარი. შემდეგ თბილ აბაზანაში ჩავსვით. ასე რამდენჯერმე გავიმეორეთ. არაფერმა არ უშველა. სულ უფრო და უფრო ჩუმად სუნთქავდა. ხელ-ფეხი თანდათან უცივდებოდა. შემდეგ გაახილა თვალი და გაყუჩდა... მის საწოლთან იყვნენ: მამა, მაშენკა (ლევის და) იგი სულ ლოცულობდა და პირჯვარს წერდა, ძიძა და სხვა არავინ. ტანია სულ გარბოდა. მე და ლევი მეორე ოთახში ვისხედით, სასოწარკვეთისაგან გაქვავებულნი.

... იმდენი გვირგვინი, ყვავილები და თაიგულები გამოგზავნეს, რომ მთელი ოთახი ბაღი გეგონებოდა. სენის გადადებაზე არავის უფიქრია. ყველანი გავერთიანდით. ჩვენი განსვენებული ვანიკოს სიყვარულმა გაგვაერთიანა. ერთად ვიყავით: მაშენკა ჩვენთან ცხოვრობდა და ჩვენთან ერთად ინაწილებდა მწუხარებას მთელი სულითა და გულით.

მესამე დღეს, 25-ში წესი ავუგეთ, დავჭედეთ და დავდეთ ჩვენს დიდ ოთხადგილიან ციგაზე კუბო და ცოტა გვირგვინებითა და ყვავილებით მოვრთეთ, დავიძარით ნელა...

სასაფლაოზე უამრავი ხალხი წამოვიდა. სიჩუმე იყო და თბილოდა. გზაში ლევი იგონებდა: როგორ დადიოდა იგი ამ გზით პოკროვსკოეში, გული უჩვილდებოდა, ტიროდა და ძალიან მეფერებოდა სიტყვებითა და

მოგონებებით... მერე ისევ ლევსა და ვაჟიშვილებს მიჰქონდათ კუბო... ყველანი ტირიოდნენ მოხუცი, დარდით მოკლული მამის შემხედვარენი. აბა იფიქრე, ტანია, განა ეს ბუნებრივია, რომ ჩვენ, გაჭალარავებულმა მშობლებმა მიწას მივაბაროთ ჩვენი ყველაზე ნათელი მომავალი ამ ბავშვის სახით?

როგორ ჩაუშვეს სამარეში, როგორ მიაყარეს მიწა — აღარაფერი მახსოვს. მე უცებ სადღაც ჩავიკარგე, ბუნდოვნად ვხედავდი ლევის მკერდს, ზედ რომ მიკრავდა, ვიღაც წინ ამეფარა, ორმო რომ არ დამეხახა, ვიღაც მიჭერდა... მე კი ერთი ცრემლიც არ ჩამომვარდნია, კრინტიც არ დამცდენია.

გონს მაშინ მოვეგე, როცა სასაფლაოდან წამოვედით. ძიძა დავინახე, სხვა ციგაზე რომ იჯდა და ბავშვების ზღვას პურს, კალაჩს და პიტნიან თაფლისპურებს ურიგებდა...

ლევი კი ტირილით მეუბნებოდა: „მე კი ვოცნებობდი, ვანიკო ჩემს შემდგომ ღვთის საქმეს განაგრძობს-მეთქი! მისი მწუხარების ყურება უფრო მიმძიმს, ვიდრე საკუთარი მწუხარების ატანა... მე და ვანიკო უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით, საღამოს ჩემი გაშვება უჭირდა. ვილოცებ, მე მას, იგი კიდევ მე გადამწერს პირჯვარს, შემდეგ მეტყვის: მაკოცე მაგრად, აბა ჩამოდე თავი ჩემს გვერდით, ისუნთქე ჩემს მკერდზე, რომ შენი სუნთქვით ჩავიძინო, როცა ავად გახდებოდა, მეუბნებოდა: „აი, ეს ღვთის ნებაა, დედა, რომ მე ისევ ავად შევიქენი!“

ვანიკოსთან ერთად დაიხურა ბავშვურად საყვარელი, ხშირად უგუნური, მაგრამ რთული და მხიარული პაწია სამყარო. არც სიცილი, არც ბავშვის ნაბიჯის ხმა, არც თამაში, არც ნაძვის ხე, კვერცხების არც შეღებვა, არც გორება, არც პირველი მარხვა. (ვანიკო სულ მთხოვდა, ნება მომეცი ვიმარხულოო) დასრულდა ყველაფერი, რაც ავსებდა ჩემს ცხოვრებას, შემიძლია ვთქვა, რომ ბავშვობიდანვე“.

მწუხარებამ ისე დარია ხელი დედას, რომ კინაღამ დაჰკარგა განსჯის უნარი. თავდაპირველად რელიგიურმა ეკზალტაციამ მოიცვა, დროის უმეტეს ნაწილს ლოცვაში ატარებდა შინ თუ ეკლესიაში. მამა განსაკუთრებული სინაზით ეპყრობოდა და რაკი დედას მარტო დარჩენისა ეშინოდა, მამა, მაშა, და მე დღიან-ღამიანად მის გვერდით ვიყავით. როცა დედა ეკლესიაში მიდიოდა, მამა უკან მიჰყვებოდა, მერე შესასვლელში ელოდა და შინ მოჰყავდა. მამა კარგახნის ჩამოშორებული იყო ეკლესიას და ცოლის ასეთი სულიერი მდგომარეობა, ეუცხოებოდა. პირადი მწუხარება რომ გადაევიწყებინა, მამა ცდილობდა დედის გულისყური სხვა ადამიანების მწუხარებაზე გადაეტანა: დაჰყავდა ციხეებში, აიძულებდა წიგნები ეყიდა პატიმართათვის. მაგრამ ქალს აღარაფერი აინტერესებდა, აღარც საკუთარი შვილები, აღარც იასნაია პოლიანა.

იგი წერს თავის დას: „ნუთუ შეიძლება დიდხანს იცოცხლო ასეთ სატანჯველში? ყველაფერი, ყველაფერი გაქრა ჩემთვის. და უფრო დიდი საშინელება ის არის, რომ რვა ბავშვი დამრჩა, მე კი მაინც მარტოდმარტო დავრჩი საკუთარ მწუხარებასთან და არც შემიძლია ჩავეჭიდო მათ, თუმც ისინი ისე კეთილნი და ალერსიანნი არიან“. „ჩემთვის არაფერი არ არსებობს, არც მზე, არც ბუნება, არც ყვავილები, არც ბა-

ნაობა, არც მეურნეობა, ბავშვებიც კი. ყველაფერი მკვდარია, ყველაფერს საფლავის ქვასავით მძიმე დარდი აწევს".

მწუხარებამ გატეხა დედა. იგი მუდამ გამოირჩეოდა თავისი მგრძნობიარე, ცვალებადი, მღელვარე ბუნებით, ადვილად ეიზიანდებოდა. მამა მაშინვე მიხვდა რა დღეში ჩავარდა მისი ცოლი. „ვიტანჯებოდა და შიშობდა... შენ ისე სწრაფად გეცვლება გუნება, — წერდა დედას, — რომ ხვალ შეიძლება სულ სხვა წერილი გამომიგზავნო". ხოლო როცა დედა გაუტყდა, მეშინია, ჭკუიდან არ შევიშალოო, „ეეცადა დაემშვიდებია აფორიაქებული ქალი: ფსიქიურ აშლილობაზე მწერ, საშინელი სისულელეა". სინამდვილეში კი მამას ეშინოდა. „ვზივარ და ვიტანჯები, როგორც კი გამახსენდება შენი ფიზიკური და რაც მთავარია, სულიერი მდგომარეობა და თავს ვკიცხავ". სამწუხაროა, რომ არ მომწერე როგორ იმგზავრე. წასვლის ხანს ძალიან ღელავდი".

ამ თავზარდამცემი უბედურების შემდეგ დედაჩემი მოულოდნელად მუსიკამ გაიტაცა. იასნაია პოლიანაში ჩამოვიდა ერთი ჩვენი მეგობარი — პიანისტი ტანეევი. და ეს გახდა ბიძგი დედაჩემის სულიერი ცვლილებისა. აი რას სწერს იგი ბავშვის გარდაცვალებიდან წელიწადნახევრის შემდეგ თავის მუდმივ რწმუნებულს — დას: „ჩემი ცხოვრება, მთელი გულისყური მუსიკას ეკუთვნის, მხოლოდ მუსიკა მაცოცხლებს, ვსწავლობ, ვესწრები კონცერტებს, ვყიდულობ ნოტებს, ვარჩევ, მაგრამ ვხედავ, რომ ყველაფერი დაგვიანებულია. წარმატება თითქმის არა მაქვს. ეს თავისებური სიგიჟეა, მაგრამ განა რას უნდა მოველოდე ჩემი დამსხვრეული სულისაგან? ვერა და ვერ დავუბრუნდი ნორმალურ მდგომარეობას ვანიკოს გარდაცვალების შემდეგ... ლევი არაჩვეულებრივად ალერსიანი და მომთმენია. ამ ბოლო დროს რაღაცნაირად განსაკუთრებულად ვგრძნობ მის ზეგავლენას, თითქოს სულიერად მფარველობს. მიხვდა, რომ დავკარგე სულიერი წონასწორობა და სულ მეხმარება გულითადად, ალერსიანად".

აი რას დაემსგავსა უბედურებისაგან შერყეული მისი ცხოვრება.

მამა? განა გაეტეხვინება იგი პირადულ მწუხარებას ან სიხარულს მისცემს თავს? ამ ძლიერმა პიროვნებამ იცოდა რისთვისაც იყო მოწოდებული. შინაგანი ჭიდილი, ჭიდილი საკუთარ თავთან უწინდებურად გრძელდებოდა და ვერავითარი ცხოვრებისეული სიმძიმილი ვერ შეუშლიდა ხელს.

წასვლა, გამგზავრება — უწინდებურად მამის ოცნებად რჩებოდა. მაგრამ ამ ოცნებას აღსრულება არ ეწერა, რადგან მისი ცოლი უკვე ყველაზე სუსტ და უბედურ არსებად იქცა. მამაჩემი იყო, როგორც დედა ამბობდა, დამცველი მისი სულისა". დედას კი რა უნდა მიეცა მამაჩემისთვის ამის სანაცვლოდ? არაფერი. საკუთარ მწუხარებაში ჩაძირულ ქალს ადგილი აღარ ჰქონდა უკვე სულიერ სამყაროში იმ ადამიანისა, რომელიც მის გვერდით კი ცხოვრობდა, მაგრამ საკუთარი სატანჯველი ღრღნიდა. ქალი ვერც ამჩნევდა მეუღლის სულის ძრწოლას და არც არავითარ გულისყურს იჩენდა, მაშინ როცა შინაგან ჭიდილს ერთიანად მოეცვა მამაჩემის გულიცა და სულიც.

მართალია დედა სტუმართმოყვრულად უხვდებოდა იმ ხალხს, ვისაც „უბირთ" ვეძახდით, მაგრამ იოტისოდენადაც არ ცდილობდა გაეგო

საიდან მომდინარეობდა ამ უბირი ადამიანებისა და მისი მეუღლის სიახლოვე: იმ ხანებში მამაჩემის ცხოვრება საკუთარ თავთან გამოდმებული და გმირული ჭიდილი იყო. უმძიმდა იასნაიაში ცხოვრების პირობების შეგუება, მაგრამ იცოდა, რომ მოთმინება მართებდა, სანამ ძალონე არ უმტყუნებდა — იგი მოვალე იყო ასე მოქცეულიყო.

აი როგორ ცხოვრობდა იმ ხანებში მამაჩემი. გაიღვიძებდა თუ არა, ან ტყეში, ანდა მინდვრად მიდიოდა. „სალოცავად დავიარებიო", ასე ამბობდა, ანუ მარტოდმარტო ბუნების წიაღში მოუხმობდა თავის „მეს" საუკეთესო ძალებს, რათა იმდღევანდელი ვალი პირნათლად მოეხადა. თუმცა იშვიათად თუ მოახერხებდა, რომ დილის ეს საათები მარტოს გაეტარებინა. ადამიანები, მისი მატერიალური თუ სულიერი შემწეობის მოსურნენი სახლთან ან გზად დადარაჯებულნი ელოდნენ მის გამოჩენას: უპოვარნი და მოგზაურნი, უქონელნი, მოწყალებას რომ ითხოვდნენ, გლეხები, სათხოვარი რომ ჰქონდათ ან რაიმე საკითხი მოსაგვარებელი. ადამიანები ქვეყნიერების ყველა კუთხიდან მოედინებოდნენ, რათა გაეზიარებინათ თავიანთი შეჭირვება და რჩევა ეკითხათ, თუ არ ჩავთვლით იმათ, რომლებიც თავად გამოეცხადებოდნენ რჩევა-დარიგებებით. ყოველდღიურად სამი საფოსტო განყოფილება გასცემდა წიგნებს, წერილებს, ჟურნალ-გაზეთებს: მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიოდა ისინი.

მამა ცდილობდა შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილებინა მთხოვნელები და კორესპოდენტები. შემდგომ შეუდგებოდა მწერლურ შრომას. განა საჭიროა ამის თქმა? ახლა იგი წერდა არა სახელისა და დიდებისათვის, კიდევ უფრო მეტად არად დაგიდევდათ ფულს. იგი წერდა, რადგან თავის მოვალეობად მიაჩნდა გაეგებინებინა ადამიანებისათვის ჭეშმარიტება, მან რომ აღმოაჩინა და რომელსაც ხალხისათვის ბედნიერება უნდა მიეტანა. და ამგვარი შრომა იყო მისთვის სიხარულის წყარო. 1899 წლით დათარიღებულ წერილში, ერთ ახალგაზრდა კაცს რომ გაუგზავნა, ვკითხულობთ: „თქვენ სწორად მიმიხვდით, მე მიხარია, როცა შევიტყობ, რომ მეგობრები შორეულ აღმოსავლეთშიც მყვანან. მთავარი კი ის არის, რომ ჩემი ნაწერები, ესოდენ დიდ ბედნიერებას რომ მანიჭებენ, ამასვე განაცდევინებენ სხვებსაც, თუმც კი იშვიათად არიან ასეთი ადამიანები".

საღამოებს ოჯახის წევრებთან და სტუმრებთან ატარებენ. დაძინების წინ კი დაასრულებდა დღიურსა და კორესპოდენციებს.

მაგრამ ფიქრი ცხოვრების წესის შეცვლაზე განუწყვეტლივ თან სდევდა. მისი მეგობრები და არა მხოლოდ მეგობრები მიიჩნევდნენ, რომ მან უსათუოდ უნდა ჩამოიშოროს ოჯახი, რათა საკუთარი რწმენის შესაბამისად დაიწყოს ცხოვრება. მომსვლელთა შორის იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მისი თხზულებების საფუძველზე შეექმნათ წარმოდგენა მამის ცხოვრებაზე და როცა ეს ადამიანები ტოლსტოის სახლში ხედავდნენ თეთრხელთათმანიან მსახურთ, ვერცხლის ლანგრებით რომ შემოჰქონდათ სადილი, ხედავდნენ როგორ თამაშობდნენ ჩოგბურთს, ისინი ვერ მალავდნენ გულისტკივილსა და აღშფოთებას, და რაკი არ იცოდნენ ყოველივე ის, რასაც უხამებდა ტოლსტოი თავის საქციელს, კარგავდნენ თავისი მასწავლებლისადმი რწმენას;

მრავალნი წერილობით აგებინებდნენ, რომ გული გაუტყდათ, საყვედურობდნენ, არათანმიმდევარი ბრძანდებითო. ტოლსტოი იტანჯებოდა. მაგრამ ჭეშმარიტ მეგობრებად სწორედ მათ მიიჩნევდა და საპასუხო წერილებში კიდევ უფრო მკაცრად ჰკიცხავდა საკუთარ თავს, ვიდრე ამას მისი კორესპოდენტები იქმოდნენ. ტოლსტოი ეუბნებოდა, მე რომ ვნახო კაცი, ჩემსავით ცხოვრობდეს [illegible] ეგებდეს იმას, რასაც მე ვქადაგებ, ფარისეველს ვუწოდებდი. მსგავსი მოსაზრებები აიძულებდნენ უფრო ღრმად ჩაეხედნა საკუთარ ცხოვრებაში. იგი ისევ და ისევ ეკითხებოდა საკუთარ თავს: „... განა კარგს ვჩადი, რომ ვდუმვარ?... უკეთესი არ იქნებოდა წავსულიყავ, გადავკარგულიყავ?“ და პასუხი ასეთი გახლდათ: „ასე იმიტომ არ ვიქცევი, რომ ისევ საკუთარ თავზე ზრუნვა გამოვა, თუკი ამ ყოველმხრივ მოწამლულ ცხოვრებას გავეცლები. ჩემი რწმენით, კაცი მაშინ ხარ, თუ ასეთ ცხოვრებას გაუძლებ. მეც უნდა გავუძლო“.

მეგობარს, დაჟინებით რომ მოითხოვდა მისგან ასე მოქცეულიყო, ტოლსტოი პასუხობს: „ერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ მიზეზები, რომლებიც მაჩერებენ შევცვალო ცხოვრება იმგვარად, როგორც თქვენ მირჩევთ, შეუცვლელობა კი წამებაა ჩემთვის, რომ მიზეზები, რომლებიც ხელს მიშლიან ამ საქმეში, გამომდინარეობს იმავე საფუძველიდან სიყვარულისა, რის გულისთვისაც ეს ცვლილება სასურველია როგორც თქვენთვის, ასევე ჩემთვის. სავსებით დასაშვებად მიმაჩნია, რომ მე არ ვიცი, ან არ შემიძლია, ანდა უბრალოდ ცუდი თვისებები მაქვს, რომლებიც ხელს მიშლიან აღვასრულო, რასაც თქვენ მირჩევთ. რა უნდა ვქნა? მთელი სულითა და გულით მწადია, მაგრამ არ შემიძლია ვიპოვო გზა და მხოლოდ მადლობელი ვიქნები მისი, ვინც ამ გზას მაჩვენებს. და ამას ირონიულად არ გეუბნებით, არამედ სავსებით გულწრფელად“.

აი მეორე პასუხი იმავე კითხვაზე.

„იასნაია პოლიანა, 17 თებერვალი, 1910 წელი.

თქვენი წერილი შიგ გულში მომხვდა. ის, რის გაკეთებასაც მირჩევთ, ჩემი სანუკვარი ოცნებაა, მაგრამ დღემდე ვერ შევძელი შესრულება. მიზეზი უამრავია. (მაგრამ არამც და არამც ის, თითქოს თავს ვზოგავდე). მთავარი მიზეზი გახლავთ, არაფერი ჩავიდინო იმის გამო, რათა სხვებზე ზემოქმედება მოვახდინოთ. ეს ჩვენ არ ხელგვეწიფების და არც უნდა წარმართავდეს ჩვენს მოღვაწეობას. ჩვენი ჩანაფიქრი უნდა აღსრულდეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელი შეიქმნება არა სავარაუდო გარეგან მიზეზთა, არამედ სულის შინაგან მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, როცა ადრინდელ მდგომარეობაში ყოფნა ზნეობრივად ისევე შეუძლებელი იქნება, როგორც ფიზიკურად შეუძლებელია არ დაახველო, როცა სუნთქვა გიჭირს. ვგრძნობ, რომ ახლოს არის ამგვარი სულიერი ყოფა და დღითიდღე კიდევ უფრო ვუახლოვდები.

ის, რასაც თქვენ მირჩევთ: უარი ვთქვა საკუთარ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, ქონებაზე და დავურიგო იმათ, ვინც თავს უფლებამოსილად მიიჩნევს დაეპატრონოს მას ჩემი გარდაცვალების შემდეგ, ჯერ

ისევ 25 წლის წინათ გაკეთდა. მაგრამ ის ამბავი, რომ ვცხოვრობ ოჯ-
ახში ცოლსა და ქალიშვილებთან ერთად საშინელ, სამარცხვინო ფუ-
ფუნებაში, როცა ირგვლივ ასეთი სიღარიბეა, უფრო და უფრო მეტად
მტანჯავს, და არ არის დღე თქვენი რჩევის აღსრულებაზე არ ვფიქრობ-
ბდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდად, დიდად გმადლობთ თქვენი წერილის გამო.
თქვენი მოსიყვარულე **ლ. ტოლსტოი**".

ერთხელაც იყო ასეთი აზრი გამოთქვა: „თუ მე ოჯახს მივატო-
ვებ, რა მოხდება? მეორეც, მესამეც ამასვე ჩაიდენს. შედეგი ის იქნება,
რომ მე სხვა ოჯახს დავეხმარები, რომლის უფროსიც ახლა ჩემს ოჯახს
გაუწვდის დახმარების ხელს და ა. შ."

მახსოვს ტულადან ვბრუნდებოდით. შუაღამე იყო. უცებ ხმამაღლა
დაიწყო ფიქრი. ასე ხშირად მოქცეულა ჩემი თანდასწრებით. იმ ხალხზე
ლაპარაკობდა ჩვენთან რუსეთში სალოსებს (ღვთის გლეხებს) რომ ეძ-
ახიან. განმიმარტა: ეს ადამიანები ხშირად განზრახ გაჩვენებენ თავს,
რომ თითქოს ამა თუ იმ ცოდვას სჩადიან, რათა მოყვარეთა გაიცხვა
დაიმსახურონ. მათი მიზანია განივითარონ ერთ-ერთი უმთავრესი ქრი-
სტიანულ სათნოებათაგან: მორჩილება. მითხრა, მეც იგივე დამემარ-
თა, ადამიანებს გაიცხვის საბაბი მივეცი, თვითონ კი სინამდვილეში
ბრალი არ მიმიძღვისო.

მამის სიკვდილის შემდგომ იპოვეს წერილი 1897 წლის 8 ივლისს
რომ დაუწერია. ამ წერილის არსებობა იცოდნენ მხოლოდ ჩემმა დამ
მაშამ და მისმა მეუღლემ ნიკოლაი ობოლენსკიმ:

„ძვირფასო სონია, დიდი ხანია მტანჯავს შეუსაბამობა ჩემს ცხოვ-
რებასა და რწმენას შორის. რა ვქნა, ვერ შევძელი შეგეცვალათ თქვენი
ცხოვრების წესი, ზნე-ჩვეულებანი, რაიც თვითონვე შეგასწავლეთ. არც
თქვენგან წასვლა შემეძლო აქამდე, რადგან ვფიქრობდი, რომ ბავშ-
ვებს, ვიდრე ისინი პატარები არიან მოვაკლებდი თუნდაც იმ მცირე ზე-
გავლენას, რაც მათზე მქონდა და ამით გულს გატკენდით. ისე ცხოვ-
რება, როგორც ეს თექვსმეტი წელი ვიცხოვრე, როცა ხან გებრძოდით
და გაღიზიანებდით, ხან კი თვითონვე ველარ ვუძლებდი ცდუნებებს,
რომლებსაც შევეჩვიე და რომლითაც გარემოსილი ვარ, აღარ მინდა, და
ამიტომაც გადავწყვიტე ახლა გავაკეთო ის, რის გაკეთებაც დიდი ხანია
მეწადა: წავიდე სახლიდან ჯერ ერთი იმიტომ, რომ წლების მატებასთან
ერთად უფრო და უფრო მიმძიმს ეს ცხოვრება, უფრო და უფრო მსურს
განმარტოება, მეორეც, ბავშვები უკვე დაიზარდნენ, ჩემი ზეგავლენა
ოჯახში საჭირო აღარ არის, თანაც თვითეულს უფრო ცხოველი ინტე-
რესი გაგაჩნიათ და ეს ამბავი ჩემს არყოფნას ნაკლებად შესამჩნევს
გახდის.

მთავარი კი ის არის, რომ როგორც სამოც წელს მიტანებული ინ-
დოელნი ტყეში მიდიან, როგორც ყველა ხანდაზმულ, მორწმუნე ადა-
მიანს სურს თავისი სიცოცხლის ბოლო წლები ღმერთს უძღვნას და არა
ხუმრობებს, კალამბურებს, ჭორებს, ჩოგბურთს, ასევე მეც, რაკი 70-ე
წელიწადში გადავდექი, მთელი სულითა და გულით მწადია ეს სიმშვიდე,
განმარტოება, და თუმც არასრული თანხმობა, მაგრამ არა ქვეყნის გა-

საკონად გამხდარი შეუსაბამობა, საკუთარ ცხოვრებასა და რწმენას, საკუთარ სინდისს — შორის.

აშკარად რომ მოვქცეულიყავ ასე, დაიწყებოდა ხვეწნა, დავიდარაბა, ჩივილი და მეც მიმტყუნებდა ძალა, იქნებ ვერ აღმესრულებინა საკუთარი გადაწყვეტილება, ის კი უცილობლად უნდა აღსრულდეს და ამიტომ გთხოვთ მომიტევოთ, თუ ჩემი საქციელი გულს გატკენთ, მაგრამ მთავარია, სონია, რომ შენ შენის ნებით გამიშვა, გულით გამიშვა და არ მომძებნო, ნურც იდარდებ, და ნურც გამკიცხავ.

შენგან წასვლა სულაც არ ნიშნავს, რომ თითქოს უკმაყოფილო ვიყავ შენით. ვიცი, რომ შენ არ შეგეძლო, ნამდვილად არ შეგეძლო და არც შეგიძლია ჩემსავით დაინახო და იგრძნო და ამიტომაც არ შეგეძლო და არ შეგიძლია შეცვალო საკუთარი ცხოვრება და მსხვერპლად შეეწირო იმას, რაც არა გაქვს შეცნობილი. ამიტომაც არ გკიცხავ, პირიქით, სიყვარულითა და მადლიერებით ვიგონებ ჩვენი ცხოვრების ხანგრძლივ 35 წელიწადს, განსაკუთრებით პირველ ნახევარს ამ დროისა, რომ შენ ჩვეული დედობრივი თავგანწირვით, ასე ენერგიულად და მტკიცედ ზიდავდი, რისთვისაც მოწოდებულად მიგაჩნდა თავი. შენ ჩემთვის და ქვეყნისთვის გაიღე ის, რის გაღებაც შეგეძლო, მომეც დიდი დედობრივი სიყვარული და თავგანწირვა და არ შეიძლება ამისთვის არ დაგაფასო. მაგრამ ჩვენი ერთად ცხოვრების ბოლო ხანებში, ბოლო თხუთმეტ წელიწადში ჩვენ დავშორდით ერთმანეთს. მე არ შემიძლია ვიფიქრო, რომ დამნაშავე ვარ, რადგანაც ვიცი, რომ შევიცვალე არა ჩემს გამო, არა ხალხის გამო, არამედ იმიტომ, რომ სხვაგვარად არ ძალმიძდა. ვერც შენ დაგადანაშაულებ, რომ არ გამომყევი, პირიქით, შენი მადლობელი ვარ, მუდამაც სიყვარულით მოგიგონებ ამის გამო, რაც შემძინე — მშვიდობით, ძვირფასო სონია.

შენი მოსიყვარულე ლევ ტოლსტოი".

3 ივლისი 1897 წელი.

წერილი კი დაწერა, მაგრამ არსადაც არ გამგზავრებულა. იგი კიდევ ცამეტ წელიწადს იცდიდა. დღიურები, ჩანაწერები და წერილები, მამაჩემის ცხოვრების ამ პერიოდს რომ მიეკუთვნება, ავლენენ მის უცნაურ სულიერ მდგომარეობას: ტანჯვასა და სასოწარკვეთილებას მოულოდნელად სიხარული და ბედნიერება ენაცვლებოდა. აი რამდენიმე გამონათქვამი მისი წერილებიდან: 1902 წელს მე მწერს: „ჩემს სულს უხარია და სიამოვნებს". ან სხვა წერილი, 1900 წლის შემდგომ რომ არის დაწერილი: „შემიძლია ღმერთს ვუმადლოდე და ვიხაროდე ყველაფრის გამო". „უცნაურია, რაც უფრო დიდხანს ვბოგინობ ამ ქვეყნად, ყოველივე უკეთესი მეჩვენება". 1907 წელი: „ავადმყოფობის შემდეგ ძალამ მიმტყუნა, მაგრამ სული უფრო და უფრო დამიამდა".

დავუბრუნდეთ ტოლსტოის დღიურს. 1908 წლის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „მიმძიმს, მტკივა. ბოლო დღეებში გამუდმებით სიცხე მაქვს და თავს ცუდად ვგრძნობ. სული ძლივს მიდგას. ვკვდები ალბათ. დიახ, ძნელია, როცა ასეთ სულელურ, გაუმართლებელ ფუფუნებაში ცხოვრობ, მე რომ მომიხდა ცხოვრება და კიდევ უფრო ძნელია ასეთ პირობებში სიკვდილი".

„უწინდებურად ვიტანჯები. ცხოვრება აქ, იასნაია პოლიანაში ერთიანად მოშხამულია. სადაც არ უნდა წავიდე — ყველგან სირცხვილი და წამება:..“

„ერთი რამ უფრო მტანჯავს: ეს გაუმართლებელი უგუნური ფუფუნება სიღარიბისა და გაჭირვების გვერდიგვერდ, ყოველდღე მატულობს, უფრო და უფრო მძიმე ასატანი ხდება. არ შემიძლია დავივიწყო, არ დავინახო“.

როგორ უნდა აიხსნას ეს მგზნებარე და მტანჯველი სულიერი სწრაფვანი? ვფიქრობ, რომ სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობა მისი შინაგანი ჭიდილის შედეგი გახლავთ: იგი გრძნობდა გამარჯვებას ამ ჭიდილისა, რაც დროდადრო გონებას გაუნათებდა ხოლმე, მაგრამ მეორეს მხრივ, მისი ცხოვრების გარეგანი პირობები უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. აგრარული არეულობის ჟამს, 1905-1906 წლებში, იასნაია პოლიანას პოლიცია იცავდა. განუწყვეტლად მოედინებოდა უსაქმურ სტუმართა ნაკადი, ჭორები და მითქმა-მოთქმა — ყოველივე სტანჯავდა და ასე ცხოვრება აღარ შეეძლო.

ტოლსტოი ელოდა რაღაცას, რაიც უნდა მომხდარიყო და გაენთავისუფლებინა იგი ცხოვრების აუტანელ წინააღმდეგობათაგან. მაგრამ მსგავსი არაფერი ხდებოდა. პირიქით, მდგომარეობა უარესდებოდა. ცოლი, თითქოს მოპოვებულ გამარჯვებას გრძნობსო, უფრო დიდი სიმშვიდით განაგრძობდა ცხოვრებას საკუთარი შეხედულების შესაბამისად, არ უწევდა რა ანგარიშს ქმრის სინდისის მოთხოვნას. ვაჟიშვილები დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ. ამ ცხოვრებაში მამის იდეებს ადგილი არ ჰქონდათ. ჩემი უმცროსი და ალექსანდრა ჯერ მეტისმეტად ახალგაზრდა იყო. მე და მაშა ჩვენს ქმრებთან გავემგზავრენით. მამა მარტო დარჩა.

„ზოგჯერ მოვიწყენ ხოლმე, რაკი თქვენ, ჩემი ორი ასული აღარა ხართ ჩემს გვერდით, — მწერდა მამა და იქვე დასძენდა: — თუმცა რას ამბობ, მაგრამ იცი, რომ ესმით შენი და უყვართ ის, რაიც შენ არათუ გიყვარს, არამედ რითაც ცოცხლობ“.

თავსდამტყდარი უდიდესი უბედურების შემდეგ დედაჩემმა ველარ ჰპოვა სიმშვიდე. იგი ყველგან ეძებდა ამ სიმშვიდეს, მაგრამ არა იქ, სადაც შეიძლებოდა მისი ნახვა: მუსიკაში, მხატვრობაში ახალ ურთიერთობაში... მაგრამ მისი ბობოქარი ბუნების ავადმყოფურმა გულისთქმის დასაცხრობად სხვა საშუალებანი იყო საჭირო. დედას არ ჰყოფნიდა მორალური ძალა, რომელიც დაეხმარებოდა საკუთარი სატანჯველი სასიკეთოდ შემოებრუნებინა. არასწორი ნაბიჯი გადადგა, როცა უარი განაცხადა ქმარს გაჰყოლოდა და იმ ხნიდან დაწყებული უფრო და უფრო ასცდა ჭეშმარიტების გზას. ახლა იგი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, საკუთარ განცდებზე, წუხს იმის გამო, თუ რას იტყვიან მასზე ადამიანები.

მამა ხშირად ამბობდა: გონებრივი აშლილობა — ეს მხოლოდ გადაჭარბებული ეგოიზმი არისო.

და მართლაც დედაჩემის ფსიქიური აშლილობა სწორედ ამდაგვარი იყო. თუ ადრე იგი მზად იყო უანგაროდ მიეძღვნა საკუთარი თავი სხვებისათვის, ახლა ავადმყოფური ეჭვიანობის მსხვერპლი შეიქნა: რას

ამბობენ ან რას იტყვიან მომავალში? ხომ არ დაუძახებენ ოდესმე ქსანთიფას? საამისო საფუძველი კი ჰქონდა, რადგან ეხვივნენ ადამიანები, რომლებსაც ებრალებოდათ მისი მეუღლე, ვისაც ცოლმა ცხოვრებაში ამდენი უსიამოვნება შეახვედრა.

რაკი ეს შიში გამუდმებით თან სდევდა, დედამ [illegible] მეუღლის ყველა ჩანაწერის გადათვალიერება მოითხოვა. სურდა [illegible] ქმალათ ყველაფერი, რაც შემდგომ ცუდ წარმოდგენას შეუქმნიდა ხალხს მის პიროვნებაზე. იგი ყველგან და ყველაფერში თავს იმართლებდა, პირველ შემხვედრთანაც კი, ისეთი ადამიანების წინაშეც, ვისაც ფიქრადაც არ ჰქონია რაიმეში დაედანაშაულებინათ იგი. დედა დაჟინებით უხსნიდა ყველას, რატომ არ გახდა ქმრის მიმდევარი, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს მეუღლე აცდა სწორ გზას და თითქოს ამით ცდილობდა გაემართლებინა საკუთარი მცდელობა ეხელმძღვანელა ქმრისთვის.

1909 წლის ზაფხულში ჩემმა დამ ალექსანდრამ დეპეშა გამომიგზავნა; სასწრაფოდ მიხმობდა იასნაია პოლიანაში. დაუყოვნებლივ ჩავედი. დედა ლოგინად დამხვდა.

იასნაიაში მთელი დრამა გათამაშდა. მამამ გადაწყვიტა სტოკჰოლმში გამგზავრებულიყო მშვიდობის კონგრესზე მოხსენების წასაკითხად. დედა უჩვეულო სიჯიუტით აღუდგა წინ, რაკი თვლიდა, რომ გამგზავრება მამის ჯანმრთელობისათვის სახიფათო იყო. გადაწყვიტა არ გაეშვა. რაკი მამამ წინააღმდეგობა გაუწია, სულ გაოგნდა და დაიბნა. იგი ხან ჯიუტად აცხადებდა, რომ ყოველ ღონეს იხმარდა, რათა თავისი გაეტანა, ხანაც ამბობდა, სიკვდილის მეტი რაღა დამრჩენია, ყველას ჩემი მოწამვლა უნდაო.

მე რომ ჩავედი, კრიზისი უკვე ჩავლილი იყო. იწვა იგი მისუსტებული და მორჩილი. „ტანეჩკა, იცი, მე მეგონა, რომ ჩემი მოწამვლა უნდოდათ. დუშანი (ექიმი მაკოვიცკი, მამაჩემის მეგობარი და მოწაფე) მაიძულებდა რაღაც მოტკბო ფხვნილები ჩამეყლაპა. საერთოდ იგი კეთილი კაცი არ არის, მაგრამ მამაშენი უყვარს. ვფიქრობდი, ჩემგან მამაშენის გათავისუფლება უნდა-მეთქი", — მითხრა მან. დავამშვიდე როგორც შევძელი.

ამ ფრიად უბედურმა, ავადმყოფმა, მარტოსულმა არსებამ უდიდესი სიბრალული აღმიძრა. თუ დედა მარტო დარჩა, ამაში თავადაც მიუძღვის ბრალი, მაგრამ ამის გამო იგი განა ნაკლებად იტანჯებოდა? მამა სიყვარულით თავს ევლებოდა. მე გავემგზავრე, სიმშვიდე ისევ აღსდგა. ამჯერად ყოველივე მოგვარდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, არსებითად არაფერი შეცვლილა. გასაღიზიანებლად ახალ-ახალი საბაბი იჩენდა თავს, რასაც ახალი სცენები და საყვედურები მოსდევდა.

დედამ უარი განუცხადა მამას მისი ხელნაწერის გადაწერაზე. რასაკვირველია, შემცვლელი მოიძებნა. მაშინ დედა ამ მიზეზს ჩაეჭიდა: აჰა, მას იშორებენ, იგი აღარ სჭირდებათ, ე. ი. ქმარი სხვის შემწეობას ეძებს მაშინ როცა ადრე ყველაფერი მის ხელთ იყო. სხვა რა გზა იყო? ამ ქალს აღარ შეეძლო უწინდებურად დაინტერესებულიყო მისი მეუღლის საქმიანობით, რაც მისთვის უკვე სრულიად უცხო გამხდარიყო.

მაგრამ დედა იტანჯებოდა, გული სტკიოდა, რომ ჩუმად უნდა ყოფილიყო, ამ დროს კი მის გვერდით ესოდენ დაძაბულად საქმიანობდნენ. ბოლოს და ბოლოს, ველარ გაუძლო და უკვე მამის ნამოლვაწევს დაუწყო ლანძღვა-გინება. ასეთი ქცევით კიდევ უფრო გაიუარესა საქმე: მუშაობას მისგან მალულად განაგრძობდნენ. მისი მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. როცა დედა იმ ოთახში გაივლიდა, რომელიც საბეჭდ მანქანაზე ხელნაწერის პირის გადასაღებად იყო განკუთვნილი, ალექსანდრა და მამაჩემის მდივანი სასწრაფოდ შეწყვეტდნენ კოპირებას და ჩუმდებოდნენ, ზოგჯერ კი, თავიდან რომ აეცილებინათ ახსნა-განმარტება, სულაც მალავდნენ ხელნაწერს. გამჭრიახი გონების პატრონს ვერას გამოაპარებდი და ისიც ღიზიანდებოდა. ჯერ ისევ ყმაწვილქალობაში კაცს თვალში მოხვდებოდა მისი ადვილად აღგზნებადი ბუნება, ახლა კი ეს ჩანასახი იმდენად ვითარდებოდა, რომ სულიერ ავადობად ექცა. იგი ველარ ერეოდა საკუთარ თავს და მწვავე ნერვიული შეტევები უფრო გაუხშირდა.

ასეთი ყოფა მეტისმეტად მძიმე ასატანი იყო მამაჩემისათვის. ველარც მუშაობდა, უძილობა სწირად აწუხებდა, ხოლო ამოდენა მორალურმა ტანჯვამ მის ჯანმრთელობას დაღი დააჩნია. მამა თავს ძალას ატანდა ეს სატანჯველი მიეღო როგორც საკუთარ ცოდვათა გამოსასყიდი. ცდილობდა ეპოვნა მიზეზი, რათა მორჩილება გამოეჩინა. 1910 წლის 16 ივლისს მამა დღიურში წერს: „მადლობის მეტი რა მეთქმის ღვთის მიმართ, ასე მსუბუქად რომ მსჯის“.

1910 წლის ზაფხული, თავისი უკანასკნელი ზაფხული, რომლის თვითეული დღე მისთვის ახალი სატანჯველის მომტანი იყო, მამამ თითქმის მთლიანად სხვაგან გაატარა და არა იასნაია პოლიანაში. მაისში ჩემთან იყო სტუმრად კოჩეტებში — ჩემი ქმრის მამულში, ივნისში ჩერტკოვს ეწვია, რომელიც იმ ჟამად მეშჩერსკოეში ცხოვრობდა იჯარით აღებულ კარმიდამოში. თავის მეგობართან ყოფნის დროს მამაჩემი ცდილობდა გარკვეულიყო შექმნილ ვითარებაში და გზა ეპოვა.

„უნდა ვცადო და სონიას შეგნებულად შევებრძოლო სიკეთის სიყვარულით. შორიდან ეს შესაძლებელი მეჩვენება. შევეცდები მის გვერდით მყოფმაც შევასრულო“, — წერს მამა დღიურში. „განგებამ გვარგუნა ერთი, მაგრამ სამაგიეროდ აუწყავი სიკეთე სიყვარულისა. მხოლოდ გიყვარდეს და ყველაფერი სიხარულის მომნიჭებელია — ცაც, ხეებიც, ადამიანებიც და საკუთარი თავიც. ჩვენ კი ბედნიერებას ყველგან ვეძიებთ, ოღონდ არა სიყვარულში“.

მეშჩერსკოეში მამამ ცოლისაგან დეპეშა მიიღო. იგი უხმობდა, ევედრებოდა დაბრუნდიო. მამაც დაბრუნდა. „იმაზე უარესი ვიხილე, ვიდრე მოველოდი. ისტერიკა, ისეა გაღიზიანებული, ენა ვერ იტყვის“.

ეს უბედურება საკმარისი არ აღმოჩნდა. უარესი ჭირი დაემართა. ჩემი ძმა ლიოვა ჩაერია მშობლების საქმეში და მამის ბრალმდებლისა და დედის დამცველის როლი იტვირთა. მამა წერს: „ლიოვა დიდი და მძიმე განსაცდელია“.

დღე დღეს მისდევდა. მამა ინიშნავდა უბის წიგნაკში როგორ ვითარდებოდა მოვლენები და როგორ იცვლებოდა ცოლის მდგომარეობა. ჩანაწერები მოწმობენ, რომ დედაჩემის მდგომარეობა თანდათან უარე-

სდებოდა. „სონია ისევ გაღიზიანებულია, ისტერიულ მდგომარეობაშია. ძალიან მიმძიმს“. „სონია ისევ აღგზნებულია და ისევ იგივე ორმხრივი ტანჯვა-წამება“. „საშინელი ღამე — ულმობელი და მძიმე სენი“.

როგორც ვხედავთ, მამაჩემი დედას ისე უყურებდა როგორც სნეულს. მაგრამ მის ირგვლივ მყოფთაგან მრავალნი [illegible] ექიმი მაკოვიცკი მიიჩნევდნენ, რომ იგი თვალთმაქცობდა, [illegible] საკუთარი ნორმალური ადამიანია, ხოლო მისი ვითომური ისტერია მხოლოდ ხერხია საკუთარი მიზნის მისაღწევად. სწორედ მაშინ, 1910 წლის ივლისში მამამ შეადგინა თავისი ბოლო ანდერძი, რომელიც შემდგომ აღასრულა კიდეც.

მას ერთი ანდერძი უკვე დაწერილი ჰქონდა მეშჩერსკოეში ჩერტკოვთან ყოფნის დროს. ამ აქტის თანახმად იგი თავის ყველა ნაწარმოებს უკლებლივ საერთო საკუთრებად აცხადებდა. მაგრამ იურისტმა მიუთითა, რომ ასეთი ანდერძი ვერ აღსრულდება, რადგან კანონი მემკვიდრის დანიშვნას მოითხოვსო. მამამ გადაწყვიტა თავის მემკვიდრედ უმცროსი და ალექსანდრა აერჩია, ხოლო თუ კი მე უმცროს დაზე მეტხანს ვიცოცხლებდი, იმ შემთხვევაში მემკვიდრე მე შევიქნებოდი. საშას და, აუცილებლობის შემთხვევაში მე უნდა გადაგვეცა მამის ყველა ნაწარმოები საერთო სარგებლობისათვის. განსაკუთრებულ დანართში მამა ჩერტკოვს ავალებდა რედაქტირება გაეწია ყველა ხელნაწერისათვის.

დედაჩემისათვის არაფერი უცნობებიათ. მაგრამ ის ამბავი, რომ რაღაცას ბოლომდე არ ამბობდნენ, რაღაც მინიშნებებმა, წინათგრძნობამ ეჭვი ააღებინა რომ ანდერძი არსებობდა... მას არც დღისით და არც ღამით არ შეუწყვეტია თავისი იჭვების ნივთიერ მტკიცებათა ძიება.

ასე და ამგვარად, მამას, ვისაც ადრე არაფერი ჰქონია დამალული ცოლისაგან, ახლა საიდუმლო ჰქონდა და უნდოდა როგორმე გადაერჩინა ეს საიდუმლო. ამის გამო მეტისმეტად მძიმე დღეებში ჩავარდა. მამა უმალავდა ხელნაწერსა და დღიურს. დედა კი მთელ თავის ენერგიას იმაზე ხარჯავდა, რათა ამოეხსნა ეს საიდუმლო — საიდუმლო თავისი მეუღლისა; იგი კართან მდგარი ჩუმად უგდებდა ყურს, როცა მამა ვინმეს ესაუბრებოდა, ხოლო როცა მამაჩემი ოთახში არ იყო, უსირცხვილოდ იქექებოდა მის ქაღალდებში.

მაშინ მამამ ახალი დღიური გაიჩინა. „მხოლოდ ჩემთვის“ — ასე ეძახდა ამ დღიურს. მცირე ზომისა იყო და შეეძლო დაემალა: სულ თან დაატარებდა, ხან უბეში ჩაიდებდა, ხანაც ჩექმის ყელში ჩაიჩურთავდა. მართალია მამას დიდად გაუჭირდა, მაგრამ ბოლოს მაინც შეეგუა იმ აზრს, რომ ამ დღიურის პირსაც მაშინვე იღებდნენ, ჯერ კიდევ მელანშეუმშრალს. იგი წერს: „დიახ, უკვე აღარ მაქვს დღიური, გულწრფელი, უბრალო დღიური. სხვა უნდა გავიჩინო“.

ამ მეორე დღიურის წარმოება ტოლსტოიმ 1910 წლის 29 ივლისიდან დაიწყო. „ვიწყებ ახალი დღიურის წერას, ნამდვილი დღიურისას მხოლოდ ჩემოვის. ერთი რამ უნდა ჩავინიშნო: თუ ჩემი ზოგიერთი მეგობრის იჭვები სამართლიანია, მაშინ მას (ს. ა.) ახალი მიზნის მისაღწევად ალერსის გზა აურჩევია. აი უკვე რამდენიმე დღეა ხელზე მკოცნის, რაც ადრე არასოდეს გაუკეთებია. აღარც სცენებს მიმართავს და

არც სასოწარკვეთილია. მომიტევეთ უფალო, და კეთილო ადამიანებო, თუ ვცდები. მე კი სულ იოლად შეიძლება შევცდე, გადავიხარო სიკეთისა და სიყვარულისაკენ. სავსებით გულწრფელად შემიძლია ამ ბოლოს სიყვარული".

მეორე დღეს კი მამა წერდა: „ჩერტკოვმა ბრძოლაში [illegible] ეს ბრძოლა ჩემთვის მძიმეც არის და გულისამრევიც".

როგორც კი ანდერძი დაწერა ლევ ნიკოლოზის ძეს ეშვი არ ასვენებდა, საკუთარ სინდისს ეკითხებოდა: „კარგად მოვიქეცი თუ ცუდად?" როცა ჩვენმა მეგობარმა პოშა ბირიუკოვმა მოინახულა იგი და თვისი გულისტკივილი გაუმხილა ამ საიდუმლოსთან დაკავშირებით, მამა მაშინვე დაეთანხმა. ამ საუბრის შემდგომ, ორ აგვისტოს, მამა წერს: „გუშინ პოშას ვესაუბრე და მან ფრიად მართებულად მითხრა, შენ იმაში ხარ დამნაშავე ანდერძი საიდუმლოდ რომ დაწერეო. ეს ან აშკარად უნდა გაგეკეთებინა, განგეცხადებია მათთვის, ვისაც ეხებოდა ან ყველაფერი ისე დაგეტოვებინა, როგორც იყო — არაფერი გაგეკეთებინაო. იგი სავსებით მართალია, ცუდად მოვიქეცი და ახლა ვზღავ. ცუდი ვქენი, რომ ხმამაღლა ვიმოქმედე, რაკი წინასწარ დავუშვი, ჩემი მემკვიდრეები ცუდი ბუნებისანი აღმოჩნდებიან-მეთქი და რაც მთავარია. უდაოდ ცუდი ვქენი, რომ ანდერძი წესის მიხედვით შევადგინე და მაშასადამე ჩემს მიერ უარყოფილი მთავრობის დაწესებულებებით ვისარგებლე. უკვე ნათლად ვხედავ, რომ ყველაფერში, რაც ახლა ხდება, მხოლოდ მე ვარ დამნაშავე. ყველაფერი უწინდებურად უნდა დამეტოვებინა და არა გამეკეთებინა რა. საეჭვოა, რომ ჩემი ნაწერების გავრცელებამ გამოისყიდოს ის უნდობლობა, რაიც უნდა გამოიწვიოს ჩემმა არათანმიმდევრულმა საქციელმა".

იმავე ორ აგვისტოს, მამა დღიურში წერს: „ძალზე, ძალზე, კარგად შევიგენი ჩემი შეცდომა. უნდა შემეკრიბა ყველა მემკვიდრე და გამემხილა საკუთარი განზრახვა. არა, ასე ჩუმად არ უნდა მემოქმედა. მე ეს ჩერტკოვს მივწერე. მას გული დაწყდა".

ჩერტკოვმა მამას გრძელი წერილით უპასუხა. ეს პასუხი გამოქვეყნდა გოლდენვეიზერის წიგნში. ამ წიგნის გამოქვეყნება გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი დავარღვიო მდუმარება. ეს წერილი თერთმეტ ნაბეჭდ გვერდს მოიცავს.

ამ დოკუმენტში ჩერტკოვი ყბედობს იმის თაობაზე „რაზე ფიქრობდა გრაფის მეუღლე ტოლსტაია. იგი ააშკარავებს თუ „რას უპირებს ეს ქალბატონი თავისი ქმრის ნაწარმოებებს". ჩერტკოვი თითქოს წინასწარ ხედავს რას უპასუხებდნენ ეს ქალბატონი და ზოგიერთი მისი ვაჟიშვილი ტოლსტოის მეგობრებს, როცა ისინი პრესაში გამოაცხადებდნენ, რომ სურთ თავისი მასწავლებლების თხზულებათა გამოცემა. ჩერტკოვი აღწერს როგორ იქნევდა მამის დაუმთავრებელ მოთხრობას — „ყალბი კუპონი" ტოლსტოის ერთი ვაჟიშვილი და გაჰკიოდა, ამ ყალბი კუპონიდან „ასი ათას ნაღდ ოქროს ამოვსოლავო". როცა ძმას ვკითხე გადაჭრით უარყო, მსგავსი არაფერი არც თქმულა და არც მომხდარაო.

მამაჩემი ძალიან შეურაცხყო იმან, რაც ჩერტკოვმა დაწერა მის ოჯახზე. უბის წიგნაკში ჩანიშნული აქვს: „ჩერტკოვისაგან დიდი წერი-

ლი მივიღე, სადაც აღწერილია ადრინდელი ამბები. გული მეტკინა, მძიმე იყო წასაკითხავადაც და მოსაგონებლადაც. იგი სავსებით მართალია, მის წინაშე დამნაშავედ ვგრძნობ თავს. პოშა არ იყო მართალი. წერილს ერთსაც გავუგზავნი და მეორესაც".

მამა ჩერტკოვს პასუხობს: „თქვენმა წერილმა ორი [illegible] გრძნობა აღმიძრა: შემეზიზღა ის უხეში ანგარება და [illegible] უგრძნობელობისა, რასაც მე ან ვერ ვხედავდი ან ვხედავდი და გადამავიწყდა. შევწუხდი და ვინანე, გული რომ გატკინე ჩემი წერილით". (ეს წერილი მე არ ვიცი). მამა იქვე დასძენს, რომ მაინც უკმაყოფილოა იმით, რაც ჩაიდინა"... ვგრძნობ, რომ შეიძლებოდა უკეთ მოვქცეულიყავ, თუმც არ ვიცი კი როგორ".

როგორც კი დედაჩემს ეჭვი გაუჩნდა ანდერძის სულისჩამდგმელი ჩერტკოვი არისო, მაშინვე შეიძულა ჩერტკოვი, ეჭვიანობდა მასზე. ეს გრძნობა აეკვიატა, ტონი დააკარგვინა და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მოსთხოვა ლევ ნიკოლოზის ძეს ჩერტკოვთან ყოველგვარი ურთიერთობა შეეწყვიტა. უკეთუ ჩემს სურვილს წინ აღუდგებით, თავს მოვიკლავო, განაცხადა. მამამ დაუთმო, მაგრამ სისუსტით კი არ მოსვლია, მოვალეობის გრძნობამ დააოთმობინა.

ის ამბავი, რომ მამა არ უნდა შეხვედროდა თავის მეგობარს, მხოლოდ გულსატკენი როდი იყო მისთვის, ეს მთელ რიგ უხერხულობებთან და სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ტელიატინკიში, იასნაიადან სამიოდ კილომეტრში, დღედაღამ მუშაობდნენ, ლევ ნიკოლოზის ძის თხზულებებს გამოსაცემად ამზადებდნენ. ნაცვლად იმისა, რომ ენახა და საქმეები სიტყვიერად გადაეწყვიტა, მამას ახლა ყველაფრის გამო უნდა მიეწერა. ეს ნამალევი მიწერმოწერა დედასაც უდიდეს სატანჯველს აყენებდა. ჩერტკოვი, თუმც არ მოდიოდა, დედა მაინც ვერ დამშვიდდა. ეჭვი ჰქონდა, რომ ისინი ნამალევად ხედებოდნენ ერთმანეთს და დედაც ქმრის თვითეულ ნაბიჯს უთვალთვალებდა.

ლევ ნიკოლოზის ძე ხუთ აგვისტოს დღიურში წერს; იმ დღიურში, ჩექმის ყელში რომ ინახავდა: „სირცხვილია, თავსლაფისდასხმა, სასაცილო და გულსატკენია, თავს რომ ვარიდებ ჩერტკოვს. გუშინ დილით (ს. ა.) მეტად საცოდავი იყო, უბოროტო. მიხარია ყოველთვის, როცა ასეთს ვხედავ — რა ადვილია ჩემთვის მისი შებრალებაც და სიყვარულიც, როცა თვითონ იტანჯება, სხვებს კი არ აგდებს სატანჯველში". ახლა ვნახოთ, მეორე დღეს რას ფიქრობს: „ახლა შევხვდი... სოფია ანდრიას ასულს. სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა, საშინლად აღელვებული. შემეცოდა ძალიან. შინაურებს ვუთხარი, ჩუმად მიადევნეთ თვალი საით წავიდა-მეთქი. მაშამ კი მითხრა: უმიზნოდ როდი დაიარება, შენ გყარაულობსო. სიბრალული გამინელდა. ამაში არის უკეთურება და მე ჯერ კიდევ შემიძლია გულგრილი ვიყო იმ აზრით, რომ არ შემიძლია უკეთურება მიყვარდეს. ვფიქრობ დავტოვო წერილი და გავემგზავრო. მგონია, მისთვის ასე უკეთესი იქნება".

„მისთვის ასე უკეთესი იქნება" — აი ერთ-ერთი მიზეზი მამაჩემის შინიდან წასვლისა, რამდენიმე კვირის შემდეგ, იგი ფიქრობდა, რომ ავადმყოფ ქალს ეს არგებდა. თანაც ფუფუნებით ცხოვრება იასნაია პოლიანაში, ცხოვრების პირობები, მისთვის მიუღებელი მის შემდგომ

რაც იგი მეორედ დაიბადა, ძნელი ასატანი იყო ოთხმოცდაორი წლის ბერიკაციისათვის, რომელსაც უკვე სხვა ინტერესები არ ჰქონდა, გარდა განყენებული რელიგიური ინტერესებისა.

1910 წლის ოც აგვისტოს იგი წერს: „ამ ღვთის საუფლოს სილვა ისე მტანჯავს, რომ ვფიქრობ გავიქცე, დავიმალო“.

მამა ძალზე ხშირად შურით ლაპარაკობდა ინდოელებზე, სადაც ში რომ მოწყდებიან ქვეყნიერებას და მარტონი ცხოვრობენ. იგი დიდი ხანია ჩუმად ელოლიავებოდა ოცნებას: სიცოცხლის დარჩენილი დღეები სოლარიბეში გაეტარებინა. ირგვლივ უბრალო ხალხი შემოეკრიბა, ის ხალხი, გულით რომ უყვარდა. სასწორის ისარი იხრებოდა მისი ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა სიმძიმის ქვეშ, მაგრამ ბოლო ხანებში წონასწორობას დღითიდღე მეტად ემუქრებოდა საფრთხე.

აგვისტოში იასნაიაში ჩავედი, რათა მამა კოჩეტიში წამეყვანა, მინდოდა ჩვენსა დაესვენა: ბოლო თვეებში ხომ მოუსვენარი ცხოვრება არგუნა ბედმა. როგორც კი ჩავედი, დედამ მთელი თავისი მოხერხებულება გამოიყენა, რომ თვითონაც წამოგვყოლოდა.

იგი ხან თავის ავადობას იმიზეზებდა, ხანაც აღშფოთდებოდა, სად გაგონილა ცოლს ქმარი მოაშორონ, რათა მან დაისვენოსო. „დაისვენოს? რისგან? ჩემი სიყვარულისაგან? ჩემი ზრუნვისაგან? რას იტყოდი, შენი მეუღლე რომ წაეყვანათ, რათა მას შენგან დაესვენა?!“ დედამ ყოველი ღონე იხმარა. ერთხელ, როცა მამაჩემთან ვიყავი კაბინეტში, შემოვიდა და თვალცრემლიანმა დაგვიწყო მუდარა მეც წამიყვანეთო. მარტო დარჩენის ეშინოდა. საზეიმოდ შემოგვფიცა, რომ მამას არ შეაწუხებდა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: შეგვებრალა და დავთანხმდით. იმავე დღეს, 1910 წლის 14 გვისტოს მამაჩემი წერდა: „სულ უარესად და უარესად არის. უთენია გამოვარდა... შემდეგ რაღაც საშინელებას ყვებოდა, თქმაც მიმძიმს... მოვითმენ. ღმერთო, მიშველე! ყველა გააწამა და ყველაზე მეტად საკუთარი თავი. მოემგზავრება ჩვენთან ერთად“.

და ჩვენ ექვსნი გავემგზავრენით: მამა, დედა, ჩემი და ალექსანდრა, ექიმი მაკოვიცკი, მე და მამაჩემის ბოლო მდივანი ბულგაკოვი. ვიდრე ჩვენსა იყვნენ, ყველაფერი კარგად მიედინებოდა. ორ კვირაში დედაჩემი იასნაიაში დაბრუნდა, საქმეების გამო უხმეს. მამა მაშინვე შეაწუხა უმისობამ. „გამგზავრების წინ გულისამაჩუყებლად მთხოვა პატიება. ძალიან მიყვარს და ამ სიყვარულს საფუძვლად სიბრალული უდევს. სონიას გულითადი წერილი გავუგზავნე“.

აი ეს წერილიც: „შენ ძალზე ამიჩუყე გული, ძვირფასო სონია, გამოთხოვების ჟამს ისეთი კარგი და გულწრფელი სიტყვები მითხარი. რა კარგი იქნებოდა, იმის დათრგუნვა შემეძლოს, —არ ვიცი როგორ ვთქვა, — აი, იმის რაიც შენს არსებაში შენვე გაწვალებს. რა კარგი იქნებოდა შენთვისაც და ჩემთვისაც. მთელი საღამო მოწყენილი და სასოწარკვეთილი ვარ. გამუდმებით შენზე ვფიქრობ. ვწერ იმას, რასაც ვგრძნობ და არ მინდა ზედმეტი მოგწერო რაიმე. მომწერე, გთხოვ, შენი მოსიყვარულე ქმარი. ლ. ტ.“

დედაჩემის გამგზავრებიდან მეორე დღეს, მამა შენიშნავს, რომ

უმისოდ მოწყენილია, რომ შიში არ ასვენებს მის გამო, აფორიაქებულია.

დედა გაემგზავრა, მაგრამ მამას ცნობებს აწვდიდნენ: იასნაია პოლიანადან, ისევე როგორც ტელიატნიკიდან, მისი დღიურის ასლებთან ერთად ანგარიშსაც უგზავნიდნენ, სოფიო ანდრიას [illegible] სიტყვასა თუ საქციელზე: „ჩემთვის, მადლობა ღმერთს, სულერთია, [illegible] ბუარესებს ჩემს გრძნობას მისდამი. არ არის საჭირო“. ასეთია პირველი შთაბეჭდილებანი. დაბეზღებანი კი გრძელდებოდა. და აი მეორეც: „გოლდენვეიზერისაგან მივიღე წერილი ამონაწერთან ერთად, თავზარი დამეცა“. იასნაიადან მიღებული წერილები საშინელებაა.

დედა სთხოვდა თავის მეუღლეს დაბრუნებულიყო მათი ქორწინებიდან 48-ე წლისთავზე. მამაც დაეთანხმა და დაბრუნდა იასნაიაში 22 სექტემბერს შუადამეს. ბოლო ჩანაწერი დღიურში წინადღით გააკეთა: „მივემგზავრები იასნაიას, და ჟრუანტელი მივლის იმის გაფიქრებაზე რა მელის... მთავარია, ხმა არ ამოვიღო და მახსოვდეს, რომ მასაც ღვთის სული უდგას“.

ამ სიტყვებით მთავრდება პირველი რვეული ლევ ტოლსტოის დღიურისა „მხოლოდ ჩემთვის“.

ვაი, რომ იასნაია პოლიანაში მამას იგივე განცდები ელოდა, რაც წინა თვეებში. დედა, ძიებას რომ განაგრძობდა, პატარა წიგნს წააწყდა: ეს იყო საიდუმლო დღიური. სტაცა ხელი და გადამალა. მამამ იფიქრა, დავკარგეო და მეორე დაიწყო. დათარიღებულია ოცდათხი სექტემბერით: „საუზმის ხანს დაიწყო საუბარი ს. ს.-ზე (ანუ სტატიანე „საბავშვო სიბრძნე“), მამა რომ წერდა) ჩერტკოვმა — კოლექციონერმა რომ შეკრიბა. სად წაიღებს ჩერტკოვი ჩემს ხელნაწერებს ჩემი სიკვდილის შემდგომ? ცოტა ფიცხად ვთხოვე, თავი დამანებე-მეთქი. თითქოს არაფერი, მაგრამ ნასადილევს დაიწყო საყვედურები, რომ მე ვუყვირე, მაშინ როცა უნდა შემბრალებოდა. ხმა არ გამიღია. იგი თავის ოთახში შევიდა, ახლა მეთერთმეტე საათია, არ გამოდის და გული მტკივა. ზოგჯერ ვფიქრობ, მოვშორდე ყველას“.

იასნაია პოლიანაში ოქტომბერში დავბრუნდი. იქ რაღაც საშინელება ხდებოდა. ჩემი და ალექსანდრა, მას შემდეგ რაც დედას ეჩხუბა-თავის პატარა მამულში გადავიდა იასნაიას მეზობლად. ჩერტკოვი მეტად აღარ გამოჩენილა. დედა განუწყვეტლივ ჩიოდა ყველასა და ყველაფრის გამო: ამბობდა, რომ გადაიღალა მამაჩემის თხზულებათა ახალ გამოცემაზე მუშაობისას, თვითონ რომ ამზადებს, გატანჯა მუდამდღე რომ წასვლით ემუქრება მამაჩემი, პირდაპირ არა, მაგრამ მინიშნებით. იქვე დასძენდა, აღარ ვიცი ჩერტკოვთან ურთიერთობაში თავი როგორ დავიჭიროო. მეტად რომ აღარ მიიღოს, მისი ქმარი მოიწყენს და საყვედურს ეტყვის. მიიღოს? ეს მის ძალ-ღონეს აღემატება. საკმარისია უბრალოდ თვალი შეავლოს მის სურათს, რომ ნერვიული შეტევა ემართება. სწორედ მაშინ მოსთხოვა დედამ მამაჩემს, ყველა თავისი დღიური წამოეღო ჩერტკოვისაგან. მამამ ამჯერადაც დაუთმო. მაგრამ ამ დაუსრულებელმა ბრძოლამ მამა მთლად დააძაბუნა.

სამ ოქტომბერს გულმა შეუტია, რასაც თან კრუნჩხვებიც დაერთო. დედას ეგონა აღსასრულის დღე დაუდგაო. იგი განადგურებული იყო,

უცებ აეხილა თვალი და დაინახა ყველაფერი, რაც ხდებოდა. თავი დამნაშავედ აღიარა, მიხვდა, რომ ქმრის ავადმყოფობაში ყველაზე მეტად თვითონ იყო ბრალეული. იგი ხან ქმრის საწოლთან მუხლებზე დაჩოქილი ეხვეოდა კრუნჩხვამორეულ ფეხებზე, ან მეზობელ ოთახში გარბოდა, იატაკზე დაეცემოდა, შეშინებული ლოცულობდა, სურვილებს იწერდა პირჯვარს და ჩურჩულებდა: „ღმერთო, ღმერთო, მაპატიე! დიახ, ეს მე ვარ დამნაშავე! ღმერთო! მხოლოდ ჯერ ნუ, ჯერ ნუ!“

მამამ გაუძლო შეტევას, მაგრამ კიდევ უფრო მეტად მოიხარა და ნათელ თვალებში უფრო მეტი სევდა ჩაუდგა.

ამ ავადმყოფობის დროს ჩემი და ალექსანდრა დაბრუნდა შინ და დედას შეურიგდა. დედამ კი, მოიკრიბა რა მთელი თავისი ვაჟკაცობა, სთხოვა ჩერტკოვს განეახლებინა იასნაია პოლიანაში სტუმრად სიარული. საცოდავი სანახავი იყო იმ საღამოს, როცა მოიპატიჟა რა ჩერტკოვი. მის მიბრძანებას ელოდა. საოცრად ღელავდა. ჩანდა, რომ იტანჯებოდა. აღგზნებული, ლოყებაწითლებული, მთელ სახლს მოუსვენრობით ავსებდა: ყოველ წამს საათზე იხედებოდა, მიირბენდა ფანჯარასთან, შემდეგ მამასთან გარბოდა კაბინეტში. როცა ჩერტკოვი ჩამოვიდა, აღარ იცოდა რა გაეკეთებინა, ადგილს ვერ პოულობდა, ქმრის კაბინეტისაკენ მიმავალ ხან ერთ კარს მიაწყდებოდა, ხან მეორეს. ბოლოს ყელზე შემომეხვია და მწარედ აქვითინდა. შეეცადე დამეშშვიდებინა და ნუგეში მეცა. მაგრამ მის საბრალო გულს უკვე აღარ შეეძლო სიმშვიდის პოვნა.

შემდგომ მდგომარეობა უფრო და უფრო გაუარესდა. 25 ოქტომბერს, წასვლამდე სამი დღით ადრე მამა წერს: „ისევ იგივე მძიმე შეგრძნებანი, იჭვები, თვალთვალი, და ცოდვილი სურვილი, რათა მან (ს. ა.) საბაბი მომცეს გასამგზავრებლად. ასეთი ცუდი კაცი ვარ. მაგრამ როგორც კი წასვლას განვიზრახავ, მისი მდგომარეობაც მაფიქრებს, მებრალება და არც შემიძლია...“ იმავე დღეს წერს: „მთელი ღამე მესიზმრება ჩემი და მისი გააფთრებული ომი. გამეღვიძება, ჩამეძინება და ისევ იგივე მეორდება“.

კიდევ ორი დღე და 28 ოქტომბერს, შუალამეს მამას ის ტკივილი მიაყენეს, რომელსაც ელოდა და მამამაც სამუდამოდ დასტოვა იასნაია პოლიანა.

აი, როგორ აღნიშნავს ამ მოვლენას თავის დღიურში: „1910 წლის 28 ოქტომბერი. დავწექი თერთმეტის ნახევარზე, მეძინა სამ საათამდე. გამეღვიძა და ისევ, როგორც წინა ღამეებში კარის გაღებისა და ნაბიჯის ხმა გავიგონე. წინა ღამეებში არ გამიხედავს კარისაკენ, ახლა გავიხედე და ღიობში დავინახე, რომ ჩემს კაბინეტში შუქი კაშკაშებს, რაღაც შარიშურის ხმაც მესმის. ეს სოფია ანდრიას ასული ეძებს რაღაცას, ალბათ, კითხულობს... ისევ ნაბიჯის ხმა, ფრთხილად გამოღება კარისა და მან გაიარა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამან შეუკავებელი ზიზღისა და აღშფოთების გრძნობა აღმიძრა. დაძინება მინდოდა, ვერ შევძელი. მთელი საათი ვიტრიალე, ავანთე სანთელი და წამოვჯექი. კარი შემოაღო და შემოვიდა სოფია ანდრიას ასული: ხომ ჯანმრთელად ბრძანდებითო, გაუკვირდა სინათლე რომ დაინახა ჩემს ოთახში. ზიზღი და აღშფოთება მატულობს, სუნთქვა მეკვრის, ვითვლი მაჯას—97. აღარ

შემიძლია დავწვე და უცებ საბოლოო გადაწყვეტილებას ვიღებ: გავემგზავრო. ვწერ წერილს. ვიწყებ ყველაზე აუცილებელი ნივთების ჩალაგებას; ოღონდ კი წავიდე. ვაღვიძებ დუშანს, შემდეგ ხაშას, მეხმარებიან. მაკანკალებს იმის გაფიქრებაზე, რომ გაიგონებს, გამოვა — სცენები, ისტერიკა, დავიდარაბის გარეშე ვერც აწი წავალ. ბოლოს საათი დაიწყო — ყველაფერი ასე თუ ისე გამზადებულია. მივდივარ საჯინიბოში, რათა ვუბრძანო ცხენები შეაბან... იქნებ ვცდები თავს რომ ვიმართლებ, მაგრამ მგონია, რომ თავი გადავირჩინე, არა ლევ ნიკოლოზის ძე, არამედ ის, რაიც ზოგჯერ და თუნდაც სულ მცირედ არის ჩემს არსებაში".

ბოლო ნაწყვეტი შეიძლება შევუდაროთ ანდერძის პროექტს, სიტყვებს ტოლსტოიმ რომ მოხაზა დღიურში 1895 წლის 27 მარტს. „იყო ჟამი, როცა ვგრძნობდი, რომ ღვთის ნების აღმსრულებელი ვხდებოდი. ეს იყო ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთები".

მე არ გახლდით იასნაიაში არც 27, არც 28 ოქტომბერს. ოცდარვაში სალამოს ჩემი დისაგან, ალექსანდრასაგან, დეპეშა მივიღე: „დაუყოვნებლივ ჩამოდი". მაშინვე გამოვემგზავრე. სადგურ ორიოლში ნაცნობმა კარისკაცმა მამაჩემისათვის განკუთვნილი ორი დეპეშა გადმომცა, ერთში ეწერა: „დაბრუნდი რაც შეიძლება სწრაფად. საშა". და მეორე „არ შეგეშინდეს, ნამდვილია ეს დეპეშები, რომელსაც ხელს აწერს ალექსანდრა".

მივხვდი, რომ პირველი დეპეშა ყალბი იყო. დილით იასნაიაში ჩავედი, იქ სრული დაბნეულობა მეფობდა. ლიოვას გარდა, რომელიც იმხანად პარიზში იყო, ყველა ძმა ჩამოსულიყო. დედის მდგომარეობა სახიფათო იყო. როცა ოცდარვაში, დილით, მამაჩემის დატოვებული წერილი გადასცეს, დედა სახლიდან გაიქცა და გუბურაში ჩავარდა. გადაარჩინეს. ამის შემდეგ რამდენჯერმე სცადა თავის მოკვლა. როცა დარწმუნდა, გამუდმებით მითვალთვალებენ და თავის მოკვლას ველარ მოვახერხებო, განაცხადა, რომ შიმშილით ამოიხდიდა სულს.

ეს საშინელი დღეები იყო. თვითეულმა ჩვენთაგანმა მისწერა წერილი მამას. მამამ 1910 წლის 31 ოქტომბერს გვიპასუხა: „დიდად მადლობელი ვარ თქვენი, ჩემო კარგო მეგობრებო, გულითადო მეგობრებო, სერიოჟა და ტანია, ასე რომ განიცდით ჩემს უბედურებას. მადლობელი ვარ თქვენი წერილების გამოც. შენი წერილი, სერიოჟა, ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო. მოკლე, ნათელი, შინაარსიანი და რაც მთავარია, კეთილი, არ შემიძლია არ მეშინოდეს ყველაფრისა და ვერც პასუხისმგებლობას მოვიხსნი, მაგრამ სხვაგვარად მოქცევა ვერ შევძელი. მე ვწერდი წერილებს საშას ჩერტკოვის მეშვეობით და ვსთხოვდი ეცნობებინა თქვენთვის, ბავშვებისათვის ყოველივე. წაიკითხე. ვწერდი იმას, რასაც გულით ვგრძნობდი, და ვგრძნობდი იმას, რომ სხვაგვარად მოქცევა არ შემიძლია. მასაც მივწერე წერილი — დედასაც. ისიც გაჩვენებთ. ყოველივე კარგად ავწონ-დავწონე და ისე მივწერე. ჩვენ ახლა მივემგზავრებით. ჯერ არ ვიცით საით. ჩემს ამბავს ყოველთვის გაცნობებთ ჩერტკოვის მეშვეობით.

მშვიდობით. გმადლობთ, საყვარელო ბავშვებო, და მაპატიეთ, რომ ასეა თუ ისე, მე ვარ თქვენი ტანჯვის მიზეზი. განსაკუთრებით, შენ,

ჩემო კარგო, ჩემო მტრედო, ტანეჩკა. აი ყველაფერი. ვჩქარობ გავემგზავრო ისე, რომ დედამ არ მომისწროს, მასთან შეხვედრა ახლა საშინელება იქნებოდა. მეშინია. მაშ ასე, მშვიდობით. დილის 4 საათზ. შამარდინო ლ. ნ."

ალექსანდრას გარდა არავინ იცოდა სად იმყოფებოდა მამა, ალექსანდრა მასთან გაემგზავრა, ჩვენ სიტყვა მოგვცა, თუ მამა [illegible] ბა, უსათუოდ გაგაგებინებთო. ჩემი ძმა სერგეი მოსკოვს დაბრუნდა, მისი გამგზავრების შემდეგ ყოველივე უფრო გულისმომწყვლელი გამოჩნდა, ხოლო ის, რაც გველოდა კიდევ უფრო საშიში. ეჭვიც არ მეპარებოდა, მამა უსათუოდ დაიღუპებოდა, როგორც კი ცხოვრების პირობებს შეიცვლიდა.

დედის მდგომარეობაც დარდად მაწვა გულზე. პირადად თვითონაც მენანებოდა, მაგრამ თუ დედა თავის მოკვლას მოახერხებდა, მამა ველარასოდეს ველარ პოვებდა ვერც სიმშვიდეს და ვერც ბედნიერებას. ამიტომაც უფრო ვწუხდი. მოწვეული ფსიქიატრი და მოწყალების და მის საწოლს არ შორდებოდნენ.

გავიდა რამდენიმე დღე ალექსანდრას გამგზავრებიდან. მოვიდა ჩემთან ბულგაკოვი, ჩერტკოვთან რომ ცხოვრობდა ტელიატნიკიში და საიდუმლოდ მაცნობა, მამა ავად შეიქნა და ჩერტკოვი მასთან გაემგზავრაო.

— სად არის ავადმყოფი?

— ჩერტკოვმა ამიკრძალა თქმა.

— შორს არის? რუსეთშია? საზღვარგარეთ?

ბულგაკოვს შეკითხვები დავაყარე, მაგრამ არაფერს მპასუხობდა, რადგან ასე ჰქონდა ნაბრძანები.

— ნუთუ ჩერტკოვს არ ესმის, რომ ჩემთვის აუცილებელია ამის ცოდნა? მაშ, რად არ დაგრთოთ ნება რომ გეთქვათ?

— არ ვიცი, — მიპასუხა ბულგაკოვმა და ისე შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, ვერაფერი გამიგიაო. — მაიძულა ფიცი მიმეცა, რომ არავის გავუმხელდი საიდუმლოს, რომელიც მხოლოდ მე გამანდო.

ადვილი წარმოსადგენია რა ღამე გამითენდა ამ ცნობის შემდეგ.

მამა სადღაც ახლოს მიკვდება, მე კი არ ვიცი მისი ადგილსამყოფელი. არ შემიძლია მოვუარო. ვინ იცის, ეგების ველარც კი ვნახო. მომცემენ ნებას თუნდაც თვალი შევავლო უკანასკნელად სიკვდილის საწოლზე მწოლიარეს. უძილო ღამე. ნამდვილი ჯოჯოხეთი. და მთელი ღამე მეზობელი ოთახიდან ჩემამდე აღწევდა დედის გაბმული ქვითინისა და კვნესის ხმა. დილით რომ ავდექი, ჯერ არ ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა, რა გადამეწყვიტა. მაგრამ აღმოჩნდა ვინმე უცნობი, რომელმაც შეიბრალა ლევ ტოლსტოის ოჯახი. მან დეპეშა გამოგვიგზავნა: „ლევ ნიკოლოზის ძე ასტაპოვოშია — სადგურის უფროსთან. სიცხე 40° აქვს". სიკვდილამდე მადლობელი ვიქნები „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტის. ორლოვისა.

გავაღვიძე დედა და ძმები. გავემგზავრეთ ტულაში. ასტაპოვოში, მხოლოდ ერთი მატარებელი დადიოდა დღეში. იმ მატარებელს ველარ მივუსწარით და ამიტომ საგანგებო მატარებელი შევუკვეთეთ.

იასნაიადან გამომგზავრების წინ დედამ ხურვებიანი სისწრაფით

ყველაფერზე იფიქრა, ყველაფერზე იზრუნა. თან წამოიღო ყველა ნივთი, რომლებიც შეიძლებოდა მამას დასჭირვებოდა, არაფერი დავიწყნია. მაგრამ თუ გონება ნათელი ჰქონდა, გულში სიკეთე არ ედო. იმ დღეებში ჩვენ, მისი შვილები, ვბრაზობდით მასზე და ვკიცხავდით, რადგან ვხედავდით, რომ მიზეზი ყოველივესი, რაც მოხდა, დედა იყო. რაკი მონანიების ნიშან-წყალი ვერ შევნიშნეთ, ვერც ბოდიშებს შევიძელით.

ასტაპოვოში ჩვენი ვაგონი ჩამოხსნეს, და სათადარიგო ხაზზე დაყენეს. ვაგონში მოვეწყვეთ და გადავწყვიტეთ იქ გვეცხოვრა, ვიდრე ეს საჭირო იქნებოდა — დედას რომ არ დაეჟინებინა მამასთან მიმიშვითო, გამოვაცხადეთ, რომ ჩვენც არ მივდიოდით. მხოლოდ ჩემი ძმა სერგეი შედიოდა მამასთან. სერგეის ალექსანდრამ უხმო. მერე მამას შემთხვევით გაუგია, რომ მეც იქ ვიყავ და უკითხავს, რად არ შემოდისო: მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრული გავიქეცი სადგურის უფროსის პაწია სახლისაკენ. მეშინოდა, მამა დედაჩემის ამბავს მკითხავს და რა ვუპასუხო-მეთქი. ჩემს სიცოცხლეში მამაჩემისათვის ტყუილი არ მითქვამს და ვიცოდი, რომ ასეთ მღელვარე წუთებშიც ვერ დავუმალავდი სიმართლეს.

როცა შევედი სრულ გონებაზე იყო. რამდენიმე ალერსიანი სიტყვა მითხრა და შემდეგ მკითხა: „დედასთან ვინ დარჩა? კითხვა ისე იყო დასმული, რომ შემეძლო მეპასუხნა და ჭეშმარიტებისათვის არ მეღალატნა. ვუთხარი, დედასთან ვაჟიშვილები არიან, კიდევ ექიმი და მოწყალების დაა-მეთქი. დიდხანს მეკითხებოდა, სურდა ყველა წვრილმანი სცოდნოდა. ამ თემაზე ლაპარაკი ხომ არ გაღელვებს-მეთქი, ვკითხე, ჯიქურ შემაწყვეტინა. „განაგრძე, განაგრძე, რა უნდა იყოს ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი?“ და ისიც დედაჩემის ამბავს დიდხანს და გამოწვლილვით მეკითხებოდა.

შემდგომ უკვე თავისუფლად შევდიოდი მამასთან და წილად მხვდა ბედნიერება ხშირად მენახა მისი სიცოცხლის ბოლო დღეებში. ძალიან მინდოდა დედაჩემისთვის ეხმო, ისე გულით მეწადა რომ შერიგებოდა სიკვდილის წინ. ჩემს აზრს ალექსანდრაც იზიარებდა, მაგრამ ნათელი იყო, რომ მამას ეშინოდა მასთან შეხვედრის. ბოდავდა: „გაქცევა, გაქცევა...“ ანდა „დამედევნება, დამედევნება“. ფანჯარაზე ფარდა ჩამოგვაფარებინა, რადგან ელანდებოდა, რომ იქიდან ვილაც ქალი უთვალთვალებდა. დეპეშა მიკარნახა ვაჟიშვილების სახელზე, რომლებიც ვითომდა დედასთან იყვნენ იასნაია პოლიანაში, ასე ეგონა მას. „მდგომარეობა გამიუმჯობესდა, მაგრამ გული ისევ სუსტად მაქვს, რომ დედასთან შეხვედრა ჩემთვის დამღუპველი იქნება“.

ერთხელ მის გვერდით რომ ვმორიგეობდი, დამიძახა და მითხრა: „ბევრი რამ ბრალდება სონიას. ცუდად დავიჭირეთ თადარიგი“. მღელვარებამ სუნთქვა შემიკრა. მინდოდა ნათქვამი გაემეორებინა, რათა დავრწმუნებულიყავ, რომ სწორად გავიგე მისი ნათქვამი. —„რა თქვი? რომელი სო...სოდა?“ და მან გაიმეორა: „სონიას, სონიას ბრალდება ბევრი რამ“.

„ვინდა მისი ნახვა? ვინდა სონიას ნახვა!“ — ვკითხე, მაგრამ უკვე გონებადაკარგულს აღარ გაუგონია. მე ვერ მივიღე პასუხი — არც ჰო

უთქვამს, არც არა. ველარ გავბედე შეკითხვის გამეორება, მეშინოდა არ ჩამექრო ძლივს მბჟუტავი ცეცხლი.

დედის საქციელი ძნელი გასაგები იყო. ხან უცებ განაცხადებდა, გიჟი ხომ არა ვარ თვითონაც მესმის, ჩემი დანახვა მისთვის სასიკვდილო ლახვარი იქნებაო, ხანაც იტყოდა: უარესი რა უნდა მოხდეს [illegible] ისე, მეტად ველარასოდეს ველარ ვნახავო. ხან ატირდებ[illegible] „ერთი მითხარით, მე ვიცხოვრე მის გვერდით ორმოცდარვა წელიწადი და ახლა როცა კვდება, შეიძლება, რომ მე არ ვუვლიდე?!“

ვგრძნობდი რომ მართლაც საშინელ დღეში იყო, მაგრამ რაკი მამა არ ეძახდა, ვერ ვბედავდი დაუკითხავად ამ ნაბიჯის გადადგმას.

ერთხელ მამაჩემს თავსასთუმალთან ვეჯექი და მისი მარჯვენა ხელი მეჭირა. ხელი ასე რომ მიყვარდა და აუღელვებლად ვერასოდეს ვუყურებდი, რაკი მახსოვდა რამდენი რამ გადასცა ამ ხელმა კაცობრიობას მისი სულის კარნახით. მამა თვლემდა. უცებ მისი ხმა მესმის: „აი ალსასრულიც მოვიდა... და არაფერი“. ვხედავ, როგორ ფითრდება. მესმის სუნთქვა, წყვეტილი სუნთქვა. ალბათ ეს ალსასრულია, ვეუბნები საკუთარ თავს და ვგრძნობ, შიშისაგან თავზე თმა როგორ მერხევა და სისხლი მეყინება ძარღვებში. მინდა ვინმეს დავუძახო საშველად, მაგრამ ადგომა არ შემიძლია, — მამას ჩემი ხელი უჭირავს და როგორც კი სულ ოდნავ შევეცდები გავინთავისუფლო, უფრო მიჭერს.

ბოლოს ვიღაც შემოვიდა, სასწრაფოდ გავაგზავნე ექიმის მოსაყვანად. ქაფურის ნემსი გაუკეთეს და ფერები ისევ დაუბრუნდა პირისახეზე; სუნთქვაც უფრო თანაბარი გაუხდა.

უცებ მან ენერგიულად წამოიწია, დაჯდა და მკაფიოდ, ძლიერი ხმით თქვა: „გირჩევთ მხოლოდ ერთი რამ გახსოვდეთ: ამ ქვეყნად უამრავი ადამიანი არსებობს ლევ ტოლსტოის გარდა, თქვენ კი ყველანი მარტო ლევს მისჩერებიხართ“.

ბოლო სიტყვები უფრო ჩუმად თქვა და ბალიშზე გადავარდა.

6 ნოემბერს, სიკვდილის წინა დღეს სერიოჟას უხმო. როცა სერიოჟა მივიდა, თავს ძალა დაატანა და ჩუმად უთხრა: „სერიოჟა! მე ჭეშმარიტება მიყვარს!“ ეს მისი ბოლო სიტყვები იყო.

ჯერ ისევ სულ ახალგაზრდა ჭაბუკი იყო, როცა ამაყად განაცხადა, რომ მისი გმირი, მთელი სულით რომ უყვარს, ეს ჭეშმარიტებაა, და იმ დღემდე, როცა თავის უფროს ვაჟს, თავის „ჭეშმარიტ მეგობარს“ მისუსტებული ხმით უთხრა, ჭეშმარიტება მიყვარსო. მამას მართლაც არასოდეს ულალატნია ჭეშმარიტებისათვის. „შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება თავისუფლებას მოგანიჭებთ.“ მამამ ეს იცოდა და სიკვდილამდე ემსახურებოდა ჭეშმარიტებას.

იმავე საღამოს, 10 საათზე სერგეი მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, საქმე ცუდად არისო. არ ვიცოდით გაგვეფრთხილებინა თუ არა დედა. თვითეულმა თავისი მოსაზრება გამოთქვა და გადავწყვიტეთ, ჯერ მამის მდგომარეობა გაგვეგო და ამისდა მიხედვით მოვქცეულიყავით, მაგრამ მე და სერგეიმ სახლამდე მისვლაც ვერ მოვასწარით, სადაც მამა იწვა, რომ შევნიშნეთ, დედა უკან მოგვყვებოდა. შევედით. მამა უგონოდ იდო. ექიმებმა გვითხრეს რომ ალსასრული დაუდგაო. დედა მივიდა, თვითონ დაუჯდა, დაიხარა და საალერსო სიტყვებს ეუბნებოდა, ემშვი-

დობებოდა, თხოვდა მიეტევებინა ყოველივე, რაშიც ბრალი მიუძღოდა მის წინაშე. რამდენიმე ღრმა ამოოხვრა იყო ერთადერთი პასუხი.

ასე გარდაიცვალა მამაჩემი რიაზიანის ოლქის მიყრუებულ კუთხეში, პაწია სახლში სადგურის უფროსის, რომელმაც თავშესაფარი მიუჩინა. მე შეგნებულად ვამბობ მამაჩემი-მეთქი, რადგან ეწერდი, როგორც მისი ასული. დიდი მწერალი ლევ ტოლსტოი [illegible] მეტად როდი მეკუთვნის. მე მხოლოდ მსურდა უბრალოდ მომეთხრო ამ ორი ჩემთვის ძვირფასი ადამიანის, მათი სიყვარულის, მათი ტანჯვისა და სიხარულის, ერთი სიტყვით, მათი ცხოვრების ამბავი, რაც მე სიმართლედ მიმაჩნია.

დედამ ცხრა წელი იცოცხლა მამაჩემის სიკვდილის შემდეგ. იგი გარდაიცვალა იასნაია პოლიანაში 1919 წლის ნოემბერში, მეუღლის მსგავსად ფილტვების ანთებით. როცა კვდებოდა, ირგვლივ შვილები და შვილიშვილები ეხვივნენ. მისდა სასიხარულოდ, ალექსანდრა, ვისთანაც უწინ დიდი უთანხმოება ჰქონდა, გულით უვლიდა ბოლო წუთამდე. დედამ იცოდა, რომ კვდებოდა, მორჩილად ელოდა სიკვდილს და ასევე მორჩილი შეეგება.

ბოლო წლებში დედა დამშვიდდა. ის, რაზედაც მისი ქმარი ოცნებობდა, ნაწილობრივ აღსრულდა: დედა სულიერად გარდაიქმნა, რისთვისაც მამაჩემი მზად იყო მთელი თავისი დიდება შეეწირა. ახლა მისთვის ნაკლებად უცხო იყო მამაჩვენის მსოფლმხედველობა. იგი ვეგეტარიანელი გახდა, ირგვლივ მყოფთა მიმართ კეთილი. მაგრამ ერთი სისუსტე მაინც შერჩა — აშინებდა ფიქრი იმაზე, თუ რას იტყოდნენ ან დაწერდნენ მასზე, როცა იგი აღარ იქნებოდა ამ ქვეყნად, ეშინოდა საკუთარი რეპუტაციის. აი რატომ არ უშვებდა ხელიდან არც ერთ შემთხვევას თავი ემართლებინა საკუთარი სიტყვისა თუ საქციელის გამო. იგი არაფერს თაკილობდა, ოღონდაც დაეცვა საკუთარი თავი, თითქოსდა სურდა წინასწარ აეცილებინა ის დარტყმები, შემდგომ რომ მიაყენებდნენ —მან ეს კარგად იცოდა. ისიც იცოდა, ვინ მიაყენებდა. სიცოცხლის მიწურულს ხშირად ლაპარაკობდა თავის გარდაცვლილ ვაჟსა და მეუღლეზე, ერთხელ მითხრა: გამუდმებით მამათქვენზე ვფიქრობო და იქვე დასძინა: „ჩვენ ცუდად ვცხოვრობდით და ეს მტანჯავს...“

ასეთია ძირითადად ცხოვრება ამ ორი ადამიანისა, რომლებსაც იმდენადვე აკავშირებდათ ურთიერთსიყვარული, რამდენადაც გათიშულნი იყვნენ თავიანთ მისწრაფებებით. უსაზღვროდ ახლობელნი ურთიერთისთვის და იმავ დროს უსაზღვროდ შორებელნი. კიდევ ერთი მაგალითი მარადიული ბრძოლისა სულის სიდიადესა და ხორციელ მეობებას შორის.

და ვინ იქნება ეგზომ კადნიერი დამნაშავეზე მიუთითოს? განა შეუძლია სულს უარი განაცხადოს საკუთარი თავისუფლების დაცვაზე? ან განა შეიძლება ბრალეულად შერაცხო ხორციელი თუკი იგი საკუთარი არსებობისათვის იბრძვის? შეიძლება დედაჩემი დაადანაშაულო, რომ მან ვერ შეძლო ამაღლებულიყო იქამდე, სადაც მისი მეუღლე იდგა. ეს უფრო მისი უბედურება იყო, ვინემ დანაშაული და სწორედ ამ

უბედურებამ მოულო ბოლო. ან მაძა რა დამნაშავე იყო, თუკი სურდა გადაერჩინა ის „რაღაც“, რის კვალსაც სულში დროდადრო გრძნობდა და გადაერჩინა იგი საკუთარი სიცოცხლის ფასად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსოვნის ციაგი

შესავალი

ერთმა პარიზულმა გაზეთმა მკითხველებს ასეთი შეკითხვა მისცა: „რა ნიშნის მიხედვით შეიძლება იგრძნოს ადამიანმა მოახლოებული სიბერე? ვიღაცას ასე უპასუხნია: „სიბერე მაშინ მოდის, როცა მოგონებები ცოცხლდებიან“.

ეს რამდენიმე ხანია ძალიან ცხოვლად ვგრძნობ ამ ფენომენს. როცა მარტო ვრჩები, ვხედავ, მოულოდნელად ჩემს წინ გამოიკვეთება განვლილი ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდი. ცოცხლდება სურათები, თითქოს ხმებიც მომესმის:

ყველაზე უფრო ხშირად ეს მოგონებები მამაჩემთან არის დაკავშირებული, რადგან ჩემს ცხოვრებაში იგი ყველაზე ძვირფასი და ნათელი ხატება იყო. ხშირად ვერ ვახერხებ მოვლენა წინა ან მომდევნო წლების შემთხვევებს დავუკავშირო. უფრო მეტიც, მიახლოებითი თარიღის დადგენაც მიძნელდება, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის. ყოველივეს ისე ცხადად ვხედავ, თითქოს გუშინ მოხდა.

მინდა აღვბეჭდო ხსოვნის ციაგი ისე ცხოვლად, როგორც ჩემს მეხსიერებაში ცოცხლდება.

პასიანსი

ეს მოხდა მამაჩემის სიცოცხლის ბოლო წლებში, როცა იგი თავის უკანასკნელ რომანს „ალდგომას“ წერდა.

ერთხელ მასთან კაბინეტში შევედი და დავინახე მაგიდაზე კარტს აწყობდა. ხშირად როცა დასვენება მოესურვებოდა ანდა უნდოდა გონების თვალი გადაევლო იმისთვის რაც დაწერა, გაშლიდა ხოლმე პასიანსს, მაგრამ მაშინაც კი მაინც თავის საფიქრალს ფიქრობდა. ჩაუთქვამდა, თუ პასიანსი გამოვა, ასე გავაკეთებ, თუ არა — მაშინ სხვაგვარადო.

ეს მისი ჩვეულება რომ ვიცოდი, ვკითხე:

— რაიმე ჩაუთქვი?

— ჰო.

— რა ჩაუთქვი?

— აი რა. თუ პასიანსი გამოვა, ნეხლიუდოვი ცოლად შეირთავს კატიუშას, თუ არა და არ შევაუღლებ.

როცა მამამ დაამთავრა პასიანსი ვკითხე:

— მერე და როგორ არის საქმე?

— აი, როგორ არის, — მითხრა მან, — პასიანსი კი გამოვიდა, მაგრამ კატიუშა ვერ გაჰყვება ნეხლიუდოვს...

და მამამ ამას ერთი სახუმარო ამბავი მოაყოლა პუშკინის ცხოვრებიდან, რაიც მისთვის მეგობარ ქალს ქალბატონ მეშჩერსკაიას უამბნია: „ერთხელ პუშკინს უთქვამს თავადის ასულისათვის: „წარმოგიდ-

გენიათ რა ჩაიდინა ჩემმა ტატიანამ? უარი უთხრა ონეგინს, ამას მისგან არაფრით არ მოველოდი".

— ასეა, — შენიშნა მამამ, — როცა მწერალი გმირს შექმნის ის გმირი მერე საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს, ავტორის ნებისგან დამოუკიდებლად. ავტორს ისღა დარჩენია მიჰყვეს გმირის ხასიათს, აი რატომ იქცევიან ჩემი კატიუშა და პუშკინის ტატიანა, თავისი სურვილის შესაბამისად და არა ავტორის ნების თანახმად.

„მაგრამ, რათა შექმნა ცოცხალი გმირები, — გავიფიქრე მე, პუშკინი უნდა იყო... ანდა ტოლსტოი".

მოსაწყენი ხელოვნება

თუკი ნახატში, სპექტაკლში, წიგნში უკლებლივ ყველა დეტალია აღნიშნული — ეს ჩვეულებრივ მოწყენის გრძნობას ბადებს.

პირიქით, როცა ავტორი მოხაზავს მხოლოდ ძირითად ხაზებს, სხვა დანარჩენს კი მაყურებლის ან მკითხველის წარმოსახვას მიანდობს, მაშინ მკითხველს ჰგონია, რომ ავტორთან ერთად ქმნის. უდავოა რომ ამ მთავარ ხაზებს უნდა ჰქონდეთ უნარი აღაგზნოს თქვენი წარმოსახვა, გულისხმაში ჩაგაგდოთ, გადაგიშალოთ ფართო ჰორიზონტი.

— ხელოვნებაში ოქრო რომ მოიძიო, — ამბობდა მამა, — უნდა შეკრიბო ზღვა მასალა და კრიტიკის საცერში უნდა გაცხრილო.

მამას უყვარდა ციტირება ერთი ფრანგული წერილიდან: „მაპატიეთ გრძლად თქმა, დრო არ მქონდა მოკლედ თქმისათვის".

ცნობილია, რომ შექსპირის ეპოქაში არავინ იწუხებდა თავს მდიდრული დეკორაციებისათვის. საკმარისი იყო ბოძზე მიეწერათ, რას წარმოადგენდა ეს „დეკორაცია". მაგრამ ვინ იტყვის, რომ საზოგადოება ამ დროს ნაკლებად ტკბებოდა თეატრით, ვიდრე მაშინ, გარემოს თვითეული აქსესუარი ეპოქის შესაბამისი რომ ყოფილიყო და თავის ადგილზე.

მამას მოჰქონდა ორი აღწერის მაგალითი: ცუდის და კარგის.

ერთ ფრანგულ რომანში მამამ ნახა რამდენიმე გვერდი, სადაც შემწვარი ბატის ხორცის სუნი იყო აღწერილი.

— რასაკვირველია, — ამბობდა იგი, — უკანასკნელ გვერდამდე გრძნობ ცხვირში შემწვარი ბატის სუნს. მაგრამ ჭეშმარიტი ხერხია ეს მთაბეჭდილების შესაქმნელად? გახსოვთ ჰომეროსი როგორ აღწერს ელენეს სილამაზეს? „როცა ელენე შემოვიდა, მისი სილამაზის დამნახველი მოხუცები ფეხზე წამოდგნენ". უბრალო სიტყვებია, მაგრამ თქვენ ხედავთ, ამ სილამაზის ძალამ ფეხზე როგორ წამოაყენა მოხუცნი. არ იყო საჭირო მისი თვალების, ტუჩ-პირის, თმის აღწერა და ა. შ. თვითეულ ადამიანს შეუძლია თავისებურად წარმოიდგინოს მშვენიერი ელენე. მაგრამ თვითეული გრძნობს ძალას სილამაზისას, რამაც ფეხზე წამოაყენა ბებრები.

და ბოლოს მამა ციტირებას აკეთებს ვოლტერიდან: „მოსაწყენი ხელოვნება — ეს არის ყველაფრის თქმა".

პაოლო ტრუბეცკოი

ერთხელ საღამო ხანს მომახსენეს, თქვენი მეგობრები გეწვიენენო — ქალიშვილები ტრუბეცკოები და მათი ბიძაშვილი მოქანდაკე პაოლო ტრუბეცკოი. ამ მოქანდაკეზე ბევრი რამ მსმენოდა, [illegible] ორიგინალური პიროვნება გახლდათ. ბავშვობა და [illegible] გაატარა. როცა იტალიაში ცხოვრობდა, ტრუბეცკოი ერთხელაც არ ყოფილა მუზეუმებში. იგი პირწავარდნილი ვეგეტარიანელი გახლდათ. დედამისი სამხრეთის შტატის ამერიკელი იყო. თვითონ რუსულად ვერ ლაპარაკობდა. ამტკიცებდნენ, ტრუბეცკოი ძალზე ნიჭიერია და საზღვარგარეთ მისი სახელი ფართოდ არის ცნობილიო.

მოუთმენლად ველოდი მის მობრძანებას. ყოველივე, რაც კი ხელოვნებასთან არის დაკავშირებული, ყოველთვის ძალზე მაინტერესებდა.

დავინახე მაღალი, მორცხვი და ჩუმი ჭაბუკი, მაგრამ ისეთი თვალები ჰქონდა, თითქოს ისრუტავდა ყველაფერს, რაც კი მისი მხედველობის არეში ხვდებოდა.

ტრუბეცკოისა და მამაჩემის პირველი საუბარი ძალიან სასაცილო იყო.

— მე არც ერთი თქვენი წიგნი არ წამიკითხავს, — უთხრა ტრუბეცკოიმ.

— კარგად მოქცეულხართ, — შენიშნა მამამ.

— მაგრამ წავიკითხე თქვენი სტატია თამბაქოს მავნებლობაზე და მინდოდა გადავჩვეულიყავ თამბაქოს წევას.

— მერე როგორ არის საქმე?

— როგორ და ასე: სტატია კი წავიკითხე, მაგრამ თამბაქოს წევას ისევ განვაგრძობ.

და ორივე მოსაუბრეს გაეცინა.

პირველი შეხედვისთანავე მოხიბლა ტრუბეცკოი მამაჩემის გარეგნობამ და თვალს ადევნებდა მის თვითეულ ნაბიჯსა და ქცევას. მხატვარი გატაცებით სწავლობდა თავის მომავალ მოდელს, რათა აღმოეჩინა ის, რაიც საჭიროა ქანდაკების შესაქმნელად.

მამა ბუნებით თავმდაბალი და მორცხვი იყო. როცა გრძნობდა სტუმრის დაჟინებულ მზერას, უფრო მეტად შეცბუნდებოდა ხოლმე.

— ახლა მივხვდი, — ჩამიჩურჩულა მან ყურში, — რას უნდა განიცდიდნენ ქალები, როცა ვინმე შეგიყვარებთ! რაოდენ გრცხვენიათ ალბათ, გერიდებათ!

თავი რომ გადაერჩინა თავის სტუმრის დაჟინებული მზერისაგან, მამამ გადაწყვიტა წასულიყო... აბანოში (იმ ეპოქაში რუსულ სახლებში აბაზანები იშვიათი მოვლენა იყო. და ამიტომ საზოგადოებრივ აბანოებში დაიარებოდნენ) მან ხმამაღლა განუცხადა თავისი განზრახვა ყველა დამსწრეს. და უცებ დავინახე როგორ გამოცოცხლდა ტრუბეცკოი.

— ლევ ნიკოლოზის ძევ — თუ ნებას დამრთავთ, თქვენთან ერთად წამოვალ.

თავისი მოდელის შიშველი ნახვა მოქანდაკისათვის მოულოდნელი ბედის გაღიმება იყო. სიხარულისაგან ერთიანად გაბრწყინდა.

მამას თავზარი დაეცა.

— არა, — თქვა მან, — სხვა დროს წავალ აბანოში. დღეს მეტად ცივი საღამოა.

როგორც ცნობილია, ტრუბეცკოიმ ტოლსტოის რამდენიმე ბიუსტი და ქანდაკება შექმნა. შესაძლებელია, რომ სწორედ ეს ნამუშევრებია დიდი მოქანდაკის ყველაზე საუკეთესო ქმნილებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვის ეშინია სიკვდილის“

ერთხელ იასნაია პოლიანაში სადილად ჩვენი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებსა და დეიდა ტანიას ოჯახს გარდა, კიდევ რამდენიმე სტუმარი და მეგობარი იყო, მათ შორის დიდი ტურგენევი.

ჩამოვარდა სიტყვა სიკვდილზე, შიშზე. გარდაუვალ აღსასრულის წინაშე.

— ვისაც სიკვდილის ეშინია, ასწიოს ხელი, — თქვა ტურგენევმა და ასწია ხელი. მიმოიხედა ირგვლივ. მხოლოდ მისი დიდი მშვენიერი ხელი იყო აწეული. მაგიდასთან ისხდნენ ჩემი ძმები, და, დეიდაშვილები — გოგონები და ბიჭები — მთელი ამალა ახალგაზრდა გოგონებისა და ჭაბუკებისა, ოცი წლისაც რომ არ შესრულებულიყვნენ. განა ამ ასაკში სიკვდილის ეშინიათ?

— ჩანს, მარტო მე მშინებია, — ნაღვლიანად განაცხადა ტურგენევმა.

მაშინ მამამაც ასწია ხელი.

— მეც მეშინია სიკვდილის. — თქვა მან.

და უცებ გაისმა დეიდა ტანიას წკრიალა ხმა.

— რა მხიარული თემა ნახეთ სასაუბროდ! — წამოიძახა მან, — იქნებ რაიმე უფრო გულისმომწყვლელი გამოგენახათ?

— მაგრამ, ტანია, — უთხრა მამამ, რომელსაც უყვარდა გახუმრება თავის ცოლისდასთან, — იცი რომ შენც მოკვდები?!

— მე მოვკვდები. აი კიდევ შენი ერთი ხუმრობა! — მხიარულად შესძახა დეიდამ.

ყველას გაეცინა და სხვა თემაზე დაიწყეს საუბარი.

ტოლსტოველთა სექტა

ერთი ჩემი მეგობარი, ვასილი მაკლაკოვი, განათლებული და გონებამახვილი კაცი ტოლსტოის მიმდევრებზე ლაპარაკობდა. „ის, ვისაც ტოლსტოი ესმის არ მიჰყვება მას, ხოლო იმას ვინც მიჰყვება, არ ესმის ტოლსტოი“.

ხშირად დავრწმუნებულვარ ამ სიტყვების სიმართლეში. მრავალრიცხოვან მომსვლელთა შორის, დედამიწის ყოველი კუთხიდან რომ მოედინებოდნენ მამაჩემის სანახავად, იყო მრავალი ე. წ. „ტოლსტოველი“. უფრო ხშირად ისინი მოისწრაფოდნენ გარეგნულად დამსგავსებოდნენ თავიანთ მასწავლებელს, ისე, რომ ვერც ერკვეოდნენ მის ღრმა იდეებში. მათ, ვისაც ესმოდათ ტოლსტოი, არ შეეძლოთ გაჰყოლოდნენ. ტოლსტოი ხომ მიიჩნევდა, რომ თვითეული ადამიანი თავისუფალია იცხოვროს თავისი შეხედულებებისამებრ. მაშ ასე, მათთვის, ვისაც ესმოდა ტოლსტოი, გარეგნულ ნიშნებს არა ჰქონდა დიდი მნიშვნელობა.

ერთხელ მამასთან მოსულ ხალხში დავინახე ერთი უცნობი ახალგაზრდა კაცი. რუსული პერანგი ეცვა, დიდი ჩექმები; ჩექმებში გადმოშვებულად შარვალი ჰქონდა ჩატანებული.

— ვინ არის ეს კაცი? — ვკითხე მამას.

მამა ჩემსკენ გადმოიხარა, პირზე ხელი აიფარა და [illegible] ჩურჩულა:

— ეს ახალგაზრდა კაცი ეკუთვნის ჩემთვის ყველაზე უცხო და მიუწვდომელ სექტას — ტოლსტოველთა სექტას.

გიჟებთან

მამას ძალიან აინტერესებდა გიჟები. როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა ყურადღებით ადევნებდა თვალს. ამბობდა, სიგიჟე — ეს არის უკიდურეს ზღვრამდე მისული ეგოიზმი.

მოსკოვში ჩვენი სახლის ბაღი სულით ავადმყოფთა კლინიკის პარკს ემიჯნებოდა, მხოლოდ ფიცრის ღობე გვყოფდა. ხვრელში შეგვეძლო დაგვენახა ხეივნებში როგორ სეირნობდნენ სნეულები. ზოგიერთი მათგანი გავიცანით. ისინი ყვავილებს გვაწვდიდნენ, ხოლო როცა ზედამხედველები არ იყვნენ, კიდეც ვესაუბრებოდით. ერთი უბედური კაცი ჭკუიდან გადასულიყო ერთადერთი შვილის, ჩემი პატარა ძმის, ვანიკოს ტოლა ბიჭის, გარდაცვალების შემდეგ. ავადმყოფმა ძალიან შეიყვარა ვანიკო. იგი მოთმინებით ელოდა ვანიკოს გამოჩენას ბაღში, კრეფდა მისთვის უმშვენიერეს ყვავილებს, პარკში რომ ხარობდა.

ვანიკო სიყვარულითა და ალერსით პირთამდე სავსე ბავშვი იყო, ყველა უყვარდა, ვინც კი გარს ეხვია. და ჩემი უმცროსი ძმა იმდენად ნაზად ექცეოდა, რომ ავადმყოფის სულში ისევ გაიღვიძა სიცოცხლის წყურვილმა. კლინიკიდან რომ გამოეწერა, ამ კაცმა გულისამაჩუყებელი წერილი გამოუგზავნა დედაჩემს, ვანიამ შთაუნერგა, რომ ამქვეყნად კიდევ მრავალი სიყვარული და ხიბლი არსებობს და ისიც მადლობას უხდიდა დედას, რომელმაც სული შთაბერა ესოდენ მშვენიერ არსებას.

ერთხელ ერთმა სულით ავადმყოფმა მოახერხა კლინიკიდან გაქცევა და ჩვენს ბაღში დაიმალა. ზედამხედველებმა სირბილით მოირბინეს და როცა ბაღის დათვალიერების ნებართვა მიიღეს, დაჩხრიკეს ყოველი კუთხე-კუნჭული. ბოლოს მიაგნეს იმ საცოდავს, ხეს რომ ამოფარებოდა.

მამა იცნობდა კლინიკის ფსიქიატრს, პროფესორ კორსაკოვს. ეს იყო მეცნიერი, ცნობილი თავისი გამოკვლევებით, ნერვიული და ფსიქიური დაავადებების სფეროში. მამა ხალისით ესაუბრებოდა მას ამ თემაზე.

ერთხელ საღამოს კორსაკოვმა მიგვიწვია წარმოდგენაზე, სადაც მსახიობებიც და მაყურებლებიც სულით ავადმყოფები იყვნენ. სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. გაითამაშეს რამდენიმე პატარა სცენა. ვერაფრით იფიქრებდი, რომ როლს სულით ავადმყოფები ასრულებდნენ. მაგრამ მაყურებლებზე ამას ვერ იტყოდით. მახსოვს, ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი ჩემს გვერდით რომ იჯდა, სიცილს ვერ იკავებდა. სახეზე წამოწითლდებოდა ძალდატანებისაგან, მაგრამ მაინც აუტყდებოდა სიცილი და დარბაზში გაისმოდა უგონო, შემაშინებელი ხარხარი, უფ-

რო ქვითინს რომ მიაგავდა. სხვა მაყურებლები რაღაცას კბილებში ბუზღუნებდნენ. ზოგიერთები კი, რომლებიც ზედამხედველებსა და სანიტრებს შორის ისხდნენ, ბოროტად იყურებოდნენ აქეთ-იქით, სცენას სულ არ აქცევდნენ ყურადღებას.

შესვენების დროს რამდენიმე ადამიანი მოვიდა ... გამოელაპარაკა. უცებ დავინახეთ ჩვენსკენ გამორბოდა ერთი ავადმყოფი, რომელსაც შავი წვერი ჰქონდა და მოელვარე თვალები უბრწყინავდა სათვალის მინის მიღმა. ეს ერთი ჩვენი მეგობარი იყო.

— ახ, ლევ ნიკოლოზის ძევ! — მხიარულად შესძახა მან, — როგორ გამეხარდა თქვენი ნახვა! მაშ ასე, თქვენც აქ ბრძანდებით! რა ხანია ჩვენთან იმყოფებით?

მაგრამ როცა გაიგო, რომ ტოლსტოი მუდმივი ბინადარი კი არ იყო, არამედ სტუმარი, გული დაწყდა.

გლეხი

მამას მუდამ ტრადიციული ხალათი ეცვა, ხოლო ზამთრობით, სახლიდან როცა გავიდოდა, ტყაპუჭს იცვამდა. ასე იმიტომ იქცეოდა, რომ უბრალო ხალხს უფრო დაახლოებოდა და შეხვედრისას მათაც ისე დაეჭირათ თავი, როგორც თანასწორნი, მაგრამ ზოგჯერ ტოლსტოის ასეთ ჩაცმულობას გაუგებრობა სდევდა თან. აი რა მოხდა ერთხელ.

ტულაში იდგმებოდა „განათლების ნაყოფი". შემოსავალი გამიზნული იყო მცირეწლოვან დამნაშავეთა თავშესაფრისთვის. მთხოვეს პიესაში როლი მეთამაშა. დავთანხმდი და ხშირად მივდიოდი რეპეტიციებზე იასნაია პოლიანადან ტულაში.

ერთ-ერთი რეპეტიციის დროს კარისკაცმა გვაცნობა, ვილაცა შემოსვლის ნებართვას ითხოვსო.

— ვილაც მოხუცი გლეხია, — თქვა მან, — ავუხსენი, არ შეიძლება-მეთქი, ის კი მაინც თავისას გაიძახის. ვფიქრობ, მთვრალია... ვერაფრით ვერ გავაგებინე, რომ აქ მისი ადგილი არ არის...

მაშინვე მივხვდით ვინც უნდა ყოფილიყო ეს გლეხი და თუმცა კარისკაცს დიდად არ ესიამოვნა, ვუბრძანეთ ახლავე შემოუშვით-თქვა.

რამდენიმე წუთში დავინახეთ მამაჩემი, მოდიოდა და თან ეცინებოდა, რა ზიზღით შემხვდნენ ჩემი ტანსაცმლის გამოო.

სამოვარი თავს არ მოაპარინებს

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები. ზამთრის ღამე. ჩვენი მოსკოვის სახლის დარბაზი. მხოლოდ მამა და მე ვსხედვართ ცარიელ ოთახში. ვსხედვართ გაგრილებულ სამოვართან. მაგიდაზე აწყვია ნამცხვრის ნარჩენები, ხილის ნათალი, ჭურჭელი. ყველაფერი რაც გადარჩა მრავალრიცხოვან სტუმრებს.

იმ საღამოს ჩვენთან, ჩვეულებისამებრ საკმაოდ ჭრელი საზოგადოება შეიკრიბა. მამა და მე წასულ სტუმრებს ვახასიათებდით. მათ შორის იყო მამაჩემის ორი მეგობარი — ორი პროფესორი, ხშირად რომ დაიარებოდნენ ჩვენთან. ერთი — სამართლის პროფესორი ივან იანჟუნი, ჩასუქებული, თავაზიანი, კეთილი გულის ადამიანი. მეორე — ფი-

ლოსოფოსი ნიკოლაი გროტი, მთავარი რედაქტორი ჟურნალისა. „ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საკითხები“, რომელშიც მამაც თანამშრომლობდა.

ჩემი მეგობრებიც იყვნენ — ნორჩი გოგონები, ახალგაზრდა ბებუკები. ორი ახალგაზრდა კაცი ხშირად მოდის ჩვენთან და შეიმჩნევა, რომ მეტრფიან.

მამა მეკითხება, რა დამოკიდებულება მაქვს ამ ხალხთან და რას ვფიქრობ, ასე დაჟინებულ ყურადღებას რომ იჩენენ ჩემდამი. როგორც ყოველთვის, ახლაც სავსებით გულწრფელად ვეუბნები ყველაფერს.

— ხომ არ ფიქრობ, რომ მათ შენი ცოლად შერთვა უნდათ?

— კი, ზოგჯერ ეს სარწმუნოდ მეჩვენება, — ვეუბნები მე და ჩვენც უკვე ვფიქრობთ, რომელზე დაქორწინება იქნება უკეთესი, ვმსჯელობთ მათ ღირსებასა და ნაკლზე, ვწონით ბედნიერების შანსი რომელთან უფრო მეტი იქნებაო.

— მაგრამ, — უცებ ამბობს მამაჩემი, — ხომ არ მივაწერთ ისეთ განზრახვას რაც შესაძლოა გულშიც არ გაუვლიათ?

— შესაძლებელია, — ვეუბნები მე, თუმცა ეჭვი მეპარება.

ამ დროს გვესმის, როგორ ამოდის ზევით დედაჩემი იმის სანახავად, თუ რას ვაკეთებთ ასე გვიან.

— რაზე ჩურჩულებთ შეთქმულებივით? — გვეკითხება დედა.

— აი რა, — ამბობს მამა, — მე და ტანია საკუთარ თავს ვეკითხებით, ხომ არ განუზრახავთ იანჟულსა და გროტს ჩვენი სამოვრის მოპარვა?

დედაჩემმა, ჩვეულებისამებრ ვერ გაიგო ხუმრობა.

— რა სისულელეა? — ამბობს იგი, — იცით თუ არა, რომ შუაღამის ორი საათია. წარმოდგენილი მაქვს ხვალ რომელ საათზე გაიღვიძებს ტანია...

მამა წამოდგა, მეც. მშობლებს ღამე მშვიდობისა ვუსურვე. მამას ვაკოცე და ყურში ჩავჩურჩულე.

— სამოვარი არავის მოაპარინებს თავს...

შენზე სულელია?

ნორჩობაში, როგორც მრავალნი ჩემი ასაკისანი, ქედმაღალი ვიყავი და სხვების მიმართ უფრო მკაცრი გახლდით, ვინემ საკუთარი თავის მიმართ. მამა ამას მამჩნევდა და გული სტკიოდა. მისთვის დამახასიათებელი დელიკატურობით გადაწყვიტა ჩემი გამოსწორება. ყოველთვის, როცა ადამიანზე იოლად და ზედაპირულად ვიტყოდი რამეს, — იგი ჩვეულებრივად კითხვას შემომიბრუნებდა.

— რა სულელია ეს კაცი, — ვიტყოდი მე.

— შენზე სულელია? — ვითომც არაფერიაო, ისე მკითხავდა მამა.

როცა მამაკაცზე ვიტყოდი, აუტანელია-მეთქი, ანდა ქალზე, საზიზღარი დედაკაცია-მეთქი, მამა მუდამ შემეკითხებოდა:

— შენზე აუტანელია? შენზე უმსგავსია?

მშვენივრად მესმოდა მისი საყვედური, მაგრამ არ მსურდა მეღიარებინა და კადნიერად ვპასუხობდი:

— დიახ, ჩემზე სულელია, ჩემზე აუტანელია, ჩემზე უმსგავსია.

მაგრამ მამის გაკვეთილი გამომადგა. ამის საბუთი გახლავთ, რომ ეს ამბავი დღემდე მახსოვს.

შოპენის ვალსი

ბავშვობაში ფორტეპიანოზე დაკვრას გვასწავლიდნენ. ჩემს ძმას ილიას მუსიკის ნიჭი სრულიად არ ჰქონდა. მისი ფრანგულის მასწავლებელი ამბობდა, როცა ილია დაკვრას იწყებს ძაღლები ყმუილით გარბიანო.

ერთხელ, როცა მამაჩემი თავის კაბინეტში მუშაობდა, უცებ გაიგონა რა საოცრად ცუდად დაიწყო ილიამ შოპენის დაკვრა, წუთითაც არ იღებდა ფეხს პედალიდან. ყურადღებასაც არ აქცევდა ყალბ ნოტებს რომ იღებდა და განაგრძობდა საშინელ ფორტისიმოში დაკვრას.

მამა წამოდგა და შეაღო იმ ოთახის კარი, სადაც ილია უკრავდა. აქ კი მიხვდა, რატომ გახდა უცებ ილია ასეთი ვირტუოზი: კაბინეტში ილიასთან ერთად იყო ჩვენი დურგალი პროხორი, ფანჯარაში ორმაგ ჩარჩოებს რომ სვამდა. ჩვენ ყველანი ვმეგობრობდით მოხუც პროხორთან, განსაკუთრებით კი ილია, ილია ხშირად მიდიოდა მასთან სახელოსნოში, სწავლობდა დურგლობას და ხისაგან პატარ-პატარა ნივთების კეთებას.

მამა მიხვდა, რომ ილიას უნდოდა თავისი დაკვრით თავი გამოეჩინა პროხორის წინაშე. აი რატომ შეეწირა საბრალო შოპენი ამ საქმეს.

მამა წყნარად გამობრუნდა უკან და შემდეგ გვიამბო ეს ამბავი.

მას აქეთ, როცა რომელიმე ჩვენი ოჯახის წევრი მოისურვებდა გაეცვიფრებინა ქვეყნიერება ან აეძულებინა სხვები აღფრთოვანებულიყვნენ მისი პიროვნებით, — მას ეუბნებოდნენ: — „ეს პროხორის გულისთვის ხდება“.

და გარწმუნებთ, ეს სიტყვები ხშირად გვაჩერებდნენ, რომ ბაქიობა არ დაგვეწყო.

წიწილა

ჩვეულებრივ შემოდგომაზე დედაჩემი უმცროს ბავშვებთან ერთად მოსკოვში მიემგზავრებოდა, ისინი სკოლაში დადიოდნენ. მამაჩემი, მე და ჩემი და კიდევ რამდენიმე თვე ვრჩებოდით იასნაია პოლიანაში. „მამაჩემის მსგავსად ჩვენც რობინზონებივით ვცხოვრობდით, სახელდობრ ასე: ვცდილობდით თვითონვე მოვმსახურებოდით საკუთარ თავს, უშინამოსამსახუროდ ვალაგებდით ოთახებს, ვამზადებდით საჭმელს, რასაკვირველია, მკაცრად ვეგეტარიანულ საჭმელებს.

ერთხელ გავიგეთ, რომ ჩამოდის ჩვენი დეიდა, ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი, რომელიც გულით გვიყვარდა. ვიცით, რომ დეიდას გემრიელი კერძები უყვარს, განსაკუთრებით კი ხორცი. რა ვქნათ? გავაკეთოთ „ლეში“? (ასე ვეძახით ხორცს). მაგრამ ამის გაფიქრებაზე ტანში გვზარავს. ვიდრე მე და ჩემი და ამ საკითხზე ვმსჯელობდით, შემოვიდა მამა. ვუთხარით არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ-თქო.

— ჩვეულებრივად მოამზადეთ სადილი, — გვითხრა მან.

დღისით ჩამოვიდა დეიდა, როგორც ყოველთვის ლამაზი, მხიარული, ენერგიული.

მამა წყნარად გამობრუნდა უკან და შემდეგ გვიამბო ეს ამბავი. მოაწია სადილობის დრომ. წავედით სასადილოში.

და რა დავინახეთ? დეიდაჩემისთვის განკუთვნილ თეფშზე [illegible] ზარი სამზარეულო დანა ძევს, ხოლო სკამის ფეხზე ცოცხალი ქათამია გამობმული. საცოდავი ფრინველი ფართხალებს და თან სკამს მიათრევს.

— ხედავ? — უთხრა მამაჩემმა სტუმარს, — რაკი ვიცოდით, რომ ცოცხალი არსების ჭამა გიყვარს, წიწილა მოგიმზადეთ. ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ დაკლავს. ამიტომაც დაგიდეთ წინ ეს სასიკვდილო იარაღი. თვითონვე დაჰკალი.

— კიდევ ერთი შენი ხუმრობა! — შესძახა გაცინებულმა დეიდა ტანიამ, — ტანია, მაშა, ეხლავე გამოხსენით საბრალო ფრინველი და დაუბრუნეთ თავისუფლება.

სასწრაფოდ შევუსრულეთ დეიდას სურვილი. როგორც კი წიწილა გავუშვით, შემოვიტანეთ მაკარონი, ბოსტნეული, ხილი. დეიდა ყველაფერს მადიანად შეექცეოდა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნო, რომ საყვარელი სიძის ამ გაკვეთილმა ვერ გადაარწმუნა დეიდაჩემი. იგი ისევ განაგრძობდა ხორცის ჭამას.

მამას შაურიანს აძლევენ

მოსკოვიდან იასნაია პოლიანამდე დაახლოებით ორასი კილომეტრია. ზოგჯერ მამა ამ გზაზე ფეხით მიდიოდა. მას მოსწონდა ღვთისმოსაობა. დაადგებოდა დიდ შარაგზას ზურგზე ტომარამოკიდებული, ურთიერთობას ამყარებდა მოხეტიალე ხალხთან, ვისთვისაც იგი უცნობი მგზავრი იყო. მოგზაურობას ჩვეულებრივ ხუთი დღე სჭირდებოდა. გზაში შეჩერდებოდა ხოლმე ღამის გასათევად ან საჭმლისათვის რომელსამე ქოხში ანდა სასტუმრო-ბაკებში. თუ გზად რკინიგზის სადგური შეხვდებოდა, მაშინ მესამე კლასის მოსაცდელ დარბაზში ისვენებდა.

ერთხელ ერთი ასეთი შესვენების ხანს, გადაწყვიტა ბაქანზე გაესეირნა, სადაც სამგზავრო მატარებელი იდგა, რომელიც ის-ის არის უნდა გასულიყო. უცებ მამამ გაიგონა, რომ ვიღაცამ დაუძახა:

— მოხუცო! მოხუცო! — ეძახდა ქალბატონი, რომელსაც თავი გამოეყო ვაგონის ფანჯრიდან, — შეირბინე ქალების ოთახში და ჩანთა მომიტანე, წამოლება დამავიწყდა...

მამა სასწრაფოდ გაიქცა თხოვნის შესასრულებლად და საბედნიეროდ იპოვა ჩანთა.

— დიდი მადლობა, — უთხრა ქალბატონმა, — ესეც შენი შრომის საფასურად გქონდეს, — და მან დიდი სპილენძის შაურიანი გაუწოდა. მამამ მშვიდად ჩაიდო ჯიბეში ფული.

— იცით, თქვენ, ვის მიეცით შაურიანი? — ჰკითხა ქალბატონს მისმა თანამგზავრმა, რომელმაც შეიცნო ხანგრძლივი მგზავრობისაგან გამტვერილ მოგზაურში „ომისა და მშვიდობის“ სახელგანთქმული ავტორი, — ეს ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი გახლავთ.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა ქალმა, — ეს რა ჩავიდინე? ლევ ნი-

კოლოზის ძევ, ლევ ნიკოლოზის ძევ, ღვთის გულისათვის, მომიტევეთ, დამიბრუნეთ შაურიანი! რა უხერხულად გამომივიდა! ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ დამემართა ეს?

— ტყუილად ღელავთ ასე, ქალბატონო! — უპასუხა მამამ, — ცუდი არაფერი ჩაგიდენიათ. შაურიანი კი დავიმსახურე და ამიტომაც ვერ დაგიბრუნებთ.

მატარებელმა დაუსტვინა, დაიძრა და თან წაიყვანა ქალბატონი, რომელიც ევედრებოდა მამას მაპატიეთ და შაურიანი დამიბრუნეთო.

მამა გაღიმებული მიაცილებდა მიმავალ მატარებელს.

იყო თუ არა ტოლსტოი ცრუმორწმუნე?

დარწმუნებული ვარ, მამაჩემისათვის რომ მეკითხა ცრუმორწმუნე ხარ თუ არაო, გადაჭრით მიპასუხებდა — არაო.

მაგრამ ხშირად შემიმჩნევია, რომ ზოგჯერ მამა რაღაც ნიშნებს მნიშვნელობას ანიჭებდა. რამდენჯერმე მიგრძვნია, როგორ დაუწყვია მისი ძლიერი ხელები ჩემს მხრებზე და იძულებული გავუხდივარ შევბრუნებულიყავი, რათა სწორედ მარჯვენა მხრიდან დამენახა ახალი მთვარე.

თუკი მეფე დაგობერტივით თავის ბლუზას უკუღმა ჩაიცვამდა, იგი აშკარად გულდაწყვეტილი იყო და რაიმე მარცხს ან უსიამოვნებას ელოდებოდა.

ჩაუთქვამდა რამეს და ხშირად იტყოდა: თუ შემისრულდება — ასე გავაკეთებ, არადა, არ გავაკეთებ.

ერთხელ იასნაია პოლიანადან ცხენებით მივდიოდით ბიძაჩემთან სერიოჟა ტოლსტოისთან. მისი მამული ჩვენგან ოცდათხუთმეტ კილომეტრში იყო. გზად რამდენიმე სოფელი გავიარეთ. რუსული სოფლები მუდამ ერთ გრძელ რიგად არის ჩამწკრივებული და ეს ერთადერთი, მუდამ ძალზე ფართო ქუჩა, ზოგჯერ რამდენიმე კილომეტრზე გრძელდება. ჩვენ ერთ-ერთ ასეთ შარაგზას მივუყვებოდით ჩორთით, რომ უცებ მამამ მარჯვნივ გადაუხვია ცხენით და ბორბლებიან კასრს, ქოხის წინ რომ იდგა, გვერდი აუქცია, შემდეგ გზა გააგრძელა. მეც მას გავყევი უკან და როცა შარაგზაზე გასულნი გავუსწორდით ერთმანეთს ვკითხე:

— მითხარი, რატომ აუქციე გვერდი კასრს?

— განა შენ არ დაგინახავს, შავმა კატამ გზა რომ გადაგვიჭრა და კასრის ბორბლებქვეშ ჩაიმალა?

— მაშასადამე, ეს იმიტომ გააკეთე, რათა არ გაგევლო იმ გზაზე, კატამ რომ გადაგიჭრა, ხომ?

მამას არაფერი უპასუხნია და ჩვენც გზა განვაგრძეთ.

ლოგიკური არათანმიმდევრობა

რუსეთ-იაპონიის ომის დროს მამა მგზნებარე გულისყურით ადევნებდა თვალს ყველა პერიპეტიას. როცა რუსებმა პორტარტური მტერს ჩააბარეს, მამა გაშმაგდა.

— ჩემს დროში ამას არ იზამდნენ, — თქვა მან.

— აბა რას იზამდნენ? — ჰკითხა ერთმა მამაჩემის მიმდევარმა, რომელიც საუბარს ესწრებოდა.

— ააფეთქებდნენ ციხე-სიმაგრეს, მაგრამ მტერს არ დაუთმობდნენ.

— და დახოცავდნენ ამ ციხე-სიმაგრეში მყოფ ადამიანებს? — ტოლსტოველს შიგ გულში მოხვდა თავისი მასწავლებლის სიტყვები.

— თქვენ რა გინდათ! რაკი სამხედრო ხარ, უნდა [illegible] დეც შენი ვალი!

ტოლსტოველი საგონებელში ჩავარდა.

მე კი საკუთარ თავს ვეკითხებოდი: მარტო ლოგიკა წარმოთქვეს მამაჩემის ბაგეთ? ვინ იცის, ეგების ყოფილი მებრძოლის მოგონებებმაც გაიღვიძეს?

„ᲩᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲓᲘ“

ერთხანს მამა თეატრით იყო დაინტერესებული. ერთხელ საიმპერატორო მცირე თეატრში წავიდა, რათა ენახა ლაბიშის თავშესაქცევი პიესა „ჩალის ქუდი“. მამა იმჟამად მუშაობდა კომედიაზე „განათლების ნაყოფი“.

ანტრაქტის დროს ფოიეში ნაცნობ პროფესორს შეხვდა. ის შეცბა, რომ ტოლსტოიმ ასეთი ფსიქოლოგიური პიესის წარმოდგენაზე იხილა.

— ლევ ნიკოლოზის ძევ, თქვენც მობრძანდით ასეთი სისულელის სანახავად, — უთხრა გაღიმებულმა პროფესორმა.

— მუდამ ვოცნებობდი რაიმე ამის მსგავსი დამეწერა, — უთხრა მამამ, — მაგრამ საამისოდ ნიჭი არ მეყო.

ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲪᲔᲛᲘᲜᲔᲑᲘᲐ ᲪᲮᲕᲘᲠᲘ

როცა მამა ცხვირს აცემინებდა, გეგონებოდა, ყუმბარა გასკდაო: მთელ სახლში ისმოდა. როცა ეს ღამე ხდებოდა, დედაჩემს უცაბედად გაელვიძებოდა და მერე შეშინებული მთელი ღამე თვალს ველარ მოხუჭავდა ხოლმე.

— როცა ღამით ცხვირის დაცემინება მოგინდება, — უთხრა დედამ მამაჩემს, — ფრთხილად გამაღვიძე, რომ მერე ისევ შევძლო დაძინება.

მამა შეპპირდა.

ერთხელ ღამით ცხვირის დაცემინება მოუნდა და ფრთხილად გააღვიძა ცოლი.

— სონია, არ შეგეშინდეს, ახლა ცხვირი უნდა დავაცემინო.

დედამ გაიღვიძა, ყური მიუგდო. გავიდა ორი, სამი, ხუთი წუთი და არაფერი. გადაიხარა მისკენ და გაიგონა მისი თანაბარი სუნთქვის ხმა. ოურმე აღარ დააცემინა ცხვირი და ისევ მშვიდად დაუძინია.

ᲓᲔᲓᲐ ᲘᲪᲘᲜᲘᲡ

დედა იშვიათად იცინოდა. იქნებ ამიტომაც, სიცილი განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებდა.

მახსენდება ორი შემთხვევა, როცა დედა მთელი გულით იცინოდა და ორივეჯერ მამაჩემის წყალობით.

დედაჩემი აღმერთებდა პატარა ბავშვებს. როცა ყველანი დავიზარდენით და საზრუნავი აღარაფერი დარჩა, დაცარიელებულად იგრძნო თავი. იგი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ მოევლო ბავშვისათვის, სადაც არ უნდა ენახა.

ერთხელ სოფლის ბიჭუნას უძიძავებდა.

— მე შენთვის გუტაფისის თოჯინას შევუკვეთავ, — უთხრა მამამ, — რომელსაც გამუდმებით კუჭი ექნება აშლილი, ვიმედოვნებ, მაშინ სავსებით ბედნიერი იქნები.

დედას გაეცინა, პირზე ხელი აიფარა, ცდილობდა როგორმე თავი შეეკავებინა მისთვის ესოდენ უჩვეულო მხიარულებისაგან.

მეორედ ასე იყო. იასნაია პოლიანაში ჩავედი.

— უფრთხილდი, — მითხრა მამამ, — დედამ ახლახან უამრავი რაოდენობის საღებავი იყიდა და ყველაფერს ღებავს, რაც კი ხელთ ჩაუვარდება. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვაღიარო, რომ დღემდე იგი ინდობდა ცოცხალ არსებებს...

დედა გრძნობს ქმრის ხუმრობაში სინაზეს და ბედნიერია. იგი იცინის, შეცბუნებულია და თან გაკვირვებული, რომ არ შეუძლია სიხარულზე უარის თქმა.

მამაც გახარებულია, რომ გაართო მეუღლე და ნაზად შეჰყურებს მას.

ჟანდარმი

მამა მუდამ მესამე კლასის ვაგონით მგზავრობდა.

ერთხელ საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი და პატარა ქალაქში გაემგზავრა, მოსკოვიდან ორმოცდაათიოდე კილომეტრში.

აქ იგი შეჩერდა თავის სიძესთან, ამ ქალაქში თანამდებობის პირი რომ გახლდათ. საქმეები რომ მოილია, მამა სადგურში წავიდა, რათა შინ გამომგზავრებულიყო. ბიძა თავისი ოჯახის წევრებთან ერთად აცილებდა მამას. სადგურზე მათ მლიქვნელურად მიესალმა ჟანდარმი, ყოველგვარი სამსახურეობრივი ჩინით რომ იყო დამშვენებული.

ჟანდარმმა იცოდა, რომ მიემგზავრებოდა სახელგანთქმული მწერალი, გრაფი ლევ ტოლსტოი. და გადადგა თუ არა მამამ სალაროსაკენ რამდენიმე ნაბიჯი, ჟანდარმმა წინ გაუსწრო, შეეგება, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და სამხედრო წესისამებრ ხელის აწევით მიესალმა.

— ნუ შესწუხდებით, თქვენო ბრწყინვალებავ! მისი ბრწყინვალებანებას დამრთავს ბილეთი ავუღო? რომელი კლასის ბილეთი მისი ბრწყინვალებისათვის — პირველი, მეორე?

— მეორე, — უთხრა შემცბარმა მამამ.

შინ რომ დაბრუნდა, მამამ გვიამბო, როგორ დაიხია უკან ჟანდარმის წინაშე. დასცინოდა საკუთარ თავს და ვერ ეპატიებინა ასეთი სისუსტე რომ გამოიჩინა. ეზიზღებოდა საკუთარი თავი.

ჩანდა, როგორ აწუხებდა ეს უმნიშვნელო შემთხვევა. რამდენჯერმე უამბო სხვებსაც.

მე კი ვფიქრობ, რომ სისუსტე არაფერ შუაშია. იმიტომ არ უთხრა ჟანდარმს მეორე კი არა, მესამე კლასის ვაგონის ბილეთი ამიღეთო, რომ უბრალოდ არ შეეძლო გაეწბილებინა ჟანდარმის მოლოდინი. შეგნებულად მამას არასოდეს არ სურდა ვისთვისმე უსიამოვნება მიეყენებინა.

იცოდა, თუკი მესამე კლასის ბილეთს აიღებდა, ჟანდარმს გულს ატკენდა.

მაგრამ მამა მუდამ მზად იყო საკუთარი თავი დაედანაშაულებინა შესაძლო თუ წარმოდგენილი ცოდვების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სიტყვები

როცა მამა ოთხმოცი წლისა შესრულდა და ეკითხებოდნენ: „თავს როგორ გრძნობთ?“ — იგი ასე პასუხობდა, თუკი სისუსტესა და აპათიას გრძნობდა:

— დღეს ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ოთხმოცი წლისა ვიყო.

* * *

ეგოცენტრულ, თავის თავზე შეყვარებულ ადამიანზე ამბობდა:

— ამ ადამიანს უდიდესი უპირატესობა აქვს: მეტოქე არა ჰყავს...

* * *

როცა ისეთ რამეს ითხოვდა, რის მიცემაც არ შეეძლოთ, იტყოდა:

— ვიხუმრე... თორემ სულაც არ მინდა...

* * *

როცა რაიმეს გაკეთება სურდა, მუდამ ეშინოდა, ვერ შევძლებო, ანდა იმის მიღება სურდა, რაც ძნელად გამოსდიოდა, ამბობდა:

— როცა დიდი გავიზრდები, მაშინ გავაკეთებ.

ანდა:

— როცა დიდი გავიზრდები, რასაც მოვისურვებ, იმას მივიღებ.

მიყვარს ყველაფერი რაც მაქვს.

მამაჩემის დაქორწინების პირველ წლებში იასნაია პოლიანაში ეწვია რუსი მწერალი გრაფი სოლოგუბი. მან დაინახა, რომ ტოლსტოი კმაყოფილია, საკუთარი მადლიერი თავისი ბედისა.

— რა ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით, — უთხრა სოლოგუბმა, — ყველაფერი გაქვთ, რაც გიყვართ.

— არა, — უპასუხა მამამ, — ყველაფერი არა მაქვს, რაც მიყვარს, მაგრამ მიყვარს ყველაფერი, რაც მაქვს.

ველოსიპედი

მამას სპორტის ყველა სახეობა უყვარდა. გასული საუკუნის დასასრულს, როცა მოდაში შემოვიდა პირველი ველოსიპედები, მან შეიძინა და ზამთრობით სეირნობდა დიდ მოსკოვურ მანეჟში.

— სასაცილო რამ მემართება, — ყვებოდა იგი, — საკმარისია წარმოვიდგინო რაიმე დაბრკოლება, რომ მაშინვე დაუოკებლად მივილტვი იქითკენ და ბოლოს და ბოლოს წავაწყდები კიდეც. ეს განსაკუთრებით ეხება ფაშფაშა ქალბატონს, რომელიც ჩემსავით სწავლობს ველოსიპედით სიარულს. ფრთებიანი ქუდი ახურავს, საკმარისია შევხედო, რომ მაშინვე რხევას იწყებენ და ვგრძნობ, — ჩემი ველოსიპედი აუცილებლად მისკენ მიემართება. ქალბატონი ყურისწამღებად ყვირის, და ცდილობს, გამექცეს, მაგრამ — ამაოდ. თუკი ვერ ვასწრებ ველოსიპედიდან გადმოხტომას, გარდაუვალია, რომ არ დავეჯახო და არ გადავაყირავო.

ეს უკვე რამდენჯერმე დამემართა. ახლა ვცდილობ მანეჟში იმ დროს მივიდე, როცა იმედი მაქვს, რომ იქ არ იქნება. და აი, ვეკითხები საკუთარ თავს: — შენიშნავს იგი, — გარდაუვალია თუ არა კანონი, რომლის თანახმადაც, ის, რასაც გულით გვსურს გავექცეთ, ყველაზე უფრო გვიზიდავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ჟენოფობია"

მამაჩემი მაღალი აზრისა არ იყო ქალებზე. ხშირად თავის სიძულვილს ხუმრობაში გამოხატავდა, მაგრამ ასეც ხდებოდა, როცა ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი თანამოსაუბრე, ამაზე მაშინ სერიოზულად ლაპარაკობდა. ოჯახურ წრეში ასეთ საუბრებს „ჟენოფობიას" ვეძახდით.

როცა შინ მარტო კაცები რჩებოდნენ, იგი სარგებლობდა ამ შემთხვევით, რათა სულმთლად გავენადგურებინეთ.

— ჩვენ ცოტას „ჟენოვფობიობდით", გვეტყოდა ღიმილით.

ზოგჯერ მამა გამოთქვამდა თავის ჭეშმარიტ აზრს ქალებზე. მისი აზრით ქალს, რომელიც მორალისა და რელიგიის კანონების თანახმად ცხოვრობს სრული უფლება აქვს პატივისცემისა. ქალს უძვირფასესი ღირსებანი გააჩნია, რაც მამაკაცს არა აქვს და ქალი არასწორად იქცევა, როცა სურს მამაკაცს გაუტოლდეს იმ უფლებებში, რასაც იგი მოკლებულია.

როცა ქალი ცდილობს თავისი ხიბლით აცდუნოს მამაკაცი, იცვამს მიუღებელ ტანსაცმელს, თუკი თვლის, რომ მთავარი კავშირი ქალისა და კაცისა ტკბობაა მხოლოდ, და გაურბის დედობას, რათა თავისი სილამაზე შეინარჩუნოს, ასეთი ქალი — საზიზღარი არსებაა და საზოგადოებისათვის საშიშია.

— როცა ვხვდები ასეთი ჯურის ქალს, მინდა ვიყვირო: „ქურდები! მიშველეთ!" — და პოლიციას დავუძახო.

ერთხელ მოვისმინე, მამაჩემის საუბარი კაცთან, რომელიც ქალის უფლებას იცავდა და თვლიდა, რომ ქალი და მამაკაცი ერთნაირი შესაძლებლობისა და ნიჭის მქონენი არიან.

— არა, — ეწინააღმდეგებოდა მამა, — რომც დავუშვათ, რომ ქალი და მამაკაცი თანასწორნი არიან თავიანთი ნიჭით, მე უნდა აღვნიშნო, რომ მას აქვს თვისება, რაიც ჩვენ არა გვაქვს.

— რა თვისება?

— რა და... ბავშვის დაბადების უნარი.

როცა მამა თავის ხელოვნების ტრაქტატზე მუშაობდა, ხშირად გადამიწერია ხელნაწერი.

ერთხელ ჩემი დღიურიდან ერთი გვერდი მთხოვა, რათა თავის წიგნში ჩაერთო. როცა ამ ნაწყვეტს განმარტავდა, დაწერა, რომ დამოწმებული აქვს თავისი მეგობრის სიტყვები, რომელსაც ესმის ხელოვნება.

ვკითხე.

— ვხვდები, რატომაც არ დამასახელე, მაგრამ რატომ დაწერე (მეგობარი კაცი) და არა — (მეგობარი ქალი)?

— იცი რა, — მამა ცოტა შეაცბუნა ჩემმა შეკითხვამ, — რათა მკითხველი უფრო დიდი პატივისცემით განიმსჭვალოს გამოთქმული აზრის მიმართ.

ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲜ ᲨᲔᲘᲪᲜᲝ ᲥᲐᲚᲘ

როცა მამაჩემი წერდა რომანს „ოჯახური ბედნიერება“, მაშინ ჯერ ისევ უცოლო იყო.

— მაშინ მეჩვენებოდა, — მითხრა ერთხელ მამამ, — რომ სულის სიღრმემდე ვიცნობდი ქალს. მაგრამ როცა ცოლი შევირთე, მივხვდი, რომ ოდნავადაც არ ვიცნობ. და მხოლოდ ჩემი ცოლის წყალობით შევძელი შემეცნო ქალი. ახლა კი — განაგრძობდა იგი, თან თმაზე ხელს ისვამდა, — მას შემდეგ რაც ჩემი უფროსი ქალიშვილები მანდობენ თავიანთ საიდუმლოს და გულს მიშლიან ხოლმე, ვაღიარებ, რომ არც ქორწინებამდე, არც უფრო გვიან ქალზე არაფერი მცოდნია და მხოლოდ ახლა ვიწყებ მის შეცნობას.

ᲕᲘᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ, ᲕᲘᲜ ᲙᲘ ᲛᲚᲔᲠᲘᲡ

ერთხელ საღამოს იასნაია პოლიანაში შრომის განაწილებაზე ვსაუბრობდით. მამა ამ ხანებში წერდა წიგნს „მაშ, რა გავაკეთო?“ ტოლსტოი მგზნებარედ ილაშქრებდა პრივილიგირებულ კლასების მიერ მუშების ექსპლოატაციის წინააღმდეგ. იგი ამტკიცებდა უსამართლობას იმისა, რასაც მორცხვად „შრომის განაწილებას“ ეძახიან.

— ხელით შრომა, — ამბობდა იგი, — მუდამ აუცილებელია, მაგრამ უმეტესი ნაწილი სამეცნიერო თუ სამსახიობო შრომისა, რომელსაც ჩვენ ვეწევით, ემსახურება მხოლოდ ვიწრო წრეს ადამიანებისას, რომლებიც პრივილიგირებულთა კლასს ქმნიან. ეს შრომა თითქმის ყოველთვის უსარგებლოა მუშებისა და გლეხებისათვის, მაშინ როდესაც მათი შრომის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებდით არსებობას და წარმოებას ამ ერზაცისა მეცნიერებისა და ხელოვნებისა, რომლებითაც ასე ვამაყობთ.

— მოითმინეთ, ლევ ნიკოლოზის ძევ. — შეაწყვეტინა მამას მხატვარმა რეპინმა, რომელიც ჩვენთან სტუმრად იყო, — მოგეხსენებათ, რომ პეტერბურგის გარეუბანში ვცხოვრობ, საამშენებლო მოედანთან ახლოს, სადაც გემებს აგებენ. და ხშირად ვხედავ, როგორ მოათრევენ მუშები, ტანზე თოკით გამობმულ უზარმაზარ კოჭებს. ერთხელ როცა მუშებს ქანცი გაუწყდათ მძიმე ტვირთისაგან, ჩვეულებრივ რომ მიჰქონდათ ხოლმე, დავინახე, ორმა ყოჩაღმა ბიჭმა როგორ მიატოვეს სხვები. შესხდნენ ამ კოჭებზე და მხიარული ენერგიული ხმით ამღერდნენ. მათი შთაგონება მუშებსაც გადაედოთ, ახალი ძალები შეემატათ და გაუადვილდათ დაძაბული შრომა.

— მერე და რა, — ჰკითხა მამამ.

— აი რა, — თავმდაბლად უთხრა რეპინმა, — იმათ, ვინც თავისი ხელოვნებით უმსუბუქებენ მუშებს ცხოვრებას, აქვთ არსებობის უფლება. მათ თავისი როლი აქვთ. ვგრძნობ, რომ მე ერთი იმათაგანი ვარ. მინდა ვიყო იმათთან ვინც მღერის.

— ძალიან კარგი, — სიცილით შენიშნა მამამ, — ცუდი მარტო ის არის, რომ უმრავლესობას სურს კოჭებზე შეხტეს და იმღეროს, და ძალზე ცოტაა ამ კოჭის თრევა რომ სურდეს... აი პრობლემაც ეს გახლავთ.

წერილები

გონდო არველაძე

საქართველოს ზეცდომის უფლება აღარ აქვს

გაახიდეთ თვალნი, ხალხო, ვერა ხედავთ,
ვარძიიდან ნიშანს გვაძლევს თამარი,
— თურმე ის, რავ მიგვაჩნია ჯავახეთად,
უკვე ჩვენი მიწა-წყალი არ არის!

მიხეილ ქვლივიძე

სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, პოლიტოლოგ ალექსანდრ ქანანიანის სტატია — „ჯავახქ: შეუცნობელია გზანი ისტორიისა“ გამოქვეყნდა ერევნის რუსულენოვან გაზ. „ნოვოე ვრემიაში“ (2002, 5 ნოემბერი). ეს სტატია ქართულად თარგმნა და დაბეჭდა გაზ. „კვირის პალიტრამ“ (2002, 18-24 ნოემბერი). ალ. ქანანიანს თავს უდვია ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანა. მას მიზნად დაუსახავს გახსნას ჯავახეთის ისტორიის გარშემო შეკრული მეცნიერულ დაპირისპირებათა კვანძი. მისი წადილი და მონდომება, გაარკვიოს სომეხ მეცნიერთა მიერ ჯავახეთის ისტორიის ხელოვნურად გართულებული პრობლემა, მოსაწონია, მაგრამ ვერ გავიზიარებთ კვლევის ხერხებს და საკითხისადმი მის არაობიექტურ მიდგომას. ალ. ქანანიანი სტატიის დასაწყისშივე აცხადებს — ჯავახქის (ქართულ ჯავახეთს სომხები ჯავახქს უწოდებენ ბ. ა.) ისტორიის კვლევა გასაბჭოებამდე სომეხ მეცნიერებს ფაქტიურად არ უწარმოებიათ და გაკვრით თუ ეხებოდნენ მასო. ამ ფაქტს რატომღაც ახსნას არ უძებნის და დუმს. მიზეზი კი იყო ის, რომ ძველი თაობის (XVIII-XX სს) სომეხ ისტორიკოსების უმეტესობას პასუხისმგებლობის და მეცნიერული სიმართლის მეტი გრძნობა ჰქონდათ და არ წერდნენ იმ მხარის ისტორიაზე, რომელიც სომხეთის მიწა არასდროს ყოფილა. თუმც იყვნენ გამონაკლისებიც. მაგრამ ჯავახეთის ქართულ მიწაზე მოსულ და დასახლებულ სომეხთა ეთნოგრაფიულ წესჩვეულებებზე, ფოლკლორზე და ა. შ. არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ცნობილი სომეხი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი ედ. ლალაიანის — „ჯავახეთის სურნელება“ (1892 წ. სომხ. ენაზე). კიდევ მეტი — დიდმა სომეხმა პოე-

ტმა და საზოგადო მოღვაწემ ოვანეს თუმანიანმა ჯავახეთის ფოლკლორი — როგორც ქართული, ისე სომხური გამოიყენა და შექმნა უკვდავი პოემები — „ფარვანა“, „თმოგვის ციხის აღება“ და სხვ. ვერც იმაში დავეთანხმებით ალ. ქანანიანს, თითქოს საბჭოთა პერიოდში სომეხ მეცნიერებს აკრძალული ჰქონდათ ჯავახეთის ისტორიის კვლევა. ამ საქმეში ხელს არავინ უშლიდათ დაემუშავებინათ ჯავახეთის ისტორიის თემა. თუ ისინი ამას არ აკეთებდნენ, ეს მათი ბრალია და ქართული მხარე არაფერ შუაშია. და თუ ქართველი მკვლევარები ადრეც და ძველი რუსეთის დროსაც ჯავახეთის ისტორიის, მატერიალური კულტურის ძეგლებს სწავლობდნენ, ეს ბუნებრივია, რადგან ისინი დაინტერესებულნი იყვნენ და იკვლევდნენ მშობლიური ქართული მხარის — ჯავახეთის ისტორიას და ყოფას. ამდენად, ალ. ქანანიანის განცხადება — „სომხეთისაგან განსხვავებით ქართული ისტორიოგრაფია „მდიდარია“ (ამ სიტყვის ბრჭყალებში ჩასმა სომეხი ავტორის სუბიექტურობას და ტენდენციურობას მოწმობს) ჯავახეთის თემაზე მიძღვნილი ნაშრომებით“. ეს დაბოლმილი კაცის ნათქვამი უფროა, ვიდრე გონებადამჯდარი მეცნიერის აზრი. ესეც არაფერია იმასთან შედარებით, რასაც შემდეგ წერს — „იმის აუცილებლობამ, რომ ჯავახქი ნებისმიერი ხერხებით მიეკუთვნებინათ ქართული ეთნოკულტურისთვის, ქართველი მეცნიერები აიძულა საბჭოთა პერიოდში ათეულობით ტომი გამოეცათ ისტორიის, არქეოლოგიის, არქიტექტურის დარგში... მათში შეგნებულად არის უგულებელყოფილი სომხური ნიშატი ჯავახქის ტერიტორიაზე. ეს მხოლოდ უარყოფა როდია მრავალრიცხოვანი სომხური ჯილაგის ამ მიწაზე მოსახლეობისა, არამედ ამ კუთხეში შუასაუკუნეების სომხური კულტურის ძეგლების აღმაშფოთებელი იგნორირება გაკეთებული.

ალ. ქანანიანს, და არავინ მას, უბრალოდ არ სურს გაიგოს, რომ ჯავახეთის მიწა და ეთნოკულტურა უძველესი დროიდან არის ქართული და ქართველ მეცნიერებს არავითარი ძალისხმევა და, მით უმეტეს, მანიპულაცია არ სჭირდებათ ამის დასამტკიცებლად. ამას მოწმობს ქართული და არაქართული წყაროები. ჯერ კიდევ ძვ. წ.-ით 785 წლის ურარტუს მეფის არგიშტ I-ის წარწერაში ზაბახი II ჯავახი მოხსენიებულია, როგორც დაპყრობილი მხარე. ამ დროს სომხურ ეთნოსზე ლაპარაკი არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო. არ იქნება ზედმეტი გავიხსენოთ — ზევახი II ჯავახი იხსენიება არმაზის ბილინგვაში, როგორც უდროოდ გარდაცვლილი სერაფიტის მამა. ზევახი II ჯავახი იყო ქართლის ერისთავი (პიტიახში) II ს-ის 30-50 წლებში, მეფე ფარსმანის დროს. ამასთან ერთად მოვიხმობთ „ქართლის ცხოვრებას“ და მასში დაცულ ლეონტი მროველის შემდეგ ცნობას — ჯავახეთი იყო ქართლოსის შვილის ჯავახოსის საუფლისწულო დომენი. ე. ი. ფაქტია, ჯავახეთი უძველეს დროიდან ქართველთა ეთნოკულტურის მხარეა. იგივე ლეონტი მროველის მიხედვით პირველ ს-ში სომხეთის მეფე ერვანდმა — „მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტაანი მტკრუამედე. და დასხნა წუნდასა შინა კაცნი მხეცნი ნათესავნი დევთანი და უწოდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელიც — ესე ითარგმნების დევთა — სახლად“. ამ ამბავს, სომეხთა მეფის მიერ ჯავახეთის მხარის დაპყრობას ქართლის

ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი ასე გადმოსცემს — „სომხეთს გამეფდა ერვანდ დიდი და წაართვა ქართველთ არტაჰანი მდინარე მტკვრამდე და ქალაქი წონდა. დაასახლა მასში ეშმაკებრ მეტყველი კაცები და უწოდა მას ქაჯატუნი". მოტანილი ამონარიდებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ერვანდ დიდმა ქართველთ წაართვა (და არა დაიბრუნა) ჯავახეთი და მისი მიმდებარე ტერიტორია. სომეხთა მეფეს ჯავახეთის წართმევა ქართველებისაგან არ დასჭირდებოდა, ეს მხარე სომხების კუთვნილება რომ ყოფილიყო. თუ ასე არ იყო, ამასაც აღნიშნავდა მემატიანე. უდაოდ ანგარიშგასაწევია ისიც, რომ წუნდას დასხმული ხალხი ეთნიკურად განსხვავებულია როგორც ქართველების ისე სომხებისაგან. ე. ი. სომეხთა მეფემ ერვანდმა ისინი ჩამოასახლა დაპყრობილ ქართველთ მხარეში, რათა დასაყრდენი, მოკავშირე ჰყოლოდა უცხო რაიონში — ჯავახეთში — „ასევე მოიქცა, მაგალითად, ბულა თურქი, რომელმაც დარუბანდიდან გადმოყვანილი ხაზარები შამქორს დაასახლა, ხოლო დარიალით წამოყვანილი ოსები დმანისს დაასახლა. ასე თუ ისე, შესაძლოა ქართულ ჯავახეთში სომხური ეთნონაკადი ძველთაგანვე იყო, მაგრამ ამის მიუხედავად ჯავახეთში არ შემორჩენილა უძველესი სომხური წარწერები. ასეთები აქ მხოლოდ ქართული ჩანს (დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიიდან", (ზემოქართული — თორი ჯავახეთი, 1985 წ.) აი, ხომ ხედავთ, ალ. ქანანიანო, ქართველი მეცნიერები სულაც არ მალავენ სომხური ნიშატის არსებობას ჯავახეთში. ან კი რა დასამალია ეს, ზედა ქართლი ისე როგორც ქვემო ქართლი, ქართლისა და სომხეთის სასაზღვრო რეგიონი იყო და ხელიდან ხელში გადადიოდა იმისდამიხედვით, რომელი სამეფო გაძლიერდებოდა. ამ საკითხს დეტალურად შევეხები ქვემოთ. არც ის არის გამართლებული, რომ ალ. ქანანიანი ჯავახეთში მარტო სომხურ ტოპონიმს ხედავს, ვითომ ქართული არ იყოს. თუ მაინც არის აქა-იქ, უმნიშვნელო რაოდენობისას „იმეტებს" სომეხი ავტორი. არადა ფაქტობრივად არის პირიქით და ეს ბუნებრივიცაა. ქართულ მხარეში პირველ რიგში ქართული ტოპონიმი იქნება და შემდეგ უცხო. აქ ტოპონიმთა 90 პროცენტი ქართულია, დანარჩენი კი არის სომხური, ბერძნული, თურქული და სხვა. ენათმეცნიერები ჯავახურ ტოპონიმიაში მიუთითებენ ზანური ენის ნაკვალევს. ისინი ფიქრობენ, სოფლებში: ჭობარეთი, ტოლოში, ორხოფია, მირაშხანი, კორუშეთი, კვარშა, ბურნაშეთი, სალოშეთი, არეშატი, ბარალეთი, ჯანჯაღა, ორჯა, ჩუნჩხა, ოლდანი, ოლოდა, ეშტიო და სხვა შემონახულია კვალი უძველესი ზანური სახელწოდებების. ჯავახეთის გათხრების შედეგად აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში ნათლად ჩანს კოლხური ბრინჯაოს კვალი. ჯავახეთში დადასტურებულია როგორც დას. ქართული, ისე აღმ. ქართული კულტურის დამახასიათებელი ბრინჯაოს ნივთები. ერთი სიტყვით, ჯავახეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ მასალას პირველ რიგში ნათესაური პარალელი ეძებნება მხოლოდ და მხოლოდ ქართულთან.

ალ. ქანანიანის ტენდენციური მიდგომა ჯავახეთის ისტორიის საკითხებისადმი იმდენად აშკარა და თვალში საცემია, რომ უბრალოდ სურვილიც კი გეკარგება მასთან სერიოზული მეცნიერული კამათისა. იგი ჯავახეთთან დაკავშირებულ თითქმის ყველა პრობლემას ყოველგვა-

რი მოტივაციის გარეშე, საკუთარი სურვილისამებრ წყვეტს. ე. ი. გამოდის, რასან ქანანიანს ასე სურს, ამიტომაც — „ისტორიული წყაროები(?) (რომელი წყაროები — ბ. ა.). მოწმობენ, რომ ჯავახქი სომეხი ერის გენეზისის არეალში შედიოდა. ქართული ეთნიკური ელემენტების შეჭრა ჯავახეთში უძველეს დროში ხდებოდა, უმთავრესად ქართველი მესაქონლეების სახით". განა იმის აღიარება ქართველი მეცნიერების მიერ, რომ ჯავახეთში სომეხთა ძველი კვალი შეინიშნება, ნიშნავს სომეხთა ჯავახეთში აბორიგენობას? რა თქმა უნდა, არა. ჯავახეთის საძოვრებს ძველთაგანვე იყენებდა ქართლ-კახეთ-იმერეთის მოსახლეობა. ამის დასტურია წყაროთა ჩვენებანი... თუ რამდენად ძველია ეს წესი, ჩანს აქაური ყორღანებიდან, მესაქონლე ტომების ბელადების საფლავებს რომ წარმოადგენენ. ისინი ამ საძოვრებზე იმარხებოდნენ ზოგჯერ ჯგუფურად, ზოგჯერ ცალცალკე. საინტერესოა, რომ ამ ყორღანების გვერდით ქრისტიანული საფლავებიცაა — ქვაყუთები, ქვის ვერძები. ე. ი. ბარიდან ამოსული ძველი და ახალი მესაქონლენი ერთ საძოვარზე იმარხებოდნენ. (ჯავახეთი — ისტორიულ ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბილისი, 2000, გვ. 7, ავტორი: დ. ბერძენიშვილი...) ამ გზას „ცხვრის გზა" ერქვა და ამ გზით მიედინებოდა ცხვარი და საქონელი საზაფხულოდ ქართლ-კახეთიდან, იმერეთიდან ჯავახეთის საძოვრებზე. ეს იყო ერთი ქართული კუთხიდან მეორეში გადასვლა და არა შეჭრა სომხურ ჯავახეთში, როგორც სურს წარმოადგინოს ალ. ქანანიანს. ეს ტრადიცია გრძელდებოდა შუასაუკუნეებში და დღემდე მოდის.

ჯავახეთის საეკლესიო გეოგრაფია ადრეული ხანიდან (V ს.) მოიცავდა ამ მხარეს და მკვიდრნიც იყვნენ ქართველები. ამას მოწმობს არსებული საეპისკოპოსოები ჯავახეთში და მის მიმდებარე რეგიონში. საერთოდ V ს-დან მოყოლებული ჯავახეთში საეკლესიო მშენებლობა სისტემატურად მიმდინარეობდა, მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XI-XIII სს. — საქართველოს აღმავლობის ხანაში. ამ პერიოდში აშენდა ეკლესია-მონასტრები, ქარვასლები, ხიდები, სამეფო რეზიდენციები — დლივი, ღრტილი, ბოჟანი, ვარძია, ალასტანი, თორელთა გვარი ზემო ჯავახეთის სამეფო დომენს XII-დან განაგებდა, XV ს-დან ჯავახეთი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ეკუთვნოდა. XVI ს-ში სამხრეთ საქართველოს სხვა ტერიტორიის ნაწილთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა. მკვიდრი ქართული მოსახლეობის ნაწილი განერიდა გამუსულმანებას და ქართლსა და იმერეთში გადასახლდა. ვინც დარჩა, იძულებით მიაღებინეს მუსულმანობა. ამ მხრივ აქაური სომხობა დაზღვეული იყო, რადგან ეჯიმიაწინმა გარკვეული ხერხის გამოყენებით მიიღო სულთნის ნებართვა (ფირმანი), რომლის ძალით სამცხე-ჯავახეთის სომხობა თავისუფლდებოდა გამუსულმანებისაგან. ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ.

ალ. ქანანიანის მიერ ქართველ მეცნიერთა მიმართ მთავარი „ბრალდება" მაინც ის არის, რომ ექ. თაყაიშვილმა, ივ. როსტომაშვილმა გასაბჭოებამდე აღწერეს ჯავახეთი და ეს სომხური კუთხე თურმე ქართულად წარმოუდგინეს მკითხველ საზოგადოებას. ამ მეცნიერებს ჩემი

დაცვა არ სჭირდებათ ერთი მარტივი მიზეზის გამო. მათ დასაცავი არაფერი სჭირთ, რადგან აღწერეს ის, რაც ნახეს ძირძველ ქართულ მიწაზე — ჯავახეთში. ნახეს ქართული ძეგლები ხელყოფილი და დანგრეული ზოგიერთი სომეხის მიერ... მაგრამ ამ „ბრალდებას" აქვს მეორე, პირველზე უფრო მნიშვნელოვანი მხარე — ეს ის გახლავთ, რომ ალ. ქანანიანმა ქართული სამოციქულო ეკლესიის, წმინდა სინოდის მიერ წმიდანად შერაცხულ ექვთიმე თაყაიშვილს ცილი დასწამა, შეურაცხყო, რაც არ ეკადრება ქრისტიანს, თუნდაც მონოფიზიტს. ეს არის მკრეხელობა, მაგრამ ამის შესახებ მეტს არ ვიტყვი, ეს მის სინდისზე იყოს. უბედურება ის არის, ქართველთა საეკლესიო წმიდანის შეურაცხყოფას არ დასჯერდა და ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელს და ხსოვნას ჩირქი მოსცხო. აკად. ნ. ბერძენიშვილმა 1933 წელს სამეცნიერო მიზნით მოაწყო ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში. ექსპედიციის დროს იგი თითქმის ყოველდღე წერდა დღიურებს. ამ დღიურებში გულისტკივილით აღნიშნავს ჯავახეთის სომხური მოსახლეობის უდიერ, უფრო სწორად, მტრულ დამოკიდებულებას ამ მხარეში არსებული ქართული ისტორიული ძეგლებისადმი. მოაქვს არა ერთი ფაქტი, თუ როგორ ანგრევს ზოგიერთი სომეხი ქართულ ეკლესიებს. სპობენ ქართულ ეპიგრაფიკას და ა. შ. ამგვარი „ცილისწამებით" აღშფოთებული ალ. ქანანიანი წერს — „მთავარი ის არის, რომ ნიკო ბერძენიშვილი ყოვლად უსაფუძვლოდ სდებს ბრალს ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას ქართული წარწერების შეგნებულად დაზიანებაში. თუმცა ეპიგრაფიკაში ოდნავ ჩახედული ადამიანი, რომ აღარაფერი ვთქვათ მეცნიერზე, უნდა მიხვდეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში ასეთი ფაქტები ძეგლების „დაზიანებისა" განპირობებულია დროით და ბუნების სტიქიით და იმ რამდენიმე შემთხვევის გამო, როცა ადამიანი „შეურაცხყოფს" ძეგლს — უსაფუძვლოდ უნდა დააბრალო ყველაფერი სომხებს?!". აქედან გამოდის, რომ არა მარტო ნიკო ბერძენიშვილი ვერ არჩევდა, ესა თუ ის ქართული ძეგლი ადამიანის ხელით იყო დაზიანებული თუ ბუნების სტიქიის ძალით, არამედ ამ საქმეში ვერ ერკვეოდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ივ. როსტომაშვილი, ივ. გვარამაძე, გ. ბოჭორიძე და სხვანი, სამაგიეროდ მათზე უკეთ „ერკვევა" პოლიტოლოგი ალ. ქანანიანი. გამოდის ალ. ქანანიანი პალეოგრაფიაში უფრო განსწავლული ყოფილა, ვიდრე ქართული ისტორიული გეოგრაფიის ფუძემდებელი აკად. ნ. ბერძენიშვილი. ამ „უვიცობის", გამოა, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილი ჯავახეთის ქართული ძეგლების თავს დამტყდარ მთელ უბედურებას სომხებს მიაწერს. ასეთ აბსურდამდე მივიდა ალ. ქანანიანი საკვლევი თემისადმი სუბიექტური დამოკიდებულების გამო. მესმის, ქანანიანი თავის ჯიშსა და ჯილაგს იცავს სამარცხვინო საქციელისაგან, მაგრამ დაცვაც არის და დაცვაც. ასეთი უსუსური არგუმენტებით შეუძლებელია ნამუსი მოწმინდოს ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს. უმწეოა ეს მცდელობა და ღიმილის მომგვრელი, მწარე ღიმილის. ამგვარი საბუთიანობით, უფრო ზუსტად, უსაბუთობით ვერცერთი ჭკუათმყოფელი ვერ დაიჯერებს აკად. ნ. ბერძენიშვილის „უვიცობას" და, თუნდაც, სუბიექტურობას. მან ჩაიწერა დღიურებში ის, რაც თავისი თვა-

ლით ნახა ჯავახეთში. ჯავახეთში კი მან ნახა შემაძრწუნებელი სურათი იქაური ზოგიერთი სომხის მიერ ქართული ისტორიული ძეგლების ხელყოფისა და განადგურებისა. აქ არ ჩერდება ქანანიანი და ცდილობს, კანში გაძვრეს, რათა ზოგიერთი ჯავახელი სომხის დანაშაული გააქარწყლოს. ამიტომ გადაწვდა ჯავახეთში მცხოვრებ მუსულმანებს და ქართული ძეგლების განადგურება მათ გადააბრალა. ამასთან დაკავშირებით არ იქნება ზედმეტი იცოდეს ქანანიანმა, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მუსულმანები ქართულ ისტორიულ ძეგლებს მისი თანამემამულეებისაგან განსხვავებით შედარებით მორიდებით ეპყრობოდნენ. მოუსმინოთ ამ მხარის მკვიდრს, სასულიერო პირს და უანგარო საზოგადო მოღვაწეს „ვინმე მესხს" — ივ. გვარამაძეს — „ზოგიერთნი სომეხნი ასე დასჯერდნენ ჩვენს მამაპაპების სისხლით დაცულ პოხიერ მიწა-წყალს, მისგან მიღებული მრავალნაირი სიკეთე-სიმდიდრესა, დაძღნენ, გაღონიერდნენ, გაიმაგრეს ურთიერთობისაგან ზურგმხარი და უწყეს ნგრევა ჩვენ სათაყვანო ეკლესია-მონასტრებსა, სადაც შეძლეს დაისაკუთრეს, ხუცური წარწერები წაშალეს და თვითნებური ჯლაპნა დაუწყეს არა მარტო ეკლესიებზედ, იგივე ნაოხარ სოფლების ლოდებზედ და ქვებზედ, სადაც ვერ გაიტანეს ხელთ ეკლესიები, ნაწერი, ნახატი ქვები დაგლიჯეს და სასაფლაოები დაწეწეს. ბევრგან ქართული ნაწერით საფლავები დათხარეს და ძვლები ღელე-ხევებში გადაყარეს, როგორც საქელას კათოლიკეთა სასაფლაოს გარემო აღარ გააბოგინეს, ისე სხვაგან. დღემდის თუ ქურთები, თურქები, თარაქამეები, მაჰმადიანები კრძალვით და პატივისცემით ეპყრობიან ჩვენ ეკლესიებს და ზოგიერთი სომეხთაგანი კი მტრულად გვეპყრობა, სიმართლით წყინობს ბ. აკლდია (ბ. მირიანაშვილი ბ. ა.) მათ დაუნდობლობასა მღვდლით ერამდის, [illegible] ნი არა გვყავს თბილისსა ისაკუთრებენ, ასპინძა და აბასთუმანი რაღა სასსენებელია? (ჟურნალი „მოგზაური", 1901 № 2, გვ. 1035-36). ეს ამონარიდი ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს, საერთოდ, მთელი ისტორიის მანძილზე შემოსეულ მუსულმან დამპყრობლებს ქართული საკულტო ძეგლებისთვის ხელი არ ეხლოთ. არა, აქ ლაპარაკია სამცხე-ჯავახეთის ეკლესია-მონასტრებისადმი მათი ლოიალურ დამოკიდებულების შესახებ. სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მაჰმადიანების უმრავლესობა გამაჰმადიანებული ქართველები იყვნენ და ქართული საკულტო ძეგლებისადმი ინერციით მეტ მორიდებას იჩენდნენ ალბათ. ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი სომეხივით ძველ ქართულ წარწერებს არ ფხეკდნენ და მის ადგილზე არაბულად არ წერდნენ.

ივ. გვარამაძის მოტანილ ამონარიდში მოცემულია ობიექტური სურათი ზოგიერთი სომეხის მიერ ჯავახეთის ქართული ისტორიული ძეგლების ბარბაროსული განადგურებისა. ამ სტრიქონებს სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი და ამ საშინელებათა თვითმხილველი წერს და არა ვიღაც გადამთიელი, გამვლელი მოგზაური. მიაქციეთ ყურადღება შემდეგ სიტყვებს — „ДЛЕМДІС ქურთები, თურქები, თარაქამეები, მაჰმადიანები კრძალვით და პატივისცემით ეპყრობიან ჩვენ ეკლესიებს და ზოგიერთი სომეხთაგანი კი მტრულად გვეპყრობიან" ივ. გვარამაძე ხომ აკად. ნ. ბერძენიშვილი არ არის, მას რომ არაობიექტურობა დასწამოთ, ტენ-

დენციურობა დააბრალოთ. ღვთისმსახური იყო და შეწუხებული წერს იმ ვანდალიზმზე, რომელსაც სჩადიოდა (სამწუხაროდ ახლაც სჩადის) ზოგიერთი სომეხი სამცხე-ჯავახეთში და არა მარტო აქ. ქართული ისტორიული ძეგლების სომხების მიერ განადგურებისა ან მისაკუთრების შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვენს მონოგრაფიაში — „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!“ 1996 წ. ქართ. ინგლ. და რუს. ენებზე. ამ წიგნში სპეციალურად არ შევიტანე აკად. ნ. ბერძენიშვილის ჯავახურ დღიურებში აღწერილი ქართულ ძეგლთა დაზიანების ფაქტები, რადგან ფართოდ იყო ცნობილი. სამაგიეროდ, მოვიყვანე არცთუ ნაკლებად ცნობილი ანალოგიური მასალა, როგორც ძველი ისე ახალი პერიოდული გამოცემებიდან. ასევე საკმაოდ ვრცლად მოვიტანე მ. თამარაშვილის დ. ბერძენიშვილის, გ. ბოჭორიძის, მ. ბერიძის, ვ. სილოგავას და სხვა ქართველ და უცხო ავტორთა ნაშრომები, რომლებშიც აღნუსხულია უამრავი ფაქტი ქართულ ძეგლთა ხელყოფისა. თუმცა სჯობია მივყვეთ ალ. ქანანიანს, რომლის „ბრალდება“ აკად. ნ. ბერძენიშვილისადმი აღნიშნულით არ ამოიწურება. აი, ისიც — „ნიკო ბერძენიშვილი მხოლოდ ქართული სიძველეების განადგურებას როდი გვაბრალებს. 1933 წელს ჯავახეთში ყოფნისას მას ხან ანტიქართული განწყობა ელანდება (არ ეკადრება ახალგაზრდა ქანანიანს განსვენებული ქართველი მეცნიერის ასე უდიერად მოხსენიება), ხან ანტისაბჭოთა შეთქმულება. მისი ექსპედიციის დღიურები მშვენიერი სახელმძღვანელო იყო НКВД-სათვის (გასული საუკუნის 30-იან წლებში ასე ეწოდებოდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს — ბ. ა.) პატრიოტულად განწყობილი განათლებული ჯავახელების ფიზიკურად განადგურებლად. ავტორი სოფლებს და ოჯახებსაც კი ასახელებს, სადაც მას (მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქართველია?!) ლუკმაპური და წყალი დაუკავეს, და ატარებს აზრს, რომ ასეთი ადამიანების მიმართ აუცილებელია ზომების მიღება“. ბოლო ამონარიდიდან ჩანს ალ. ქანანიანი არაორაზროვნად მიანიშნებს თითქოს აკად. ნ. ბერძენიშვილის დღიურები НКВД-სთვის გამიზნული მასალა იყო. ე. ი. დაბეზღება, დანოსი. ეს არის მტკნარი სიცრუე. ეტყობა ალ. ქანანიანი არ იცნობს აკად. ნ. ბერძენიშვილის — „საქართველოს ისტორიის საკითხების“ პირველი ტომის წინასიტყვაობას. მასში აღნიშნულია, განსვენებული მეცნიერი არც ფიქრობდა დღიურების პუბლიკაციას და ამიტომ „არც უფრთხილდებოდა და არც გამოსაქვეყნებლად ამზადებდა“ (გვ. 7) ეს დღიური გამოქვეყნდა 1964 წელს. ამ ხნის განმავლობაში დღიურები დაცული იყო არქივში და დღის სინათლე იხილა დაწერიდან 31 წლის შემდეგ. ასე რომ, ეს დღიურები იყო მეცნიერული მასალა და მას სხვა დანიშნულება არ ჰქონდა, ამიტომ ქართველ მეცნიერს, მის მიერ ჯავახეთში დანახული საშინელების აღწერით გაღიზიანებულნი, ნუ მიაწერთ იმას, რაც აზრადაც არ მოსვლია. ისე, კაცმა რომ თქვას, არ შეიძლებოდა ქართველ მეცნიერს, ზოგიერთი სომეხის მიერ ჯავახეთის ქართული ისტორიული ძეგლების ხელყოფით შეძრულს, თავისი აღშფოთება და გულისტკივილი გამოეხატა და უბის წიგნაკში ჩაეწერა? ეს დღიურები რომ გამოიცა, დიდი ხნის გადავლილი იყო სისხლიანი 37 წელი და მის ამ დროს (1964 წ.)

გამოქვეყნებას არ შეეძლო ვინმესთვის თუნდაც ჯავახეთის ქართული ძეგლების ვანდალურად გამანადგურებელი სომეხისთვის ზიანი მოეტანა. სამწუხაროდ, რადგან, ამ უკეთური საქმის ჩამდენი, სომეხი იქნება, ქართველი, ან სხვა ეროვნება, დასჯის ღირსია. თუმცა რა უნდა ელაპარაკო მეცნიერ-პოლიტოლოგს, რომელიც ქართული ძეგლების შემმუსვრელ სომეხს პატრიოტს უწოდებს და ხელს აფარებს, ხოლო ზოგიერთი ჯავახელი სომეხის მიერ ქართველი მეცნიერის მიმართ გამოჩენილ არასტუმართმოყვარეობას, სიძუნწეს ამართლებს, ყოველ შემთხვევაში არ კიცხავს. აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ სიმართლის თქმით გაწიწმატებული ალ. ქანანიანი ტყავში ძვრება — თვისტომს ნამუსი მოწმინდოს. ეს კი არის ასე, მაგრამ თუ იცის, ალ. ქანანიანმა, რომ მისმა უფროსმა თანამემამულემ, აკად. ი. ორბელმა საციმბიროდ გაწირა აკად. გ. ჩუბინაშვილი. მან ქართველი მეცნიერი საქართველოს ცეკაში დააბეზღა (ეს ხომ იგივე ჩეკაში ჩაშვება იყო) და მოითხოვა მისი კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით დასჯა. ეს აკად. ი. ორბელმა გააკეთა იმიტომ, რომ არ გამოსულიყო აკად. გ. ჩუბინაშვილის ცნობილი წიგნი — „ჯვრის ტიპის ძეგლები". თუ ალ. ქანანიანი, დაინტერესდება ამ სამარცხვინო ისტორიით, დაწვრილებით შეუძლია გაეცნოს ჩვენს წიგნს — „ერთი ეპიზოდი ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიიდან, ანუ როგორ გაწირა აკად. გ. ჩუბინაშვილი რამდენიმე საბჭოთა მეცნიერმა" (2000, ქართ. და რუს. ენებზე). ვიდრე აკად. ნ. ბერძენიშვილის დღიურზე რიხიანად დაიწყებდა ლაპარაკს, სჯობდა გასცნობოდა აკად. ი. ორბელის, რბილად რომ ვთქვათ, არასანაქებო საქციელს. და თუ ამის გამო აკად. გ. ჩუბინაშვილი დაპატიმრებას გადაურჩა, ამას უნდა ვუმადლოდეთ აკად. ს. ჯანაშიას უდიდეს ავტორიტეტს.

ალ. ქანანიანმა ჯავახეთის ისტორიაში წიაღსვლები გააკეთა და ყველაფერი ყირამალა დააყენა, იმიტომ, რომ ეთქვა — 1829-1830 წლებში ერზერუმის სომეხთა გადმოსახლება ჯავახეთში იყო სომხეთის ტერიტორიის ერთი კუთხიდან მეორეში სომეხთა „მიგრირება" და სხვა არაფერი. ამით, ქანანიანმა, თავისი ჭკუით, ჯავახეთი სომხური მიწის ორგანულ ნაწილად აქცია, იქ არსებული ქართული ისტორიული ძეგლები კი სომხურად. იცის, ეს რომ სიცრუეა, მაგრამ ამას გარკვეული ძალების კარნახით აკეთებს. თუ რა მიზნით, შემდეგ მოგახსენებთ. მაშ ასე — ალ. ქანანიანი ნემსის ყუნწში ძვრება და ცდილობს დაამტკიცოს, ჯავახეთში სომხური მოსახლეობა ადრიდანვე კომპაქტურად იყო დასახლებულიო. იმას, ძველადვე სომხური ეთნიკური მასა რომ არსებობდა ჯავახეთში, არც ქართველი მეცნიერები უარყოფენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს სადაც სომეხი ფეხს დაადგამს, ის ქვეყანა სომხური იყოს. სომხურ კოლონიებს სად არ შეხვდებით — ინდოეთში, აღმ. ევროპაში, საფრანგეთში და ამერიკაში. გამოდის, ეს ქვეყნები სომხური ყოფილა, რადგან იქ ადრიდანვე სომხური დიასპორა იყო. მაგ. ლოს-ანჟელესში უამრავი სომეხი ცხოვრობს, ერთხანს მისი შტატის გუბერნატორი სომხური ეროვნების კაცი იყო. ამ ქალაქში სომხური ტაძარიც აშენდა, რომელიც სრულიად სომეხთა კათალიკოსმა ვაზგენ I-მა აკურთხა. ალ. ქანანიანის (და არა მარტო მის) ლოგიკას თუ გავყვებით, გამოდის ლოს-ანჟელესი სომხური ქალაქია და ამერიკა სომხეთი. აღარას ვამბობ ინ-

ლოეთში მადრასის ცნობილ სომხურ კოლონიაზე XVIII-ს-ში. აი, სადამდე მიდის ზოგიერთი სომხის ამბიციურობა და ზღვარგადასული პატრიოტიზმი...

ალ. ქანანიანს და სომეხ მეცნიერთა ერთ გუნდს მიაჩნია — IX ს-დან არტანუჯელი ბაგრატიონების დინასტიის ძლიერ ზეწოლას განიცდის ჯავახეთის სომხობა — ამიტომ — „მართლმადიდებლობას იღებს და ქართველდება. ქალკედონური რწმენის ფეოდალები აშენებენ ეკლესიებს, სადაც ღვთისმსახურება წმინდა ბერძნული იყო, ოღონდ ქართულად აღესრულებოდა". ძნელია შენი სიმართლე დაუმტკიცო კაცს, რომელიც არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს და ისე აკეთებს თვითნებურ დასკვნებს. სამცხე-ჯავახეთის ქართველ თავადაზნაურთა და გლეხთა პროზელიტობა ალ. ქანანიანის ფანტაზიის ნაყოფია. ამ ფანტაზიას „კვებავს" ზოგიერთი მეცნიერის მოძველებული „თეორია" სამხრეთ საქართველოში გაქალკედონებული სომხების არსებობის შესახებ. შესაბამისად ამ მხარის ქართულ ხუროთმოძღვრებას აცხადებენ სომხურად. ეს „შეხედულება" მკაცრად გააკრიტიკა და საფუძველშივე უარყო აკად. ს. ჯანაშიამ «Об одном примере искажения исторической правды» (По поводу книги Н. Токарского — «Архитектура древней Армении», 1947, Тбилиси)». ეს იმდენად აკადემიური და სამართლიანი კრიტიკა იყო, რომ დღემდე ფაქტობრივად პასუხი ვერ დაიწერა. ამრიგად, თუ ამ უსაფუძვლო თეორიას გაყვება ალ. ქანანიანი, მაშინ შოთა რუსთაველის ანევდოტურ სომხობის მტკიცებასაც ჩქარა დაიწყებს თუ უკვე არ დაუწყია.

საქართველოს ეკლესია არის მართლმადიდებელი ქრისტიანული, ქალკედონური ეკლესია, ისევე როგორც ბერძნული, რუსული, სერბიული და მრავალი სხვა. ქართველმა ხალხმა მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგია ისე შეისისხლხორცა, ისე გაითავისა და გააეროვნულა, რომ [illegible] ქრისტიანულ ეროვნულ სარწმუნოებად იქცა. ყოველ შემთხვევაში ქართული მართლმადიდებლური, დიოფიზიტური სარწმუნოებისათვის მკრეხელური არვის უწოდებია ეჯიმიაწინის გარდა. სომხური მონოფიზიტური სარწმუნოება კი ერეტიკულად არის გამოცხადებული არამარტო ქართულ, არამედ მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ქრისტეს ღვთიური მადლი მართლმადიდებლობაზე გადმოდის... ქართულ ქრისტიანობაზე და, საერთოდ, უცხო რელიგიურ აღმსარებლობას რომ შეეხებით ქანანიანო კორექტული უნდა იყოთ, რათა ნებსით თუ უნებლიეთ სხვათა რელიგიური თავმოყვარეობა და გრძნობები არ შეილახოს. ისე კი სჯობია თავი გაანებოთ გადაკრულ-გადმოკრულებს და ირონიას ქართულ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ლაპარაკის დროს.

ალ. ქანანიანი ჩვეული ზერელობით წერს: — „ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ქართული ეპიგრაფიკა ჯავახეთში IX საუკუნეში გამოჩნდა და XIV ს-ში შეწყდა. XIV ს-დან იქ მხოლოდ სომხურ ეპიგრაფიკას ვხვდებით. თუნდაც ის ფაქტი, რომ 70-მდე შემონახული საფლავის ქვაზე მხოლოდ ორს ამშვენებს ქართულენოვანი წარწერა (დანარჩენი სომხურია), თვალსაჩინოს ხდის, რომ ქართველთა მრავალსაუკუნოვანმა პოლიტიკურმა ბატონობამ ვერ შეარყვნა ჯავახეთის ეთნიკური სახე. ქალკედონიზმის მიმდევრებმა და გაქართველებულმა სომხებმა თურქეთის ბატონობის დაწყებისთანავე

მიიღეს ისლამი. სომხური მოსახლეობა კი უმძიმესი წნეხის გამო თანდათან შემცირდა". ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ სომხების შემცირების (XVI-XVIII სს) ეშმაკური ხერხი გამოიგონა ალ. ქანანიანმა, ეს რომ ასე არ არის, თვითონაც იცის, მაგრამ რა ქნას, ძალიან სურს დაამტკიცოს ჯავახეთის სომხურობა და ამის გამო, ვინ იცის, რას არ კადრულობს. რაც შეეხება რაღაც 70-მდე სომხურ საფლავს, ეს ზღვაში წვეთია ქართულ უძველეს საფლავებთან შედარებით, რომლებითაც მოფენილია მთელი სამცხე-ჯავახეთი. კაცმა რომ თქვას, ქართული საფლავების აღრიცხვაც კი გაჭირდება, თუ საქმე-საქმეზე მიდგება. ასე რომ, ეს ვერაფერი საბუთია, ალ. ქანანიანის „შეხედულების" განსამტკიცებლად. ასეთი „საბუთები" საწინააღმდეგოს მეტყველებენ. ვთქვი და იძულებული ვარ, გავიმეორო — ამ საუკუნეებში (XVI-XVIII სს) ტაო-კლარჯეთსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მონოფიზიტი და კათოლიკე სომხები არავითარი წნეხის ქვეშ არ ყოფილან, რადგან ეჯიმიანინის „მოხერხებით" თურქეთის სულთანმა გამოსცა ფირმანი (ბრძანება), რომლის ძალითაც მათი — ჯავახელი სომხების გამუსულმანება აიკრძალა. სამაგიეროდ მთელი მრისხანება დაატყდა ამ მხარის მკვიდრ მართლმადიდებელ და კათოლიკე ქართველებს, რომელთა გამაჰმადიანება ხდებოდა სასტიკი ძალისმიერი ხერხებით. აქვე ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც — სულთნის ფირმანის ძალით ქართველი თუ არ გამაჰმადიანდებოდა, მაშინ მას შეეძლო სომხურ კათოლიკურ რიტაზე მოქცეულიყო და ხელშეუხებლობა გარანტირებული ჰქონდა. ამიტომ ქართველი კაცი გამაჰმადიანებას არჩევდა გადასულიყო კათოლიკურ სარწმუნოებაზე, მაინც ქრისტიანული რელიგია იყო. ამით ისარგებლეს სომხის კათოლიკე მღვდლებმა და ამგვარი ქართველების სომხად [illegible] დაიწყეს. გვარები გადაუკეთეს [illegible] გააასომხეს. ისეთებმა ვისაც არც გამაჰმადიანება და არც გასომხება სურდა, მიატოვეს მშობლიური სამცხე-ჯავახეთი და თავი შეაფარეს ზემო იმერეთსა და ქართლს... ე. ი. სინამდვილეში მოხდა პირიქით. ქართველთა რიცხვმა ხელოვნურად იკლო და სომხებმა ხელოვნურად მატება დაიწყეს ქართველთა ხარჯზე. აღნიშნული ყველა სიცრუე ქანანიანს დასჭირდა დასკვნისათვის, რომელიც ასე ჩამოაყალიბა — „ამრიგად, 1830 წელს ჯავახეთში სომეხი მოსახლეობის გადასახლება უნდა განვიხილოთ არა როგორც საქართველოს ტერიტორიის „კოლონიზაცია", არამედ „სომხური მოსახლეობის მიგრაცია მისი ერთი რეგიონიდან მეორეში". ფაქტია, მთელი სტატია ამ ყალბი დასკვნისათვის დაიწერა. სომეხი ავტორი ყოველნაირად ცდილობს მკითხველი დააჯეროს, რომ ჯავახეთი არის სომხური მიწა და ჯავახეთის ავტონომიის მოთხოვნა კანონიერია და ისტორიულადაც გამართლებულია... აქვე შევნიშნავ — ივ. ჯავახიშვილის აზრით ავტონომია სომხების მოგონილია და მიზნად ისახავს საბოლოოდ ჯავახეთის სომხეთთან მიერთებას...

ახლა კვლავ სომხური ეპიგრაფიკის თაობაზე ჯავახეთში. ალ. ქანანიანი ამაყად აცხადებს — „ქართული ეპიგრაფიკა ჯავახეთში IX ს-ში გამოჩნდა და XVI ს-ში შეწყდა. აქ მხოლოდ სომხურ ეპიგრაფიას ვხვდებით". აქ კი იგი ან შეგნებულად ატყუებს მკითხველს ან მართლა არ იცის. საქმე ისაა, ჯავა-

ხეთში ქართული ეპიგრაფიკა IX სდან კი არ ჩანს, არამედ გაცილებით ადრე — VI-VII საუკუნეებში დასტურდება (დ. ბერძენიშვილი — „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან“ ზემო ქართლი-თორი-ჯავახეთი, 1985 წ. გვ. 129). ასეთი ადრეული სომხური ეპიგრაფიკა ჯავახეთში არ არის.

სტატიის მეორე ნახევარი ქართველი ისტორიკოსების კრიტიკას ეძღვნება. კერძოდ — სუბიექტივიზმია დადანაშაულებული ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის მესაძირკვლე და უმწიკვლო პიროვნება ივ. ჯავახიშვილი. ბ-ნ ივანეს „ბრალს“ სდებს ქანანიანი იმაში, რომ 1918-1919 წლებში საქართველო-სომხეთის სასაზღვრო დავის დროს თითქოს არაობიექტურობა გამოიჩინა. რას იზამ, ქაღალდი ყველაფერს იტანს... მივყვეთ ოპონენტის მოხმობილ ფაქტებს და არგუმენტებს. მან „აბსურდული“ უწოდა ივ. ჯავახიშვილის და ქართველი მეცნიერების შემდეგ შეხედულებას — „სომხები პრეტენზიას აცხადებდნენ საქართველოს დიდ ნაწილზე, მათ შორის თბილისის, გორის, კახეთის მიმართ“. ქანანიანი ირწმუნება — „არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური, თუნდაც პროგრამული დოკუმენტი სომხური მხარისა, სადაც გამოთქმული იქნებოდა მსგავსი პრეტენზია“. მე მინდა მას შევახსენო ერთი დოკუმენტი — გერმანიის დამარცხების შემდეგ უმწეო დღეში ჩავარდნილი ოსმალეთი საფრანგეთსა და ინგლისს დაემორჩილა (1918 წ.). სტამბოლში და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ინგლისელების და მისი მოკავშირეების საოკუპაციო ჯარი რომ შემოვიდა, სომხეთის რესპუბლიკის დაშნაკურ მთავრობას და პოლიტიკურ წრეებს დიდი სომხეთის აღდგენის იმედი გაუჩნდა: „დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ დროს 1918 წელს სტამბოლში დაბეჭდა სომხეთის (ვითომც ისტორიული) ფანტასტიკური რუკა, ოღონდ ეს ... შავი ზღვითგან კასპიის ზღვაზე გადაჭიმული და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით შავ ზღვამდე მდებარე ადგილთაგან ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს და სელეკიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილთაგან ქ. არდევილის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით ამ სრულიად სომხეთის საზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება; გათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და ტფილისიც კი ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა, ვიწრო ზოლიღა აქვს მიკუთვნებული“ (ხაზგასმა ყველგან ჩვენია ბ. ა.) კარგი, ამას წერს ქანანიანის მიერ „შერისხული“ ივ. ჯავახიშვილი. მაგრამ დოკუმენტს — სომხურ რუკას სადღა წაუხვალთ. იგი ინახება სომხეთის ისტორიის ინსტიტუტში ერევანში. მიბრძანდით და ნახეთ მასზე სომხეთის დაშნაკური მთავრობის მიერ განახლებული საქართველო. ეს არის „აბსურდი“?.. კიდევ მეტი, ამავე დროს (1918 წ.) სტამბოლში „ვითომ ისტორიული“ ფანტასტიური სომხური რუკის მიხედვით გამოვიდა ახალი სრულიად სომხეთის სახელმწიფოს რუკა. ყურადღება მიაქციეთ — სახელმწიფო რუკა, რომელზეც სომხეთი თითქმის იმავე ფანტასტიური, ისტორიული რუკის საზღვრებშია ფარმოდგენილი. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ, სომხეთის სახელმწიფო ამ სიდიდის არასდროს ყოფილა. XI საუკუნიდან იგი პოლიტიკურადაც აღარ არსებობდა. ეს რუკები — როგორც ერთი, განსაკუთრებით მეორე არ არის დოკუმენტი სომხეთის დაშნაკური მთავრობის საქართვე-

ლოსადმი უსაზღვრო და უსამართლო ტერიტორიული პრეტენზიებისა? აქვე მინდა ვთქვა — არის დოკუმენტი, რომელიც ქაღალდზე რჩება და აღსრულებაზე არავინ ფიქრობს. აქ გამონაკლისთან არ გვაქვს საქმე, რადგან სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ თავი გამოიჩინა და სომხურ სახელმწიფო რუკაზე მოხაზული საქართველოს ტერიტორიის დაპყრობას პრაქტიკულად და ოპერატიულად შეუდგა. 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში ომის გამოუცხადებლად, ვერაგულად სომეხთა დაშნაკური მთავრობის ჯარი საქართველოს შემოესია. ეს მოხდა ინგლისის საოკუპაციო ჯარის უფროსის გენერალ უოფესთან ჩუმი შეთანხმებით. ინგლისის მხარდაჭერით გათამამებულმა სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ თავისი საგარეო საქმეთა მინისტრის პირით საქართველოს ულტიმატუმი წაუყენა და მოსთხოვა ქართლის საზღვრამდის უკან დაეხიათ. სომხები ქართლად გორის მაზრას სთვლიდნენ. ამდენად, ეს ულტიმატუმი გულისხმობდა თბილისის დაცლას. აქ ისევ უნდა დავიმოწმოთ ქანანიანისაგან „დაწუნებული“ ივ. ჯავახიშვილი: „... ეს მოთხოვნა ზემოაღნიშნული სომხეთის ორ რუკათაგან ყველაზე უფრო ფანტასტიური, ვითომ ისტორიული რუკის საზღვრის აღდგენას ლამობდა. ოსმალეთში საქმის წაგებას (სტამბოლის კონფერენციაზე თურქეთის წარმომადგენელმა ერთ წუთში ამხილა სომხური რუკების სიყალბე. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლობამ, მიუხედავად მათი სურვილისა, სომხებს მხარი ვერ დაუჭირა, სომეხ პოლიტიკოსთა მადა საქართველოს წასართმევად და დასაკუთრებისათვის არამც თუ არ დაუკარგვინებია, პირიქით, გაზარდა კიდეც — ძველი სომხეთის ვითომც ისტორიული საზღვრების აღდგენა საქართველოს და ქართველი ხალხის ხარჯზე უნდოლათ ეხლა რომ მოხერხებულიყო“ („ივანე ჯავახიშვილის არქივიდან“((გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1988, № 43). ნეტავი აღნიშნული სომხური რუკები არ არის დოკუმენტი იმისა, რომ სომხეთის დაშნაკური მთავრობა ფართო მასშტაბის, უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა საქართველოს მიმართ? დაშნაკების მიერ წამოწყებულმა ამ ძმათასისხლის ღვრამ სომხეთს წარმატება ვერ მოუტანა. ქართულმა ჯარმა გამანადგურებელი შეტევა განავითარა და მიუახლოვდა ერევანს. მაგრამ კვლავ ინგლისის საოკუპაციო ჯარის სარდლობამ ქართული ჯარის ძლევამოსილი სვლა შეაჩერა და შუაში ჩადგა. ისიც ვიცით ახლა გამოჩნდნენ სომეხი ვაი-ისტორიკოსები და „ამტკიცებენ“ ვითომ სომეხთა ჯარმა თბილისიც კი აიღოვო და ა, შ. ამგვარი ყალბი ისტორიებით ფონს ვერ გახვალთ, ხალხს თვალში ნაცარს ნუ აყრით, სიმართლეს ვერ დამალავთ... ხსენებული სომხური დაშნაკური ე. წ. ისტორიული და სახელმწიფო რუკა არის ერთ-ერთი სამარცხვინო დოკუმენტი ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობის ისტორიაში.

ახლა ვნახოთ პარიზსა და სან-რემოს კონფერენციაზე რა პრეტენზიებით გამოვიდნენ სომეხი დაშნაკი პოლიტიკოსები — „1919 წელს სომხეთის დელეგაცია პარიზში დაჟინებით ითხოვდა სომხეთის საკუთრებაში ეცნოთ სამხრეთ საქართველოს ტერიტორია და მიეცათ მისთვის შავ ზღვაზე გასასვლელი, სწორედ ამ დროს დაიბეჭდა პარიზში

სომხეთის სახელმწიფო რუკა, სადაც მის საზღვრებში მოქცეული იყო მტკვრის მთელი მარცხენა მხარე გორისა და თბილისის ჩათვლით.

ამიერკავკასიის საკითხი იდგა სან-რემოს კონფერენციაზე, რომელიც 1920 წლის აპრილში შეიკრიბა სან-რემოში. თავისი ძველი პრეტენზიებით კვლავ გამოვიდა დაშნაკური სომხეთის დელეგაცია, რომელმაც მოითხოვა ბათუმის ოლქის ნაწილი, სახელდობრ ჭოროხის მხარე, რათა რკინიგზით შავ ზღვაზე გასასვლელი ჰქონოდა. საქართველოს დელეგაცია წინ აღუდგა ამ უკანონო მოთხოვნებს, გააქარწყლა მათი საბუთიანობა" (ა. და პ. სურგულაძეები — საქართველოს ისტორია (1783-1990, 1992 წ. გვ. 222, 223). როგორც ვხედავთ, დაშნაკებს გვარიანი მადა ჰქონიათ ქართული ტერიტორიების მისაკუთვნებლად. მათზე ნაკლები მადა არ აღმოაჩნდა სომეხ ბოლშევიკ ხელმძღვანელებს, რომელნიც საბჭოთა პერიოდში ანალოგიურ დაშნაკურ მოთხოვნას უყენებდნენ საქართველოს საბჭოთა მთავრობას. პრეტენზიის ობიექტი კვლავ ჯავახეთი იყო (დაწვრილებით იხ. ბ. არველაძე — „დაშნაკებს არც არაფერი დავიწყებიათ და არც არაფერი უსწავლიათ", 2002 წ. ქართულ ენაზე).

ალ. ქანანიანი ვერაფრით ვერ შეგუებია იმ ფაქტს, რომ ძირძველი ქართული მიწა — ჯავახეთი საქართველოს ეკუთვნის. ამიტომ ახლა ასეთი „წყალგაუვალი" არგუმენტი წამოაყენა — „ის გარემოება, რომ სომხეთს მრავალი საუკუნის მანძილზე გაუქმებული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და ჩრდილო სომხეთის ზოგიერთი კუთხე ნახევრად დაშოუკიდებელი ქართული პოლიტიკური წარმონაქმნების შემადგენლობაში შედიოდა, არ აძლევს საქართველოს უფლებას, ეს ტერიტორიები ისტორიულ კუთვნილებად გამოაცხადოს. შეუცნობელია გზანი ისტორიისა — ალბათ, [illegible] ჯავახქი, რომლის სომხური სახე [illegible] საუკუნეებში დასუსტდა, მე-19 საუკუნეში კვლავ აღდგა, როგორც წმინდა სომხური რეგიონი". რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ. — აღარას ვიტყვი, ჯავახეთის უხსოვარი დროიდან ქართულობაზე, მასზე უკვე ვილაპარაკე. მაგრამ ჯავახეთის ქართული მიწის მე-19 ს-ში კოლონიზაციის საკითხს საჭიროა ორიოდე სიტყვით მაინც შევეხო. ჯერ ერთი, გზანი ისტორიის შეცნობადია, გააჩნია ვინ და როგორ განიხრიკავს მას, ს. კარაპეტიანის და ალ. ქანანიანის მსგავსთათვის ისტორია აყალო მიწაა. როგორც მათ მოეპრიანებათ, ისეთ ფორმას აძლევენ. ალ. ქანანიანმა ჯავახეთის ისტორია ზილა, ზილა და მისგან სომხური მხარე გამოიყვანა. ეს ოინბაზობა დასჭირდა იმისათვის, რომ ჯავახეთში სომეხთა კოლონიზაციის ისტორია თავდაყირა დაეყენებინა. „მე-19 საუკუნეში (ჯავახეთი) კვლავ აღდგა, როგორც წმინდა სომხური რეგიონი..." აქვე ვიტყვი — ქანანიანი არ არის პირველი, ვინც ჯავახეთის მიწის სომხურობას ამტკიცებს. აი, მაგალითად, 1829-1830 წლებში მეფის რუსეთის ნებით, გენერალმა პასკევიჩმა ერზერუმის სომხობა გადმოასახლა ჯავახეთში (40000 ოჯახი) მათ წინ მოუძღოდა ეპისკოპოსი კარაპეტი (ბაგრატუნი). როცა მოასალშენეთა პირველმა ნაკადმა ჯავახეთის ქართულ მიწას ფეხი დაადგა, კარაპეტმა ეპისკოპოსის ჯოხი მიწას სამჯერ დაჰკრა და თქვა— „ჩემი ხალხი სომხურ მიწიდან მშობლიურ სომხურ მიწაზე მოვიდაო". ამ ეპისკოპოსმა ძალიან ბევრი გა-

აკეთა ჯავახეთის მიწაზე სომხების დასამკვიდრებლად და ყოველგვარი ძირძველი ქართულის ამოსაძირკვად. ღღეს კი ჯავახეთის სომხობამ ისარგებლა ქართველთა რბილი რაინდიზმით და ქართველთა მტრის ეპისკოპოს კარაპეტს ძეგლით „დაამშვენეს“ ახალქალაქი?! ...მაგრამ ისევ ქანანიანის მიერ „შერისხულ“ ივ. ჯავახიშვილს მივუბრუნდეთ—„რუსეთის მთავრობიდან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისთანავე რუსთ ხელმწიფის წარმომადგენელნი, ერთი მხრივ სომეხთა დაწინაურება, ხოლო მეორე მხრით რუს ნასალდათართა დასახლებით ქართველთა მოსახლეობის ინტერესების შელახვასა და მიწა-წყლის ეთნოგრაფიულად აჭრელებით, ქართველთა მოსალოდნელი პოლიტიკური მოძრაობისაგან უზრუნველყოფას ცდილობდნენ. სომხები მათ აპოლიტიკურ ხალხად ჰყავდათ მიჩნეული და ამასთანავე თავიანთ ერთგულებად სთვლიდნენ. უკვე 1828 წლითგან მოყოლებული, როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და იქ მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამოსახლოთაგან აყარა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხიმერეთიდგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთთაგან გადმოსახლებულ სომეხთაგან 40000 მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 90 პროცენტს აღემატებოდა, 1832 წელს უკვე რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობით სომეხნი იქცნენ“. (იხ. ჩვენი პუბლიკაცია. ივ. ჯავახიშვილის არქივიდან, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1988, №43). აქვე იმასაც დავსძენ, ამბობდნენ გრაფ პასკევიჩს სომეხთა ეს მიგრაცია უანგაროდ არ ...ეგებიაო... სიმართლე არ აინტერესებს ალ. ქანანიანს, რადგან მისი „ნაშრომის“ მიზანია არა სიმართლე ჯავახეთის ისტორიის შესახებ, არამედ ამ სიმართლის გაყალბება და, რაც მთავარია, ამ მხარის სომხურად გამოცხადება. მაგრამ ამით არ ამოიწურება ალ. ქანანიანის — ამ XXI საუკუნის ხანჯიანის დაშნაკური აგრესიული ზრახვანი საქართველოსადმი. ასე, ხელის ერთი დაკვრით, ჯავახეთი მიისაკუთრა თავის ჭკუით, ახლა ქვემო ქართლს მიადგა და ორიოდე სტრიქონით ეს პრობლემაც „გადაჭრა“, რა თქმა უნდა სომხეთის სასარგებლოდ — „ჩრდილოაღმოსავლეთი გუგარქი ბოლნოფორი, ქვიშაფორი, წობოფორი, კოლმოფორი, მანგლიაცფორი (ანუ დღევანდელი საქართველოს ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის რაიონები) პრაქტიკულად თურქული ეთნიკური ელემენტებით არის დასახლებული. თუმცა ასობით სომხური ეკლესია, მრავალი ასეული სომხური წარწერა (რომელთა უმრავლესობა უკვალოდ გაქრა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ქართველ მეცნიერთა „კვლევის“ შედეგად) ნათლად მეტყველებს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ძირითად ეთნიკურ ელემენტზე. ყოველ ათ შუასაუკუნოვან სომხურ ეკლესიაზე (რომლებიც, ფაქტობრივად, უბრალო ნაგებობებია, უბრალო ხალხის ნაშენი) ერთი ქართული ეკლესია მოდის — დიდი და მდიდრული. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართულ ეკლესიებს სახელმწიფო აშენებდა, ამკვიდრებდა რა სომხურ ტერიტო-

რიეგზე ბიზანტიურ მართლმადიდებლობას. მიუხედავად ყოველივე ამისა, დაშნაკები მხოლოდ სომხებით დასახლებულ ჯავახეთსა და ლორეს მიერთებას მოითხოვდნენ სომხეთისათვის".

ალ. ქანანიანს გული სწყდება, „სომხური" მიწა — დმანისის, თეთრიწყაროს, მარნულის რაიონები — ხონჩით რატომ არ მიართვეს საბჭოთა სომხეთს. ამის საფუძველს ხედავს ჩამოთვლილი ქართული რაიონების „სომხურ" სახელწოდებებში... ქვემო ქართლი ანუ გოგარენი — სომხები გუგარქს რომ ეძახიან, არის უძველესი ქართული მიწა. მასში შედის გარდა ჩამოთვლილი რაიონებისა ქართული ღორე — ტაშირი საბჭოთა სომხეთი რომ უსამართლოდ დაეპატრონა ბედოვლათი ქართველი ბოლშევიკების წყალობით. გოგარენის ქართულობა დადასტურებულია თვით ძველ სომეხ ისტორიკოსებთან — აგათანგელოსი, მოვსეს ხორენაცი; ჰოვჰანეს დრასხანაკერტცი, უხტანესი, სომხურ გეოგრაფიაში „აშცარაცუიც" და სხვ. ნ. მარს გოგარანი მიაჩნია იბერთა სატომო -სახელად. აკ. შანიძე კი თვლიდა — ქართული „გოგარანი" ნაწარმოებია მეგრეულ-ჭანური — არ — წარმომავლობის სუფიქსით — „გოგ-არ" — ნიშნავს „გოგელს", ხოლო „გოგ-არ-ანი" — გოგარეთს. გუგარქი რომ გოგარანიდან მოდის, ეს ჩანს იქიდან, რომ რუსეთის გენერალური შტაბის ხუთვერსიან რუკაზე (1828 წ.) ფამბაკის ხეობაში აღნიშნულია სოფელი — „გოგარანი". ამჟამად ეს სოფელი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაშია მოქცეული, ეს ქართული ტოპონიმი გაასომხურეს, გადაარქვეს სახელი და უწოდეს ბ ო ბ ა რ ძ(?!).

ქვემო ქართლის ისტორიული ბედი კი ასე წარიმართა — სტრაბონის ცნობით, მოღონიერებულმა სომეხთა სამეფომ — გოგარენი ქართლს წაართვა ძვ. წ. II ს-ის დასაწყისში, ხოლო ახ. წ. I-II ს. ს. მომძლავრებულმა ქართლის სამეფომ თავის კუთვნილი გოგარენი უკან დაიბრუნა და სომხეთის სამეფოს დაპყრობაც სცადა. უდავოდ ანგარიშგასაწევია სომხური გეოგრაფიის (VII ს.) ცნობა — ქვემო ქართლის კანტონად დაყოფის შესახებ, მაგრამ ეს თხზულება ასახავს იმ ხანას, როცა გოგარენი სომხებს ჰქონდათ ანექსირებული (ძვ. წ. II ს-ის დასაწყისი). და არა გვიან I-VII ს-ის სურათს, როცა ეს მხარე ქართლის სამეფოს დიდიხნის წინ ჰქონდა დაბრუნებული. ანალოგიური ვითარება იყო ჯავახეთშიც. და რაოდენ გულსატკენია, სომეხი ისტორიკოსები ამ ფაქტს რომ ვერ შერიგებიან და გაუგონარი სიკერპით ქვემო ქართლს, ჯავახეთს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მესხეთს „ისტორიულ სომხეთად" ნათლავენ და ეპოტინებიან. ალ. ქანანიანიც იმეორებს თანამემამულე მეცნიერთა ამ აბსურდულ აზრს და სუბიექტური დასკვნები გამოაქვს. არანაკლებ საკვალალოა ალ. ქანანიანის უსაფუძვლო განცხადება — თითქოს პირველადია ტოპონიმი — ბოღნოფორ, წობოფორ და სხვა, მეორადია ბოლნისი, მანგლისი და სხვა. ეს მხარე — ქვემო ქართლი — როგორც ვთქვით, ერთხანს სომხეთს ჰქონდა დაპყრობილი და ამ პერიოდში ზოგიერთი ქართული ტოპონიმი შესაბამისი სომხურით შეიცვალა. ამ მოვლენაში განსაკუთრებული არაფერია. ასეთი ტოპონიმური ტრანსფორმირება სხვა ქვეყნების ისტორიულ გეოგრაფიაში ვეხვდება. როგორც კი აღდგა ქართლის სამეფოს იურისდიქცია ქვემო ქართლში, ბუნებრი-

ვად მოხდა ქართული ტოპონიმიის რესტავრაციაც უმრავლეს შემთხვევაში: „ფრიად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გუგარქის და ტაიქის შემადგენელი კანტონის სახელწოდებანი „ფორ“ ტერმინით არის გაფორმებული, რომელიც ქართული „ხევის“ შესატყვისად იხმარება. საკუთრივ სომხური პროვინციების კანტონები კი, როგორც წესი, „ძორ“ ტერმინით არის გაფორმებული“ (თ. ს. „ჰაკობიანი „სომხეთის ისტორიული გეოგრაფია“, 1968, ერევანი; გვ. 260 — სქოლიო — 1, სომხურ ენაზე). ეს მოწმობს, რომ ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულთა ქართული ნომენკლატურა პირველადია, ხოლო სომხური თარგმანს წარმოადგენს. ეს ბუნებრივია, რადგან, როგორც ვიცით, გოგარენს — „გუგარქ“ და ტაო — „ტაიქ“ ძირეული ქართული პროვინციებია“. (აკად. დ. მუსხელიშვილი — „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“, 1980, გვ. 52, სქოლიო — 178).

როგორც ვხედავთ, ალ. ქანანიანის სურვილის მიუხედავად, ქვემო ქართლის ტერიტორიის არაქართულობა, ე. ი. სომხურად გამოცხადება ყოველგვარ ისტორიულ და რეალურ საფუძველს არის მოკლებული. ახლა ვნახოთ მისი „კომენტარი“ ქვემო ქართლის ეკლესიების შესახებ — „ყოველ ათ შუასაუკუნოვან სომხურ ეკლესიაზე (რომლებიც, ფაქტობრივად უბრალო ნაგებობებია, უბრალო ხალხის ნაშენები) ერთი ქართული ეკლესია მოდის — დიდი და მდიდრული, ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართულ ეკლესიებს სახელმწიფო აშენებდა, ᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲓᲐ ᲠᲐ ᲡᲝᲛᲮᲣᲠ (?!.. ბ. ა.) ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲣᲠ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ“. ჯერ ერთი ქართული და სომხური ეკლესიების ასეთი რიცხობრივი შეფარდება ქვემო ქართლში საიდან აიღო, წყაროს არ ასახელებს, მეორეც ამ ამონარიდის მიხედვით კიდევ ერთხელ იგი ბიზანტიელმდეგობაში ვარდება. და აი რატომ — სომხური ეკლესიების საცა და სოფლური ნაგებობანი მათ სიძველეს კი არ მოწმობს, არამედ სიახლეს. ისინი შუასაუკუნეებში (ამას ქანანიანიც არ უარყოფს) ქვემო ქართლში სომეხთა მასიური მიგრაციის შემდეგ აშენდნენ. ამ დიდი მიგრაციის მიზეზი კი ცნობილია: სომხეთს შუასაუკუნეებში დაეპატრონენ თურქმენთა ტომები, რამაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო სომეხი ხალხი. ამ დროს სომხური სახელმწიფო აღარ არსებობდა. რადგან ჯერ კიდევ XI ს-ში სომხეთის სამეფო დაიშალა. და ხალხიც შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნებში გაიფანტა... თურქმენებმა დაიკავეს სომხეთის ნაყოფიერი საძოვრები და სომეხი ხალხიც იძულებული გახდა მშობლიური კერა მიეტოვებინა და უცხო ქვეყნებისათვის შეეფარებინა თავი. ამ ქვეყნებიდან ყველაზე ახლოს იყო ქართლის სამეფო. სწორედ ამ ხანაზე მოდის სომეხ ლტოლვილთა მორიგი ტალღის შემოსვლა და დამკვიდრება ქვემო ქართლში, კახეთში, რაც შემდგომ საუკუნეებშიც გაგრძელდა, ასე რომ, ამ პერიოდში სომეხთა დასახლება ქვემო ქართლში არ ნიშნავს ამ მიწის სომხურობას. აქვე შევნიშნავთ, ამ პერიოდში სომეხთა მასიურ შემოსვლისა ქვემო ქართლში სომხური ეთნიკური ელემენტი არსებობდა. მის დასტურად იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაც“ კმარა. ერთი სიტყვით, საქართველოს ეს კუთხე იყო ოდითგანვე ქართველთა და სომეხთა სასაზღვრო რეგიონი. მაგრამ

მას სომხური მიწა უწოდო ქანანიანივით, ეს მეცნიერული ობიექტურობის და უბრალო პატიოსნების საზღვარს სცილდება. თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლნისის სიონი აშენებულია V ს-ში, მრავლისმეტყველი ფაქტია წესიერი ისტორიკოსისათვის. ამ დროსაა შესრულებული ბოლნისის სიონის უძველესი ქართული წარწერები (479—493 II 494 წწ). სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს ფაქტი მოწმობს ამ მიწის ძირძველ ქართულობას და იქ ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ოდითგანვე არსებობას. რაც შეეხება აქ სადა, უბრალო, პატარ-პატარა სომხური ეკლესიების სიმრავლეს, როგორც ვთქვით, ეს მათი უძველეს, ადრეული ხანიდან არსებობის მაუწყებელი კი არ არის, არამედ, პირიქით, ისინი აშენებულნი არიან შუა საუკუნეებში (ნაწილი გვიან საუკუნეებში), როცა მოხდა აღნიშნული ინტენსიური მიგრაცია სომეხი მოსახლეობისა ქვემო ქართლში. ლტოლვილი სომეხი კაცი ახალ ადგილზე მოიწყობდა თუ არა კერასცოტა მოღონიერდებოდა ეკონომიკურად და იწყებდა სოფლის შესაფერის მომცრო, ეკლესიის შენებას. ბუნებრივია ისიც, რომ ყოველი ახალმოშენე სომხური სოფელი ცდილობდა საკუთარი ეკლესია ჰქონოდა. ამის გამო, სულ არ არის გასაკვირი მათი სიმრავლე. აქვე შევნიშნავ იმასაც, რომ არამარტო ადრეულ პერიოდში შენდებოდა ქართული ტაძრები ქვემო ქართლში, არამედ შუა საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა (როცა სომეხთა მიგრაცია მოხდა) მათი მშენებლობა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ პერიოდში იყო დაქუცმაცებული და დანაწევრებული.

მიუხედავად შუა საუკუნეებში სომეხთა აქტიური მიგრაციისა ქვემო ქართლში, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაინც მკვიდრი ქართველობა რჩებოდა. ამას მოწმობს მოსახლეობის აღწერები. მაგ. თბილისის დავთრის მიხედვით 1727-1728 წწ სოფელ ბარძაბარის (დმანისის რაიონი) მცხოვრებთა უმრავლესობა ქართული იყო, უმცირესობა გაქართველებული სომხები და თარაქამები. ანალოგიური სურათია მეტწილად დანარჩენ ქართულ სოფლებშიც.

ალ. ქანანიანს მოსწონს, ჯავახეთი XIX საუკუნეში რომ „კვლავ აღდგა, როგორც წმინდა სომხური რეგიონი". (თუ როგორ „აღადგინეს" მეფის რუსეთის მეშვეობით, უკვე ვაჩვენეთ), მაგრამ არ ეჭაშნიკება— „პრაქტიკულად (ქვემო ქართლი ბ. ა.) თურქული ელემენტებით რომ არის დასახლებული" — წერს და იქვე ცილს სწამებს ქართველ მეცნიერებს — „ასობით სომხური ეკლესია, მრავალი ასეული სომხური წარწერა, (რომელთა უმრავლესობა უკვალოდ გაქრა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ქართველ მეცნიერთა „კვლევის" შედეგად").

თუ როგორ განადგურდა ზოგიერთი სომხის მიერ (არც მეცნიერებს დაუკლიათ ხელი) ქართველი ეკლესიები, უძველესი ქართული წარწერები ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, ამ ვანდალიზმის შესახებ უკვე აღვნიშნე.

ალ. ქანანიანი ხშირად უწოდებს ქართულ მართლმადიდებელ ქრისტიანულ ეკლესიას ბერძნულს. ეს არ ახალია და ორიგინალურობას ვერ დაიკვეხნის. ამასვე აკეთებს მისი თანამემამულე ს. კარაპეტიანი — „სომხური ეკლესიები საქართველოში" (1995 წ.) ამ ე. წ. რუკა-ცნობარში 650 „სომხური" ეკლესია აქვს დაფიქსირებული. ნახევარზე მეტი ქართული ეკლესიები სომხუ-

რად აქვს გატანილი (ამის შესახებ იხ. ბ. არველაძე — „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?! (ქართ. და რუს. ენებზე, 1996 წ. აგრეთვე გამოვიდა ინგლისურად 2002 წელს). ამ „ნაშრომში“ კარაპეტიანი ყოველნაირად ცდილობს ქართული ეკლესია არ ახსენოს, მაგრამ როცა იძულებულია ამა თუ იმ ქართულ ეკლესიას შეეხოს, ქართულის მაგიერ წერს — ბერძნულს. აი, მას გამოუჩნდა მიმბაძველი ქანანიანის სახით, რომელიც „არ ცნობს“ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და მას რაღაც მაზოხისტური სიამოვნებით ბერძნულს უწოდებს. არ შევუდგები ქართველი მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და ეკლესიის თავისთავადობის მტკიცებას. იგი ისედაც ცნობილია. ერთს კი ვიტყვი — მართალია, ქართული და სომხური ეკლესიების გზები დიდი ხნის წინ გაიყარნენ, მაგრამ დღეს საქართველოს საპატრიარქოსა და ეჯიმიაწინის სომხურ საკათალიკოსოს შორის ნორმალური, საქმიანი, მე ვიტყოდი, მეგობრული ურთიერთობა არსებობს. ეტყობა, ალ. ქანანიანი ახალგაზრდა კაცია და ამიტომ თავს ნებას მივცემ ვურჩიო — ქართულ-სომხური ურთიერთობის ნებისმიერი სფეროს კვლევის დროს მეტი კორექტულობა გამოიჩინოს, ხოლო ამა თუ იმ რელიგიის შეფასებაში სიფრთხილეა საჭირო. არ დაგვავიწყდეს, სარწმუნოება ერის სულიერების ხატი და წმინდათაწმინდა რამ არის, ადამიანის ცოდვილი ხელი მას ეგრერიგად არ უნდა შეეხოს.

მოტანილი ფაქტებისა და არგუმენტაციის შემდეგ, ვფიქრობ, საფუძველი აქვს გამოცლილი მის შემდეგ „გულუბრყვილო“ განცხადებას — „მიუხედავად ყოველივე ამისა, დაშნაკები მხოლოდ სომხებით დასახლებულ ჯავახქისა და ლორეს მიერთებას მოითხოვდნენ სომხეთისათვის“ ალ. ქანანიანის — „მიუხედავად ყოველივე ამისა“ — მართალია, ქვემო [illegible] ტაოკლარჯეთი და ა. შ. წმინდა სომხური მიწებია, მაგრამ დაშნაკებმა ვერ გამოიჩინეს პრინციპულობა და მარტო ჯავახეთი და ლორე-ტაშირის ტერიტორიები „მოთხოვეს“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

რამდენად სამართლიანი იყო ეს „მოთხოვნა“?.

ქართული მიწის — ლორეს სომხეთისათვის გადაცემის მოკლე ისტორია ასეთია — როცა სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ განიცადა მარცხი საქართველოსთან ბრძოლაში, მაშინ გაფორმდა საქართველოსა და სომხეთს შორის საგანგებო შეთანხმება. ამ შეთანხმების ძალით ბორჩალოს მაზრის ლორეს ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. მის ჩრდილოეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო ქართული ჯარის შენაერთი, სამხრეთში კი სომხური.

ეს შეთანხმება მართალია, დაიდო, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა შეუპოვრად მოითხოვდა საქართველოსთან შეერთებას. ამის საბუთია 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების სახელზე შედგენილი ლორეს მოსახლეობის ოფიციალური მიმართვა — „უხსოვარ დროს მართლმორწმუნეთა ტაძრები, ძეგლები და სასაფლაოები, რომლებიც ჩვენში აქამდე უვნებლადაა დაცული, უეჭვოდ ამტკიცებს, რომ ლორეს სამუსლიმანო რაიონი მუდამ ეანუყოფელი ნაწილი იყო საქართველოსი და ამ რაიონის მოსახლეობა ბურჯად იდგნენ საქართველოს საზღვრების სიმტკიცისათვის.

საქართველოს მთავრობა ლორეს რაიონს რატომღაც ვითომდა სადაო ტერიტორიად თვლის საქართველოსა და სომხეთს შორის, რაც ძლიერ დამღუპველ მდგომარეობაში გვაყენებს. ჩვენ ტფილისთან ვართ დაკავშირებულნი ეკონომიურად, პოლიტიკურად, სულიერად და ყოველმხრივ. ამიტომ მისგან ჩამოშორება არ შეგვიძლიან. ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, ყოველგვარი ზომები მიიღოს ჩვენს დაუყოვნებლივ საქართველოს ტერიტორიისათვის მისაერთებლად. (გაზეთი „ჯორჯიან ტაიმსი", 2003, № 5. ჯაბა სამუშია „სტალინმა სომხეთს ლორეს ოლქი დაუთმო"). ამგვარი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში ნებისმიერი გონიერი მთავრობა დაიკავებდა ლორეს ტერიტორიას. ეს არ გააკეთა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და აღებულ ვალდებულებებს პუნქტუალურად ასრულებდა. მან ლორეს სადაო ტერიტორია მხოლოდ სომხეთის დაშნაკური მთავრობის თხოვნით დაიკავა 1920 წელს. მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმიის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის დროს — 1921 წელს ისარგებლეს არეულობით და სომეხი ბოლშევიკები უცერემონიოდ დაეპატრონენ ლორეს. ამით მათ მადა გაეხსნათ და ლორეს მისაკუთრების შემდეგ ჯავახეთს წაეპოტინენ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს არ გამოუვიდათ. სამაგიეროდ ამჟამად ცდილობენ დაშნაკები „შეცდომის გამოსწორებას" და ჯავახეთს კვლავ მიუბრუნდნენ.

აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა — ვის სჭირდება დღეს ამ საკითხის ხელახლა წამოჭრა? ვის უნდა აფხაზეთის ტრაგედია ჯავახეთში განმეორდეს და უდანაშაულო ხალხის სისხლი დაიღვაროს? არ არის ძნელი ამის მიხვედრა. მაგრამ საინტერესოა ის, რომ ამ მესამე ძალის მსახური და მონა-მორჩილი ალ. ქანანიანია, რომელმაც მათი დავალება ბევჯითად შეასრულა, რათა ქართველი და სომეხი ხალხი ჯავახეთის გამო წაკიდოს. ეს მესამე ძალა ყველა ღონეს ხმარობს, რათა მოხდეს დესტაბილიზაცია საქართველოში. რის შედეგადაც შეწყდეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთსადენის მშენებლობა, გაზსადენის მილის გაყვანა და სხვ. ეს ყველაფერი გამოიწვევს იმას, რომ ამერიკა უარს იტყვის საქართველოსთან თანამშრომლობაზე, დახმარებაზე და ა. შ. ერთი სიტყვით, მესამე ძალას — რუსეთს არასდიდებით არ უნდა შედგეს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ მიზნებს ემსახურება რუსეთის სპეცსამსახურის დაკვეთით შესრულებული ალ. ქანანიანის პროვოკაციული ე. წ. „ნაშრომი"... ასე დაიწყეს აფსუა და ოსმა სეპარატისტებმა, ვაიმეცნიერებმა მტკიცება იმისა, რომ ისინი მოსულები კი არ არიან ქართულ მიწაზე, არამედ აბორიგენები „ბრძანდებიან". შეთხზეს ვითომ მეცნიერული ისტორიები და სხვა. რა საბედისწეროდ დამთავრდა ყოველივე ეს ქართველთათვის, დღეს ვხედავთ. ამიტომ დასაწყისშივე უნდა ვამხილოთ მეცნიერ-პროვოკატორები — ს. კარაპეტიანი, ალ. ქანანიანი და მათი მსგავსნი. სააშკარაოზე უნდა გამოვიტანოთ და ამოვშანთოთ მათი ავი ზრახვები და არ მივცეთ საშუალება ბოროტების ფესვმა იხაროს და წელი წამოიღოს.

საქართველოს შეცდომის უფლება აღარ აქვს!

ნიკოლოზ ბერდიაევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო

ზაურ კიღაძემ

საუფლო სულისა და საუფლო კეისრის

●

სულიერი კულტურის, სულიერ ღირებულებათა, რელიგიურის, შემეცნებითის, მორალურისა და ესთეტიკურის შემოქმედება არისტოკრატიულია და სულიერი არისტოკრატიის არსებობას ვარაუდობს. სულიერი არისტოკრატია უკლასო საზოგადოებებშიც იქნება. მისი გაქრობა იქნებოდა მაუწყებელი ხარისხის გაქრობისა. ხარისხი — არისტოკრატიულია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სულიერი კულტურა არსებობს მხოლოდ მცირეოდენთათვის. დიდ მოღვაწეთა შემოქმედებას, მაგ., ჩვენთან პუშკინისა და ტოლსტოის, საერთო სახალხო მნიშვნელობა აქვს. გაფრთხილებთ, აღრევა არ მოგვიდეთ, დღეს რომ სულ ყოველთვის ხდება. საერთო სახალხო შემოქმედება სულაც არ ნიშნავს კოლექტიურ შემოქმედებასა და შეკვეთილ შემოქმედებას. საერთო-სახალხოს არაფერი არ აქვს საერთო კოლექტიურთან, დიდი შემოქმედი ყოველთვის ინდივიდუალურია, არც არავის და არც არაფერს მორჩილებს, და თავისი ინდივიდუალური შემოქმედებით ხალხის სულის გამომხატველია; ის უფრო მეტად გამომხატველია ხალხის სულისა, ვიდრე თავად ხალხი თავისი კოლექტიური ცხოვრებით, და ყოველი შემოქმედი თავისუფალია, მიმძლავრება გაუსაძლისია მისთვის. თავისუფლებაში ანხორციელებს ის თავის სამსახურს, როდესაც შემოქმედი უთავისუფლებოდ ასრულებს თავის შეკვეთას, მაშინ შემოქმედების პროდუქტი იქნება მხოლოდ უნიჭო და არარაობა. ასეთი სახის აქტიურობა შემოქმედების სფეროს კი არა, პოლიციის სფეროს განეკუთვნება. თუკი საკმაოდ შესაზიზღარ თანამედროვე გამოთქმას გამოვიყენებდით, შეიძლებოდა გვეთქვა, ვირგილიუსი ასრულებდა კეისარ ავგუსტუსის სოციალურ შეკვეთას, მაგრამ ასრულებდა თავისუფლად, შინაგანი ძალისხმევით, შემოქმედებითი ცეცხლით მოცული.

დასასრული. დასაწყისი იხ. 2003 წ. № 5-6.

სწორედ ამიტომ შექმნა მან გენიალური ნაწარმოები. XIX ს. რუსული ლიტერატურა სულ მუდამ იყო სამსახურისა და სწავლების ლიტერატურა, და ჩვენთვის სასაცილოა, როდესაც ვკითხულობთ, თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში „engagement"[15] რაღაც ახალიაო. სარტრი თავის სტატიებში ლიტერატურაზე ხანდახან იმას ამბობს, რასაც 60-იანი წლების რუსეთში ამბობდნენ რუსი კრიტიკოსები ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, მაგრამ ის ამას უფრო დახვეწილი ფორმებით გამოხატავს. საბოლოოდ ხდება დაბრუნება კულტურასა და ლიტერატურაზე მარქსისტულ კლასიკურ თვალსაზრისთან. რაფინირებული დეკადანსისგან ასე უნდათ თავის გადარჩენა. კულტურული ელიტა დიდ კრიზისს განიცდის, ჩვენი დროის მასობრივ სოციალურ მოძრაობაში მას გაქრობა ემუქრება. მრავალგზის ვწერდი მე უკვე ამაზე: იზოლაცია, ამპარტავნობა, ზიზღი ღალუპვამდე მიგვიყვანს. მხოლოდ სამსახურის გაწევის შეგნებას შეუძლია გადარჩენა. გენიოსი ხალხის ბედ-იღბლის გამომხატველია, ხოლო დიდ სიმაღლეზე კაცისა და სამყაროს ბედ-იღბლის. მაგრამ მეორე მხრით შეგუებისა და თავისუფლების დაკარგვის საშიშროებაა. შემოქმედმა უპირველეს ყოვლისა და მეტად უნდა დაიცვას თავისი შემოქმედებითი თავისუფლება. მხოლოდ ამ თავისუფლების მეშვეობითაა შესაძლებელი სამსახური და გამოხატვა ხალხის ბედ-იღბლისა. ერთნაირად ცრუა იზოლირებული ინდივიდუალიზმი და მექანიზებული წარმოებითი კოლექტივიზმი. სიტყვა „კოლექტივიზმი" სრულიად უნდა გამოვრიცხოთ. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ის კომიუნოტარულობის კარიკატურაღაა. კომიუნოტარულობა ყოველთვის თავისუფალია, კოლექტივიზმი იძულებაა. რაოდენობის გულისთვის არ უნდა დაქვეითდეს შემოქმედებითი ხარისხი. კულტურის შემოქმედთა საქმე უნდა იყოს არა შეგუება მასობრივ სოციალურ მოძრაობასთან, არამედ ამ მოძრაობის კეთილშობილება, შეტანა მასში არისტოკრატიული საწყისისა. ხალხი თავის მოწოდებას გამოხატავს თავის შემოქმედებაში და არა უსახურ კოლექტიურობაში. მსოფლიო კულტურის ისეთი დიდი მოვლენები, როგორიცაა ბერძნული ტრაგედია ან კულტურული რენესანსი, როგორიცაა XIX ს. გერმანული კულტურა ან XIX ს. რუსული ლიტერატურა, სულაც არ იყო იზოლირებულ ინდივიდუუმთა ნაშობევი და შემოქმედთა თვითტკბობის ნიმუში. თავისუფალ შემოქმედებით სულთან იყო დაკავშირებული ხსენებული მოვლენები. ხალხის სამსახური ხალხისავე შემოქმედებითი მოღვაწეობაა. სულიერი კულტურის შემოქმედება სულ ყოველთვის ნიშნავს ღირებულებათა იერარქიის დაცვას, იმ ერთადერთი იერარქიისა, რომლის გამართლებაც შეიძლება. ამას ჩვენ სამართლიანობის ღირებულებასთან და თავისუფლების ღირებულების შეჯახებასთან მივყავართ, თანამედროვე მსოფლიო ეპოქის ძირითადი თემა ეს არის.

ახლა ძალიან უყვართ სოციალური სამართლიანობის ღირებულების დაპირისპირება თავისუფლების ღირებულებასთან და არჩევანს გვთავაზობენ, საზოგადოების ცხოვრების ეს ძირითადი ღირებულებანი გეოგრაფიულად ასეა განლაგებული: საბჭოთა რუსეთი — სოციალური სამართლიანობისათვის, ამერიკა — თავისუფლებისათვის. ამიტომ კონფლიქტს გარდაუვალად თვლიან. ამასთან, თავისუფლება თითქმის სრუ-

ლიად კაპიტალიზმთან შეიქნა გაიგივებული. საკითხის ასეთ დაყენებას მთელი ძალით პროტესტი უნდა გამოვუცხადოთ. ჩემს ყურადღებას იპყრობს არა დღევანდელი პოლიტიკური ციებ-ცხელება, არამედ სამართლიანობისა და თავისუფლების მარადიული საკითხი. არსებითად, თავისუფლებასა და იმის წინააღმდეგობრიობაზე მომდევნო თავში ვისაუბრებთ. მაგრამ შეიძლება კი თავისუფლებისა და სამართლიანობის დაპირისპირება? თავისუფლება რალაც უფრორე მეტად ოდინდელია, ვიდრე სამართლიანობა. უპირველეს ყოვლისა სამართლიანობა-იუსტიცია სულაც არ არის ქრისტიანული იდეა, კანონიკურობით ცხებულია და მადლსაა მოკლებული. ქრისტიანობამ წარმოაჩინა სამართლიანობის იდეა კი არა, არამედ სიმართლის იდეა დიდებული რუსული სიტყვა „правда" სხვა ენაზე სათანადოდ ვერ გამოიხატება. სიმართლე-სამართლიანობის ძალადობით უცილობლად განხორციელება შეიძლება თავისუფლებისათვის ძალიან არასასურველი იყოს ისევე, როგორც ფორმალური თავისუფლების დამკვიდრებამ შეიძლება უდიდესი უსამართლობანი შვას. ადამიანის ცხოვრების წინააღმდეგობის გამოაშკარავება ეს არის. ასეთივე წინააღმდეგობა და კონფლიქტი შეიძლება იყოს თავისუფლებასა და სიყვარულს შორის, სიყვარულსა და სამართლიანობას შორის და სხვა ამდაგვარი. ადამიანის ცხოვრების ტრაგიზმი, უპირველეს ყოვლისა, სიკეთისა და ბოროტების კონფლიქტში კი არ არის, არამედ დადებით ღირებულებათა კონფლიქტშია. თავისუფლების სახელით შეიძლება ადამიანმა მსხვერპლად სიყვარული გაიღოს, სოციალურ სამართლიანობას შეიძლება თავისუფლება უმსხვერპლოს, სიბრალულის გულისთვის შეიძლება მსხვერპლად მიიტანონ მეცნიერული მოწოდება და ა. შ. მაგრამ ეს სულ ველაფერი იმას კი არ ნიშნავს, რომ ადამიანური საზოგადოებრივ-ორგანიზებისას უთუოდ უნდა ავიქვათ თავისუფლებაზე ან უარი ვთქვათ სამართლიანობაზე. აუცილებელია მიველტვოდეთ თავისუფალ და სამართლიან საზოგადოებას. ვერც ვერავითარი სამართლიანობა იქნება უთავისუფლებოდ. ეს იქნება განყენებული სამართლიანობა, კონკრეტული ადამიანებისგან მიღმა მყოფი. სამართლიანობა ყოველი ადამიანისათვის მოითხოვს თავისუფლებას. ადამიანებისადმი სიბრალულის სახელით შემიძლია შევიზღუდო თავისუფლება, მაგრამ ამის გაკეთების სანს მე უნდა თავისუფალი ვიყო, მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს ამას ფასი. ფასი არ აქვს იძულებით მსხვერპლად მისვლას. და ცხოვრებისეული კონფლიქტების წინაშე ჩემი უკანდახევა თავისუფლების აქტი უნდა იყოს მხოლოდ. და არის თავისუფლება, რომელზეც ადამიანს არ შეუძლია უარი თქვას, თუკი ღირსების შენარჩუნება სურს — ეს არის სინდისის თავისუფლება, სულის თავისუფლება, სინდისის გაუცხოვება არც არაფრის გულისთვისაა შესაძლებელი, ის ზეობის მწვერვალზეა. ვერც ვერავითარ სოციალურ სამართლიანობას შეუძლია ამის მოთხოვნა. საკითხი ძლიერ კიდევაც იმით რთულდება, რომ მხედველობაში აქვთ არა მარტო სამართლიანი საზოგადოება, რომელშიც არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, არამედ ძმური, კომიუნოტარული საზოგადოება. ჩვენ აქ უდიდეს პრინციპულ განსხვავებას ვხედავთ. კანონს შეუძლია ადამიანს სამართლიანობა აიძულოს, მაგრამ არ შეუძლია ძმობის იძულება, სიბრა-

ლული, გულმოწყალება, სიყვარული თავისუფლების სიკეთით ცხებული საქმეა და არა კანონის იძულებისა. იძულების კანონს შეიძლება თავისუფლების საპირისპიროდ თვლიდნენ, მაგრამ არა თავად სამართლიანობის, და კიდევ უფრორე მეტად ძმობის. თავად იძულების კანონიც შეიძლება ადამიანური თვითნებობისგან თავისუფლების დამცველი გახდეს. მშრომელთა კლასებთან მიმართებით სამართლიანობის დამკვიდრება ნიშნავს სწორედ ამ მშრომელთა მასების ჩაგვრისგან განთავისუფლებას. XIX ს. უყვარდათ შრომის განთავისუფლებაზე ლაპარაკი, სოციალიზმს ადამიანის თავისუფლებასთან უკავშირებდნენ. თუ XX ს. ამჯობინებდნენ საუბარს გეგმიურ მეურნეობაზე, დირიჟირებაზე, ადამიანზე სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერების შესახებ, ძირითადად ამიტომ, ჩვენ ვცხოვრობთ იმ სამყაროში, რომელიც ორი მსოფლიო ომის შუა ხანაში შეიქმნა და მესამე მსოფლიო ომისთვის ვემზადებით. ჩვენ ვცხოვრობთ იმ სამყაროში, რომელშიც რევოლუცია ომის ტრანსფორმაციაღაა. ყველა ღირებულების განმსაზღვრელი ეს არის. ჩვენ ვცხოვრობთ ქაოტურ სამყაროში, რომელშიც თავისუფლება მეტისმეტ ფუფუნებად წარმოგვიდგება სამართლიანობისა და თავისუფლების პრობლემა სისუფთავით კი არ გამოირჩევა, ჭუჭყიან ატმოსფეროშია დაძირული. დაბოლოს, თანამედროვე სამყაროში აღარც სამართლიანობაა, აღარც თავისუფლება. ღირებულების საკითხი გამოუდევნია ბრძოლას ელემენტარული კეთილდღეობისთვის, თავად ცხოვრების შესაძლებლობისათვის. ცივილიზაციის მწვერვალზე მიმდინარეობს ელემენტარიზაცია, რომელიც რთულადღა წარმოგვიდგება.

კრიზისიდან შეიძლება სამი გამოსავალი ვივარაუდოთ: 1) ფატალური გამოსავალი. გრძელდება კოსმოსის დაშლა, ბუნებრივი კოსმოსისა და სოციალური კოსმოსის, გრძელდება კაპიტალისტური რეჟიმის გახრწნა, ზარზეიმი ატომური ყუმბარისა, ქაოსური მსოფლიო, ჰენრი მილერის შემოქმედებით წარმოჩენილი, დასაბამიერი ქაოსი კი არა, დასაწყისის კი არა, არამედ დასასრულის ქაოსია, ყველას ომიანობა ყველას წინააღმდეგ. მსოფლიოს დაღუპვაა ეს და ჩვენ ამას წინ უნდა აღვუდგეთ. 2) კოლექტივის ძალადობრივი, მექანიკური წესრიგი, ორგანიზებულობა თავისუფლებას ადგილს აღარ უტოვებს, მსოფლიოს დესპოტიზაცია. 3) ქაოსის შინაგანი დაძლევა, ტექნიკაზე სულის გამარჯვება, სოციალური სიმართლის განხორციელებასთან შერწყმულ ღირებულებათა იერარქიის სულიერი აღდგენა, დღემდე ზეობაა პირველი და მეორე გამოსავლის აღრევის. მსოფლიო თითქოსდა შედის პერიოდში ძალადობრივად ორგანიზებუ-ოდში ძალადობრივად ორგანიზებუ-მცირეოდნავაც ვერ მარცხდება. მესამე გამოსავალი, ერთადერთი სასურველი, ადამიანის თავისუფლებისკენაა მიმართული. ის არ შეიძლება ფატალური აუცილებლობის შედეგი იყოს. პირველ და მეორე გამოსავალსა და იმათ აღრევაში ადამიანი გარეგნულად თითქოსდა აქტიურია, მაგრამ შინაგანად პასიურია და ამასთან ღირებულებათა რაიმე იერარქიაზე საუბარი გამორიცხულია, სულიერი ღირებულებები უბრალოდ არც არსებობს. სულიერ ღირებულებათა უფსკრულში ჩაძირვა ეს არის. შეიძლება ასევე პესიმისტი ვიყოთ ერთ შემთხვევაში და მეორე შემთხვევაში ოპტიმისტი. სრული უაზრობაა იმის მოთხოვნა, რომ

დავამტკიცოთ სულიერ ღირებულებათა არსებობა და მათი ზეობა ეგრეთწოდებულ ვიტალურ ღირებულებებთან შედარებით. სულიერი ღირებულებანი უპირველეს ყოვლისა ჩემი თავისუფლების აქტით მტკიცდება. ყველაზე უფრო საჭირო, არ არის ყველაზე ღირებული. მაღალი სულიერი ღირებულებანი ქრება, როდესაც თავისუფლება იმათ დასამკვიდრებლად არ არის მიმართული. ადამიანი თავისუფალია მხოლოდ რეალობად აღიაროს მეტად მცირეოდენი, მეტად ზედაპირული სამყარო, ის თავისუფალია უარყოს თავისი თავისუფლება. რეალობის საკითხი ძალიან რთული საკითხია, მხოლოდ არაფილოსოფიური ცნობიერებისთვის ჩანს ის მარტივად ცხოვრება სიღრმესა და მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მისი სიმბოლური რეალიზმის მეშვეობით. გაგების ხანს ხილული სამყარო არის სიმბოლო არახილული სამყაროსი. არახილული სამყარო ჩვენს თავს მოხვეული და ჩვენზე მიმძლავრებული რეალობა არ არის, ის სულის თავისუფლებისკენ არის მიმართული. ამასთან თავისუფალი სული რასაც ქმნის, უფრორე რეალურიცაა.

თავი VI

თავისუფლების ფილოსოფია

თავისუფლების ფილოსოფია თავისუფალი აქტიდან იწყება, მანამდე კი ყოფიერება არ არის და შეუძლებელიცაა. ყოფიერებას საფუძვლად რომ ვარაუდობენ და აღიარებენ ყოფიერების პრიმატს თავისუფლებაზე, მაშინ სუყველაფერი იმითაა დეტერმინირებული, მაგრამ დეტერმინირებული თავისუფლება არ არის თავისუფლება. გარნა შესაძლებელია სხვა ტიპის ფილოსოფიაც, რომელიც ამკვიდრებს ყოფიერებაზე თავისუფლების პრიმატს, შემოქმედებითს აქტს. მხოლოდ მეორე ტიპია კეთილსასურველი თავისუფლებისთვის. მაგრამ შეუძლებელია თავისუფლების რაციონალური განსაზღვრა. ამას ბერგსონიც აღიარებდა. მეტაფიზიკის ორი, ინტელექტუალური და ვოლუნტარული ტიპიდან — პირველი არაკეთილსასურველია, მეორე კი კეთილსასურველი. მაგრამ ვოლუნტარული ფილოსოფიაც თავისთავად არ არის თავისუფლების ფილოსოფია. მკვეთრად რისი დამტკიცებაც შეიძლება, ის არის, რომ თავისუფლება სულია და არა ყოფიერება. იმას, რასაც ესენციას ან სუბსტანციას უწოდებდნენ, ქმნილებაა პირველადი ეგზისტენციალური აქტისა. თავისუფლებისათვის ინტელექტუალური ბერძნული აზრი ძალიან არაკეთილსასურველი იყო. სიკეთე გონებით იყო დეტერმინირებული. გონების პრიმატი და ბატონობა არ აღიარებდა თავისუფლებას. მე ახლა არა მაქვს შესაძლებლობა ანალიზი მოვახდინო სრული დამოკიდებულებისა შემთხვევას, ბედისწერას, განგებულობასა და მადლს შორის. მაგრამ ერთ დამოკიდებულებას კი უნდა ჩავურმავდე, დამოკიდებულებას თავისუფლებასა და მადლს შორის. დასავლურ ქრისტიანობაში რამდენიმე საუკუნეა ამ თემის ირგვლივ ცხარე კამათი მიმდინარეობდა. ოღონდ ჩემთვის მცდარია თავად თავისუფლე-

ბისა და მადლის დაპირისპირება ხსენებული დაპირისპირება ნიშნავდა მადლის ობიექტივირებას და იმის გაგებას ვითარცა გარედან მოქმედი ღვთაებრივი აუცილებლობისა. მაგრამ ის, რასაც მადლს ეძახიან, მოქმედებს ადამიანის თავისუფლების შიგნით ვითარცა მისი განათლება. ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ შემეცნებაში ლოგიკური აუცილებლობა და აუცილებლობა თავად სამყაროს სიცოცხლეში; მაგრამ თავად შემეცნებაში არ არის განსაკუთრებული ლოგიკური აუცილებლობა, რომელიც შემეცნების მხოლოდ ნაწილს მოიცავს. უსათუოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ირაციონალური შემეცნებაც არსებობს და დიდ როლსაც თამაშობს. მხოლოდ ამიტომაც შეიძლება ირაციონალურის შემეცნება. ეგრეთწოდებული რაციონალიზმი თავის თავში სრულიად ირაციონალურ ელემენტებს შეიცავს, ეს განსაკუთრებით მატერიალიზმზე უნდა ითქვას. თავისუფლების ფილოსოფიურად ახსნას ვოლუნტარისტული გაგების ვითარცა მიზეზიობრიობის აქტის მეშვეობით ცდილობდნენ (მაგ., მენ დე ბირანი, ლოპატინი); მაგრამ ვერ სწვდებოდნენ პრობლემის სიღრმეს. სიღრმე მოითხოვს ხელთუქმნელი თავისუფლების პირველადი არსებობის აღიარებას, რაიც ფსიქოლოგიური მიზეზიობრიობის მიღმაცაა. ეგრეთწოდებულ ნების თავისუფლებაზე ტრადიციულ სწავლას ყოველთვის პედაგოგიურ-მასწავლებლური ხასიათი ჰქონდა. ამ სწავლის მიხედვით განისაზღვრება ადამიანის პასუხისმგებლობა ამ ცხოვრებასა და სხვა ცხოვრებაშიც. მიუღებლად უნდა ვაღიაროთ გულგრილობის თავისუფლება, რაიც თავისუფლების მექანიზაციაა. თავისუფლების ჭეშმარიტი პრობლემა უნდა დავაყენოთ მიღმა ჯილდოსა და სარგებლის, გადარჩენის ან დაღუპვის, აგრეთვე, მიღმაც კამათისა ნეტარი ავგუსტინეს პელაგიოსთან, ლუთერისა ერაზმთან, ეს კამათი მიმდინარეობდა [illegible] სარგანგებულობის გამო, [illegible] ითავითვე, საკითხის დაყენებისთანავე უნდა უარვყოთ, უნდა უარვყოთ თავად სიტყვა და ცნება. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ ქრისტიანობის სამართლებრივი გაგების საზღვრებშია, კურთხევისა და გამართლების იდეის საზღვრებშია, სახეცვლილების იდეის სანაცვლოდ. თავისუფლების ნამდვილი პრობლემა შემოქმედების პრობლემაა. ჩემი წიგნის ჩანაფიქრის მიხედვით მე დაინტერესებული ვიქნები არა არსებითად თავისუფლების მეტაფიზიკური იდეით, არამედ, ძირითადად, სოციალურ ცხოვრებაში მისი შედეგების მიხედვით.

თავისუფლება ხშირად სტატიკურად ესმით, თუმცა კი ის დინამიკურად უნდა გავიგოთ. არსებობს თავისუფლების ბედი სამყაროში, სამყაროში თავისუფლების ეგზისტენციალური დიალექტიკა. თავისუფლება შეიძლება თავისი საპირისპირო გახდეს. მონობა შეიძლება შვას თავისუფლების ცრუ მიმართულებამ. თავისუფლების მეტადრე საერთო განსაზღვრება, ყველა კერძო განსაზღვრებას რომ მოიცავს, ეს არის, თავისუფლება ადამიანის განსაზღვრებისა არა გარედან, არამედ შიგნიდან, სულიდან. ადამიანში სულიერი საწყისი ჭეშმარიტი თავისუფლებაა, ხოლო სულის უარყოფა, ბოლომდე მოფიქრებული, — თავისუფლების უარყოფაა უცილობლად. მატერიალიზმს გარდაუვალად თავისუფლების უარყოფისკენ მივყავართ. თავისუფლება ჩაჭდეულია სულის საუფლოში და არა კეისრის საუფ-

ლოში. კეისარს არც არავისთვის უნდა თავისუფლების მიცემა. მხოლოდ კეისრის საუფლოს შეზღუდვის შედეგად მიიღება იგი. ობიექტივირებული სამყარო, რაიც არის კეისრის საუფლო, დამონებული სამყაროა. თავისუფლების სხვაგვარი განსაზღვრება ასე ხშირად რომ მიმართავენ, არის შინაგანი და გარეგნული თავისუფლების განსხვავება. ამბობენ, შინაგანად თავისუფალი შეიძლება იყოს ადამიანი მიჯაჭვულიც და მაშინაც, როცა კოცონს შეუნთებენ. ეს მართალია. მაგრამ შინაგანი თავისუფლება უფრორე რთულია, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ფიქრობენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანის შინაგანი ცხოვრებით არ არიან დაინტერესებულები ადამიანი შეიძლება მონა იყოს არა მარტო გარემოსეული სამყაროს, საკუთარი თავისაც, თავისი მდაბალი ბუნებისა. გარეგნულად მონების განთავისუფლება ჯერ კიდევ არ არის შინაგანი მონობისაგან განთავისუფლება. ადამიანი შეიძლება შინაგანად შეიქმნას მონა. სწორედ ეს არის იმისი მიზეზი, რომ რევოლუციებს ჩვეულებრივ არ მივყევართ ახალი თავისუფალი საზოგადოების შექმნისაკენ და ყოველთვისაა საშიშროება ძველ საზოგადოებასთან დაბრუნებისა. რევოლუციებში, ჩვეულებრივ, ყველაზე უფრო ნაკლებადაა თავისუფლება. თავისუფლების განსაზღვრება, ვითარცა არჩევანის, არის თავისუფლების ფორმალური განსაზღვრება, თავისუფლების ერთ-ერთი მომენტთავანია ეს მხოლოდ. ჭეშმარიტი თავისუფლება მაშინ კი არ გამოჩნდება, როდესაც ადამიანმა არჩევანი უნდა გააკეთოს, არამედ მაშინ, როდესაც უკვე გაკეთებული აქვს არჩევანი. ჩვენ აქ მივდივართ თავისუფლების, რეალური თავისუფლების ახალ განსაზღვრებასთან. თავისუფლება ადამიანის შინაგანი შემოქმედებითი ენერგიაა. თავისუფლების მეშვეობით ადამიანს შეუძლია შვას სრულიად ახალი ცხოვრება. მაგრამ ამასთან შეცდომა იქნებოდა თავისუფლების გაგება ცვეფარცა შინაგანი მიზეზიობრიობისა. თავისუფლება მიზეზობრივ დამოკიდებულებათა მიღმაა. მიზეზობრივი დამოკიდებულებანი ფენომენთა ობიექტივირებულ სამყაროშია. თავისუფლება კი გარღვევაა ამ სამყაროში. თავისუფლება მოდის სხვა სამყაროდან, წინააღმდეგობაშია ამ სამყაროს კანონთან და შემუსრავს მას. ერთნაირად არასწორია განვიხილოთ თავისუფლება როგორც მხოლოდ საშუალება კოლექტიური სოციალური წყობილების განხორციელებისა და განვიხილოთ თავისუფლება როგორც ოდენ სოციალურ წყობილებაზე დამოკიდებული. ჩვენ დავინახავთ, რომ თავისუფლების ფორმალურ და რეალურ გაგებაზე დამოკიდებულია სოციალურ ცხოვრებაში თავისუფლების წინააღმდეგობრიობანი. მეტად ადვილად მოპოვებული თავისუფლება, თუ ის გმირულ ბრძოლას არ მოითხოვს, გადაგვარდება და დაკარგავს თავის ღირებულებას.[16] გადაგვარებული თავისუფლება მხოლოდ უარყოფით ცნობიერებაშია გამოხატული, რომ ჩემ მიმართ არ არის გამოყენებული ძალადობა. თავისუფლების დაცემულობის უკიდურესი გამოხატულება ეს არის — „თავი დამანებეთ". თავისუფლება სულაც არ არის სიმსუბუქე, თავისუფლება ძნელი და სამძიმოა. თავისუფლება სამართალი კი არა, ვალდებულებაა, ლიბერალებს თავისუფლება ესმით როგორც სამართალი და არა ვალდებულება, და თავისუფლება მათთვის სიმსუბუქეა და უქონლობა შევიწროებისა. თავისუფლება ამიტომ გაბატონებული

კლასების პრივილეგიადაა გადაქცეული. უფრორე ღრმა გაგებით, თავისუფლება არის ადამიანის სრულწლოვანება, ღმერთის წინაშე მოვალეობის შეგნება ვიყოთ თავისუფალი არსება და არა მონა. თავისუფლების გმირული გაგება თავისუფლების ძველი ლიბერალური გაგების საწინააღმდეგოა. თავისუფლება წინააღმდეგობას ვარაუდობს, ის ძალის ჯამომზეურებაა. ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია, რათა ფორმალური არ იყოს, აგრეთვე, უნდა იყოს ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობათა დეკლარაცია. და უნდა გავამახვილოთ ყურადღება ადამიანზე, როგორც სულიერ არსებაზე, რაიც ჩვეულებრივ არ კეთდებოდა პოლიტიკურ რევოლუციებში. მეტადაა ცნობილი, რომ დემოკრატიებში შეიძლება სულაც არ იყოს ჭეშმარიტი თავისუფლება. რუსოს მიერ შთაგონებულ იაკობინურ დემოკრატიაში შეიძლება მკვიდრდებოდეს ტოტალიტარული სახელმწიფოს პრინციპი, სახალხო სუვერენიტეტის თვითმპყრობელობა. კაპიტალისტურ დემოკრატიებში ფულსა და მოსყიდულ პრესას შეუძლია საზოგადოების მართვა და რეალური თავისუფლების აღკვეთა, ამასთან, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციას რელიგიური წარმომავლობა ჰქონდა, ის რეფორმაციამ შვა სინდისის თავისუფლების მტკიცებით. მგრამ შემდგომ ამ რელიგიურ წარმომავლობასთან დაშორება მოხდა. ამიტომ შინაგანად გაუნთავისუფლებელი სულები ქმნიდნენ მონური საზოგადოების ახალ ფორმებს. ცრუ პროპაგანდა მასებზეა მიმძლავრებული. ხსენებულ პროპაგანდისკენ მიდრეკილ მასებს არა აქვთ შინაგანი თავისუფლება; და დემაგოგიური პროპაგანდით გამოწვეული გაბოროტება და სიძულვილი ადამიანებს შინაგანად მონებად გადააქცევს. თავისი მიზნებისთვის ამ მონურ გრძნობებს იყენებენ ხელისუფლებაცა და პარტიებიც. საუბარიც აღარ შეიძლება რომელიმე ნამდვილ დემოკრატიაზე. საზოგადოება ისეთი იქნება, როგორიცაა მისი შემადგენელი ადამიანები.

თავისუფლება როგორც არჩევანი და თავისუფლება როგორც შემოქმედებითი აქტი თავისუფლებათა ძირითადი განმსხვავებელია. მაგრამ არის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, ძირითადი საკითხი, რომელიც მაშინ წარმოგვიდგება, როდესაც საუბარია თავისუფლებაზე და მის გადაჭრაზეა დამოკიდებული მსოფლიოს თავისუფლების ბედი. სწორედ აქ გადავეყრებით ჩვენ ძნელად დასაძლევ წინააღმდეგობას. ეს არის თავისუფლებისა და ჭეშმარიტების საკითხი. შეიძლება კი თავისუფლება ჭეშმარიტების შეუმეცნებლად? სახარებაში ნათქვამია: „და სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამ განგათავისუფლოთ". ამით სავარაუდებელია, რომ ჭეშმარიტება, ჭეშმარიტი ჭეშმარიტება, ათავისუფლებს. სახარების ეს სიტყვები თანამედროვე სამყაროშია პერიფრაზირებული და მათ იმეორებს თავისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ტოტალიტარიზმი. მარქსიზმ-კომუნიზმი ამბობს: „შეიმეცნეთ მარქსისტულ-კომუნისტური ჭეშმარიტება და ის თქვენ გაგანთავისუფლებთ. ამ ჭეშმარიტების მიღმა არ არის თავისუფლება, იმის მიღმა სიცრუეა, ცრუ ფორმალური თავისუფლება, რომელსაც ამკვიდრებენ კაპიტალისტურ საზოგადოებებში". მარქსიზმის ჰეგელიანობასთან კავშირი რომ გვახსოვს, შეიძლება ვთქვათ, ჭეშმარიტების შემეცნება გვაზიარებს თავისუფლებას ვითარცა აუცილებლობას. ეს სრულიად საპირისპირო

თავისუფლების ქრისტიანული გაგებისა. ქრისტიანობისთვის თავისუფლება არის აგრეთვე გზა და ცხოვრება. ის არა მარტო გვაზიარებს თავისუფლებას, არამედ თავისუფლებაში გამომზეურდება კიდევაც. ჭეშმარიტებისთვის თავისუფლებაა საჭირო. სწორედ ქრისტიანობაა პირველადვე თავისუფლების ნამდვილი დამამკვიდრებელი. მოწამეთა სისხლით იყო აღბეჭდილი თავისუფლების ჭეშმარიტება. ქრისტიანობა ჯვარცმული ჭეშმარიტების რელიგიაა. ჯვარცმული რელიგია არ გვაიძულებს, ის თავისუფლებისკენაა მიმართული და ქრისტიანობის ღალატი იყო, როდესაც უნდოდათ იძულებით დაემკვიდრებინათ ქრისტიანული ჭეშმარიტება. დროთა დასასრულამდე რჩება ორი საუფლო. ქრისტიანობისა და იმპერიათა კონფლიქტი იყო კონფლიქტი სულისა და კეისრის, რაიც არც შეიძლებოდა ყოფილიყო ქრისტიანობამდელ კერპთაყვანისმცემლურ ცნობიერებაში. სახელმწიფო საკუთრება იყო თავის რელიგიაში ანტიკური ადამიანი. ვერანაირად ვერ იქნებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან მოწყვეტილი თავისუფლების სფეროები, თავისუფლება სულისა. ეს მონიზმია, რომელმაც არც შეიძლება იცოდეს ნამდვილი თავისუფლება. ვერ ვიტყვით, რომ ტოტალიტარიზმი ჩვენი დროის ახალი მოვლენაა სწორედ. ტოტალიტარული იყო ქრისტიანული თეოკრატია და იმპერიალიზმი და მონისტურად უარყოფდნენ სულის თავისუფლებას. ნაპოლეონის იმპერიალისტური რეჟიმი იყო ბოლომდე მიუყვანელი ტოტალიტარიზმი. მაგრამ ისტორიის ქრისტიანულ პერიოდში ტოტალიტარიზმი სულ ყოველთვისაა კერპთაყვანისცემლურ მონიზმთან დაბრუნება. ჰეგელის აბსოლუტური სახელმწიფო ვითარცა ხორცშესხმა სულისა ასევე იყო კერპთაყვანისმცემლობასთან დაბრუნება. ო. კონტის ავტორიტარულ რეჟიმზეც იგივე უნდა ვთქვათ, შეიძლება ის ულმერთო კათოლიკურობად დავახასიათოთ. ღმერთი თავისუფლების მტრად გამოაცხადეს და თავისუფლება ღმერთის იდეისგან გათავისუფლებული უნდა დაენახათ. ისტორიაში ამ შემზარავი სიცრუის თავიდათავი იყო ქრისტიანობა. თავისუფლების მტრად სულიც გამოაცხადეს და თავისუფლებისთვის კეთილსასურველად მატერიალიზმიც კი აღიარეს. ძნელია წარმოვიდგინოთ უფრო მეტი აბერაცია. თავისუფლება სულიერი საწყისის არსებობას ვარაუდობს, არც ბუნებით და არც საზოგადოებით დეტერმინირებული რომ არ არის. თავისუფლება არის ადამიანში სულიერი საწყისი. თუკი ადამიანი ბუნებით და საზოგადოებით სრულიად დეტერმინირებული არსებაა, მაშინ ვერც ვერავითარი თავისუფლება იქნება. მატერიალიზმი თავისუფლების სრული უარყოფაა და არც არავითარი თავისუფლება იცის მატერიალიზმზე დამყარებულმა სოციალურმა წყობილებამ. ჩვენ ამას პრაქტიკულად ვხედავთ. თავისუფლება უპირველეს ყოვლისა პიროვნების თავისუფლებაა პიროვნების ღირებულების უარყოფით. იმის რეალობაში დაეჭვებულნი ვერც ვერავითარ თავისუფლებაზე ვიტყვით რამეს. პიროვნება საზღვარია ბუნების, სახელმწიფო ძალაუფლების, საზოგადოების ძალაუფლების. მაგრამ პიროვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუკი ადამიანი თავისუფალი შემოქმედებითი სულია, რომელზეც კეისარი ყოველისშემძლე არ არის.

პრობლემის სირთულე იმის სოციალურ შედეგებშია, იმაში, რომ მასების საშუალო ადამიანი, არსებითად, მაინცდამაინც არ აფასებს თავისუფლებას. და მასების რევოლუციური მოძრაობა სულაც არ მიელტვის თავისუფლებას. ადამიანმა თავისუფლებისთვის რომ იბრძოლოს, თავისუფლება მასში უნდა იყოს და ის შინაგანად არ უნდა იყოს მონა. დემაგოგია, რომლითაც სულ ყოველთვის მიმართავენ მასებს, ადამიანებისათვის თავისუფლების წართმევაა, ფსიქოლოგიური მიმძლავრებაა ისტორიაში აქტიურად შესული მასების მართვა სულაც არ არის ადვილი. არსებითად თავისუფლება არისტოკრატიულია და არა დემოკრატიული. გულისტკივილით უნდა ვაღიაროთ, აზრის თავისუფლება ძვირფასია იმათთვის, ვისაც თავისუფალი შემოქმედებითი აზრი აქვს. ის ძალიან მცირეოდნავ სჭირდებათ იმათ, რომლებიც აზრს ვერ აფასებენ. ეგრეთწოდებული სახალხო სუვერენიტეტზე დამყარებულ დემოკრატიებში, მეტი წილი ადამიანებისა ის ხალხია, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ თვლიან თავს თავისუფალ, თავისუფლების ღირსების მქონე არსებად. ჯერ კიდევ წინაა თავისუფლებად აღზრდა, რაიც სწრაფად არ ხდება. ავტორიტეტის ძველი პრინციპი, შემზღუდავი და ხანდახან თავისუფლების სულაც უარმყოფელი, შემუსრულია და მისი აღდგენა შეუძლებელია. მაგრამ მერე შეიქმნა ახალი ავტორიტეტები, რომელთათვის თავად მასებში ცდილობდნენ სანქციის მოპოვებას, მაგრამ ეს ავტორიტეტები მოწყვლადია და თავისუფლებისთვის უფრო სამძიმო, უფრორე დამანგრეველია, ვიდრე ადრინდელები. უნდა ვაღიაროთ, თავისუფლება არისტოკრატიული უფროა, ვიდრე დემოკრატიული. და ამასთან ერთად თავისუფლება დემოკრატიებს შესაძლებელს ხდის. დემოკრატიებში უარყოფითი ის არის, რომ ისინი ძალაუფლებას იმდენად კი არ ზღუდავენ, რამდენადაც ის ახალ სუბიექტზე გადაჰქვთ. ლიბერალიზმში ოდესღაც კი იყო ჭეშმარიტების წილი, მაგრამ სრულიად გადაგვარებული და დამახინჯებული. ცხოვრებაში განხორციელებული ეკონომიკური ლიბერალიზმი გახლდათ კაპიტალისტური „laisser faire, laisser passer".[17] თავისუფლებისათვის ნაკლებად კეთილსასურველია დემოკრატიის იაკობინური გაგება. სოციალური ცხოვრების წინააღმდეგობანი კიდევ იმითაცაა გამოხატული, რომ უფრთხილდებიან რა მოცემულ რეჟიმს თავისუფლებად აღიქვამენ უძრაობასა და უცვლელობას. კლასი, რომელიც ახალგაზრდობის ხანს თავისუფლებას მოძრაობაში ხედავდა და თავისუფლებას მოითხოვდა, სიბერის ხანს თავისუფლებას უმოძრაობაში ხედავს. დაცემულობისკენ მიქცეული ბურჟუაზიული კლასები თუნდაც სულ მოკრძალებულ სოციალურ რეფორმებში ხედავენ თავისუფლების დარღვევას. სინამდვილეში ყოველი მოძრაობა და ცვლილება ჩვენს გარემოში გადაადგილებას იწვევს, რაიც შეიძლება ძალადობად ჩანდეს. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ სრულიად უსაფუძვლოა თავისუფლების სტატიკური გაგება. Status quo-ში ზეიმობს ასეთი სტატიკური თავისუფლება, კეისრისაა ეს პრინციპი. ამიტომ გვაქვს ჩვენ ისეთი პარადოქსული მოვლენა, რომ ყოველგვარი სოციალური ცვლილების მოწინააღმდეგე რეაქციონერებს თავი თავისუფლების დამცველებად მოაქვთ. ამის საწინააღმდეგოდ უნდა დავამკვიდროთ თავისუფლების დინამიკური გაგება, შემოქმედებითი მოძრაობის თავისუ-

ფლება. მაგრამ ყოველთვისაა იმის საშიშროება, რომ თავისუფლების სახელით თავისუფლების უარყოფა დაიწყონ. სხვათათვის თავისუფლებას რომ უარყოფენ, დიქტატორებსა და ტირანებს თავიანთთვის ძალიან უყვართ თავისუფლება. თავისუფლება ჭეშმარიტად იმას უყვარს, ვინც მას სხვათათვის ამკვიდრებს. არის კიდევ ერთი სასწორი, რომლის მიხედვით შეიძლება თავისუფლების აწონა, ეს არის რწმენის მოთმინება, რაიც იშვიათი მოვლენაა, თუ მას სიღრმით ჩახვდებით. სრულიად უმართებულოა ინდიფერენტულ სკეპტიციზმთან რწმენის მოთმინების გაიგივება. გაუტანლობას, ჩვეულებრივ, ძლიერ რელიგიურ რწმენებს უკავშირებდნენ და ნაციონალურ ან რევოლუციურ-სოციალურ გაუტანლობაში ხედავდნენ სხვა სფეროებში რელიგიური რწმენის გადატანას. ფანატიზმი არის გაუტანლობის უკიდურესი ფორმა. მოთმინებით აღჭურვილი ადამიანები ნელთბილად წარმოგვიდგებიან. ზედაპირულია ეს მსჯელობა. ფანატიზმი, ე. ი. გაუტანლობის უკიდურესი ფორმა შინაგანი თავისუფლების დაკარგვაა. ფანატიკოსის დამმონებელი იდეა, რომლისაც მას სჯერა, ავიწროებს იმის ცნობიერებას, გამოდევნის ადამიანის უმნიშვნელოვანეს საწყისებს, ის უკვე შინაგანად ვეღარ ჰფლობს თავს. ფანატიკოსს აღარ შეუძლია რამე კავშირის დადგენა იმის მომცველ იდეასა და თავისუფლებას შორის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას თავისუფლების იდეა მოიცავს. ფანატიზმის შერბილებული ფორმა, გაუტანლობა, ყოველთვის ცნობიერების შევიწროებაა, სიცოცხლის მრავალფეროვნებისა და ინდივიდუალური ცხოვრების ვერ გაგებაა. ჭეშმარიტება თავისუფლებას მოითხოვს, თავისუფლებას იმისთვის, ვინც ჭეშმარიტების აღმომჩენია, და თავისუფლებას სხვებისთვის. რწმენის მოთმინება იმასთანაა დაკავშირებული, რომ ჭეშმარიტება სასრულისუქონელია, გზას გადაგვიშლის, და ჭეშმარიტების სასრულისმქონედ გადაქცევა გაუტანლობა და ფანატიზმია, არსებითად ეს არის ჭეშმარიტების ღალატი. ჩვეულებრივ შემზარავად ორთოდოქსულნი არიან გაუტანლები და ფანატიკოსები, სულ ერთია ვინც უნდა იყვნენ — კათოლიკები, მართლმადიდებლები, მარქსისტები; ხსენებულ ორთოდოქსულობაში ხდება რწმენის გაქვავება, სიცოცხლის მოძრაობის შეწყვეტა. კამათი მოთმინებას ნიშნავს. ორთოდოქსიები მას ვერ ღებულობენ. უინდეფერენტიზმო მოთმინება უსასრულობისკენ მოძრაობაა. და ვერც ერთი ადამიანი ვერ იტყვის, მე ვფლობ სრულ და საბოლოო ჭეშმარიტებას.

სოციალურ ცხოვრებაში თავისუფლების საფეხურები არსებობს. სულთან მიახლოებისდა კვალად თავისუფლება უნდა იზრდებოდეს და მატერიასთან მიახლოების კვალობაზე უნდა მცირდებოდეს. მაქსიმალური თავისუფლება სულიერი ცხოვრების თავისუფლებაა, მინიმალური თავისუფლება კი მატერიალური ცხოვრების თავისუფლებაა. გასაგებია, რომ სწორედ ასეც უნდა იყოს, რადგანაც სული თავისუფლებაა, მატერია კი აუცილებლობა. მაგრამ ხშირად სიმახინჯეა, როდესაც უარყოფენ ფიქრისა და სულის თავისუფლებას და აღიარებენ ძალიან დიდ თავისუფლებას ეკონომიკურ ცხოვრებაში. სამყაროს მატერიაზე სულის მუშაობა არის ეკონომიკა, რომელზეც დამოკიდებულია ამ სამყაროს პირობებში თავად ადამიანის არსებობა. ეკონომიკურ ცხოვრებაში აბსოლუტური თავისუფლება,

ე. ი. მისი სრული ავტონომია იყო სისტემა „laisser faire, laisser passer", ე. ი. კაპიტალისტური სისტემა. იგი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს კაცობრიობის დიდ მასებს. ეს ხდება ექსპლოატაციის თავწყარო. ამიტომ ეკონომიკური თავისუფლება უნდა შეზღუდულ იქნეს, შეზღუდულ იქნეს თავად თავისუფლებისავე სახელით, თავისუფლება უნდა იზრდებოდეს მატერიალური ცხოვრებიდან იმის სულიერ მხარესთან მიბრუნებისდა კვალად. თუკი ხანდახან დასაშვებია ეკონომიკური და პოლიტიკური დიქტატურა, სრულიად დაუშვებელია და არც შეიძლება არავითარი გამართლება ჰქონდეს ინტელექტუალურ და სულიერ დიქტატურას. როდესაც ადამიანთა საზოგადოებისათვის მწვავედ დგება საკითხი „პურზე" (ეკონომიკის სიმბოლოზე), მაშინ შეიძლება ვაღიაროთ ეკონომიკური დიქტატურის აუცილებლობა. ინტელექტუალურ დიქტატურას სამართლიანად თვლიან, რადგანაც უიმისოდ, ე. ი. სახელმწიფო ხელისუფლების თავსმოხვეული ცნობილი მსოფლმხედველობის მოუშველიებლად შეუძლებელია ეკონომიკური დიქტატურის განხორციელება. სწორედ ეს არის ტოტალიტარული წყობილება, რომელიც პრაქტიკულად სულ ყოველთვის ნიშნავს ხალხის ცხოვრებაზე პოლიტიკის ბატონობას. ძალიან ძნელია და დრამატიულია საზოგადოების ცხოვრებაში ამ ორი დიდი სიმბოლოს დამოკიდებულების საკითხი: „პურის" სიმბოლოსა და „თავისუფლების" სიმბოლოსი. როდესაც მასები იწყებენ მოძრაობას „პურისთვის" ბრძოლაში, „თავისუფლება" ყოველთვის მსხვერპლად მიაქვთ. სულიერი და ინტელექტუალური თავისუფლების დამცველებად მცირერიცხოვანი კულტურული ფენებიღა გამოდიან. ამას კიდევ ის ემატება, რომ „თავისუფლების" სიმბოლოს იყენებდნენ ცუდი, სულაც არაგანმათავისუფლებელი მიზნებისათვის. მიუხედავად ამისა თავისუფლება რჩება უდიდეს სულიერ ღირებულებად, უფრო მეტად, ვიდრე ვიტალური ღირებულებანი. თავისუფლებას შეიძლება ემსხვერპლოს სიცოცხლე, მაგრამ სიცოცხლეს სულაც არ უნდა ემსხვერპლოს თავისუფლება. თავისუფლებასთან დაკავშირებულია ცხოვრების ხარისხი, ადამიანის ღირსება. არ შეიძლება ადამიანისთვის უღირსი სიცოცხლის გაფრთხილება. ბუნებრივია, რომ მშრომელთა მასები უფრთხილდებიან სიცოცხლის მატერიალურ მხარეს, რომელიც მათ ვერ აკმაყოფილებს და მათი დამოკიდებული მდგომარეობის საფუძველი ხდება. მათ ჰგონიათ, შთაგონებენ კიდევაც, რომ ისინი იბრძვიან ეკონომიკური კეთილდღეობისთვის, ეკონომიკური კეთილდღეობა აღიარებულია ცხოვრების საფუძვლად, მაგრამ ამავე დროს თავისუფლებისათვის უნდა იბრძოლონ. „პურის" უკმარისობა თავისუფლების უკმარისობაცაა, გადაუჭრელი ეკონომიკური საკითხი არ იძლევა თავისუფლების რეალიზების საშუალებას. სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოების სოციალური გარდაქმნის აუცილებლობას თანასდევს არა მარტო ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვა, არამედ ინტელექტუალურისა და სულიერისაც. ცხოვრების მატერიალურ მხარეზე ყურადღების გამახვილებას, რაიც ძალზე შორსაა თავისუფლებისაგან, იმასთან მივყევართ, ცხოვრების თავიდათავი საშუალება ხდება იმისი მიზანი, შემოქმედებით სულიერ ცხოვრებას ან სრულიად უარყოფენ ან მატერიალურ

ცხოვრებას უმორჩილებენ, დირექტივებს იმისგან ღებულობენ. სულის თავისუფლებისათვის ბრძოლამ შეიძლება გმირული ხასიათი მიიღოს. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ის რწმენა, რომ ცხოვრების მატერიალური უზრუნველყოფისათვის ბრძოლის პერიოდის შემდეგ იწყება უფრორე დაწმენდილი და სულიერებისკენ მიმართული პერიოდი. ზოგჯერ წარსულის სულიერება ძლიერ იყო მიმაგრებული მატერიალურ ცხოვრებასთან, რომელიც ითვლებოდა ორგანული ცხოვრების მადლით ცხებულად, თითქოსდა ღვთით რომ იყო შექმნილი და წარუვალი. ამჟამად სული ამოვარდნილია ორგანიული ხორციელი სიცოცხლის კავშირიდან. თავისუფლება ბუნებაზე (ბუნებრივი უფლება) კი არ არის დაფუძნებული, არამედ სულზე. ეს პერიოდი მტკივნეული და რთულია და ამ დროს სუსტდება სიცოცხლის სიხარული. თავისუფლება ცხოვრების ტრაგიზმის თავწყაროა. ცხოვრება ღვთაებრივ აუცილებლობაში უტრაგიკულო იქნებოდა. თავისუფლების ხსენებული ტრაგიზმი ადამიანმა უნდა მიიღოს. შვების ძიების უფლება არა აქვს. თავისუფლების პრობლემის მარტივი გადაწყვეტა არ არსებობს. სიცოცხლის ორ უდიდეს პრინციპს — თავისუფლებასა და სიყვარულს შეიძლება ერთმანეთთან კონფლიქტი შეექმნას. თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სიყვარულით და სიყვარული შეიძლება თავისუფლებით შეიზღუდოს. და ეს ყოველთვის პარმონიული ვერ იქნება. სოციალურ ცხოვრებაში კი ხდება ნაკლებად წმინდა პრინციპების შეჯახება. თავისუფლება სიყვარულით კი არ შეიზღუდება, ეკონომიკით, რომელიც ყოვლისშემძლებელი გახდება. ზოგჯერ ამას სამართლიანობის მოთხოვნილებას უწოდებენ, მაგრამ ყოველთვის არ შეიძლება ასე დავარქვათ. მონიზმის მონაპოვარიც კი შეიძლება მხოლოდ ესქალტოლოგიურად გავიაზროთ.

თავი VII

კომუნიტარობა, კოლექტიურობა და შეკრებულება

სიტყვა „კოლექტიურობა" ხშირად აქვთ მოშველიებული ისე, რომ ვერც თავსაც უხსნიან იმის მნიშვნელობას და ვერც სხვასაც. ჩვეულებრივ კოლექტიურობა ესმით ინდივიდუალურის საპირისპიროდ. კოლექტიურობისა და კომუნიტარობის (თემურობის) აღრევა ჩვეულებრივი ამბავია, და არც ძალიან უყვართ, როდესაც ანსხვავებენ: მრავალნი სიამაყით ამბობენ, რომ კოლექტიურობის ეპოქაში შევიდნენ. ტერმინთა წარმოშობა ზოგჯერ შემთხვევითია. როგორც ჩანს, სიტყვა „კოლექტიურობა" პირველად მოიშველიეს ბაზელის სოციალისტურ კონგრესზე (1869) მარქსიზმის ეთიკური სოციალიზმის საპირისპიროდ. მერმე ტერმინის აზრი შეიცვალა და თავად მარქსიზმს შეარქვეს კოლექტიურობა. კოლექტიურობა ახლა თითქმის მარქსიზმთანაა გაიგივებული. მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია დავადგინოთ განსხვა-

ვება და საპირისპირო ხასიათი კოლექტიურობასა და კომუნიტარობას შორის. თუმცა კომუნიზმი უკიდურესი კოლექტიურობის ფორმას ღებულობს, მაგრამ თავად სიტყვა „კომუნიზმი“ უკეთესია, ვიდრე სიტყვა „კოლექტიურობა“. დიდად ძნელია სრულიად ხმარებიდან ამოვაგდოთ სიტყვა „კოლექტიურობა“, როგორც მე მინდოდა, რადგან იმის მეშვეობით აღნიშნავენ ისეთ რეალობებს, როგორიცაა, ასე, მაგ., არმია, ერი, კლასი და ა. შ. ზეპიროვნულ რეალობებს; და ამათ შესახებ ხშირად არაკრიტიკულად, ცნებათა რეალიზმის სულისკვეთებით აზროვნებენ. ეს ყოველთვის მხოლოდ ობიექტივაციის და სოციალიზაციის პროცესია, რომელიც წარმოებულ და მეორეულ რეალობებს პირველრეალობებად ღებულობს. ეგრეთწოდებული კოლექტიური რეალობები, რასაკვირველია, უნდა აღიარებულ იქნან სულ სხვა რიგის რეალობებად, ვიდრე ეს არის ადამიანის პიროვნების რეალობა ან თუნდაც რეალობა ცხოველისა. „კოლექტიურ“ რეალობას ადამიანის ცხოვრებაში ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას, როგორც ფიქრობენ, დამორჩილდეს ადამიანის პიროვნება. შეიძლება მოვიშველიოთ ზედსართავი სახელი „კოლექტიური“, მაგრამ არ შეიძლება მოვიშველიოთ არსებითი სახელი „კოლექტივი“. კოლექტიურობა არის Das Man. არსებობენ კოლექტიური რეალობანი და არა „კოლექტივები“ ვითარცა რეალობანი. კოლექტივი არის არა რეალობა, არამედ ადამიანთა და ჯგუფების მიმართულებანი, ის მდგომარეობანი, რომლებშიც ისინი იმყოფებიან. კოლექტივიზმი ცნობიერების ცრუ მდგომარეობაა, ამ დროს იქმნება ცრურეალობანი. ცნობიერება ქმნის მრავალ ცრუ რეალობას. კოლექტივს არა აქვს რეალობათა ის წილი, რომელიც აქვს, ასე მაგ., ერს ან კლასს. ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ კოლექტიურ, ეროვნულ, საეკლესიო, კლასობრივ ცნობიერებაზე და ა. შ. თითქოსდა კოლექტივებს შეიძლება ცნობიერება ჰქონდეთ. სინამდვილეში ეს არის მხოლოდ მეტაფორული გამოთქმა. ეგრეთწოდებულ კოლექტიურ რეალობებს არა აქვთ სუბიექტური ცნობიერება. მაგრამ შეიძლება იყოს საეკლესიო კლასობრივი ცნობიერება, ადამიანებისა, რომლებიც ამგვარ რეალობათა ირგვლივ არიან დაჯგუფებულნი. ადამიანთა ეს ცნობიერება ობიექტივირდება რეალობათა quasi[18]-ში. ეკლესია უდავო რეალობაა. რეალობა სულიერ-მისტიკური და რეალობა სოციალურ-ისტორიული. მაგრამ ეს რეალობა სულაც არ ნიშნავს რაღაც კოლექტივს, ადამიანზე მაღლა რომ დგას, ეკლესიას რომ მიეკუთვნება და თავის ცნობიერებას ჰფლობს. ეკლესიას ადამიანთა ბედ-იღბალში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეკლესიის სოციალური ობიექტივიზაცია არ შეიძლება უფლებას აცხადებდეს პირველრეალობაზე. ის წარმოებული რეალობაა. ეგრეთწოდებული კოლექტიურ რეალობათა განსაკუთრებული თვისება ის არის, მათ არა აქვთ ეგზისტენციალური ცენტრი, არ ძალუძს სიხარული და გვემა-წამება. გვემა-წამების უნარი არის მთავარი ნიშანი ჭეშმარიტი პირველრეალობისა. არ შეიძლება იტანჯებოდეს ეკლესია, ერი, შუშათა კლასი, იტანჯებიან მხოლოდ ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან ამ ზეპიროვნულ წარმონაქმნებში. დაცემული ფენომენოლოგიური სამყაროს ფარგლებში შეუძლებელია საერთოსა და კერძოს დაპირისპირებულობის შე-

რიგება. სწორედ აქედან წარმოიშობა კერძო ინდივიდუალურზე საერთო „კოლექტიურის“ დესპოტური ძალაუფლება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ეტრიალებთ საანახევრად ილუზიურულ, ცნობიერების ცრუ მიმართულებით შექმნილ სამყაროში. კოლექტიურობის სიცრუე ის არის, რომ მას ზნეობრივი ეგზისტენციალური ცენტრი, ადამიანის სინდისი და მისი უნარი მსჯელობისა და შეფასების ადამიანის პიროვნების სიღრმიდან გადააქვს quasi რეალობაში, ადამიანზე მაღლა რომ დგას. კოლექტიურობაში ადამიანი აღარ არის უმაღლესი ღირებულების მატარებელი. ადამიანის ცნობიერების ექსტერიორიზაციის ეს პროცესი სხვადასხვა ფორმით ხდება მთელი ისტორიის მანძილზე. საკვირველია სწორედ, როდესაც ლაპარაკობენ ყოველივე პერსონალურის საპირისპირო ახალ კოლექტიურ ადამიანსა და ახალ კოლექტიურ ცნობიერებაზე. მაგრამ კაცობრიობის მთელი წარსული ხომ ასეთია. პირველ ხანებში კოლექტიური, ჯგუფური ცნობიერება სჭარბობდა, ადამიანების აზრისა და განსჯის საფუძველი იყო ტომის, ერის, სახელმწიფოს, ოჯახის შეკრებულობა, კონფენსიის „კოლექტივი“ და ა. შ. კაცი, რომლის აზრითაც ის განეკუთვნებოდა მემამულეთა შეკრებულებას ან რომელიღაც გვარდიის შენაერთს, ცნობიერება არა ნაკლებად „კოლექტიური“ ჰქონდა, ვიდრე აქვს საბჭოთა ადამიანს, რომელიც თავს კომუნისტურ სამშობლოს მიაკუთვნებს. პიროვნული აზროვნება და პიროვნული სჯა სულ ყოველთვის დიდი იშვიათობა, სულაც გამონაკლისია. პიროვნების გამოღვიძება ნაგვიანევი გამოღვიძებაა. ისტორიის ეგრეთწოდებულ ინდივიდუალურ, ლიბერალურ, ბურჟუაზიულ პერიოდში ადამიანები პიროვნულიდან ამოვარდნილნი აზროვნებდნენ, სჯიდნენ იმით, რომ თავს ბურჟუაზიულ კლასს, ინდუსტრიის რეალურ ფორმას მიაკუთვნებდნენ. ობიექტიური აზრის მიხედვით, სულ ყოველთვის სჭარბობდა ის, რასაც ჰაიდეგერი ეძახის „das Man“, პიროვნულობას მოკლებული მორჩილება აზრისადმი მორჩილებაა. „ასე ამბობენ“. თანამედროვე კოლექტიურობის ორიგინალობა მხოლოდ ის არის, რომ მას უნდა ჩამოაყალიბოს უნივერსალური, საყოველთაო კოლექტიური სინდისი, შეხედულება, აზროვნება, ადამიანის შეფასება და არა სხვადასხვანაირ დაჯგუფებათა გამოვლინება. ინდივიდუალიზმისადმი დაპირისპირებულობა სრულიად უმართებულო და აბურდულია, რადგან სულაც არ იყო ის ინდივიდუალიზმი, რომლის უარყოფაც უნდათ. თუ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადამიანთა შეხედულება განისაზღვრებოდა მათი საკუთრებისა და მატერიალური მდგომარეობით, ეს არამცდაარამც იმას არ ნიშნავს, რომ შეხედულება იყო ინდივიდუალური და პერსონალური. ჭეშმარიტი სოციალური განთავისუფლება სწორედ ინდივიდუალური, პიროვნული ცნობიერების, აზროვნების შეფასების შესაძლებლობა იქნებოდა. ჩვენ აქ ვხედავთ მკვეთრ დაპირისპირებულობას კოლექტიურობისა და კომუნიტარობის.

კოლექტიურობა არსებობდა რელიგიათა ისტორიულ ობიექტივაციებში, ცალკე მართლმადიდებულსა და კათოლიკურში. საპირისპირო მხარეს ეს ჩანს კომუნიზმსა და ფაშიზმში. კოლექტიურობა სულ ყოველთვისაა გამოხატული მაშინ, როდესაც ადამიანთა ურთიერთობასა და კავშირში ავტორიტარულობა

მკვიდრდება. კოლექტიურობა სულ მუდამ იმას ნიშნავს, რომ არ არის ნამდვილი კომუნიტარობა, თემურობა, რომ საზოგადოების ორგანიზაციებისთვის საჭიროა შეიქმნას კოლექტივის ფიქტიური რეალობა, საიდანაც მოდის ხელმძღვანელობა და ბრძანებები. როცა იმუსრება ძველი ავტორიტეტები, როდესაც აღარ სჯერათ მონარქიებისა და დემოკრატიების სუვერენიტეტისა, მაშინ იქმნება კოლექტივის ავტორიტეტი და სუვერენობა, მაგრამ ეს სულ ყოველთვის ნიშნავს ადამიანის შინაგან არათავისუფლებას და ადამიანების არაკომიუნიტარობას. კომიუნიტარობასა და კოლექტიურობას შორის პრინციპული განსხვავება არ არის? კოლექტიურობა ნიშნავს ადამიანის ადამიანთან დამოკიდებულებას კოლექტიურობით ან ფსევდორეალობის, ადამიანის ზემოთ მდგარი ობიექტივირებული საზოგადოების დამოკიდებულების მეშვეობით. კომიუნიტარობა კი ნიშნავს ადამიანის ადამიანთან უშუალო დამოკიდებულებას ღმერთის, როგორც სიცოცხლის შინაგანი საწყისის მეშვეობით. კოლექტიურობას არ სურს იცოდეს ცოცხალი დამოკიდებულება ადამიანისა ადამიანთან, მან მხოლოდ იცის ადამიანის დამოკიდებულება საზოგადოებასთან, კოლექტივთან, რომელიც უკვე განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებას ადამიანთან. კოლექტივმა არ იცის მოყვასი ამ სიტყვის სახარებისეული მნიშვნელობით, ის არის შორეულთა ერთიანობა. კოლექტიურობა ატარებს ანტიპერსონალისტურ ხასიათს, მან არ იცის პიროვნების ფასეულობა. კომუნიტარობა კი პერსონალისტურია, პიროვნებათა ერთობა და თემურობა. ეს უზარმაზარი განსხვავებაა. კოლექტიურობა კი არის ადამიანთა ურთიერთობისა და ერთობის ცრუ გაგება. და აი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რა არის: „კოლექტივისტურ" ეპოქაში ხდება არა მარტო სოციალიზაცია და კოლექტივიზაცია ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების, არამედ სინდისის, აზრის, შემოქმედების ექსტერიორიზაცია, ანუ, მისი გადატანა ადამიანის ვითარცა სულიერი არსების სიღრმიდან გარეთ კოლექტივზე, რომელსაც ავტორიტარული ორგანოები აქვს. სინდისის ექსტერიორიზაციის ნათელი და შემაძრწუნებელი მაგალითია ძველ კომუნისტთა მოსკოვური პროცესი. მრუდე მიზნებისთვის რომ იყენებენ, ამ გაუგებრობათა ასაცილებლად უნდა ვთქვათ, რომ სინდისისა და შეფასების ორგანოს მოთავსება ადამიანის სულიერ სიღრმეში ყველაზე უფრო ნაკლებად ნიშნავს იმას, რისთვისაც ასე უყვართ „ინდივიდუალიზმის" დარქმევა. სინდისი ადამიანის ჩაკეტილობასა და იზოლაციას კი არ ნიშნავს, არამედ გამოყვანას, ეგოცენტრიზმზე გამარჯვებას, შესვლას უნივერსალურობის ერთობლიობაში. მაგრამ ამას არც არავითარი აზრი აქვს იმათთვის, ვინც უარყოფს ადამიანის სულიერ სიღრმეს და განიხილავს მას გარეთ გადმოსროლილად.

თანამედროვე კოლექტიურობა მნიშვნელოვანწილად შედეგია კაპიტალიზმის პიროვნებაწარხოცილი, ანონიმური ხასიათისა. კაპიტალიზმმა შექმნა პროლეტარული მასები, რომლებიც, თავისდა საუბედუროდ, კომიუნოტარობის მაგივრად კოლექტიურობასაა მიდრეკილი. ჩვენ აქ ვუახლოვდებით შეკრებულების რუსულ მართლმადიდებლურ იდეას, რომელიც ცუდად ესმით. შეკრებულების იდეა ძირითადად გამოხატა

ხომიაკოვმა, რომელიც განუხრელად უმორჩილებდა მას თავისუფლებასა და სიყვარულს. საეკლესიო შეკრებულება არ არის რაღაც ავტორიტეტი, თუნდაც ავტორიტეტი ეპისკოპოსთა კრებისა და თუ გნებავთ მსოფლიო კრებისაც, არამედ ეს არის ერთობა და სიყვარული საეკლესიო ხალხისა და სულიწმიდის. შეკრებულების გარეგნიშნები არ არსებობს, ის არსებობს სახელმწიფოსა და საზოგადოების ორგანიზაციისთვის. ეს არის სულის საიდუმლო ცხოვრება. შეკრებულებაში „ჩვენ" არ არის კოლექტივი, კოლექტიურობა შეკრებულება კი არა, თავშეყრაა. მას მექანიკური, რაციონალური ხასიათი აქვს, ობიექტივირება ვნებების, ინტერესებისა, ადამიანთა და ჯგუფების სიძულვილმა შეიძლება კოლექტიურობის ფორმა შეიძინოს. სწორედ ამ ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს კოლექტიურობის ცრუ მისტიკა და ის შეიძლება ძალიან დინამიკური იყოს. კოლექტიური ცნობიერებისა და კოლექტიური სინდისის მთავარი ბოროტება ის არის, რომ ის არა მარტო მეტაფორული, ფიგურალური გამოთქმაა, არამედ ამ სიტყვებით დაფარული რეალობაცაა. მისტიკურ ხასიათს რომ ღებულობს, კოლექტიური ცნობიერებისა და კოლექტიური სინდისის მეშვეობით იწყება ბატონობა ადამიანთა ერთი ჯგუფისა მეორეზე. კოლექტიურობა ბატონობის იარაღია; და იმის მიღმა დაფარულია სწრაფვა ძალამოსილებისკენ. ნამდვილი ტირანია შეიძლება ცრუ მისტიკით იყოს გამართლებული, თუმცა კი სიტყვა „მისტიკა" შეიძლება არც კი მოიშველიონ, და უფრო მეტიც, შეიძლება აკრძალონ სულაც. კოლექტიურობა წარმოაჩენს თავის ბელადებს, რომლებიც შეიძლება არც იყვნენ საუკეთესონი. ბელადები საერთოდ იშვიათად არიან საუკეთესონი. კოლექტიურობის დამკვიდრება ხდება ადამიანის პიროვნებაზე ძალადობის მეშვეობით. კომუნიტარობა და შეკრებულობა აღიარებს პიროვნების ფასეულობასა და თავისუფლებას.

კომუნიტარობა ადამიანების სულიერი ხარისხია, ადამიანთა დამოკიდებულება გამოხატული ურთიერთობით, ერთობითა და ძმობით და ის სულაც არ ნიშნავს რაღაც რეალობებს, ადამიანზე ზემდგომ რომაა და მას მბრძანებლობს. კომუნიტარობა ტოვებს ადამიანის პიროვნების სიღრმეში სინდისსა და შეფასებას. სინდისი შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყოს პიროვნული და კომუნიტარულიც. კომუნიტარობა პიროვნული სინდისის ხარისხია, რომელიც არ შეიძლება იყოს დახშული და იზოლირებული. სწორედ რელიგიურ კომუნიტარობას ეწოდება შეკრებულება, რომელიც საპირისპიროა ეკლესიის ყოველგვარი ავტორიტარული გაგებისა. კოლექტიურობა, როგორც უკვე ვთქვით, არის გაუცხოება, ექსტერიორიზაცია ცნობიერებისა და სინდისის, მათი გადატანა კოლექტივის ფიქტიურ რეალობაზე. იმ დროს, როდესაც შეკრებულება ნიშნავს ცნობიერების მაღალ ხარისხიანობას, კოლექტიურობა ნიშნავს არაცნობიერის ობიექტივირებულ კონსოლიდაციას, რომელიც სულ ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა კოლექტიურობის ისტორიულ გამოვლინებებში. ეკლესიისა და ისტორიის ობიექტივაციაც სულ მუდამ ნიშნავდა ავტორიტარულ კოლექტიურობას. ამგვარი სახის ეკლესიურ კოლექტიურობაში გადაჰქონდათ რელიგიური სინდისი. სწორედ ამიტომაც იყო შესაძლებელი რელიგიური სინდისის თავისუფლების უარყოფა. შეკრებულება-კომუნიტარობა არ შეიძლება ნიშნა-

ვდეს რამე ავტორიტეტს, ის ყოველთვის თავისუფლებას ვარაუდობს. მხოლოდ კოლექტიურობაა სულ ყოველთვის ავტორიტარული და კოლექტიურობა სულ ყოველთვის ნიშნავს ცნობიერების გაუცხოებას. არაცნობიერ ინსტიქტებს დამყარებულ ხსენებულ გაუცხოებულ ცნობიერებას შეეძლო შეექმნა სხვადასხვანაირი ისტორიული ავტორიტარული ფორმა, თეოკრატიები და აბსოლუტური მონარქიები, აგრეთვე, იაკობინური დემოკრატიები, ტოტალიტარული კომუნიზმი და ფაშიზმი აშკარად და ფარულადაც. სახელმწიფო გაცილებით ადვილადაა გამომხატველი კოლექტიურობის, ვიდრე კომიუნიტარობის. ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ პიროვნება ერთობისა და თემურობის საწინააღმდეგო კი არ არის, არამედ საგნისა და კოლექტივის. კოლექტიურობა კომიუნიტარობის საგნობრივი, ობიექტური გაგებაა. კოლექტიურობა ღრმად საწინააღმდეგოა სოციალიზმის გაგებისა ვითარცა ადამიანთა გადაქცევისა ობიექტივიდან სუბიექტებად, სწორედ მას აქვს ტენდენცია გადააქციოს — ადამიანი — პიროვნება ობიექტად. მაგრამ სოციალიზმის ერთადერთი გამართლება ის არის, მას უნდა შექმნას ისეთი საზოგადოება, რომელშიც არც ერთი ადამიანი არ იქნება ობიექტი, საგანი, არამედ უნდა იყოს სუბიექტი და პიროვნება. მარქსიზმში ორი ტენდენციაა — ტენდენცია კოლექტივში ადამიანის ობიექტივაციისა და გაუცხოების, და ტენდენცია სუბიექტივიზმისაკენ, საზოგადოების ძალაუფლებისაგან შრომისა და მშრომელების განთავისუფლებისაკენ, საზოგადოების ჰუმანიზაციისაკენ. მხოლოდ მეორე ტენდენცია იმსახურებს თანაგრძნობას, პირველთან კი სულიერი ბრძოლაა საჭირო. სწორედ პირველი ტენდენცია ქმნის ცრუ, ტოტალიტარულ რელიგიას, ავტორიტარული კოლექტიურობის რელიგიას. ისტორიაში ორი ტენდენციაა — ტენდენცია სოციალიზაციისაკენ და ტენდენცია ინდივიდუალიზაციისაკენ. ორივე ეს ტენდენცია აუცილებელია. დღევანდელი და ხვალინდელი დღე ეკუთვნის სოციალიზაციის ტენდენციას. სწორედ ეს არის შესაბამისი ადამიანების საზოგადოებათა უცილობელი გარდაქმნის. მაგრამ მომავალი საუკუნეები ინდივიდუალიზმის ტენდენციებისკენ იქნება მიმართული. და ამისთვის დღეიდანვე უნდა დაიწყოს სულიერი ნიადაგის მომზადება. ადამიანის თავისუფლება ის არის, რომ ადამიანი ორ სიბრტყეს მიეკუთვნება — სიბრტყეს სულისას და სიბრტყეს კეისრისას. კოლექტიურობას და იმის საძირკველზე წარმოქმნილ რელიგიას უნდათ ადამიანის ცხოვრება ერთ სიბრტყეზე დაიყვანონ, კეისრის სიბრტყეზე. ჩვენი სამყაროს პირობებში ეს მონიზმს ნიშნავს, ე. ი. თავისუფლების უარყოფასა და მონობას. კოლექტიურობა ერთ სიბრტყიანია. ამ დროს შეუძლებელია ამ სამყაროს გარდაქმნა ღვთის საუფლოდ, ამის მაგივრად ჩვენ ვღებულობთ ღვთის საუფლოს უღმერთოდ, ესე იგი, უადამიანოდაც, რადგანაც ღმერთი და კაცი განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ადამიანის ერთი სიბრტყის ზეობა უცილობლოდაა ადამიანისავე უარყოფა. ამის შედეგი — საბედისწერო დიალექტიკაა. ყოველი ეს აზრი კოლექტიურობის და კომუნიტარობის შესახებ შეიძლება დაკონკრეტდეს მარქსიზმისა და მის წინააღმდეგობრიობის განხილვის დროს.

თავი VIII

მარქსიზმის წინააღმდეგობრიობა

გასაოცარია სწორედ, თუ რა როლს თამაშობს ახლა მარქიზმი. მარქსისტული დოქტრინა ასი წლის წინათ შეიქმნა. შეუსაბამოა იგი თანამედროვე სოციალური სინამდვილის, თანამედროვე ფილოსოფიური და მეცნიერული აზრისა და მნიშვნელოვანწილად სრულიად მოძველებულია; და მაინც ხსენებული დოქტრინა დინამიკურობას ინარჩუნებს და ეს დინამიკურობა იზრდება. განსაკუთრებით მოძველებულია მარქსიზმი ნაციონალობათა როლის შეფასებაში. ორმა მსოფლიო ომმა გვიჩვენა, რომ მარქსისტული და ინტერნაციონალური პროლეტარიატი არ არსებობს. ყოველი ქვეყნის მუშები ერთმანეთს ხოცავდნენ. მარქსისტი კომუნისტები არაჩვეულებრივი, თითქმის საიდუმლოებით ცხებული მოვლენაა. ისინი ცხოვრობენ თავისივე შექმნილ ფიქტიურ, ფანტასმაგორიულ, ბითიურ განუყენებულ-გეომეტრიულ სამყაროში. სრულიად ვერ ხედავენ სინამდვილეში ადამიანთა ინდივიდვალობის სირთულეს, მრავალფეროვნებას. და ამავე დროს ფრიად აქტიურები არიან და მთელი ქვეყნიერება შიშმა მოიცვა, ვაითუ მართლაცდა გაიმარჯვონო. მარქსისტული დოქტრინის თეორიულ-შემეცნებითი ღირებულებები ძლიერ შესუსტდა, მაგრამ ვითარცა პროპაგანდისა და აგიტაციის იარაღმა დიდი ძალა მოიპოვა. ამ დოქტრინის მორწმუნე ადეპტები ისევე უარყოფენ კამათს, როგორც რელიგიური ორთოდოქსიების წარმომადგენლები. ყოველგვარი კრიტიკა მათთვის შეთქმულება და შემოტევაა ბოროტი კაპიტალისტური რეაქციისა. მარქსისტი კომუნისტები მანიქეველთა მსგავსად სამყაროს ორ ნაწილად ყოფენ: იმ სამყაროს, რომელთა განადგურებაც მათ უნდათ, ბოროტი ღვთაება მართავს და იმის წინააღმდეგ ყოველგვარ საშუალებას შეიძლება მიმართონ. არსებობს ორი სამყარო, ორი ბანაკი, ორი რწმენა, ორი პარტია. ეს სამხედრო დანაწილებაა. არც არავითარი მრავალფეროვნება არსებობს, მრავალფეროვნება მტრის მოგონილი ხრიკია. ასევე, ბრძოლის შესასუსტებლად მიმართული მტრის ხრიკების ზოგადსაკაცობრიო უნივერსალური მორალი, გნებავთ ქრისტიანული, გნებავთ ჰუმანისტური. სწორედ ამიტომ იქმნება ის მოჯადოებული წრე, რომლიდანაც გამოსავალი არცა ჩანს. საჭიროა დავეხსნათ სიძულვილისა და შიშიანობის აფექტებს და ღრმად ჩავწვდეთ მარქსისტულ დოქტრინას, რომელიც ძალიან ცუდად ესმით და ვერ გებულობენ. აზრთა ურთიერთობის დროს დიდ სიძნელეს ქმნის ის გარემოება, რომ მარქსიზმის კლასის იქით ადამიანს ვერ ხედავს, მას უნდა ადამიანის ყოველი აზრისა და შეფასების იქით კლასი და მისი კლასობრივი ინტერესი დაინახოს. აზრი მხოლოდ კლასის გამოხატულებაა. თავისთავად მას არც არავითარი ღირებულება აქვს. ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ცნობიერება და პროლეტარულ-კომუნისტური ცნობიერება ერთი და იგივე ცნობიერება არ არის. ამ ცნობიერებათა შორის ურთიერთობა შეუძლებელია, მათ შორის მხოლოდ დაუნდობელი ბრძოლაა შესაძლებელი. ვფიქრობ, მარქსიზმი არც ცდება, როდესაც ცნობიერების ცვალებადობას ამტკიცებს, იმის დამოკიდებულებას ადამიანის არსე-

ბობასთან, მისი ცნობიერების მთლიან მიმართულებასთან. მაგრამ ეს სულ სხვანაირად უნდა ავხსნათ და განვსაჯოთ. მრავალგზის ვწერდი, რომ ადამიანის ცნობიერება სტატიკურად არ უნდა გავიგოთ, რომ იგი ცვალებადია, ხან ვიწროვდება, ხან ფართოვდება და ამისდა კვალად ადამიანის წინაშე სხვადასხვა სამყარო გამომზეურდება. მაგრამ ეს კლასების ეკონომიკურ მდგომარეობაზე კი არ არის დამოკიდებული, ამას მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ადამიანის კლასობრივ მდგომარეობაზე დამოკიდებულია არა ჭეშმარიტების მიკვლევა, არამედ გაუკულმართება და სიცრუე, ჭეშმარიტება მაშინ იქნება მიკვლეული, როდესაც ადამიანი სძლევს თავისი კლასის შეზღუდულობას; უნდა გვახსოვდეს, კლასობრივი მდგომარეობით ადამიანის მხოლოდ ზოგიერთი მხარე განისაზღვრება და არა მთლიანად ადამიანი. მარქსისტული ცნებები კლასის, პროლეტარიატის, ბურჟუაზიის და ა. შ. აბსტრაქტული აზრის არსია, სოციალურ სინამდვილეში ამის შესაბამისი რთული მოვლენებია. მარქსიზმისთვის დამახასიათებელია ცნებების სქოლასტიკური რეალიზმი, თუმცა მარქსისტები კი ამტკიცებენ, მატერიალისტები ვართო, ამის აღიარება არ სურთ. მარქსისტული პროლეტარიატი აზრის ნაყოფია და აზრშივე არსებობს. სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ მუშების მხოლოდ სხვადასხვა დაჯგუფებას და სულაც არა აქვთ მათ ერთიანი „პროლეტარული" ცნობიერება. მუშათა კლასი რეალურად არსებობს, მართლაცაა ექსპლუატირებული და ის თავისი საარსებო ინტერესებისთვის იბრძვის. მაგრამ მარქსისტული პროლეტარიატი არ არის მსოფლიო პროცესის პროდუქტი, თუმცა მარქსისტული პროლეტარიატი მითოსშემოქმედების პროცესის პროდუქტია. გარნა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატის მითოსშემოქმედების „იდეას" ბრძოლაში არ შეიძლება ჰქონდეს დინამიკური მნიშვნელობა. პირიქით, მითები რეალობაზე გაცილებით უფრო დინამიკურია, ისტორიაში სულ ყოველთვის ასე იყო. მითოსის ფორმას რომ ღებულობენ, აბსტრაქტულ აზრებს შეუძლიათ ისტორიის გადატრიალება, საზოგადოების რადიკალურად შეცვლა. ყოველი რევოლუცია მითებზე იყო დამყარებული. მითებსავე ესაძირკვლებოდა კონსერვატიულობა, ასე, მაგ., ცნობილია იდეა მონარქიის საღვთო წარმოშობისა. კიდევ ერთი მითი იყო ინტერესების შეჯახებებით შექმნილი კეთილსასურველი ზეგონებრივი ბუნებრივი ჰარმონიის შესახებ და ესოდენ პროზაული კაპიტალიზმი სწორედ ამის მიხედვით შეიქმნა. მარქსიზმს აქვს ორი სხვადასხვა ელემენტი და იმათთაგან ერთ-ერთი უპირატესობის კვალობაზე დინამიკურია.

მარქსისტული ფილოსოფია უპირველეს ყოვლისა ფილოსოფიის ისტორიაა. მაგრამ ისტორიის ფილოსოფია ფილოსოფიის ყველაზე უფრო დინამიკური ნაწილია. და ამისი მიზეზი გასაგებიცაა. ფილოსოფიის ისტორია სულ ყოველთვის შეიცავს თავის თავში პროფეტიკულ და მესიანურ ელემენტს. ისტორიის არსის წვდომა სულ ყოველთვისაა მესიანობა და პროფეტულობა. ამ პროფეტიზმითა და მესიანობით არის გამსჭვალული ჰეგელის, მარქსის, ო. კონტის ისტორიები. ისტორიის სამ პერიოდად დანაწილებისას, უკანასკნელში სრულყოფილყოფილების ხანის დადგომას რომ ხედავენ, სულ ყოველთვის სეკულარიზებულ მესიანობას ნიშნავს. ისტორია ჯერ კი-

დევ არ არის დამთავრებული, ჩვენ შუაგულ ისტორიულ პროცესში ვიმყოფებით და მომავლის მეცნიერული შემეცნება შეუძლებელია. მაგრამ შეუმეცნებლად შეუძლებელია ისტორიის არსის წვდომა. მხოლოდ უჩინარი მომავლიდან წამოსული სინათლის მეშვეობით შეიძლება ჩავხვდეთ ისტორიის არსს. ოღონდ ეს ნათელი, პროფეტიული და მესიანურია. ბერძნული ფილოსოფიის ნიადაგზე შეუძლებელი იქნებოდა ფილოსოფიის ისტორიის აღმოცენება, ის შესაძლებელია მხოლოდ იუდეურ-ქრისტიანულ ნიადაგზე, თუმცა ეს გაუცნობიერებელი რჩებოდა. მესიანობა შეიძლება გაუაზრებელი იყოს და შეიძლება ვერ აღიარონ. ამას ვხედავთ მარქსიზმში, რომელშიც მესიანური ელემენტი ძლიერია. მარქსიზმში მეცნიერული ცნობიერება კი არ არის რევოლუციური დინამიკურობის სათავე, არამედ მისი მესიანური მოლოდინი. ეკონომიკურ დეტერმენიზმს არ ძალუძს გამოიწვიოს რევოლუციური ენთუზიაზმი და ბრძოლის ჟინი. ხსენებული ენთუზიაზმი შვა კაცობრიობის განთავისუფლების პროლეტარიატის მესიანურმა იდეამ. სწორედ მასზეა გადატანილი ყოველი თვისება ღვთის რჩეული ხალხისა. ამის შესახებ მე არაერთგზის ვწერდი. პროლეტარულ ემპირიულ სინამდვილეს რომ სულაც არ თანხვდება, პროლეტარიატის იდეა არის მისტიკურ-მესიანური იდეა. სწორედ პროლეტარიატის ეს იდეა და არა ემპირიული პროლეტარიატი უნდა იყოს აღჭურვილი დიქტატურის უფლებამოსილებით. მესიანურია ეს დიქტატურა. მეცნიერებასთან მას საერთო არაფერი არა აქვს. მარქსი დიდებული მეცნიერი-ეკონომისტი იყო, მაგრამ ამით არ განისაზღვრება მარქსიზმის განსაკუთრებული როლი მსოფლიოში. მარქსიზმის რელიგიურ-მესიანური გამოვლინებით განისაზღვრება ის. მარქსიზმი ასე უნდა გავიგოთ, ადამიანის ცხოვრების ეკონომიკით განსაზღვრულობაზე უფრო წარსულის ბოროტებად მიიხევდა, ვიდრე საუკუნო ჭეშმარიტებად. მომავალში ადამიანი დაეუფლება ეკონომიკას, დაიმორჩილებს მას და განთავისუფლდება. ნახტომი აუცილებლობის საუფლოდან თავისუფლების სფეროში, რომლის შესახებაც ლაპარაკობდნენ მარქსი და ენგელსი, არის მესიანური ნახტომი. მარქსიზმის სუფთა დეტერმინისტული ახსნა არ არის სწორი, XIX ს. დასასრულს კი ის ასე იყო გავრცელებული მარქსისტებს შორისაც და მარქსიზმის თაყვანისმცემლებს შორისაც. ყოველ შემთხვევაში ასეთი ახსნა სრულიად საწინააღმდეგოა კომუნისტების რევოლუციური ვოლუნტარიზმისა. ამის მიხედვით სამყარო პლასტიკურია და ვითარცა ცვილისგან, იმისგან ყველანაირი ფიგურის გამოძერწვა შეიძლება. შემთხვევით არ ამბობდა მარქსი, რომ აქამომდე ფილოსოფოსებს უნდოდათ სამყაროს შემეცნება, ახლა კი უნდათ შეცვალონ სამყარო, უნდა შექმნან ახალი სამყარო. მაგრამ მარქსიზმი წინააღმდეგობრივია და წინააღმდეგობრივ ელემენტებს შეიცავს. უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ ის საკითხი, თუ რამდენად იყო მარქსი მატერიალისტი.

ფრიად სადავოა მარქსის მატერიალისტობა. მარქსის Nachlass-ის, განსაკუთრებით კი მისი სტატიის „Nazionalökonomie und Philosophie-ს გამოქვეყნების შემდეგ, უფრორე გამომზეურდა მარქსის ჰუმანისტური, არსებითად კი იდეალისტური სათავეები. მარქსი რომანტიკული ეპოქიდან და გერმანული იდეალიზმიდან არის გამოსული. სიყმა-

წვილებშიც ის ხომ რომანტიკული პოეტი იყო. რომანტიკული ელფერი დაჰკრავს იმის ნაწერებს: ირონია, პარადოქსები, წინააღმდეგობანი. ჰეგელის უფრო დიდ ზეგავლენას განიცდიდა, ვიდრე ამას ფიქრობდნენ ის მარქსისტები, რომლებიც მარქსის სათაველებს დაცილდნენ. მაგრამ მარქსში ორმხრიობა დარჩა. მარქსმა უპირველეს ყოვლისა გაკიცხა კაპიტალიზმი ვითარცა საფუძველი ადამიანის ბუნების გაუცხოებისა, Verdinglichung, მუშის საგნად გადაქცევა, გაკიცხა კაპიტალისტური რეჟიმის არაადამიანობა. მარქსისტული დოქტრინა რომ უარყოფს, მორალური ელემენტი მარქსში ძალიან ძლიერი იყო. დამატებითი ღირებულების თეორია, რომელიც ეყრდნობოდა რიკარდოსგან აღებულ მცდარ შრომითი ღირებულების თეორიას, უპირველეს ყოვლისა მორალური ხასიათით იყო აღბეჭდილი და კიცხავდა ექსპლუატაციას. ადამიანის მიერ ადამიანის, კლასის მიერ კლასის ექსპლუატაცია მარქსისთვის იყო დასაბამიერი ცოდვა. ექსპლუატაციის გაგება ზნეობრივია და არა ეკონომიკური. მომხრეს კაპიტალისტური რეჟიმისას, რომელშიც უდავოდ არსებობს მუშების ექსპლუატაცია, შეძლო ეკითხა, რატომაა ექსპლუატაცია ცუდი, თუკი ის ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, სახელმწიფოებისა და ცივილიზაციების აყვავებას. ეს ბურჟუაზიული არგუმენტები ხშირად მოჰყავდათ ბურჟუაზიულივე იდეოლოგებს. მაგრამ ექსპლუატაცია უპირველეს ყოვლისა ზნეობრივი ბოროტებაა და მორალურად უნდა გაიკიცხოს. და მარქსისტები, წინააღმდეგობაში რომ არიან თავის მორალის მიღმა დარჩენილ თეორიასთან, აღშფოთების პათოსით მოცულნი ახსენებენ ექსპლუატატორებს. საშინელი ლანძღვა-გინებით სავსე კომუნისტურ პროპაგანდას მორალური სჯის ხასიათი აქვს და ამ მორალური სჯის გარეშე ყოველივე აზრსაა მოკლებული. მაგრამ ასეთია მარქსიზმის ერთი მხარე, ადამიანის თავისუფლებისაკენ და მორალური პასუხისმგებლობისკენ რომ არის მიმართული. კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა, რომელიც ეკონომიკის ღეტერმინიზმთანაა დაკავშირებული. კაპიტალიზმი არა მარტო იმიტომ არის გაკიცხული, რომ მასში ექსპლუატაციის ზნეობრივი ბოროტებაა, არამედ იმიტომაც, კაპიტალისტური ეკონომიკა პროდუქტიული არ არის, ხელს უშლის საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას და ისტორიული გარდაუვალობით სასიკვდილოდაა განწირული. მარქსისტებს მტკიცედ სჯერათ, რომ ისტორიული განვითარება გამარჯვებას მოუტანთ. ისინი კიცხავენ სოციალიზმის იმ ფორმებს, რომლებშიც არ უნდათ ისტორიულ აუცილებლობას დაეყრდნონ. მათ გაიზიარეს ჰეგელის რწმენა, რომ ისტორიულ პროცესში აზრია და ისტორიული აუცილებლობას მესიანურ საუფლოსთან მივყავართ. ძნელია ამისი თქმა, მარქსიზმის რომელი მხარეა უფრო ძლიერი, არგუმენტირება სულ ყოველთვის აღრეულია. საჭიროა უფრო ღრმად ჩავწვდეთ მარქსიზმის ფილოსოფიას, რომელიც არსებითად მატერიალიზმის სრული საწინააღმდეგოა. მარქსის მთელი დადებითი პათოსი დაკავშირებული იყო იმის რწმენასთან, რომ ადამიანი, სოციალური ადამიანი დაეუფლება სამყაროს, აუცილებლობის სამყაროს, ჩამოაყალიბებს ახალ საზოგადოებას, ბოლოს მოუღებს შექმნილ ანარქიას ადამიანების საკეთილდღეოდ, სულ უფრო და უფრო აღმავალი ძალით მათივე სასიკეთოდ. მარქსიზმი პე-

სიმისტურად იყო განწყობილი წარსულისადმი, მომავლისადმი კი ოპტიმისტურად. მარქსიზმი ერთგულია ფიხტეს იდეალური თეზისა, რომ სუბიექტი ქმნის სამყაროს. ფიხტეს მიხედვით, სუბიექტი თეორიულად, ფიქრში ქმნის სამყაროს; მარქსის შეხედულებით, მან მართლაც უნდა შექმნას, გადააკეთოს სამყარო, რადიკალურად შეცვალოს. სრულიად მცდარია მარქსიზმის წარმოჩენა ობიექტივიზმის სულისკვეთებით, როგორც ასე უყვართ მარქსისტებს და ამით იმის თქმა უნდათ, რომ ისტორია მათთანაა. მარქსისტულ ფილოსოფიას უნდა განსაზღვრულ იქნას როგორც ფილოსოფია praxis აქტის, მოქმედების, მაგრამ მისთვის ფასეულია რეალობა იმ მატერიალური სამყაროსი, რომელზეც სუბიექტი, ადამიანი იღწვის, ის წინააღუდგება იდეალიზმს, სადაც აუცილებლობისა და მატერიალური სამყაროს ძალაუფლება დამარცხება მხოლოდ ფიქრში ხდება. მარქსის მატერიალიზმი უნდა გავიგოთ XIX ს. 40-იანი წლების გონებრივი ატმოსფეროს მიხედვით, როგორც რეაქცია განყენებული იდეალიზმის წინააღმდეგ. მარქსს უნდოდა ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში შეეყვანა კონკრეტული ადამიანი და ფიქრობდა, მატერიალიზმის მტკიცებით გავაკეთებო ამას, თუმცა მატერიალიზმი ფილოსოფიათაგან ყველაზე უფრო აბსტრაქტულია და ნაკლებად კონკრეტული. მარქსიზმი რომ შეიქმნა, ის გონებრივი ატმოსფერო აღარ არსებობს და უკვე ამიტომაც მარქსიზმი ვითარცა მსოფლმხედველობა მოძველებულია.

თავის თეზაში დემოკრიტესა და ეპიკურეზე მარქსი დემოკრიტეს მოწინააღმდეგეა, დემოკრიტე მექანიკური მატერიალიზმის მომხრე იყო, მოძრაობის სათავედ მიაჩნდა ბიძგი გარედან, ასევე მარქსი ემხრობოდა ეპიკურეს, რომელიც ინდეტერმინისტი გახლდათ. ფოიერბახის შესახებ პირველ თეზისებში ის მტკიცედ აკრიტიკებდა წარსულის [illegible] მატერიალისტებს იმის გამო, რომ [illegible] ობიექტისა და საგნის თვალსაზრისზე დგანან და არა სუბიექტისა და ადამიანის აქტიურობაზე. ხსენებული თეზისი სულაც არ არის მატერიალისტური და უფრო ეგზისტენციალისტურ ფილოსოფიას მოგვაგონებს. მარქსი ღღენიადაგ საზს უსვამდა ადამიანის, ე. ი. სუბიექტის აქტიურობას, იმის უნარს ეგრეთწოდებული ობიექტური სამყაროს შეცვლისა და დამორჩილების. მარქსი უარყოფს იმ აზრს, რომლის მიხედვითაც ადამიანი სრულიადაა დამოკიდებული ობიექტურ სამყაროზე, ამ მხრით ფრიად ნიშანდობლივია მისი შესანიშნავი მოძღვრება საქონლის ფეტიშიზმზე. ამ ილუზიორული აზრის მიხედვით, საგნის რეალობა იქ არის, სადაც მოქმედებს ადამიანის რეალური შრომა და ადამიანების დამოკიდებულებანი. კაპიტალი არ არის ადამიანის მიღმა მდებარე საგანი, არამედ წარმოებაში ადამიანების დამოკიდებულებანია. თვითდინებით, თავისთავად არაფერი არ მიმდინარეობს, ფატალური აუცილებლობა არ არის, არც გარდაუვალი ეკონომიკური კანონები, ამ კანონებს მხოლოდ გარდამავალი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ. მარქსიზმი მიელტვის ეგზისტენციალური პოლიტიკური ეკონომიკის შექმნას, მაგრამ თანამიმდევრული არ არის და აღრეულია ორი სხვადასხვა საწყისი. მარქსიზმის ყველაზე უფრო დიდი წინააღმდეგობრიობა შეიძლება ის არის, რომ ის აღიარებს ტელეოლოგიას, ისტორიული პროცესის გონებრივ ხასიათს, ისტორიის არსს, რომლის რეა-

ლიზება მომავალ საზოგადოებაში უნდა მოხდეს. სრულიად ნათლად ეს ჰეგელიდანაა მოყვანილი და იმით იყო გამართლებული, რომ ისტორიის სათავეში ძევს მსოფლიო სული, გონება. მაგრამ ამის გამართლება არამცდაარამც არ შეიძლება ისტორიის მატერიალისტური გაგებით. რად უნდა მიგვიყვანოს მატერიამ მისივე შექმნილი პროცესებით აზრის და არა უაზრობის ზეობამდე? რას ესაძირკვლება ასეთი ოპტიმიზმი? მატერიაში შეყვანილია გონების არსი, თავისუფლება და შემოქმედებითი აქტიურობა. მაგრამ ეს ხომ ამასაც მოწმობს, მარქსისტული ფილოსოფია არ არის მატერიალიზმი და იმისი ასეთი დასახელება საცხადო მიმძლავრებაა ტერმინოლოგიაზე. ყოველ შემთხვევაში ეს უფრო პილოძოიზმია, ვიდრე მატერიალიზმი და უფრო მეტიც, განსაკუთრებული სახის იდეალიზმია. თავად ეს სიტყვა „დიალექტიკური მატერიალიზმი", რომელიც ტერმინთა წინააღმდეგობრიობაა, მომარჯვებულია პროპაგანდის მიზნებისთვის და არა ფილოსოფიური გამოყენებისთვის. მატერიის დიალექტიკა შეუძლებელია, შესაძლებელია მხოლოდ გონების დიალექტიკა, სულის, ცნობიერების. თავისთავად მატერიამ არ იცის აზრი, დიალექტიკა ხსნის ამას, მატერია აზრს სულისგან ღებულობს. საბჭოურმა ფილოსოფიამ სიტყვა „თვითმოძრაობაც" კი მოიგონა იმის გასამართლებლად, რომ მოძრაობის წყარო არა გარედან ბიძგია, არამედ მატერიის დამახასიათებელი შინაგანი თავისუფლებაა. სასაცილოა ამას მატერიალიზმი დავარქვათ. ბრძოლის აპოთეოზი, რევოლუციური ნების ეგზალტირება მხოლოდ ასეთი არამატერიალური ფილოსოფიის დროსაა შესაძლებელი. მაგრამ ამასთან ერთად რჩება მატერიალისტური ელემენტი, რომელიც, ძირითადად, უარყოფით როლს თამაშობს სულიერი საწყისებისა და ფასეულობათა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველ შემთხვევაში ეს მონიზმი [illegible] ერთი წესრიგი, ჰეგელის საუფლო, რომელშიც დიალექტიკური მოძრაობა მიმდინარეობს. ამასთან შეიძლება ადვილად მოხდეს სოციალური ფორმების აბსოლუტიზაცია. ფილოსოფიათა დოქტრინების მარქსისტული კლასიფიკაცია, განსაკუთრებით, ენგელსის მიერ განვითარებული, ერთი მხრით, გვიჩვენებს იდეალიზმს, რომელიც სცნობს ცნობიერების პრიმატს ყოფიერებაზე, მეორე მხრით, გვიჩვენებს მატერიალიზმს, რომელიც სცნობს ყოფიერების პრიმატს ცნობიერებაზე, სრულიად უსაფუძვლოა და უკავშირდება XIX ს. 40-იანი წლების ფილოსოფიურ ატმოსფეროს. გაუგებარია, რადაა ყოფიერება უსათუოდ მატერიალური ყოფიერება. ასეთი კლასიფიკაციის მიხედვით, წმ. თომა აქვინელი მატერიალისტად უნდა ღაესახოთ. თავად მეც უნდა მიმაკუთვნონ მატერიალისტებს. მარქსისტული ფილოსოფია არა მარტო წინააღმდეგობრივია, სრულიად დაძველებულია, სექტანტობის შმორი ასდის; და ეს ასევე მიუხედავად იმისა, რომ თავად მარქსს აქვს დადებითი ცხოვრებისეული ელემენტი, განსაკუთრებით ეკონომიკის დარგში.

●

მარქსიზმ-კომუნიზმის განსაკუთრებული დინამიკურობისა და ქმედუნარიანობის მიზეზი ეს არის, ის რელიგიის ყოველი ნიშნის მატარებელია. მეცნიერული თეორია და პოლიტიკური პრაქტიკა ვერასდროს

ვერ ითამაშებდა ასეთ როლს. შეგვიძლია დავადგინოთ მარქსიზმის შემდეგი რელიგიური ნიშნები. მკაცრი დოგმატიკური სისტემა, მიუხედავად პრაქტიკული მოქნილობისა, დაყოფილია ორთოდოქსიად და ერესად, მეცნიერების ფილოსოფიის შეუვალობა, მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის საღვთო წერილი, რომლის განმარტება კი შეიძლება, მაგრამ ეჭვის ქვეშ დაყენება არა; სამყაროს ორ ნაწილად დაყოფა — მართლმორწმუნეებად და მწვალებლებად, ზემოდან დირექტივების მომწოდებელი იერარქიულად ორგანიზებული კომუნისტური ეკლესია, ხოლოდ რელიგიებისთვის დამახასიათებელი ტაძარი, ტოტალიტარიზმი; მორწმუნეთა ფანატიკურობა; ერეტიკოსების მოკვეთა და დახვრეტა; სეკულარიზაციის დაუშვებლობა მორწმუნეთა კოლექტივში; პირველყოფილი ცოდვის (ექსპლუატაციის) ძლიერება. რელიგიურია აგრეთვე სწავლება ნახტომზე აუცილებლობის საუფლოდან თავისუფლების საუფლოში. სწორედ ეს არის მოლოდინი სამყაროს გარდაქმნისა და ღვთის საუფლოს დადგომის. მოძველებული მარქსისტული Zusammenbruchtheorie, რომელიც ამტკიცებს, მუშების მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებაო და მთელი ეკონომიკა გარდაუვალ კატასტროფამდე მიდის, მოგვაგონებს ამ სამყაროს აპოკალიფსისეულ აფეთქებას. ხსენებული თეორია ჩამოყალიბდა არა მარტო რეალურ ეკონომიკურ პროცესზე დაკვირვებისა და მისი ანალიზის შედეგად, არამედ ესქატალოგიური განწყობილებითაც, ამ სამყაროს კატაკლიზმის მოლოდინით. მარქსიზმის წინააღმდეგობა ის არის, რომ თავისუფლების საუფლო, რომლისკენაც ყოველი სასოებითაა მიმართული, აუცილებლობისდა კვალად გარდაუვალი შეიქმნება. ჰეგელიანობის ზეგავლენა აქ ძალიან ჩანს. მარქსიზმს თავისუფლება ესმის ვითარცა შეცნობილი აუცილებლობა. [illegible] თად სწორედ ეს არის [illegible] ვისუფლებისა, რომელიც ყოველთვისაა დაკავშირებული სულიერ საწყისთან, არც ბუნებით და არც საზოგადოებით რომ არის დეტერმინირებული. მარქსიზმი ვითარცა რელიგია, არის განგებულების იდეის სეკულარიზებული ფორმა. ფსევდორელიგიური ხასიათისდა კვალად ასევე ისტორია ორ ნაწილად არის დაყოფილი. სოციალისტურ ან კომუნისტურ რევოლუციამდე მხოლოდ ისტორიის შესავალია, მას შემდეგ კი ჭეშმარიტი ისტორიის დასაწყისია, მარქსისტული რელიგიის საფუძველშივეა სეკულარიზებული, გაუთავისებელი ჰილიზმი. უამისოდ ყოველგვარ აზრსაა მოკლებული მარქსიზმის პათოსი. მარქსისტები ძალიან ბრაზობენ, როდესაც მარქსისტულ დოქტრინას განიხილავენ ვითარცა თეოლოგიას, მაგრამ ხსენებული განსაზღვრების უკუგდება ვერც ვერასდროს შეძლეს. მარქსისტები ძალიან აფასებენ მეცნიერებას და თაყვანს სცემენ მეცნიერებას. სჯერათ, რომ ჭეშმარიტი მეცნიერება, არა ბურჟუაზიული მეცნიერება ყველა საკითხს მოაგვარებს. მეცნიერების ამ თაყვანისცემისდა კვალად ისინი მიეკუთვნებიან XIX და არა XX საუკუნეს. მარქსისტული აზროვნება ფრიად არაკრიტიკულია, სულაც მტრულადაა განწყობილი კრიტიკისადმი. კრიტიკა ისევე უარყოფილია, როგორც ორთოდოქსული თეოლოგიები. მარქსიზმის წინააღმდეგობრიობა იმასთან არის დაკავშირებული, რომ ის არის არა მარტო ბრძოლა კაპიტალისტური ინდუსტრიის წინააღმდეგ, მისივე მს-

ხვერპლიცაა, მსხვერპლია ადამიანის ცხოვრებაზე იმ ეკონომიკის ძალაუფლებისა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ XIX და XX საუკუნეების საზოგადოებებში. ამ მხრით მარქსიზმი პასიურია იმ სოციალური გარემოს მიმართ, რომელშიც ის შეიქმნა, სულიერად არ უწევდა წინააღმდეგობას მას. ამიტომ მარქსიზმისთვის ახალი ადამიანი, სოციალური საზოგადოების ახალი ადამიანი ფაბრიკული წარმოებით იქმნება. ის პირმშოა მკაცრი აუცილებლობის და არა თავისუფლების. კაპიტალისტური დიალექტიკის ბოროტებამ უნდა შვას სიკეთე, წყვდიადმა, რომელშიც ადამიანი გაუცხოვებულია და საგნადაა ქცეული, უნდა შვას სინათლე. ეს არის შინაგანად სულიერი კაცის უარყოფა. უკიდურესი ანტიპერსონალიზმია, რომლიდანაც კომუნისტური ჰუმანიზმი ვერ გვიხსნის. ყოველგვარი შეფასება ამისდა კვალად იცვლება, ყოველივე ეკონომიკითა და კლასით თუ განისაზღვრება ან მოქმედებენ სულიერი, მორალური და ინტელექტუალური ძალებიც.

მარქსიზმს მნიშვნელოვანწილად სურს გამოაშკარავოს ცნობიერების ილუზია, წარმომჩენი რომაა ადამიანის ეკონომიკური მონობისა და საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის. ის ააშკარავებს რელიგიურ, მეტაფიზიკურ, მორალურ, ესთეტიკურ და სხვ. ილუზიებს. ამ თვალსაზრისით, არსებითად, წარსულის მთელი სულიერი კულტურა ცნობიერების ილუზიაა, რომელშიც ასახულია საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა. აქ არის ფორმალური მსგავსება ფროიდთან და ფროიდიზმთან, ადამიანი ახსნილია მხოლოდ ქვემოდან, მისი მდაბალი მოგომარეობისდა კვალად. უმდაბლესი ქმნის უმაღლესს და უმაღლესი ილუზია აღმოჩნდება. მარქსიზმი ყოველმხრივ არა მარტო ილუზიებს, სიცრუესაც ხედავს. ჭეშმარიტი რეალობა, ჭეშმარიტი ცხოვრება ადამიანის, სოციალური ადამიანის ბრძოლა ბუნებისა და საზოგადოების სტიქიურ ძალებთან, ე. ი. თავიდათავი ეკონომიკაა. ყოველივე დანარჩენი დამხმარე საშუალებებია ეკონომიკის, რომელშიც ცხოვრების მიზნებს ხედავენ, სოციალურ მშენებლობას ემსახურება მეცნიერება და ხელოვნება. მარქსი დიდი კულტურის ადამიანი იყო, კიდევ ეს კულტურა ცნობიერების ბეჭდით იყო აღბეჭდილი. მაგრამ მარქსის ბოლო დროინდელ თაყვანისმცემლებში კულტურის დონე დაწეულია. ხსენებული დონე ძალიან დაბალია საბჭოთა რუსეთში, სადაც არცაა კულტურა, არის მხოლოდ მასების ელემენტარული განათლება და ტექნიკური ცივილიზაცია. ეკონომიკის პირველრეალობის უარმყოფელი ცნობიერების „ილუზიის“ სრულმა გაუქმებამ მიგვიყვანა სულიერი კულტურის ნგრევასა და გაცამტვერებასთან. სული თურმე ცუდად ორგანიზებული მატერიის ილუზიაღაა. მარქსისტულ დოქტრინაში ყველაზე უფრო ბუნდოვანი ცნებაა „ზედნაშენი“. ვერც ვერავინ შეძლო საკმაოდ ნათლად იმის ახსნა, თუ რისი თქმა უნდოდათ, როდესაც ამბობენ, რომ იდეოლოგია და სულიერი კულტურა „ზედნაშენია“ ეკონომიკის და საზოგადოების კლასობრივ წყობილებაზე. ეს ისევე ბუნდოვანი და განუსაზღვრელია, როგორც საერთოდ მატერიალური თეზისი, რომ სული — მატერიის ეპიფენომენია. მატერიალიზმს არც არასდროს შეეძლო ამისი სრულიად ნათლად გამოხატვა და სხვადასხვა, თუმცა კი ერთნაირად უსაფუძვლო ხერხებით ცდილობდა ამის ჩამოყალიბებას. ბოლოს და ბოლოს

ინგელსმაც კი აღიარა, მე და მარქსი ეკონომიკის მნიშვნელობის ზედმეტად ვაფასებდითო. თუ იმისთქმა უნდათ, რომ ეკონომიკა და ადამიანების კლასობრივი მდგომარეობა იდეოლოგიაზე, გონებრივ, მორალურ და სულიერ ცხოვრებაზე ზეგავლენას ახდენს, ამისთვის სულაც არ არის საჭირო მარქსისტი ან მატერიალისტი იყოთ, ყველაფერი ურთიერთკავშირშია. ვერავითარ სიძნელეს ვხედავ, შეიძლება ვაღიაროთ არსებობა ბურჟუაზიული კათოლიკობისა, პროტესტანტობისა და მართლმადიდებულობის, ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და მორალის, მაგრამ ამისდა კვალად დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომ სულიერი შემოქმედების ჭეშმარიტება ეკონომიკაშია საძიებელი და არ არსებობს ეკონომიკისგან დამოუკიდებელი სულიერი ფასეულობანი. უკვე იყო გამორკვეული, რომ ეკონომიკა ცხოვრების საშუალებას მიეკუთვნება და არა მიზანს და რომ ეკონომიკურ მატერიალიზმს ესაძირკვლება პირობების აღრევა და მისი თანმხლები მიზეზი და მიზანი. თავად ეკონომიკა არ არის მატერია. ასე ბოროტად რომ იყენებენ, ცნება „ზედნაშენს“ შეუძლია ყველანაირი კრიტიკა შეუმციროს. გამოურკვეველი რჩება, მატერიალური რეალობა როგორ გადადის ინტელექტუალური და სულიერი რიგის რეალობაში, როგორ შეიძლება ეკონომიკა გადავიდეს შემეცნებასა ან ზნეობრივ შეფასებაში. შეიძლება ვთქვათ, მარქსიზმი ვითარცა ინტელექტუალური რიგის მოვლენა დაკავშირებულია XIX საუკუნის კაპიტალისტურ ეკონომიკასთან და არც შეეძლო უიმისოდ არსებობა. ის იყო კაპიტალისტური ეკონომიკის წინააღმდეგ მიმართული რეაქცია. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების პროცესსა და ექსპლუატაციაში ჩათრეულ პროლეტარიატსა და მარქსის აზროვნებას შორის უფსკრულია, ნამდვილი უფსკრულოვანზე. მარქსისტებს ღღენიადაგ უყვართ ემის გამეორება, რომ ყოფიერება ცნობიერების განმსაზღვრელია. ფიქრობენ, ეს არისო მატერიალიზმი, იმ დროს, როდესაც კიდევ უფრო მეტი თანამიმდევრულობით ამის დამტკიცება შეუძლიათ უკიდურეს სპირიტუალისტებსაც კი. სრულიად დაძველებული თვალსაზრისი აქვთ მოშველიებული, აიგივებენ რა სულიერებასა და სულიერ ცხოვრებას ცნობიერებასთან. მაგრამ მთავარი ის არის, არც არასდროს ცდილობდნენ აეხსნათ, როგორ შეიძლება მატერიალური ყოფიერება გადავიდეს ცნობიერებაში, ფიქრში. ათასწლეულობით შეჭიდებოდა ამას ფილოსოფიური აზრი და მისი უდიდესი წარმომადგენლები მატერიალიზმს კი არ ირჩევდნენ, ამ უკანასკნელის დამცველები იყვნენ ფრიად მეორეხარისხოვანი, საშუალო დონის ფილოსოფოსები. ცნობიერების სრულიად მომაკვდინებელი მატერიალური ყოფიერების დოგმატი შეიძლება მხოლოდ რწმენა იყოს და არა ცოდნა. საზოგადოებაზე პრიმატი სუბიექტს ეკუთვნის, მაგრამ სუბიექტის ცნობიერება პირველ იდეებს ვარაუდობს, პირველადვე ღმერთის ნაშობს, სუბიექტის წინ რომ არა დგას, მის უკანაა, სიღრმეში. მარქსისტებს შეიძლება ერთი რამ დავუთმოთ, თუკი კლასობრივი ჭეშმარიტებისა და სიკეთის არსებობის ვარაუდი უაზროა, სრულიად შეიძლება დავუშვათ კლასობრივი სიცრუისა და არასარწმუნოს არსებობაც. მარქსიზმი მართალია კაპიტალიზმისა და კლასობრივი ეკონომიკის კრიტიკაში, კლასობრივი ცნობიერების სიცრუის გამოაშკარავებაში. მაგრამ მარქსი ანი-

ჭეშდა უნივერსალურ მნიშვნელობას ფაქტებს, რომლებსაც აკვირდებოდა XIX ს. კაპიტალისტურ, კლასობრივ საზოგადოებებში, ძირითადად, ინგლისში. ამაშია დიდი ცდომილება მარქსიზმი ამან მიიყვანა დაუძლეველ წინააღმდეგობასთან.

უპირველეს ყოვლისა მარქსიზმში ლოგიკურ წინააღმდეგობასთან დაკავშირებული ბუნდოვანებაა. თავად მარქსისტული თეორია რა არის? არის თუ არა ის, როგორც ყოველი თეორია და იდეოლოგია, თავისი დროის ეკონომიკური სინამდვილისა და მასში მიმდინარე კლასთა ბრძოლის გამომსახველი, ე. ი. „ზედნაშენის", რომელიც ექვემდებარება ჩვეულებრივ მარქსისტულ ახსნას? თუ იქნებ ის არის საბოლოოდ გამომზეურებული ძირი ჭეშმარიტებისა? ყოველ შემთხვევაში ნამდვილი სასწაული მოხდა. XIX ს. შუა წლებში პირველად გამომზეურდა უცილობელი ჭეშმარიტება ისტორიული პროცესის შესახებ, რომელიც მხოლოდ „ზედნაშენისა" და ეკონომიკის ამსახველი არ არის. მარქსიზმისთვის ძნელია ორივე კითხვა. პირველი პასუხისდა კვალად მარქსიზმი გარდამავალი და შედარებითი თეორიაა, თუმცა სასარგებლოა კლასთა ბრძოლაში, მაგრამ არ შეუძლია ჭეშმარიტების პრეტენზია ჰქონდეს და მარქსიზმს უთანაბრებს ყველა სხვა თეორიასა და იდეოლოგიას. მეორე პასუხისდა კვალად, მარქსიზმი ჭეშმარიტების ძირია, რაიც თავად მარქსისტული თეორიის საწინააღმდეგოა, იმის მიხედვით ხომ ასეთი სახის ჭეშმარიტების შესაძლებლობა გამორიცხულია. მარქსისტთა პასუხით, ალბათ, ეს რელატივიზმის დიალექტიკური გამართლებაა. ისინი იტყვიან, მარქსისტული თეორია შედარებით ჭეშმარიტებაა, ვინაიდან ყველა ჭეშმარიტება, ამასთან სოციალურ ბრძოლაში ფრიად სასარგებლო ჭეშმარიტებაა. მაგრამ, ასეთი პასუხის ლოგიკური სისუსტის გარდა, ის სულაც ვერ ამართლებს და ვერცა ხსნის მარქსიზმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, გამოყვანილი რომ არის სხვა შედარებითი ჭეშმარიტებებიდან. სრულიად ნათელია, მარქსიზმის ხსენებული განსაკუთრებული როლი რწმენით აიხსნება და მეცნიერული მნიშვნელობის პრეტენზია არ ექნება სულაც. მარქსიზმ-კომუნიზმი — რელიგიური სექტაა, რომლისთვის მთავარი მუშათა კეთილდღეობა კი არ არის, ჭეშმარიტი რწმენის გაზიარებაა. საცხადო წინააღმდეგობა არსებობს მატერიალიზმსა და ლოგიკური რეალიზმის ცნებებს შორის, საერთო რეალობის უცილობლობას რომ აღიარებს, მაგ., კლასი კონკრეტულ ადამიანზე რეალურია, პროლეტარიატის იდეა თავად პროლეტარიატზე უფრო მნიშვნელოვანია. მარქსისტების გულუბრყვილობის, არაკრიტიკულობისდა კვალად პირველად რეალობებად ღებულობენ. განსაკუთრებული გულუბრყვილობით გამოირჩევა საპოლემიკო მიზნით შექმნილი ლენინის ერთადერთი ფილოსოფიური წიგნი. იმის მიხედვით, შემეცნებაში ობიექტური რეალობები აისახება. ის იზიარებს გულუბრყვილო რეალისტურ ვარაუდს, რომლის გაკეთება შესაძლებელი იქნებოდა ფილოსოფიური კრიტიკის წარმოშობამდე. ლენინის თვალსაზრისი, რომლითაც აბსოლუტური ჭეშმარიტებაც კი მტკიცდება, ფრიად არასახარბიელოდ გამოირჩევა ენგელსის თვალსაზრისისგან, ამის მიხედვით, ჭეშმარიტების კრიტერიუმები პრაქტიკულია, ე. ი. მოქმედების ფილოსოფიის გამზიარებელია. ლენინს

ის იდეაც კი არა აქვს, რომ ჭეშმარიტება უპირატესად პროლეტარიატისთვისაა გახსნილი. ის უფრო ჰქონდა ა. ბოგდანოვს, რომელსაც სურდა წმინდა სოციალური ფილოსოფიის შექმნა. ლენინი — გულუბრყვილო რეალისტია, სწორედ ასე ესმოდა მას მატერიალიზმი. სრულიად წინააღმდეგობრივია ეს მარქსიზმის სხვა მხარესთან. მარქსიზმმა არ იცის ნამდვილი გნოსეოლოგია. მასში ცოდნას სჭარბობს რწმენა.

მაგრამ მარქსიზმში მორალური წინააღმდეგობრიობაა, უფრო მეტადაც, ვიდრე ლოგიკური წინააღმდეგობრიობა. მარქსიზმი დიდად აფასებს თავისი მოძღვრების ზემორალურ ანუ მორალის მიღმისეულ ხასიათს. მარქსს ძალიან არ უყვარდა ეთიკური სოციალიზმი, რეაქციულად თვლიდა სოციალიზმის მორალურ მტკიცებას. თუმცა მარქსისტები სულ მუდამ უხმობენ მორალურ სჯას და განსაკუთრებით განსჯას. მორალისტური ხასიათი აქვს ყველა იმ განსჯას, რომელიც მიმართულია ბურჟუაზიისა და კაპიტალისტების და ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებსაც სოციალ-მოღალატეებს უწოდებენ, ასეთები კი კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ექსპლოატატორთა განსჯა მორალური ხასიათისაა და მორალური შეფასების მოუშველებლად ყოველგვარ აზრსაა მოკლებული. თავად განსხვავებასაც ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის აქსიოლოგიური ხასიათი დაჰკრავს, ეს განსხვავებაა სიკეთისა და ბოროტებისა, წყვდიადისა და სინათლის, სამყაროს ორ ნაწილად თითქმის მანიქეური დაყოფაა, წყვდიადის საუფლოდ და სინათლის საუფლოდ, რევოლუციური მარქსიზმი ნამდვილად შეიცავს მორალური შეფასებისა და მორალური განქიქების ძლიერ ელემენტს. მთელ სამყაროს მოიცავს, არსებითად, ხსენებული მორალური განქიქება, გამონაკლისი მხოლოდ მარქსისტულ-კომუნისტურ რწმენათა [illegible] სრულიად არ არის სწორი მარქსისტ-კომუნისტების დადანაშაულება მორალის უარყოფაში. უფრო სწორი ეს უნდა იყოს, სხვა მორალი აქვთ. და ამ სხვა მორალისდა კვალად უნდა ვთქვათ, უფრო მეტადაც არიან მორალისტები. მარქსისტული მორალი გაორებულია და ამას უნდა ჩავხვდეთ. მარქსიზმი მართლაცდა ვარაუდობს იმის უარყოფას, რასაც ზოგადსაკაცობრიო, უნივერსალურ მორალს ეძახიან, ეს უარყოფს კაცობრიობის მორალურ ერთიანობას კლასობრივი თვალსაზრისთა კვალად. მარქსისტული მორალი არ არის ქრისტიანული მორალი, არც ჰუმანისტური მორალია ძველი გაგებით. მისი აზრით ზოგადსაკაცობრიო მორალი გაბატონებული კლასის ხრიკებია, აბსოლუტური მორალური ნორმების მოშველიებით უნდათ კლასობრივი ბრძოლის შესუსტება. მარქსისტ რევოლუციონერს (მე არას ვამბობ ევოლუციურ და რეფორმატორულ სოციალ-დემოკრატიაზე) სჯერა, რომ ის ცხოვრობს ბოროტების გაუსაძლის სამყაროში და ამ ბოროტებისა და წყვდიადის სამყაროსთან ბრძოლა ყოველგვარი საშუალებითაა ნებადართული. ეშმასა და მისი საუფლოს დანდობა არ იქნება, ეშმა უნდა მოისპოს. იმას ვერ ვიტყვით, რომ მარქსისტ-რევოლუციონერების მიხედვით ყველაფერია ნებადართული, მაგრამ მათი შეხედულებით, ყველაფერი ნებადართულია იმ მტერთან, ვინც წარმოადგენს ეშმას, ექსპლუატაციის, უსამართლობისა, წყვდიადისა და რეაქციის საუფლოს. სინათლის, სამართლიანობის, პროგრესის. თავიანთი

საუფლოს მიმართ კი, პირიქით, ამკვიდრებენ მოვალეობისა და მსხვერპლად მისვლის ძველ მორალს. საბჭოთა რუსეთში მიღებულია იმ საშუალებების მოხმობა, ქრისტიანულ და ჰუმანისტურ მორალს რომ ეწინააღმდეგება და ამავე დროს მორალიზმს ამტკიცებენ, სურვილს სათნოების ძალადატანებითი დამკვიდრებისა. მარქსისტული მორალური ცნობიერება წინააღმდეგობებითაა შემუსრული, ერთი მხრით, წარსულსა და აწმყოს შორის დამოკიდებულებით, და მომავალთანაც. ერთიანი კაცობრიობა ჯერ კიდევ არ არის, შექმნილია კლასები თავ-თავიანთი უფლებებითა და ინტერესებით, ექსპლუატატორთა და ექსპლუატირებულთა, ამიტომაც შეუძლებელია იყოს ერთიანი მორალი. მარქსისტები იმდენად კი არ უარყოფენ ზოგადსაკაცობრიო მორალს, რამდენადაც მას მომავლისკენ მიმართავენ. და ამ ერთიანი ზოგადსაკაცობრიო მომავლისდა კვალად ისინი სჯიან წარსულსა და აწმყოს, მორალურად სჯიან. მორალური წინააღმდეგობრიობა ის არის, რომ მარქსმა კაპიტალისტური წყობილება გაკიცხა ზოგადსაკაცობრიო, უნივერსალური მორალისდა კვალად, გაკიცხა მისი არაადამიანობის გამო, რომ ადამიანი საგნადაა გადაქცეული. მარქსს აქ მოშველიებული აქვს სწორედ ის ზოგადსაკაცობრიო მორალი, რომლის გაკიცხვაც სურს. მომავალი ზოგადსაკაცო რიო მორალის სინათლე დაკრავს ახლანდელის შეფასებას, მარქსიზმს არ ძალუძს ისევე დადგეს მორალური უნივერსუმის მხარეზე, როგორც არ ძალუძს დადგეს ლოგიკური უნივერსუმის იქითა მხარეზეც. მარქსისტული მორალის გაორებულობა ცხადლივ ჩანს მარქსისტული ჰუმანურობის გაორებულობაში. მარქსიზმის სათავეები უფრო-რე ჰუმანურია და საბჭოთა რუსეთი მარქსიზმის რეალიზაციის პროცესში ჰუმანიზმს დაეძებს. მაგრამ ადამიანის სახელით ითრგუნება ადამიანი, ვიწროვდება მისი ცხოვრებისეული შესაძლებლობანი, ცხოვრების ჰუმანიზაციის პროცესი, განსაკუთრებით თან ახლავს დეჰუმანიზაციის პროცესები. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ აწმყო განიხილება მხოლოდ ვითარცა სამომავლო საშუალებაც. მარქსისტული ცნობიერების შევიწროვება იმის გამო მოხდა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ ბრძოლას სოციალურ ბოროტებასთან. ადამიანს უჭირს მოიცვას ცხოვრების სისრულე და მრავალფეროვნება, სულ ყოველთვის მიელტვის ბევრი რამის გამოდევნას. მარქსის ათეიზმი თითქოსდა უფრო უდავო იყო, ვიდრე მისი მატერიალიზმი და სწორედ ამან გამოდევნა ადამიანის ვითარცა სულიერი არსების უმნიშვნელოვანესი მხარეები. მარქსი თუმცა ფოიერბახის მიმდევარი იყო, თავის მხრით რელიგიურ რწმენათა წინააღმდეგ ახალი არგუმენტი მოიშველია — რწმენის წარმოშობის მიზეზები სოციალური არაორგანიზებულობაა, ადამიანის დამოკიდებულებაა ბუნებასა და საზოგადოების სტიქიურ ძალებზე. რელიგია, მისი აზრით, ოპიუმია ხალხისთვის და სწორედ ეს იყო უპირველესი დაბრკოლება ბრძოლაში უკეთესი სოციალური წყობილებისთვის. დამნაშავე იყო ადამიანის დამამცირებელი ცრუ იდეები ღმერთის შესახებ.

მარქსიზმი რომ მიელტვის, ცნობიერების ილუზიის განადგურებას უნდა მივეყვანეთ არა მარტო სულიერი კულტურის დამდაბლებამდე, არამედ რაღაც ზღვარამდე და რაკილა აღარც იყო საჭირო, იმის სრულ გაქრობამდეც. წარსულის ღიდი კუ-

ლტურა, დიდი შემოქმედებითი აღმავლობანი, დიდი შემოქმედი გენიოსები — ყველაფერი ეს ჩაითვალა ექსპლუატაციის პროდუქტად პრივილეგირებული კულტურული ფენის სასარგებლოდ. დოსტოევსკის გმირისდა კვალად ასე იტყვიან და ამბობენ კიდევაც: „ყოველ გენიოსს ჯერ კიდევ ჩვილს მოვაშთობთ“. სულიერი შემოქმედების უდიდესი აღმავლობანი ჩაითვალა სხვა სამყაროს არსებობის ნიშნად, იმისდა მიუხედავად, თუ რა ფორმით ხდებოდა ეს. განსაკუთრებული ამქვეყნიურობა ცხოვრებას გლუვს ხდის. ამ სამყაროს იმანენტურ წრეში ჩაკეტვა ბოლოების დახშობაა, აღარ ჩანს სავალი უსასრულობისკენ, ტრანსცედენტურისკენ, რომელიც ასე პარადოქსულად იმანენტურად უნდა იყოს მიჩნეული. ჩემთვის იმანენტურია ტრანსცედენტური ან ტრანსდენტირება. ჩემს სასრულისმქონე და შეზღუდულ ცნობიერებაში მოცემულია ლტოლვა სასრულისუქონლობისკენ და უსაზღვროებისკენ. კეისრის საუფლოს განსაკუთრებული აღიარება არის გამოკეტვა სასრულისმქონეობაში. ამის საზღვარში მოქცევას ადამიანის შემოქმედების უარყოფამდე მივყევართ. მარქსიზმში იმის საშიშროებაა, რომ აღიარებულ იქნეს მხოლოდ ეკონომიკური და ტექნიკური შემოქმედება, ყოველივე უნდა ემსახურებოდეს სოციალურ მშენებლობას. მარქსიზმი მართალია, როდესაც ამტკიცებს, ადამიანმა უნდა შეცვალოს სამყარო და დაიმორჩილოსო. მაგრამ მეორე მხრით, მარქსიზმი გვთავაზობს დავმორჩილდეთ ისტორიულ აუცილებლობას, სათაყვანებელიც გავხადოთ იგი. მეტად გაუგებარია მარქსიზმში ეს მისი უსაზღვრო ოპტიმიზმი ისტორიულ აუცილებლობასთან მიმართებით, უსაზღვრო რწმენა ისტორიული პროცესის კეთილმდგომარეობასა და გააზრებულობისადმი. ჰეგელთან ეს გასაგებია, მასთან ზომ მოქმედებდა მსოფლიო გონება და განსაზღვრავდა იმის აზრს, რასაც ბოდა. მაგრამ ასეთი სასწაული რად უნდა მოახდინოს მატერიამ და მატერიალურმა პროცესმა. და ჰეგელისეული ისტორიული ოპტიმიზმი მიუღებელი და გაუმართლებელია ვითარცა ისტორიაში ადამიანური თავისუფლების მოქმედების უარმყოფელი უნივერსალური დეტერმინიზმის უკიდურესი ფორმა. კიდევ უფრო ნაკლებადაა ეს გამართლებული მარქსიზმში და ეწინააღმდეგება მარქსიზმის იმ რწმენას, რომ ადამიანს ძალუძს სამყაროს შეცვლა. მარქსისტული ისტორიული ოპტიმიზმი არის მესიანური რწმენის სეკულარიზებული ფორმა. ყოველთვის ასეთია რწმენა უცილობელი პროგრესისა. ჭეშმარიტება ოპტიმიზმისა და პესიმიზმის მიღმაა. ისტორიული პროცესი უფრო ტრაგიკულია, რამდენიმე საწყისი მოქმედებს მასში. მარქსისტული ოპტიმისტური რწმენა ისტორიული პროცესის კეთილმდგომარეობის მიმართ არის სეკულარიზებული განცდა განგებულების რწმენისა. მაგრამ განგებულების ძველი რწმენაც მოითხოვს გადაფასებას, ის ეხმიანებოდა ოპტიმისტურ და უტრაგიკულო შეხედულებას ამ ფენომენალურ სამყაროზე, აუცილებელ კაუზალურ კავშირებს რომ არის დამორჩილებული. მარქსიზმში არის ნაწილობრივი სიმართლე, განსაკუთრებით კრიტიკის სიმართლე, და ეს უნდა ვაღიაროთ. უნდა ვაღიაროთ მსოფლიოში სოციალური რევოლუციის აუცილებლობა. უნდა ვისურვოთ, რომ ხსენებული რევოლუცია იყოს ნაკლებად ძალადობრივი და სასტიკი. მაგრამ მარქსიზმი თავისი ისტორიული ფორმით საშიშ-

როებას უქმნის სულის საუფლოს, თუმცა ეს საშიშროება ისტორიაში კი იყო გამოხატული სხვადასხვა ფორმით. მარქსიზმი ინტელექტუალურად სრულიადაა მოკლებული შემოქმედებით ხასიათს. მარქსისტული აზრი ფრიად მწირია. მარქსიზმ-კომუნიზმი უარყოფს მრავალფეროვნებას და სევდის მომგვრელია. მარქსისტული აზრი სულაც არა დგას თავად მარქსის დონეზე, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას ითამაშოს ძალიან აქტიური როლი, ესმარება კიდევაც. მარქსიზმის ეს ძალა ნაწილობრივ დამოკიდებულია ქრისტიანთა სისუსტეზე, იმაზე, რომ სულის საუფლო არ არის მკვეთრად გამომზეურებული და ყოველმხრივ უთმობს კეისრის საუფლოს.

თავი IX

კაცობრიობის ერთიანობა და ნაციონალიზმი

რამდენადაა ერთიანი კაცობრიობა? ნაციონალური ერთიანობა უფრო მეტადაა თვალსაჩინო, ვიდრე კაცობრიობის ერთიანობა. ხსენებული ნაციონალური ერთიანობა განსაკუთრებით საცხადოა ომიანობის დროს. ფილოსოფიურად ეს რთული საკითხია რეალობებზე, რომლებსაც პიროვნებებად ვერ დავსახავთ. კაცობრიობის ერთიანობა არ არის არსება, არ არის პიროვნება მაღალი იერარქიული საფეხურისა; მას არა აქვს ეგზისტენციალური ცენტრი, თავისი ზეპიროვნულ რეალობათა კვალად გვემაწამებისა და სიხარულის უნარსაა მოკლებული. მაგრამ ერთიანი კაცობრიობა არ არის მხოლოდ აზრის აბსტრაქცია, ის არის რეალობათა გარკვეული საფეხური ადამიანის ცხოვრებაში, კაცის მაღალი ხარისხი, მისი ყოვლისმომცველი ადამიანურობა. ნაციონალურობის ხარისხი დამოკიდებულია მასში გამომზეურებულ ადამიანობაზე. კაცის ცხოვრების ისტორიაში არსებობს ორი ტენდენცია: უნივერსალიზმისკენ და ინდივიდუალიზაციისკენ. ნაციონალობა არის ინდივიდუალიზაცია კაცობრიობასთან მიმართებით და გაერთიანებანი კაცთა მიმართებით. ნაციონალობა ვითარცა ინდივიდუალიზაციის საფეხური საზოგადოების ცხოვრებაში არის რთული ისტორიული წარმონაქმნი. ის არა მარტო სისხლითაა განსაზღვრული — რასა ზოოლოგია, ისტორიული მატერიაა — ენითაც, არა მარტო მიწით, უპირველეს ყოვლისა საერთო ისტორიული ბედით. ნაციონალობა არის კაცის ინდივიდუალური ხასიათი, ინდივიდუალური კაცობრიობასთან მიმართებით და ინდივიდუალურ კაცთან მიმართებით. ნაციონალობის თვითდამკვიდრებამ შეიძლება ნაციონალიზმის ფორმა მიიღოს, ე. ი. დახშულობის, განსაკუთრებულობის, მტრობისა სხვა ნაციონალობებთან. ნაციონალურობის ავადმყოფობა ეს არის. განსაკუთრებით ეს ჩვენ დროსაა წარმოჩენილი. ნაციონალობისთვის უნდოდათ ევროპირისპირებინათ ინტერნაციონალიზმი, რომე-

ლიც სხვა ავადმყოფობაა. ინტერნაციონალიზმი არის განყენებული სიღატაკე, არის კაცობრიობის არა კონკრეტული ერთიანობა, თავის თავში რომ მოიცავს ნაციონალური ინდივიდუალობების საფეხურებს, არამედ ნაციონალური ინდივიდუალობის უარმყოფელი აბსტრაქტული ერთიანობა.

ინტერნაციონალიზმი იყო თავად ცხოვრებით უარყოფილი მარქსიზმის საცხადო შეცდომა, ტრიალი აბსტრაქციებში. ნაციონალიზმს უნდა დავუპირისპიროთ უნივერსალიზმი, რომელიც სულაც არ უარყოფს ნაციონალურ ინდივიდუალიზაციებს, არამედ მათ კონკრეტულ ერთიანობაში მოიცავს: მსოფლიოში საკუთარი იდეა და საკუთარი მოწოდება რომ აქვთ, ყოველმა დიდმა ხალხმა თავისი მაღალი კულტურით უნივერსალური მნიშვნელობა შეიძინა. დანტე, ლ. ტოლსტოი, შექსპირი ან გოეთე ერთნაირად ნაციონალურნი და უნივერსალურნია. ცდუნებანი, ცდომილებანი და სიმრუდენი დიდად დამახასიათებელია ნაციონალური ცხოვრებისთვის; ისევე, როგორც ადამიანთა ინდივიდუალური ცხოვრებისთვის. ხსენებული ცდუნება და ცდომილება იმპერიალიზმია. დიდ სახელმწიფოებში გაერთიანებულნი დიდ ნაციონალობებს ძალამოსილობის სენი შეეყრება. იმპერიალისტური ნება ძევს ნაციონალური სახელმწიფოების დიდ წარმონაქმნებში. ძალამოსილობის ეს ნება, იმპერიალისტური ნება უკიდურესად მიელტვის მსოფლიო იმპერიების წარმოქმნას. ასეთი იყო ძველი აღმოსავლეთის იმპერიები, რომის იმპერია, კარლოს დიდის იმპერია, ბიზანტიის იმპერია, თავისი პრეტენზიებით რუსეთის იმპერიაც, ასეთივე იყო ნაპოლეონის ჩანაფიქრიც. მეფეებისგან განსხვავებით იმპერატორი მსოფლიო იმპერატორია, ჩანაფიქრისდა კვალად იმპერია მსოფლიო იმპერიაა. სწორედ ასეთის [illegible] და უაზრო პრეტენზია [illegible]ისა. მსოფლიო გაერთიანებისკენ, ერთიანი კაცობრიობისკენ ლტოლვის მრუდე გამოხატულებაა ასახული იმპერიალიზმში. დოსტოევსკი მწვავედ გრძნობდა მიდრეკილებას საყოველთაო გაერთიანებისკენ და ხედავდა აქედან გამომდინარე ცდუნებებს. პატარა ხალხების ნაციონალიზმი არის იზოლაციისა და ავითკმაყოფილების გამოხატულება. დიდი ხალხების ნაციონალიზმი არის იმპერიალისტური ექსპანსია. საბედისწერო დიალექტიკაა დიდი ხალხების ნაციონალიზმში. ნაციონალობათა ინდივიდუალური ფასეულობა უპირველეს ყოვლისა კულტურაშია გამოხატული და არა სახელმწიფოში. ნაციონალიზმთან წილნაყარი სახელმწიფო მეტად ნაკლებადაა ორიგინალური და ინდივიდუალური. ყოველი სახელმწიფო ძალიან ჰგავს ერთმანეთს ჯარის, პოლიციის, ფინანსების, საერთაშორისო პოლიტიკის ორგანიზაციით. სახელმწიფო ნაციონალიზმი ერთთავად სულაც არ არის ნაციონალური. ფაშიზმია ამის დამადასტურებელი. ნაციონალიზმი მკვიდრად არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან და ჭეშმარიტ ნაციონალურ კულტურაზე უფრო მეტადაც აფასებს სახელმწიფოს, ხშირად რომაა მოკლებული ინდივიდუალურ ნაციონალურ თვისებებს. რომელიმე ხალხის ლიტერატურა და მუსიკა უფრორე ინდივიდუალური და თავისებურია, ვიდრე ინტერნაციონალურ ტექნიკასთან დაკავშირებული ჯარი და პოლიცია. დასკვნა ეს არის,

ნაციონალობა დადებითი ფასეულობაა, კაცობრიობის ცხოვრების გამამდიდრებელი, უამისოდ აბსტრაქციას წარმოადგენს,[20] ნაციონალიზმი კი არის ბოროტი, ეგოისტური თვითდამკვიდრება, აბუჩად აგდება და სიძულვილიც კი სხვა ხალხების მიმართ. ნაციონალიზმი შობს შოვინიზმსა და ქსენოფობიას და ის მკვეთრად უნდა განვასხვავოთ პატრიოტიზმისგან. მეტად შემზარავია, რომ ნაციონალიზმი ომიანობის ერთ-ერთი თავწყაროა.

ნაციონალობასთან დაკავშირებული ემოციური ცხოვრება აღრეულია და რთული. მიმდინარეობს ადამიანების ემოციათა და ვნებების ობიექტივაცია. ეგრეთწოდებულ კოლექტიურ, ზეპიროვნულ რეალობათა წარმოშობა მნიშვნელოვანწილად ამ ობიექტივაციისდა კვალად აიხსნება, ამ დროს გამომზეურდება მძლავრი ენერგიები, მათი ექსტერიორიზაციები. ასე იქმნება ნაციონალიზმიცა და პატრიოტიზმიც, რომლებიც მარქსის საპირისპიროდ უდიდეს როლს თამაშობენ ისტორიაში. პატრიოტიზმში ემოციური ცხოვრება უფრო უშუალო და ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, ეს არის გამოხატულება სიყვარულისა თავისი სამშობლოსადმი, თავისი მიწისადმი, თავისი ხალხისადმი. პატრიოტიზმი, უდავოდ, ემოციური ფასეულობაა და არ მოითხოვს რაციონალიზაციას პატრიოტიზმის სრული უქონლობა — არანორმალური, დეფექტური მოვლენაა. ნაციონალიზმი ნაკლებად ბუნებრივია და უკვეა ემოციური ცხოვრების გარკვეული რაციონალიზაცია. ნაციონალიზმი მკვიდრადაა დაკავშირებული სახელმწიფოსთან და ამიტომაცაა უკვე ომიანობის თავწყარო. ნაციონალიზმი გაცილებით მჭიდროდაა დაკავშირებული სხვათა სიძულვილთან, ვიდრე თავისიანების სიყვარულთან. ქვეყნიერების გამომჭმელი ნაციონალური ვნებანი არ არიან უშუალონი, პირველადი ვნებანი, სახელმწიფო ინტერესებთანაა ჩაწნული, ძალიან ბევრი რამ გამოწვეულია პროპაგანდითაც. ეგრეთწოდებული ანგარებით ცხებული ნაციონალური ინტერესები არ არის უშუალოდ ეგოისტური ინტერესები, უკვე მათშივე ხდება ეგოისტური ინტერესებისა და ვნებების ექსტერიორიზაცია და ობიექტივაცია, მათი გადატანა კოლექტიურ რეალობებში. იგივე ემართება კლასობრივ ინტერესებს, რომლებიც შეიძლება სულაც ეწინააღმდეგებოდეს პიროვნულ, ეგოისტურ ინტერესებს. ადამიანი ძალიან ადვილად ხდება მონა და მსხვერპლი ასეთი კოლექტიური რეალობებით, რომლებიც შექმნილია მისი ემოციური, ძალიან ხშირად ეგოისტურ მდგომარეობათა ექსტერიორიზაციით. ადამიანი ხშირად არა მარტო ეგოისტურადაა ინტერესების დამცველი, უანგაროდაც იცავს მათ. უანგაროობისას შეიძლება უარესიც მოუვიდეს, ვიდრე ანგარების დროს. ეს განსაკუთრებით ჩანს ომიანობის მაგალითზე. ნაციონალიზმი დიდ როლს თამაშობს ომიანობის გაჩაღებაში, ქმნის ომიანობის ატმოსფეროს. მაგრამ ომიანობისას ნაციონალობა შეიძლება დამცირებული და განადგურებული შეიქნას, ომიანობის საფუძველია ნაციონალური ინტერესები და ვნებები, ხანდახან ანგარებიანი, ხანდახან უანგარონიც, მეტად საინტერესოა წარმოშობა იმ ომებისა, რომლებიც სულ ყოველთვის ვარაუდობს ჭკუაშეშლილობის ატმოსფეროს. კაპიტალისტურ რეჟიმს უნარი აქვს ომის დაწყებისა. კაპიტალისტთაგან ზოგიერთმა ვიგინდარამ შეიძლება მოი-

სურვოს ომი ბიზნესისთვის, ნავთობისთვის და ა. შ. ხსენებული ვიგინდარა კაპიტალისტები შეიძლება არა მარტო ეკონომიკურად იქნენ განადგურებულნი, ფიზიკურადაც, არა მარტო ომის დროს, რევოლუციითაც, რომლის გამოწვევა სულ ადვილად შეიძლება ომის შემდეგ. პირადი სიმამაცე სულაც არ არის ომიანობის შთამაგონებელი, ანგარების გულისთვის რომ იწყებენ. და მაინც ვნებათა სიშლეგემ, თავად ინტერესების სიშლეგემ შეიძლება ომიანობა შვას. ომის საფუძველი სულ ყოველთვის ფატუმია და არა თავისუფლება. თუ წარსულში ომი შეიძლება ყოფილიყო შედარებითი ბოროტება და თუ შეტევითი ომის გამართლება არც არასდროს შეიძლებოდა, თავდაცვითი და საგანმათავისუფლო ომი გამართლებულია. მაგრამ შეიძლება ისეთი ეპოქა დადგეს, როდესაც ომი ხდება აბსოლუტური ბოროტება, შლეგური ბოროტება. ასეთია ჩვენი ეპოქა, რომელიც ყოველმხრივ განსაზღვრულია მსოფლიო ომით და მესამე ომის შიშითაც. ამიტომ საჭიროა ბრძოლა ნაციონალიზმისა და გადაგვარების გზაზე დამდგარი კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ყველანაირად უნდა ხდებოდეს ფედერალიზმის დამკვიდრება, სახელმწიფოების მიღმა კაცობრიობის გამაერთიანებელი რომ არის;[21] ხალხების სისხლისმწოველი ყოვლისმომცველი ძალა შეიქნა სახელმწიფოები. ომიანობის დროს დიდად მაღლდება სახელმწიფოს ძალა და როლი. შემზარავად ეთატიკური[22] გახდა სოციალიზმი. ეს ეპოქის ავადმყოფობაა. სახელმწიფოს სფერო, ომიანობის სფერო ხდება სრულიად ავტონომიური და არ უნდათ დამორჩილდნენ არავითარ მორალურ და სულიერ საწყისებს. ნაციონალური სახელმწიფო და ომი ავტომატურად მოქმედებს. ომის გამომცხადებელი ადამიანები, ხალხები კი არ არიან, არამედ ავტომატურად მოქმედი ომის ძალა. საკვირველია სწორედ, ანწუხზე ავმყოფი ხალხების საზღვარდაუდებელი ტანჯვა-ვაება რად არ იწვევს ომის წინააღმდეგ გაფიცვებს. ეს მხოლოდ იმის მაუწყებელია, თუ როგორ შეაგდებს სასწორზე ხალხების ბედიღბალს სიშლეგე და ფანატიზმი. სახელმწიფო ხდება თვითმიზანი და წარმოსახული რეალობა, ის უკვე აღარ არის საშუალებები და ფუნქციები. დიდი ბოროტებაა ნაციონალური სახელმწიფოების სუვერენობის იდეები, რომელსაც თავისდა დასალუპავად ასე უფრთხილდებიან ხალხები. ხალხების ფედერაცია ვარაუდობს ნაციონალური სახელმწიფოების სუვერენობის იდეების უარყოფას. შეიძლება შევცვალოთ სიტყვა „ნაცია" სიტყვა „ხალხით". აუცილებელია დავსძინოთ, თუკი ნაციონალიზმი არის უარყოფითი მოვლენა, მაშინ რასიზმი აბსოლუტური სიცრუეა. მხოლოდ ძველებრაულ რასიზმს ჰქონდა აზრი, ჰქონდა რელიგიური საფუძველი. მაგრამ მას შეუძლია უარყოფითი ფორმები მიიღოს. რასისტული მითი, როგორც ამას ამტკიცებდა გერმანული იდეოლოგია, ძალამოსილებისკენ და ზეობისკენ მიმართული ნების ბოროტეული ნაშობევია, მრავალგზის უფრო უარესია ნაციონალიზმზე. რა გასაოცარია, ადამიანებისა და ხალხების დიდი უბედურების სათავეა ცრუ ობიექტივაციები, აგრეთვე ადამიანების ბუნების გაუცხოება გარემდებარე კოლექტიურ ცრურეალობებში. ადამიანი ცხოვრობს კოლექტიური ცნობიერებით, თავისივე შექმნილი მითებით, რომლებიც უძლიერეს რეალობებად გარდაისახე-

ბა, ეს რეალობები იმის ცხოვრებას მართავს. სოციალური ფსიქოპათია გაცილებით ძლიერია სოციალურ ფსიქოლოგიაზე. წარმოქმნილი ფიქტიური რეალობები დიდ როლს თამაშობენ ისტორიულ ცხოვრებაში. სწეული აზრის აბსტრაქცია შობს მითს, მითი ისტორიის ასიმეტრიული რეალობა ხდება. სწორედ ამიტომაა ასე რთული ისტორიის რეალური ძალების საკითხი. მარქსისტული რეალიზმიცაა წილნაყარი მითებად გარდასახულ აბსტრაქტულ აზრებთან.

მსოფლიო არა მარტო ნაციონალობებად არის დაყოფილი, უფრო დიდ წარმონაქმნებადაც — სამყარო ლათინური, ანგლოსაქსონური, გერმანული, სლავური, სულ მუდამაა გამოყენებული ეს გამოთქმები, თუმცა კი მთლად ნათელი არ არის მისი აზრი. ყოველ შემთხვევაში მეცნიერული სიტყვის მიხედვით, რასების შესახებ საუბარი არც შეიძლება. ეს მსოფლიო ისტორიაა. მეცნიერულად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია დაყოფა — დაყოფა აღმოსავლეთად და დასავლეთად. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრონტზეც კი ლაპარაკობენ. თვითკმაყოფილი დასავლური კულტურა მიელტვის საკუთარი კულტურის ტიპის უნივერსალურად და ერთადერთად აღიარებას, არ სცნობს სხვადასხვა ტიპის კულტურათა არსებობას და არც ეძებს შევსებას სხვა სამყაროთა მეშვეობით. შეიძლება იყოს დასავლეთ ევროპის ისეთივე თვითკმაყოფილება და დახშულობა, როგორც თავად მცირე ნაციონალობებისა. მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს დაყოფას აღმოსავლეთად და დასავლეთად და ამასთანაა ყველაზე უფრო დაკავშირებული ადამიანის მსოფლიო ერთიანობის მოპოვების საკითხი. ქრისტიანულ შუასაუკუნეობრივ ცნობიერებაში არსებობდა უნივერსალური ერთიანობის იდეა, მაგრამ ამ ჩანაფიქრისდა კვალად ვერ იყო მოპოვებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთიანობა. აღმოსავლეთი (მე ახლა არ ვგულისხმობ რუსულ აღმოსავლეთს) კარგა ხნით ამოვარდა ისტორიის დინამიკურობიდან. დინამიკური იყო მხოლოდ ქრისტიანობით მოცული ხალხების ისტორია. მაგრამ ორი მსოფლიო ომი ცვლის ისტორიულ მდინარებას. მსოფლიო ისტორიაში ხდება აღმოსავლეთის აქტიური შესვლა. ევროპული დასავლეთი კარგავს კულტურის მონოპოლისტობას. ადამიანური სამყარო ნაწილებად იშლება და ამასთან ერთად ჩვენ უნივერსალურ ეპოქაში შევდივართ. აღმოსავლეთი და დასავლეთი ადრე თუ გვიან ერთიანი უნდა შეიქმნას, მაგრამ ეს ხდება განხეთქილებათა, დაყოფათა კვალობაზე, წინანდელზე შედარებით რომ უფრო დიდი ჩანს. ნაციონალიზმი არ მოიცავს თავის თავში უნივერსალურ იდეას. მაგრამ უნივერსალიზმი სულ ყოველთვის მოიცავს თავის თავში მესიანობას. თავისი მნიშვნელობით უნივერსალური მესიანობის პროტოტიპი იყო ძველებრაული მესიანობა. უნივერსალურობა დამახასიათებელია რუსული მესიანობისთვისაც, რომელიც ღრმად გამოირჩევა ნაციონალიზმისგან. მაგრამ ყოველი ეს უმაღლესი საწყისი ისტორიაში განიცდის წახდენასა და დეფორმირებას. ეს ემართება რუსულ მესიანობასაც, რომლის გადაგვარებაც ხდება იმპერიალიზმად და ნაციონალიზმადაც კი. მესამე რომის მოსკოვური მესიანური იდეა გახდა დიდი და ძლევამოსილი სახელმწიფოს შექმნის საფუძველი. ძალამოსილების ნებამ შერყვნა მესიანური იდეა.

მაგრამ ვერც მოსკოვის რუსეთმა, ვერც იმპერატორის რუსეთმა ვერ განახორციელა მესამე რომი. საბჭოთა რუსეთის საფუძველშიც იყო ჩაჭდეული მესიანური იდეა, მაგრამ ისიც შეიქმნა შერყვნილი ძალამოსილების ნებით. სულის საუფლო სულ ყოველთვის ღებულობდა კეისრის საუფლოს ფორმას. მესიანობა ყოველთვის გადადიოდა კეისრის საუფლოზე, იმ დროს, როდესაც ის მიმართული უნდა ყოფილიყო სულის საუფლოსკენ, ღვთის საუფლოსკენ. საკითხავია, რა აზრით და რამდენადაა შესაძლებელი ქრისტიანული მესიანობა, ქრისტე-მესიის გამოცხადების მერმინდელი? წარსულისკენ სრულიად მიმართული კონსერვატიული ქრისტიანები უარყოფენ ქრისტიანული მესიანობის შესაძლებლობას, ისე, როგორც საერთოდ ქრისტიანობის წინასწარმეტყველურ მხარეს. მაგრამ ქრისტიანობაში არის ძალამოსილი და დიდებით მოსილი ქრისტეს მეორედ მოსვლის მესიანური მოლოდინი, არის მესიანური ძიება ღვთის საუფლოსი, როგორც ზეცად, ასევე მიწაზე, არის მოლოდინის შესაძლებლობა სულიწმიდის ეპოქის დადგომისა. თავად მსოფლიო ეკლესიის გამოხატულება და ხორცშესხმა არის მესიანური მოლოდინი. ამაშია ეკუმენიკური მოძრაობის აზრი ეკლესიათა და კონფენსიების დაახლოვ ისა. მსოფლიო ეკლესია, რომელმაც არ იცის დაყოფა აღმოსავლეთად და დასავლეთად, კაცობრიობის ერთიანობის სულიერი საფუძველია. და ამასთან სულ უფრო და უფრო ხდება კაცობრიობის დანაწილება, განთავისუფლებულნი არიან ჭინკები და დემონები, ქაოსი დგება. და ამ მოახლოებულ ქაოსს თავისუფლებისაკენ კი არ მივყავართ, არამედ ტირანიისკენ. ნაციონალურ ლტოლვათა მოთოკვა ერთ-ერთი უდიდესი ამოცანათაგანია. ხალხთა ფედერაცია, ნაციონალურ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის უარყოფა — აქეთ მიმავალი გზაა. მაგრამ ეს ვარაუდობს ადამიანთა საზოგადოების სულიერ და სოციალურ ცვლილებას. მაგრამ თავისთავად პოლიტიკური და სოციალური გამოსვლები უძლურია. სულიერი რევოლუცია, მსოფლიოში რომ უნდა ხდებოდეს და ხდება კიდეც, უფრო ღრმაა და წინ მიდის, ვიდრე სოციალური რევოლუციები.

თავი X

მარადიული და ახალი კაცის შესახებ

ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხია საკითხი კაცის შესახებ. ყოველივე იმით იწყება და მასვე უბრუნდება. ამბობენ ახალი კაცის მოსვლის შესახებ ეძებენ ახალ კაცს. ეს არ ახალია, ეს უკვე ხშირად იყო. უდავოა, კაცი განვითარების ან რეგრესირების პროცესშია, უძრავად არ იმყოფება. შეიძლება ვთქვათ ახალ ტექნიკურ კაცზე, ფაშისტურ კაცზე, საბჭოურ, ანუ კომუნისტურ კაცზე. ასევე ლაპარაკობენ კათოლიკურ კაცზე ან პროტესტანტულ კაცზე, რენესანსულ კაცზე ან რომანტიკულ კაცზე. ბევრნაირად შეიძლება დავარქვათ ადამიანთა ტიპს, მაგრამ ადამიანი ნაკლებად იცვლება, ვიდრე ეს ჩანს

მისი გარეგნობისა და მიხვრა-მოხვრისდა კვალად, ხშირად ის მხოლოდ ტანსაცმელს იცვლიდა, თავისი სიცოცხლის ერთ პერიოდში რევოლუციონერის ტანსაცმლით იმოსებოდა, მეორე პერიოდში კი რეაქციონერის ტანსაცმლით, ის შეიძლება იყოს კლასიკოსი და შეიძლება იყოს რომანტიკოსი, სიღრმეში კი არც ერთია და არც მეორე. ახალი კაცის, ახალი ადამის, ახალი დაბადების იდეა ქრისტიანული იდეაა, ანტიკური სამყარო ამას არ იცნობდა. ქრისტიანობამდელი სამყარო ამ იდეას იცნობდა გარეთ, ზედაპირზე გადმოსროლილი ფორმით. ერთ დროს ცოდვის, მონანიების შეცნობის შესაძლებლობისდა კვალად წარმოიშვა ნამდვილად ახალი ადამიანი. სოციალური მდგომარეობის ცვლილება, როცა მდიდარი გაღატაკდება ან ღატაკი გამდიდრდება, თავისთავად ადამიანს არა ცვლის შინაგანად. კაცი შეიძლება გაუმჯობესდეს ან გაუარესდეს თავისი ტიპის ფარგლებში, მაგრამ ეს არ ქმნის ახალ კაცს. უნდა ვთქვათ, პოლიტიკური რევოლუციები, თუნდაც ყველაზე უფრო რადიკალური, შედარებით ნაკლებად ცვლის კაცს. ამბობენ, განსხვავდებაო ერთმანეთისგან ბურჟუაზიული კაცი და კომუნისტური კაცი. მაგრამ გამარჯვებული, ხელისუფლებაში ძალადობით მოსული კომუნისტი შეიძლება სულით ხორცამდე, შინაგანად ბურჟუა იყოს. სულიერი ბურჟუაზიულობა ფრიად დამახასიათებელია სოციალისტებისა და კომუნისტებისთვისაც. ეს ყველასთვის დამახასიათებელია, ვისაც ძალიან სურს კარგად მოეწყოს ამ მიწაზე, ვისთვისაც მარადიულობა ბურუსითაა მოცული და ვინც საწუთროში მიელტვის დამკვიდრებას. მხოლოდ ახალი დაბადება, დაბადება სულიერი კაცისა, წინათ რომ მთვლემარე იყო და გათელილი, არის ახალი კაცის გამოცხადება. ცვლილება, განვითარება, გამოჩენა ახალი კაცისა შესაძლებელია [illegible] გამარჯვება უხსოვარ დროინდელ ადამიანზე. მაგრამ ადამიანის არსებობის საიდუმლო ის არის, განვითარება განვითარების სუბიექტს ვარაუდობს. არ არის განვითარება უიმისოდ, ვინც და რაც ვითარდება, XIX ს. რევოლუციური თეორიის შეცდომა ის იყო, რომ მას განვითარების სუბიექტი თავად განვითარების წიაღიდან გამოჰყავდა. ამით ის ზედაპირზე რჩებოდა, საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ ხდება განვითარება. არსებობს კავშირი ფაზისების განვითარებისა. კაცი შეიძლება ძალიან აც განვითარდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ის, მხოლოდ და მხოლოდ ის განვითარდა. თუ განვითარების შედეგად გამოჩნდებოდა სრულიად ახალი სუბიექტი, ახალი პიროვნება, მაშინ განვითარება სულაც არ იქნებოდა. პიროვნება ვარაუდობს ცვლილებისა და უცვლელობის შერწყმას. როდესაც პიროვნებაში ხდება არა მარტო ცვლილება, საკუთარი თავის ღალატიც, მაშინ პიროვნება ისრწნება, და საბოლოოდ არცაა ცვლილება. ახალი კაცი, სიახლე კაცში ვარაუდობს, რომ გრძელდება კაცის არსებობა თავისი ახალი კაცობის ხარისხში. მაიმუნის ვერც ვერავითარი ცვლილება და სრულქმნა კაცამდე ვერ მიგვიყვანს. ნიცშესეული ზეკაცის იდეა სიმაღლისკენ ლტოლვაა, ადამიანურობისკენ მიმართული კაცის ცვლილებაა. მაშინ საუბარია ახალი ჯიშის, ახალი რასის, ღვთაებრივი, დემონიური თუ ცხოვრების გამოჩენის შესახებ, ვერ ვიტყვით, ეს ახალი კაციაო. ახალი კაცი დაკავშირებულია მარადიულ

კაცთან, მარადიულობასთან კაცის წიაღში.

ახალი კაცის მიღმა არა მარტო მარადიული კაცია, ადამიანი კადმონი,[21] არამედ უხსოვარი დროინდელი კაციცაა. ადამიანის არაცნობიერი ფენის სიღრმეში ყველაფერია, პირველყოფილი ადამიანიცაა, ის ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დაძლეული, მასში მხეცის სამყაროა, როგორც გვამცნობს მთელი ისტორია. ცნობიერება ორმაგ როლს თამაშობს, კიდევაც აფართოვებს და კიდევაც ავიწროებს, ზღუდავს. წარსულის მეუფება ადამიანზე ყველაზე უფრო რადიკალურ რევოლუციებშიც კი რჩება. რევოლუციებში მოქმედებს ოდინდელი ინსტიქტები, სისასტიკისა და ძალაუფლების სიყვარული. წარსულის ჩინააღმდეგ მიმართულ ბობოქარ რეაქციებშიც მეღავნდება ეს. ფრანგული რევოლუციის ადამიანები ძველი რეჟიმის ადამიანები იყვნენ. შეიძლება იგივე ვთქვათ რუსულ რევოლუციაზე. სისხლში ჰქონდა გამჯდარი მონობა იმ ხალხს, რევოლუციური ტერორი მათში არ ახალია, ძველია. ხანმოკლე დროის მანძილზე ვერც ვერავითარი რევოლუცია შეძლებს სრულიად ახალი კაცის ჩამოყალიბებას, თუმცა კი მოაქვს რაღაც ახალი. რევოლუცია თუმცა ძველი რეჟიმის მოვლენაა, თავისთავად არ არის ახალი სამყარო. რევოლუციაში უძველესია უარყოფითი რეაქცია ადრინდელი რეჟიმისადმი, ამ დროს სიძულვილი ყოველთვის სძლევს სიყვარულს. ახალი ადამიანის შექმნა ეკონომიკას ყველაზე უფრო ნაკლებად შეუძლია. ეკონომიკა ცხოვრების საშუალებებია და არა მიზნები, და როდესაც ის უნდა გახდეს ცხოვრების მიზანი, ადამიანის გადაგვარებას ვიხილავთ. სრულიად უმართებულოა, როდესაც ამბობენ, ახალი, საბჭოური ადამიანი კოლექტიური კაცია და ცხოვრობს კოლექტივში, სოლო ძველი ინტელიგენტი ინდივიდუალისტი იყო. კოლექტიურობის ბრძოლა ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ ნამდვილი მისტიფიკაციაა. ძველი ინტელიგენტი მნიშვნელოვანწილად კოლექტივში ცხოვრობდა და კოლექტიური იყო მისი სჯა. წარსულის ადამიანი გაცილებით უფრო მეტადაა კოლექტიური, ვიდრე ინდივიდუალური. ინდივიდუალური და ინდივიდუალური სჯის ადამიანები სულ ყოველთვის იყო იშვიათობა. ყოველთვის ზეობდა ის, რასაც ჰაიდეგერი უწოდებს „das Man", რაიც კოლექტიურობაა, პირველრეალობა კი არა, არამედ ცნობიერების ფიქტიური, ილუზიორული ნაშობევია. საბჭოური ადამიანი ეგრეთწოდებული მშენებლობის პერიოდში მართლაცდა მატარებელია ახალი თვისებებისა, ამით ძველი ინტელეგიანციისგან ძალიან განსხვავდება. ძველი ინტელეგენცია თავისი ტიპიურობისდა კვალად რევოლუციური იყო, განხეთქილება ჰქონდა გარესამყაროსთან. სულაც არ არის რევოლუციური ახალი საბჭოური ინტელიგენცია, ის მორჩილი და გამგონეა. მისგან მოითხოვენ ზნეობას მშენებლობის, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მშენებლობის ხანს. ძველი ინტელიგენცია მხოლოდ მომავლის იმედით ცხოვრობდა. აწმყოთი ცხოვრობს ახალი საბჭოური ინტელიგენცია. ახალ საბჭოურ ადამიანში ხდება თავისუფლების არა მარტო შემზარავი დამცრობა, თავისუფლების გემოც იკარგება, გაგება იმისა, თუ რა არის თავისუფლება. გამარჯვებულნი და ბატონები რომ შეიქნენ, ძველი რევოლუციონერები ისე შეი-

ცვალნენ, ცნობაც შეუძლებელია. ეს ყველაზე უფრო ნაკლებად იმის მაუწყებელია, რომ გამოჩნდა ახალი კაცი, უფრო ძველი ადამიანის დაბრუნებაა. სრულიად უმართებულოა, რომ ძველი ინტელიგენცია იყო აქტიურობას მოკლებული, რბილი, გაორებული. რევოლუციური მოძრაობის მთელი ისტორია საპირისპიროს ამტკიცებს. ძველი რევოლუციური ინტელიგენციის გმირობა, მსხვერპლად მისვლა ქმნის სისხლით გაჯერებულ იმ კაპიტალს, რომლითაც ბოლშევიკები ცხოვრობენ. მაგრამ გამოჩნდა ახალი თვისებები, რომლებიც, უნდა ვაღიაროთ, რევოლუციის კი არა, ომის შედეგია. შეიქმნა ტიპობრივად მილიტარისტული კაცი, ასეთი ადრე არ იყო, მაგრამ ის სულაც არ არის ახალი ადამიანი. ისტორიულად ადამიანის სახეები მრავალგზის შეცვლილა. XIX და XX საუკუნეების რუსეთში ბევრჯერ დაგვინახავს პრეტენზია ახალი ადამიანის გამოჩენისა, თითქმის ყოველ ათ წელიწადში. ჩვეულებრივ უფრო რბილი სახე იცვლებოდა უფრორე მკაცრი სახით: 40-იანი წლების იდეალისტი — 60-იანი წლების მოაზროვნე რეალისტად, ხალხოსანი — მარქსისტად, მენშევიკი — ბოლშევიკად, ბოლშევიკი-რევოლუციონერი — ბოლშევიკ-მშენებელად. ჩვეულებრივ ეს ხდება ფსიქოლოგიური რეაქციისდა კვალად. მაგრამ არსებითად ახალი კაცი არ გამოჩენილა. დიდი სიახლეა ქვეყნად ტექნიკური კაცის გამოჩენა. მაგრამ ამ მეტად შფოთსავსე მოვლენით ნათელი ეფინება ახალი ადამიანის დაბადების შესაძლებლობას.

რევოლუციები ხალხების ისტორიულ ბედ-იღბალთან ღრმადაა წილნაყარი. საკვირველია სწორედ, ჯერ კიდევ არსებობენ რევოლუციური იდეალებით გამსჭვალული ადამიანები, რომლებიც მომავალ რევოლუციებში ხედავენ ამაღლებულისა და მშვენიერის ზეობას. რევოლუციები, ყველა რევოლუცია წარმოჩენილია ადამიანის მოდგმის შემაძრწუნებელი სიმდაბლის, ასეთები ბევრნი არიან, აგრეთვე, გმირებისას, თუმცა ცოტანისას. რევოლუცია ბედისწერის შვილია და არა თავისუფლების. და საჭიროა რევოლუციაში ამ ბედისწერის შეცნობა, რათა ის გავიგოთ. რევოლუცია მნიშვნელოვანწილად საზღაურია წარსულის ცოდვების გამო, ნიშანია იმისა, რომ საზოგადოების რეფორმაციისთვის არ იყო შემოქმედებითი ძალები. ამიტომ არც უნდა მოველოდეთ რევოლუციის მეშვეობით ახალი ადამიანის მოვლინებას. წარსულის ბოროტებისთვის შურისმაძიებელი არ არის ახალი კაცი, ის ჯერ კიდევ ძველი კაცია. რევოლუცია მრავალმნიშვნელოვანი სიტყვაა და შემზარავად ბოროტად იყენებენ, რადგანაც სხვადასხვა აზრით მოაქვთ ეს სიტყვა. თუკი რევოლუციას ასე გავიგებთ, ამა და ამ ისტორიულ დღეს მოხდა ძალადობა, კაცისკვლა, სისხლისღვრა და კიდევ სწორედ ამ დღეს უარყვეს ყოველგვარი თავისუფლება, დაამკვიდრეს საკონცენტრაციო ბანაკები და ა. შ., მაშინ არც შეიძლება რევოლუცია გსურდეს და მოველოდეთ იმის წიაღში ახალი კაცის გამოჩენას, შეიძლება გარკვეული პირობებისდა კვალად დავინახოთ მასში საბედისწერო აუცილებლობა და გვსურდეს იმის შერბილება. თუკი რევოლუციას ასე გავიგებთ, რადიკალურად უნდა შეიცვალოს თავად საფუძვლები ადამიანის საზოგადოებისა და ადამიანების დამოკიდებულებანი, მაშინ

რევოლუცია უნდა გვსურდეს და ვამზადებდეთ მას. მაგრამ კერპთაყვანისმცემლობა რევოლუციის წინაშე ისეთივე სიცრუეა, როგორც ყოველგვარი კერპთაყვანისმცემლობა. ყოველ შემთხვევაში რადიკალური და ღრმა ცვლილებები სულაც არ არის იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენი სისხლი დაიღვრება. განდი უფრორე იყო რევოლუციონერი, ვიდრე ლენინი და სტალინი, თუკი რევოლუციით ახალი ადამიანის გამოცხადებას ვიგულისხმებთ. ნამდვილი ახალი ადამიანის გამოცხადება და არა იმისი სამოსლის შეცვლა ვარაუდობს სულიერ მოძრაობასა და ცვლილებას. თუკი არ არის შინაგანი სულიერი ბირთვი და მასში მიმდინარე პროცესები, ვერავითარი სოციალური წყობილება ვერ მიგვიყვანს ახალ ადამიანამდე. მატერიალიზმი სცნობს მხოლოდ გარეგნულს და უარყოფს შინაგანს. მატერიალისტებს არც კი ესმით, თუ რას ლაპარაკობენ, როდესაც ახსენებენ შინაგან ცხოვრებას, სულიერ ცხოვრებას. ბრმისამებრ არ ძალუძთ ფერებისა და ყვავილების ხილვა. სულაც ვერ გვიშველის კორექტივი, რომელსაც დიალექტიკური მატერიალიზმი მიაგებს დემოკრიტესეულ მექანიკურ მატერიალიზმს, ამისდა კვალად ხომ ატომური მოძრაობა გარეგნული ბიძგით იწყება. ადამიანი რჩება არსებად, სრულიად რომ არის დეტერმინირებული ბუნებითა და სოციალური გარემოთი. მაგრამ რევოლუციებში კიდევ სხვა მხარეა, რომელიც დროებასთანაა დაკავშირებული, რევოლუცია მღერის: „Du passé faisons table rase"[25] რევოლუცია განისაზღვრება წარსულის რადიკალური განადგურებით. მაგრამ ეს რევოლუციების ილუზიაა. წარსულის მძვინვარე განადგურება სწორედ წარსულია და არა მომავალი. შეიძლება მხოლოდ ძირგამომპალი, ცრუ და ცუდი წარსულის განადგურება. მაგრამ არ შეიძლება წარსულში [illegible] ფასეულობის, ჭეშმარიტების [illegible]ობა. წარსულის გაიდეალება ისეთივე სიცრუეა, როგორც მომავლის გაიდეალება. ჭეშმარიტი ღირებულება არ არის დროებაზე დამოკიდებული, ის მარადიულია. საშიშროებაა, რომ ახალი კაცი შეიძლება გარეთ გადმოსროლილი აღმოჩნდეს, თავის თავთანვე შეიქნას გაუცხოებული, მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრების მატერიალურ მხარესთან, ტექნიკური ცივილიზაციისკენ იყოს მიმართული. გასაოცარია, საბჭოთა რუსეთის ახალი კაცი შეიძლება ძლიერ დაემსგავსოს მისდამი ასე მტრულად განწყობილ ამერიკელ ახალ კაცს. ასეთი წარმოებითი, ტექნიკური ადამიანი შეიძლება ერთნაირად იშვას როგორც კომუნიზმის, ასევე კაპიტალიზმის ნიადაგზეც. რევოლუციის დროს გამომზეურებული მეტად დადებითი თვისებები რუსი ადამიანისა იყო მსხვერპლად მისვლის არაჩვეულებრივი უნარი, სული კომუნიტარობისა — ქრისტიანულია ეს თვისებები, რუს ხალხში ეს თვისებები ქრისტიანობამ ჩამოაყალიბა, ე. ი. წარსულმა.

ახალი ადამიანის კომუნისტური თვისებები, რომლებიც ნაშობევია არა იმდენად თავისუფლებით, რამდენადაც ფატუმით, უფრორე უარყოფის გამომწვევია. ახალი ადამიანი თაყვანს სცემს წარმოების იდეალსა და ბომონდს, ადამიანი ამ დროს წარმოების ფუნქცია ხდება, წარმატების ძალას აღმერთებს, დაუნდობელია უილაჯოთა მიმართ, მისი მამოძრავე ელია ბრძოლის ჟინი და რაც მთავარია, მასში სუსტდება და თითქმის ნადგურდება სულიერება.

ახალ ადამიანს უნდა თავის თავში ჩაახშოს სასრულისუქონლისადმი ლტოლვა და ფეხი მოიკიდოს სასრულის წიაღში. ის ფიქრობს ამის მიღწევას აქტიურობის მაქსიმუმით. ახალი ადამიანი ამქვეყნიურია, ის უარყოფს ზექვეყნიურობას, ყველაზე უფრო იმითაც ამაყობს, რომ სრულიადაა თავისუფალი ტრანსცენდენტურისგან. ეს იმას ნიშნავს, ახალ ადამიანს სურს საბოლოოდ ჩასახლოს კეისრის საუფლოში და საბოლოოდ უკუაგდოს სულის საუფლო. ის მონისტია და ამაშია მისი სიცრუის თავიდათავი. სულაც არ არის ეს ახალი კაცი. ეს არის ძველი ადამიანის ერთ-ერთი სახეცვლილება და მასში დარჩენილია ძველი ადამის სუყველა ინსტიქტი. მთელმა სამყარომ უნდა გაიაროს სოციალური გარდაქმნა, ინტენსიური მატერიალური მნიშვნელობა. ხსენებული პროცესი ჩაჭდეული იქნება ადამიანის ცხოვრების მატერიალურ მხარეში, რაიც დიდ ორგანიზებულობას მოითხოვს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ახალი ადამიანის გამოჩენას, ის ძველი ადამის ნიშნითაა აღბეჭდილი. ეს ძველი ადამი უფრორე სოციალური შეიქნება, ის უფრორე სოციალიზირებული უნდა გახდეს. ადამიანის საზოგადოებათა ისტორიაში ეს პროცესი უკვე მიმდინარეობდა სხვადასხვა ფორმით. ბურჟუა, კეისრის საუფლოს მოქალაქე არ გაქრება ამისდა კვალად. ამისდა კვალად მხოლოდ ბურჟუაზიულობის სამართლიანი და თანაბარზომიერი გადანაწილება მოხდება. ამაში ჩაჭდეული სამართლიანობა მისაღებია და მისასალმებელი. მაგრამ ეს არ იქნება უკანასკნელი სიტყვა. ადამიანი სულ ყოველთვის მიელტვოდა ცხოვრების საშუალებანი მიზნად დაესახა. ეპოქის, ხვალინდელი დღის ეგრეთწოდებული ახალი ადამიანი მიდრეკილი იქნება ცხოვრების საშუალებანი ცხოვრების მიზნად დაისახოს საბოლოოდ. ცხოვრების მიზანი მისთვის დახშული იქნება. ამიტომ იტყვის, კოლექტიურობასთან ვართ წილნაყარი და ამაში დაინახავს სიახლეს. მაგრამ სოციალიზაციის აუცილებელი პროცესის შემდგომ დაიწყება ინდივიდუალიზაციის პროცესი. თე ეს არ იქნება, ვითარცა პიროვნება ადამიანი საბოლოოდ წარიხოცება. მაგრამ ადამიანის შინაგანი სულიერება არ შეიძლება გაცამტვერდეს, თუნდაც აუცილებლობა სასტიკად მიმძლავრდეს მასზე, მისი სულიერი ცხოვრება გამოიღვიძებს. შემდეგ თავში ჩვენ დავინახავთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმის წინაშე სიკვდილის პრობლემას. მარადიული კაცი, კაცი მიმართული მარადიულობისკენ და უსასრულობისკენ, არის მარადიული და სასრულისუქონელი ამოცანა და ამასთან ერთად ახალი კაცია სამარადისოდ. მარადიული კაცი არ არის მზამზარეული მოცემულობა. მისი გაგება სტატიკურად შეუძლებელია. ახალი კაცი, ჭეშმარიტად ახალი, რეალიზებაა მარადიული კაცისა, რომელსაც თან დააქვს მსგავსება ღვთისა და ხატი მისი. ადამიანის ღვთაებრივი ლიბოა, Grund, რომლის შესახებაც ასე კარგად აქვს ნათქვამი ტაულერს. ამიტომ მომავლისკენ მიმართული მზერა დაკავშირებულია იმასთან თუ რაიც მარადიული იყო წარსულში. ადამიანის ღირსება მოითხოვს არ იყოს მონა მსწრაფლწარმავალი დროისა. მომავლის კაცი მხოლოდ შემოქმედებითი კაცი უნდა იყოს და ამიტომ მომავლისკენ, ჯერ არარსებულისკენ მიმართული. სწორედ ეს არის პასუხი ღვთიურ მოწოდებაზე. მაგრამ შემოქმედება არ შეიძლება იყოს

შრომასთან გაიგივებული. შრომა ადამიანის ამქვეყნიური საფუძველია. შრომა აუცილებლობის საუფლოს მიეკუთვნება („პიროფლიანი ჭამდე პურს"), კეისრის საუფლოს მიეკუთვნება. შემოქმედება კი ცხოვრების მიზნებს, თავისუფლების საუფლოს მიეკუთვნება. ცხოვრების მიზნები არ შეიძლება ცხოვრების საშუალებებს დამორჩილდეს, სულის საუფლო არ შეიძლება კეისრის საუფლოს დამორჩილდეს. პერსონალიზმი რელიგიური სიმართლე აქედან მომდინარეობს.

თავი XI

ადამიანის არსებობის ტრაგედია და უტოპია, მისტიკის სფერო

უფრო ინტელექტუალური მარქსისტები ამბობენ, დაეძლევთ და გავანადგურებთო ადამიანის არსებობის ტრაგიკულობას, მითის მოშველიება სულაც არ დაგვჭირდებაო ამისთვის, როგორც ამას ქრისტიანობა აკეთებდა. მარქსიზმის ყველაზე უფრო დიდი პრეტენზია, მგონია, ეს უნდა იყოს. მარქსისტები ამაოდ ფიქრობენ, უმითოდ გავალთო ფონს; მითებით არიან გამსჭვალულნი, როგორც ეს უკვე იყო ნათქვამი. მარქსიზმი არ არის სოციალური უტოპია, სოციალურ ცხოვრებაში მარქსიზმის რეალიზება შესაძლებელია. მაგრამ მარქსიზმი სულიერი უტოპიაა. მთელი ადამიანის ცხოვრების სრული რაციონალიზაციის სულიერი უტოპიაა. ის სულიერი უტოპიაა, რომელსაც აქვს პრეტენზია უპასუხოს ადამიანის სულის ყველა მოთხოვნილებას სწორედ ამიტომ, დავამარცხებო ადამიანის ცხოვრების ტრაგიზმს. მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანი გაუცხოებულია საკუთარი თავისგან და გარეთ გადმოსროლილია, შეიძლება გახდეს პრეტენზია ცხოვრების გარეგნული სოციალიზაციის მეშვეობით გამარჯვებისა. მეტადრე უბადრუკი და მდაბალი სიკვდილის ტრაგიზმზე, ადამიანის არსებობის მთავარ ტრაგიზმზე გამარჯვების პრეტენზია. შეიძლება კიდევაც, თუკი დაიკარგება სიკვდილის მეხსიერება და პიროვნული ცხოვრების თითქმის განადგურებისდა კვალად ადამიანი საბოლოოდ დაინთქმება კოლექტივის ცხოვრებაში. სინამდვილეში სწორია იმის საპირისპირო, რასაც მარქსისტები ამბობენ და რისი იმედიც აქვთ. უფრორე სამართლიანი და უფრორე სრულყოფილი სოციალური წყობილება უფრორე ტრაგიკულს გახდის ადამიანის ცხოვრებას, გარეგნულად კი არა, შინაგანად ტრაგიკულს. წარსულში იყო ტრაგიკული კონფლიქტები, ცხოვრების სიღატაკისა და დაუცველობისდა კვალად, კლასების და წოდებების ცრურწმენათა კვალად, უსამართლო და დამამცირებელი სოციალური წყობილებისდა კვალად, თავისუფლების უარყოფისდა კვალად. ამ ტრაგიკულ წინააღმდეგობათა დაძლევა შეიძლება.

ანტიგონესა და კრეონტის ტრაგიკული კონფლიქტები, რაც უნდა იყოს, მაინც სოციალურ წყობილებასთან არის დაკავშირებული, ისევე, როგორც რომეოსა და ჯულიეტას ამბავი, ტრისტანისა და იზოლდას დრამა. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ ადამიანის ცხოვრების წმინდა შინაგანი ტრაგიზმი ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი, რადგანაც წარსულის ტრაგიკულობა მეტად დიდ როლს თამაშობდა სოციალურ წყობილებასთან და ამისდა კვალად აღძრულ ცრურწმენებთან დაკავშირებული კონფლიქტები. თუკი მიჯნური თავის სატრფოს ვერ შეუერთდება, რაკიღა მათ შორის წოდებრივი სხვაობაა ან მატერიალური მდგომარეობით დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და მშობლები უქმნიან გადაულახავ ზღუდეს, ეს შეიძლება ძალიანაც ტრაგიკული იყოს, მაგრამ ვერ ვიტყვით, წმინდა სახის ადამიანის ცხოვრების შინაგანი ტრაგიკულობის გამოვლინებაა. წმინდა შინაგანი ტრაგიზმი იმ შემთხვევაში გამომზეურდება, როდესაც გვაქვს სიყვარულის გამოუვალი ტრაგიზმი, რომელსაც ესაძირკვლება თავად სიყვარულის ბუნება და არა სოციალური გარემო, რომელშიც ადამიანებს უხდებათ ცხოვრება. ტრაგიკული კონფლიქტების სათავეების აღმოფხვრა შეიძლება სოციალური წყობილებით, რომელიც უფრო სამართლიანია და თავისუფალია, დაძლეულია წარსულის ცრურწმენანი. მაგრამ სწორედ მაშინ უნდა დადგეს ადამიანის ცხოვრების წმინდა ტრაგიკულობის წინაშე. სოციალიზმის დროს ცხოვრების ტრაგიკულობა დიდად გაიზრდება. სოციალური ბრძოლა ჩაწყნარდება, ადრე რომ იმის მორევტრიალში გადაშვებული კაცი თავისი ბედისა და თავისი არსებობის არსზე ფიქრს იყო გარიდებული, მერე მაინც წარდგება სიკვდილის ტრაგიზმის, სიყვარულის ტრაგიზმის, ამქვეყნად ყოველივე დასასრულის ტრაგიზმის წინაშე. ცხოვრებაში ყოველი ტრაგიკულობის სათავეა შეჯახება სასრულისა და სასრულისუქონლის, წარმავალისა და წარუვალის, აგრეთვე შეუსაბამისობა რომაა ადამიანისა როგორც სულიერი არსებისა და როგორც ბუნების სამყაროში მცხოვრები ბუნების არსებისა. ვერც ვერავითარი სოციალური წყობილება ვერ უშველის ამას, პირიქით, ამ დროს შეჯახება და შეუსაბამობა უფრო წმინდა სახით გამოვლინდება. ყველაზე უფრო დიდი, ყველაზე უფრო ზღვარდაუდებელი ტრაგიზმია ღმერთთან ადამიანის დამოკიდებულების ტრაგიზმი. ოპტიმისტური, უტრაგიკულო პროგრესის თეორია, რომელსაც მარქსისტები იზიარებენ, თავისი უკიდურესი წინააღმდეგობით მომაკვდინებელი დროების გამოუვალი ტრაგედიაა, რადგანაც მომავლის საშუალებად არიან გადაქცეული ადამიანები. გამოსავალი აქ შეიძლება მხოლოდ აღდგომის ქრისტიანულ რწმენაში ყოფილიყო.

ისტორიაში უტოპიები დიდ როლს თამაშობენ. უტოპიურ რომანებთან მათ ნუ გავაიგივებთ. უტოპიები შეიძლება უფრო მეტად შეიქმნას მამოძრავებელი ძალა და შეიძლება უფრო რეალურნიც აღმოჩნდნენ, ვიდრე უფრორე გონიერი და ზომიერი მიმართულებანი. ბოლშევიზმზე ამბობდნენ, უტოპიაა, მაგრამ ეს უფრო რეალური გამოდგა, ვიდრე კაპიტალისტური და ლიბერალური დემოკრატია. ჩვეულებრივ უტოპიებს განუხორციელებელს ეძახიან. ეს არ არის სწორი. უტოპიები შე-

იძლება განხორციელდეს და მეტწილად ხორციელდებიან კიდევაც. უტოპიებზე მსჯელობდნენ ტომას მორის, კამპანელას, კაბესა და სხვათა მიერ გადმოცემული სრულყოფილი წყობილების მიხედვით. მაგრამ უტოპიები უფრო ღრმადაა დამახასიათებელი ადამიანის ბუნებისთვის, უამათოდ ვერც ძლებს კიდევაც. გარემო სამყაროს ბოროტებით იავარქმნილ ადამიანს აქვს მოთხოვნილება წარმოიდგინოს, დახატოს საზოგადოებრივი ცხოვრების სრულქმნილი, ჰარმონიული წყობილების სახე. ერთი მხრით, პრუდონი, მეორე მხრით, მარქსი ისეთივე უტოპისტებად უნდა დავსახოთ, როგორც სენსიმონი და ფურიე. უტოპისტი იყო ჟ.-ჟ. რუსო. უტოპიები ყოველთვის მრუდედ ხორციელდებოდა. ბოლშევიკები უტოპისტებია, მოჯადოებულნი არიან სრულქმნილი ჰარმონიული წყობილების იდეით. მაგრამ ამავე დროს, რეალისტებიცაა და რეალისტობის კვალობაზე მრუდე ფორმით ახორციელებენ თავიანთ უტოპიას. უტოპიათა განხორციელება შესაძლებელია, ოღონდ მრუდედ, ეს აუცილებელი პირობაა. მაგრამ ამ გამრუდებული უტოპიებიდან ყოველთვის რჩება რაღაც დადებითი. რა არის უტოპიათა არსებითი დადებითი თვისება, რაა მასში წინააღმდეგობრივი და უტოპიაში რას ეკიდებიან ნაკლები ყურადღებით? ვფიქრობ, უტოპია რომ განუხორციელებელია და ჰარმონიას სამომავლოდ ვარაუდობენ, ეს არ არის მისი მთავარი უცილობელი თვისება. ადამიანი გახლეჩილ სამყაროში ცხოვრობს და მრთელი სამყაროა მისი ოცნების საგანი. სიმრუდეა უტოპიის მთავარი ნიშანი. უტოპიას უნდა დაძლიოს გახლეჩილობა და სიმრთელე განახორციელოს. უტოპია სულ ყოველთვისაა ტოტალიტარული და ჩვენი სამყაროს პირობებში ტოტალიტარიზმი სულ ყოველთვისაა უტოპიური. სწორედ ამასთანაა დაკავშირებული მთავარი საკითხი — საკითხი თავისუფლებისა. არსებითად უტოპია სულ ყოველთვისაა მტრულად განწყობილი თავისუფლებისადმი. ტომას მორის, კამპანელას, კაბესა და სხვ. უტოპიები არ ტოვებენ ადგილს თავისუფლებისთვის. პარადოქსული იქნებოდა რომ გვეთქვა, თავისუფლება, თავისუფალი ცხოვრება ყველაზე უფრო განუხორციელებელი უტოპიაა. თავისუფლება ვარაუდობს, რომ ცხოვრება საბოლოოდ არ არის დარეგულირებული და რაციონალიზირებული და მასში ბოროტებაა, რომელიც უნდა დამარცხდეს სულის თავისუფალი ძალისხმევით. სოციალური უტოპიები არ სცნობენ ამ თავისუფალ ძალისხმევას, სრულყოფილება და ჰარმონია თავისუფლებით არ ხორციელდება. ჩვენ წინაშეა აქ ისტორიული მოძრაობის პარადოქსი. ისტორიაში მოქმედებენ ირაციონალური ძალები, რომელსაც ნაკლებად უწევენ ანგარიშს გონივრული პოლიტიკის მომხრეები. მაგრამ სწორედ ირაციონალურმა, სტიქიურმა ძალებმა შეიძლება მიიღოს რაციონალიზაციის უკიდურესი ფორმები. რევოლუციათა თვისებები ასეთია. და ამასთან ერთად რევოლუცია სულ ყოველთვისაა რაციონალური იდეის, ტოტალიტარული რაციონალური დოქტრინის ბეჭდით აღბეჭდილი. იმას, რისთვისაც შეურქმევიათ რევოლუციის სიმლეგე, არის რაციონალური სიმლეგე. რევოლუციის მითი, რომლითაც ის მოძრაობს, ჩვეულებრივი რაციონალური მითია. მისი მამოძრავებელია რწმენა სოციალური

გონიერების ზეობისა, რაციონალური უტოპიისა. ამ რევოლუციური მითის ძალამოსილება დიდია. როგორც უკვე ვთქვით, თავისი ბუნებით რევოლუცია გაორებულია, ასევე გაორებულია რევოლუციური მითიც.

რევოლუციაზე ერთნაირად უნდა ვთქვათ, მათი განხორციელება შეიძლება ან არ შეიძლება. იმდენად შეიძლება მათი განხორციელება, რომ თითქმის შეუძლებელია მათი შეჩერება. და ამიტომაა განუხორციელებელი, შეუძლებელია ოდესმე რეალობა გახდეს ის, რასაც ასე მიელტვოდა მათი წამომწყები რევოლუციონერების პირველი თაობა. სულ ყოველთვის ასე ხდება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რევოლუციები სიცარიელეში მიმდინარეობს და მხოლოდ ვნებათა ბობოქრობაა, რევოლუცია — ხალხების ცხოვრებაში დიდი გამოცდილებაა და სოციალური შედეგების მიხედვით მისი კვალი დიდად თვალსაჩინოა. მაგრამ ეს სულაც არ არის ის, რაზეც ოცნებობდნენ. რევოლუცია, წარმატებული რევოლუცია, სულ ყოველთვისაა წარუმატებელი, ისევე, როგორც უნდა ვთქვათ, წარუმატებელი იყო ისტორიის ყველაზე რადიკალური რევოლუცია, იქნებ ყველაზე უფრო მეტად ქრისტიანობა. ამიტომ რევოლუცია ორმხრივ უნდა იყოს საყურადღებო. თაყვანს ვერ ვცემთ მას, ისე, როგორც ქალღმერთს. სულ ყოველთვისაა სიცრუე სოციალური უტოპიები და კაცის ისტორიული ბედისწერაა, რომ ვერ ძლებს სოციალური უტოპიების მოუშველებლად, მამოძრავებელი ძალაა ისინი. რევოლუციური მითი სულ ყოველთვისაა არაცნობიერი სიცრუე და ამასთან ერთად უმითოდ რევოლუციას ვერ მოახდენ. ამიტომაა ისტორია დაუძლეველი ტრაგიზმის მატარებელი. სოციალურ უტოპიათა შეცდომა რა არის? რადაა რომ მათი განხორციელება — მათი განხორციელება კი შესაძლებელია — სულაც არ არის ამაში განხორციელება, რასაც ესწრაფოდნენ და რისთვისაც იბრძოდნენ ამდენი საშინელი მსხვერპლის ფასად? მარქსის სოციალური უტოპია, ფურიეზე ნაკლებად არა, საზოგადოების სრულყოფილი, ჰარმონიული მდგომარეობის იდეაა, ე. ი. რწმენა იმისა, რომ ასეთი უნდა იყოს კეისრის საუფლო. მაგრამ სწორედ ესაა საფუძვლიანი შეცდომა. სრულქმნილი და ჰარმონიული შეიძლება იყოს მხოლოდ უფლის საუფლო, სულის საუფლო და არა კეისრის საუფლო; ამის მოაზრება მხოლოდ ესქატოლოგიურადაა შესაძლებელი. სულის საუფლოში სრულყოფილი და ჰარმონიული წყობილება ამასთან ერთად თავისუფლების საუფლოც იქნება. სრულყოფილი და ჰარმონიული წყობილება კეისრის საუფლოში სულ ყოველთვის თავისუფლების განადგურება იქნება, რაიც მოწმობს, ამ სამყაროს ფარგლებში ის განუხორციელებელია. ამ თვალსაზრისით აუცილებელია სოციალიზმის გაგება. სოციალიზმი სოციალური უტოპიაა და ის მესიანურ მითს ესაჭირკვლება. ამისდა კვალად ამ სამყაროს ფარგლებში, კეისრის საუფლოში ვერც ვერასდროს განხორციელდება. მაგრამ მეორე მხრით, სოციალიზმი მკაცრი და პროზაული რეალობაა, გარკვეული აუცილებლობაა გარკვეული ისტორიული საათი რომ დაჰკრავს. სოციალიზმი ამ თვალსაზრისით, უუტოპიოდ და უმითოდ, არის მარტივი და პატარა საგანი — საზიზღარი ექსპლუატაციისა და გაუსაძლისი კლასობრივი უთანასწორობის დაძლევა. ამიტომ შეიძლება ვთქვათ,

მსოფლიო სოციალურ ეპოქაში შედის. ეს უნდა აღიარონ იმათაც, რომლებსაც არ სჯერათ ბრძოლისთვის ესოდენ საჭირო უტოპიისა და მითის. ამის შედეგად წარმოქმნილი სოციალისტური საზოგადოება არც სრულყოფილი იქნება, არც ჰარმონიული, არც წინააღმდეგობრიობას მოკლებული. ადამიანის ცხოვრების ტრაგიკულობა კიდევ უფრო მოიმატებს, მაგრამ უფრო შინაგანი, გაღრმავებული გახდება. სულ სხვანაირ წინააღმდეგობათა გამოჩენის მომსწრენი ვიქნებით. ბრძოლა გაგრძელდება, თუმცა სხვა მიმართულებით. სწორედ მაშინ დაიწყება მთავარი ბრძოლა თავისუფლებისა და ინდივიდუალობისთვის. განმტკიცდება მეშჩანური საუფლო და ამისდა კვალად საყოველთაოდ გავრცელდება სიამენი. და გაჩაღდება დაძაბული ბრძოლა მეშჩანთა საუფლოს წინააღმდეგ. სოციალური სამართლიანობისთვის უფრო მეტი ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ გამომზეურდება კეისრის საუფლო, რომელიც არ შეიძლება არ იყოს მეშჩანური საუფლო და არ შეიძლება არ შეიზღუდოს სულის თავისუფლებით. სულის საუფლოს საბოლოო გამარჯვება, რომელიც ვერაფრით ვერ იქნება სამართლიანობის უარმყოფელი, ვარაუდობს ადამიანის ცნობიერების სტრუქტურის ცვლილებას, ე. ი. ობიექტივირებული საშყაროს დაძლევას, ე. ი. მხოლოდ ესქატოლოგიურად მოიაზრება. მაგრამ ბრძოლა ობიექტივაციის ძალაუფლების, ე. ი. კეისრის ძალაუფლების წინააღმდეგ მიმდინარეობს ობიექტივაციის საუფლოს საზღვრებში, უბრალოდ მიტრიალება და ამას იქით გასვლა ადამიანს არ ძალუძს, ჩვენ ვუახლოვდებით მისტიკის უკანასკნელ სფეროს, რომელსაც მინდა მივუძღვნა საგანგებო წიგნი. მსოფლიოში იქმნება ცრუ ფორმა მისტიკისა, რომლის გამოაშკარავებაა საჭირო. ამასთან ერთად მისტიკის ძველი ფორმები არსებობს და მომავალი მისტიკისკენ, ახალი ფორმებისკენ ჯერ კიდევ მცირერიცხოვანთ მიუმართავთ მზერა.

მისტიკის მრავალი სახე არსებობს. ხსენებული სიტყვა შეიძლება ვიხმაროთ როგორც ფართო, ისე ვიწრო მნიშვნელობით. საფრანგეთში ახლა სიტყვა „მისტიკა“ იმდენად ფართო მნიშვნელობით გამოიყენება, რომ თავის ძველ აზრს კარგავს. ეს ჰგავს სიტყვა „რევოლუციის“ მოშველიებას, ყოველ შემთხვევაში, მისტიკის სფერო ნიშნავს უკიდურეს სფეროს, ობიექტური საზღვრის, ობიექტივირებული სამყაროს მიღმა რომ არის. წარსულში მისტიკის მრავალი სახე არსებობდა. ქრისტიანობამ უფრო მკაცრი მნიშვნელობით რომ გამოიყენა ეს სიტყვა, მხოლოდ სულის სავალს უწოდებდა. მისტიკა, რომელსაც ღმერთთან შეერთებისკენ მივყავდით. XIX ს. პირველ ნახევარში გერესმა დაწერა მრავალტომიანი თხზულება მისტიკის შესახებ და გვთავაზობს განვასხვავოთ მისტიკა ღვთაებრივი, მისტიკა ნატურალური, ეშმასეული მისტიკა. მე იმის მიმდევრობას არ ვვარაუდობ. შეიძლება მისტიკას მივცეთ მისი სხვადასხვანაირი ფორმების გამაერთიანებელი ფილოსოფიური განსაზღვრება. მისტიკა შეიძლება დავარქვათ სუბიექტისა და ობიექტის დაპირისპირებულობის მიღმა გამსვლელ, ე. ი. ობიექტივაციის ძალაუფლებას დაუმორჩილებელ ცდას. მისტიკასა

და რელიგიას შორის ეს არსებითი განსხვავებაა. რელიგიებში სულიერი ცდა ობიექტივირებულია, სოციალიზირებულია და ორგანიზებულია. მისტიკის სავარაუდებელი განსაზღვრება ცრუმისტიკაზეც უნდა გავავრცელოთ, ცრუმისტიკა კი, ადამიანის ცნობიერების მიხედვით, არა სცნობს ღმერთისა და სულის არსებობას. განსაკუთრებით ეს უნდა ვთქვათ კოლექტიურობის მისტიკაზე, რომელიც ახლა დიდ როლს თამაშობს. მაგრამ კომუნიზმის მისტიკაში ყველაზე უფრო არსებითი ის არის, რომ ის მესიანური სახისაა. მეცნიერება რომ შეისწავლის, ობიექტივირებული სამყაროს მიღმა გამოდის. კოლექტიურ ცდაზეა ის დაფუძნებული, ამაში არ არის დაპირისპირებულობა სუბიექტისა და ობიექტის. ეს არის ცრუმისტიკის დამახასიათებელი სახე. ასევე ცრუ იყო საკრალური მონარქიის ძველებური მისტიკა, ასევე შედარებით ახალი, მაგრამ უკვე დაძველებული იაკობინურ-რესოისტული ტიპის დემოკრატიის მისტიკა. ცრუა, აგრეთვე, ნატურალისტური, დიონისიური ტიპის მისტიკა, რომელიც სძლევს სუბიექტისა და ობიექტის დაპირისპირებულობას მაღლა კი არა, დაბლა. ხსენებული მისტიკა ზერაციონალური კი არა, ირაციონალურია, ზეცნობიერი კი არა, არაცნობიერია. თვალმიუწვდომელი უფსკრულოვანის მიზიდულობაა მასში. კოლექტიურობის, ნატურალიზმის ან სოციალიზმის სიცრუეს, რომელშიც გამქრალა კაცის პიროვნება და სახე, შეუძლია შვას მისტიკის სხვადასხვა ფორმა. ჭეშმარიტი მისტიკა სულიერია და ნიშნავს სულიერ ცდას, რომელიც ობიექტივირებით არ არის გადათელილი.

ორთოდოქსული თეოლოგიური დოქტრინები ახდენენ მადლის ობიექტივირებას [illegible] გვანიჭებენ როგორც ძალას [illegible] გარედან რომ მოდის. მაგრამ მისტიკისთვის მადლი სიღრმიდან, ადამიანის ღვთაებრივი პირველსაწყისიდან გამომზეურებაა. ობიექტივირებული მადლი ტოვებს სუბიექტისა და ობიექტის დაპირისპირებულობას. მისტიკური სულიერი ცდა სიმბოლიზირდება რელიგიის ორგანიზებულობაში. და მეტად მნიშვნელოვანია გავიგოთ ეს სიმბოლიზირებული ხასიათი: ამას სულიერ წვდომასთან მივყავართ. ექსტაზი, რომელსაც მისტიკის ზოგიერთ ფორმასთან დამახასიათებლად თვლიან, არის გამოსავალი დანაწევრებიდან სუბიექტად და ობიექტად, არის მიახლოება არა საერთო და ობიექტივირებულ სამყაროსთან, არამედ სულიერი სამყაროს პირველრეალობასთან. ექსტაზი სულ ყოველთვისაა გამოსავალი იმის მიღმიდან, რაიც დამმონებელია და დამთრგუნველია, ეს არის გამოსავალი თავისუფლებისკენ. მისტიკური გამოსავალი არის სულიერი მდგომარეობა და სულიერი ცდა. მისტიკა, რომელიც არ არის გაღრმავებული სულიერება, ცრუმისტიკაა. ასეთებია მისტიკის კოლექტიური ფორმა, კოსმიური ან სოციალური. წარსულის მიხედვით შეიძლება სამი ტიპის მისტიკა დავადგინოთ: ღმერთთან სულის მისასვლელი ინდივიდუალური გზის მისტიკა, ეს უფრორე საეკლესიო ფორმაა; გნოსეოლოგიური მისტიკა, რომელიც არ უნდა გავუთანაბროთ პირველი საუკუნეების გნოსტიკოს-მისტიკო-

ხებს, ეს მისტიკა მიმართულია არა მხოლოდ ინდივიდუალურ სულთან, არამედ კოსმიურ და ღვთაებრივ ცხოვრებასთან; მისტიკა წინასწარმეტყველური და მესიანური კი დასასრულის ზღვარამდე მისული ზეისტორიული და ექსტალოგიური მისტიკაა. თავისი საზღვრები აქვს მისტიკის ამ თითოეულ სახეს.

წყვდიადის გზით მიდის სამყარო ახალი სულიერებისკენ და ახალი მისტიკისკენ. მასში არ შეიძლება იყოს ასკეტური მსოფლმხედველობა, რომელიც სამყაროს მრავალფეროვნებისა და ინდივიდუალობის ზურგის შექცევაა. ასკეზა მასში იქნება მხოლოდ განწმენდის საშუალება და მეთოდი. ის მიმართული იქნება სამყაროსა და ადამიანისკენ, მაგრამ ობიექტივირებული სამყაროს ის ჭეშმარიტ სამყაროდ ვერ დასახავს. ის ერთდროულად იქნება მიმართული სამყაროსკენ და უფროდ თავისუფალიც სამყაროსგან. სულიერი სილრმის მოპოვებისაკენ ეს პროცესი. ახალ მისტიკაში ძლიერი უნდა იყოს პროფეტიკული-მესიანური ელემენტი, მასში უნდა გაიხსნას ჭეშმარიტი გნოზისი, რომელიც არ იქნება შემცველელი ძველი გნოსტიკოსების კოსმიური ცდუნების. და ახალ მისტიკაში ყოველი შემაწუხარი წინააღმდეგობრიო ა და გაორება გადაწყვეტა. ეს ახალი მისტიკა რელიგიაზე უფრორე ღრმად იქნება რელიგიების გამაერთიანებელი. ამასთან ერთად ეს იქნება გამარჯვება მისტიკის ცრუ ფორმებზე, სულის საუფლოს გამარჯვება ქეისრის საუფლოზე.

კომენტარები

15 ანგაჟირება (დაწაფება)— ფრანგ.

16 აქ შეიძლება შენშევიკური საქართველო გავიხსენოთ; 1921 წელს კვლავ თავისუფლების დაკარგვა განპირობებული იყო გმირული სულისკვეთების ნაკლებობით.

17 უფრო სწორი უნდა იყოს: laissez faire, laissez passer: ე. ი. დაანებეთ იმის გაკეთება, რაიც სურთ, წავიდეს იქ, სადაც სურს. XVIII ს. ფრანგი ეკონომისტების მოწოდება, სახელმწიფო ეკონომიკაში არ უნდა ერეოდეს.

18 ე. ი. მოჩვენებითობაში.

19 სულის საუფლო რომ არ არის მკვეთრად გამოკვეთილი, ამისი მიზეზი ეს უნდა იყოს, სულის საუფლოს, ნებსით თუ უნებლიედ, უფრო ხშირად უნებლიეთ, ადამიანის გონის ცვლის ცრუ სულის საუფლოთი, რაც შეიძლება უდიდესი ბოროტების სათავე გახდეს. ამ წიგნის ქვეთავი სწორედ ამას გვიჩვენებს. ადამიანის სულიერებას ესაძირკვლება დიდი ტრიადა — სოფელი, ზესთასოფელი, ცრუზესთასოფელი.

20 როგორც ჩანს, ნ. ბერდიაევის ამ მოსაზრებას გარკვეული კომენტარი სჭირდება — დღევანდელი ე. წ. გლო-

ბალიზმი სწორედ ნაციონალობის წინააღმდეგაა მიმართული და უკვე ჩანს კიდევაც ეს საკვალალო შედეგები, ნაციონალობა კარგავს იმ უნიკალურ ნიშნებს, რითაც ესა თუ ის ერი გამოირჩეოდა; ცხადია, ამ ნიშნებში დადებით მხარეებს ვგულისხმობთ. ე. წ. გლობალიზაციის დროს კი პირიქით ხდება, ამა თუ იმ ერის უარყოფითი ნიშნები უფრო თვალსაჩინო ხდება და სწორედ ამ იმპერიული სულისკვეთებით აღბეჭდილი ჩანს. ე. წ. გლობალიზაცია არა მარტო მცირე ერების წინააღმდეგ არის მიმართული, თავად იმ ერების წინააღმდეგაც, რომლებიც ძალაუნებურად იმპერიული სულისკვეთების კვალობაზე კარგავენ იმ ზემოთ ხსენებულ დადებით ნიშნებსაც. ასე რომ, ბერდიაევისეული ნაციონალიზმი, რომელშიც გარკვეული ექსტრემისტული შინაარსია ჩადებული, შეიძლება სულაც შოვინიზმის გამომხატველი იყოს, სწორედ იმ ავად ხსენებულ გლობალიზაციის წისქვილზე ასხამს წყალს და ულვთოდ იკარგება ის ნაციონალური ნიშნები, რომელიც სათავე და აუცილებელი პირობაა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა შესაქმნელად. ცხადია, ამ მხრით სრულიად მართალი და აქტუალური ნ. ბერდიაევის ეს სიტყვები — „ნაციონალობა დადებითი ფასეულობაა, კაცობრიობის ცხოვრების გამამდიდრებელი“; და ის, რომ ნაციონალობა დღეს უკვე ველარ არის (ადრე რომ იყო, ისე) კაცობრიობის ცხოვრების გამამდიდრებელი, ეს ჩვენი ეპოქის ამაზრზენი და საშიში ტენდენცია.

21 გასული საუკუნის 40-იან წლებში დაწერილი ნ. ბერდიაევის ეს სიტყვები ფრიად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა — ე. წ. გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ დროინდელ ლაყბობა, როგორც ახლა ვიცით, ის საბურველი იყო, რომლითაც ცდილობდნენ ტოტალიტარული კავშირის, საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას და იმან, რომ ეს ტოტალიტარული კავშირი ვერ გარდაიქმნა დემოკრატიულ კავშირად, ნ. ბერდიაევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სახელმწიფოების მიღმა კაცობრიობის გამაერთიანებელი“ რომ იქნებოდა, სწორედ ამან გამოიწვია საყოველთაო ნგრევა, სისხლისღვრა და სიშლეგე. ე. ი. მაშინდელი საბჭოთა კავშირის ხელისუფალთა უმეცრებისა და არაკომპეტენტურობის გამო ვერ მოხდა რამდენადმე მაინც კეისრის საუფლოს გამართვა სულის საუფლოს მეშვეობით. ასეთი გარდაქმნა შესაძლებელი გახდა დღევანდელ ევროპაში, ვთქვათ, საერთო ვალუტის დამკვიდრება და ა. შ.

22 ეთატიზმი — პოლიტიკური აზრის ის მიმართულება, რომელიც სახელმწიფოს განიხილავს როგორც საზოგადოების განვითარების უმაღლეს შედეგსა და მიზანს.

23 როგორც ვხედავთ, დღევანდელი საქართველოს პირობებსა და მდგომარეობაში ამ აზრის მართებულობა დიდად საეჭვოა, რადგან ორსაუკუნოვანმა (რეალურად კი უფრო მეტისაც, ქართული სახელმწიფოებრიობის იავარქმნამ და დეგრადირებამ, რომლის გამოხატულება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე) ტყვეობამ თითქმის სრულიად შემუსრა ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერება და ამ მხრით ქართულ-ტრადიციული რელიგია, მართლმადიდებლობაა ის ლიბო და საძირ-

ველი, რომელმაც უნდა განამტკიცოს საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამასთან ერთად, გასული საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც ნ. ბერდიაევის ეს წიგნი დაიწერა, აქტუალური არ იყო, განსაკუთრებით, საბჭოურ სივრცეში სეკტანტობისა და მათი დიდად დამანგრეველი ზეგავლენის საკითხი.

24 ძველი რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებების მიხედვით იგულისხმება კაცის „პირველსახე“, ღვთაებრიობა, ზეციურობა, ეს არის ეპირველესი „ადამ-კადმონი“ [illegible] მომდგომ გადაგვარებისა [illegible] გზას დაადგა.

25 „საფუძველშივე ვანგრევთ ჩვენ წარსულს“; სიტყვასიტყვით: „სუფთა დაფას ვქმნით ჩვენ წარსულიდან“ — ეჭვენ პოტიე, „ინტერნაციონალ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარეკანის პირველ გვერდზე — „**ხერთვისი**“.
მურმან ჩაჩუას ფოტოგრაფია;
გარეკანის მეოთხე გვერდზე — „**იკორთა**“
თამაზ ქიქავას ფოტოგრაფია.

b115/14

ფასი 2 ლარი